ლევან სანიკიძე

ალექსანდრე მაკედონელი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1994

63.3 (4 Гр)
ს 263

წიგნი მონოგრაფიულად გვისურათებს ალექსანდრე მაკედონელისა და მისი თანამედროვეობის ისტორიას. იგი განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნი წარმოადგენს მეორე გამოცემას.

რედაქტორი ნ. ლომოური

რეცენზენტები: გ. გამრეკელი
გ. ქავთარია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994
© საწარმოო ფირმა „ბუბა", ქვეყანწარმო „დოლამისი", 1994

4702170104
ს ———————
608 (06) — 94

ISBN 5 — 511 — 00596 — 7

ᲬᲘᲜᲐᲑᲜᲔ

უთქვამს ჰერაკლიტე ეფესელს:

„ღმერთები უკვდავი ადამიანები არიან, ხოლო ადამიანები — მოკვდავი ღმერთები“.

კაცობრიობა, ანუ „მოკვდავ ღმერთთა“ ერთობლიობა, ჟამ-ჟამად, დროისა და სივრცის გარკვეულ ნაკვეთში, თითქოს „საჭიროებისდა მიხედვით“ — თავის წიაღში წარმოშობს „რჩეულ შვილს“, ანუ „გმირს“, რომლის ცხოვრება და სახელი სანიშანსვეტო ხდება მთელი ეპოქისათვის; ან კიდევ — ეს „რჩეული მოკვდავი ღმერთხი“ თვითონ არიან შემოქმედნი და წარმმართველნი მთელი ეპოქებისა საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესსა და უმძიმეს გზაზე.

სწორედ ასეთ „მოკვდავ ღმერთთა“ წყებას განეკუთვნება ალექსანდრე დიდი, მაკედონელი, რომლის წუთისოფლიდან გავიდა 23 საუკუნეზე მეტი და ამ დროის მანძილზე არ განელებულა ინტერესი ამ, მართლაცდა, გამორჩეული და გასაოცარი პიროვნების მიმართ. საისტორიო ტრადიციამ ალექსანდრე მაკედონელს პირველს მიანიჭა „დიდის“ თიკუნი. მას შემდგომ ალექსანდრე დიდის შესახებ წერდნენ ისტორიკოსები ანტიკურ ხანაში, შუა საუკუნეებში, ახალ დროში და წერენ დღეს, ჩვენს თანამედროვეობაში. ამასთან, საისტორიო-სამეცნიერო კვლევის გასწვრივ, „ალექსანდრული წიაღსვლების“ გარეშე არ დარჩენილა არც ერთი ჟანრი მხატვრული სიტყვიერებისა. ითხზვებოდა სერიები „ალექსანდრიანებისა“ — რომანებისა, პოემებისა, მოთხრობებისა, პიესებისა, ზღაპრებისა, ლეგენდებისა. ალექსანდრეს ცხოვრება „სასინჯი ქვა“ იყო ყოველი სერიოზული ფილოსოფიური დაკვირვებისა და გააზრებისა.

სავსებით ბუნებრივიც გამოჩანს ალექსანდრე მაკედონელისადმი ასეთი მრავალმხრივი და მარად უშყვეტელი ინტერესი. ალექსანდრე

მაკედონელმა, სავსებით ახალგაზრდა კაცმა, თავისი მძლავრი გონებით და დაუღალავი მარჯვენით საფუძველი დაუდო მსოფლიო ცივილიზაციის ერთ უხანგრძლივეს, ურთულესსა და უმშვენიერეს ეპოქას, ე. წ. ელინიზმს, რომლის სულიერი და ნივთიერი ფუძემდებლური მონაპოვარნი ჩვენს თანადროულ საუკუნეშიც აღწევენ სრული ძალისხმევით და ცხოველმყოფელობით.

ჩვენ ამჯერად მაინც „ალექსანდროლოგიის“ ისტორიო-სამეცნიერო დარგთაგან გვაქვს საქმე. ამ მხრივ ძალზე ბევრი რამ დაწერილა, ბევრი რამ ორიგინალურიც თქმულა, ბევრიც „ნამღერი გადამღერებულა“. ბევრი შრომა დაწერილა ავტორის სრული მეცნიერული სინდისიერების მაუწყებელი პრინციპით — sine ira et studio — მაგრამ დღემდე იწერება ისეთი წიგნებიც, რომელთა ავტორები ორ ურთიერთგამომრიცხველ ტენდენციას გამოსდევნებიან: ერთნი ალექსანდრეს უაღრესად განადიდებენ და რაღაც ზებუნებრივ თუ „ზეკაცურ“ ფენომენად წარმოსახავენ, მეორენი კი მის დაკნინებასა და დაცრობას მიელტვიან თავგამოდებით (ამ უკანასკნელ ხანს გამოცემულ ერთ წიგნს რეცენზენტები სწორედ იმით აქებენ, რომ ავტორები ალექსანდრეს პირად ღირსებებს სულაც უარყოფენ!). არა და, ორივე რიგისა და „ტენდენციის“ მქონე მკვლევართათვის ალექსანდრეს ცხოვრების საკვლევი და შესასწავლი წყაროები სავსებით ერთი და იგივეა. ბაშ, თითქოს, აქაც რად უნდა მომხდარიყო, რომ ერთი და იმავე ხისგან ჯვარიც გამოსულიყო და ბარიც? კაცმა რომ თქვას, საკითხის ამნაირი გამრუდებაც მიანიშნებს მკვლევარ-სპეციალისტს, ერთხელ თვითონაც მიუბრუნდეს „ალექსანდრეს თემას“, თვითონაც გულდასმით შეისწავლოს და იქნებ სწორადაც გაიაზროს სხვათაგან მრავალგზის შესწავლილი და განსჯილი ის წყაროები, საიდანაც ზოგს „ჯვარი“ გამოჰყავს და ზოგს „ბარი“.

ალექსანდრე დიდის პიროვნებისა და ღვაწლის შესასწავლად მეცნიერებას ძირითადად ისევ წერილობითი წყაროები აქვს ხელთ. ალექსანდრეს თან ახლდნენ „მისი ისტორიკოსები“ — არისტობულე, კალისთენე, პტოლემაიოსი, კლიტარქოსი, პოლიკლეტოსი, ონესიკრიტოსი, ტიმაგენე, ასკლეპიადე, არატოსი, ნეარქოსი, — მაგრამ არც ერთი მათგანის შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია. მხოლოდ მათი ჩანაწერების ფრაგმენტები იხსენიებიან მომდევნო დროის ავტორთა „ისტორიებში“. როგორც ჩანს, თვითონ ალექსანდრეც წერდა რაღაც „დღიურებს“, თუ „მემუარებს“. მისი სასახლის კარზეც, უეჭველად,

წერილობით ფიქსირდებოდა ყოველდღიური მოვლენები, მაგრამ არც მეფისა და არც მისი კარის მდივანთა „ჩანაწერები“ გადარჩენია დროის ულმობელ დინებას. ასე რომ, ალექსანდრეს შესახებ დაწერილი ისტორიული შრომები მხოლოდ მისი სიკვდილიდან 280 წლის შემდგომდროინდელ ავტორებს განეკუთვნება, ამათგან მაინც ყველაზე სრული, უწყვეტი და სისტემატური საისტორიო თხზულებების ავტორები არიან: ფლავიოს არიანოსი (95—160 წწ.), დიოდოროს სიცილიელი (ძვ. წ. 90—21), პლუტარქოს ქერონეელი (45—127 წწ.) და ქვინტუს კურციუს რუფუსი (ახ. წ. I ს.).

ამ ოთხთაგან ორი — არიანოსი და დიოდოროსი — „წმინდა ისტორიკოსები“ იყვნენ, ხოლო პლუტარქოსი და კურციუსი — „მხატვარ-ისტორიკოსები“.

ყველაზე სანდო და თითქმის ბოლომდე ანგარიშგასაწევი ცნობები მაინც არიანოსმა შემოგვინახა, თავის მთავარ თხზულებაში — „ანაბასისი“ ანუ „ლაშქრობა“ ალექსანდრესი. იგი მცირეაზიელი ბერძენი იყო, ქალაქ ნიკომედიიდან. სწავლობდა საბერძნეთში, ეპიკტეტეს სტოიკურ-ფილოსოფიურ სკოლაში; ცხოვრობდა რომში, შეისწავლა სამხედრო საქმე. პოლიტიკური მრწამსით იყო მონარქისტი და რომის იმპერატორის კარზე ეჭირა დიდი თანამდებობანი (კონსული, სენატორი, კაპადოკიის პროკურატორი). სხვათა შორის, ფლავიოს არიანოსი იმყოფებოდა მცხეთაშიც, სადაც მან, ვითარცა ელჩმა, იმპერატორ ადრიანესგან წარმოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები და „საბოკავშირეო-სამეგობრო“ აღთქმანი გადასცა ქართლის მაშინდელ მეფეს — ფარსმან ქველს.

არიანოსი თავის „ანაბასისში“ პირველ წყაროებად სწორედ ალექსანდრეს თანადროულ ისტორიკოსთა და თანამებრძოლთა ჩანაწერებს იყენებდა, და თანაც, იყენებდა არა ხელაღებითი მინდობით და განუკითხაობით, არამედ კრიტიკული თვალთახედვით, მკაცრი განსჯითა და გააზრებით. იგი, ალექსანდრეს თანამგზავრთა და თანამებრძოლთაგან, ყველაზე მეტად არისტობულესა და პტოლემაიოს ლაგიდის ცნობებს ენდობა და მათვე ეყრდნობა „ანაბასისის“ წერის ჟამს. არიანოსის მეორე თხზულებაც — „ინდიკე“ — ძვირფას მასალებს გვაწვდის ალექსანდრე მაკედონელის ინდოეთში ლაშქრობის შესწავლისათვის.

ფრიად საყურადღებო წყაროა დიოდოროს სიცილიელის „საისტორიო ბიბლიოთეკა“, 40 წიგნად, საიდანაც XVII წიგნი მთლიანად ეძღვნება ალექსანდრე მაკედონელსა და მის თანამედროვეობას. მი-

უხედავად იმისა, რომ მასში ხშირია ქრონოლოგიური აღრევა და უზუსტობანი, არიანოსის „ანაბასისთან“ შეჯერებით, დიოდოროსი დღევანდელ მკვლევარ-ისტორიკოსს მაინც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ მრავალ მოვლენათა რეალური სურათების აღსადგენად.

თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“ ალექსანდრე მაკედონელს საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო პლუტარქოსმა, ძველი დროის სახელოვანმა მწერალმა, ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა. მისი „ალექსანდრე მაკედონელი“, — ისევე, როგორც ყოველი სხვა მისეული „ბიოგრაფია“ — დაწერილია არა მკაცრი მეცნიერულ-ისტორიული კანონიკით, არამედ მხატვრულ-ფილოსოფიური გარდასახვითა და გააზრებით. ამ შემთხვევაში, უკეთუ ჩვენ გავიხსენებთ და ვიწამებთ იმ მეცნიერ სჯულმდებელთა (ვთქვათ, არისტოტელეს და ეფრემ მცირეს) შეგონებებს, რომ ჭეშმარიტი ისტორიული მეცნიერება სწორედ მხატვრული გააზრებითა და „განშვენებით“ უნდა იწერებოდესო — მაშინ აღარც პლუტარქოსთან უნდა გვქონოდა რაიმე სასაყვედურო; მაგრამ პლუტარქოსი ისტორიის მხატვრული „გარდასახვისას“ ხშირად, მხატვრულ-ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ გააზრებათა „ასაყვავებლად“, ისტორიული ჭეშმარიტების გაყალბებას ან დაკნინებასაც აღარ ერიდება. მრავლის მიმანიშნებელია თვითონ პლუტარქოსის, ასე ვთქვათ, „მეთოდოლოგიური განაცხადი“ — მე ცხოვრებას ვწერ და არა ისტორიასო. მართლაც, მას უწინარესად ცალკე, კერძოობითი ადამიანის — ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკედონელის — „ცხოვრება“, ანუ პიროვნება აინტერესებდა, ხოლო მთელი დახარჩენი, ამ პიროვნების გარშემო განფენილი ისტორიული სამყარო, არის მხოლოდ „მეორე პლანი“, ან, გვეგავთ, „ანტურაჟი“, ანუ „დამხმარე ბასალა“ ალექსანდრეს ფსიქოლოგიის, ადამიანური და ზეადამიანური ვნებების, ღირსებებისა და სისუსტეების „კომპლექსური“ შესწავლისა და წარმოსახვისათვის. ამიტომ პლუტარქოსის სამწერლობო მემკვიდრეობა მეცნიერისგან გვარიანად ფრთხილ მიდგომას და „ძოვარგებას“ მოითხოვს. ასეთი კრიტიკული შესწავლისა და სხვა წყაროებთან შედარება-შეჯერების შემდგომ, შესაძლებელი ხდება პლუტარქოსის თხზულების მრავალი პასაჟი ჭეშმარიტი მეცნიერული ჭვრეტის სამსახურში ჩავაყენოთ.

მეცნიერული თვალთახედვით, კიდევ მეტ სიმკაცრესა და კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს რომაელი კურციუს რუფუსის

ლათინურად დაწერილი „ალექსანდრე დიდის ისტორია“, რომლის მეცნიერული ღირებულება დიდად ჩამოუვარდება წინარე მოხსენიებულ ავტორებს. ეს თხზულება უფრო მხატვრულ რომანს ჰგავს და იგი კიდევაც საფუძვლად დაედო შემდგომდროინდელ რომან-სერიებს — „ალექსანდრიანებს“. აშკარად შეინიშნება, რომ კურციუსი თავისი თხზულების წერისას უპირატესად ალექსანდრეს სამტროდ განწყობილ წყაროებს ეყრდნობოდა. ავტორის ასეთი ტენდენციურობაც ხშირად მეცნიერებისთვის სასარგებლო ხდება, რამდენადაც მტრული კალმისგან დაცდენილი ღირსება საკვლევ გმირს აკი ჭეშმარიტ ღირსებად მიეთვლება!.. ბევრი რამ კურციუსს შეთხზული უხდა ჰქონდეს, მაგრამ ბევრი რამეც, მისგან თქმულნი, სხვა წყაროებით დასტურდება და ამდენად ეს თხზულებაც საყურადღებო წყაროდ რჩება ალექსანდრე მაკედონელისა და მისი დროის შემსწავლელი მკვლევრისათვის.

წყაროთა ამ „მთავარი ოთხეულის“ გარდა, ჩვენამდე მოაღწიეს, აგრეთვე, ცალკეულმა, ფრაგმენტულმა ცნობებმა, რომელთა ავტორები არიან: თეოპომპე, დემოსთენე, პოლიბიოსი, სტრაბონი, პავსანია, დიონ ქრისოსტომი, იოსებ ფლავიუსი, კლავდიუს ელიანუსი, იუსტინე, ფრონტინუსი, პოლიენუსი, ვალერიუს მაქსიმე, ციცერონი, პლინიუს უფროსი.

ყველა აქ მოხსენიებული წყარო — დიდნი თუ მცირენი — ერთად აღებულნი, ერთმანეთთან შედარებულნი და შეჯერებულნი, საშუალებას გვაძლევენ აღვადგინოთ დრო და სახე ალექსანდრე მაკედონელისა — „მოკვდავ ღმერთთა“ შორის ერთი უსაჩინოესი პიროვნებისა.

წყაროთა გარდა, მეცნიერულ შრომათაგან, ეს წიგნი ყველაზე მეტად დავალებულია იოჰან გუსტავ დროიზენის „ჰელინიზმის ისტორიით“, რომელიც ალექსანდრე მაკედონელზე დაწერილ სამეცნიერო ლიტერატურაში (ფაქტოლოგიის ასპექტით მაინც), ჩვენი ღრმა რწმენით, კვლავ ინარჩუნებს „პალმას პირველობისას“.

ზღურბლი

დასაწყისშივე, მკვლევრისა თუ მწერლის ყურადღებას იტაცებენ გასაოცარი „ტ რ ი ა დ ე ბ ი“ ძველი (ანტიკური) მსოფლიოს ისტორიისა:

გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ტრიადა — ბალკანეთი, ეგეოსის არქიპელაგი, მცირე აზიის სანაპირონი;

ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი ტრიადა — ქრისტეს წინარე III, II, I ათასწლეულნი;

კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ტრიადა — კრეტა-მიკენური (წინაბერძნული), ელინური (ბერძნული), ელინისტური (ბერძნულ-აღმოსავლური);

ფ უ ძ ე მ დ ე ბ ე ლ-პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ტრიადა — მინოსი (კრეტა-მიკენისა), ჰომეროსი (ელინურისა), ალექსანდრე მაკედონელი (ელინისტურისა).

ამ წიგნში ლოგოსი განეფინება „მესამე გმირის“ — ალექსანდრე მაკედონელის გარშემო.

შუაგული ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნისა.

უკვე გასულა და ისტორიის კუთვნილებად გამხდარა ათასი წელი „მინოსის ხანისა“, კიდევ ათასი წელიწადი ანტიკური საბერძნეთისა, ანუ „წმინდა ელინური“ კლასიკისა — კაცობრიობის უბრწყინვალესი ცივილიზაციისა.

გარდასულია ხუთასწლოვანი დრო-ჟამი, გასაოცარი, „სოკოსავით ნამრავლი“ გენიალური ბერძნებისა — მეცნიერების, ხელოვნების, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ღვაწლმოსილებათა მსოფლიო კორიფეესებისა. გარდასულ არიან — ჰომეროსი და ჰესიოდე, თალესი და ტირტეოსი, პითაგორა და ანაკრეონტი, საფო და ალკეოსი, ჰერაკლიტე და სოლონი, ჰიპოკრატე და ფიდიასი, ჰეროდოტე და იქტინოსი, თუკიდიდე და კალიკრატე, ქსენოფონტი და პინდაროსი, დე-

მოკრიტე და ესქილე, სოკრატე და სოფოკლე, პლატონი და ევრიპიდე, პოლიგნოტე და არისტოფანე.

განვლილია სანიშანსვეტო ეპოქები — „დიდი ბერძნული კოლონიზაციისა“ (VIII—VII სს.), ბერძნულ პოლისთა (ქალაქ-სახელმწიფოთა) ჩამოყალიბებისა (VI ს.), ბერძენ-სპარსელთა ომიანობისა (500—449 წწ.) და ბერძენთა ბრწყინვალე ძლევამოსილებისა. უკვე ისტორიის წიაღში განისვენებენ გმირობანი ბერძნული სამყაროს მესაჭე პოლისებისა — ათენისა და სპარტისა, თემისტოკლე ათენელისა და ლეონიდე სპარტელისა, ათენელებისა— მარათონის ველზე, სპარტელებისა — თერმოპილეს ხეობაში, გაერთიანებული ბერძნებისა — სალამინის სრუტეში, ქალაქ პლატეასთან და მიკალეს კოხცხთან. განვლილია მწვერვალი ანტიკურ-კლასიკური ცივილიზაციისა — „ეპოქა პერიკლესი“. მაშინდელი ათენი — „ელადა ელადაში“...

და, უცებ, ყველაფერი, რაც ბერძენთა „უნივერსალურ ნიჭიერებას“ (ენგელსის ლოგოსია) შეუქმნია, — ერთბაშად ინგრევა, იქცევა, ირეცება. ეს არის პელოპონესის ომი (431—404 წწ.), ოცდაშვიდწლიანი შინაური ხოცვა-ჟლეტა. ეს არის თვითმკვლელობა ერისა, — ვითარცა თვითმკვლელობაა ყოველი ომი თანამემამულეთა და ოჯახმოძმეთა შორის.

დამხობილია ათენი — უმაღლესი სული და უმკვრივესი სხეული საბერძნეთისა.

და ასე — პელოპონესის ომების შედეგად და შემდგომ — V საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დამდეგს საბერძნეთი მოუცავს საყოველთაო კრიზისს, „პანელინურ“ („საყოველთაო-ბერძნულ“) კრიზისს, — ეს არის კრიზისი კლასობრივი, კრიზისი სოციალური, კრიზისი პოლიტიკური, კრიზისი ნივთიერ-ეკონომიური, კრიზისი სულიერ-ზნეობრივი.

ახლა კი დასდგომია დრო-ჟამი სპარსეთს — რევანში აიღოს საბერძნეთისაგან მიღებული მძიმე მარცხისთვის. თანაც, რევანში უნდა იყოს „ყოვლისმომცველი“, საბერძნეთისთვის სრულად გამანადგურებელი. საბერძნეთს, ისედაც მცირე ქვეყანას, ახალი შინაური ომებით უარესად დამცრობილსა და დამხობილს, შინაგანად ძალა აღარ მოეძევება თავი დაიხსნას სპარსეთის მხრივ წალეკვისაგან, — იმ სპარსეთისგან, რომელიც ძლიერი აქემენიდური დინასტიის მეთაურობით, აგერ ორასი წლის მანძილზე გადაჭიმული და გავრცობილია ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე.

და როცა ქვეყანას თავის დახსნისა და გადარჩენის შინაგანი ძალა აღარ აღმოაჩნდება, იგი იძულებულია ეძიოს გარეშე ძალა, თუნდაც „უცხო“, ანუ „ბარბაროსი“. მაგრამ უცხოთაგან „ნაკლებ ბარბაროსი“, „შედარებით ახლობელი“, რომელსაც დაერქმევა „მფარველი“, ან „მოკავშირე“, ან „თანამებრძოლი“, ან „თანამდგომი“ და სხვა რამ მისთანანი (მხოლოდ — არავითარ შემთხვევაში „დამპყრობელი!“).

ასეთ „გარეშე მხსნელ ძალად“ მაშინდელი საბერძნეთისათვის მიჩნეულ იქნა მაკედონია. იქვე, ჩრდილოეთიდან მოსაზღვრე, „კარის მეზობელი“ ქვეყანა.

სწორედ მაკედონია უნდა ყოფილიყო საბერძნეთისთვის უცხოთა („ბარბაროსთა“) შორის ყველაზე „ნაკლებად ბარბაროსი“, ან ბარბაროსთაგან „ყველაზე ახლობელი“, „მეზობელი გულისაო...“

ბერძნებსა და მაკედონელებს იმ სამი კონტინენტის გზასაყარზე ყველაზე მეტად და უკეთ „ესმოდათ“ ერთმანეთისა — ესმოდათ ენობრივად და ესმოდათ სულიერად.

მაკედონური ენა ნათესავი იყო ბერძნული ენისა.

საბერძნეთს სხვა გზა არ ჰქონდა — მისი დაშრეტილი ფიზიკური სხეული უნდა აეღორძინებინა ახალგაზრდა, ფიზიკურად გამძლავრებულ მაკედონიასთან „შეერთებას“.

მაკედონიასაც სხვა გზა არ ჰქონდა — მისი ველური სული უნდა გაენაყოფიერებინა და გაემდიდრებინა უზენაესი ბერძნული სულიერი სამყაროს „შემოერთებას“ (არა „დაპყრობას!“). სულიერის გარდა, საბერძნეთს ნივთიერ და საომარ ძალთა „შემოერთებაც“ ფრიად „მოუხდებოდა“ მაკედონიას...

ორნი ერთმანეთისაკენ მიილტვოდნენ:

მაკედონელები — სრულის თავდავიწყებით,

ბერძნები — მაინც ჭაპანწყვეტით.

ასე იყო, ვინათგან ბერძენთა დიდ ნაწილს მაინც სწამდა, რომ მაკედონელებიც „ჩვეულებრივი ბარბაროსები“ იყვნენ და მათთან „შეერთებით“ ვერაფერსაც ვერ მოიმკიდნენ, გარდა „ჩვეულებრივი ბარბაროსული უღლისა“.

ასე იყო და ერთმანეთს ებრძოდა მაშინდელ საბერძნეთში ორი პოლიტიკური პარტია — „მაკედონური“ და „ანტიმაკედონური“.

სხვა გზა კი მაინც არ იყო.

საისტორიო ბედისწერის ჩარხი მაინც „შეერთების“ ტვიფრით ბრუნავდა.

თავი I

ძველი მაკედონია

მაკედონია მცირე ქვეყანაა შუა ბალკანეთზე, ჩრდილოეთით — შთაგორიანი (ზედა მაკედონია), სამხრეთით — დაბლობ-ველიანი (ქვემო მაკედონია).

ოთხი მთავარი მდინარე რწყავს მაკედონიის მიწას: აქსიოსი (ახლანდელი ვარდარი), სტრიმონი (სტრუმა), ლიდიასი (მიცსტა) და გალიაკმონი (ბისტრიცა).

ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მაკედონელებს მათ მსგავსადვე ნაკლებ კულტურული ხალხები ემეზობლებოდნენ — თრაკიელები, აგრიანები, ილირიელები, ტრიბალები, ტრერები. სამაგიეროდ სამხრეთით მაკედონია უშუალოდ ესაზღვრებოდა უზარმაზარი კულტურის სამყაროს — საბერძნეთს. ჯერ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაკედონიას ეკვროდა დიდი ბერძნული სავაჭრო ქალაქებით მოფენილი ქალკიდიკა; მერე, უშუალოდ სამხრეთით მაკედონია ესაზღვრებოდა საბერძნეთის ყველაზე დიდ ოლქს — თესალიას; აქ მათი გამყოფი იყო ოლიმპოსა და კამბურნის მთები, ხოლო მაერთებელი — მდინარე პენეევსის შესართავი, ანუ ტემპეის ველი; სამხრეთ-დასავლეთით კი მაკედონია უკავშირდებოდა ჩრდილოეთი საბერძნეთის მეორე ოლქს — ეპირს. მაკედონიასა და ეპირს შორის გაწვართულია პინდის მთაგრეხილი.

მაკედონიის მთიანეთი ნოყიერი საძოვრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესაქონლეობის განვითარებისათვის. მაკედონური მოსახლეობაც უმეტესწილად მესაქონლე-მწყემსური და მონადირული ცხოვრებით ცხოვრობდა. ნაკლებად ყინვიანი და მშრალი ფერდობები მევენახეობის დანერგვის საშუალებასაც იძლეოდნენ. მაკედონიის მიწათმოქმედი მოსახლეობა ძირითადად მდინარეთა ხეობებში ცხოვრობდა, მკვიდრი, სამიწათმოქმედო ცხოვრებით.

„ისტორიის მამა“, ჰეროდოტე, მაკედონიის სახელმწიფო შექმნას მიაწერს სამხრეთ საბერძნეთიდან, არგოსიდან გამოქცეულ ბერძენს — პერდიკას [1]. ეს ლეგენდარული ამბავი (VIII—VII საუკუნეთა

მიჯნას უნდა განეკუთვნებოდეს. პერდიკას შემდეგ, მწირი საისტორიო ნაფლეთები კიდევ ოთხ მეფეს ასახელებენ. ეს „მეფეები“, ანუ ჰომეროსის გმირების — აგამემნონებისა და ოდისევსების მსგავსი „ბასილევსები“, სინამდვილეში ტომის ბელადები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც „სატახტო ქალაქად“ ედესა, ანუ ეგე გამოუცხადებიათ და იქიდანვე განუწყვეტელი ბრძოლა უწარმოებიათ ცალკეულად და განკერძოებულად დაქსაქსული მაკედონური ტომების გასაერთიანებლად.

მაკედონიის „სახელმწიფოს“ შესახებ საუბარი შესაძლებელი ხდება V საუკუნიდან, მეფე ამინტა I-ის (540—498) შემდეგ. მის დროს მაკედონიის საზღვრები სამხრეთით მტკიცედ მიებჯინენ ოლიმპოსა და კამბურნის მთებს, ხოლო აღმოსავლეთით — სტრიმონის აუზს. ამინტამ დაიპყრო ქალკიდიკაზე ოლქი ანტემაუნტისა, მაგრამ შემდგომი მისი წინსვლა თრაკიაში შემოჭრილმა სპარსელებმა აღკვეთეს. ამ ამბავს წინ უძღოდა სპარსეთის დიდი ხელმწიფის, დარიოს I-ის ლაშქრობა სკვითების წინააღმდეგ—ბალკანეთ-თრაკიისა და ისტროსის (დუნაის) გადალახვით (512 წ.). დარიოსი მარცხნაჭაში დაბრუნდა, მაგრამ თრაკიაში ჯარი მაინც დატოვა, მეგაბაზის სარდლობით. სპარსელთა ამ პირველ „ევროპულ წიაღსვლას“ მთელი ბალკანეთის და უწინარესად არქიპელაგური და კონტინენტური საბერძნეთის დაპყრობა უნდა მოჰყოლოდა „გაგრძელებად“ (მცირეაზიურ საბერძნეთს, ანუ იონიას უკვე ფლობდა მაშინ სპარსეთი).

მეგაბაზმა წინასწარ წამოიწყო მაკედონიის მეფესთან „დიპლომატიური თამაში“. დიპლომატიურს „ტრაგიკული თამაშიც“ მოჰყვა: იმის გამო, რომ სანადიმო სუფრასთან შექეიფიანებულმა შვიდმა სპარსელმა „დიპლომატმა“ მაკედონელ ქალებს ხელი შეუთამამა, მეფის ძემ, უფლისწულმა ალექსანდრემ შვიდივე სტუმარი იქვე სუფრაზე დააკლა. სპარსეთის სასახლის კარმა იმის გაანგარიშებით, რომ საბერძნეთიდან ომის კვირაძალს მაკედონიასთან მოულოდნელი ომის გაჩაღება არ გამოადგებოდა, სპარსული სისხლის ასე კადნიერი დაქცევისა და „საერთაშორისო ნორმების“ დარღვევისათვის მხოლოდ მეფე ამინტას მობოდიშება იკმარა.

ამინტას სიკვდილის შემდეგ გამეფდა სწორედ სპარსელთა სისხლზე ხელგაწაფული ალექსანდრე I (498—454). მის დროს უკვე დაიწყო ბერძენ-სპარსელთა დიდი ომი. დარიოსის პირველი და მეორე ლაშქრობა მწარე მარცხით დამთავრდა. მარათონის ველზე ათენელ-

თა გამარჯვებამ ქვეყანა შეაზანზარა. დარიოსიც მიიცვალა და ათენისა და სპარტის ჯავრი სამარეში თან ჩაიყოლა. მას შემდგომ დარიოსის ძემ, ქსერქსემ სცადა რევანშის აღება და ბერძენთა „მიწისა და წყლის“ გადაყლაპვა. ქსერქსეს „მილიონიანი შემოსევაც“ მოინელა ბერძნულმა პატრიოტიზმმა — არტემისიონის კონცხთან, თერმოპილეს ხეობაში, სალამინის სრუტეში.

სპარსეთის სახელმწიფო კარმა დაზავებაზე ფიქრი იკადრა და ათენთან მოსალაპარაკებლად შუამდგომლობა სთხოვა მაკედონიის მეფეს, რომელიც აქამდე ორივე მხარესთან „მიუმხრობლობის პოლიტიკას“ ინარჩუნებდა.

ალექსანდრეს შუამავლობამ შედეგი არ მოიტანა. „სანამ მზე ივლის იმ გზით, რა გზითაც ახლა დადის, მანამ არ იქნება ზავი ქსერქსესთან“ — იყო პასუხი ათენისა.

ომი გაგრძელდა.

მაკედონიის მეფე „მიუმხრობლობას“ დაუბრუნდა.

მაგრამ სპარსელებმა ალექსანდრე და მისი მაკედონური მხედრობა მაინც გაიყოლიეს ბერძნებთან განახლებულ ბრძოლაში. ქალაქ პლატეასთან, გადამწყვეტი ბრძოლის წინ (479 წ.), ალექსანდრეს „ბერძნულმა სიმპათიებმა“ სძლიეს და, ღამით, იდუმალ, ბერძნებს სპარსელთა სარდლობის განაზრახი შეატყობინა.

სპარსელები ისევ დამარცხდნენ სასტიკად. მაშინ ალექსანდრე აშკარად დაემტერა სპარსეთს და, როცა პლატეას ხოცვა-ჟლეტაში გადარჩენილი და გაქცეული სპარსელები მაკედონიის გასასვლელებში შეცეივდნენ, მაკედონელები მისდგნენ და ჰხოცეს შეუბრალებლად „აზიელი ბარბაროსები“.

ალექსანდრე I განაგრძობდა და ავითარებდა ბერძნებთან სიახლოვეს. დაერქვა კიდევაც მას „ფილელინი“ — „ბერძენთმოყვარე“. ელინური ცივილიზაცია წარმატებით იკვლევდა გზას მაკედონურ არისტოკრატიაში. თვითონ ალექსანდრე ბერძნულად ლაპარაკობდა, საყოველთაო ბერძნულ ასპარეზობებზე — ოლიმპიადებზე იგი პირადად ეჯიბრებოდა ბერძენ მოჯირითე-ეტლოსნებს. მაკედონელი მეფე არც თავის საგანძურებს ზოგავდა, ვინძლო ოლიმპიისა და დელფოს ტაძრებისათვის თვითონ ბერძნებზე უბრწყინვალესი შესაწირავები მიერთმია. მაკედონია ხშირად თავშესაფარი იყო საბერძნეთიდან გაქცეული „პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისა“. ალექსანდრე

I-ის სასასტელში დიდხანს ცხოვრობდა სახელოვანი ბერძენი პოეტი პინდაროსი.

ყოველი ახალი კულტურის დანერგვა ყოველთვის მძიმე რეაქციას და თავგამოდებულ მტრობას იწვევს ძველ სულიერ-სხეულებრივ ჩვევებსა და ადათ-წესებში. სწორედ ასევე უნდა მომხდარიყო მოსულ ბერძნელსა და დამხვდურ მაკედონურს შორის. ჯერ კიდევ გვაროვნული წყობიდან გამოუსვლელ მაკედონელ მეჯოგესა და ძიწათმოქმედს უმაღლესი სინატიფით ნაძერწ ბერძნულ კრატერს და ამფორას მაინც მამაპაპური, უბრალო და უფასური, ხისგან გამოჩორკნილი ჯამი ერჩივნა. ალბათ, სწორედ ამ ჭიდილს ემსხვერპლა ალექსანდრე ფილელინიც, — იგი შეთქმულებმა მოკლეს 454 წელს.

მაშინვე მაკედონიის სამეფო ტახტისათვის ბრძოლა ატყდა ოთხ ძმას შორის. გაიმარჯვა და გამეფდა პერდიკა II (454—413). დანარჩენი სამი ძმა „ზედმეტობისთვის“ სიკვდილს მიეცა.

მაკედონიის ახალ მეფეს გამარჯვებული შინაური კოხსერვატიზმისთვის ანგარიში უნდა გაეწია და ბერძენთა წინსვლას ჩრდილოეთით წინ გადაეღობა. მაგრამ ბერძნებმა, ათენელების მეთაურობით, მაინც იძალეს, მაკედონელთა აქტივობა აღკვეთეს, მთელი ქალკიდიკა თავის ბატონპატრონობაში მოაქციეს და მდინარე სტრიმონის შესართავშიც ახალი დიდი ციხე-ქალაქი — ამფიპოლისი ააშენეს. ათენელებმა ესეც არ იკმარეს და უშუალოდ მაკედონიას დაეძუქრნენ. მეფე პერდიკა II იძულებული შეიქნა ხარკი ეძლია ათენისათვის.

მაგრამ მალე დაიწყო პელოპონესის ომი. მთელს საბერძნეთს და უწინარესად ათენს — უსაშინელესი წლები დაუდგათ. მაკედონიამ ათენის ხარკისგანაც თავი დაიხსნა და დანგრევა-დაქცევის გზაზე დაქანებული საბერძნეთის შინაურ საქმეებშიც იწყო ჩარევა.

ბერძნული კულტურა კი მაინც ვრცელდებოდა მაკედონიაში. სამეფო კარი და არისტოკრატია აშკარად „ბერძნობდა“. მეფე პერდიკა II პირადად იწვევდა სასახლის კარზე დიდ ბერძენ მოღვაწეებს და მოაზროვნეებს. მასთან კარგა ხანს სტუმრობდა „მედიცინის მამა“ — ჰიპოკრატე კოსელი.

კიდევ უფრო გააქტიურდა მაკედონიის მომდევნო მეფე, არქელაოსი (413—399). მან სამეფო ტახტი ეგედან პელაში გადაიტანა და იქაურობა ელინურ ყაიდაზე მორთო და მოკაზმა. ქალაქ დიონში, — სადაც მონიშნული იყო ლეგენდარული ბერძენი მომღერლის, ორფევსის აკლდამა — არქელაოსმა დააწესა ზეციერა და მუზების ყოველ-

წლიური ცხრადღიანი დღესასწაული [2]. მაკედონიის მეფე ყოველ ოლიმპიადაზე გზავნიდა საასპარეზოდ თავის ეტლებს და ყოველთვის გამარჯვებულის გვირგვინებს ღებულობდა. პელაში თავისი სასახლე სახელოვან ბერძენ მხატვარს, ზეუქსის ჰერაკლელს მოახატვინა არქელაოსმა. მის მიწვევაზე პელაში მივიდა და სიცოცხლის დასასრულამდე იქვე იცხოვრა დიდმა პოეტმა და ტრაგიკოსმა ევრიპიდეს, რომელმაც მაკედონელთა ცხოვრებაზე ტრაგედიაც დაწერა — სახელად „არქელაოსი". პელაში, მეფის დიდი პატივით გარემოსილნი, ცხოვრობდნენ აგრეთვე ტრაგიკოსი აგათონი და პოეტი ქერილი სამოსელი, „პერსეიდის" ავტორი. უდიდესი ბერძენი ისტორიკოსი, პელოპონესის ომების მონაწილე და აღმწერელი, თუკიდიდე ათენელიც სტუმრობდა ერთ ხანს მაკედონიის სასახლის კარზე. სამაგიერო ქებაც დაიმსახურა მაკედონიის მეფემ ისტორიკოსისგან: არქელაოსმა ააშენა, ააგო ციხე-სიმაგრეები, გაიყვანა გზები, შექმნა მხედრობა და ქვეითი ჯარი, მან სამხედრო ხელოვნება და ჯარის მომარაგებაში მაკედონიისთვის გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე მანამდელმა რვა მეფემ ერთადო [3]. არქელაოსი პელაში, გულმხურვალედ და მდიდარი საჩუქრების აღთქმით იწვევდა სოკრატეს, მაგრამ ეს „ახირებული ბრძენი" ყოველთვის უარით პასუხობდა: მაკედონიაში რა მინდა, როცა აქ, ათენში, პურიც იაფია და წყალსაც ყველა უფასოდ სვამსო. სამაგიეროდ, სოკრატეს დიდი ჰოწაფე, პლატონი, ახლო მეგობარი იყო მაკედონიის მეფისა.

მაგრამ ბერძნული კულტურის „გავრცელება" მაკედონიაში ჯერ ისევ ზედაპირული, გარესახოვანი და ფარისეველური ხასიათისა იყო. „ბერძნობდა" მხოლოდ მეფე და მისი უახლოესი კარისკაცების წრე — ეგრეთ წოდებული „ჰეტერები" („მეგობრები", „ამხანაგები") — და საერთოდ არისტოკრატია. ხალხი ისევ ჩამორჩენილი, უვიცი და უხეში ზნითა და ჩვევებით ცხოვრობდა. მაკედონიის არისტოკრატიაც შიშობდა და იბრძოდა, ხალხში ბერძნული დემოკრატიზმი და პირადი „ელევთერიისადმი" (თავისუფლებისადმი) მისწრაფების ბერძნული სიმტკიცე არ დაბადებულიყო და ამით არისტოკრატიის წოდებრივი პრივილეგიები არ დასუსტებულიყო. თვითონ მეფე არქელაოსიც, გარეგნულად მბრწყინავი ელინურობის საბურველს შიგნით, მაინც რჩებოდა ცრუმორწმუნე, გარყვნილ და სულმოკლე ხელმწიფედ.

399 წელს არქელაოსი დაიღუპა ნადირობის დროს, ვითომ შემთხვევით, მისი უახლოესი ადამიანის, ვინმე კრატევადეს ხელით [4].

ამის შემდგომ, მთელი ორმოცი წელიწადი (399—359) მაკედონია მოიცვა მძიმე, სისხლმათხევარმა შინააშლილობამ, გაბოროტებულმა ბრძოლებმა სამეფო ტახტისათვის, შეტაკებებმა მაკედონელთა და მეზობელ ტომთა შორის, ხოცვა-ჟლეტის სერიებმა თვითონ მაკედონელ ტომებსა და მთავრობებს შორის. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქალკიდიკელი ბერძნები აწვებოდნენ ქვეყანას. დანარჩენი მხარეებიდან მაკედონიაში უკვე ღრმად შემოჭრილიყვნენ თრაკიელები, ილირიელები და პეონები. ეს იყო ათი უნიჭო მეფის ანარქიული ხანა. რომელშიც არც ერთი მათგანი თავისი ბუნებრივი სიკვდილით არ გაშორებია წუთისოფელს.

ქვეყანა დაღუპვის უფსკრულზე იყო გადამხობილი.

მაგრამ მაინც გადარჩა.

გადარჩა, ვინათგან მხსნელად მოევლინა ძლიერი პიროვნება.

ეს იყო ფილიპე II მაკედონელი.

თავი II

ფილიპე მაკედონელი

ტახტზე ასვლისას ფილიპე 23 წლის ჭაბუკი იყო. იგი იძეფებს და იცოცხლებს კიდევ 23 წელიწადი (359—336) და ამ დროის მანძილზე ჩამოყალიბდება და გამჟღავნდება ყველა მისი თანდაყოლილი და შეძენილი თვისება, ვითარცა კაცისა და ვითარცა გვირგვინოსნისა.

გარეგნულად ახოვანი და მომხიბლავი ვაჟკაცი იყო, შთამბეჭდავი რიტორი და საამურად მოსაუბრე, უმამაცესი ჯარისკაცი და დაუღალავი მოლაშქრე, სიკვდილთან შეუპოვარი მოპაექრე, თუმცა არც ისეთი მაღალნიჭიერი სარდალი, როგორადაც თვითონ მოჰქონდა თავი. თავგამოდებით ელინოფილობდა, მაგრამ ბოლომდე მაინც თავი ვერ დაეღწია „მშობლიური“ ჩამორჩენილობისათვის, მოუხეშავი, ვულგარული ქცევებისა და მანერებისთვის. იყო მოქნილი დიპლომატი, მაგრამ მასთანვე ვერაგი, ფლიდი, ცბიერი და ქვეგამხედვარი. უაღრესად ჭკვიანი ადმინისტრატორი და ანგარიშიანი მეურნე იყო, მაგრამ ზოგჯერ ფუქსავატი, განუკითხავად მხარჯველი და მფლანგველი. გასაოცარი უნარი ჰქონდა ადამიანის ღირსებათა გამოყენებისა, ერთგული სამსახურის ფასიც იცოდა, მაგრამ ნამსახურსაც ადვილად ივიწყებდა და წყალს ატანდა. მეგობრისადმი უხვი იყო და დიდსულოვანი. მაგრამ ნაღველფიცხელს უეცარი გარისხებისას შეეძლო ყოფილიყო უკიდურესად დაუნდობელი და შურისმგებელი. იყო დიდად მიზანსწრაფული, თუმცა მიზნის მისაღწევად, ეს ძველი დროის „მაკიაველისტი“, არ თაკილობდა ყოვლად უპატიოსნო და უწმინდურ საშუალებებსაც. ადამიანის სიყვარულიც მისთვის საკუთარ მიზანთა იქით არც არსებობდა. ფიცისა და აღთქმის გატეხვა არად მიაჩნდა. სიტყვის შენახვაც მანამ იცოდა, სანამ იმ სიტყვას მისთვის სარგებლის რგება შეეძლო. იყო ოსტატი მტრის წინააღმდეგ ერთნაირად ხმლისა და ოქროს ხმარებისა. მისი ნათქვამია ეს შეგონება: არ არსებობს ისეთი სიმაღლის ციხე-გალავანი, რომელზედაც ოქროთი დატვირთული ვირი ვერ გადააბიჯებსო. საომარი ყიჟინაც უყვარდა და

სანადიმო სუფრის ხმაურიც, თავაწყვეტილი ტრფიალება ღვინისა და ქალისა. უძილარს, ნამთვრალევსა და ნამრუშალს შეეძლო უმძიმესი სალაშქრო გზების გადალახვა და ბრძოლაში ჩართვა...

ასეთი იყო ფილიპე II მაკედონელი — პირველი დიდი ხელმწიფე ევროპის ტახტზე [1].

გამეფებიდან ორი წლის შემდეგ 25 წლის ფილიპემ ცოლად შეირთო ბერძენი ქალი — ოლიმპიადა — ეპირის მეფის, ნეოპტოლემაიოსის ასული, ქალი მეტად ლამაზი და ამპარტავანი, ფილიპეზე არანაკლებ გულფიცხელი და დაუთმინარი, თრაკიელ ქალთა ღმეული, დიონისური ორგიების მონაწილე და ვნებიანი მოტრფიალე, ჯადოს მდევარი და მისგანვე გაჩხიბულ გველთა მესაიდუმლე...

ფილიპე დიდად იყო დავალებული საბერძნეთისგან. ყმაწვილკაცობისას იგი ხშირად იყო საბერძნეთში — ზოგჯერ მძევლად წაყვანილი, ზოგჯერაც მაკედონიის ტახტის მაძიებელთაგან შევიწროებული და დევნილი. იქ, ელადაში, მისი მასწავლებლები და მეგობრები იყვნენ დიდი თებელი სარდლები და პოლიტიკოსები — პელოპიდა და ეპამინონდა. იგი ბეჯითი დაკვირვებითა და გატაცებით სწავლობდა ყველაფერს — ელინური კულტურის მონაპოვრებს, გამორჩევით „ყოველ ბერძენთა“ (ათენელთა, სპარტელთა, თებელთა) საომარ ხელოვნებას, რათა შემდგომში ყოველივე სრულქმნილად მოეხმარა დაღუპვის გზაზე დამდგარი თავისი ქვეყნის გადასარჩენად და ასამაღლებლად.

მაშ, მეფობას იწყებს ფილიპე მაკედონელი, რომლის საძეფო განისაზღვრება რაღაც 30 ათასი კვადრატული კილომეტრით და მასზე დასახლებული 450 ათასი მცხოვრებით.

საისტორიო ბედისწერამ დედამიწის ამ უმცირეს ნაფლეთს უნდა დააკისროს ფლაგმანობა მსოფლიო ცივილიზაციისა მთელი საუკუნის წლის მანძილზე.

ფილიპემ გამეფებისთანავე აღკვეთა ანარქია სახელმწიფოში. განკერძოების გზაზე შემდგარი ტომთა ბელადები დათრგუნა და დაიმორჩილა. „დიდი დამპყრობელის“ თიკუნისათვის მეოცხებე მეფე გაცხოველებით შეუდგა ქვეყნის სამხედრო რეორგანიზაციას. ბრძოლისუნარიან მოსახლეობას წვრთნიდა, ახალგაზრდა არისტოკრატებს სამხედრო განათლებას აძლევდა და ჯარის მეთაურებად აამზადებდა. ფილიპემ შესანიშნავად გამოიყენა ბერძენთა მდიდარი გამოცდილება.

განსაკუთრებით თებელი სარდლის, ეპამინონდას სამხედრო ხელოვნება, და მათზე დაყრდნობით, შექმნა ჯარის ახალი წყობა და სახეობა — „ფალანგა“ [2]. ეს იყო მუდმივი („რეგულარული“) ქვეითი ჯარი, საგანგებოდ გაწვრთნილი და გაწაფული ჯარისკაცებით. „ფალახგიტები“ აღჭურვილი იყვნენ დიდი ფარებით, ორლესული მახვილებით და გრძელი სარისებით (შუბებით). ფალანგა სიღრმით შედგებოდა არანაკლები 16 რიგისა. ხუთმეტრიანი სარისები უკანა მეომრებს წინა მეომრების მხრებზე ჰქონდათ გადაწყობილი. წინა მწკრივის სარისების სიგრძეზე გამოდიოდნენ და თავს იყრიდნენ კიდევ ძომდევნო ოთხი მწკრივის სარისები, — თანმიყოლებით, ყოველი მწკრივის შესაბამისად „დაგრძელებულნი“. და ასე, მთელი განლაგების წინ იქმნებოდა ერთიანი, ჯაგარივით ხშირი ტყე სარისებისა. ასე შერკინულ-შეჯაგრული, ერთ განურღვეველ ხხეულად ქცეული მეომრული მასა ზვავის წამლეკავი ძალით მოქმედებდა მოპირდაპირის საჯარისო განლაგებაზე. ფალანგას შეეძლო განსაკუთრებული გამანადგურებელი ძალმოსილებით ემოქმედა გაშლილ ველზე. ეს იყო, რომ ფალანგა სწრაფი, მოქნილი მანევრირების უნარს მოკლებული იყო, საფლანგო შეტევებისა და კონტრშეტევების განვითარებაც ნაკლებ ძალედვა. ხუსტი იყო ფალანგის ზურგიც. ამიტომ ფილიპემ ფალახგის ფლანგებზე და ზურგში ძლიერი, საგანგებოდ გაწვრთნილი ცხენოსნობა ჩააყენა. ეს იყო გამორჩეული, გაბედული და მძლავრსხეულოვანი მაკედონური ტომებისაგან შეყრილი მსუბუქი კავალერია. ამას გარდა, მეფემ მაკედონიის არისტოკრატიისაგან შექმნა მძლავრი, მძიმედ შეჭურვილი მხედრობა. ფალანგისა და მხედრობის გარდა, ფილიპე მაკედონელის საომარ ძალებში შედიოდნენ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები, მოისარნი და მეშურდულენი, უმეტესწილად მთიელ ტომთაგან — მწყემსნი, მეჯოგენი და მონადირენი.

ფილიპემ ყველაზე ერთგული, მამაცი და ნიჭიერი ძეომრებისაგან შექმნა ცალკე ჯარი, „სამეფო აგემა“, რომელიც მას მუდამ თან ახლდა, ვითარცა „დაცვა“, „გვარდია“, თუ „ამალა“.

საერთო ანგარიშით, ფილიპე მაკედონელის საომარი ძალები მოითვლიდა 40 000 კაცს [3].

მაკედონიის მეფემ თავის ქვეშევრდომებში სამხედრო სამსახური უმაღლესი ზნეობის, ვაჟკაცობისა და კაცური ღირსების საქმედ აქცია. ახალგაზრდა მაკედონელები თავგამოდებით მიილტვოდნენ მეფის სამსახურში, ყველაზე რჩეულნი და „ბედნიერნი“ სასახლის კარზე მეფის

პირად „პაჟებში“ ირიცხებოდნენ. „პაჟთა კორპუსიდან“ დაწინაურებულნი ქმნიდნენ მეფის მთავარ სახელმწიფოებრივ საყრდენს — სამხედრო მეთაურებს, კარისკაცებს, დიპლომატებსა და ემისრებს. ეს უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი წარმოადგენდნენ მეფის „ჰეტერთა საბჭოს“.

მეფეს უმკაცრესი წვრთნისა და დისციპლინის ქვეშ ჰყავდა ჯარები, უმძიმეს სასწავლო ლაშქრობებს აწყობდა, მისი ბრძანებით, ჯარს უნდა ევლო სასტიკ ყინვაში ან პაპანაქება სიცხეში, სრული საბრძოლო ამუნიციით, დღეღამსწორებით, შეუსვენებლივ, უძილარსა და მშიერ-მწყურვალს. ბრძანებიდან მცირე გადახვევასაც არ აპატიებდა სამხედრო მსახურს. ქერონეის დიდი ბრძოლის წინ მეფემ ორი უმაღლესი სამხედრო პირი გადააყენა იმის გულისთვის, რომ ამათ თვითნებურად არფის დამკვრელი ქალი მოუყვანიათ საომარ ბანაკში [4].

სამხედრო რეფორმის გასწვრივ, ფილიპე გაცხოველებით იღვწოდა ქვეყნის ეკონომიური განმტკიცებისათვის, ფულადი მეურნეობისა და ვაჭრობის გაფართოებისათვის. მან განავითარა წიაღისეულ სიმდიდრეთა მოპოვება და გამოყენება. განსაკუთრებული დატვირთვით აამუშავა პანგეის მთების ოქროს მაღაროები, რომლებიც წელიწადში 1000 ოქროს ტალანტს * აძლევდა მეფის ხაზინას. ფილიპემ გაატარა ფინანსური რეფორმა: შემოიღო ბიმეტალიზმი — ორი მონეტა ძირითად ფულად ერთეულებად, ვერცხლისა და ოქროსი („ფილიპიკები“)**, რომლებიც მან დაუპირისპირა ბალკანეთზე შემოჭრილ სპარსულ „დარიკს“ (დარიოს I-ის ოქროს მონეტა. იწონიდა 8,5 გრამს).

მაკედონიის ეკონომიკის ძირითადი საძირკველი მაინც მიწათმეურნეობა იყო. მიწის ნაკვეთები მაკედონელებს უფრო ფართო და ნაყოფიერიც ჰქონდათ, ვიდრე ბერძნებს. მარტო 800 მაკედონელ მიწათმფლობელს 10 000 ბერძენზე გაცილებით მეტი მიწის ფართობი ეჭირა.

ფილიპემ მაკედონია პირველხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია ბალკანეთზე. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ამ პატივმოყვარე, ენერგიული კაცისთვის, ანუ „პირველი დიდი ევროპელი გვირგვინოსნისთვის“. იგი ფრიად შორს უმიზნებდა: მაკედონია მხოლოდ საყრდენი უნდა ყოფილიყო მომავალი დიდი „მაკედონური სახელმწიფოსი“. აქ, როგორც

* ერთი ტალანტი იწონიდა 26,2 კილოგრამს.

** ერთი ოქროს „ფილიპიკა“ არქეოლოგებმა იპოვეს ვანში.

ეტყობა, ფილიპე ვარაუდობდა ჯერ თრაკიისა, ილირიისა და საერთოდ ჩრდილოეთ ბალკანეთის დამორჩილებას, შემდეგ საბერძნეთის „შემოერთებას“ და ბოლოს სპარსეთის დაპყრობას, — ყოველ შემთხვევაში, სპარსეთისაგან მცირე აზიის წართმევას მაინც.

პირველი განაზრახი გამეფებისთანავე განახორციელა ახალგაზრდა მეფემ, — რამდენიმე „ელვისებური“ შეტევით დაიპყრო თრაკიაც და ილირიაც.

და მაშინვე საბერძნეთისკენ შემობრუნდა ფილიპე მაკედონელი.

ქალკიდიკისა და თრაკიის ზღვის სანაპირო ბერძნული ქალაქები — ამფიპოლისი, პოტიდეა და პიდნა — ფილიპემ ერთმანეთის მიყოლებით ჩაიგდო ხელში, ათენელები, — რომლებიც თავიდანვე პატრონობდნენ ეგეოსის ჩრდილო აუზის ბერძნულ სამყაროს — ვერაფერს გახდნენ მაკედონელი მეფის ხმლისა და ოქროს წინააღმდეგ. განსაკუთრებით ამფიპოლისისა და ოლინთოსის დაკარგვას ვერ ურიგდებოდნენ ათენელები.

357—355 წლებში ათენს ომი ჰქონდა თავის „მოკავშირეებთან“ — ქიოსთან, კოსთან, როდოსთან და ბიზანტიონთან. ამ ომმა ამოსწურა ათენის უკანასკნელი ძალები. იგი იძულებული გახდა ეცნო „მოკავშირეთა“ დამოუკიდებლობა და საბოლოოდ აღარ ხელი საბერძნეთში „ჰეგემონობის“ ოცნებაზე. ათენის ძალისა და ავტორიტეტის დაცემა კი უფრო და უფრო ამძლავრებდა და ათამამებდა მაკედონიის გვირგვინოსანს.

იმავე ჟამს ატყდა ომი შუა საბერძნეთში თებესა და ფოკიდას შორის. ფოკიდელებმა დაიკავეს და გაძარცვეს დელფოს აპოლონის სახელოვანი ტაძარი და იქ დაგროვილი საგანძურებით შექმნეს ძლიერი, ბრწყინვალედ აღჭურვილი ჯარები. საბერძნეთი ორად გაიყო. ათენელები და სპარტელები მიემხრნენ ფოკიდას, და ერთად დაუპირისპირდნენ თებელთა, ლოკრიდელთა და თესალიელთა ბანაკს. ეს ახალი, ეგრეთ წოდებული „საღვთო ომი“ გაგრძელდა ათი წელიწადი (356—346). საბერძნეთი ერთხელ კიდევ ითხევდა დაქანცულ სისხლს. მაკედონიის მეფე წკიპზე იყო შემდგარი. დიდი ცდაც აღარ დასჭირვებია. ფოკიდელები შეიჭრნენ თესალიაში. თესალიელებმა დასახმარებლად მოუხმეს ფილიპე მაკედონელს.

ფილიპეს ახალი დაპყრობილი ჰქონდა ქალაქი მეთონა, ათენელთა უკანასკნელი საყრდენი თერმეის ყურეში. იქვე, მეთონისათვის ბრძოლაში, მტრისგან ნასროლ ისარს მარცხენა თვალი გამოეთხარა მეფის-

თვის. გაცოფებულმა ფილიპემ მეთონის მოსახლეობა ერთიანად მონებად გაჰყიდა, ხოლო ქალაქი ძირიანად მოთხარა. ამასობაში თესალიელთა მოწვევაც მიიღო და სასწრაფოდ სამხრეთისაკენ წარემართა.

პირველი ორი ბრძოლა ფოკიდელებმა მოიგეს და ფილიპე იძულებული გახდა უკუქცეულიყო თესალიიდან. მაგრამ ისევ მოიწვიეს თესალიელებმა მაკედონიის ხელმწიფე, ისევ წარემართა ფილიპე ახალი საომარი ძალებით, თესალიელებიც შეუერთდნენ და გადაძწყვეტ ბრძოლაში გაიმარჯვეს კიდეც. 6000 ფოკიდელი გაწყდა, 3000 ტყვედ წაიყვანეს მაკედონელებმა. ბრძოლაში დაიღუპა ფოკიდელთა ბაძაცი სარდალი, ონომარქოსი. ფილიპემ მისი გვამი მოანახვიხა და ჯვარზე გააკვრევინა.

მაკედონელები მტკიცედ ჩადგნენ თესალიაში, მთელს ჩრდილოეთ საბერძნეთში. ფილიპემ ეს არ იკმარა და შუა საბერძნეთისკენ დაიძრა. იგი მიადგა თერმოპილეს ხეობას, მაგრამ თერმოპილე უკვე ჩაეკეტათ ათენელებს, სპარტელებსა და აქეელებს.

ფილიპემ ჯერჯერობით ხელი აიღო შუა საბერძნეთის დაპყრობაზე, თერმოპილედან დაიხია, თესალიის ქალაქებში მაკედონური ციხიონები შეაყენა და თვითონ მაკედონიაში დაბრუნდა. ამის შემდეგ, სანამ ბერძნები ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას თავდავიწყებით გახაგრძობდნენ, ფილიპე ფლოტით დათარეშობდა ჩრდილოეთ და შუა ეგეოსზე, ბარცვავდა და აოხრებდა აქაურ კუნძულებს (განსაკუთრებით, ლემნოსა. იმბროსს და ევბეას), იპყრობდა ათენელთა სავაჭრო გემებს, კეტავდა სამიმოსვლო გზებს.

ათენში კი ამ დროს ერთიმეორეს გამძაფრებით ებრძოდა ორი პარტია — „მაკედონური“ და „ანტიმაკედონური“. პირველხი მაკედონიასთან შერიგებასა და შეერთებას მოითხოვდნენ, მეორენი — მასთან შეურიგებლობასა და დაუნდობელ ბრძოლას.

მაკედონური პარტიის მეთაურები იყვნენ გამოჩენილი ორატორები — ესქინე, დემადე და ისოკრატე, რომელთაც ფილიპესთან „დამეგობრებაში“ თავგამოდებით უჭერდა მხარს ატიკის მსხვილი მონათმფლობელური არისტოკრატია. ესქინე და დემადე მოსყიდული ჰყავდა ფილიპეს და ბერძენი ორატორები გაცხოველებით მოუწოდებდნენ თანამემამულეებს, ეცნოთ საბერძნეთის „ერთადერთი მხსნელისა“ და „მეგობრის“, მაკედონიის მეფის უმაღლესი ხელისუფლება.

კიდევ უფრო „მაკედონელობდა“ ისოკრატე, რომელმაც საგანგებო „პანეგირიკი“ დაწერა ფილიპეს სახოტბოდ და სადიდებლად. ეს იმა-

ვე დროს იყო თავისებური „თეორიული პროგრამა“, რაც ფილიპე მაკედონელს პრაქტიკულად უნდა შეესრულებინა მაკედონიისა და საბერძნეთის გაერთიანებისთანავე — მას უნდა დაეწყო „საღვთო ომი“ სპარსეთის წინააღმდეგ და შური ეძია სპარსთაგან ელინთა „წმიდა სალოცავთა შეგინებისთვის“. მაგრამ ეს მაინც იდეოლოგიური მხარე იყო საკითხისა, მთავარი კი ეკონომიკური მიზანდასახულობა ჰქონია ნაგულისხმევი ისოკრატეს: აზიაში ჩვენ დიდი სიმდიდრეები გველოდებაო, გადავიტანოთ ომი სპარსეთში და სამაგიეროდ იქიდან გამდიდრებული დავბრუნდეთო. — სწერდა ისოკრატე ფილიპეს.

ერთი წერილით ისოკრატე პირდაპირ მოუწოდებდა მაკედონიის მეფეს, — შუა საბერძნეთში შემოდიო, ათენს დაეუფლე და მთელს საბერძნეთზე შენი „ჰეგემონობა“ დაადგინეო. „თუ შენ მართლა ჰერაკლეს ღირსეული შთამომავალი ხარ, — განაგრძობდა ისოკრატე წერილს ფილიპესადმი: — ყველაფერი ისე მოიმოქმედე, როგორც გწერ და მაშინ ყველა აღიარებს შენდამი უდიდესი მადლიერებით: ბერძნები — მათდამი შენგან გაწეული ქველმოქმედებით, მაკედონელები — იმისთვის, რომ შენ მათთვის იქნები კანონიერი ხელმწიფე და არა თვითმპყრობელი, ხოლო დანარჩენი კაცობრიული მოდგმა — იმისთვის, რომ შენ იხსნი ბერძნებს სპარსული დესპოტიზმისაგან და ყველა ხალხს გააბედნიერებ ელინური კულტურით“.

ისტორიის ბედის ჩარხი მაკედონური პარტიის საწაღმართოდ ბრუნავდა, ვინათგან საკუთარი ხელით ყელგამოღადრულ საბერძნეთს მართლაც მხოლოდ მაკედონიასთან შეერთება თუ გადაარჩენდა გარდუვალად მოსალოდნელი სპარსული უღლისაგან.

მაგრამ ანტიმაკედონური პარტიაც ძლიერი იყო ათენში და ეს სიძლიერე უწინარესად ვლინდებოდა მის ლიდერში, უაღრესად ძლიერ პიროვნებაში. ეს გახლდათ დემოსთენე, უბრწყინვალესი ორატორი და გულმხურვალე ძაბულიძვილი. გამახადგურებელი პოლემისტური სიმძაფრით გაისმოდა მისი სიტყვები მაკედონელთა წინააღმდეგ. განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა დემოსთენეს „ფილიპიკები“ — სიტყვები ფილიპეს წინააღმდეგ. ეს სახელი — „ფილიპიკები“ — შემდგომში ფიგურალურ გამოთქმად და მწვავე ხასიათის სიტყვის სინონიმად გავრცელდა ზოგად სიტყვიერებაში.

ფილიპე მაკედონელი კი უკვე ბატონობდა საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალზე თერმოპილედან პროპონტიდამდე (ძარმარილოს ზღვამდე). ჯერჯერობით მხოლოდ ქალკიდიკის კიდევ ერთი დიდი ქა-

ლაქი, ოლინთოსი და თრაკიის ხერსონესი ინარჩუნებდნენ მაკედონელთაგან დამოუკიდებლობასა და ათენის „მფარველობას“. ფილიპე გამალებით ემზადებოდა ორივეს დასაუფლებლად, მაგრამ მოულოდნელმა ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. ათენში ფილიპეს სიკვდილის ამბავსაც კი ავრცელებდნენ ვიღაცეები. დემოსთენე კი აფრთხილებდა და მოუწოდებდა ათენელებს, არ შისცემოდნენ უდარდელობასა და უმოქმედობას და გამუდმებული სიფხიზლით ეომათ „იმ კაცის“ წინააღმდეგ. სწორედ მაშინ წარმოთქვა დემოსთენემ თავისი პირველი „ფილიპიკა“.

349 წელს ფილიპემ ისევ შეიყვანა ჯარები ქალკიდიკაზე, იერიშით აიღო სტაგირა (არისტოტელეს სამშობლო)[5] და ალყით გარს შემოეწყო აქაურთა ჰეგემონ-ქალაქს — ოლინთოსს. ოლინთელებმა ათენელებს უხმეს საშველად. დემოსთენემ სახალხო კრებაზე სამჯერ წარმოთქვა სიტყვა („ოლინთური სიტყვები“) და მოუწოდა ათენს გაეგზავნა დამხმარე ძალები ოლინთოსათვის.

თითქოს გამოიღვიძა ათენმა ლეთარგიისგან და გაგზავნა საომარი ძალები ქალკიდიკისაკენ, ჯერ — 30 ხომალდი და 2000 დაქირავებული მეომარი, ქარესის სარდლობით, მეორედ — 18 ხომალდი და 4000 მოქირავნე, ქარიდემოსის სტრატეგოსობით.

ათენელებმა შეძლეს პირველ წელს უკუექციათ ფილიპე, მაგრამ წარმატება ბოლომდე ვერ გამოიყენეს და „მაკედონური პარტიის“ მეთაურთა მოწოდების წყალობით, ისევ შეასუსტეს ყურადღება ჩრდილოელი „მოკავშირეების“ გადასარჩენად ამასობაში მაკედონელთა მეფემ ხმალთან ერთად ისევ აამუშავა ოქრო და ვერცხლი (თითქოს პითია დელფოელსაც უმკითხავია მისთვის: იბრძოლე ვერცხლის შუბებით და ყველას დაამარცხებო) და ოლინთოსის გალავახზეც „გადაბიჯა ოქროთი დატვირთულმა ვირმა“. ოლინთოსის ცხენოსანთა ჯარის უფროსებმა, ლესთენოსმა და ევთიკრატოსმა, ბდიდარი ქრთამი აიღეს და მაკედონელებს ქალაქის კარი გაუღეს. ფილიპემ საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა გააჩაღა საკუთარ შვილთაგან გაცემულ და დაცემულ ქალაქში. მეფემ ოლინთელთა უმრავლესობა ამოწყვიტა, დანარჩენები მონებად გაპყიდა, ქონება დაიტაცა და გატიტვლებული ქალაქი საძირკვლამდე დაანგრია.

/32 ბრწყინვალე ბერძნული ქალაქი დაიქცა და დაიშრიტა ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე მაკედონელი მეფის მძვინვარე ხელით./

ათენს ისღა დარჩენოდა, ზავი ეთხოვა გამარჯვებული მაკედონე-

ლისთვის. ელჩობას მეთურობდა ფილოკრატესი. ელჩთა შორის იყვნენ „მაკედონელი“ ესქინეც და „ანტიმაკედონელი“ დემოსთენეც.

ფილიპე სიამოვნებით შეხვდა ათენელთა „სამშვიდობო წამოწყებას“ და 346 წელს დაიდო კიდეც ზავი („ფილოკრატესის ზავი“), რომელიც ცნობდა და აღიარებდა მაკედონელი მეფის ყოველ დაპყრობას, სამაგიეროდ კი აცხადებდა მაკედონელთა და ათენელთა „კავშირს“, „მეგობრობას“ და საჭიროების შემთხვევაში, საომარ თანადგომას.

იმავე წელს დამთავრდა „საღვთო ომი“ საბერძნეთში. ფილიპე მაკედონელმა თერმოპილეს ხეობა განიერი ნაბიჯით გაიარა, შუა საბერძნეთში შევიდა და მტკიცედ დამკვიდრდა. მან მკაცრად დასაჯა ფოკიდელები — როგორც დამნაშავენი და ომის წამომწყებნი. 22 ქალაქი დაანგრია ფოკიდაში. აღგვილ ქალაქთა მცხოვრებნი 50—50 ოჯახად დაყოფილ სოფლებად მიმოფანტა შუა და ჩრდილოეთ საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში.

ათენს კრინტიც არ დაუძრავს თავისი მოკავშირის გადასარჩენად, მაგრამ როცა მაკედონელთა ჯარი ატიკის საზღვრებთანაც ჩამოდგა, მიუხედავად ფილიპეს „დამამშვიდებელი აღთქმისა“, ათენში მაინც. შფოთაღძრული ხმაური ატყდა. ამაზედ, ესქინემ ასე დაამშვიდა ფილიპეს ელჩები: ნუ გეფიქრებათ, ათენში ყვირილის მსურველები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ომის მსურველებიო.

არც დემოსთენე აღმოჩნდა იმჟამად მაკედონიასთან ომის მომხრე. უმოკავშირეოდ, მარტოდმარტო, მრავალრიცხოვან მტერთან შებმა სიგიჟეაო, არ ღირს „დელფოს აჩრდილისთვის“ თავის დაღუპვაო და ახლა გვიჯობს ისევ მშვიდობიანობა დავინარჩუნოთო, — ამბობდა იგი.

ფილიპე დათანხმდა, ათენის მფლობელობაში დარჩენილიყვნენ კუნძულები — დელოსი, სამოსი, ლემნოსი, იმბროსი და სალამინი, მაგრამ სამაგიეროდ მაკედონიის მეფემ ათენს ხელი აიღებინა სტრატეგიულად და ეკონომიურად უაღრესად მნიშვნელოვან თრაკიის ხერსონესზე.

შებრუნდა ფილიპე მაკედონელი დამორჩილებული და დავრდომილი საბერძნეთიდან და ისევ შეუტია ჩრდილოელ მტრებს — ილირიელებს, აგრიანებს, ტრიბალებს, მოლოსებს, თრაკიელებს; შეუტია და ზედიზედ აიღო გამარჯვებანი, კვლავ გააფართოვა და გახავრცო თავისი სამფლობელონი ჩრდილოეთ ბალკანეთზე.

მაგრამ ჩრდილოეთში წარმოებული ომების გასწვრივ, ფილიპე ერთის წუთითაც არ ივიწყებდა, რომ მისი სამომავლო ამაღლება-გამ-

ძლავრებისათვის უმთავრესი მაინც საბერძნეთის სრული შემოერთება იყო. მაკედონელი აეშაგები დაუცხრომლად მოქმედებდნენ ელადის ყოველ კუნჭულში.

სრულიად ელადაც ისევ „მაკედონურ“ და „ანტიმაკედონურ“ მოძრაობათა ორომტრიალში იყო ჩათრეული. ყოველი ბერძენი ისევ ან „მაკედონელობდა“, ან „ანტიმაკედონელობდა“.

ფილიპეს აგენტები გამორჩეული აქტიურობით ცდილობდნენ სპარტის „ანტიმაკედონურობის“ დანგრევას. ისინი სპარტის წინააღმდეგ აჰხედრებდნენ პელოპონესის სხვა ტომებს — არკადიელებს, მესენიელებს, არგოსელებს.

მაგრამ ბოლოს მაინც ათენი აღმოჩნდა „ანტიმაკედონიზმის“ ყველაზე საშიშ კერად საბერძნეთში. დემოსთენეს „მეორე ფილიპიკამ“ ფეხზე დააყენა ათენის პატრიოტული ძალები.

343 წელს, ფილიპეს ბრძანებით, მისმა უერთგულესმა და უახლოესმა სარდალმა, პარმენიონმა დაიპყრო ევბეა — ეგეოსის კუნძულთაგან ყველაზე ახლო მოსაზღვრე ატიკისა. ამან კიდევ მეტად გაამწვავა დამოკიდებულებანი ათენსა და მაკედონიას შორის.

341 წელს „მესამე ფილიპიკა“ წარმოთქვა დემოსთენემ. იგი ათენელებს მოუწოდებდა, დანარჩენ ბერძნებთან შეერთებული ძალებით გაემართათ ბრძოლა „საძულველი ბარბაროსი-მაკედონელის“ დასამხობად და გასანადგურებლად. დემოსთენეს ახალმა სიტყვამ ფეხზე დააყენა ათენი. მაშინვე მოკავშირეების ძებნას შეუდგნენ და მოიმხრეს კიდეც — ქიოსი, როდოსი, აბიდოსი და ბიზანტიონი. ათენელებს დახმარება აღუთქვეს სპარსეთის მცირეაზიელმა სატრაპებმაც, რომლებიც შეშფოთებით უცქერდნენ მაკედონიის ეგზომ უეცარ აღზევებას. ევბეველებმაც გამოიღეს ხელი, მაკედონელთა ციხიონის უფროსი მოკლეს და ისევ ათენის მოკავშირედ გამოაცხადეს თავი.

დემოსთენე სახალხო გმირი გახდა. სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, დიონისობის დღესასწაულზე, ათენელებმა მას ოქროს გვირგვინით შეუმკეს თავი, სახალხო კრებამ დაადგინა, საომარ საჰზადისს მოხმარებოდა ყველაფერი, რაიც მანამდე დღესასწაულებსა და სანახაობებს ხმარდებოდა, ან რიგით მოქალაქეებზე რიგდებოდა საჩუქრად და ჯილდოებად. ხალხი საზრდოდ მხოლოდ ზეთისხილს, მწვანილს, პურსა და ხმელ თევზს კმარისობდა, ოღონდ კი საომარ სიძლიერეს არარა მოჰკლებოდა.

ფილიპემ დროზე შეიტყო ბერძენთა საომარი სამზადისი და, —

ისე რომ, თრაკიულ ტომებთან ომი არ შეუწყვეტია — საყვედურებითა და ბრალდებით აღსავსე წერილი გაგზავნა ათენში. თან, წერილის პასუხისთვისაც არ დაუცდია, ისე გააჩაღა თავდასხმები ათენელთა სავაჭრო გემებზე ჰელესპონტ-ხერსონესის მიდამოებში. ეს კი ზავის დარღვევასა და ომის განახლებას ნიშნავდა. ათენელებმაც შექმნილი მდგომარეობა ასევე შეაფასეს, მაკედონიასთან შვიდი წლის წინათ დადებული ზავის სახსოვრად საზეიმოდ აღმართული სვეტი საზეიმოდვე ძირს დაანარცხეს და საომარ ძალთა შეყრას შეუდგნენ გამალებულნი.

ფილიპემ კვლავ წარმატებით დაამარცხა თრაკიელები და მაშინვე ათენელთა მოკავშირეებს შემოუტია. იგი ჯერ პერინთოს დაესხა, პროპონტიდის სანაპიროზე, მერე ბიზანტიონსაც შეუტია. მაგრამ ორივე იერიში უნაყოფოდ გაუცუდდა მეფეს. ათენელებმაც ზედიზედ მოუსწრეს საზღვაო ძალებით, ჯერ — ქარესის, შემდეგ — ფოკიონის სარდლობით. ფილიპე უკუიქცა დამარცხებული.

პერინთოელებმა, ბიზანტიონელებმა და ხერსონელებმა, მადლობის ნიშნად, ათენს ოქროს გვირგვინები გაუგზავნეს.

მარცხმა ძალზე დასცა ფილიპეს ავტორიტეტი. ბერძნულ პოლისებს მხნეობა დაუბრუნდათ და მაკედონელთა წინაშე შიში დაუცხრათ.

ფილიპე კი ცდილობდა მარცხი მარცხად არ ჩაეთვალა და ისევ მდინარე ისტროსის (დუნაი) მიმართულებით წარემართა ახალ ძლევამოსილებათა გვირგვინების მოსაპოვებლად და წინარე მარცხთა გასაქარწყლებლად. კიდევაც ბევრჯერ გაიმარჯვა, კიდევაც უამრავი ნაძარცვ-ნატყვევნავი იშოვა, თვითონაც დაიჭრა, საკუთარიც და მტრის სისხლიც უხვად აქცია, მაგრამ ბერძენთაგან განცდილი მარცხისათვის მას დიდი რევანშის აღება მაინც სჭირდებოდა, უკიდურესი საჭიროებით.

ისევ ამოქმედდნენ ფილიპეს აეშაგები საბერძნეთის ყოველ კუთხეში. მეფე საბაბს ეძებდა საბერძნეთში კვლავ შესაჭრელად. საბაბი ყოველთვის იოლად იძებნება და მით უფრო ცბიერ ფილიპეს არ გაუჭირდებოდა.

339 წელს შუა საბერძნეთში ატყდა ახალი „საღვთო ომი“ — იმ „საღვთო მიწისათვის“ რომელიც ლოკრიდის ქალაქმა, ამფისამ დაიჭირა და სახნავ-სათესად გამოიყენა. ასეთი „მკრეხელობისათვის“ ომის წამომწყები გახდა ესქინე, მაკედონური პარტიის ლიდერი და ფი-

ლიპესგან მოსყიდული პოლიტიკოსი: ესქინეს წაქეზებით მოწვეულ იქნა დელფოს ამფიკტიონთა (რელიგიურ მოკავშირეთა) სხდომა, რომელმაც ამფისას ომი გამოუცხადა და თავის სარდლად მაკედონიის მეფე მოიწვია.

ფილიპე მაკედონელი ძველ სამყაროში პირველი იყო, რომელიც ომს ზამთრის პირობებშიც აწარმოებდა და სწორედ ზამთრის დამდეგს (339—338) თავისი ჯარებით გაიარა თესალია, თერმოპილეს ხეობა და შეიჭრა შუა საბერძნეთში. შეიჭრა, აიღო და დაანგრია „მკრეხელი ქალაქი" ამფისა და „საღვთო მიწა" ისევ დელფოს დაუბრუნა. მასუკან ფილიპემ აიღო ფოკიდის მეორე დიდი ციხე-ქალაქი, ელატეა — „კლიტე შუა საბერძნეთისა" — და იქვე დაიბანაკა, ახალი „ბერძნული წიაღსვლებისათვის".

წინა დღით ერთმანეთზე გადამტერებული თებე და ათენი ისევ ერთ ტაფაზე აღმოჩნდნენ. ელატეაში ჩამოწოლილი მაკედონური ზვავი ორივეს წალეკვით ემუქრებოდა, ჯერ — თებეს, მასუკან — ათენს.

ისევ ამოქმედდნენ, — ძაღლებისა და მგლის არაკისამებრ — შუა საბერძნეთის მთავარი პოლისები. დაივიწყეს გუშინდელი წყენა და ღრენა და ისევ გაერთიანდნენ „მაკედონელი მგლის" წინააღმდეგ საომრად.

338 წლის ადრე გაზაფხულზე შეიყარნენ ათენელები და თებელები. მალე მათ შეუერთდნენ ევბეელები, მეგარელები, კორინთელები, აქეელები და კორკირელები.

ამრიგად, ერთხელ კიდევ, ნაწილობრივ მაინც, დაძლეულ იქნა პარტიკულარიზმი — თანდაყოლილი ცოდვა ბერძენი ხალხისა[6].

პირველი შეტაკებანი ფოკიდაში მოხდა და ბერძენთა მცირე უპირატესობით წარიმართა. მაგრამ ფილიპემ, ხერხიანი მანევრით, ფოკიდის ვიწრობებს თავი დააღწია, არმია ბეოტიაში გაიყვანა და ქალაქ ქერონეიის ახლოს, მდინარე კეფისის ხეობაში, ფართო ველზე დაიბანაკა.

მაშ, 338 წლის მეტაგიტნიონი (აგვისტო), ქერონეიის ველი, საგანშანსვეტო და საბედისწერო ბრძოლა ანტიკური სამყაროისა.

მოწინააღმდეგენი რიცხვით თითქმის თანაბარი ძალისანი იყვნენ, — დაახლოებით, თითოეულ მხარეს — 30 000 მეომარი.

ხოლო, ბრძოლისუნარიანობით:

ბერძნები — „პარტიკულარული ცოდვიანი ბუნებით" — ჭრელნი-

სახელდახელოდ შეყრილნი და ერთიან საომარ გამოცდილებასა და მთლიანობას მოკლებულნი:

მაკედონელნი — ჩრდილოეთ ბალკანეთის მამაც ტომებთან ბრძოლებში ნაწრთობნი, ბერძენთა საომარი გამოცდილების მცოდნენი და ახალი („ფალანგიტური") წყობის მფლობელნი, ერთიანი საომარი დისციპლინით შეკრულნი და შემტკიცებულნი.

საბედისწერო პერსპექტივას ქმნიდა ისიც, რომ ბერძენ მოკავშირეთა ლაშქარს არც ერთიანი მტკიცე სარდლობა გააჩნდა, არც ცოტად თუ ბევრად გამორჩეული „ვინმე" სარდალი ჰყავდა. ბრძოლაში არ მონაწილეობდა ფოკიონი, ყველაზე დიდი სარდალი, სარდლობით ღარიბ მაშინდელ საბერძნეთში.

ხოლო მაკედონელთა არმიას სათავეში ედგა მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი სარდალი („მაინც ყველაზე დიდი") — მეფე ფილიპე II.

და აქვე, ფილიპეს გვერდით ედგა ძე და მემკვიდრე მისი, 18 წლის ალექსანდრე ბატონიშვილი, „ამომავალი ვარსკვლავი მსოფლიო საომარი ხელოვნებისა."

მოწინააღმდეგენი საომრად დალაგდნენ.

ბერძენთა მარჯვენა ფლანგი თებელებმა დაიჭირეს, თეაგენეს სარდლობით. ეს იყო სახელოვანი „საღვთო რაზმი", რომელსაც ჯერ კიდევ ამშვენებდა ეპამინონდას დროინდელი გმირობანი უმამაცეს სპარტელთა ძლევისა, ლევკტრასთან და მანტინეასთან. მარცხენა ფლანგზე ათენელები დადგნენ, ქარეს, სტრატოკლესა და ლისიკლეს სარდლობით. ათენელთა წინა რიგებში რიგით მეომრებად იდგნენ „ანტიმაკედონელი" დემოსთენეც და „მაკედონელი" დემადეც. თებელთა და ათენელთა შუაში მათი მოკავშირეები ჩადგნენ.

ფილიპემ ეპამინონდას „ირიბი წყობით" გადაწყვიტა ბრძოლის წარმართვა — მთავარი, სრულძალოვანი შეტევა მარცხენა ფლანგიდან, მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგისა და ცენტრისაკენ. აქ, მთავარი დარტყმის სამეთაუროდ მეფემ დააყენა თავისი სისხლფიცხელი ძე — ალექსანდრე ბატონიშვილი[7]. თვითონ ფილიპე მარჯვენა ფლანგს ჩაუდგა სათავეში.

ბრძოლა დაიწყო და წარიმართა ორივეს მხრივ სრულის სისასტიკით. თავდავიწყებით და დაუნდობლობით. ათენელების პირველსავე დატაკებაზე უკუიქცა მაკედონელთა მარჯვენა ფლანგი. ათენელებმა ეს გამარჯვებად მიიჩნიეს და „გაქცეული" მტრის დევნაში არივ-და-

[illegible] ბრიგები. მათ არ იცოდნენ რა ხდებოდა ამ დროს მათგან ხელმარჯვნივ. ხოლო, აქ თებელთა წინააღმდეგ ალექსანდრემ უფრო ავრესი ხმალთაკვეთებით დაძრა მაკედონელთა და თესალიელთა კავალერია. არც ერთ თებელს ნაბიჯით არ დაუხევია, ისე შეაკვდნენ გახელებით მოიერიშე მოპირდაპირეს. დაიღუპა მათი სარდალიც, თეაგენე. ფილიპე ათენელებთან ფიცხელ შეტაკებაში დაიჭრა. საბედისწერო ბრძოლის ბედის გადაწყვეტა მთლიანად ალექსანდრემ იტვირთა. მან თებელთა განადგურების კვალდაკვალ აჩეხა ბერძენ მოკავშირეთა ცენტრი და ზურგიდან შეუტია წინ გაჭრილ და ჯგუფ-ჯგუფად აკვეთილ ათენელთა ლაშქარს. 10 000 ათენელი მკვდარი დაეცა, 2 000 ტყვედ ჩავარდა. ასევე, უმრავლესობა გაწყდა ან ტყვედ ჩავარდა მოკავშირეთა ლაშქარი — ევბეელნი, მეგარელნი, კორინთელნი, აქეელნი, კორკირელნი. ბერძენთა გვამებით მძიმედ დარეცილ ქერონეიის ველზე, „ალექსანდრეს მუხასთან“, შემდგომში აღიმართა ლომის კოლოსალური ქანდაკება, ყოველგვარი წარწერის გარეშე, — ვინათგან თვითონ ღვრემამორეული ლომის სახე იყო სიმბოლო დიდი ბერძნული ტრაგედიისა — მდუმარებით მეტყველი ძეგლი ბერძნული სიმამაცისა ბერძნული თავისუფლების საფლავზე [8].

მართლაც, ეს იყო დასასრული: საბერძნეთს მეორე ასეთი ბრძოლის გამართვა აღარ შეეძლო. მისი ბედი ახლა მთლიანად დროის გმირის, ჩრდილოელი მეზობლის ხელში იყო.

ფილიპე მაკედონელს შეეძლო ეზეიმა და იზეიმა კიდეც, — მაგრამ იზეიმა ფრიად მკრეხელურად, სულმდაბლად და წამგებიანი დაუკვირვებლობით. მან დამარცხებულ, სიკვდილს გადარჩენილ ბერძნებს უარი უთხრა ბრძოლაში დაღუპულ თანამებრძოლთა დაკრძალვაზე და იქვე, გვამებით დაფენილ ბრძოლის ველზე, სანადიმო სუფრა გაშალა, ინადიმა, უზომოდ დათვრა და გალეშილმა იმავ გვამებზე ეტლით იჯირითა, დამარცხებულთა და დახოცილთა უშვერი გინებით. და ყველა ამ საზიზღრობას მეფე სჩადიოდა იქვე, დატყვევებულ ბერძენთა თვალწინ. საბერძნეთის „მხსნელისა“ და „მეგობრის“ ასეთმა უზნეო თავაწყვეტილობამ და უტაქტო თვითგამოაშკარავებამ ყველაზე მეტად სწორედ „მაკედონური პარტიის“ წარმომადგენლები შეაშფოთა. მათგან ყველაზე მთავარმა, ორატორმა დემადემ ველარ მოითმინა და შეჰყვირა ფილიპეს: „მეფეო, ბედისწერამ შენ აგამემნონის როლი დაგაკისრა და თერსიტეს როლს კი თამაშობ!“ ამ შეძახილმა გამოაფხიზლა და ჭკუას მოაგო ფილიპე. იგი მიხვდა თავის

დაუკვირვებელ ცდომილობას. მართლაც — აქამდე რომ მაკედონელთა და ბერძენთა ერთიანი საომარი ძალების მთავარსარდლად თვლიდა თავს (ვითარცა აგამემნონი), ახლა ერთბაშად თავი გამოიაშკარავა, ვითარცა ბერძენთა ნამდვილმა მომტერემ და დამპყრობელმა. მიხვდა, რომ შეცდომა სასწრაფოდ უნდა გაესწორებინა. მაშინვე დემადეს ბორკილები აჰყარა, მოიბოდიშა და დახოცილები პატივით დააკრძალვინა ბერძნებს.

გამარჯვებული მაკედონელები თებეში შევიდნენ. ქალაქს აღარავითარი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. კადმეაში, თებეს აკროპოლისში, მეფემ მაკედონური ციხიონი შეაყენა, ბეოტიის კავშირი დაშლილად გამოაცხადა, მეთაური პატრიოტები ამოწყვიტა და თებე დამოუკიდებელ ბერძნულ სახელმწიფოთა სიიდან საკუთებით ამოფხიკა [9].

ასეთივე ბედის მოლოდინში უნდა ყოფილიყო ათენიც, ქერონეიის ტრაგედიით ზარდაცემული და სამგლოვიარო ძაძით მოსილი. 98 წლის ისოკრატემ, თანამოქალაქეთა წუხილით გულშეძრულმა, შიმშილით თავი მოიკლა.

მაგრამ ათენმა მაინც მოახერხა ტრადიციული მხნეობისა და სიმტკიცის დაბრუნება. დემოსთენეს მოწოდებით, სახალხო კრებამ სტრატეგოსებს უბრძანა ჯარი გაემზადებინათ და ბეოტიიდან შემომავალ გზებზე ციხეები გაემაგრებინათ. ქალები და ბავშვები სოფლებიდან ქალაქში შემოიყვანეს და მცველებად მოხუცი მამაკაცები დაუყენეს, ხოლო ახალგაზრდები და ჭარმაგნი საომრად აწვიეს. მონები გაათავისუფლეს და ისინიც ლაშქარში ჩააყენეს. ამნისტია გამოუცხადეს და სამშობლოს დამცველთა რიგებს დაუბრუნეს პოლიტიკური დევნილი და გაძევებული მოქალაქენი. არეოპაგს (უხუცესთა საბჭოს) ნება მიეცა სიკვდილით დაესაჯა ყველა, ვინც გაქცევით ან მიმალვით დეზერტირობას შეეცდებოდა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი — ამაგრებდნენ ქალაქის კედლებს, თხრიდნენ თხრილებს, მართავდნენ მიწაყრილებს, ჩეხდნენ და თავდაცვისათვის იყენებდნენ ხეივანთა ხე-ტყეს, იხმარდნენ საფლავთა ქვებს, ტაძრებში შეწირულ აღჭურვილობას. მოქალაქენი მშობლიური ქალაქის გადასარჩენად ნებაყოფლობით იმეტებდნენ ძვირფას ნივთებსა და საოჯახო დანაზოგებს.

ათენის საომარმა სამზადისმა მძიმედ ჩააფიქრა ფილიპე მაკედონელი. ისედაც ვერ უნდა გაებედა მას ხელყოფა ათენისა, რომელ-

საც, — მიუხედავად მისი მრავალი მარცხისა და დაცემისა — მაინც მტკიცედ შემორჩენოდა უზენაესი ავტორიტეტი სრულიად ელინური სამყაროს „ჰეგემონისა“ და „კორიფეესისა“. სპარსეთიც იმჟამად საგანგებოდ შეშფოთებულიყო დასავლეთისკენ სალაშქროდ და საბერძნეთში ომის გაჩაღებას მას უეჭველად გაუადვილებდა მაკედონიის სამტროდ ბალკანეთზე და ეგეიდაზე, საყრდენი „მეგობრების“ მონახვას.

ერთი სიტყვით, ათენთან მტრობა კი არა, ათენთან მეგობრობა, მოყვრობა და ერთობა სჭირდებოდა მაკედონიის მეფეს. ამიტომ მან „მისი თერსიტეობის“ მამხილებელი დემადე უხვად დააჯაჩუქრა და ათენში გაუშვა ზავისა და შერიგების სამიებლად. მასთან — ყოველგვარი სასყიდლის გარეშე გაათავისუფლა ქერონეიის ბრძოლაში დატყვევებული ათენელები, ყველა ახალი სამოსით დამოსა, ყველა დააჯაჩუქრა და ისე გაუშვა. ბრძოლაში დახოცილ ათენელთა ნაშთებიც საპატიო ესკორტით მიაცილა ათენის კარიბჭემდე, წინაპართა მიწისთვის მისაბარებლად.

ფილიპეს დიპლომატიურმა მანევრმა გაჭრა. ათენელებმა სისხლის უკანასკნელი წვეთების გაღებაზე ხელი აიღეს და „დამპყრობელს“ თუ „შემაერთებელს“ შეურიგდნენ. შუამავლები კი იყვნენ: ათენის მხრივ — დემადე, მაკედონიის მხრივ — ანტიპატროსი (პარმენიონთან ერთად, მეფის უახლოესი კარისკაცი და სარდალი. „როცა ანტიპატროსი ფხიზლობს, მაშინ მე მშვიდად მძინავსო“, — ამბობდა ფილიპე). მშვიდობიანობის პირობები კი ასეთი იყო: ათენი ხელს იღებდა მისი „ჰეგემონობის“ ქვეშ მყოფ „კავშირზე“ და, დანარჩენ ბერძნულ პოლისებთან ერთად, თვითონ უერთდებოდა მაკედონიასთან „კავშირს“. სამაგიეროდ ფილიპე უარს ამბობდა ათენში და პირევსში მაკედონური ციხიონების ჩაყენებაზე. ამას გარდა, ძველი „კავშირიდან“ ათენს მეფე სამფლობელოებად უტოვებდა სამ კუნძულს: სალამინს, დელოსსა და სამოსს.

ათენელები კმაყოფილი უნდა დარჩენილიყვნენ, მაკედონელმა რომ პირში სული შეარჩინათ. ქალაქის მთავარ მოედანზე მათ ფილიპეს ბრინჯაოს ქანდაკება აღმართეს და გვირგვინებით შეამკეს. თვითონ ფილიპე, მისი ძე ალექსანდრე და სარდალი ანტიპატროსი ათენის საპატიო მოქალაქეებად გამოაცხადეს. ქერონეიის ცოდვიან მიწაზე დაღვრილი ათენური სისხლი სარდალ ლისიკლეს დააკისრეს და სიკვდილით დასაჯეს.

მაშ, ათენში „მაკედონურმა პარტიამ“ გაიმარჯვა. ბრძოლაში დაღუპულ მეომართა დაკრძალვაზე სამგლოვიარო სიტყვა უნდა თქმულიყო და ესეც მაკედონიისა და მათი მეფის მეხოტბეებმა დაიჩემეს. სიტყვა მაკედონელთა მოძულე და მომტერე დემოსთენემ კი არა, ესქინემ ან დემადემ უნდა წარმოთქვასო, — გაიძახოდნენ „მაკედონური პარტიისანნი“. მაგრამ ხალხის სინდისმა მაინც თავისი გაიტანა: ვისაც დახოცილთა მტრებთან და მეზისხლეებთან ერთ ჭერქვეშ დრო გაუტარებია, მათთან ერთ სუფრაზე პური გაუტეხია და უნადიმია. ვისაც დახოცილთა დახოცვისათვის მკვლელებთან ერთად უზეიმია, ბერძენთა მარცხისთვის ჰიმნები უმღერია და ჯილდოებით მკერდი დაუმშვენებია — იმათ ნება არა აქვთ თავისი უღირსი სიტყვით მიცვალებულნი შეგვიგინონ; არამედ, სამგლოვიარო სიტყვის პატივი ეკუთვნის მხოლოდ იმას, ვინც ყალბი აქტიორივით დამწუხრებულის როლს არ თამაშობს, ვინც ჭეშმარიტად სუფთა სულით წუხს და გოდებს გმირთა დაღუპვას! — ითქვა და სახალხო კრებამ სამგლოვიარო სიტყვის თქმა მიანდო დემოსთენეს. გმირთა სახსოვარი ქელეხიც დემოსთენეს სახლში გადაიხადეს ათენელებმა.

დემოსთენეს სიტყვა (რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია) უმძიმეს სამგლოვიარო რეკვიემად უნდა დარისხებულიყო სრულიად საბერძნეთის კაეშნიან ცისგვამში. მთელი ჩრდილოეთი და შუა საბერძნეთი მაკედონელთა სამფლობელო საზღვრებში მოქცეულიყო. ფილიპე მაკედონელის მახვილი კორინთოს ყელს მიბჯენოდა. ოქიდან სამხრეთ საბერძნეთი — პელოპონესი იწყებოდა.

ფილიპეს პაუზები არ უყვარდა და ჯარები დაძრა კორინთოს ყელზე. პირველმა კორინთომ ჩააბარა თავისი კლიტეებიც და თავისი ბედიც მაკედონელ მბრძანებელს. მერე დანარჩენი პელოპონესელნი მიჰყვნენ, ქალაქები ჩააბარეს და თვითონაც ჩაბარდნენ — არგოსელები, აქეელები, არკადიელები, ელიდელები, მესენიელები. მხოლოდ სპარტელები მაგრობდნენ ისევ, ლაკონიის ოლქში ჩაკეტილნი და საომრად ჩასილაღებულნი.

„თუ ლაკონიაში მოვედი, ძირფესვიანად ამოგთხრით!“ — მიუწერია ფილიპეს მუქარა სპარტელებისთვის, ასე მოკლედ — „ლაკონიურად“.

„თუ!“ უპასუხნიათ სპარტელებს „ულაკონიურესად“.

და დაიძრა ფილიპე ლაკონიისკენ. დანარჩენი პელოპონესელებიც

მიჰყვნენ — მარად სპარტის წინაშე მოშიშარნი, მოქიშპენი და მოკრიჭენი.

სასტიკად ააოხრეს ლაკონია, სპარტის შემოგარენი, მაგრამ თვითონ სპარტაზე — მტერთაგან მარად აუღებელ და უძლეველ ლაკედემონზე — ხელყოფა მაინც ვერ გაბედეს მაკედონელებმა.

ფილიპემ ბერძნულ პოლისთა წარმომადგენლებისაგან სასამართლო დანიშნა და სპარტის ბედის გადაწყვეტა იმ სასამართლოს „მიანდო". და ასე — ვითომ თვითონ ფილიპე არაფერ შუაში იყო — ბერძენთა გადაწყვეტილებით დადგინდა: სპარტას ჩამოერთვას ყველა სამფლობელო პელოპონესზე და შეიზღუდოს თავდაპირველი დასახლების საზღვრებში.

ფილიპე მაკედონელის სამომავლო პოლიტიკის სარგებლიანობა და მომგებიანობა მაინც საბერძნეთ-მაკედონიის „კავშირს" უნდა დაყრდნობოდა და არა საბერძნეთის „დაპყრობას". საჭირო და გადაუდებელი იყო ამ „კავშირის" საგანგებოდ გაფორმება და საქვეყნო გამოცხადება.

337 წელს ფილიპე მაკედონელმა ქალაქ კორინთოში შეჰყარა კონგრესი, სადაც მიიწვია ყველა ბერძნული პოლისის წარმომადგენლობა. ყველა გამოცხადდა, გარდა სპარტელებისა, რომლებიც ისევ „სპარტანული სიმტკიცით" უარყოფდნენ „კავშირს", რომელიც უფრო „დაპყრობას" მოასწავებდა.

უწინარესად ფილიპემ კონგრესზე გამოაცხადა მარადიული „საღვთო ზავი" აქამდე დანასისხლად გადამტერებულ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის. ცალკეულ ქალაქებშიც იკრძალებოდა შინაური, სამოქალაქო შეტაკებანი, კაცთა განუკითხავი კვლა და ქონების დატაცება-კონფისკაცია.

და ცხადდებოდა მარადიული კავშირი მაკედონიისა და საბერძნეთისა, მარადიულად ურთიერთდახმარებისა, ურთიერთდაცვისა და ურთიერთ-მოვლა-პატრონობისა.

ცხადდებოდა თავისუფალი მიმოსვლა და ვაჭრობა ყოველ გზაზე და გზაჯვარედინზე, ზღვაზე და ხმელზე.

„კავშირში" შემავალი ყოველი ქალაქი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, არავის უხდიდა ხარკს და არავის ყმად არ ცნობდა თავს. იყო მხოლოდ „კავშირი თანასწორთა".

მაგრამ ყოველი კავშირის „თანასწორობა" არის მაინც ცნება პირობითი და შეფარდებითი. „თანასწორ მოკავშირეთა" შორის აუცი-

ლებელია „ჰეგემონი“, და ასეთი „ჰეგემონი“ ახალი ბალკანური კავშირისა ამიერიდან იქნება მაკედონია (იყო ოდესღაც ათენი, მერე — სპარტა, მერე — თებე, ახლა კი — მაკედონია!).

მოკავშირეთა საომარი ძალების მთავარსარდლად ცხადდებოდა მაკედონიის მეფე ფილიპე II.

აქვე ჩამოყალიბდა სინოდი — სამოკავშირეო საბჭო, რომელიც აერთიანებდა მეფის რწმუნებულებს და ყველა ბერძნული პოლისის წარმომადგენელს. სინოდი უმაღლეს კონტროლსა და მეთვალყურეობას უწევდა კონგრესის დადგენილებათა სრულიად და განუხრელად შესრულებას. საწინააღმდეგო მოქმედება სინოდის მიერ განიხილებოდა, როგორც უმძიმესი დანაშაული და ღალატი სრულიად საბერძნეთისა.

კორინთოს კონგრესის ყველა ეს გადაწყვეტილება თავს იყრიდა უმთავრეს განაზრახსა და გადაწყვეტილებაში — ომის დაწყება სპარსეთის წინააღმდეგ. ფილიპე აქაც თითქოს ბერძნებისთვის „იკლავდა თავს“, როცა სპარსეთთან ომის დაწყების მიზეზს ისოკრატეს ცნობილ ნათქვამში აყალიბებდა: ომს ვიწყებთ, „რათა სპარსელებს ვაზღვევინოთ ბერძნულ ტაძრებზე მათგან გაწეული მკრეხელობანი“.

კონგრესმა გაითვალისწინა ისიც, რომ ბევრი ბერძენი სპარსეთის სამსახურში იდგა დაქირავებულ მეომრად. ამიტომ კონგრესმა მკაცრად გააფრთხილა ყველა ბრძოლისუნარიანი ბერძენი, სპარსეთთან ომის პირობებში, რომელიმე მათგანი მაკედონიის მეფის სამტრო ბანაკში არ აღმოჩენილიყო.

აქვე დადგინდა, რომელ პოლისს რამდენი საომარი ძალა უნდა გამოეყვანა ზღვაზე თუ ხმელეთზე.

ასე დაასრულა საბერძნეთმა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ჩაესვენა წიაღსა მაკედონიისასა.

ასი წლის შემდეგ იტყვის ციცერონი, დემოსთენეს დიდი რომაელი მემკვიდრე: „სჯობს არ ვიყოთ, ვიდრე სხვისი ნებით ვიყოთ!“ მაგრამ არც ერთი ხალხი, არცა „დიდი“ და არცა „მცირე“, არცა ციცერონამდე და არცა ციცერონის შემდეგ, გამხდარა აღმსრულებელი რომაელი ორატორის ამ შეგონებისა — არავინ არ დარჩენილა, ისტორიის ჟამსაბრუნავის გარკვეულ ნაკვეთში, რომ „სხვისი ნებით“ არ ეცხოვრა. ყველა ხალხს დასდგომია ეს „საკითხავი“: ან სრული გადაშენება, ან სხვისი ნებით არსებობა (არსებობა-მეთქი!).

და დიდ საბერძნეთსაც დაუდგა ეს დღე: სპარსეთთან სასიკვდილო

სისხლთა თხევით და საკუთარი თვითმკვლელობით მას უეჭველი გადაშენება ელოდებოდა. მას „თავისი ნებით“ არსებობა აღარ შეეძლო. მას მხოლოდ „სხვისი ნებით“ უნდა ეარსება, და ეს „სხვისი ნება“ იყო ნება „ერთმორწმუნე მაკედონიისა“.

ეს იყო „გაერთიანება“ მაკედონიასთან, მაგრამ ამავე დროს იყო გაერთიანება საკუთარ თავთან. ყოველ შემთხვევაში, აქამდელი გაერთიანებანი საკუთრივ საბერძნეთისა — ათენის საზღვაო კავშირი, პელოპონესის კავშირი, ბეოტიის კავშირი და სხვა რამ „კავშირნი“ — არა ყოფილან უფრო მტკიცენი და ნაკლებ სისხლდამდინარნი, ვიდრე ახლანდელი „კავშირი“ და „ერთიანობა“ საბერძნეთ-მაკედონიისა.

ბერძენ-მაკედონელთა „გაერთიანების“ ყველაზე რეალური გამოხატულება მაინც ის იყო, ამიერიდან რომ ყოველ ბერძენს სწორედ რეალურად შეეძლო თავის პირად ღირსებათა შესაფერისი ფასი და აღიარება მიეღო. ყოველი ბერძენი მაკედონიის კარზე მაკედონელის უფლებით რეალურად სარგებლობდა. ფილიპესა და შემდგომ ალექსანდრეს დროს ყოველი ღირსეული ბერძენი ღირსეულ ადგილს იჭერდა მეფის უახლოეს „ჰეტერთა“, უახლოეს თანამებრძოლთა, თანასარდალთა, თანაპოლიტიკოსთა და თანაინტიმთა შორის. ის კი არა და, ამიერიდან მაკედონელი უფრო მიილტვოდა „ბერძნობისაკენ“, ვიდრე ბერძენი „მაკედონელობისაკენ“.

„გაერთიანების“ მთავარი აზრი და მიზანი, როგორც ითქვა, მაინც საუკუნოვანი მოსისხლისა და მომტერის — სპარსეთის განადგურება და აზიის სიმდიდრეთა და სივრცეთა დაპყრობა იყო.

კორინთის კონგრესზე ფილიპემ ბარბაროსულ სპარსეთთან საღვთო ომი გამოაცხადა.

იმავე წელს ფილიპემ 10 000 მეომრით მცირე აზიაში გაგზავნა თავისი რჩეული სარდლები — პარმენიონი და ატალოსი. ამათ უნდა დაეწყოთ იონიელი ბერძნების, ანუ „აზიელი ძმების“ გათავისუფლება ბარბაროსი სპარსელებისაგან და მოემზადებინათ ნიადაგი ბერძენ-მაკედონელთა სრული საომარი გადასვლისათვის, რასაც თვითონ მეფე უნდა წასძღოლოდა მომავალი წლის გაზაფხულს [10].

დადგა ის წელიც — 336.

ბერძენ-მაკედონელთა სრული საომარი ძალებიც მზად იყო სპარსეთის შესევისათვის (45 წლის წინათ, სპარსეთის მეფის ქსერქსეს მეთაურობით, „აზია შეესია ევროპას“. ახლა სამაგიეროდ, შურისმგებ-

ლური ცეცხლით გატენილი ევროპა იძვროდა „აზიის ჩასაყლაპავად!“).

იდგა დიდი სანიშანსვეტო წელიწადი მსოფლიო ისტორიისა.

დელფოს აპოლონის ტაძარსაც შემოეთვალა, „მსოფლიო მკითხავის“, პითიას პირით:

„ხარი უკვე შემკულია გვირგვინით,
და იგი მალე დაიკვლება კიდეც“.

და „დასაკლავ ხარში“ მაშინვე სპარსეთი ირწმუნეს მორწმუნეებმა. მაგრამ „რწმენა“ გაცუდდა და სრულიად მოულოდნელად სულ „სხვა ხარი“ დაიკლა...

ეგეში, მაკედონიის ძველ სატახტოში, ქორწილი იყო. მეფე ფილიპე ქალიშვილს ათხოვებდა. სადედოფლოს სახელი იყო კლეოპატრა. კარგად არ ჩანს — ფილიპეს იგი „პირველი ქორწინებისგან“ ჰყავდა, თუ „უკანასკნელ ქორწინებისგან“. სინამდვილე კი ის იყო, რომ ფილიპე თავის კანონიერ თუ უკანონო ასულს ცოლად აძლევდა ცოლსაძმას, ეპირის მეფეს, ალექსანდრეს (ამით ფილიპეს სურდა შეერიგებოდა წაჩხუბებულ ცოლს, ოლიმპიადას).

არამცთუ ქორწილი, არამედ მცირე ნადიმიც კი ფილიპემ იცოდა ზომიერების სრული დარღვევით, დღეღამ-სწორებით და ხმაურით, აურზაურით და აყალმაყალით, თავაწყვეტილი ლოთობით და მრუშობით (მსგავსად კენტავრებისა და ლესტრიგონებისა [11]).

ბერძნულ ქალაქებს ოქროს გვირგვინები გამოეგზავნათ მოზვიმე მეფისთვის, ცამეტი მარმარილოს ქანდაკებაც მოეძღვნათ — 12 ოლიმპიელი ღმერთი და ერთიც თვითონ „ღვთისდარი“ ფილიპე.

ორი დღე-ღამის ველურ ორგიათა შემდგომ მეფე, ნალოთარი და ნამრუშალი, თანაც საზვარაკე ტარიგვით თეთრი ქათქათა კაბით შემოსილი, თეატრში წავიდა. იქ, რომელიღაც კარის დრამატურგისგან მის სახოტბოდ დაწერილი პიესა მიდიოდა. მეფე სიძე-ქალიშვილს შუაში ედგა, უკან ბრწყინვალე ამალა, ჰეტერები, „პაჟები“ და მცველები მოჰყვებოდნენ.

უცებ მცველთა რაზმიდან ერთი აბალგაზრდა კაცი გამოიჭრა ელვასავით, მეფეს მივარდა, მახვილი მარცხნიდან აძგერა და ძუძუ-გული შეუმუსრა. ფილიპემ კრინტის დაძვრაც ვერ მოასწრო, ისე დაეცა სულგავარდნილი.

მკვლელი გაიქცა იქვე გამარქაფებული ცხენებისკენ. მცველები დაედევნენ, წამოეწივნენ და აჰკუწეს. იგი აღმოჩნდა ვინმე პავსანია, სასახლის კარზე არც ისე უცნობი კაცი, თვითონ მეფის ერთი მცველთაგანი.

მკვდარი იყო ერთიც და მეორეც — მეფეც და მკვლელიც.

მოწმენდილ ცაზე მეხის ქუხილმა გადაიარა.

ფილიპეც მიწის შვილი იყო და მიწას მიაბარეს.

და როცა გლოვაც ჩათავდა და ემოციებმა გზა ისევ გონების პრიმატს დაუთმეს, ფილიპეს მკვლელობის მიზეზები და მოტივები სამი ვერსიით გამოიჭრა და გავრცელდა ისტორიაში:

ფილიპე პირადი ნაწყენობის გამო მოჰკლაო პავსანიამ;

ფილიპეს მკვლელი სპარსეთის სამეფო კარისგან მოსყიდული აგენტი იყოო;

ფილიპეს მკვლელობაში ხელი ერიათ მის ცოლსა და შვილსო.

ჭორი საერთოდ უსაყვარლესი „სახალხო ჟანრია“ ხალხთა შინა, — მაგრამ მით უფრო, თუ საფუძველიც ზოგჯერ ძალიან განივთებულად გამოჩნდება. საქმე ის გახლავთ, რომ ოლიმპიადამ აშკარად გაიხარა ქმრის სიკვდილით. მკვლელის, პავსანიას ცხედარიც გვირგვინით შეამკო, ხოლო მის მახვილზე, — რომლითაც განიპო გული ფილიპესი — თავისი ქალიშვილობის სახელი — „მირტალიდა“ — ამოკვეთა და საბადლობელ ძღვნად აპოლონის ტაძარს შესწირა.

რაკი ასეა, საჭირო ხდება ვისაუბროთ ოჯახურ წრეზე, რომელსაც, „ავი ენების“ მტკიცებით, თითქოს მეფე ფილიპე დიდების მწვერვალიდან ერთბაში მოსხლეტით სამარეში ჩაეგდოს და ჩაექვესკნელებინოს.

ალექსანდრეს ზეობის დასაწყისი

ზემოთაც ითქვა, რომ 357 წელს 25 წლის ფილიპე მაკედონელმა ცოლად შეირთო ბერძენი ქალი, ეპირის მეფის, პტოლემაიოსის ასული — მირტალიდა, რომელსაც მაკედონიის დედოფლობის დღიდან დაერქვა და საისტორიო სახელად შემორჩა — ოლიმპიადა. მამა ადრე მოუკვდა და ძმასთან, ალექსანდრესთან ერთად ბიძის — არიბას მეურვეობის ქვეშ იზრდებოდა, ეპირის მეფეები თავიანთ წარმომავლობას აქილევსს უკავშირებდნენ და ეს „აქილევსური გულზვიადობაც“ უზომოდ გამოჰყვა მაკედონიის ახალ დედოფალს.

356 წელს ახალგაზრდა მეფე-დედოფალს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც დაარქვეს ალექსანდრე. საისტორიო ტრადიციაᵗ ნაირ-ნაირი ლეგენდითა და ზღაპრით ამკობს მომავალი გმირის ჩასახვისა და დაბადების ჩვეულებრივ. მიწიერ ამბავს — ჭექა-ქუხილი, მეხი და ცეცხლი, გველი და ლომი, ზესკნელური და გარესკნელური მოვლინებანი თავს იყრიან მართლაც გველებთან წილნაყარი, გრძნეული დედოფლის საწოლის გარშემო. ამ ლეგენდებიდან შეიძლება მხოლოდ ეს იყოს სარწმუნო, რომ ალექსანდრე დაიბადა სწორედ იმ დღეს (იქნებ, იმ წუთსაც!), რა დღესაც მსოფლიოში ყბადაღებულმა ბოროტმოქმედმა ჰეროსტრატემ ქალაქ ეფესოში დაწვა ქალღმერთ არტემიდეს ტაძარი — ერთ-ერთი უბრწყინვალესი ხუროთმოძღვრული ქმნილება ძველი სამყაროს „შვიდი საოცრებისა“. ზეცაში ასე გადაწყდაო, ვინათგან დიდი კულტურული დანაკლისი მსოფლიოში დიდი ადამიანის დაბადებით უნდა შევსებულიყოო. ტაძრის დაწვა უფრორე იმიტომ გაადვილებულა, რომ მაშინ თვითონ არტემიდეს არ ეცალა მიეხედა თავის ტაძრისთვის, რადგან იგი სწორედ ალექსანდრეს დაბადებაზე ბრძანებულა, ვითარცა ახალშობილის ამქმელი ბებია-ქალი! ამ პოეტური ხუმრობის შემდეგ, უფრო დამაჯერებელია, რომ ფილიპემ ძისა და მემკვიდრის დაბადების დღეს სამი გამარჯვების ამბავი შეიტყო — პოტიდეის აღება, ილირიელების განადგურება და ოლიმპი-

ადის დღესასწაულზე ეტლოსანთა ჯირითში მეფის ცხენების გამარჯვება. მისნებმაც ასე დაუბეჭდეს მეფეს: სამი ძლევამოსილების ჟამს შობილი უფლისწული უეჭველად უძლეველი იქნებაო[2]. ამდენი სიხარულით „დამფრთხალ“ ფილიპეს თითქოს ესეც წამოეძახებინოს: „ღმერთებო, ამდენ ბედნიერებასთან და სიხარულთან ერთად, გთხოვთ მცირეოდენი უბედურებაც მომივლინოთო“. მაგრამ იმჯერად თითქოს ღმერთებმა მაინც უბედურების „კომპენსაციის“ გარეშე“ შეარჩინეს მეფეს ამდენი ბედნიერება და სიხარული!

მაშ, მაკედონიის სახელმწიფო სანთიობოში დაიბადა ყრმა, რომლისთვისაც ,,ისტორიო ბედისწერას მომავალი მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების „სოლისტის“, თუ „დირიჟორის“ როლი დაუკისრებია.

ტანად ტანმორჩილი იყო, მაგრამ უაღრესად მკვრივი, ჩაკირული და წყობილნაკვთოვანი, სახით სახიერი, თეთრ-ყირმიზი, თვალით აღიელი — მარჯვენა თვალი შავი ფერისა, მარცხენა ლურჯი; თმა — წაბლისფერი, მხრებამდე ტალღოვან ვარჯებად დაშვებული. სხეულით, თითქოს, საოცარ მომაჯადოებელ სურნელებას გამოსცემდა, რაიც მისი ცეცხლოვანი მგზნებარებით აღსავსე ტემპერამენტის ნაყოფად მიუჩნევიათ თანამედროვე კალმოსნებს:[3] აკი მცენარეებშიც ასე ხდებაო — მასში რაც მეტი ჩაგუბდება მზის მხურვალება, მით უფრო ხრწნადი სინესტე აორთქლდება და განიდევნება; აკი ნესტიანი ადამიანიც უფრო ხრწნადი და ამდენად „ნაკლებ სურნელოვანი“ არსებაა, ვიდრე ცხელი, მხურვალე, „მზით ნაჯერი“ ადამიანი?! ღვინისადმი ალექსანდრეს სიყვარულსაც მისი ტანის გამორჩეული მხურვალებითა და „მზიური სურნელებით“ ხსნიდნენ თანამედროვენი.

სუფთად გაპარსული, ალერსიანი ღიმილით დაფენილი სახით დადიოდა, მარცხნივ ყელმოღერებული. საბერძნეთი, მისი მიბაძვით, საუკუნეების მანძილზე ნატარებ წვერ-ულვაშს გაიპარსავს. საუკუნეების მანძილზე „ალექსანდრეობის“ მაძიებელი ავანტიურისტები მარცხნივ ყელმოღრეცილნი ივლიან...

ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა. შეეძლო ყოფილიყო თავდაჭერილი და წონასწორობადაურღვეველი ერთნაირად — ყოველი უკიდურესი სიხარულისა და თუ უმძიმესი წუხილის ჟამს. იგი ერიდებოდა მამისეულ სხეულებრივ აღვირახსნილობას და საერთოდ ყოველგვარ ჰედონისტურ გატაცებას, რასაც კი მისი საპოლიტიკო ცხოვრების დაზიანება, დაკნინება თუ შერცხვენა შეეძლო.

მეომრული ბუნება და პატივმოყვარეობა მამამისზე გაცილებით უმეტესი სიდიდით დაჰყვა. მის გულში დაბუდებული ლომის მძვინვარება უხვად აპოხიერებდა უმაღლესი სახელ-დიდებისა და მსოფლიო მბრძანებლობის მარად დაუცხრომელ ამბიციებს. ვაი თუ, მამაჩემმა ყველაფერი დაიპყროს და ჩვენ საომარი და საგმირო ამ ქვეყანაზე აღარაფერი დაგვიტოვოსო, — მშფოთვარედ შესძახებდა იგი თავის თანატოლებს, როცა სასახლის კარზე მაჯარობელი ფილიპეს რომელიმე მორიგი გამარჯვების ამბავს მოაფრენდა [4].

მეგობრებთან, თანატოლებთან და თანაშეზრდილებთან ნამდვილი თავდადებული მეგობარი და სწორფერი იყო, მაგრამ არასდროს არც თავის გამორჩეულ ღირსებათა ფასი ავიწყდებოდა. როცა ჰკითხეს აქილევსივით ფეხმარდ უფლისწულს — ოლიმპიურ ასპარეზობაზე რბენაში თუ მიიღებ მონაწილეობასო — „სიამოვნებით, უკეთუ ჩემი მოპაექრენი ხელმწიფეები იქნებიანო“, — უპასუხნია ალექსანდრეს [5].

სწორუპოვარი მორბენალიც იყო, მოჯირითეც, მოკრივეც და მოჭიდავეც, მაგრამ თვითონ ყველაზე მეტად ტრაგიკული მსახიობების, კითარაზე დამკვრელების, მომღერალი რაფსოდების, მონადირეების და რაბდომახების (დაშნებით მებრძოლნი) შეჯიბრი და მასში მონაწილეობა უყვარდა. განსაკუთრებით საომარი სიმღერა იტაცებდა ჭაბუკს. მყისვე საჭურველს წაეტანებოდა საომარი სიმღერით სისხლანღვრეული.

მკვირცხლი, გამჭრიახი, შორსმხედველი გონება ჰქონდა. თოთხმეტი წლის ყმაწვილს, სატახტოში მამამისის არყოფნის ჟამს, სპარსელი ელჩები მიუღია და განუცვიფრებია დარბაისლური თავაზიანობით, კეთილგონივრულობით, განსაჯის ღრმააზროვნებით. ალბათ, ღრმად უნდა ჩაეფიქრებინა სპარსი დიპლომატები, რა გულდასმით, ცხოველი ინტერესით და შორეული მინიშნებებით ეკითხებოდა მათ მაკედონიის მომავალი საჭეთმპყრობელი სპარსეთისა და საერთოდ აზიის ხალხებზე, მათი ცხოვრების წესებზე, თვისებებზე, ბუნებრივ გარემოთა და სხვათა ყოვლთა შესახებ.

ბედისაგან „ნებიერა უფლისწულის“ [6] ყოველი ქცევა იყო მუდამ უქცეველი და ხელუცარავი. ფილიპეს ცხენი მოჰგვარეს — „ბუკეფალა“ („ხარისთავა“ — ასე ერქვა, რაკი დაბღა ჰქონდა ხარის თავის გამოხატულებით); ფერად ყორნისფერი და მუბლთეთრი; ფიცხი და მიუკარებელი. ვერც ერთმა გაწაფულმა მხედარმა ვერ მოახერხა მასზე შეჯდომა. მაშინ ჭაბუკმა უფლისწულმა, — რომელმაც შენიშნა, რომ

ცხენს ჩრდილის თამაში აშმაგებდა — მას პირი მზისკენ აქნევინა, ზურგზე ელვასავით მოევლო, რვალის მკლავით ფაფარში ჩაეჭიდა, აქენა, დაიურვა და დაითვინიერა. „მაკედონია შენ ვერ დაგიტევს, შენთვის უფრო ვრცელი საბრძანისი ქვეყანა უნდა ეძიო", — უთქვამს მაშინ ფილიპეს შვილისთვის [7].

ბუკეფალა იქნება ალექსანდრეს „თანამოლაშქრე" საბრძოლო ტაიში, რომლის ფლოქვების ქვეშ გაიქროლებს დედამიწა ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე...

„ნებიერა უფლისწულს" ბედი მასწავლებლებსა და აღმზრდელებშიც დაჰყვა. საომარ ხელოვნებას რჩეული სარდლები ასწავლიდნენ. საბრძოლო „თეორიასაც" და „პრაქტიკასაც" გასაოცარი სისრულითა და სისწრაფით ითვისებდა, ისე, რომ ხშირ შემთხვევაში მოწაფე მასწავლებლებს სჯობნიდა კიდეც. ალექსანდრეს ძიძების, აღმზრდელებისა და პედაგოგების ხელმძღვანელობა და მეურვეობა მეფისგან დავალებული ჰქონდა ორ ბერძენს — მკაცრ ლეონიდას და ლისიმაქოსს. ლეონიდა მსუბუქ ჭამა-სმას აჩვევდა და დედა-დედოფალსაც ნებას არ აძლევდა შვილისთვის რაიმე ზედმეტი ლუკმა მიეწოდებინა.

მაგრამ ალექსანდრეს ყველაზე დიდი მასწავლებელი იყო მაინც არისტოტელე — ყველა დროის გენიალური მოაზროვნე, ფილოსოფიის ენციკლოპედიისა და ხელოვნების მრავალმხრივი მესაფუძვლე და სჯულმდებელი.

არისტოტელეს მამა, ნიკომაქოს სტაგირელი, ფილიპეს მამის, ამინტას კარის ექიმი იყო. მომავალი ფილოსოფოსის ჭაბუკობაც, როგორც ჩანს, მაკედონიის სასახლის კართან სიახლოვეში მიედინებოდა. უფლისწულის დაბადების ჟამს, 31 წლის არისტოტელე უკვე სახელგანთქმული მეცნიერი იყო. სწორედ ასეთი აღმზრდელი სჭირდება ჩემს შვილს, რომელიც „ბევრ ალვირსა და საჭეს" მოითხოვსო, — ამბობდა მეფე.

და მისწერა ფილიპემ არისტოტელეს: მე უფლისწულის დაბადება განსაკუთრებით იმიტომ მახარებს, რომ იგი დაიბადა შენს დროს და გთხოვ შენვე იკისრო მისი აღზრდაო. არისტოტელემ სიამოვნებით მიიღო მეფის შეთავაზება. მეფემაც მაშინვე სამადლობელი პატივი მიუგო: სასწრაფოდ აღადგინა მისგანვე დანგრეული სტაგირე, არისტოტელეს მშობლიური ქალაქი. ამას გარდა, მეფემ მეცნიერს სამოღვაწეოდ და ტახტის მემკვიდრის აღსაზრდელად მიუძღვნა ნიმფაიონი (მუზებისადმი მიძღვნილი ხეივანი), ქალაქ მიეზას ახლოს [8].

ასე იზრდებოდა ალექსანდრე მაკედონელი — მახვილით მსოფლიოს მპყრობელი, აზრით მსოფლიოს მპყრობელისაგან. უთვალსაჩინოესი მოწაფე და მიმდევარი შეიქნა ალექსანდრე მისი დიდი მასწავლებლისა. იგი დიდის წარმატებით და სისრულით ითვისებდა მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ დარგს — ფილოსოფიას, ფიზიკას, მედიცინას (განსაკუთრებით, ომში მუდამ საჭირო ქირურგიაში იწაფებოდა), მათემატიკას, ასტრონომიას, ბუნებისმეტყველებას, რიტორიკას, მუსიკას, ლიტერატურას, სახვით ხელოვნებას. დიდი ურთიერთსიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ ერთმანეთისა მოწაფეს და მასწავლებელს. თვითონვე იტყოდა ხოლმე ალექსანდრე — ფილიპესაგან სიცოცხლით ვარ დავალებული, არისტოტელესგან კი სულითო. ჰომეროსის „ილიადა“ მახვილთან ერთად განუყრელად სასთუმალქვეშ ედო ალექსანდრეს. შემდგომში, აზიაში რომ უძვირფასეს ურნას მიართმევენ, მასში იგი „ყველაზე ძვირფას ნივთს“ შეინახავს — „ილიადას“. დედით ხომ აქილევსის შთამომავლად ითვლებოდა, თვითონაც თავგამოდებით აქილევსობდა, აქილევს-პატროკლეს ლეგენდარულ შეგობრობასაც არ ივიწყებდა და „თავისი პატროკლეც“ ჰყავდა — უსაყვარლესი თანაშეზრდილი ძეგობარი — ჰეფესტიონი.

თვითონ ფილიპეს სრული რწმენა ჰქონდა ძისი შვილის განსაკუთრებული, „ზეადამიანური“ შესაძლებლობებისა და ადრიდანვე, უკვე 16 წლის ასაკში, ანდობდა კიდეც მას სახელმწიფო ბეჭედს და საქმეების დამოუკიდებლად წარმოებას. ამავე ასაკში დამოუკიდებლად ომის წარმართვისა და ნიჭიერი სარდლობის ნათლობაც მიიღო ალექსანდრემ. 340 წელს, — როცა ფილიპე ბიზანტიონის ალყით იყო გართული — თექვსმეტი წლის უფლისწულმა სასტიკად დაამარცხა მაკედონელთა მეზობელი და მომტერე მედების ტომი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად მან იქვე თავისი სახელობის ქალაქი დააარსა — ალექსანდრეპოლისი (ნიკაძორბედი შემდგომ მისგან მსოფლიოში განფენილი „ალექსანდრიებისა“ და „ალექსანდრეპოლისებისა“). ერთი წლის შემდეგ კი, ჩვიდმეტი წლის ბატონიშვილმა სასტიკ ბრძოლაში მძიმედ დაამარცხა ილირიელთა მთავარი პლევრიოსი[9]. მასუკან, აკი 18 წლისამ დიდი სიმამაცით და გონიერებით გადაწყვიტა ბედი სანიშანსვეტო ბრძოლისა ქერონეიის ველზე.

ჩვენი მეფე ალექსანდრეა, ხოლო ფილიპე — მთავარსარდალიო, — უკვე ისმოდა მაკედონელებში და მამა ამაყობდა კიდეც ასეთი „სახალხო ხუმრობით“ და შვილის უპირატესობათა აღიარებით.

მაგრამ მალე მამაშვილური ნდობა და სიყვარული ოჯახში ერთბაშად ცოლქმრულმა აყალმაყალმა და ორომტრიალმა გააცუდა.

ფილიპე თავაწყვეტილი ქალთამოლალე იყო. უამრავი ხარჯა და ხასა ჰყავდა და მათგან — უამრავი უკანონო შვილიც. არც ოლიმპიადა აკლებდა ხელს და მეუღლეს მეფურ თავს ხშირად რქებით „ულამაზებდა“. ცოლ-ქმარს შორის აშკარა, დაუძლეველი სიძულვილი ჩამოწვა. ფილიპემ უკიდურესი ნაბიჯი გადადგა და მეორე ცოლი შეირთო — ახალგაზრდა ლამაზი ქალი, სახელად კლეოპატრა, მეფის უახლესი სარდლის, ატალოსის ძმისწული. მეფემ, როგორც სჩვეოდა, უზარმაზარი საქორწინო ნადიმი გამართა. ღვინო რომ გამძლავრდა, გალეშილმა და მეფის დამოყვრებით ატაცებულმა ატალოსმა, ახალი დედოფლის ბიძამ, სუფრაზე დაიღრიალა — მაკედონელებო, ეევედრეთ ღმერთებს, რათა კლეოპატრას და ფილიპეს კანონიერი ტახტის მემკვიდრე შეეძინოთო. ასეთმა კადნიერებამ ააფეთქა ალექსანდრე. „ბრიყვო, ნუთუ მე შენ ნაბიჭვარი გგონივარ?!“ — შეჰყვირა ატალოსს და ღვინით სავსე კრატერი სახეში შეანარცხა. შვილის ასეთმა ქცევამ მეფე გააშლეგა, მახვილი გაიძრო და ალექსანდრესკენ გაექანა, მაგრამ ღვინით და მღელვარებით დატვირთულს ნაბიჯი აერია, წაიბორძიკა და დაეცა. ალექსანდრემ კი დამწვარს მდუღარე დაასხა: „შეხედეთ, მეგობრებო, ამ კაცს — ევროპიდან აზიაში რომ სალაშქროდ ემზადება — სკამიდან სკამამდე ისე ვერ მიუღწევია, ძირს არ გაშხლართულიყო“, — დაცინვით შეაძახა მან აშლილ სუფრას [10].

თვითონ ალექსანდრეს დედა გამორჩევით უყვარდა და ოჯახურ კინკლაობაში თითქმის ყოველთვის დედის მხარე ეჭირა. ხოლო ამ ინციდენტის შემდეგ, ოლიმპიადა ალექსანდრეთურთ სამშობლოში წავიდა და ფილიპეს სიცოცხლეში მაკედონიაში აღარ დაბრუნებულა. მაგრამ ალექსანდრე ოჯახური კინკლაობის და დაკა-დაკას ზვარაკად არ იყო დაბადებული — მას „მსოფლიო სისხლი“ უყიოდა და აუცილებლად უნდა მობრუნებულიყო მაკედონიის სასახლეში, იქ, სადაც მაშინდელი მსოფლიოს ბედის ბორბალი უკვე სრულის სისწრაფით აბრუნებულიყო.

ალექსანდრეს დაბრუნება სხვა მოვლენებმაც დააჩქარეს. ერთხელ ფილიპეს მისი უახლოესი მეგობარი სწვევია — კორინთელი დემარატოსი. როგორი თანხმობით ცხოვრობენ ბერძნები — უკითხავს მეფეს. საბერძნეთისას რას კითხულობ, როცა საკუთარი ოჯახისთვისაც ვერ მოგივლიაო, — მოურიდებლად უპასუხია სტუმარს. ფილიპე

გონს მოეგო და დემარატოსი თვითონ გაგზავნა ალექსანდრესთან, შუამავალად და შემოსარიგებლად.

ალექსანდრე პელაში დაბრუნდა, მაგრამ ოლიმპიადა ეპირიდან მაინც აქეზებდა და ახელებდა შვილს მამის წინააღმდეგ. ალექსანდრესაც წაქეზება არ სჭირდებოდა. იგი თვითონაც კარგად ჰხედავდა, როგორ პარპაშებდნენ და „პირველობდნენ" მაკედონიის ტახტის გარშემო ახლად გადედოფლებული კლეოპატრა, ბიძამისი ატალოსი და მათი ნათესაური „დასი". კლეოპატრა ფეხმძიმედ იყო და ალექსანდრეს მემკვიდრეობას საფრთხე ელოდა. სამემკვიდრეო საფრთხე სხვა მხრიდანაც გაუჩნდა ალექსანდრეს. მან შეიტყო, რომ კარიის დინასტმა, პიქსოდოროსმა, თავისი უფროსი ასული ფილიპეს შესთავაზა რძლად, მაგრამ სასიძოდ იგულისხმებოდა არა ალექსანდრე, არამედ ფილიპეს სხვა ვაჟი, სახელად არიდაიოსი, რომელიც მეფეს თესალიელი ხარეისაგან ჰყავდა „უკანონოდ შეძენილი". საქმე ისე მიდიოდა, ქორწინება უნდა შემდგარიყო, მაგრამ ამოქმედდნენ ალექსანდრე და მისი „დასი". პიქსოდოროსს ალექსანდრეს ერთგული კაცი ეწვია — კორინთელი მსახიობი თესალოსი და უთხრა — შენს ასულს რაღა უკანონო და გონებაჩლუნგ არიდაიოსს აძლევ, როცა მას ტახტის კანონიერი მემკვიდრე და უბრწყინვალესი ვაჟკაცი, თვითონ ალექსანდრე გთხოვსო!

ფილიპე დაფრთხა, ალექსანდრეს მივარდა შეშფოთებული, მისი უახლოესი მეგობრის ფილოტას თანხლებით და გაიცხა — ბარბაროსი მეფის მონა-ქალს ცოლად როგორ ირთავო!.. ალექსანდრეს მეგობრებსა და მრჩეველებსაც დაერია მეფე, ყველანი გააძევა, მათ შორის — ჰარპალოსი, ნეარქოსი, ერიგიოსი, პტოლემაიოსი და ლაომედონტოსი[11]. ოლიმპიადას „დასთან" შერიგებაც სცადა ფილიპემ და სწორედ ამიტომ შედგა ქორწინება ფილიპეს ასულისა (მისი სახელიც კლეოპატრაა) და ოლიმპიადას ძმისა.

და სწორედ ამ ქორიწნებაზე დაიკლა „სამსხვერპლო ხარი".

ფილიპე პავსანიამ მოკლა.

პავსანია იმიტომ ყოფილა გამწყრალი, ახალ დედოფალს კლეოპატრას და მის ბიძას ატალოსს მისთვის რაღაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ, შეურაცხყოფილს მეფესთან უჩივლია, მეფესაც თავის მხრივ მომჩივანისთვის ყურადღება არ მიუქცევია და... ამიტომ მოუკლავს პავსანიას მეფე ფილიპე მაკედონელი.

ამ ვერსიიდან მომდინარე პიროვნული შურისძიების მოტივი თა-

ვინთავად დასაშვებია და ანგარიშგასაწევი, მაგრამ აშკარად დასტურდება, რომ პავსანია, მაინც არ ყოფილა ცალკე, მარტოხელა მკვლელი. ჩანს, არსებობდა შეთქმულთა ძლიერი წრე, რომელსაც აზიური გალაშქრების კვირაძალს უნდა მოესპო ამ მსოფლიო წამოწყების მთავარი გმირი. შეთქმულთა შორის იყვნენ ფილიპეს ყრმობის დროინდელი ტახტის მეტოქენი, ლინკესტიდური დინასტიის შთამომავალნი, სამი ძმა — ჰერომენესი, არაბეოსი და ალექსანდრე. ამათ გარდა, ფილიპეს მკვლელობის მონაწილენი იყვნენ მაკედონიის გამძლავრების მომტერენი, ფილიპეს ზეობის ჟამს პრივილეგია-წართმეული არისტოკრატები და ანტიმაკედონური ორიენტაციის ბერძენი პატრიოტები, რომელთაგან ერთ-ერთს, სოფისტ ჰერმოკრატოსს, პავსანიას კითხვაზე — რით შეიძლება კაცმა უდიდესი სახელი მოიპოვოსო — უპასუხნია: მოჰკალი იგი, ვისაც უდიდესი საქმენი უწარმოებიაო [12]. ამ ანეკდოტსაც თუ თავს დავანებებთ, მთავარი ის იქნება, რომ შეთქმულთა წრე და უწინარესად მისი მთავარი გმირი, პავსანია, უხვი სასყიდლით მოესყიდა სპარსეთის სასახლის კარს. თვითონ ალექსანდრემ შემდგომში უტყუვრად შეიტყო, რომ მამამისის მკვლელები სპარსეთის მეფის მოსყიდული აგენტები იყვნენ.

ოლიმპიადა ქმრის სიკვდილის შეტყობისთანავე გაჩნდა პელაში. იგი სიხარულს ვეღარც მალავდა და აღარც მალავდა. არც იმას ერიდებოდა, მიიჩნევდნენ თუ არა მას მკვლელობის მონაწილედ. თითქოს, მნიშვნელობაც აღარ ჰქონია, ვინათგან მისი შვილი, მრავალ „პრეტენდენტთა“ შორის, მაინც ერთადერთ რეალურ კანდიდატად ჩანდა მაკედონიის დაცარიელებულ ტახტზე.

მაკედონელებმა, მაკედონიის არისტოკრატიამ, ჰეტერთა და სარდალთა ორივე თაობამ — ფილიპეს თანამებრძოლებმაც და მით უფრო ალექსანდრეს თანატოლებმა — ერთადერთ კანონიერ და ღირსეულ მეფედ ისევ და ისევ ცნეს ალექსანდრე.

მაშ, იდგა ძვ. წ. 336 წელი და მეფობას იწყებდა 20 წლის ჭაბუკი ალექსანდრე მაკედონელი.

ტახტზე ასვლის დღესვე მან სიკვდილით დასაჯა მამის მკვლელები, მათ შორის ლინკესტიდელი ძმები ჰერომენესი და არაბეოსი; მესამე ძმამ კი, ალექსანდრემ, გამოძიებას დაასწრო, ტახტის მემკვიდრეს ყველაზე პირველად ეახლა და მეფობა მიულოცა. ალექსანდრემ ალექსანდრეს ძველი ცოდვები შეუნდო და სიცოცხლე აჩუქა [13].

ახალი მეფე თითქოს რაიმე სიახლის შემოტანას არ აპირებდა სა-

ხელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მხოლოდ მეფის სახელი გამოიცვალა და არა მეფეო — გამოაცხადა ალექსანდრემ — სახელმწიფოს საქმეებიც ისევე წარიმართება, როგორც მამაჩემის დროსო[14]. მართლაც, მაკედონური სკიპტრის მბრძანებლობა ისევ ორი უმთავრესი მიზანდასახულებით უნდა წარმართულიყო: ერთიანობა მაკედონიასაბერძნეთისა და ომი სპარსეთის დასაპყრობად. „სიახლე" ამ შემთხვევაში მხოლოდ პიროვნების სიმძლავრესა თუ სისუსტეში იყო, კერძოდ, — რამდენად უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა ახალი საჭეთმპყრობელი იმ განაზრახთა აღსრულების საქმეში, რასაც გუშინ სათავეში ედგა აწ გარდასული ძველი გვირგვინოსანი.

დრო გამოცდიდა ყოველივეს.

თავი IV

ალექსანდრე ბალკანეთზე

ხოლო, დროის ბორბალი დასაწყისში არც ისე სახარბიელოდ და სასურველად დატრიალდა ახალი და ახალგაზრდა გვირგვინოსნისთვის.

მცირე აზიაში ატალოსი აჯანყებისთვის ემზადებოდა გამალებული. საბერძნეთშიც ერთბაშად აფეთქებულა რამდენიმე კერა აჯანყებისა, რაიც ბერძნულ-მაკედონური „ერთიანობის“ სრული დაშლით იმუქრებოდა. ათენელებმა, საგანგებოდ მორთული და გვირგვინით თავშემკული დემოსთენეს მეთაურობით, ფილიპეს სიკვდილი იზეიმეს და მის მკვლელს, პავსანიას, სახალხო კრების საპატიო ფსეფისმა (დადგენილება) მიუძღვნეს. დემოსთენემ იმავე კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მაკედონიის ახალ მეფეს „ტუტრუცანა“ („მარგიტეს“) უწოდა და ისეთ მშიშარად წარმოსახა, რომელიც მაკედონიის სასახლიდანაც ვერ გაბედავს ფეხის გამოდგმას. კორინთოს კონგრესზე დადებულ ფიცს ძალა აღარ აქვსო, მამისადმი მიცემული ფიცი შვილის წინაშე ვალდებულებას არ გულისხმობსო, — გაჰყვიროდა დემოსთენე და მოუწოდებდა ათენს, თებეს, თესალიას და მთელს საბერძნეთს — დაუყოვნებლივ გადასდგომოდნენ მაკედონიას. მაშინვე დემოსთენემ შიკრიკები და წერილები აფრინა მცირე აზიაში ატალოსთან და სპარსელ სატრაპებთან, მაკედონიის წინააღმდეგ ჯარის გამოსაყვანად და ფულის გამოსაღებად [1].

მთელი საბერძნეთი ფეხზე დადგა. ყოველმა პოლისმა კვლავ მოინდომა „ელევთერიისა“ და „ავტონომიის“ დაბრუნება. ათენელები სამელეთო და საზღვაო ძალებს იკრებდნენ გამალებულნი. თებელები კადმეადან მაკედონური ციხიონის განდევნას ამზადებდნენ. ამბრაკიელებმა უკვე განდევნეს მაკედონელები. მთელი პელოპონესი იარაღს აღარუნებდა მაკედონური უღლის დასამხობად. სპარტა ხომ თავიდანვე არ ცნობდა მაკედონიის ბატონობას [2].

ალექსანდრემ ჯერ უსისხლოდ სცადა ბერძენთა „გონზე მოყვანა“

და ელჩები დაგზავნა ყველა ბერძნულ ქალაქში. მაგრამ ბერძნებმა ახლოსაც არ გაიკარეს მაკედონელი „ბიჭუნას“ დიპლომატიური შეგონებანი, მათ ეჭვიც აღარ ეპარებოდათ გამარჯვებაში, უკეთუ ალექსანდრე შეეცდებოდა ომის გამართვას. ახლა ხელახლა დაიწყეს ქერონეიის ტრაგედიის „გადახილვა“ და „გადაფასება“. ქერონეასთან სრულიად მაკედონურმა ძალებმა, თანაც თესალიელი ბერძნების თანადგომით, ძლივს მოახერხეს მარტო ათენელებისა და თებელების დამარცხება; ახლა კი მთელი საბერძნეთი ერთიანი ძალებით დამდგარა ფეხზე და რას უნდა გახდეს ერთიან საბერძნეთთან მაკედონიის უმწიფარი მეფე, რომელიც საკუთარ ტახტზეც მორყეულად ზის და რომლის უნარიც „ჩლიფინა“ არისტოტელეს „პერიპატეტიკობას“ ვერ გაშორებია* მერე — მაკედონიის ორივე დიდი სარდალი, პარმენიონი და ატალოსი, მაკედონიიდან შორს არიან, მცირე აზიაში, და ორივენი გაყრილნი არიან, თანაც — პარმენიონს მალე სპარსელები მოუღებენ ბოლოს, ხოლო ატალოსი თვითონ ამზადებს ჯარებს ალექსანდრეს „უკანონო მეფობის“ დასამხობად. ამას ემატება ისიც, რომ მარტო ბერძნები კი არა, მაკედონიის ჩრდილოელი მეზობლებიც — თრაკიელები, ილირიელები, აგრიანები, გეტები და პეონები — ფეხზე დამდგარან მაკედონიის დასამხობად და მოსათხრელად.

და ყოველივე ეს მართალი იყო.

და ალექსანდრეს, ვითარცა მეფეს, მეფობის დასაწყისშივე უმძიმესი გამოცდა ელოდა.

მის ახლო თანამებრძოლებსაც დაჰკარგოდათ იმედი ხსნისა და ურჩევდნენ დაჟინებით — დაეთმო და შერიგებოდა ატალოსს, ძღვენით და საჩუქრებით მოეგო თრაკიელების და ილირიელების გული, ბერძენთა მოალერსებით ჩაექრო საომარი სუნთქვა მთელს ბალკანეთზე და ეგეიდაზე. ასე, რომ ალექსანდრესთვის ახლა გადაუდებლად საჭირო იყო დროის გარკვეულად ხანგრძლივი პაუზა, რომლის შემდეგაც ალექსანდრე, მამამისივით, ყველაფერს დაიწყებდა თავიდან — საბერძნეთის შემოერთებასაც, ჩრდილოელ ტომთა დამორჩილებასაც და აზიაში ლაშქრობის ფიქრსაც.

---

* სიტყვისაგან — „პერიპატეო“, „ვსეირნობ“ — „პერიპატეტიკოს“, „მოსეირნე“; არისტოტელე სეირნობდა და ისე გადასცემდა თავის ფილოსოფიას. ამიტომ მასთან „თანამოსეირნე“ მოწაფეებს ეწოდათ „პერიპატეტიკოსები“ და ასევე, მომავალში — არისტოტელეს ყველა მიმდევარს.

მაგრამ ალექსანდრე არ აღმოჩნდა პაუზების მოყვარული საქეთ-მპყრობელი.

მან ერთბაშად თვალსაწიერში მოიქცია, გაზომა და გაიანგარიშა სამივე საფრთხე — საბერძნეთი, თრაკია და მცირე აზია. და ამოქ-მედდა ელვის სისწრაფით, მანამ სანამ ეს „სამი ძალა“ მის წინააღ-მდეგ ერთიანი ფრონტის შეკვრას მოისაზრებდა.

დაიწყო აზიით, ანუ ატალოსით. თანაც, დაიწყო არა ომით, — რაიც თავისთავად საპიფათოც უნდა ყოფილიყო და სამარცხვინოც (განა, მეფეს ქვეშევრდომთან ომი ეკადრებოდა?!), არამედ მარტივი და პირ-დაპირი განჩინებით: ატალოსი ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადა და სიკვდილი მიუსაჯა. მაშინვე თავის ჰეტერთაგან ამოარჩია ჰეკატეოს კარდიელი და რაზმით გაგზავნა აზიაში. ჰეკატეოსი უნდა შეერთე-ბოდა პარმენიონს და ორივეს ერთად ატალოსი, ან ცოცხალი ან მკვდარი, ჩამოეყვანათ მაკედონიაში.

და იმავ ჟამს მეფემ ჯარებიც შემოიყარა საბერძნეთს სალაშქროდ. მაგრამ მეფემ სალაშქრო გზაზეც განვლა ვერ მოასწრო, რომ პელაში აზიიდან ატალოსის შიკრიკები მოცვივდნენ გულგაბეთქილნი. ატა-ლოსი ალექსანდრეს წერილით აუწყებდა სრულ მორჩილებას, ერთ-გულ ქვეშევრდომობასა და ქვედავრდომილობას, ცრემლიანი სტრი-ქონებით ცდილობდა მასზე გავრცელებული ხმები მეფეს ბოროტ ადამიანთა ცილისწამებად მიეჩნია, და ერთგულების „საბოლოო სიმ-ტკიცისათვის“, დემოსთენესგან გაგზავნილ წერილსაც აახლებდა ატალოსი თავის ქლესაურ ეპისტოლეს [3].

მაგრამ ალექსანდრეს თავი არ შეუწუხებია იმაზე ფიქრით, წრფე-ლი იყო თუ ყალბი ატალოსის წერილი. ამისთვის არც დრო ჰქონდა და არც სურვილი. ატალოსი უნდა მომკვდარიყო, თუნდაც იმიტომ, რომ მკვდრები ეჭვებს აღარ იწვევენ (მკვდრები ცოცხლებს ეჭვების-გან ასვენებენ!). ჰეკატეოსმა ატალოსი მოჰკლა, მისი ჯარი პარმენი-ონს შეუერთდა [4] და ამით „ატალოსის საფრთხეც“ გაქრა.

ალექსანდრე კი საბერძნეთისკენ მიისწრაფოდა ლაშქრით. სწრაფად შევიდა თესალიაში, სწრაფადვე, წვეთი სისხლის დაუქცევლად გა-ითავისა საბერძნეთის ეს უვრცესი ქვეყანა, გაახსენა თესალიელებს „ნათესაობა“, რომელიც მათ „საერთო წინაპრებიდან“ — ჰერაკლედან და აქილევსიდან „მოსდგამდათ“. ასე „დაახვია თავბრუ“ თესალი-ელებს [5], თესალიური კავალერიაც აიყოლია და შუა საბერძნეთისკენ გაქუსლა. თერმოპილეს ხეობაში რომ მივიდა, შედგა და ბერძნული

ქალაქები „სამეგობრო თათბირზე“ მიიწვია. ალექსანდრეს წვევაზე დელფოს აპოლონის ტაძრის ამფიქტიონები გამოცხადდნენ და ალექსანდრეს „ჰეგემონობა“ ისევე აღიარეს, როგორც ადრე მამამისს უმაღლესი ხელისუფლება. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ალექსანდრეს მიწვევას დუმილით უპასუხა საბერძნეთის დიდმა სამეფულმა — თებემ, ათენმა და სპარტამ.

ასეთ დროს დუმილი, თითქოს, რაღაც ძალაზე დაფუძნებულ მუქარას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ეს ვარაუდიც ფუჭი გამოდგა. გამოჩნდა თუ არა ალექსანდრე თებესთან — მაკედონელთაგან ყველაზე დაზარალებულ და გადამტერებულ ქალაქთან — თებელებმა ხელის გაუნძრევლად შეუშვეს იგი აკროპოლისში, კადმეაში, სადაც აქამდეც არხეინად იდგა მაკედონური ციხიონი. ათენშიც, როგორც ხშირად სჩვეოდათ, ბევრს ლაპარაკობდნენ და არაფერს აკეთებდნენ[6]. ხმებს ავრცელებდნენ, ალექსანდრე ყოველ ათენელს თვალების დათხრას უპირებსო, მაგრამ არც ამ მუქარას გამოუფხიზლებია საბერძნეთის „თვალი“ და „ტვინი“ უმოქმედო აპათიისაგან. მხოლოდ დემოსთენეს დაუცხრომელი ლოგოსი სჭექდა ამაოდ ათენელთა აგორაზე.

როგორც კი ალექსანდრე თებედან ათენისაკენ წარემართა, ათენელებმა, — რაც კი რამ სურსათი და საქონელი გააჩნდათ — სოფლებიდან ქალაქში შეჰყარეს და ამნაირად ათენი, მთელი საბერძნეთის თვალისჩინი — „ელადა ელადაში“ — უცებ ცხვარ-ძროხის აქოთებულ თავლად გადაიქცა. ალექსანდრე კი სწრაფად ახლოვდებოდა. მეტი საშველი აღარ იყო და იკადრა ათენმა ელჩობის გაგზავნა. ელჩობაში დემოსთენეც იყო, მაგრამ იგი გზიდან გაბრუნდა, — ალბათ, შეუშინდა ატალოსთან და სპარსელებთან მიწერ-მოწერის გამჟღავნებას[7].

ალექსანდრემ ალერსიანად მიიღო „საყვარელი ათენელები“, დაუყვავა, „უნებლიე შეცოდებანი“ აპატია, თვალების დათხრის მუქარისა თითქოს არაფერიც არა სცოდნოდა, მხოლოდ ფილიპეზე მიცემული ფიცის დაცვა „შეახსენათ“ და ახალ „დაკისრებად“ სხვა არაფერი უკადრებია, გარდა იმისა, რომ ათენს წარმომადგენელი უნდა გაეგზავნა კორინთოში, სადაც ახლა თვითონ მეფე მიემგზავრებოდა ახალი, საყოველთაო ბერძნული „კონგრესის“ გასამართავად.

მაშ, იდგა 336 წელი და ალექსანდრე მაკედონელი, — ისე ვითარცა ერთი წლის წინათ მამამისი ფილიპე II — იწვევდა „მეორე კონგრესს“ კორინთოში. მოწვეული იყვნენ ყველა ბერძნული ქალაქები, მათ შორის სპარტა. და ისევ მარტო სპარტელები არ გამოცხადდნენ

და მხოლოდ მათთვის ჩვეული „მშობლიური ლაკონიურობით“ შემოთვალეს: წინაპართაგან ჩვენ ნაანდერძევი გვაქვს არა სხვის კუდში ჩანჩალი, არამედ თვითონ ვიყოთ მუდამ სხვათა წინამძღოლნიო [8].

მაგრამ კორინთოს მეორე კონგრესიც სპარტელების გარეშე ისევ მაკედონიის სასახლის კარის წარმატებით დამთავრდა. ისევ გამოცხადდა ბერძენ-მაკედონელთა „ერთიანობა“ და „კავშირი“, ისევ დაიფიცეს ბერძნებმა ამ „კავშირის“ და მისი „ჰეგემონის“ — მაკედონიის მეფის ერთგულება. კვლავ გამოცხადდა „ნაციონალური“ და „საღვთო ომი“ სპარსეთის წინააღმდეგ, და დადგინდა ბერძნულ-მაკედონური ერთიანობის საომარ ძალთა მთავარსარდლად მეფე ალექსანდრე მაკედონელი *.

კორინთოდან გამობრუნდა ალექსანდრე **. პელაში მისვლამდე დედამისს ოლიმპიადას ქვრივი დედოფლის, კლეოპატრასთვის, ახალშობილი ვაჟი ზედ მკერდზე მიეკლა და კლეოპატრასაც მაშინვე სარტყელით თავი ჩამოეხრჩო [9]. დედის ასეთი სისასტიკე თითქოს „იწყინა“ ალექსანდრემ. მაგრამ მეფის „წყენას“ ანგარიში არ გაუწიეს და ალექსანდრეს ყველა „უკანონო ძმა“ ამოწყვიტეს, არიდაიოსის გარდა. არიდაიოსი ჭკუაშერყეული იყო და მეფობისთვის უვარგისი, და ასეთ „უფლისწულს“ ჰქონდა სიცოცხლის „უფლება“...

335 წლის ადრიან გაზაფხულზე ალექსანდრემ ჯარები დაძრა ჩრდილო ბალკანეთის აჯანყებული ტომების ხელახლა დასამორჩი-

---

* არსებობს გადმოცემა, რომელიც მოგვითხრობს კორინთოში ალექსანდრეს შეხვედრას ცნობილ ფილოსოფოს დიოგენესთან. როცა აქ ალექსანდრეს ყველა ცნობილი ადამიანი ეახლა და გამარჯვებები მიულოცა, მხოლოდ დიოგენემ არაფრად ჩაგდო ახალგაზრდა მეფე და არ წავიდა მის სანახავად, მაშინ თვითონ ალექსანდრე ეახლა მოხეც ბრძენს, რომელიც მისი მარადიული „საცხოვრისიდან“ — კასრიდან გამომძვრალიყო და მზეზე თბებოდა. ალექსანდრე მივიდა, მიესალმა და უთხრა: მითხარ, რაც გინდა და შეგისრულებო; — გთხოვ, ცოტა იქით გაიწიო, მზეზე ნუ მეფარებიო. — უპასუხია გულგრილად დიოგენეს. „ვფიცავ ღმერთებს, მე რომ არ ვიყო ალექსანდრე, ვინატრებდი დიოგენობასო“, — უთქვამს მეფეს თავისიანებისთვის (იხ. პლუტ., ალექს., 14; პავს., II, 2, 4).

** კიდეე ლეგენდა: ალექსანდრემ უკან დაბრუნებისას დელფოში გამოიარა, აპოლონის ტაძრის მისანთან, პითიასთან სამკითხაოდ. პითიამ უარი შეუბედა მკითხაობაზე. მაშინ ალექსანდრემ მაჯაში ხელი ჩაავლო და ძალით სცადა სამკითხაოდ მისი წაყვანა. პითიამ შეპყვირა: „უმაწვილო, შენ ვერაფერი უნდა დაგიდგეს წინ!“ — „საკმარისია, შენ უკვე მიწინასწარმეტყველე: მე ვერაფერი დამიდგება წინ!“ — შესძახა და მოეშვა მკითხავს ალექსანდრე.

ლებლად. ამფიპოლისიდან გავიდა, როდოპის მთებში ჩასაფრებული „დამოუკიდებელი თრაკიელები“ [10] გადაქცელა, მთის მწვერვალზე ავიდა და ღმერთ დიონისე თრაკიელს მსხვერპლი შესწირა. იქიდან ალექსანდრე გაეშურა ტრიბალებისკენ, რომლებიც არც ფილიპეს მორჩილებას ურიგდებოდნენ, არც მისი შვილისას. ალექსანდრემ მძიმედ დაამარცხა ტრიბალები, მაგრამ ვერ შეძლო აეღო ისტროსზე მდებარე კუნძული პევკე, სადაც თავი შეაფარა ტრიბალთა ბელადმა სირმიოსმა, სიკვდილს გადარჩენილი თანამებრძოლებით, ოჯახებით და ავლადიდებით. კუნძულს თავი მიანება ალექსანდრემ, ისტროსი გადალახა და მის მარცხენა ნაპირზე გაანადგურა გეტების მეოთხრული ტომი. უკანვე გადმოლახა მდინარე და გადმოსვლისთანავე მორჩილება და „კუბოს კარამდე“ ერთგულების ფიცი შეაგებეს ტრიბალებმა.

ტრიბალთაგან პეონიაში გადმოვიდა ალექსანდრე, იქიდან ილირიაში შეიჭრა და პელიონის მთაში ჩასაფრებულ აჯანყებულებს მიაშურა. ილირიელებმა ბრძოლის წინ ღმერთებს სამი ბიჭი, სამი გოგო და სამი შავი ცხვარი დაუკლეს და, მეფე კლიტოსის მეთაურობით, მტერს შეებნენ. მძიმე ბრძოლები ისევ მაკედონელთა გამარჯვებით გათავდა. მეფე კლიტოსი მეზობელ ტომთან, ტავლანტიელებთან გაიქცა მაშველი ჯარის საშოვნელად. ტავლანტიელთა ბელადმა. გლავკიამ, მეზობლის გასაჭირი გაიყო და თვითონაც იარაღი აიხსნა. ბრძოლა გაგრძელდა. ალექსანდრეს ნიჭმა და სიმამაცემ მაინც თავისი გაიტანა. ილირიელები და ტავლანტიელები დამარცხდნენ. ილირიამ მაკედონელთა ბატონობის უღელი იტვირთა. კლიტოსი ისევ ტავლანტიელებთან გადაიხვეწა [11].

საბერძნეთი კი მთელი ზაფხული გაჩუმებული და გამტკნარებული უსმენდა ჩრდილოეთიდან კანტიკუნტად მოვარდნილ საომარ ყიჟინასა და საჭურვლის ზრიალს.

უცებ ჩრდილოეთიდან ამბავი მოიჭრა, მოულოდნელი და ბერძენი პატრიოტებისთვის ფრიად სანატრელი: ალექსანდრე მაკედონელი ტრიბალებთან რომელიღაც შეტაკების ჟამს დაიღუპაო! სიხარულით აფოფინებულმა დემოსთენემ ათენელთა სახალხო კრების წინაშე წარადგინა კაცი, რომელმაც გამოაცხადა, რომ იგი თვითონ მონაწილეობდა იმ საბედისწერო ბრძოლაში, თვითონ კიდევაც დაიჭრა და თავისი თვალით იხილა როგორ დაეცა მკვდარი ალექსანდრე მაკედონელი! [12] სხვა რაღა იყო საჭირო მეოცნებეთა დასარწმუნებლად! ისევ

აუღორძინეს საომარი სუნთქვა ათენელებს დემოსთენემ, ლიკურგემ და მათმა თანამებრძოლმა „ანტიმაკედონელებმა“.

ალექსანდრეს სიკვდილის ამბავმა გაახარა და აღაფრთოვანა თებე, რომლის აკროპოლისში, კადმეაში, ჯერ ისევ იდგა მაკედონური ციხიონი. ათენში თავშეფარებული თებელი ემიგრანტები ჯარსა და ხალხს ამზადებდნენ კადმეის გასათავისუფლებლად. კორინთოს კონგრესზე დადებული ფიცით ყოველი ქალაქი უარს ამბობდა საომარი ძალებით დახმარებოდა სამშობლოში დაბრუნების მოსურნე ემიგრანტებს. მაგრამ ახლა, როცა მეფე „მკვდარი იყო“, მკვდრად ცხადდებოდა მასთან დადებული ყოველგვარი ფიციც და მტკიციც! ერთი სიტყვით. დემოსთენესა და მის თანამებრძოლთა ხელშეწყობით, ემიგრანტები ღამით შევიდნენ მშობლიურ თებეში, მათ სათავეში ედგნენ ფენიქსი და პროთიტესი, რომელთაც მისვლისთანავე, — ვითომ მშვიდობიანი „რაიმეს სათქმელად“ — კადმეადან გამოიხმეს მაკედონური ციხიონის მეთაურები ანემეტა და ტიმოლაოსი. გამოიხმეს და იქვე ჩახოცეს. მასუკან საომარი განგაში ასტეხეს, თებელთა კრება შეჰყარეს, ალექსანდრეს სიკვდილი ამცნეს და უმეფოდ დარჩენილ მაკედონელთა წინააღმდეგ საომრად მოუწოდეს. თებელებმა იარაღი აისხეს და კადმეაში გამაგრებული მაკედონელები ალყაში მოაქციეს. დემოსთენემ სპარსეთიდან მიღებული ფულით იარაღი იყიდა და თებელებს გაუგზავნა. ათენელებიც შესდგომოდნენ საომრად აღჭურვას. პელოპონესიდან თებეს საშველად უკვე წამოსულან ელიდელნი და არკადიელნი. შუა საბერძნეთში ეტოლიელებიც იკაზმებოდნენ თებელებთან თანასაომრად.

და უეცრად, მოულოდნელი ღვთის რისხვასავით, გაჩნდა ალექსანდრე ჯარით შუა საბერძნეთში. როგორც კი თებეს აჯანყება შეეტყო, მაშინვე დაძრულიყო და ილირიიდან თებემდე უმძიმესი გზა ექვს დღეში დაეფარა მგლურით მომავალს.

მოდიოდა და მოიქადნიდა ალექსანდრე: დემოსთენე ათენელი ილირიაში ჩემი ყოფნისას თურმე ბიჭს მეძახდა, თესალიაში ყოფნისას — ბიჭუნკელას და ახლა ათენში ვაჟკაცად ვეახლებიო.

„მკვდრეთით აღმდგარი მეფის“ გამოჩენამ შეარყია საბერძნეთი. იქნებ მეფე არ არის და „სხვა ვინმე ალექსანდრე“ არისო, — ეჭიდებოდნენ ხავსს ზოგიერთები. მაგრამ მწარე სინამდვილე უმალვე სარწმუნო გახდა.

ალექსანდრეს გამოჩენის პირველივე ნაყოფი ის იყო, რომ თებეს

საშველად ფეხზე დამდგარი ბერძენი მოკავშირენი ადგილზევე ჩაქ-ეავდნენ და ჩაიჩუმქრნენ.

თებე მარტო დარჩა.

უფრო მეტიც, — ბერძენთაგან ზოგიერთები — ფოკიდელნი, პლა-ტეელნი, თესპიელნი და ოქრომენელნი — მაკედონელებს შეუერთდნენ მათი მარადიული მეტოქე-მოძმის, თებეს დასამხობად და მოსათხრე-ლად.

მაგრამ მოულოდნელად, თვითონ ალექსანდრემ თებელებს სისხლ-დაუქცეველი შერიგება შესთავაზა, ოღონდ თებელებს, პატიების სა-ფასურად, მეფისთვის მძევლებად აჯანყების მეთაურები, ფენიქსი და პროთიტესი უნდა მიეცათ.

საგანგებოდ შეყრილმა თებელთა კრებამ მძულვარებით უარყო მაკედონელის მოთხოვნა და მტკიცედ გადაწყვიტა სამკვდრო-სასი-ცოცხლოდ შებმოდნენ კარს მომდგარ მტერს.

პირველნი თვითონ თებელები გამოუხტნენ მაკედონელებს, მაგრამ მაკედონელებმა პირველი დატაკებისთანავე უკუაქციეს ისინი. ასე გაგრძელდა „მი-მო-ქცევა“ რამდენიმე დღეს. ალექსანდრე უცდიდა, როდის „მოეგებოდნენ გონს“ თებელნი. ბოლოს, პერდიკამ ველარ მო-ითმინა და ალექსანდრეს დაუკითხავად, თავისი რაზმით, ქალაქზე იერიში მიიტანა. სასტიკ შეტაკებაში პერდიკა მძიმედ დაიჭრა და ბრძოლიდან გაიტანეს. პერდიკა ამინტამ შეცვალა და მაკედონელთა იერიშები გაგრძელდა. თებელები გააფთრებით იცავდნენ თავს.

მაშინ ალექსანდრე თვითონ გაუძღვა მთავარ ძალებს. იმავდრო-ულად კადმეადან მაკედონური ციხიონიც გამოიჭრა დ ზურგიდან და-ეცა ალექსანდრესთან პირისპირ შებმულ თებელთა ლაშქარს.

ალექსანდრეს ფალანგამ თებეს კარიბჭენი შემუსრა და ქალაქში შეიჭრა. თებელები ისევ იბრძოდნენ თავგანწირვით, სიკვდილთან წილყრით; იბრძოდნენ ქუჩებში, მოედნებზე, შუკებში, სახლის ყო-ველ კუთხესა და კუნჭულში. გამხეცებული მაკედონელები დაუნ-დობლად და განუკითხავად ჟლეტდნენ ყველას — კაცსა და ქალს, დიდსა და მცირეს, ჩვილსა და მოხუცს; ხოცავდნენ ყველგან, სადაც წაეწეოდნენ — გზაში თუ სახლში, საწოლზე თუ სალოცავ საკურთხე-ველზე.

ბრძოლა გათავდა. 6000 თებელი მკვდრად დარეცილიყო მშობ-ლიური ქალაქის მიწაზე. ალექსანდრემ ბეოტიელი „მოკავშირეები“ შეჰყარა და დამარცხებული ქალაქის გასამართლება მიანდო. ბე-

ოტიელთა „სასამართლომ“ ბეოტიის ყველაზე დიდ ქალაქს ისეთი სასჯელი დაუდგინა, რასაც მოძმე-მეზობელი კი არა, რომელიმე აღმოსავლელი მოსისხლე დესპოტი თუ მოიფიქრებდა. (თუმცა წინარე ხანაში არც თებე აკლებდა ხელს მეზობელი ბეოტიური ქალაქების აკლებასა და აოხრებას). 30.000 თებელი მონად გაჰყიდეს (მათი გაყიდვით ალექსანდრემ 440 ვერცხლის ტალანტი მიიღო). მთელი ქალაქი, კადმეას გარშემო, დაანგრიეს, მოთხარეს და უდაბნოდ აქციეს. კადმეაში ისევ მაკედონური ციხიონი ჩადგა, ტაძრებისა და ნაქალაქარის სამეთვალყურეოდ. მიწა-წყალი, რაც აქამდე თებეს ეკუთვნოდა, მაკედონელის ყმა-ქალაქებმა — ორქომენმა, თესპიამ და პლატეამ გაინაწილეს [13].

მხოლოდ ქურუმებისა და პინდაროსის შთამომავალთა საცხოვრებლები დარჩა დაუნგრეველი თებეში. ასეთი იყო ბრძანება სახელოვანი პოეტის მოთაყვანე ალექსანდრე მაკედონელისა.

ხოცვა-ჟლეტის დასასრულს ალექსანდრეს მისმა ჯარისკაცებმა ერთი დატყვევებული თებელი ქალი მოჰგვარეს, სახელად ტიმოკლეა. იგი აღმოჩნდა დაი იმ თეაგენესი, თებელთა „საღვთო რაზმს“ რომ მეთაურობდა ქერონეიის ბრძოლაში და იქვე რომ დაიღუპა თავის თანამემამულეებთან ერთად. ტიმოკლეა თურმე რომელიღაც თრაკიელ ჯარისკაცს გაუბაბეია და მერე ოქრო-ვერცხლიც მოუთხოვია. ქალს ჯარისკაცი ჭასთან მიუყვანია, ოქრო იქ დავმალეო, — უთქვამს და ჭისკენ გადახრილი გამბახებლისთვის ხელი უკრავს. შიგ გადაუგდია და ზევიდან ქვა-ლოდით ჩაუქვავებია. ალექსანდრეს დიდსულოვნური პოზების გათამაშება უყვარდა და ტიმოკლეა მისი შვილებითურთ თავისუფალი განუტევა [14].

თებეს ტრაგედიამ თავზარი დასცა მთელს საბერძნეთს. ველურმა შიშმა სავსებით დათრგუნა გუშინდელი პატრიოტული ენთუზიაზმი. თებელთა სინანულით მოხსენიებასაც ვეღარ ბედავდნენ და „გარისხებული აქილევსის“ მახვილის ხელახალ მოქნევას კისრის ერეოლით ელოდნენ.

არკადიელებმა სასწრაფოდ უკან გაიწვიეს თებეს საშველად გამოგზავნილი ჯარი და მაკედონიის სამტროდ წამოყენებული ომის ინიციატორები სიკვდილს მისცეს. ელიდამ განდევნილი „მაკედონური პარტიის“ წარმომადგენლებს ამნისტია გამოუცხადა. ეტოლიელებმაც ალექსანდრესთან ელჩები გაგზავნეს პატიებისა და შეწყნარების თხოვნით.

პირველი პასუხისგება მაინც ისევ ათენს მოეთხოვებოდა — მთელი საბერძნეთისთვის ყოველთვის „პირველ პასუხისმგებელს“. თებელთა ყოველი აღზევებაც ყოველთვის თებეს მესვეურთა „ათენური ემიგრანტობით“ იწყებოდა და ეს უკანასკნელი ანტიმაკედონური გამოხდომაც თებელმა პატრიოტებმა „ათენური ბუდიდან გადმოფრენით“ დაიწყეს.

თებეს ამოწყვეტისა და დანგრევის ამბავი ათენში სექტემბრის დამდეგს, დიდი მისტერიების დღესასწაულის დროს მოვიდა. შეძრწუნებულმა ათენელებმა ზეიმი შეწყვიტეს და მოძრავი ქონება სოფლებიდან ისევ ქალაქში შეზიდეს. შიში შიშად გავრცელდა, მაგრამ თებედან გამოქცეულ ახალ ემიგრანტებს თავშესაფარზე უარი მაინც ვეღარ უთხრეს. შეიყარა სახალხო კრება. პირველი გამოვიდა დემადე, რომელმაც მოითხოვა დაუყოვნებლივ შეედგინათ ელჩობა, ალექსანდრესთვის „სასიამოვნო“ ათი კაცისაგან; ელჩობა სასწრაფოდ უნდა ხლებოდა მეფეს, ჯერ მისთვის უნდა მიელოცა ტრიბალებზე და ილირიელებზე გამარჯვება, მერე აჯანყებული თებეს დამარცხება და მიწასთან გასწორება და ბოლოს, ათენის ძველი სტუმართმოყვარეობის უფლებრივი ცნობა, მათთან თავშეფარებულ ემიგრანტთა ხელშეუხებლობის დაცვით.

ასეთი სათხოვრით წარსდგა „სასიამოვნო ათეული“, დემადეს მეთაურობით, ალექსანდრეს წინაშე, — თითქოს სხვა რამ დანაშაული ათენს „თებეს კაზუსთან“ დაკავშირებით არც ჩაედინოს და ამიტომ არც რაიმე „შესაწყალებელი“ სათხოვარი გასჩენოდეს.

ეღარც ალექსანდრემ გაართულა საქმე. მას აზიაში ჯარების გადასხმა ეჩქარებოდა და ათენთან საომარი მდგომარეობის შექმნა, თუ არ ჩაშლიდა, უეჭველად ძალზე დააბრკოლებდა მეფის მთავარი განაზრახის განხორციელებას. ამიტომ მან ხმალზე ხელი აიღო; მაგრამ ეს ორი მოთხოვნა მაინც წაუყენა ათენს: თავშეფარებულ თებელთა განდევნა და იმ ათენელ პოლიტიკოსთა გაცემა, რომლებიც ფილიპეს დროიდან განუწყვეტლივ ომსა და მტრობას აღვივებდნენ მაკედონელთა წინააღმდეგ. ასეთ ომის გამჩაღებლად ალექსანდრე ასახელებდა ათ კაცს და მათ შორის — დემოსთენეს, ლიკურგეს, ჰიპერიდეს, ეფიალტეს, ქარიდემოსსა და ქარესს.

ალექსანდრეს მოთხოვნებმა ცხარე კამათი გამოიწვია ათენელთა სახალხო კრებაზე. ერთხმად იქნა უარყოფილი თებელ ლტოლვილთა განდევნა, მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით კი, ორი სხვადასხვა

აზრი დაეჯახა ერთმანეთს: „მაკედონური პარტიისანი“, ფოკიონის მეთაურობით, მოითხოვდნენ მოწინააღმდეგე „ანტიმაკედონური პარტიის“ მესვეურთა გაცემას, ხოლო „ანტიმაკედონელები“ თავს იცავდნენ და კრებას მოუწოდებდნენ ალექსანდრეს მოთხოვნის უარყოფას. თვითონ დემოსთენე შებღალოდა ხალხს: ისე ნუ მოიქცევით, როგორც ერთ იგავში ცხვრები თავის დამცველ ძაღლებს მგელს აძლევენო. თავის მხრივ, ფოკიონ „პატიოსანი“ გაიძახოდა დაჟინებულად — ვის გადაცემასაც მეფე მოითხოვს, იმათ ვაჟკაცობა უნდა ეყოთ. თვითონ ჩაბარდნენ და სამშობლო მოსალოდნელი უბედურებისგან იხსნანო. ბოლოს, დემოსთენემ დემადეს მოსყიდვა მოახერხა, მასუკან ფოკიონიც დაითანხმა და სახალხო კრებამ ალექსანდრეს მეორე მოთხოვნაც უარყო.

ათენელთა ეს დადგენილება თვითონ ფოკიონმა და დემადემ მიართვეს ალექსანდრეს. მაკედონიის „დიდსულოვანმა“ ხელმწიფემ ისევ დაუთმო ათენს. თებელ ემიგრანტთა და ანტიმაკედონელ ათენელთა განდევნის მოთხოვნაზე ხელი აიღო, მაგრამ შერისხულთაგან ერთი მაინც გააძევებინა ათენელებს — ქარიდემოსი, ყველაზე თავზეხელაღებული ანტიმაკედონელი ათენში. ქარიდემოსი გაიქცა სპარსეთში. მალე მის კვალს მიჰყვა ეფიალტეც.

ბალკანეთზე საომარი ყიჟინა და ნაღარის ხმა შეწყდა. დუნაიდან იონიის ზღვამდე ყოველივე ხელთ ეპყრა ალექსანდრე მაკედონელს. 335 წლის შემოდგომაზე იგი, — ჯერჯერობით მხოლოდ „ბალკანეთის მეფე“ — დაბრუნდა პელაში, მაკედონიის სასახლეში. დაბრუნდა და გამალებით შეუდგა მომავალი წლისთვის აზიის დასალაშქრავ-დასაპყრობ საჰზადისს. თვითონაც შეგნებული ჰქონდა, რომ წელიწადი ესე — შემდგომი დროის წელთსათვალავით, ქრისტეს წინარე 334 — სანიშანსვეტო უნდა ყოფილიყო არა მარტო მისი ჩიატანოვანი სამშობლოსათვის, არამედ სრულიად მაშინდელი და მომავალი მსოფლიოსათვის.

იგი „მსოფლიო ომს“ ამზადებდა. კრებდა ჯარებს, აგებდა ზომალდებს, აწყობდა თათბირებს, კრებდა ცნობებს აზიის ქვეყნებზე, მათ ბუნებრივ პირობებზე, სწავლობდა ყოველ წვრილმანს, რასაც მის სალაშქრო გზაზე რაიმე როლის შესრულება დაკისრებოდა. რაც მთავარია, მას ყოველდღიური, ახალ-ახალი ცნობები ჰქონდა სპარსეთის შინაური ცხოვრების, პოლიტიკური ცვლილებების, ახალ პოლიტიკურ

ვნებათა და ტენდენციათა წარმოშობა-წარმომავლობის, საომარ ძალთა განლაგების და განწყობილების შესახებ.

აზიურ ლაშქრობაში, ურიცხვი სიმდიდრისა და უდიდესი სახელდიდებისათვის, იგი იწვევდა ყოველ ბალკანელ ბელადს — ბერძენსა და მაკედონელს, თრაკიელსა და ილირიელს, აგრიანსა და ტრიბალს — ყველას, ვისაც ადგილზე დარჩენილს შეიძლება „ანტიალექსანდრული“ შეთქმულების ჟინი აღძვროდა, ხოლო ალექსანდრეს თანამოლაშქრობით ნამდვილი „ალექსანდრული სიმამაცე“ გამოეჩინა და პირველი დიდი ევროპული ლაშქრობისთვის სარგებლობა მოეტანა.

მძიმე და ხანგრძლივ ომში მიმავალს ადვილობრივ, ბალკანურ სამფლობელოთა შენარჩუნებაზე ფიქრი ერთის წუთითაც არ ავიწყდებოდა. მას მაკედონიაში უეჭველად ძლიერი „თავის მაგიერი“ უნდა დაეტოვებინა და შეარჩია კიდეც ასეთი. ეს იყო ანტიპატროსი — უერთგულესი კაცი ჯერ ფილიპესი, მერე ალექსანდრესი. ანტიპატროსს ევალებოდა დაუკლებლად შეენარჩუნებინა მეფისგან მიბარებული სამბრძანებლო საზღვრები, დაეცვა შინაგანი სიმშვიდე, ტახტის სიმტკიცე და ყოველივე ნივთიერი თუ სულიერი კეთილდღეობა. საომარ ძალად მეფემ ანტიპატროსს დაუტოვა 12 000 ქვეითი და 1500 ცხენოსანი მეომარი.

ანტიპატროსი და პარმენიონი იმასაც ურჩევდნენ ალექსანდრეს, ჯერ ცოლი შეირთე, ტახტის მემკვიდრე გაიჩინე და აზიაში მერე გაილაშქრეო, მაგრამ მეფემ შორს დაიჭირა, — განა სირცხვილი არ იქნება, მთავარსარდალი, რომელსაც ჯარები სალაშქროდ ელოდება, ქორწილით ერთობოდეს და შვილების დაბადების ცდაში უქმად იჯდესო! [15]

ისე მიილტვოდა აღმოსავლეთის უსასრულო წიაღისაკენ, თითქოს, უკან დაბრუნებას აღარც ფიქრობდა. ყოველივე და ყველაფერი, რაც პირად ქონებად გააჩნდა, სულ ერთიანად დაარიგა და დაფანტა ახლობელთა და მეგობართა შორის. „კი მაგრამ ასე ყველაფერს რომ არიგებ, შენთვის რაღას იტოვებ, მეფეო? — უკითხავს მისთვის პერდიკას. „ჩემთვის იმედს ვიტოვებ“, — უპასუხია ალექსანდრეს. „მაშინ ჩვენც, შენი თანამოლაშქრენი, მაგ იმედს გავინაწილებთო“, — ამ სიტყვებით პერდიკას უარი უთქვამს თავის წილ სამეფო ძღვენზე. ხოლო „იმათ, — ვინც იღებდა ნაბოძებს და ვისაც დახმარება მართლა სჭირდებოდა, ალექსანდრე ყველას ხალისით და უხვად ასაჩუქრებდა.

ასე დაანაწილა მან თითქმის მთელი ქონება, რაც მაკედონიაში მოეძებოდა“ [16]. ასე, რომ აზიაში გალაშქრების წინა დღით სახელმწიფო ხაზინაში 60 ტალანტზე მეტი აღარ მოიძებოდა [17].

დიდი „ღვთაებრივი იმედით“ ავსებული ახალგაზრდა გვირგვინოსნის წინაშე გაშლილი იყო მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო — სპარსეთი.

სპარსეთი ალექსანდრეს გალაშქრების წინ

სპარსეთს ამ დროისათვის უკვე გავლილი ჰქონდა თავისი დიდი ისტორია. უკვე ორას წელს გადაშორებოდა მისი ბატონობა მსოფლიოზე.

სპარსეთის სახელმწიფო დააარსა 550 წელს კიროს უფროსმა, აქემენიდმა (550—529), რომლის შემდგომ მის მაღალსა და მორჭმულ ტახტზე თანმიყოლებით ისხდნენ: კამბიზი (529—522), დარიოს I (521—486), ქსერქსე (486—465), არტაქსერქსე I (465—424), ქსერქსე II (424), სოგდიანე (424—423), დარიოს II (423—404), არტაქსერქსე II (404—358), არტაქსერქსე III (358—338) და არსესი (338—336).

აქედან — პირველი ოთხი დიდი ხელმწიფის დროს სპარსეთი იქცა მანამდე გაუგონარი სივრცისა და სიფართოვის ქვეყნად. იგი გადაჭიმული იყო ეგეკასიონიდან არაბეთის ზღვამდე და ინდოეთიდან — ეთიოპია-ლიბიამდე.

აქ დასახელებულ ხელმწიფეთაგან ორი უკანასკნელი — არტაქსერქსე III და არსესი — ფილიპე II მაკედონელის თანამედროვენი იყვნენ.

არტაქსერქსე III — ზედნადები სახელით „ოხოს“ — ტიპიური ძველაღმოსავლელი დესპოტი იყო, სისხლისმოყვარე, ვერაგი, ცბიერი, გარყვნილი სულით და მრუში სხეულით. მეფობა ძმებისა და მათი „თანამოდასეების“ ამოწყვეტით დაიწყო, მერე სახელმწიფოს ყოველ კუთხეში ოდნავ „საეჭვოებს“ მისდგა და უწყალოდ გაუუჟა.

მონარქიაში აჯანყებანი მძვინვარებდნენ, განუწყვეტლივ და განუცადებლად.

შეკავშირდნენ და აჯანყდნენ იონიისა და ფრიგიის მმართველნი „სატრაპნი“ — ორონტი და არტაბაზი. ორონტმა ათენთან გააბა საკავშირო ურთიერთობა, არტაბაზმა კი როდოსთან, რომელსაც მამაცი

და ნიჭიერი ძმები განაგებდნენ — მენტორი და მემნონი. ორივე ძმა დაიმოყვრა აჯენყებულმა სატრაპმა — ცოლად შეირთო მათი და. ცოლის ძმებმა ბერძენ მოქირავნეთა ჯარები მოართვეს სიძეს. ათენიდანაც მოვიდა დამხმარე ძალა ქარიტეს, ქარიდემოსისა და ფოკიონის სარდლობით. 357 წელს ათენელებმა დაამარცხეს კიდეც სპარსელი მეფის ჯარი, მაგრამ არტაქსერქსემ მუქარა შეუთვალა ათენს, — თუ ჭკუას არ მოეგებით, სამას ხომალდს ახლავე გამოვგზავნი თქვენი მტრების მისაშველებლადო. ათენელებიც უმალვე „მოეგნენ გონს“ და მეფის სამტრო კავშირს ჩამოშორდნენ. სამაგიეროდ არტაბაზმა თებედან მიიღო მაშველი — 5000 მოქირავნე მეომარი, პამენოსის სტრატეგოსობით. თებელთა დახმარებით, არტაბაზმა ორჯერ ზედიზედ დაამარცხა მეფის ჯარები. მაგრამ უცებ მდგომარეობა შეიცვალა. არტაბაზმა შეიტყო, რომ პამენოსი არტაქსერქსეს კართან რაღაც საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა. სპარსეთის მეფეს თებეში დიდძალი ფული გაეგზავნა და, ეტყობოდა, პამენოსიც თებედან საიდუმლოდ მიღებული მინიშნებით მოქმედებდა. არტაბაზმაც აღარ დააყოვნა და თებელი სარდალი დილეგში ჩაამწყვდია. მაგრამ მალე ამას აჯანყების კრახი მოჰყვა (351 წ.). არტაბაზი და მემნონი მაკედონიაში გაიქცნენ, ხოლო მენტორი — ეგვიპტეში.

თითქმის ორასი წელიწადი გასულიყო მას შემდეგ, რაც სპარსეთის ხელმწიფეს, კამბიზს ეგვიპტე დაეპყრო (525 წ.). ეგვიპტე — ეს „მთელი მსოფლიოს პირველი სკოლა“ [1] — მუდმივი აჯანყების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის კერა იყო სპარსეთის „ყოვლისმომცველ“ მონარქიაში.

მეფე არტაქსერქსე III ჯერ კიდევ უფლისწულობის ჟამს, მამის ზეობისას, მოუხდა აჯანყების ცეცხლში გახვეულ ეგვიპტეში წასვლა. მაშინ მაინცდამაინც ვერ ისახელა თავი „ოხოსმა“. ეგვიპტის აჯანყება შინაურმა არეულობამ, ფარაონის ტახტისათვის ბრძოლამ და ურთიერთმტრობამ ჩააქრო. მაგრამ არტაქსერქსე III ტახტზე ასვლის დღიდანვე განუცადებლად გრძნობდა ნილოსის დელტიდან ახალ აჯანყებათა საშიშროებას.

354 წელს საბერძნეთში ხმა დაირხა, რომ სპარსეთის მეფე არტაქსერქსე ოხოსი ამზადებდა ახალ გრანდიოზულ, „ორ-ნაწილიან ლაშქრობას“ — ჯერ, ეგვიპტის ხელახალ დაპყრობას, მერე საბერძნეთში შესევას. იგი თითქოს იმეორებდა დარიოს I-ისა და ქსერქსეს დროინდელ „მსოფლიო შესევებს“ საბერძნეთში, რასაც ორივეჯერ წინ

უსწრებდა აჯანყებული ეგვიპტის ხელახალი დალაშქვრა და დათრგუნვა. ათენში დაბეჯითებით გაიძახოდნენ, რომ ოხოსი უკვე დაძრულა ზღვით და ხმელეთით, მოდის და უკან, „უკვდავ ათასეულთა“ გარდა, მოსდევს ოქროთი დატვირთული 1200 აქლემი და ამ საჭურჭლეებით მან აზიურ საომარ ძალებს გვერდით უნდა ამოუყენოს ბერძენ მოქირავნეთა ათასეულები. მაგრამ ხმები გაზვიადებული აღმოჩნდა. სპარსელთა ჯარები ჯერ კიდევ ბაბილონიდან არ გამოსულიყვნენ. რაც მთავარია, ევროპაში ახალ დიდ „აზიურ შესევას“ ისევ აზიელებმა შეუშალეს ხელი. მცირე აზიაში იონიელი ბერძნებისა და ფრიგიელების აჯანყება ისევ გრძელდებოდა. მცირეაზიელებს კიდევ ფინიკიელები შეუერთდნენ. აჯანყდა დიდი ფინიკიური ქალაქი — სიდონი მისი მმართველის, ტენესის წინამძღოლობით. ტენესმა ფინიკიისა და ტრიპოლისის ყველა ქალაქი შემოიფიცა, ეგვიპტის ფარაონთან, ნეკტანებ II-სთან, კავშირი შეკრა და საომარი ნაღარა დაჰკრა. აჯანყებულებმა ყველაფერი დაანგრიეს, აიკლეს და გააცამტვერეს, რასაც კი სპარსეთის მეფის სახელი ერქვა, გაწყვიტეს ყველა სპარსელი, ვინც კი მოიხილეს და მოიხელთეს. ფინიკიელები განუწყვეტლივ იარაღდებოდნენ, მოქირავნეებს ქირაობდნენ და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

არტაქსერქსემ ბრძანება გაუგზავნა სირიისა და კილიკიის სატრაპებს — ბელეზისსა და მაზეიოსს — სასწრაფოდ დასხმოდნენ თავს სიდონს. მაგრამ ტენესმა ნეკტანებ ეგვიპტელისგან 4000 ბერძენი მოქირავნე-მეომარი მიიღო მენტორ როდოსელის სარდლობით. მენტორმა წარმატებით უკუაქცია ბელეზისისა და მაზეიოსის ჯარები [2]. იმავ ჟამს კიპროსზე ცხრა ქალაქი აჯანყდა და ეგვიპტელ და ფინიკიელ ინსურგენტებს შეუერთდა.

არტაქსერქსე ოხოსმა ეგვიპტე-საბერძნეთის მიმართულებით „მესამე შესევისათვის“ საომარი ძალები დასძრა, თან, წინასწარ, ბერძნულ ქალაქებს დასახმარებლად მოუწოდა (ვითომდა, საბერძნეთის „შეწუხებახ“ როდი ვაპირებო...).

საბერძნეთში „საღვთო ომი“ ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო, მაგრამ მაინც მიიღო ბერძნული ძალები სპარსეთის მბრძანებელმა: თებემ 1000 მეომარი გაუგზავნა, ლაკრატოსის სტრატეგოსობით, არგოსმა — 3000 მეომარი, ნიკოსტრატოსის სარდლობით. ათენმა და სპარტამ „მიუმხრობლობის პოზიცია“ აღუთქვეს სპარსთა ხელმწიფეს [3].

ამას გარდა, არტაქსერქსემ იონიაში, მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებში, 6000 მეომარი შემოიყარა, საჭურის ბაგოასის სარდლობით. თვითონ არტაქსერქსემ ფინიკიისაკენ დასძრა ჯარები, ხოლო აჯანყებული კიპროსისკენ გაგზავნა იდრიეოსი, კარიის სატრაპი.

აჯანყებულები დააფრთხო მტრის ჭარბი ძალების ხილვამ. კიპროსელებმა უბრძოლველად დაჰყარეს იარაღი. სიდონელები ერთ ხანს განაგრძობდნენ ბრძოლას. მათ თვითონ დაწვეს თავიანთი ხომალდები, გაქცევის იმედიც რომ არავის დარჩენოდა, მაგრამ ბოლოს, ტენესმა და მენტორმა თვითონვე გაუღეს ქალაქის კარი მტერს. მეთაურთაგან განწირულმა აჯანყებულებმა ქალაქი ცეცხლს მისცეს და თვითონაც ხანძარში ჩაინთქნენ. 40 000 სიდონელი ემსხვერპლა ცეცხლსა და რკინას.

არტაქსერქსემ ტენესს მშობლიური ქალაქის ღალატისათვის იმით გადაუხადა, რომ თავი გააგდებინა, ხოლო მენტორი პატივით მიიღო და დაიახლოვა.

სიდონის აღებით სპარსთა მეფეს გზა გაეხსნა ეგვიპტისაკენ. სპარსელებმა სუეცის ყელი გადაიარეს და ნილოსის დელტის აღმოსავლეთ განტოტებაზე, ქალაქ პელუსიონს მიადგნენ. ფარაონმა ნეკტანებმა 5000 მოქირავნე ბერძენი შემოაგება მტერს, ფილოფრონეს სარდლობით. ბერძნებს ბერძნები შეატაკა სპარსელმა ხელმწიფემ. თებელები დაწინაურდნენ, ლაკრატოსის წინამძღოლობით, და თავგანწირვით შეებნენ ფილოფრონეს რაზმებს. სპარსელები გაშტერებულნი უცქერდნენ, რა თავგამეტებით ხოცავდნენ ერთმანეთს „ეგვიპტის ბერძნები“ და „სპარსეთის ბერძნები“. ღამემ გაჰყარა მომტერენი. თებელები უკუიქცნენ.

ასი ათასი მეომარი კიდევ ქვეყნის შიგნით ჰყავდა გამზადებული ფარაონ ნეკტანებს — 60 000 ეგვიპტელი, 20 000 ბერძენი და ამდენივე ლიბიელი. მაგრამ ნეკტანების საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ ამოდენა საომარ ძალთა მთავარსარდლობა რომელიმე ნიჭიერ და მამაც ბერძენს კი არ ანდო, არამედ თვითონ იტვირთა, სამხედრო საქმეებში სრულიად უწვრთნელმა და უმეცარმა.

არტაქსერქსემ სარდლებს ამოცანები დაურიგა, თვითონ თავისი წილი ჯარი აიყოლია და სამხრეთ-დასავლეთის გეზით, ეგვიპტის უძველესი სატახტო ქალაქის, მემფისისკენ წარემართა. ამასობაში — ლაკრატოსს თებელებით და ლიდიის სატრაპ რესაკეს სპარსთა ქვეითი ჯარით — უნდა აეღოთ პელუსიონი; არგოსელებს, ნიკოსტრატო-

სის სარდლობით და რჩეულ სპარსელთა ათასეულს, არისტაზანის წინამძღოლობით, მასთან 80 ხომალდით — ზღვიდან ალყა და იერიში უნდა დაერტყათ პელუსიონზე. ხოლო, მეოთხე ნაკადს — 6000 ბერძენს, მენტორისა და ბაგოასის მეთაურობით, უნდა გადაეკრათ მაერთებელი გზები პელუსიონსა და მემფისს შორის.

ოთხივე ნაკადით ბრწყინვალედ გაიმარჯვეს არტაქსერქსე ოხოსის ჯარებმა. ნექტანებმა, უძვირფასესი საჭურჭლეებით დატვირთული ხომალდით, ეთიოპიას შეაფარა თავი. სრულიად ეგვიპტე სპარსელებით აივსო.

იდვა ქრისტეს წინარე 344 წელი, საბედისწერო წელიწადი ეგვიპტის ისტორიისა. ამიერიდან ეგვიპტეს საკუთარი, ეროვნული საელმწიფოებრიობა აღარ მოსწრებია. მისი მფლობელნი, მბრძანებლები და ბატონ-პატრონნი იქნებიან მუდამ უცხოელნი, სხვა ქვეყნისანი. სხვა სჯულისანი...

საშინელი სისასტიკით მოექცა არტაქსერქსე ოხოსი დაპყრობილ ქვეყანას. კამბიზის შემოსევის შემდეგ, ასეთი შემაძრწუნებელი უბედურება აღარ ახსოვდა ეგვიპტეს. სპარსელებმა დაანგრიეს და დაამიწეს ბრწყინვალე ქალაქები, ცხენისმაგრენი, დაამსხვრიეს უძვირფასესი ძეგლები, დაძარცვეს და იავარჰყვეს უმდიდრესი ტაძრები, შეურაცხყვეს და შებილწეს სალოცავები და საკურთხეველები. თვითონ მეფე არტაქსერქსე ოხოსმა საკუთარი ხელით, შუბის დაკვრით, მოჰკლა ეგვიპტის ღმერთი — ტოტენი, (ხარი ეპისი) ამით ოხოსმა გაიმეორა ველური მკრეხელობა კამბიზისა. ამიტომ ორივეს სახელი ყველაზე საძულველ სახელებად შემოინახა ეგვიპტურმა ტრადიციამ.

არტაქსერქსემ უბრალოდ დააჯილდოვა და ისე განუტევა თავისი ბერძენი მოკავშირენი. მენტორი და ბაგოასი ურიცხვი საჩუქრებითა და წყალობით აავსო. ბაგოასი თავისი „გვარდიის“ უფროსად დანიშნა. მენტორ როდოსელს საზღვაო სანაპიროთა მთავარსარდლობა ჩააბარა. მენტორის ძმა მემნონი და მათი სიძე არტაბაზი — ადრე რომ მეფეს აუჯანყდნენ — მენტორის თხოვნითვე შეიწყნარა და შეიერიგა.

სპარსეთის ახალმა გამარჯვებებმა შეარყია მაშინდელი მსოფლიო. არტაქსერქსე III ოხოსი დიდებამოსილებით ლამის გაწორებოდა აქემენიდური დინასტიის „დიდებულ ოთხეულს“ — კიროსს, კამბიზს, დარიოსს, ქსერქსეს. არტაქსერქსე აღარ იყო მხოლოდ „სპამელეთი მსოფლიოს“ მეფე. ფინიკიის, კიპროსისა და ეგვიპტის დამორჩილების შემდეგ, სპარსეთის ხელში გამთლიანდა შავი ზღვის, ბოსფორის,

პროპონტიდის, ჰელესპონტის, ეგეოსისა და ეგვიპტის წყალმაერთებელი მაგისტრალები.

ახლა ფილიპე II მაკედონელს უფრო იმაზე უნდა ეფიქრა, სპარსეთი არ დაძრულიყო ბალკანეთისკენ, ვიდრე თვითონ წასულიყო სპარსეთისკენ. ბოლოს და ბოლოს, ფილიპემ — არტაბაზის, მენტორისა და მემნონის დახმარებით — შეძლო კიდეც არტაქსერქსესთან სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება[4]. მხარეებმა ერთმანეთს აღუთქვეს — ორივეს თავისი ნებით და ერთმანეთისთვის ხელის შეუშლელად ემოქმედათ, ევროპელს — ევროპაში, აზიელს — აზიაში.

დროის ბორბალი კი მაინც ევროპელის სასიკეთოდ და აზიელის საზიანოდ ბრუნავდა. ეგვიპტეში გამარჯვებით გაზულუქებული არტაქსერქსე ოხოსი სატახტო ქალაქ სუზაში დაბრუნდა და განუკითხავი მკვლელობებისა და აღვირახსნილი გარყვნილების მორევში გადაეშვა. ახლობელთაგან ძაღლადაც აღარავის აგდებდა, ყველას სიკვდილის მომასწავებელი ეჭვის ქვეშ აყენებდა. ერთადერთი, ვისაც ენდობოდა და სახელმწიფოს სადავეებსაც ანდობდა, იყო ისევ საჭურისი ბაგოასი, რომელმაც აქამდე მართლაც რომ დიდი სამსახური გაუწია შიშითა და მძულვარებით გარშემოგარსულ გვირგვინოსანს. მაგრამ ბაგოასი ეგვიპტელი იყო და, თურმე მკაცრი იდუმალებით გულდაკეტილი პატრიოტიც. თურმე, ვერა და ვერ მოენელებინა ბაგოასს სპარსთა მიერ მისი სამშობლოს აწიოკება და შეგინება, სპარსთა შლეგიანი ხელმწიფის მიერ ეგვიპტელთა ხარ-ღმერთის, აპისის განგმირვა და უცდიდა ხერხიან დროს, როცა სამშობლოს ჯავრს ამოანთხევინებდა უბოროტეს მკრეხელს. ეს დროც შეარჩია საჭურისმა, მეფის პირადი ექიმი გაიერთგულა და სასმელში საწამლავი შეარევინა.

იდგა 338 წელი და ცოცხალთა შორის აღარ იყო სპარსეთის მეფე არტაქსერქსე III ოხოსი. ბაგოასმა ტახტზე აიყვანა მისგანვე მოკლული მეფის უმცროსი ძე, არსესი. აიყვანა და უფროსი ძმები და ტახტის სხვა მოცილენი მასვე დააბოცვინა.

ეს ის დრო იყო, როცა ფილიპე მაკედონელმა ქერონეიის ბრძოლაში ათენელები და თებელები გაანადგურა, მერე კორინთოს კონგრესზე მთელი საბერძნეთი შემოიყარა და სპარსეთის წინააღმდეგ „საზღვაო ომზე“ შემოიფიცა.

სპარსეთის სატახტოში კი ტახტის გარშემო შხამიან ვნებათა ქვაბი ისევ დუღდა და „ევროპის საქმეებისთვის“ არავის ეცალა. ბაგოასის-

გან გამეფებულმა არსესმა თავისი კეთილისმყოფლის ამაგი არად ჩაგდო, მის კადნიერ ქცევებს ვერ შეურიგდა, მამისა და ძმების ამოწყვეტაც არ აპატია და იდუმალ სიკვდილი დაუპირა. მაგრამ საჟურისმა თავის „კრეატურას“ უმადური განაზრახი შეუტყო, დაასწრო და მეფეც და მისი შვილებიც თვითონ შეჰყარა სიკვდილს (336 წ.).

სპარსეთის სამეფო გვირგვინი ისევ ხელთ ეპყრა მედროვე ხადუმს, სამეფო სისხლიერთაგან თითქოს აღარავინ ჩანდა, ის გვირგვინი რომ დადგმოდა თავზე. სამეფო საგვარეულო, ორივე არტაქსერქსე, არსესი და მათი ნაშიერნი სრულად იყვნენ ამოწყვეტილნი. „დიადი აქემენიდური სისხლი“ სრულ დაწრეტაზე დასულიყო.

მაგრამ მაინც მიგნებულ იქნა, ასე თუ ისე, ღირსეული სამეფო კაცი, აქამენიდთა ნათესავი გვერდითი ხაზით — არტაქსერქსე II-ის დისწული — საბელად კოდომანი, რომელსაც ერთ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ბელადი ორთა ბრძოლაში მოუკლავს და ასეთი გმირობისათვის არტაქსერქსე ოხოსს სომხეთის სატრაპად დაუნიშნავს.

და აი, ამ კოდომანს დაადგა თავზე სპარსეთის სახელმწიფო გვირგვინი დროის მეუფე საჟურისმა, ბაგოასმა.

ახალმა მეფემ ახალი სახელი დაირქვა და ისტორიაში შევიდა, ვითარცა — დარიოს III კოდომანი (336—330). ახოვანი, მომხიბლავი კაცი იყო, ალერსიანი და თავდაჭერილი. პირადი ზნეობით იგი მაღლა იდგა ყოველ მანამდელ აქემენიდზე, მაგრამ — როგორც სულ მალე დადასტურდება — მსოფლიო პოლიტიკის მოასპარეზედ გაცილებით სუსტი და უძლური, ეიდრე რომელიმე გარყვნილი „ოხოსი“.

ტახტზე ასვლისთანავე ახალმა მეფემ ბაგოასს ეჭვითა და უნდობლობით დაუწყო ცქერა. საჟურისი ისევ ამოქმედდა, მაგრამ მეფე გააფრთხილეს და, როცა მას საწამლავით სავსე თასი მიართვეს, ალერსიანმა დარიოსმა „ალერსიანი თავაზით“ შეუბრუნა სასმური „ერთგულ“ კარისკაცს.

ბაგოასის სიკვდილს მაინც და მაინც არ გამოუფხიზლებია სპარსეთის სასახლის კარი. ფილიპე მაკედონელი, აზიელთაგან ხელშეუშლელად, გამალებით ემზადებოდა აზიაში შესაჭრელად. 336 წლის დამდეგს მან, როგორც ითქვა, ავანგარდული ჯარები უკვე გაგზავნა აზიაში, პარმენიონისა და ატალოსის სარდლობით. როგორც ჩანს, მხოლოდ ამის შემდგომ იგრძნეს სუზაში მდგომარეობის უკიდურესი სიმწვავე და კიდევაც ამოქმედდნენ სწორედ დროის სიმწვავისა და სიმძაფრის შესაფერისად. უეჭველად, სპარსელთა ამ „აქტიურ გა-

მოფიზლების“ შედეგი უნდა ყოფილიყო ომის „მთავარი გამჩაღებლის“ — ფილიპე მაკედონელის მკვლელობა. მაგრამ შეცდომა ის იყო, რომ ეს „მსოფლიო მკვლელობა“ მაკედონიის კარზე სპარსელმა პოლიტიკოსებმა საკმარისად მიიჩნიეს. თითქოს, სხვა რაღა უნდოდათ — ფილიპე მკვდარი იყო, ხოლო „ცხვირმოუხოცელი ალექსანდრე“ რა ანგარიშში უნდა ჩაეგდოთ! თუ რაიმე საფრთხედ უნდა ჩაეთვალათ, ეს მხოლოდ მცირე აზიაში გადასხმული პარმენიონისა და ატალოსის ჯარები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ატალოსი თვითონ ალექსანდრემ შეიწირა მსხვერპლად, ხოლო მარტოდ დარჩენილ პარმენიონს „იოლად მოუვლიდნენ“ სპარსელები.

მართლაც, დარიოსმა პარმენიონის წინააღმდეგ გაგზავნა მემნონი, რომელსაც. მისი ძმის მენტორის სიკვდილის შემდეგ, მთელი ზღვის სანაპირო სატრაპიათა მთავარსარდლობა მიეღო სპარსეთის სამეფო კარისგან.

ბრძოლები მემნონსა და პარმენიონს შორის წონასწორად წარიმართა. „სპარსეთის ბერძენმა“ „მაკედონიის ბერძენს“ ქალაქი ეფესო წაართვა, მაგრამ ქალაქ კიზიკოსთან სამაგიერო მარცხი მიიღო. ამის შემდეგ ალექსანდრემ პარმენიონი მაკედონიაში გაიწვია, ხოლო პარმენიონის ადგილზე დატოვებული კალაპი მემნონმა დაამარცხა და ჰელესპონტ-აბიდოსისკენ გამოაქცია.

მაგრამ ეს ყველაფერი სპარსეთისთვის მაინც ალმოჩნდა არაფერი.

იდგა 334 წელი და ევროპული გრიგალი უკვე მოილტვოდა აზიის წასალეკავად.

თავი VI

ალექსანდრე მცირე აზიაში

ცხრა დღე, ცალ-ცალკე ცხრავე მუზის სახელზე, იზეიმა და ინადიმა ალექსანდრე მაკედონელმა და მეათე დღეს — 334 წლის 9 მარტს იგი დაიძრა აზიისაკენ.

მიდიოდა და სახმელეთო საომარ ძალად მიჰყავდა, სულ — 30 000 ქვეითი მეომარი და 4500 ცხენოსანი; აქედან:

მაკედონელები — 12 000 ქვეითი და 1500 ცხენოსანი,

თესალიელი ბერძნები — 1500 ცხენოსანი,

დანარჩენი ბერძნები — 7000 ქვეითი და 600 ცხენოსანი,

ჩრდილო-ბალკანელნი — 6000 ქვეითი და 900 ცხენოსანი,

დაქირავებულნი — 5000 ქვეითი [1].

საზღვაო საომარ ძალად კი 160 სამხედრო ხომალდი მიჰყავდა ალექსანდრეს [2].

მიდიოდა და თანამებრძოლ დასად მიჰყავდა ორი თაობა სამხედრო-პოლიტიკური „სკოლებისა“ — თაობა მამამისის ფილიპესი და თაობა საკუთარი, ალექსანდრესი.

აქ იყვნენ: პარმენიონი და მისი სამი ძე — ფილოტა, ნიკანორი და ჰექტორი, ჰეფესტიონი — ალექსანდრეს უსაყვარლესი მეგობარი (მისი „პატროკლე“), კლიტოს შავი („მელანოს“) — ალექსანდრეს დედამძუძის ძმა, პერდიკა, ამინტა, ევმენე, პოლიპერხონტი, კენოსი, ლეონატოსი, პევკესტა, პტოლემაიოს ლაგოსის ძე, პტოლემაიოს სელევკოსის ძე, ნეარქოსი, ლისიმახოსი, კრატეროსი, სელევკოსი, მელეაგრე, მენანდრე და სხვანი — ჰეტერნი, მეგობარნი, თანამებრძოლნი და თანასარდალნი.

ალექსანდრეს თან ახლდნენ ისტორიკოსები, გეოგრაფოსები და ფილოსოფოსები, მათ შორის — არისტობულე, კლიტარქოსი, პოლიკლეტოსი, ონესიკრიტოსი, ტიმაგენე, ასკლეპიადე, არატოსი და კალისთენე — არისტოტელეს დისწული და უსაყვარლესი მოწაფე. თვითონ ალექსანდრეს „თანასკოლელი“. ამათ გარდა, „ისტორიკოსობ-

დნენ" — თვითონ ალექსანდრე, ნეარქოსი და პტოლემაიოს ლაგოსის ძე.

მეფეს თან მიჰყავდა ექიმები, — მათ შორის, „მთავარი ექიმი" ფილიპე აკარნანიელი. მიჰყავდა მკითხავნი, — მათ შორის, „მთავარი მკითხავი" არისტანდროსი, რომელსაც უკვე ეთქვა თავისი პირველი „წინასწარმეტყველება": დიდი შრომა და ჯაფა ელის ეპიკოს და ლირიკოს პოეტებს, ყოველ მეცნიერსა და ისტორიკოსს. — ყველას, ვინც კი უნდა უმღეროს ალექსანდრეს და მის დიად საქმეებს! [3].

ალექსანდრე თვითონ მართავდა საფლაგმანო ხომალდის საჭეს, ოქროს გვირგვინით თავშემკობილი. შუა ჰელესპონტზე თავისი ხელით პოსეიდონს ხარი დაუკლა და ზედაშით სავსე ოქროს თასი ზღვაში ისროლა, მერე ხომალდი აზიის მიწას მიაყენა, შუბი სტყორცნა და ამ პირველ გასროლას, სრული აღფურვილობით ჩასილაღებული, თვითონაც მიჰყვა ცქვიტი ნახტომით. იქვე, სადაც მან, საომრად აღჭურვილმა, აზიის მიწაზე პირველი ფეხი დადგა, საკურთხეველები აღუმართა ზევსს, ათენას და ჰერაკლეს.

მაშ, ევროპული ლაშქარი აზიის მიწაზე შევიდა სავსებით გულდანდობილად. ვინათგან სპარსელებს ამჯერადაც, — როგორც მათ საერთოდ სჩვეოდათ [4] — არავითარი დროული ზომები არ მიუღიათ მტრის შემოსევის უკუსაგდებად.

სანამ პარმენიონი ჰელესპონტზე, აბიდოსთან, სრული საომარი ძალების გადაყვანას აწესრიგებდა, მანამ ალექსანდრემ თანამებრძოლთა თანხლებით ლეგენდარული ტროას მიდამოები მოიარა და მოიხილა. ღრმად სიმბოლური იყო ბერძენ-მაკედონელთა მისვლა იმ ადგილზე, სადაც ათასი წლის წინათ აგამემნონის მთავარსარდლობით ტროა-ილიონთან საომრად იდგა აქეველ-ბერძენთა ერთიანი ლაშქარი. ილიონის ნანგრევებზე და ნაპანძრალზე აღმართულ ათენა-პალადას ტაძარში შევიდა ალექსანდრე; კედლებზე ჩამორიგებულ საჭურველთაგან, — რომლებიც ტროას ომში მონაწილე გმირთა იარაღად იწოდებოდა — ზოგი იარაღი, პირველ რიგში „აქილევსის ფარი" აირჩია და ჩამოხსნა. სამაგიეროდ მათ ადგილზე, საკუთარი საჭურველი აიყარა და ჩამოკიდა. აქვე მსხვერპლი შესწირა ტროას მეფის, პრიამოსის სულს და შესთხოვა ამიერიდან შეეწყვიტა რისხვა და წყევა აქილევსის ნაშიერთადმი [5] (ლეგენდით — პრიამოსი აქილევსის ძემ, ნეოპტოლემაიოსმა მოჰკლა).

მასუკან თავისი სათაყვანო „წინაპრისა" და საოცნებო გმირის,

აქილევსის საფლავთან მივიდა ალექსანდრე და გვირგვინებით შეამკო იგი. მხვერპლი შესწირა, ტანი ზეთით დაიზილა და მრავალგზის გარს შემოუვლია. ფარზე მახვილის ცემით. იგივე მოიმოქმედა ჰეფესტიონმა აქილევსის უსაყვარლესი და უერთგულესი მეგობრის, პატროკლეს საფლავზე. ამით ჰეფესტიონმა ერთხელ კიდევ გაითამაშა „ალექსანდრეს პატროკლეობა“.

ფრიად სიმბოლური გამოდგა სიტყვა, რომლითაც ალექსანდრეს მიუმართავს აქილევსის სულისთვის: „ნეტავ შენ, ბედნიერო ჭაბუკო, რომ სიცოცხლეში პოვე უერთგულესი მეგობარი, ხოლო სიკვდილის შემდგომ უდიდესი მეხოტბეო“. რასაკვირველია, მეგობარში პატროკლეს გულისხმობდა. მეხოტბეში კი ჰომეროსს. უეჭველად დიდ შინაარსს სდებდა ამ პოეტურ ფორმულაში მომავალი დიდი დამპყრობელი. იგი, თითქოს, რაღაცნაირი „საპროგრამო მოწოდებაც“ იყო მისი თანამებრძოლებისა და თანამხლებლებისათვის: მე, ალექსანდრეს, თქვენ, ჩემმა ძანამოლაშქრეებმა სიკვდილამდე ნამდვილი პატროკლეობა უნდა გამიწიოთ, ხოლო კალმოსნებმა ჩემი საქმენი ისე განადიდოთ, როგორც ჰომეროსმა განადიდა და განავრცო აქილევსის გმირობანიო. აქ ქვეტექსტი ისიც იყო, — ჰომეროსი რომ არ ყოფილიყო, აქილევსიც არ იქნებოდა, რადგან მისი გმირობანი უჰომეროსოდ არავის ეცოდინებოდაო; ანუ — აქილევსის გმირობის სიდიადე ჰომეროსის სიდიდის შედეგიაო *.

ერთი სიტყვით, ალექსანდრე, თითქოს, პირდაპირ მოუწოდებდა და ავალებდა თავისიანებს — მახვილოსნებმა პატროკლეობა გამიწიეთ, ხოლო კალმოსნებმა ჰომეროსობაო...

აქილევსისადმი ზორვას რომ მორჩა, ალექსანდრემ ილიონის ალდგენა ბრძანა, ავტონომია მიანიჭა და მისი ახალმოსახლენი ყოველგვარი ბეგარა-გადასახადისგან გაათავისუფლა.

ამასობაში სპარსეთის კარზე უფრო სერიოზულად შეიგნეს ევროპელთა შემოსევის საფრთხე და საომარი ნაღარაც დაჰკრეს. მემნონი უკვე საბრძოლო ბანაკად იდგა ქალაქ ზელეის ახლოს. მასვე შეუერთდნენ თავიანთი ძალებით მცირეაზიელი მმართველნი: სპითრიდატე — სატრაპი იონიისა და ლიდიისა, ატიზიოსი — სატრაპი დიდი

---

* ასეთივე ნათქვამად ესმოდა ალექსანდრეს ეს სიტყვა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს — „ვითარცა იტყვის თვით სადამე ალექსანდრე: არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვივ მაქებელსა უმიროსს“.

ფრიგიისა, არსიტე — სატრაპი მცირე ფრიგიისა, მითრობუზანი — სატრაპი კაპადოკიისა. ამათთან, სპარსთა უმაღლეს სარდლობაში მოსულიყვნენ მეფე დარიოს III-ის უახლოესი ნათესავები: მითრიდატე — სიძე მეფისა, ფარნაკე — ცოლისძმა მეფისა, არბუპალი — შვილიშვილი წინარე მეფის არტაქსერქსე III-ისა და ომარი — „სარდალი უცხოელებისა“ [6].

მაგრამ სპარსელთა ამ „უმაღლეს მთავარსარდლობაში“ დასახელებული არ იყო უმაღლესი მთავარსარდალი. მათ შორის მთავარსარდლობისთვის ყველაზე ღირსეული მაინც მემნონ როდოსელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი „მაინც ბერძენი“ იყო და, მთავარსარდლობა კი არა, მისი რიგითი სარდლობაც სპარსელებს მუდამ ეეჭვისა და უნდობლობის ქვეშ ჰქონდათ დაყენებული. ახლაც, სამხედრო თათბირზე, სპარსელმა სარდლებმა უცებ დაიწუნეს მემნონისგან წამოყენებული ყველაზე საღი და გონივრული საომარი სტრატეგია და ტაქტიკა — ალექსანდრეს და მის ლაშქარს პირდაპირი დატაკებით კი არ უნდა შეებეგდეთ, არამედ მასთან ომი გავაჭიანუროთ, უკანდახევით საომარი გზები და გარემონი გავანადგუროთ, მტერი შიმშილში ჩავაგდოთ, მოულოდნელი თავდასხმებით დავასუსტოთ და ამასობაში, მოგებული დროის წიაღში, მონარქიის სრული სახმელეთო და საზღვაო ძალებით ომი აზიიდან ევროპაში გადავიტანოთო.

„უცხო“ და „საეჭვო“ მემნონის ეს საომარი განასაჯი დაიწუნეს და ჯარები ალექსანდრეს შესახვედრად აღძრეს სპარსელმა სარდლებმა.

ალექსანდრესაც ეს უნდოდა. მას სპარსელებთან გადამწყვეტი ბრძოლები ეშურებოდა. იგი მივიდა აბიდოსს, სადაც პარმენიონს უკვე დაესრულებინა სრულიად საომარი ძალების გადმოყვანა. დიდი, საზეიმო აღლუმისა და დათვალიერების შემდეგ, ალექსანდრემ ჯარები დაძრა მტრის ბანაკისკენ. გზაზე ლამპსაკი იდგა, დიდი ბერძნული ქალაქი, რომელიც მემნონს ემორჩილებოდა და მის ერთგულებას არ ღალატობდა. ალექსანდრე ლამპსაკს მიადგა და ბარბაროსთაგან გათავისუფლება გამოუცხადა, მაგრამ ლამპსაკელებმა მაკედონელი მეფე გამათავისუფლებლად არ იწამეს და არც კარიბჭეთა კლიტენი მიართვეს, მაშინ ალექსანდრე მუქარაზე გადავიდა: თუ კარს ნებით არ გამიღებთ, ძალით შემოვალ და ქალაქს ისე დავანგრევ, შეწყალების სათხოვრადაც არავის მივიღებო. ლამპსაკელებმა ისევ არ შეისმინეს და ალექსანდრეს მართლაც ძალით მოუხდა ქალაქის აღება. კიდევაც

უნდა დაენგრია გარისხებულს, დაფიცებულიც ჰქონდა — არც დამარცხებულთა ელჩობა მიეღო პატიების სათხოვრად და შესარიგებლად. მაგრამ ელჩობას ანაქსიმენე გამოუძღვა, სახელოვანი ფილოსოფოსი, რომელსაც ალექსანდრე დიდი პატივისცემით და მოწიწებით ეპყრობოდა. ადვილად მისახვედრი იყო — ლამპსაკელებს ანაქსიმენე შუამავლად იმიტომ აერჩიათ, რომ გამძვინვარებული მეფე მისგან მოალერსებული სწავლულის თხოვნას უარს ვეღარ ეტყოდა და ქალაქის დანგრევაზე ხელს აიღებდა. ეს იაზრა ალექსანდრემ და სანამ ანაქსიმენე ენას დასძრავდა, შორიდანვე მიაძახა: ვფიცავ ოლიმპოს ყველა ღმერთს, რაც უნდა მთხოვო არ შეგისრულებო! ანაქსიმენეც თითქოს ამას ელოდა და შემოაგება: მე გთხოვ, დაანგრიო ქალაქიო... და ალექსანდრემ, რაკი წამის წინ ნათქვამი ფიცი „ვეღარ გასტეხა", ვეღარც ანაქსიმენეს „თხოვნა" შეასრულა და ამნაირად ლამპსაკი დანგრევას გადარჩა [7].

ლამპსაკიდან გამარჯვებულებმა გზა განაგრძეს აღმოსავლეთისკენ, პროპონტიდის (მარმარილოს ზღვის) გასწვრივ, მიადგნენ და აიღეს ქალაქი პრიაპოსი, მდინარე გრანიკოსის (ახლ. ბიგა-ჩაი) დელტის მარცხენა ფრთაზე.

გრანიკოსის მარჯვენა ნაპირზე კი უკვე მოსულიყვნენ და საომარ ბანაკად იდგნენ სპარსთა ჯარები. გრანიკოსი იდას მთიდან სწრაფად მოექანებოდა და მთაგორიანი, ღრანტეებიანი კალაპოტით ერთვოდა პროპონტიდას. სპარსელთა სარდლობას გადაეწყვიტა მდინარის სწორედ მთაგორიანი მიმოსახედი გამოეყენებინა და მტერი მის აღმოსავლეთით არ გადაეშვა. ზედ მდინარის პირთან სპარსელთა კავალერია ჩამდგარიყო. შემდეგ უკან, მთის ფერდზე — მემნონი და მისი მოქირავნე ბერძნები შეფენილიყვნენ, ხოლო სულ ზემოთ — სპარსელთა ქვეითი ჯარები, ომარის წინამძღოლობით.

მაშ, 334 წლის ივნისი, ბრძოლა გრანიკოსთან — სპარსეთისა და მაკედონიის საომარ ძალთა პირველი დიდი შეხვედრა.

მდინარისაკენ დაძრულმა ალექსანდრემ მძიმედ შეჭურვილი ქვეითი ლაშქარი, ფალანგა, ორ ფრთად გააწყო და მათ ფლანგებზე სრულად კავალერია განალაგა — მარჯვნივ მაკედონელები, მარცხნივ თესალიელები და დანარჩენი ბერძენი მხედრები; ზურგში კი მსუბუქი რაზმები და ალალ-ფორანი მისდევდა ძირითად ძალებს.

მეფემ ბრძანება გასცა, მისვლისთანავე მდინარე გადაელახათ და მტერს შებმოდნენ სრული სიმძაფრით. პარმენიონი მიეახლა და ურ-

ჩია. ხელი აიღე უცების იერიშზეო; უმჯობესია, ჯერ ბანაკად დავდგეთ მდინარის მარცხენა ნაპირზეო, — ამბობდა იგი — მოწინააღმდეგე, რომელსაც ქვეითი ჯარი ჩვენზე სუსტი ჰყავს, ვერ დაითმენს ჩვენს ღამეულ ალოყოფნას, შეშინდება, უკუიქცევა და დილით იოლად გადავალთ მტრისგან მიტოვებულ მდინარეზეო; ისედაც დღე ილევა. ღამე მოგვისწრებს, მდინარეც უმეტეს წილად ღრმაა, სწრაფი და ცივი. მოპირდაპირე ნაპირიც ციცაბო და ფეხმოუდგამი, სრულის წყობით გადასვლასაც ვერ მოვახერხებთ და ნაწილ-ნაწილად წყალში შესულებს მტერი ვანამ ჩაგვხოცავს, სანამ საომრად ხელს მივაწვდეს-დეთ; და თუ ახლა დავმარცხდით, შეიძლება ამ მარცხმა მთელი ომის ბედიც ჩვენს საუკუღმართოდ დააბრუნოსო, — დაასრულა პარმენიონმა.

„რასაც შენ ამბობ, მეც მშვენივრად მესმის — უპასუხა ალექსანდრემ — მაგრამ სირცხვილად მიმაჩნია ჰელესპონტის ეგზომ იოლად გადმოლახვის შემდგომ ამ მცირე ღელეს შევუშინდეთ; ეს არ ეკადრება არც მაკედონელთა დიდებას და არც ჩემს ჩვევას საფრთხესთან პირისპირ შეჯახების ჟამს; ამასთან — თუ სპარსელებს ახლავე არ ვაგრძნობინეთ და შევაგნებინეთ, რომ ისინი ჩვენს წინაშე მუდამ შიშით უნდა ცახცახებდნენ, მაშინ გაგვითამამდებიან და თავის გატოლებასაც გაბედავენ“.

ეს თქვა, პარმენიონი მარცხენა ფლანგის სამეთაუროდ გაგზავნა, თვითონ მარჯვენა ფლანგს მიაშურა და იერიში ბრძანა.

მეფემ სამი ილა* აიყოლია და პირველი გადაეშვა მდინარეში. სპარსელებმაც მეფედ შეიცნეს გამორჩეული ფარ-ხმალითა და ჯაჭვ-ჯავშნით ასპმული ალექსანდრე, თავზე რომ მუზარადი უელვარებდა და ორი თეთრი ფრთა უფრიალებდა. შეიცნეს და ისრის სეტყვის ქვეშ მოაქციეს მეფეც და მასზე მიდევნებული მხედრებიც. ფარის უსწრაფესი მოძრაობით ისხლეტდა ალექსანდრე ისრის ბარანს და ვააფთრებით მიარღვევდა მძლავრად მომქროლავ მდინარის ტალღებს. გავიდა, გააღწია, ატალახებულ ნაპირზე აიჭრა და საოცარი გახელებით დაეძგერა მოპირდაპირეს. სპარსელებიც ჩამოეგებნენ მჭიდრო წყობით, ზარდამცემი ყიჟინით, შუბთა ძგერებით და ხმალთაკვეთებით. მძაფრად შეუტიეს მეფის გარშემო მეომარმა მაკედონელმა მხედრებმა, რომელთაც ამინტა და პტოლემაიოს ლაგოსის ძე

---

*ილა — ცხენოსანთა რაზმი, რომელიც შედგებოდა 150—300 მეომრისგან.

მიუძღოდნენ. ამაო ჩანდა მემნონისა და მისი ორი ძის თავგანწირული წინააღმდეგობა. მაკედონელებმა გაიფართოვეს საყრდენი მიწა მდინარის პირას. პარმენიონსაც მარცხენა ფლანგით უკვე გადმოელახა მდინარე. სადაც იყო, ფალანგაც მოაღწევდა გრანიკოსის მარჯვენა ნაპირს.

სპარსელთა სრული სარდლობა მარცხენა ფლანგზე შეყრილიყო მძვინვარედ მოიერიშე ალექსანდრეს შესამუსრავად და მაკედონელთა უკანვე, მდინარეში გადასაყრელად.

შუბი გადაესხვრა ალექსანდრეს, სამაგიერო ფიცხლავ მოსთხოვა საუფრველმტვირთველს, მაგრამ ალარც მას აღმოაჩნდა მთელი შუბი — ისიც ნამახვრევით ივერიებდა მტრის ჭოწოლას. დემარატოს კორინთელმა მიართვა მეფეს თავისი შუბი და, სწორედ რომ დროზე მიუსწრო: სპარსელთა ახალი რჩეული მხედრობა, დარიოსის სიძის, მითრიდატეს სარდლობით მიუხტა ალექსანდრეს. შუბი აძგერა მითრიდატემ. ალექსანდრემ ფარი იფარა, მაგრამ მაინც დაიჭრა ბეჭში; ტკივილი შესჭამა და წამსვე საპასუხო შუბის დარტყმით მეფემ გული შეუნგრია და უსულოდ ძირს დაანარცხა მოპირდაპირე. მივარდა მოკლული მითრიდატეს ძმა, რესაკე, ელვასავით ხმალი თავში უხეთქნა მეფეს, მუზარადი განუპო და შუბლზე სისხლის გეშიც გააღებინა, მაგრამ იმ წამსვე იმავე საპასუხოდ აძგერა შუბი ალექსანდრემ და რესაკეც მკერდშელეწილი გადმოეშვა ცხენიდან. სანამ რესაკეს ანგარიშს უსწორებდა, მეფემ ვერ შენიშნა, როგორ მიუახლოვდა მას ზურგიდან ლიდიის სატრაპი სპითრიდატე ხმალამართული. ალექსანდრეს უეც

ში. ზედიზედ დაეცნენ სპარსი სარდლები — ნიფატე. პეტინე, მითრობუზანი, ფარნაკე და არბუპალი. სპარსელთა ცენტრი საბოლოოდ გატყდა, აიშალა და გაიქცა. ბრძოლის ველზე 2500 აზიელის გვამი დარჩა.

ალექსანდრემ, სპარსთა კავალერიის განადგურების შემდეგ, მთელი ძალები მაღლობებზე განლაგებული ქვეითი ჯარების წინააღმდეგ წარმართა. შემოეგებნენ — ომარი აზიელებით და მემნონი დაქირავებული ბერძნებით. სპარსელებს დიდი წინააღმდეგობა აღარ უცდიათ, — უწესრიგოდ იწყეს გაქცევა და გაფანტვა. ბევრი მათგანი ხმლის მოუქნევლად შეაკვდა მტერს. მბოლოდ ბერძენმა მოქირავნეებმა გაუმართეს მძვინვარე ბრძოლა ალექსანდრეს და მის ჯარებს. ფიცხელ ხმალთაკვეთებაში ცხენი გამოუკლეს მეფეს ლაჯებში. იგი მყისვე მოახტა მარქაფად მიმყოლ ბუკეფალას და კვლავ შეუტია გააფთრებით. მემნონის ჯარიც გატყდა და გაიქცა. მათგან 2000 ალექსანდრემ ტყვედ აიყვანა[8]. ბრძოლა დამთავრდა.

20 000 ქვეითი და 2500 ცხენოსანი აზიელი ცხედრად დარჩა გრანიკოსის ნაპირის გასწვრივ.

მცირე იყო ზარალი ალექსანდრესი. ჯერ, მას პირველ საცხენოსნო შეტაკებაში 25 მხედარი დაეღუპა და ოცდახუთიოდესთვის მოქანდაკე ლისიპეს სპილენძის ქანდაკებანი ჩამოასხმევინა მეფემ *. ამათ გარდა, კიდევ 60 მხედარი და 30 ქვეითი დაეღუპა ალექსანდრეს. მან ყველა დაზოცილი თანამებრძოლი ერთ საძმო საფლავში ჩააწვინა სრულის აღჭურვილობით, დიდი პატივით და მსხვერპლშეწირვით. ყველა დაზოცილის ქვრივი და ობოლი გადასახადებისგან გაათავისუფლა[9].

ბრძოლაში დაჭრილებზეც საგანგებოდ იზრუნა მეფემ. ყველა მოიკითხა, შეაქო, გაამხნევა, მოუფერა და დააჯილდოვა.

ბრძოლაში დაღუპული სპარსელი სარდლები და ბერძენი მოქირავნეებიც პატივით დააკრძალვინა ალექსანდრემ.

მხოლოდ ტყვედ წამოყვანილ ბერძნებს მოექცა სასტიკად მეფეესენი სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადა, რაკი კორინთოს კონგრესზე გამოცხადებულ დადგენილებას არ დაემორჩილნენ და საბერძნეთის მოსისხლე მტერს, სპარსეთს მიეყიდნენ. ამიტომ 2000 ტყვე ბერძენი ალექსანდრემ ბორკილდადებულნი გაგზავნა მაკედონიაში, მაღაროებში კატორღულ სამუშაოზე.

* ლისიპეს დიდად აფასებდა ალექსანდრე. მხოლოდ ლისიპეს ჰქონდა უფლება ალექსანდრეს ქანდაკების შექმნისა.

დიდძალი ნადავლი დაინადავლეს გამარჯვებულებმა. ალექსანდრემაც ყველას უხვად დაურიგა. დედას, ოლიმპიადას, სპარსელ სარდალთა კარვებში ნაპოვნი ოქროს თასები, ძოწით ნაქარგი ხალიჩები, სამოსელნი და სხვა ძვირფასი ნივთები გაუგზავნა. ათენში, კიდევ, პართენონის ტაძარში, ათენა-პალადას პატივსაცემად, ალაფად აღებული სამასი შეკვრა სპარსული საჭურველი გაგზავნა, წარწერით: „ალექსანდრემ, ძემან ფილიპესამან, და ყოველმა ბერძენმა — ლაკედემონელთა გამოკლებით — წავართვით აზიელ ბარბაროსებს“.

ამით ალექსანდრემ თავი მოუქონა საერთოდ ბერძნებს და „თავში ჩაარტყა“ ურჩ სპარტელებს...

გრანიკოსთან განცდილმა მარცხმა სრულიად მოშალა მცირე აზიის თავდაცვისუნარიანობა ტავრის მთის დასავლეთით. აქემენიდთა იმპერიის ამ რეგიონში აღარ არსებობდა რაიმე სერიოზული საომარი ძალა, რომელიც ასე თუ ისე შეძლებდა გამარჯვებით გალაღებული მტრის შეკავებას. განადგურებული იყო არმია. ამოწყვეტილი იყო სარდალთა უმრავლესობა. გადარჩენილ სარდალთაგან, კიდევ, მცირე ფრიგიის სატრაპმა, არსიტემ, თავი მოიკლა. მცირე აზიის ბერძნული ქალაქების უმრავლესობა, განსაკუთრებით მათი მოსახლეობის დემოკრატიული ნაწილი, სპარსული უღლის დასამხობად და „ალექსანდრე გამათავისუფლებელთან“ შესაერთებლად ემზადებოდა.

ალექსანდრეს „აზიური პოლიტიკის“ ამოსავალი ღერძიც სწორედ „გამათავისუფლებლობა“ იყო. იგი, თითქოს, სწორედ იმისთვის გადმოსულიყო აზიაში, რომ აქემენიდების ბოროტი უღლისგან გაეთავისუფლებინა ბერძნებიც და არაბერძნებიც, საერთოდ ყველა ხალხი და მათ შორის სპარსელებიც! ახალგაზრდა მაკედონელი ხელმწიფის ეს „გამათავისუფლებელი მისია“ შემდგომში, მისი გავითარების კვალობაზე, და მისივე დროის შესატყვისად — განსაკუთრებულ შედეგებს გამოიღებს... მანამდე კი ალექსანდრემ ადგილობრივ აზიელ მცხოვრებლებს და მმართველებს აგრძნობინა, რომ იგი მათ „შესაჭმელად“ არ იყო მოსული. ყველა დააშვიდა, ჩვეულებრივი სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრებისკენ მოუწოდა, სამხედრო ტყვეები გაათავისუფლა და ოჯახებს დაუბრუნა.

ალექსანდრემ გამარჯვებაც იცოდა და გამარჯვების გამოყენებაც. იგი გრანიკოსის შემდეგ სწრაფად ამოქმედდა. ჰელესპონტის სანაპიროები და მცირე ფრიგია სამმართველოდ მისცა კალასს, რომელსაც უკვე ჰქონდა ამ ოლქთა მმართველობის ორი წლის გამოცდილება. შე-

ფის ბრძანებით, პარმენიონმა დაიჭირა და მაკედონური ციხიონი შეაყენა დასკილეიონში — ფრიგიის მთავარ ქალაქში.

თვითონ ალექსანდრე სამხრეთისკენ დაიძრა, ლიდიის სიღრმეში, მთავარი და საბელგანთქმული ქალაქის — სარდესაკენ.

სარდეს ძლიერი, მიუვალი აკროპოლისი და ძლიერი სპარსული გარნიზონი იცავდა, მაგრამ ალექსანდრეს კარებთან მისვლა და ხმლის ტარით დაკაკუნებაც არ დასჭირვებია, ისე გამოეგება და მიართვა მას ქალაქის კლიტენი თვითონ გარნიზონის უფროსმა, მითრინმა. მეფემ მადლიერებით მიიღო მითრინი და მისი თანმხლები წარჩინებულ მოქალაქეთა ამალა. ჯერ, ციტადელის ჩასაბარებლად ამინტა ანდრომენეს ძე შეგზავნა, მერე თვითონაც შევიდა ქალაქში. შევიდა და საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ამიერიდან სარდეში და საერთოდ ლიდიაში დამხობილია აქემენიდთა ორასწლოვანი უღელი და ყოველ ლიდიელს უფლება ეძლევა იცხოვროს „თავისუფლად“, მამაპაპეული წესებით, ჩვეულებებით, ტრადიციებით. თვითონ მითრინს არ იშორებდა, პატივით ეპყრობოდა და ამით ქვეყანას ერთხელ კიდევ აჩვენებდა, თუ როგორ „აფასებდა“ იგი ერთგულებას. თანადგომას და თანამებრძოლობას ყოველი კაცისას, განურჩევლად მაკედონელობისა, ელინობისა თუ „ბარბაროსობისა“.

სარდეს საპატიოდ და სამშვენისად ალექსანდრემ ზევსის ტაძრის აგება გადაწყვიტა და ქალაქში შესაფერისი ადგილის ძებნას შეუდგა. იმ დღეებში კოკისპირული წვიმები ჩამოდგა, წვიმას მეხი მოჰყვა და აკროპოლისზე, — იმ ადგილზე, სადაც ადრე ლიდიის განთქმული მეფის, კრეზოსის უმდიდრესი სასახლე იდგა — ყველაფერი ნანგრევად და ნაცრად აქცია. და სწორედ ეს, „ღვთისგან მინიშნებული ადგილი“ აარჩია ალექსანდრემ ზევსის ტაძრის ასაშენებლად [10].

ქვეყნის „გამათავისუფლებელმა“ სარდეს აკროპოლისიდან აქ ნაგროვები უთვალავი ოქრო-ვერცხლი გაიტანა, ლიდიის მმართველად პარმენიონის ძმა, ასანდროსი დანიშნა, მოადგილეებად პავსანია და ნიკიასი დაუყენა — ერთი, ქალაქის კომენდანტად, მეორე — ხარკის ამკრეფად. ამის შემდეგ ალექსანდრე იონიისაკენ გაეშურა.

იონურ-ბერძნული ქალაქები დიდი ხანია სპარსული ან სპარსულობის გზაზე შემდგარი ოლიგარქიის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, ყველაზე დიდი ხალისითა და იმედით ისინი უნდა შეხვედროდნენ „ღვთით მოვლენილ გამათავისუფლებელს“.

პირველი მაგალითი ყველას აჩვენა ეფესომ, იონიის ქალაქთა მე-

ფემ [11]. ეფესელმა დემოკრატებმა, ჯერ კიდევ გრანიკოსთან ალექსანდრეს გამარჯვების შეტყობისთანავე გააჩაღეს ბრძოლა ქალაქის ოლიგარქიისა და სპარსელთა ციხიონის წინააღმდეგ. ერთხანს ალექსანდრესგან დამარცხებულმა და გამოქცეულმა მემნონმა სცადა ეფესოში გამაგრება, მაგრამ როგორც კი ალექსანდრე მოახლოვდა, იგი ჰალიკარნასში გაიქცა. ასევე გაქცევით უშველა თავს ამინტა ანტიოქეს ძემ, ეფესოს ოლიგარქიის ლიდერმა და სპარსეთის მეფის ყურმოჭრილმა ყმამ. ეს ამინტა (რომელიც წინარედ მოხსენიებულ ამინტა ანდრომენიდში არ უნდა ავურიოთ) ადრე პელას სასახლის კარიდან გამოექცა ალექსანდრეს. სპარსელთა სამსახურში შევიდა და, სპარსელ სიფაქსთან ერთად, ეფესოს მმართველი გახდა. ალექანდრეს მოახლოებამ და ამინტას გაქცევამ კიდევ უფრო გაათამამა ეფესელი დემოკრატები. ქალაქში სამინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა დემოკრატებსა და ოლიგარქებს შორის. დემოკრატებმა იმძლავრეს. ხიფაქსი. მისი ძე და ძმისწულნი არტემიდეს ტაძარში შეცვივდნენ სიკვდილისაგან თავდასახსნელად, მაგრამ გამხეცებული ხალხი ტაძარში შევარდა, განწირულნი საკურთხეველს ააგლიჯა და ქვებით ჩაქოლა. ალექსანდრემ შემოუსწრო და შეაყენა ხოცვა-ჟლეტა. დააწყნარა და შეარიგა მარად შეურიგებელნი — დემოკრატები და ოლიგარქები — სახელმწიფო წყობილებად კი დემოკრატია გამოაცხადა „დემოკრატმა მეფემ". აქვე მან ბრძანა, ყველა ის გადასახადი, რასაც ეფესელები აქამდე სპარსეთს უხდიდნენ, ახლა არტემიდეს ტაძრის აღსადგენად გადაეხადათ. ასე მოუნდომებია ალექსანდრეს მსოფლიოს „შვიდ საოცრებათა" ერთი უმშვენიერესი ძეგლის, არტემიდე ეფესელის ტაძრის აღდგენა, — იმ ტაძრისა, რომელიც ჰეროსტრატეს დაუწვავს სწორედ ალექსანდრეს დაბადების დღეს.

ეფესოში ყოფნისას ალექსანდრეს ეწვივნენ კარიის ორი დიდი ქალაქის — ტრალესისა და მაგნეზიის * — წარმომადგენელნი, რომლებმაც, მეფეს თავიანთი ქალაქების ჩაბარება და ქვეშევრდომობა შესთავაზეს. ალექსანდრემ დიდი მადლიერებით მიიღო ეს „საზრუნავი" და მაშინვე ამ ქალაქთა დასაკავებლად 5000 ქვეითი და 200 მხედრით გაგზავნა პარმენიონი. აქედანვე მეფემ კიდევ ერთი სარდალი, ალკიმახოსი, ძმა ლისიმახოსისა, გაგზავნა სხვა იონიურ და ეოლიურ ქალაქებში, ყველგან ოლიგარქიის დასამხობად, დემოკრა-

---

* იყო კიდევ მეორე მაგნეზია — ლიდიის სატრაპიაში.

ტიის აღსადგენად და სპარსელთა ხარკის აღსაკვეთად. და ასე აღსრულდა მისი ბრძანებანი არა მარტო კონტინენტის ბერძნულ ქალაქებში, არამედ კუნძულებზეც — ქიოსზე და ლესბოსზე.

ეფესოში ალექსანდრემ გაიცნო და დაიახლოვა სახელოვანი ბერძენი მხატვარი — აპელესი. აქვე, არტემიდეს ახალ ტაძარში, აპელესმა დახატა ალექსანდრეს პორტრეტი, ზევსის მსგავსად — ხელთა შორის ელვით და მეხით *.

ეფესოში ალექსანდრე გეგმავდა ზღვის სანაპირო ბერძნულ ქალაქთა აღდგენით სამუშაოებს. პირველ რიგში აღადგინა კიდეც ლიდიელთაგან დანგრეული და იავარქმნილი ქალაქი სმირნა.

ბოლოს, ალექსანდრემ ახლადაგებულ არტემიდეს ტაძარში დიდი საზეიმო მსხვერპლწირვა გამართა, მასუკან ჯარების აღლუმი და საომარი განწესრიგების დათვალიერება მოაწყო და მომდევნო დღეს გაეშურა სამხრეთით — მილეტისაკენ.

მილეტი იონიის ქალაქთაგან პირველი იყო, რომელიც მის „გასათავისუფლებლად" მომავალ „თანამემამულე გმირს" სერიოზულ ომს უმზადებდა. მილეტში სპარსული გარნიზონი იდგა და უფროსად ბერძენი სტრატეგოსი, იგისისტრატოსი ჰყავდა. იგისისტრატოსს მილეტის იშვიათი სტრატეგიული მდებარეობის და სპარსეთის დიდი ფლოტის იმედი ჰქონდა. ქალაქი ნახევარკუნძულზე იდგა და სამი მხრიდან ზღვა ეკვროდა, ხმელეთიდან კი დიდი გალავნებითა და განიერი თხრილებით იყო დაცული. სპარსთა ფლოტიც უკვე მიდიოდა, ჰალიკარნასიდან კი ფინიკიური და ბერძნული 400 გემი მოემართებოდა, მაგრამ დაასწრო, იმარჯვა ალექსანდრეს ფლოტის სარდალმა, ნიკანორმა, 160 ხომალდით მიასწრო და ზღვიდან მისასვლელები დაუკეტა მილეტს. სპარსთა ფლოტმა შებრძოლება ვერ გაბედა და მიკალეს კონცხთან დადგა, გულგრილი და შიშრეული უმოქმედობით. ამასობაში ალექსანდრემ ხმელეთიდან იერიში მიიტანა და ქალაქი აიღო კიდეც [12].

ამის შემდეგ იონიაში სპარსელთა ბატონობის ერთადერთ თავშე-

---

* შესაძლოა, ამ ნახატის შესახებ გავრცელდა ეს ანეკდოტი: ალექსანდრემ, თითქოს დიდი აღტაცება არ გამოთქვა, როცა იხილა ბუკეფალაზე ამხედრებული თავისი თავი. და მაშინ აპელესმა შემოიყვანა ბუკეფალა, რომელმაც როგორც კი კედელზე თავისი ორეული იხილა, ისე „შეიცნო", რომ ჭიხვინითა და ტორების ცემით მიეგება. მაშინ აპელესს უთქვამს ალექსანდრესთვის — ამ ცხენს ხელოვნება შენზე ეკეთ ეამინო.

საფრად რჩებოდა ჰალიკარნასი, კარიის მთავარი ქალაქი, რომელსაც მაკედონელთა მოსვლამდე უკვე განვლილი ჰქონდა თავისი დიდი ისტორია. 150 წლის წინათ აქ დაიბადა „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე. 146 წლის წინათ, სალამინის სახელოვან ბრძოლაში, მსოფლიო ალეპარაკა კარიის დედოფლის, არტემისია I-ის საარაკო გმირობამ. 20 წლის წინათ კი დედოფალმა არტემისია II-მ მსოფლიო გააკვირვა „ქმრის სიყვარულით“: გარდაცვლილ მეუღლეს, კარიის სატრაპს, მავზოლოსს, აუშენა აკლდამა — „მავზოლეიონ“ — რომელიც მსოფლიო საოცრებათა შვიდეულში შევიდა.

მაკედონელთა აღზევების ჟამს კარიაში ტახტისათვის ერთმანეთს ებრძოდა და-ძმა, ადა და პიქსოდოროსი. ადა დამარცხდა და მთის ციხესიმაგრეში, ალინდაში განმარტოვდა. პიქსოდოროსი ერთბაშს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ვერაფერს გახდა და ისევ სპარსელებს შეეფიცა. ესენ თავისი ასული ცოლად მისცა ახალგაზრდა წარჩინებულ სპარსელს, ოთონტოპატს. პიქსოდოროსიც მოკვდა და კარიის პბრძანებელი გახდა ოთონტოპატი, რომელსაც ბედისწერა თურმე ალექსანდრე მაკედონელთან შეხვედრას უმზადებდა.

მაგრამ ოთონტოპატი მარტო არ ყოფილა. მასთან მოსულიყო და მტკიცე ბურჯად დასდგომოდა მემნონ როდოსელი, ერთადერთი ვეულგაუტეხელი და შეურიგებელი ბერძენი სტოიტეგოსი ალექსანდრე კედონელის წინააღმდეგ ომში. მემნონის ტრაგედიაც სწორედ ეს იყო: ბერძენს ბერძნებთან მისასვლელი ხიდები სამუდამოდ ჩაეტეხა და უცხოელ სპარსელებთან თავგადამკვდარ ერთგულებას თვითონ სპარსელები, „როგორც უცხოელს“, არ უფასებდნენ. ჰალიკარნასში რომ მოვიდა, მემნონმა ცოლ-შვილი დარიოს მეფის კარზე გაგზავნა. ამით იგი ოჯახს საომარი ხიფათისგანაც იხსნიდა და სპარსელებსაც მიანიშნებდა — ერთგულების დასამტკიცებლად სხვა რაღა გინდათ — ცოლ-შვილს მძევლად გაძლევთო. ახლა კი „დაუფასა“ ერთგულება „ანტიბერძენ ბერძენს“ დარიოს III-მ და დანიშნა იგი სრულიად საზღვაო და სანაპიროსახმელეთო ძალების მთავარსარდლად [13].

ოთონტოპატთან და მემნონთან ჰალიკარნასში კიდევ იყვნენ „გაქცეულები“ — ათენელი მაკედონელი ეფიალტე და ამინტა ანტიოქიდი.

ამ „დიდებულ ოთხეულს“ გადაეწყვიტა ალექსანდრე მაკედონელის დამარცხება და დაქვესკნელება, უკეთუ იგი კარიაში შესვლასა და ჰალიკარნასის ხელყოფას გაბედავდა.

ალექსანდრე კი „ბედავდა“ და მოდიოდა. იგი კარიაში შემოვიდა თუ არა, მაშინვე ადა შეხვდა — „კანონიერი დედოფალი“ — და შვილად აყვანა შესთავაზა. ადას შვილობა ალექსანდრესთვის ზედმეტი არ იქნებოდა, — პირიქით, „კანონიერი დედოფლის“ შვილობიდან „კანონიერი უფლისწულობა“ მიიღებოდა და ალექსანდრესაც შეეძლო კარია-ჰალიკარნასის ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა თავი. ასეც მოხდა. კარიის ქალაქთა სრულმა უმრავლესობამ ალექსანდრეს „გამათავისუფლებელი მანიფესტი“ უყოყმანოდ მიიღო. დარჩა მხოლოდ ჰალიკარნასი, ერთადერთი მთელს კარიაში, რომელიც ალექსანდრეს „თავისუფლებას“ ისევ სპარსეთის „შეჩვეულ უღელს“ ამჯობინებდა.

ქალაქი სამი მხრიდან მძლავრი კედლებით იყო შემოსალტული, ხოლო მეოთხე, სამხრეთის მხრიდან იგი ეკვროდა ზღვას. შიგნით, მთავარი აკროპოლისის გარდა, კიდევ სამი ციტადელი ედგა ჰალიკარნასს. მემნონის ბრძანებით, ქალაქის გარშემო ახალი თხრილები გათხარეს და მიწაყრილები აღმართეს, ზღვიდან კიდევ სამხედრო გემები ჩაამწიდროვეს.

ალექსანდრემ ჰალიკარნასს ჯარი ათას ნაბიჯზე მიუახლოვა და საალყოდ დააბანაკა. მემნონმა ქალაქიდან თავისიანები გამოასხა და ალექსანდრეს შემოუტია. ალექსანდრემ პტოლემაიოსს ლაგიდი შეახვედრა. მემნონი უკუიქცა და ისევ შეიკეტა ქალაქის კედლებში. ალყა გაჭიანურდა. მცირე, ფრთხილი, ღამეული შეტაკებები ორივე მხრივ ჯერჯერობით მხოლოდ უსაზღვნო სისხლს იწირავდა. ალექსანდრე გადამწყვეტ იერიშს და ქალაქის დანგრევას ერიდებოდა, — უნდოდა, ჰალიკარნასი ხელუხლებლად დაეპყრო და მოწინააღმდეგისაგან ნებაყოფლობით კაპიტულაციას ელოდებოდა. მაგრამ კვირა კვირას გადაება და გულისგამაწყალებელ მიხდომ-მოხდომას ბოლო არ უჩანდა. ერთ-ერთი შეტაკებისას გმირის სიკვდილით დაეცა ეფიალტე ათენელი, მაგრამ მემნონი მედგრად განაგრძობდა ქალაქის დაცვას. იგი ცეცხლს უკიდებდა მაკედონელთა საიერიშო მანქანებს, ალმოდებულ მორებს აყრიდა და ანთებულ ფისს ასხამდა მოიერიშე მაკედონელებს. ალექსანდრე ისევ გაურბოდა უკიდურესობას და მხოლოდ ალყას აძლიერებდა და ასალკლდევებდა.

მართლაც ალყაში მოქცეულებს სულიერი სიმტკიცე მოეშალათ და მოერღვათ. თვითონ მემნონმა და ოთონტოპატმა პირველებმა გადაწყვიტეს საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ფასად ქალაქი გაეწირათ. რასაც ხელი დარიეს, გემებში ჩაჰყარეს, ქალაქი ცეცხლს მისცეს

და გადაიხვეწნენ. ალექსანდრემ ქალაქში სასწრაფოდ ჯარი შეიყვანა და ხანძარი ძლივს ჩააქრობინა.

ჰალიკარნასიც ალექსანდრეს ფერხთა წინაშე დამხობილიყო. ამგვარად, კარიის დაპყრობის შემდეგ, მაკედონელი მეფის ხელში იყო მცირე აზიის სრულიად დასავლეთი ნაწილი. ტრადიციული „ელევთერიებისა“ და „ავტონომიების“ აღდგენა ბერძნულ პოლისებში და მაკედონური გარნიზონები ფრიგია-ლიდია-კარიაში სრულ საფუძველს იძლეოდა, ამიერიდან მცირე აზიის დასავლეთ მხარეში სპარსული ექსპანსიის განმეორება სამუდამოდ აღკვეთილიყო და სტრატეგიულად და ეკონომიურად უდიდესი მნიშვნელობის მქონე ეს ქვეყანა ბერძნულ-მაკედონური სამყაროს მეუფის ხელში მტკიცედ დარჩენილიყო.

და ყოველივე ეს იყო შედეგი ერთი ზაფხულის ლაშქრობისა.

შემოდგომა მიიწურა. ნაადრევი ზამთარი დადგა. მომავალი წლისთვის ალექსანდრე ახალ დიდ ლაშქრობას ამზადებდა მცირე აზიის სიღრმეში შესაჭრელად. საჭირო იყო ახალი საომარი ძალებიც მიეღო ბალკანეთიდან. მეფემ ახლად დაოჯახებული ჯარისკაცები სამშობლოში დააბრუნა, ოჯახებში გამოსაზამთრებლად და „გამოსატკბილებლად“. მაგრამ ადრიან გაზაფხულზე თვითონაც უნდა გამობრუნებულიყვნენ, ახალწვეულებიც წამოეყვანათ და ყველას ერთად თავი მცირე აზიის შუაგულში მოეყარათ — ქალაქ გორდიონში. ყოველივე ამის საორგანიზაციოდ და სამეთაუროდ — ახალოჯახიანთა და ახალწვეულთა შესაყრელად და გადასაყვან-გადმოსაყვანად — ალექსანდრემ მაკედონიაში დააბრუნა ახალნაქორწინევი სარდლები — პტოლემაიოს სელევკიდი, ჰელეაგრე და კენოსი (ამან პარმენიონის ასული შეირთო იმ წელს). დანარჩენი ჯარები („სტაციანი მეოჯახეებისა“) ალექსანდრემ ორად გაჰყო. ერთი ნაწილი, მაკედონური და თესალიური მხედრობანი, პარმენიონს ჩააბარა და ლიდიაში გაგზავნა. ლიდიაში უნდა გამოეზამთრებინა და მომავალი წლის ადრე გაზაფხულზე იმავე ჯარით პარმენიონი უნდა მისულიყო ყველა ჯარის შესაკრებ ადგილზე, ქალაქ გორდიონში. მეორე, უფრო მოზრდილი ნაწილით, თვითონ ალექსანდრე სამხრეთ მცირე აზიისაკენ გაეშურა.

ალექსანდრე შევიდა ლიკიაში. მცირე აზიის ეს ოლქი კიროსის დროიდან სპარსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. ლიკიელებიც ალექსანდრეს ისე შეხვდნენ, როგორც „გამათავისუფლებელს“ და მაკედონიის მეფემ წვეთი სისხლის დაუღვრელად ჩაიბარა ეს მდიდარი და

ლამაზი მხარე. 32 ქალაქი ტრიუმფით გაიარა. ყველგან ოქროს გვირგვინებითა და უმდიდრესი საჩუქრებით ეგებებოდნენ. ლიკიის მმართველად ალექსანდრემ დანიშნა თავისი უახლოესი თანამებრძოლთაგანი — ნეარქოსი.

განსაკუთრებული პატივით შეხვდა ალექსანდრეს ქალაქი ფასელიდა. აქაურებმა ოქროს გვირგვინი მიართვეს მეფეს. თავის მხრივ ალექსანდრემ ფასელიდაში გვირგვინებით შეამკო ახლადგარდაცვლილი აქაური პოეტისა და მისი საყვარელი მეგობრის, არისტოტელესთან თანამოსწავლის, თეოდექტეს ქანდაკება[14].

აქვე მოულოდნელად გაიხსნა შეთქმულება ალექსანდრეს სიცოცხლის შესამუსრავად. გავიხსენოთ ფილიპეს მკვლელობისათვის დასჯილი ლინკესტიდი ძმები — ჰერომენესი და არაბეოსი, რომელთაც ჰყავდათ მესამე ძმა ალექსანდრე. და ამ ალექსანდრე ლინკესტიდმა სასჯელს დასწრო, ახლად ტახტზე ამაყალ ალექსანდრე მაკედონელს ეახლა და გამეფება ყველაზე პირველმა მიულოცა. მას შემდეგ ალექსანდრე მეფეს ალექსანდრე ლინკესტიდი უახლოეს თანამებრძოლთა და თანამეგობართა შორის ჰყავდა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ „ძაღლის კუდი არ გასწორებულა". ალექსანდრე ლინკესტიდს ~~ალუმალი~~ კავშირი ~~ეკონ~~ ~~ებ~~ ~~ა~~ ~~ს~~ დარიოს III-სთან. სპარსეთის მეფე მას ათას ოქროს ტალანტსა და მაკედონიის ტახტს აღუთქვამდა, თუკი ალექსანდრე მაკედონელა მოკლავდა.

ალექსანდრე ლინკესტიდი შეიპყრეს და გასამართლეს. ჩვეულებრივ, მეფის მოკვლის განზრახვისათვის სასჯელად სიკვდილს რა დაუდგებოდა, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელმა მოღალატე სეხნიას ჯერჯერობით ბორკილები დაპატიმრობა აკმარა. ესეთი „ლმობიერების" მიზეზი, ჯერ ერთი, ის იყო, რომ ალექსანდრე ლინკესტიდი მეფეს ეახლოეს კაცს, მაკედონიის მმართველად დატოვებულ ანტიპატროსს სიძედ ერგებოდა და, მეორეც — მეფეს არ სურდა მის ჰეტეროთაგან რომელიმეს მოკვლა უსიამო მითქმა-მოთქმის საგანი გამხდარიყო მტრებშიც და მოყვრებშიც[15].

უკვე ზამთარი იდგა. ალექსანდრე ლიკიიდან პამფილიაში გადასულიყო. პამფილიაც მას ხელგაშლილი შეხვდა, მაგრამ მთაგორიან და კლდოვან ქვეყანაში ჯარის მოძრაობა ძალიან გაჭირდა. უკვე ზღაპრებს ავრცელებდნენ იმის შესახებ, თუ როგორ „თავის ჭკუაზე" იმორჩილებდა „ღვთაებრივი" ალექსანდრე მაკედონელი ზღვასაც და ხმელეთსაც, — თვალის უბრალო მიპყრობით როგორ უკუაქცევდა

ზღვის ტალღებს, ან ზღვიდან რომ მშრალად ამოდიოდა, ან როგორ ადიოდა და აჰყავდა ჯარი მანამდე კაციშვილისგან ფეხდაუდგამ კლდის „კიბეებზე“. მისი თანამგზავრი და „თანაპერიპატეტიკოსი“, ისტორიკოს-გეოგრაფოს-ფილოსოფოსი კალისთენე წერდა, რომ ზღვას თვითონ სურდა ალექსანდრესთვის თაყვანი ეცა და მიტომ მის წინაშე თავდაღმა ემხობოდაო!

პამფილიიდან ჩრდილოეთით წარემართა და პისიდიის მთიანეთში გადავიდა ალექსანდრე მაკედონელი. აქ კი მტრულად დაუხვდნენ მაკედონელებს თავისუფლებისმოყვარე პისიდიელები, რომლებიც მანამდე არც სპარსელთა მორჩილად თვლიდნენ თავს. განსაკუთრებით ქალაქი სალაგასი დაუხვდა მედგარი წინააღმდეგობით მტერს. ალექსანდრემ მხოლოდ სასტიკი იერიშებით შეძლო ამ ქალაქის აღება.

პისიდიიდან ფრიგიის მთავარი ქალაქისკენ, გორდიონისკენ წაიყვანა ჯარები ალექსანდრემ...

დგას 333 წლის ადრიანი გაზაფხული. გორდიონში თავი მოუყრია ალექსანდრე მაკედონელის ყოველ ჯარს. პარმენიონიც მოსულა საზამთრო ბანაკიდან. მაკედონიიდან დაბრუნებულან პტოლემაიოსი, მელეაგრე და კენოსი, შვებულებაგამოვლილი და ახალწვეული ჯარებით. ახალწვეული კი იყო 3000 ქვეითი და 300 ცხენოსანი მაკედონელი, 200 თესალიელი და 150 ელეელი მხედარი.

გორდიონის აკროპოლისში, ფრიგიის მეფეთა სასახლეში, ინახებოდა ლეგენდარული გორდიოს მეფის და შემდგომ მისი ძის, მიდას მეფის „ღვთისგან ბოძებული“ ეტლი, რომლის ხელნები (რვილები) შეკრული იყო თასმის მრავალნასკვოვანი, თავ-ბოლო უჩინარი კვანძით, ეს იყო საუკუნეების მანძილზე ყბადაღებული „გორდიოსის კვანძი“, რომელსაც თან ერთვოდა „წინასწარმეტყველება“: ვინც ამ კვანძს გახსნის, მხოლოდ იგი შეძლებს აზიის დაპყრობასო. აქამდე თურმე ბევრ დიდსა თუ მცირე ავანტიურისტს უცდია ამ უცნაური კვანძის გახსნა, მაგრამ ამაოდ.

ახლა ალექსანდრე მაკედონელი მიადგა „გორდიოსის კვანძს“, ერთხანს ათვალიერა, უტრიალა, უცებ ხმალი გაიძრო, შეშოკრა და განკვეთა კვანძი, — ხმლით დავიპყრობ აზიასო — თქვა და მომავალ საუკუნეებს მარად სახსოვარ ფიგურალურ თქმად დაუტოვა „გორდიოსის კვანძის განკვეთა“.

და კვლავ აღჯდა ალექსანდრე მაკედონელი ბუკეფალაზე და კვლავ გაუძღვა ჯარებს ახალ სალაშქრო გზებზე.

ხოლო, სპარსეთის სახელმწიფო კარს ისევ ჯეროვნად ვერ შეეფასებინა ევროპიდან მოსული საფრთხის სიდიდე. წინა წელს მტრის გამარჯვებათა მიზეზად მხოლოდ მთავარსარდლის დაუნიშნაობას ასახელებდნენ. ახლა კი ჰყავდათ მთავარსარდალი სპარსელებს, მაინც ბერძენი, მაგრამ სპარსეთისთვის სპარსელზე უფრო ერთგული და თავდადებული, თანაც ყოველ სპარსელზე უფრო ნიჭიერი და მამაცი კაცი, ეს იყო ისევ და ისევ მემნონ როდოსელი, რომელსაც შეეძლო ღირსეული მეტოქეობა გაეწია „ცუნდრუკა“ ალექსანდრესთვის.

ჰალიკარნასის დაცვის ჟამს ძლიერად გამოჩნდა მემნონის ნიჭი და ვაჟკაცობა, უფრო ადრეც, მემნონისთვის რომ დაეჯერებინათ და გრანიკოსის კატასტროფა არ მომხდარიყო, სულ სხვა გეზით წავიდოდა ომის ბედი. მემნონის მთავარსარდლად დანიშვნა ნაგვიანევი რომ არ ყოფილიყო, მართლაც შეიძლებოდა დიდი ნაყოფი მოეტანა მის სტრატეგიულ განაზრახს, რაც ეგეოსზე დიდი საზღვაო ძალების შეყრას და მათი საშუალებით საბერძნეთში ახალ, „ქსერქსესებურ“ შესევას და ევროპისგან ალექსანდრეს მაცოცხლებელ გზათა და არტერიათა გადაჭრას გულისხმობდა. ნაგვიანევი დიახაც იყო, მაგრამ მაინც ამოქმედებულიყო სპარსთა „ნაგვიანევი მთავარსარდალი“. მის ხელში იყო ჯერ კიდევ ძლიერი ფლოტი, რომელიც შედგებოდა ფინიკიური, კიპროსული და ნაწილობრივ როდოსული გემებისაგან. მემნონის მხარე ეჭირათ როდოსს, კოსს და ყველა სპორადულ კუნძულს. მემნონს კარების გახსნით ელოდებოდნენ ქიოსისა და ლესბოსის ოლიგარქები. მართლაც, მიადგა თუ არა ქიოსს, მაშინვე ჩააბარეს კუნძული ოლიგარქებმა[16]. ქიოსიდან ლესბოსს მიადგა მემნონი; აქაური ქალაქებიც ზედიზედ ჩაიგდო ხელში, მაგრამ ლესბოსის მთავარი ქალაქი, მიტილენა, — სადაც მაკედონელთა გარნიზონი იდგა — ძნელი ასაღები შეიქნა. მემნონმა ქალაქი ძლიერ ალყაში მოაქცია და საშინელ შიმშილობაში ჩააგდო. დღე-დღეზე მიტილენა უნდა დაცემულიყო. ეგეოსის სხვა კუნძულებიდანაც ელჩები მოდიოდნენ მემნონთან შესაკავშირებლად. ევბეის ქალაქები მესიასავით ელოდნენ მემნონს. სპარტელებიც იარაღს ისხამდნენ მასთან შესაერთებლად.

და უცებ „მემნონის კვანძი“ საკუთარი მარტივად „განკვეთა“ სიკვდილმა: მემნონი ავად გახდა, მოკვდა და მისი „დიდი გეგმებიც“ სამარეში თან ჩაიყოლა. ასე გაქრა იმჟამინდელი შფოთიანი ასპარეზიდან კაცი, რომელზეც თვითონ ალექსანდრე მაკედონელს უთქვამს:

ყოველი საქმე იოლად აღესრულება, უკეთუ მემნონი არ შეგვიშლის ხელსო [17].

მემნონის უეცარმა სიკვდილმა შეარყია სპარსეთის სამეფო კარი. მაგრამ ეს „შერყევა“ არ გამოხატულა მთავარსარდლის სიკვდილის ვამო გამოწვეულ სახელმწიფო გლოვაში, არამედ მძიმედ, მშფოთვარე კითხვაში — როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მემნონის სიკვდილის შემდეგ, უკვე საომარ გზაზე დამდგარი ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ?

მეფე დარიოს III-მ სასწრაფოდ სამხედრო თათბირი შეჰყარა სუზაში [18]. და იკითხა მეფეთამეფემ: როგორ სჯობია ახლა — ისევ ადგილობრივი სატრაპები შევახვედრო მათ საგანგიო სატრაპიებზე წამოსულ მტერს, თუ მე თვითონ ვუსარდლო სახელმწიფო ჯარებსო. მაშინვე ყველა სპარსელმა კარისკაცმა ერთხმად ურჩია, ჯარებს შენ თვითონ უნდა გაუძღვეო, ვინათგან შენი ღვთაებრიობის ერთი გამოჩენაც ჯარებს ზეადამიანურ მხნეობას ჩაუნერგავს და ერთი ბრძოლაც საკმარისი იქნება თაეხედი ალექსანდრეს გასანადგურებლადო. მაგრამ სხვა რამ ურჩია დარიოსს ქარიდემოსმა, ათენიდან გაქცეულმა და სპარსეთის კარზე დაწინაურებულმა „ანტიმაკედონელმა“ ბერძენმა (ზემოთ ხომ ითქვა ათენიდან მისი გაქცევის შესახებ) — აზიაში ალექსანდრეს შემოჭრა იმად არ ღირს, რომ მისთვის მთელი აზია გაწიროთო, — ამბობდა ქარიდემოსი — არ შეიძლება ყოფნა-არყოფნის სასწორზე შევაგდოთ სახელმწიფო ლაშქარიო, მით უფრო ახლა, არც საჭიროა და არც საკადრისი, უმაღლესი, ღვთაებრივი მეუფე ბრძოლაში წავიდესო; ასეთ უკიდურესობას მხოლოდ უკიდურესი საფრთხის ჟამს უნდა მივმართოთო, ხოლო უკიდურესობა არც ახლა გვჭირს, არც მომავალში დაგვემართება, უკეთუ ფრთხილად და დაკვირვებულად მოვექცევით უჭკუო, თავზეხელაღებულ მაკედონელსო; ბოლოს, გთხოვთ მე მომანდოთ ბრძოლის მეთაურობა და ჩემი ბერძნებით პირობას გაძლევთ, კისერს მოვუგრეხ ალექსანდრესო.

სპარსელებმა მაშინვე მტრობა და ღალატი დასწამეს ბერძენ ემიგრანტს. იგი ჩვენ, სპარსელებს ლაჩრობას გვაბრალებსო, უკადრისად შეურაცხყოფას გვაყენებსო, მეფის ერთი გამოჩენაც ჯარს უსაზღვრო სიმამაცეს და თავგანწირვის უნარს ჩაუნერგავს, ხოლო ეს ბერძენი მეფის ადგილზე თავის თავის დაყენებას ბედავსო; თუ „ეგ ბერძენი“ მართლა მთავარსარდლად დადგა, მაგ და მაგის ბერძენი მეომრები დიდი კროსის ქვეყანას უეჭველად „ბერძენთა მეფეს“ მიჰყიდისო.

გაცეცხლებული წამოიჭრა ფეხზე ქარიდემოსი. — ბრმები ხართ, ლაჩრები და პატივმოყვარეობის ჭიით შეჭმულებიო, — შეუტრიალა სპარსელებს — თქვენ არ გესმით თქვენი უმწეობა და ბერძნების ძალმოსილება, და ბერძნები მართლა გადაყლაპავენ კიროსის ქვეყანას, უკეთუ სპარსეთის მეფის სიბრძნე ჩემს რჩევას ანგარიშს არ გაუწევსო.

ქარიდემოსის ასეთი სიტყვა შეფასებულ იქნა მეფის „ღვთაებრიობის" შეურაცხყოფად და თვითონ დარიოსმა შეახო ხელი სარტყელზე ბერძენს. სარტყელზე მეფის ხელის შეხება კი სიკვდილის განჩინებას ნიშნავდა და ჯალათებმა უმალვე შეიპყრეს ქარიდემოსი. რომელმაც მაინც მოასწრო შეეძახნა დარიოსისთვის: „ძალე ინანებ ჩემი მოკვლისთვის, შურისგებაც გიახლოვდება, შენი სამეფოც დანგრევას ვეღარ გადაურჩება! [19] იგი მოაშთვეს. სპარსთა უმაღლესმა სამხედრო სათათბირომ გადაწყვიტა, შეეყარათ სახელმწიფო ჯარები და, მეფის პირადი სარდლობით, მაკედონელებს დახვედროდნენ კილიკიისა და სირიის შესაყარში. ამას გარდა, ის საომარი ძალები, რომლებიც სიკვდილამდე ემორჩილებოდა მემნონ როდოსელს, გადაეცა ფარნაბაზს და ებრძანა მას ყველა ჯარისთვის თავი მოეყარა ფინიკიის ნაპირზე, ტრიპოლისში. იქვე გაიგზავნა თიმონდა მენტორის ძე (მემნონის ძმისწული), რომელსაც ტრიპოლისიდან ბერძენ მოქირავნეთა ჯარი უნდა წამოეყვანა დარიოსის ჯარებთან შესაერთებლად.

ამასობაში, გორდიონიდან წამოსულმა ალექსანდრემ გამოიარა ანკირა, სადაც მას ეახლნენ ელჩები პაფლაგონიიდან და გამოუცხადეს თავისი ქვეყნის მორჩილება. მას უკან მაკედონელებმა გამოიარეს კაპადოკია, გადმოჭრეს ჰალისის ხეობა, მერე ტავრის ჩრდილოეთი ფერდობი და დაეშვნენ კილიკიისაკენ — მისი მთავარი ქალაქის, ტარსოსისაკენ.

კილიკიის სატრაპს, არსამს, მისი სატრაპიის ჩრდილო საზღვარზე, მთიან და კლდოვან უღელტეხილზე, ჯარი დაეყენებია მტრის შესაკავებლად, — მანამ შესაკავებლად, სანამ თვითონ კილიკიის ქალაქებს გაძარცვავდა და ნაძარცვთან ერთად გაასწრებდა დარიოსთან შესაერთებლად. მაგრამ ალექსანდრეს გამოჩენისთანავე სპარსთა მოდარაჯე ჯარი ისე გაიქცა და ალექსანდრემაც კილიკიაში შესავალი ისე სწრაფად გაიარა, რომ არსამმა ნაძარცვი კი არა, საკუთარი ტყავით ძლივს გაასწრო კილიკიიდან.

მაკედონელები მიადგნენ მდინარე კიდნოსს და მეფემ — უძილო-

ბით, მძიმე ლაშქრობებით, და ზაფხულის მძვინვარე სიცხით დაქანცულმა — მაშინვე ტანთ გაიძრო და ყინულივით ცივ მთის მდინარეში გადაეშვა. ცივმა წყალმა ცხელ სხეულზე მაშინვე ავად იმოქმედა, გრძნობადაკარგული მეფე ძლივს ამოიყვანეს მდინარიდან. საშინელმა ტკივილებმა მოუბრუნეს გონი. ექიმები ვერაფერს გაადნენ. მეფე დღეღამ-სწორებით გაუნელებელი კრუნჩხვებით და ტკივილებით იტანჯებოდა, გაუთავებლად ჭირის ოფლში იწურებოდა. ის იყო, მეფის მორჩენის იმედი გადაეწურათ, რომ, ბოლოს, ექიმთაგან ფილიპე აკარნანიელმა დააიმედა მეფე, — მე ისეთ წამალს გაგიმზადებ, რომელიც უეჭველად მალე მოგარჩენსო. ეს ბერძენი ყრმობითგანვე ალექსანდრეს მკურნალი იყო და კარგად სცოდნოდა თავისი „დიდი პაციენტის“ სხეულის „კლინიკური თვისებები“. ალექსანდრესაც დიდი პატივისცემა და ნდობა ჰქონდა ფილიპესადმი.

მაგრამ წამლის მიღების წინა დღეს ალექსანდრემ პარმენიონის წერილი მიიღო; წერილში ეწერა — ფილიპე აკარნანიელს მოერიდეო, ვინაითგან დარიოსს მისთვის ათასი ტალანტი გამოუგზავნია და ცოლადაც თავისი ასული აღუთქვია, უკეთუ შენ მოგწამლავსო.

მეორე დღეს ფილიპე შემოვიდა და უკვე შეზავებული წამლით სავსე ფიალა მიაწოდა მეფეს. ალექსანდრემ ფიალა ჩამოართვა, სულმოუთქმელად გამოსცალა და ცარიელ სასმურთან ერთად მკურნალს წერილიც გადასცა. ფილიპემ წერილი ისეთივე სიმშვიდით წაიკითხა, რა სიმშვიდითა და ახლობელი ადამიანისადმი რწმენით ალექსანდრემ ის წამალი დალია. წამალმა კი მეფე მოარჩინა[20].

ალექსანდრე შევიდა ტარსოსში და განიმტკიცა ძალაუფლება კილიკიაში, ამ უაღრესად მნიშვნელოვან ქვეყანაში, რომელიც მაერთებელი რგოლი იყო მცირე აზიასა და სირია-ფინიკიის შორის. ტარსოსიდან ალექსანდრე შევიდა ანქიალაში, ასირიელი მეფის, სარდანაპალის დაარსებულ ქალაქში. აქვე სარდანაპალის ძეგლი იხილა მსოფლიოს ახალმა დამპყრობელმა, ფრიად დამაფიქრებელი წარწერით:

„სარდანაპალმა დააარსა ანქიალა და ტარსოსი ერთსა და იმავე დღეს; შენ კი, უცხოელო, ჭამე, სვი და იტრფიალე; სხვა ყველაფერი არაფრად არა ღირს ამ ქვეყანაზე“.

ანქიალას შემდგომ მაკედონელები შევიდნენ სოლში, ზღვის სანაპირო და სანავსადგურო ქალაქში. სოლი ბერძნული ქალაქი იყო, მაგრამ სპარსეთის მორჩილებას შეგუებული. მაგრამ აქაური ბერძნები ახალ, „ბერძენ მეფესაც“ მაშინვე „შეეგუენ“ და ქალაქიც უომრად

ჩააბარეს. აქ მაკედონელებმა და „მოსულმა ბერძნებმა“ დიდი საზეიმო სანახაობანი გამართეს. ალექსანდრეს გამოჯანსაღებისათვის ღმერთმკურნალს, ასკლეპიოსს, მსხვერპლწირვა გაუმართეს; ჯარები საზეიმო სვლით, ანთებული მაშხალებით ვიდოდნენ, იყო შეჯიბრი სირბილში, ჯირითში, ტანვარჯიშში, სახიობაში, პოეტურ და სოფისტურ პაექრობაში. მოსულმა ბერძნებმა დამხვდურებს საბერძნეთის ძველი დიდება გააცხადეს, მიძინებული ელინური სისხლი აუმღვრიეს და გული აუჩუყეს, აზიური ბარბაროსობის პირობებში დამცრობილი ბერძნობა უმაღლესი სულის უპირატესობად აღადგინეს.

ალექსანდრემ სოლის შემდგომ დაიჭირა ასევე ბერძნული წარმომავლობის კიდევ ორი სანავსადგურო ქალაქი კილიკიაში — მაგარსი და მალი.

მალში ალექსანდრემ პირველად შეიტყო, რომ მეფე დარიოს III კოდომანი უთვალავი მხედრობით მოეშურება მასთან შესაბვედრად; მან უკვე გადმოიარა ევფრატი და დაბანაკდა ქალაქ სოხასთან, სირიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კილიკიამდე ორი დღის სავალზე.

მეორე დილითვე ალექსანდრემ ჯარები მალიდან გამოიყვანა და აღმოსავლეთისკენ წარემართა. ხმელეთში ღრმად შემოჭრილი ყურის გასწვრივ იარა, მდინარე პინაროსი გადაიარა და ქალაქ ისოსში მივიდა. აქ. ისოსში, სირიისკენ გასასვლელად მეფეს გზაბოძალი ელოდებოდა — ერთი, ხმელეთის სიღრმეში, ამანის მთების გადალახვით და, მეორე. ისევ ზღვის გაყოლებით. ქალაქ მირიანდრასკენ. დაღლილი, ნალაშქრევი ჯარებისათვის მთიანი გზების დაძლევა ძნელი უნდა ყოფილიყო და ალექსანდრემაც, სავსებით ბუნებრივად, ისევ ზღვის პირითა და დაბლობით სიარული აირჩია. მან დაჭრილი და ავადმყოფი მეომრები ისოსში დატოვა და თვითონ, სრული საომარი ძალებით, მირიანდრას მივიდა და დაბანაკდა.

მირიანდრადან სირიის საზღვრამდე ერთი საათის გზა დარჩენილიყო, საზღვრიდან კი — ორი დღის სავალზე — ქალაქ სოხასთან გაშლილ ტრიამელ ველზე — სპარსეთის ხელმწიფე იყო თავისი უზარმაზარი არმიით დაბანაკებული და დასაძოვრებული.

ნოემბერი ახალი დამდგარი იყო. მირიანდრაში კოკისპირული წვიმები დადგა, წვიმაში გრიგალი აირია, მძვინვარე ტაროსი გაგრძელდა და ჩადგომას თითქოს აღარც აპირებდა. არამცთუ სალაშქროდ გასვლა, ბანაკიდან თავის გამოყოფაც აღარ შეიძლებოდა.

მაგრამ კარგი ამინდიც რომ ყოფილიყო, ალექსანდრეს მაინც არ უნდა წაეყვანა ჯარი სირიაში, სოხას ბანაკზე თავდასასხმელად, — არ უნდა წაეყვანა, ვინათგან მისთვის უალრესად სახიფათო და უიმედო იქნებოდა რიცხვით, სულ ცოტა, ოთხჯერ უმეტეს მოწინააღმდეგეს-თან შეხვედრა სოხას ფართო ველზე, სადაც დარიოსს თავისუფლად შეეძლო თავისი რიცხობრივად დიდად უპირატესი ძალებით ალექ-სანდრე სალტეში მოექცია და მოესრისა.

რაღა თქმა უნდა, არც დარიოსს უნდა მოეცალა ფეხი სოხას მინდვრიდან, მისთვის ყოვლად უპირატესი საომარი ადგილიდან.

მაშ, მოწინააღმდეგეთაგან არც ერთი არ უნდა დაძრულიყო თა-ვისი ბანაკიდან, უკეთუ რაიმე მოულოდნელობა „დეუს ექს მახინასა-ვით“ არ შემოიჭრებოდა წონასწორად მოქანავე სასწორის ასაშლე-ლად.

ალექსანდრე მიხვდა, რომ მირიანდრას ბანაკიდან არ უნდა წასუ-ლიყო სოხას ბანაკზე თავდასასხმელად.

დარიოსი კი ვერ მიხვდა, რომ ფეხი არ უნდა გაედგა მისთვის მომ-გებიანი სოხას ბანაკიდან.

სასწორი უკვე აშლილი იყო, ყოველგვარი „დეუს ექს მახინას“ გარეშე, წყალობითა უგუნურებისა სპარსეთის მეფისა და მისი შტა-ბისა!

სპარსეთის გვირგვინოსნის საომარი დროშების ქვეშ 200 000 მე-ომარი იდგა, აქედან — 170 000 ახალი და 30 000 დაქირავებული ბერძენი. დარიოსს სწამდა ამ არმიისა, სწამდა თავისი „სამართლიანი საქმისა“, სწამდა თავისი საუხეიერო და სამოქალაქო სიბრძნისა და სწამდა იმ სიზმრისაც, გამოლაშქრების წინა ღამით რომ ესიზმრა და ისე სასიკეთოდ აუხსნეს ქალდეველმა მესიზმრეებმა (ვითომ მაკედო-ნელთა ბანაკს ხანძარი მოსდებოდა, მაკედონიის მეფე კი ჯერ ბაბილო-ნის ქუჩებში მიაჭენებდა ცხენს, სპარსული ტანსაცმლით მოსილი, და უცებ გამქრალან კაციც და ცხენიც!). არც ერთ მის ქვეშევრდომს, ახ-ლობელს, მეგობარს და ოჯახის წევრს არ ეპარებოდა ოდნავი ეჭვიც სრული გამარჯვებისა და „ალექსანდრე ცანცარას“ გაცამტვერებისა.

მოდიოდნენ სპარსელნი. წინ, ვერცხლის საკურთხეველზე ანთებუ-ლი საღვთო ცეცხლი მოჰქონდათ მოგვებს, აჰურამაზდას სადიდებელი საგალობლების ღიღინითა და ყივილით. მოგვებს მოსდევდნენ ძოწით-მოსილი ყმაწვილნი, რიცხვით წელიწადის დღეთა ტოლნი — 365. შემდეგ, ოთხი თეთრი ცხენი მოაქანებდა ოქროს ეტლს, რომელშიც

ოჯდა განსაცარი სიმდიდრითა და ბრწყინვალეებით მორთულ-მოკაზმული თვითონ მეფეთამეფე დარიოს III. მეფის ეტლს კიდევ ერთი ფაშატი მოსდევდა, მარქაფი, „მზის ცხენი". თეთრად მოსილი მეჯინიბენი გარს ეხვევნენ ეტლსა და მარქაფს. მერე კიდევ ოქრო-ვერცხლით აღკაზმული ეტლი მოქროდა, შიგ დარიოსის ოჯახი მოთავსებულიყო, დედა — სიზიგამბისი, მეუღლე — სტატირა. მთელს აზიაში ულამაზესი ქალი (ფეხმძიმედ იყო), მეფის ასულნი — სტატირა და ბარსინა და ექვსი წლის ყრმა-უფლისწული — არტაქსერქსე. ამათ, მცირე დამანძილებით, კიდევ ცხრა ვერცხლის ეტლი მოჰყვებოდა — მეფის ჰარამხანით, წარჩინებულებით, საჭურისებით, ენაამორთმეული და ყურდათლილი მსახურეულით. მთელი სპარსეთის სამეფო კარი წამოსულიყო „სეირის საყურებლად". 10 000 „უკვდავი მეომარი" მოაგელვებდა ცხენს, მეფის „ღვთაებრიობის" პირადი მცველნი, ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით შემკულნი, უბრწყინვალესი აღჭურვილობით დასილაღებულნი... და შემდგომ მოთქარუნობდა სრულიად სპარსეთის ან უმეტესი აზიის ჯარები...

პირველი, ვინც დარიოსის ბანაკს კილიკიაში ალექსანდრეს და მისი ჯარების ჩამოსვლა აუწყა, იყო კილიკიიდანვე გაქცეული სატრაპი არსამი. მას უკან იდგნენ და ელოდნენ სპარსელები მაკედონელებს. ალბათ ალექსანდრე ამანის უღელტეხილებზე გადმოიცლისო და გასცქეროდნენ დასავლეთს — ან აგერ გამოჩნდება მოჭენავე მტრის ფერხთაგან ავარდნილი მტვრის კორიანტელი და ან აგერო. მაგრამ ამაოდ ელოდნენ. დღე დღეს მისდევდა და ალექსანდრე კი არ ჩანდა. დრო ყველაფერს ნთქავს და ყველაფერში — საფრთხისადმი სიფრთხილის გრძნობასაც. სპარსელები გათამამდნენ, ალექსანდრესგან ნაწვნევი მარცხის სიმწვავეც დაივიწყეს, მაკედონელს უკვე კიდევაც დასცინოდნენ, ლაჩრად და გულჩუკენად იხსენიებდნენ, მეფეთამეფე დარიოსის ბრწყინვალების ფონზე კატის კნუტად აღარ აგდებდნენ! ალბათ, იმ ხევხუვებშიც ის „ცუნდრუკა მაკედონელი" იმიტომ იმალება, იცის, ფეხი რომ გამოდგას, სპარსული ცხენების ფლოქვებიც საკმარისია მის გასასრესადო. ალექსანდრე გავს წვრილფეხა ნადირს, რომელიც მგზავრის შორეული ფეხის ხმაზეც სოროში იმალებაო [21].

და ბოლოს, შეუჩნდნენ დარიოსს მისი პირმოთნე, მსუბუქთავიანი კარისკაცები — ალექსანდრე ისეა დაშინებული, აქეთ გადმოსვლას ვერასგზით ვერ გაბედავს და, სანამ იქიდანაც გაგვექცეოდეს, საჭიროა ჩვენ თვითონ დავიძრათ, თავს დავესხათ და გავანადგუროთო. მხო-

ლოდ ერთი კაცი — მაკედონიიდან ადრე გაქცეული და ალექსანდრეს მოსისხლე მტერი, ამინტა ანტიოქეს ძე, არწმუნებდა დარიოსს: არ დაიჯერო რომ ალექსანდრეს ეშინოდესო, იგი ძალიან მალე გამოჩნდება და უფრო დიდ საფრთხეს სწორედ ის მოასწავებს, ამდენხახს რომ აგვიანებსო; არავითარ შემთხვევაში კილიკიის ვიწროებში არ უნდა გადავიდეთო — განაგრძობდა ამინტა ანტიოქიდი — ეს ადგილი, სოხას ველი, ირის ჩვენთვის ყოვლად მოსახერხებელი ბრძოლის ადგილი, აქ ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ, ან, მარცხის შემთხვევაში, თავსაც იოლად გადავირჩენთო [22]. მაგრამ დარიოსმა არ დაუჯერა ამინტას. — ახლავე უნდა გავეშურო, ვინათგან მეშინია ალექსანდრეს გაქცევა არ მომასწროს და ხელიდან არ დამეცლტეოს, — უთხრა მან ბერძენს. — მაგ მხრივ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მეფეო, ალექსანდრე თვითონ გამოემართება შენკენ და, ვგონებ, უკვე მოდის კიდეცო, — უპასუხა ამინტამ [23]. დარიოსმა კი ისევ სპარსელი ჯარისკაცებისა და საკუთარი „ღვთაებრივი გუშანისა" იწამა, თანხლებული საგანაურები დამასკოში გაგზავნა და ჯარი საალაქრო გზაზე დააყენა.

სპარსელები ამანის ულელტეხილებით გაემართნენ კილიკიისაკენ. ეს მთიანი ანუ. — როგორც უწოდებდნენ — „მკაცრი კილიკია" გადაიარეს და ზღვის პირის „ბედნიერი ქალაქისაკენ" — ისოსისაკენ დაეშვნენ.

ისოსში სპარსელებს მხოლოდ ალექსანდრესგან დატოვებული დაჭრილი და დასნეულებული მეომრები დაუვდათ. სპარსელმა ჯალათებმა ყველას ხელები დააკვრეს, გარდანაკვეთი მოუწვეს. ასე ნატანჯნი ჯარების წინ ჩამოატარეს და გაუშვეს — გაიქეცით და თქვენს მეფეს აუწყეთ, რაც იხილეთო.

ალექსანდრეს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბრძმა წამებულმა მეომრებმა ზურგიდან დარიოსის ჩამოგრის ამბავი აცნობეს. მტრის ეს უგუნურება მისთვის ისეოდენად დაუჯერებელი იყო, რომ მაშინვე საგანგებო მზვერავები აფრინა სინამდვილის შესაჭოწმებლად. ყოველივე სიმართლე აღმოჩნდა. ალექსანდრემ ღმერთებს მადლი შესწირა, რომ მისი ამდენი ლოცვა შეისმინეს და ბრძოლის ადგილად სწორედ ეს ვიწროები არგუნეს [24].

დარიოსის არმიები ისოსის ვიწროებში ჩაეტეოლეყო და მეომრიცხობრივი უპირატესობაც თავისთავად დაკარგული იყო.

თვითონ დარიოსი კი თავის თავს „ჩაეტეოლად" არ თვლიდა და ჯარებს საომრად ალაგებდა.

მაშ, ქრისტეს დაბადებამდე 333 წელი, შუა ნოემბერი. სახელოვანი ბრძოლა ქალაქ ისოსთან.

ბრძოლის ადგილი — ისოსის ველი, ქალაქის სამხრეთით, სიგრძით 5—6 კილომეტრი, სიფართით 1000—1200 მეტრი, ზღვასა (დასავლეთით) და მთას (აღმოსავლეთით) შორის მოქცეული მიწის ნაჭერი, რომელსაც შუაზე კვეთს მთიდან მომავალი მცირე მდინარე — პინაროს (ახლ. დელი-ჩაი).

მდინარის მარჯვნივ — დარიოსი, მარცხნივ — ალექსანდრე.

დარიოსმა მარჯვენა ფლანგზე, ზღვაზე მიყრდნობით, დააყენა სულ 50 000 მეომარი — 20 000 მოისარი და მოშურდული ნაბარზანის მეთაურობით და 30 000 დაქირავებული ბერძენი, თიმონდა მენტორის ძის სარდლობით. მარცხენა ფრთაზე მეფეთამეფემ დააყენა 60 000 აზიელი ცხენოსანი და უკიდურეს მარცხენა ფლანგზე, მთაზე მიყრდნობით — 20 000 ქვეითი აზიელი, არისტოდემეს სარდლობით. შუაგულში დადგა თვითონ დარიოსი, საკუთარი გვარდიით — 10 000 „უკვდავით". უკან სამ რიგად ჩადგა რეზერვი, თითოეულ რიგში — 20 000 მეომარი, სულ — 60 000. ასე რომ, მდინარე პინაროსის მარჯვენა მხარე, მთიდან ზღვამდე, სრულიად გატენილი და გაჭედილი იყო სპარსელი გვირგვინოსნის საომარი ძალებით.

ალექსანდრემ შუაზედ, ორის ფრთით, ქვეითი ფალანგები ჩაალაგა, ექვს ტაქსისად დაყოფილნი. მარცხენა ფლანგზე, ზღვისკენ, შუა და სამხრეთ საბერძნეთის მხედრობანი დააყენა, პარმენიონის სარდლობით და კრატეროსის მოადგილეობით. მარჯვენა ფლანგზე, მთისკენ, თვითონ დადგა მაკედონელთა და თესალიელთა მხედრობით. მთელი განლაგების წინ მან გააბწკრივა თრაკიელი და კრეტელი მოისარნი და მოშურდულენი.

ასეთი წყობით მიიწევდა ალექსანდრე მდინარისაკენ და თან სიტყვებით ამხნევებდა და საომრად ახელებდა თავის მეომრებს, იგი მიმოქროდა ჯარების წინ, მიმართავდა ზოგს პირადად, ცალკეულად ან ჯგუფეულად. მოაგონებდა წინარე გმირობებს, აღუთქვამდა დიდ სახელსა და ურიცხვ სიმდიდრეს. სპარსეთიც, ბაქტრიაც, ინდოეთიც მაკედონიის პროვინციები იქნებიანო. მარტო აზია კი არა, მთელი დედამიწა ჩვენი იქნებაო; ჩვენ მახვილებიც არ დაგვჭირდება, მარტო ფარებით გავლახავთ და გავაქცევთ მშიშარა აზიელებსო. გამორჩევით ბერძნებს მოაგონებდა დარიოს I-სა და ქსერქსესგან მიყენებულ გულის წყენასა და სისხლის რწყევასა. ახლა დაგვიდგა დრო, ერთი-

ასად ვაზღვევინოთ საბერძნეთის წმიდა მიწის, სალოცავებისა და საკურთხევლების შეგინებისთვისო. ძარცვა-გლეჯის მოყვარე თრაკიელებსა და ილირიელებს ცალკე მიანიშნებდა აზიელ მეომართა ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ აღჭურვილობაზე — მიდით, ვაუკაცებო, წაართვით ყოველივე ამ აზიელ დედაკაცებს და თქვენი შიშველი, ყინვით გათოშილი კლდეები გამოიცვალეთ აზიის მდიდარი ველ-მინდვრებითო, — და სხვა მისთანანი. ჯარებიც მხნე შეძახილებით პასუხობდნენ და ბრძოლაში ბარემ ჩაბმას მოითხოვდნენ.

საბრძოლო წყობა რომ არ ეშლოდათ, მდინარემდე ალექსანდრემ ნელა ატარა ჯარები, ხოლო ისრის სასროლზე მისვლისთანავე ბრძანა, მდინარე მთელის სისწრაფით გადაელახათ და მტერსაც შებმოდნენ დაუყოვნებლივ.

ასედაც მოხდა. მტრის ხშირი ისრის ქვეშ, მაგრამ მცირე მსხვერპლით, გადალახეს მაკედონელებმა პინაროსი, გადალახეს და მტერს შეებნენ ზარდამცემი ყიჟინით, გაბელებით და გაალმასებით.

სპარსთა მარცხენა ფლანგმა მტრის მძლავრ დატაკებას ვერ გაუძლო და ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ აიშალა და უკუიქცა, თავგზააბნევით.

უკვე აჩეხილი მტრის მარცხენა კერძიდან, ირიბად, შუაგულს მიაშურა ალექსანდრემ, იქ დარიოსი ეგულებოდა. გამოჩნდა კიდეც სპარსთა ხელმწიფე, ოქროს ეტლით და თეთრი ტაიჭებით, უკვე ერთ საომარ წრეწირში მოექცნენ ევროპელი და აზიელი გვირგვინოსნები. დადგა საშინელი ხმალთაკვეთება დარიოსის „უკვდავ გვარდიელთა“ და ალექსანდრეს „ჰეტერთა“ შორის. დიდი შემართებით იბრძოდა დარიოსის ძმა ოქსათრი, რომელმაც თავისი მხედრობა სალტედ შეკრა დარიოსის გარშემო. უარესი გააფთრებით შეუტიეს მაკედონელებმა. დარიოსის წინ ალმართულნი ზედიზედ გულგანგმირულნი დაეცნენ მისი სატრაპნი და სარდალნი — არსამი, რეომითრი, ატიზიოსი და შაბაკა — სატრაპი ეგვიპტისა. ალექსანდრეც დაიჭრა ბარძაყში. თითქოს არც შეუტყვია, — უმძაფრესად შეუტია დარიოსის გასწვრივ. სადაც იყო, ხმალს მიაწვდენდა კიდეც, მაგრამ უეცრად დარიოსმა ეტლი გაატრიალა და... გაიქცა! გაქცეულ მეფეს მისიანებიც გამოედევნენ. სრული შუაგული და მარცხენა ფრთა სპარსელებისა გარბოდა თავგზააბნევით და თავ-პირის მტვრევით. ალექსანდრეც, მემარჯვენე თანამებრძოლებით, გამოედევნა გაქცეულ მტერს.

მაგრამ წინ გაჭრილ ალექსანდრეს და მის მარჯვენა ფლანგს დასაწყისშივე ჩამორჩა ფალანგა, რომელსაც მძლავრი ხმალთაკვეთებით შემოუტია სპარსთა მარჯვენა ფრთიდან დაქირავებულ ბერძენთა ლაშქარმა, თიმონდა მენტორიდის სარდლობით. შეიქნა დამღუპველი საფრთხე: უკეთუ დარიოსის ბერძნები ალექსანდრეს ბერძნებს და მაკედონელებს უკანვე, მდინარის მარცხენა მხარეს გადმოისვრიდნენ, წინ გაქანებული ალექსანდრე სავსებით მოწყვეტილი და გზამოჭრილი რჩებოდა თავისიანთაგან. ეს კი ნიშნავდა ალექსანდრესგან მოგებული ბრძოლის წაგებას. ორივე მხარეს კარგად ესმოდა ბრძოლის ამ ნაწილში მოგება-წაგების მნიშვნელობა და ორივე მხარე იბრძოდა უკიდურესი თავგანწირვით და სიკვდილთან წილყრით. ალექსანდრეს რამდენიმე სარდალი დაეცა კიდეც სასჭკვდილოდ განგმირული, მათ შორის — ერთ-ერთი ტაქსისის მეთაური, პტოლემაიოს სელევკიდი. ალექსანდრეს მარცხენა ფრთის მდგომარეობა იმანაც გააართულა, რომ სპარსთა უკიდურესი მარჯვენა ფლანგიდან სახიფათო მანევრით წამოემართა ნაბარზანი სპარსული კავალერიით. მან გადმოლახა პინაროსი და თავს დაესხა თრაკიელებს, რომელთაგან ერთი ილა სავსებით აჩეხა და დანარჩენებიც დიდხანს ვეღარ შეაკავებდნენ მტრის გააფთრებულ მიწოლას, რომ ალექსანდრემ დროზე შენიშნა მის მარცხენა ფრთაზე ავად ჩამოწოლილი საფრთხე. და ამ ბრძოლაში, ალბათ, ეს იყო მისი სარდლური ნიჭის ყველაზე დიდი გამოვლინება. მან თავი ანება გაქცეული დარიოსის დევნას. სასწრაფოდ ფალანგას მიეშველა ორსახოვანი მანევრით — ერთი თვითონ, მარჯვნიდან, და მეორე ნაწილიც — მარცხნიდან. შედრკნენ და უკუიქცნენ ბერძენი მოჭირავნენი, ნაბარზანისა და მისი სპარსელი მხედრობის ყურსაც მიაღწია საშინელმა ძახილმა — „მეფე გარბის!“ შედგნენ ზარდაცემულნი, უმალვე აირივნენ, მოწყდნენ და გაიქცნენ. გამოედევნენ თესალიელი ცხენოსნები უწყალო ჩხვლეტით. სრულიად უქმად და უმაქნისად დარჩა რეზერვი სპარსელებისა. 60 000 მეომარს ერთი ხმალიც არ მოუქნევია, ისე აიშალა, ადგორდა და გაიქცა. ახლა უკვე სპარსელთა გაქცევა იყო საყოველთაო — მეფიან-სარდლიან-საჭურის-მსახურიანად. ვინც დაბლობზე იარაღს ან გათელვა-გაქელვას გადაურჩა, მთასა და ხევხეულს მიაშურა. კიდევ მეტი ჩაწყდა, ჩაისრისა და ჩაიხლიწა სწორედ მთასა და ტყე-ღრეში. იდგა გამაყრუებელი ჰომერული გრგვინვა, გმინვა, ბღავილი, კვნესა. წყევლა-კრულვა, ჭიხვინი, თქარუნი, გამარჯვებულთა აღფრთოვანებული ყიჟინა და ყივილი.

დახოცილ აზიელთა გვამებით ავსებულიყო და დახვრგილიყო ისოსის ველი, მისი მიმდგომი მთანი, ტყენი, ხევნი და გზაწვრილნი.

დახოცილ სპარსთა გროვანი აფერხებდა მდევარ ალექსანდრეს და აადვილებდა დევნილი დარიოსის სრბოლას. მთებსა და ვიწრობებს რომ მიატანა, უკვე სამოძრაოდ უქმი ეტლიდან გადახტა, წამოსასხამი, მშვილდი და ფარი შორს მოისროლა და ასე ტანგამსუბუქებული მოახტა მარქაფ ჭაკს, „მზის ცხენს“, რომელსაც შინ ძუძუსნანატრი კვიცი ელოდა და მიტომაც უფრო სწრაფად უნდა გაჭენებულიყო.

დაბნდებამდე სდია ალექსანდრემ ლტოლვილ მეტოქეს. გამარჯვების დიდებულ „ფინალურ პრიზად“ ესურვებოდა მას პყრობილი მეფე. მაგრამ ვერ დაეწია და, ძლევამოსილების ტროფეუმად, დარიოსის ეტლი, წამოსასხამი, მშვილდი და ფარი იკმარა ალექსანდრემ. ამ ნივთებით მობრუნდა იგი ისოსის ველზე, სადაც მის მეომრებს მტრის ბანაკი უკვე დაეალაფებინათ და ღამის სათევადაც დაესადგურებინათ. თუმცა კილიკიაში გამოლაშქრების წინ დარიოსმა თავისი „სამგზავრო განძი“ დამასკოში ცაგზავნა შესანახავად, ალექსანდრეს ჯარისკაცებს მაინც დიდძალი სიმდიდრე დაეტაცებინათ და მოეხვეჭათ, მათ ფეხქვეშ ამოგებულ მტრის ბანაკში. მხოლოდ დარიოსის დიდებული და მდიდარი კარავი დაეტოვებინათ ხელუხლებლად, — ესეც ალექსანდრეს წილად და ძღვნად.

ალექსანდრემ საჭურველი მოიხადა და აბანოსკენ გაემართა. ჯერ, ბრძოლაში გადენილი ოფლი დარიოსის აბანოში ჩამოეირეცხოთო, — მიმართა მან გამარჯვებით სახეგაბრწყინებულ თანასარდლებს. დარიოსის აბანო კი არა, ალექსანდრეს აბანოო, — შესძახა რომელიღაცამ — ასეა, ვინათგან ყველაფერი დამარცხებულისა, გამარჯვებულს ეკუთვნის და სახელსაც გამარჯვებულისას უნდა ატარებდესო.

შევიდა სპარსულ ყაიდაზე დიდებულად გაწყობილ აბაზანაში ალექსანდრე, განიბანა, განიწმინდა, ხსეული ნელსაცხებლებით დაიზილა, მოიკაზმა, დამშვენდა და იქიდან დარიოსის კარავში შევიდა, აქ კიდევ მეტი სიმდიდრე და ბრწყინვალება ელოდა მაკედონიის „ფარღალალა სასახლეში“ ნაშობ უფლისწულს. გაოცება ველარ დაფარა ალექსანდრემ და შესძახა შემოჯარულ მეგობრებს: „აი, თურმე რას ნიშნავს მეფობა!“ [25].

სანიშანსვეტო გამოდგება ეს შეძახილიც ალექსანდრეს ცხოვრებაში. რაღაც დიდი ცვლილება იღებდა სათავეს დიდი დამპყრობელის სულში. ეს უნდა ყოფილიყო მაცდური ჯადო აზიური დესპოტური

მბრძანებლობისა, ნივთიერი ფუფუნებისა და ბრწყინვალებისა. დიდი ხანი არ გაივლის და მისი მეგობრები გაიხსენებენ მეფის ამ „უწყინარ“ წამოძახილს...

ის იყო მეფე ინახად ჯდებოდა, რომ ახალი მოულოდნელი ამბავი მოურბენინეს: ტყვეები მოვიყვანეთ და მათ შორის დარიოსის მთელი ოჯახი აღმოჩნდაო — დედა, ცოლი და შვილები. დარიოსის ეტლი, მშვილდი და წამოსასხამი რომ დაინახეს, ტირილი აუტყდათ, რადგან დარიოსი უკვე მკვდრად მიიჩნიესო.

ალექსანდრე ძალზე ააღელვა დარიოსის ოჯახის ბედმა. მაშინვე ლეონატოსი გაგზავნა, რათა ეცნობებინა ქალებისთვის — დარიოსი ცოცხალია და, სიკვდილისთვის კი არა, მხოლოდ ძალაუფლებისთვის ვებრძვიო მას; ნურც შეშინდებით, არავითარი საფრთხე არც თქვენ არ გელით, ნუ იჯავრებთ და ყველაფერი გექნებათ ისე, როგორც გქონდათ თქვენს დარიოსთანო.

დილით ადრე, თანამებრძოლებით გარშემორტყმული გავიდა ალექსანდრე ბრძოლის ველის სახილველად და მსხვერპლთა „დასაჯამებლად“.

სპარსეთის საომარ ძალთაგან ცხედრად ესვენა 90 000 ქვეითი და 10 000 ცხენოსანი მეომარი. ხოლო, ალექსანდრეს მხოლოდ 300 ქვეითი ჯარისკაცი და 150 მხედარი დაჰკარგვოდა [26].

დაჭრილები მოიხილა და გასინჯა ალექსანდრემ. მერე დახოცილები დაკრძალა, დიდი, მეომრული პატივით, სამგლოვიარო აღლუმად დამდგარი ჯარების თვალწინ. სამი საკურთხეველი პინაროსის პირად აღამართვინა ალექსანდრემ დაღუპულ თანამებრძოლთა სახსოვრად [27].

იმ დღესვე ჰეფესტიონი აიყოლია და დარიოსის ოჯახს ეწვია ალექსანდრე. სიკვდილს ელოდნენ ტყვეები, — როგორც საერთოდ ელოდა ყოველი ტყვე თვითონ სპარსეთში. მეფეს ფეხებში უნდა ჩავარდნოდნენ და ფერხთა მტვრის მთხვევით ეთხოვათ შეწყალება, — ესეც ასე სჩვეოდათ სპარსეთისა და ყოველი აღმოსავლელი დესპოტის კარზე. და როცა მეგობრები ტყვეებთან შევიდნენ, მაშინვე ქალები ფეხებში ჩაუცვივდნენ... ჰეფესტიონს! დიახ, — რადგან ალექსანდრეზე უფრო ახოვანი და „მეფურად მოხდენილი“ ჰეფესტიონი ეგონათ მეფე. ჰეფესტიონმა მაშინვე აუხსნა, — მე კი არა, აი ეს გახლავთ მეფეო — აჩვენა ალექსანდრეზე. ახლა სულ გადაიწურეს სიცოცხლის დანარჩენების იმედი ამ შეცდომისა და „შეცოდებისთვის“ ტყვეებმა. ახლა ალექსანდრეს წინაშე დაემხო ცრემლთა თხე-

ვით და პატიების ვედრებით დარიოსის დედა, სიზიგამბისი. მაგრამ უმალვე წამოაყენა ფეხზე ალექსანდრემ და სიცილით უთხრა: „არა უშავს, რადგან არაფერიც არ შეგშლია — ისიც ალექსანდრე გახლავთო“ — ჰუფესტიონზე ანიშნა. მას უკან დარიოსის ატირებულ ძესთან, ექვსი წლის არტაქსერქსესთან მივიდა, აიყვანა, მიუალერსა და აკოცა (თუმცა ეს ბიჭიც, მამამისთან ერთად, აკი მისი მეტოქე იყო!). დიდი კრძალვით და თავაზით შეხვდა ალექსანდრე დარიოსის მეუღლეს, სტატირას. სპარსეთის დედოფალი სწორუპოვარი სიმშვენიერის ქალი იყო, მაგრამ ალექსანდრეს ამჯერად არ მიუბაძავს მისი სათაყვანო ჰომეროსის გმირებისათვის, რომლებიც დამარცხებულ მეტოქეებს უბოდიშოდ და ურცხვად უგინებდნენ სარეცლებს. შემდგომში ხშირად იტყოდა ალექსანდრე: ვერავინ ჩემ მეგობართაგან დარიოსის ცოლზე გახუმრებასაც ვერ გამიბედავდა და მისი ტანნაკვთიანობის შესახებ სიტყვასაც ვერ ჩამომიგდებდაო.

ასევე ვაჟკაცური კრძალულებით შეხვდა ალექსანდრე დარიოსის ასულებს — სტატირას და ბარსინას (ჯერ არავინ იცოდა, რომ ერთი მათგანი მომავალში ალექსანდრეს ცოლად უნდა შეერთო).

თუმცაღა ალექსანდრე თვითონვე ამბობდა — მხოლოდ ორი რაიმე, ძილი და ქალის ტრფიალი მაგრძნობინებენ ადამიანურ უმწეობასო. იმ დღესაც სპარსელი დედოფლების უმშვენიერესი მსახური ქალები რომ იხილა, წამოსცდა: სპარსი ქალები კაცის თვალთა მტანჯველნი ყოფილანო. მაგრამ ეს იყო და ეს, — ამაზე შორს აღარ წასულა „თვალდატანჯული“ მეფის სატრფიალო სითამამე და თავშეუკავებლობა. მეფისთვის საკუთარი ვნებების დამორჩილება უფრო სასახელოა, ვიდრე მტერზე გამარჯვებაო, — ამბობდა ხოლმე ალექსანდრე [28].

ერთხელ კიდევ დაამშვიდა და დაარწმუნა ალექსანდრემ დარიოსის ოჯახი. სიზიგამბისს და სტატირას ერთხელ კიდევ ამცნო, რომ თქვენ ტყვეები კი არა, წინანდებურად ისევ დედოფლები ბრძანდებითო და ისეთივე პატივში იცხოვრებთ, როგორც აქამდე გიცხოვრიათო; მსახურებიც იგივივე და იმდენივე გეყოლებათ, რამდენიც აქამდე გყოლიათო. ნადავლიდანაც, რაც გენებოთ, ხელი დაადეთ და უკანვე დაიბრუნეთო; დახოცილ სპარსთაგან, ვინც გენებოთ, პატივით დაკრძალეთო.

სწორედ უწინამორბედო იყო საქციელი მაკედონიის ახალგაზრდა მეფისა. არც დიადი საბერძნეთის ზნეობრივი სამყარო იცნობდა ამ-

ნაირ „კაზუსს“: ალექსანდრე მაკედონელი, სულით და გულით თვითონ ბერძენი, საერთოდ სამეფო სახლობას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე, საერთოდ მტერ-მოყვრობას და, რაც მთავარია, „ელინობას“ და „ბარბაროსობას“.

ალექსანდრე მაკედონელის ეს უცნაური „კაზუსიც“, შემდგომ, განვითარების კვალობაზე — თავის შედეგებს გამოიღებს.

ალექსანდრე სირია—ფინიკია—პალესტინაში

სპარსთა არმიის ნაფლეთები, — ვინც კი ისოსის კატასტროფას გადაურჩა, — ზოგი კაპადოკიაში გადაიხვეწა, ზოგი ლიდიაში, სხვები ფრიგიაში, სხვებიც პაფლაგონიაში. ბერძენ მოქირავნეთაგან 8000 კაცი გადარჩა სიკვდილს. მათ, სრული საომარი ორგანიზებულობით, — როგორც სჩვეოდათ „ნამდვილ ელინებს“ — ისევ ამინტა ანტიოქიოს მეთაურობით, გაიარეს ამანის მთები, სირია, და გაიღწიეს ტრიპოლისს. აქ მათ ელოდათ ფლოტი, რომლითაც მანამდე ისინი მოსულიყვნენ აზიაში საომრად. ფლოტის ნაწილი დაწვეს და მხოლოდ გასაქცევად საჭირო ხომალდები დაინარჩუნეს; ჩასხდნენ და კიპროსზე გადავიდნენ. კიპროსიდან ამინტა ანტიოქეს ძემ პელუზიონში გადაიყვანა თანალტოლვილნი. აქედან იგი აპირებდა დაეჭირა ეგვიპტე, რომლის სატრაპი, შაბაკა, ისოსის ბრძოლაში დაიღუპა. მაგრამ შაბაკას ადგილი სპარსელ მაზაკეს დაეჭირა. მაინც არ მოეშვა ამინტა. მას შეეძლო ესარგებლა სპარსელებისადმი ეგვიპტელთა სიძულვილით და ბერძენ-ეგვიპტელთა სამასწლოვანი „ძმობა-სიყვარულით“. მართლაც, მემფისამდე მივიდა იგი ეგვიპტელთა მხარდაჭერით, და მემფისთან გაანადგურეს კიდეც ბერძნებმა სპარსელნი. მაგრამ მაინც იმძლავრა მოქირავნის მძარცველმა სულმა და მოედვნენ ბერძნები ქვეყანას ძარცვით, რბევით და ოხრებით. აჯანყდნენ უკიდურესობამდე მისული ეგვიპტელები, სპარსელი სატრაპის მოწოდებაზე საომრად შეიყარნენ, ბერძენთა ბანაკს შემოერტყნენ და, მათ მთავარსარდალთან ერთად, სულ ერთიანად ამოჟლიტეს [1].

ისოსიდან გაქცეულმა დარიოსმა კი ჩრდილოეთ სირიამდე ირბინა უკანმოუხედავად. აქ, ქალაქ ონხში *, გაბედა მცირე ხნით შეჩერება. აქვე თავისი განადგურებული არმიების ნაშთები შემოიყარა, რომელ-

* ონხი დღემდე მიუკვლეველი ქალაქია.

თა შორის სერიოზულ ძალად ისევ 4000 ბერძენი მოქირავნე თუ ჩაითვლებოდა. შიშმა ონხშიც არ დააყენა დარიოსი და თაპსაკოსში გაიქცა, ევფრატი გადაირბინა და მხოლოდ მაშინ იგრძნო თავი შეპყრობის საფრთხისგან თავდახსნილად. აქ ჩრდილო მესოპოტამიაში ჩაიკეტა და შეუდგა იმ კატასტროფის გააზრებას, რაც ამ ორ წელიწადში თავს დაატყდა მის სახელმწიფოს და მის ოჯახს.

ხოლო, სანამ სპარსთა მეფე გარბოდა და სადმე ხამუშ-ხამუშად მუხლმოკეცილი გონს იკრებდა, მანამ ალექსანდრემ სირია-კილიკიის შესაყარში, ზღვის პირას, დააარსა ახალი ქალაქი — ალექსანდრია კიდევ, მეორე ქალაქიც — ხიკოპოლისი — იქ დააფუძნა, სანამდეც მან ცხენდაცხენ სდია ისოსის ბრძოლიდან გაქცეულ დარიოსს. მაგრამ ალექსანდრე თითქოს აღარ ჩქარობდა დარიოსის დევნას აზიის სიღრმეში. მართებულიც იყო მისი გააზრება. ისოსის შემდეგ მას აზიის სიღრმისკენ კი არა, სამხრეთისკენ, ისევ ზღვის გასწვრივ გალაშქრება სჭირდებოდა. მხოლოდ სირია-ფინიკიის, პალესტინისა და ეგვიპტის დაპყრობას შეეძლო მიეცა მისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიისკენ მიმავალი გზების კლიტენი. სირია-ფინიკია-პალესტინა-ეგვიპტე უნდა გამთლიანებულიყო იონია-ეგეიდია-ბალკანეთთან და ასეთი „გამთლიანებით“ ალექსანდრეს უნდა აღემართა ისეთი მტკიცე და საიმედო ზურგი, ურომლისოდაც აზიის სიღრმეში შეჭრას, მისი აზრით, დიდი წარმატება არ ექნებოდა.

და აიღო კიდეც გეზი სამხრეთისკენ ალექსანდრემ. წინასწარ პარმენიონი გაგზავნა სირიაში, მდინარე ორონტზე, ქალაქ დამასკოს დასაუფლებლად. პარმენიონის ჯარში უმეტესობა თესალიელები იყვნენ. ალექსანდრემ უკერძა უერთგულეს თესალიელებს მდიდარი დამასკოს დაპყრობა. ისედაც, აკი დარიოსმა კილიკიაში გალაშქრებამდე მთელი ხაზინა და ძვირფასი ნივთები დამასკოში გახიზნა.

პარმენიონმა ჩრდილოეთი სირია ისე გაიარა, არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. სამხრეთ სირიაშიც (კელესირია) მივიდა და დამასკოსაც უსისხლოდ დაეუფლა. დიდძალი ოქრო-ვერცხლი, თვალმარგალიტი და ათასობით ტყვეები ჩაიგდეს ხელში პარმენიონმა და მისმა მეომრებმა. ქონებამ გაახელა და გაანადირა ისინი. ყველაფერს იტაცებდნენ; ტყვე ქალებს პატივს ხდიდნენ. პარმენიონი ატყობინებდა ალექსანდრეს — ტყვეთა შორის აღმოჩნდა დარიოსის 329 მემუსიკე-მომღერალიო, 46 გვირგვინის დამწვნელი, 277 მზარეული, 29 ხაბაზი, 13 მერძევე, 17 მწდე, 70 ღვინის გამთბობი და 40 მენელსაცხებლეო.

ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ სპარტის, ათენისა და თებეს ელჩები, რომლებიც დარიოსს სწვევიან ისოსის ბრძოლის წინ.

პარმენიონის წერილი და ცნობები რომ მიიღო, ალექსანდრემ მას პასუხად ბრძანება გაუგზავნა — ტყვეებიც და ქონებაც მანდვე შეინახეთ, ბერძენი ელჩები კი ჩემთან გამოგზავნეთ. პარმენიონმაც აღასრულა მეფის ბრძანება. ტყვე ელჩებიდან ალექსანდრემ თებელები, თესალისკოსი და დიონისოდოროსი მაშინვე გაათავისუფლა. თესალისკოსი მამამისის, ისმენიოსის პატივისცემით გაუთავისუფლებია მეფეს. დიონისოდოროსი კი ოლიმპიადაზე გამარჯვებული გმირი ყოფილა და ასეთი კაცის დასჯის არც უფლება და არც სურვილი არ ჰქონია ალექსანდრეს. ათენელი ელჩის სახელი ფოკიონი იყო — სახელოვანი სარდლის, ფოკიონის შვილი. აქაც ალექსანდრემ შვილს მამის ხათრით აპატია, თუმცა სამუდამოდ თავისთან დაიტოვა. სპარტელი ელჩი, ევთიკლე, ერთხანს მძევლად იყოლია მეფემ, მერე ისიც გაუშვა სამშობლოში.

პარმენიონისგან დაჭერილი კელესირიის მმართველად დანიშნა მენონ კერდიმეს ძე, ხოლო პარმენიონი ისევ თავისთან გაიწვია ჯერ კიდევ კილიკიაში მყოფმა მეფემ.

კილიკიის მმართველად ალექსანდრემ დანიშნა თავის პირად მცველთაგან — ბალაკროსი. ამის შემდეგ იგი დაეშვა სამხრეთით, ფინიკიისკენ.

გზად მიმავალ მეფეს სპარსელი ელჩები წამოეწივნენ და დარიოსის წერილი მიართვეს.

ხოლო, დარიოსის წერილი ალექსანდრესადმი ასეთი შინაარსისა იყო: მამაშენი ფილიპე სპარსეთის მეფე არტაქსერქსესთან მეგობრულ ურთიერთობასა და კავშირში იყო, მაგრამ მისი სიკვდილისთანავე, მაკედონიის მხრივ სპარსეთისადმი ყოვლად უმიზეზოდ დაიწყო მტრობა; მასუკან, სპარსეთის ტახტზე ახალი ცვლილების კვალობაზე, შენ — ალექსანდრემ, მე — მეფე დარიოსს, არც ელჩები გამომიგზავნე და საერთოდ არც შეეცადე, აღგედგინა ჩვენთან ძველი მეგობრობა და კავშირი; ის კი არა და, აზიაში ჯარებით შემოიჭერ და სპარსელებს ბევრი მძიმე უბედურება შეჰყარე; ამიტომ მე, სპარსეთის მეფემ, შემოვიყარე ჩემი ხალხები და წამოვედი შენს წინააღმდეგ; მაგრამ რაკი ბრძოლაში გაჭარჯვება ბედმა შენ მოგანიჭა, მე — მეფე, მოვითხოვ შენგან — მეფისგან, დამიბრუნო ცოლი, დედა და შვილები, რომლებიც ტყვედ არიან შენთან; სამაგიეროდ გთავაზობ მეგობრობასა და

კავშირს; ამასთან — ამ წერილის მომტანებს, მენისკეს და არსიმას, გამოაყოლე შენი ელჩები, რათა გავცვალოთ ერთმანეთში აუცილებელი ვალდებულებანი.

როგორც ვხედავთ, წერილი საკმაოდ ქედმაღლური იყო. ყოველ შემთხვევაში, იგი არ ჰგავდა დამარცხებულისგან გამარჯვებულისადმი მიწერილ წერილს.

ალექსანდრეს პასუხი კი ასეთი იყო: სწორედ თქვენი წინაპრები მოვიდნენ პირველად, ყოვლად უმიზეზოდ, მაკედონიასა და საბერძნეთში და მოგვაყენეს ჩვენ ნაირნაირი უბედურებანი; ხოლო მე, — ამირჩიეს რა მთავარსარდლად და სპარსთაგან მოყენებულ ვნებათათვის შურის საძიებლად — აზიაში გადმოველი მხოლოდ მას შემდგომ, რაც თქვენ თვითონ მოგვეცით საბაბი ომის დაწყებისა; აკი თქვენ ეხმარებოდით მამაჩემის შეურაცხმყოფელ პერინთელებს და არტაქსერქსე ოხოსმა ჯარიც გამოგზავნა თრაკიაში, რომელიც ჩვენი საკუთრება იყო; მამაჩემის მკვლელებიც — როგორც თქვენვე იგონებთ ხოლმე თქვენივე წერილებში — ხომ თქვენგან იყვნენ მოგზავნილნი?! მერე, ბავოასთან იდუმალ შეთანხმებით, აკი შენ მოჰკალ მეფე არსესი და ასეთი უკანონო გზით მიითვისე სპარსეთის ტახტი და ამრიგად გასთელე შენ თქვენივე სპარსული წმიდათაწმიდა სამართალი; რაც შეეხება მე, აკი შენ აგზავნიდი მტრულ წერილებს ბერძნებთან, რათა აგეჯანყებინა ისინი ჩემ საწინააღმდეგო ომში; შენ უგზავნიდი ფულს სპარტელებსა და სხვა ბერძნებს ჩემს წინააღმდეგ, თუმცა არც ერთ ბერძენს არ აუღია ის ფული, თვინიერ სპარსელებისა; ბოლოს, შენ შენის მსტოვრებით ცდილობდი გზიდან გადაგეცდინა ჩემი მეგობრები და დაგერღვია მშვიდობიანობა, რომელიც მე მივეც საბერძნეთს; ამ მიზეზთა გამო მე წამოვემართე საომრად, ისიც მას შემდეგ, რაც შენ სამტროდ ამოქმედდი ჩემს წინააღმდეგ. სამართლიან ბრძოლაში მე დავამარცხე ჯერ შენი სარდლები და სატრაპები, მერე შენც, შენი ჯარებიც და, უკვდავ დმერთთა წყალობით, მე შევიქენი მბრძანებელი იმა ქვეყნისა, რომელსაც შენ ისევ შენსას ეძახი. ისინი, ვინც შენს გვერდით იბრძოდნენ და ჩემს მხარეზე გადმოვიდნენ, ახლა ჩემი დაცვის ქვეშ არიან და მე მათზე ვზრუნავ; ძალით მე არავის ვიჭერ — პირიქით, ყველანი ხალისით და ნებითა თვისითა მოდიან ჩემი მეთაურობის ქვეშ. ვინაიდან და რადგანაც მე გახლავართ მბრძანებელი და ბატონ-პატრონი აზიისა, შენც მოდი ჩემთან; ხოლო, უკეთუ გაქვს საფუძველი რაიმე შიშისა, მაშინ ჯერ გამოგზავნე რომელიმე დიდკაც-

თაგანი, რომელიც მიიღებს შენთვის საჭირო თავდებობას. თუკი მოხვალ, შენ აქ შეხვდები ჩემს კეთილგანწყობილებას ყოველი თხოვნისადმი, რაიც კი შეეხება ოჯახს და შენს სურვილებს. ყველაფერს მიიღებ, რასაც კი ჩემგან მოითხოვ. ყოველ შემთხვევაში, თუკი შენ ჩემთან წერილს ისევ გამოგზავნი, შენ იგი უნდა გამოგზავნო ვითარცა აზიის მეფესთან და არა ისე ვითარცა სწორმა სწორთან; შენ ნება გეძლევა შენი სურვილები მხოლოდ ისეთი მორჩილებით შემატყობინო, როგორც ბატონს ყველაფრისას, რასაც შენ აქამდე ფლობდი; წინაღმდეგ შემთხვევაში მე შენ მოგექცევი როგორც ჩემი მეფური დიდების შეურაცხმყოფელს. უკეთუ შენ სხვა მოსაზრება გაქვს ძალაუფლების მპყრობელობისა, მაშინ მისი დაუფლების გადასაჭრელად დამიცადე და შემხვდი სადმე ფაშლილ ველზე ბრძოლაში, და ნუ გარბიხარ; სულ ერთია, მაინც მოგძებნი და მოგწვდები, სადაც არ უნდა გაიქცე და დაიმალო შენ“ [2].

ეს არ იყო მხოლოდ წერილი მეტოქისა მეტოქისადმი, არამედ ეს იყო ფართო მოცულობისა და მიზანდასახულობის პოლიტიკური „მანიფესტი“, თუ „მემორანდუმი“, რომელიც მიმართული იყო ჯერ სპარსელებისა და ბერძნებისადმი, მერე, უფრო ფართოდ — აზიისა და ევროპისადმი, ანუ „სრულიად მსოფლიოსადმი“, რომლის „სრულიად დაპყრობას“ თავგამოდებით მიესწრაფოდა ამ „საპროგრამო მანიფესტის“ თავზეხელაღებული ავტორი.

ამ წერილით ალექსანდრე აფრთხილებდა აზიელებს — დადგა დრო ჩემი უმაღლესი მეუფება სცნოთო, თორემ... და იმავე დროს აფრთხილებდა ბერძნებსაც — ვიცი თქვენს გულშიც რა შხამი ტრიალებს, მაგრამ მე — თქვენგანვე არჩეულმა მთავარსარდალმა და მტერთა თქვენთა სისხლის მაქცევარმა — მშვიდობა და ბედნიერება რომ გაჩუქეთ, იმას მოუარეთ და შეინახეთ, თორემ...

ალექსანდრეს უკვე ხელთ უნდა ჰქონოდა ცნობები, რა თავდაუჭერელი აღტყინებით ელოდა საბერძნეთი დარიოსისა და ალექსანდრეს დატაკებას ისოსის ბრძოლის წინ. დემოსთენე ათენელი ყოველ შემხვედრს გაცხოველებით უმტკიცებდა, რომ ალექსანდრეს აუცილებლად გასრესს სპარსული მხედრობაო. მაგრამ როგორც კი ისოსის ბრძოლისა და ალექსანდრეს გმირობის ამბავი სივრცეში მეხივით გავარდა, საბერძნეთს პატრიოტულმა ერჟოლამ მაშინვე გაუარა, და მომავალი გაზაფხულის ისთმიაზე (კორინთოს ყელზე, ისთმოსის სა-

ყოველთაო ბერძნული დღესასწაული) შეკრებილმა ბერძნებმა დაადგინეს — თხუთმეტკაციანი ელჩობა და ოქროს გვირგვინი გაეგზავნათ ალექსანდრესთვის, ვინათგან მან ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა „საბერძნეთის სიკეთისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში“ [3].

ალექსანდრე კი ფინიკიის დაპყრობას შესდგომოდა. პირველი ჩრდილო-ფინიკიური ქალაქი იყო არადი, დასახლებული მცირე კუნძულზე, რომელსაც კონტინენტზედაც ჰქონდა თავისი სამფლობელო. არადის მმართველმა ალექსანდრეს გამოჩენისთანავე ოქროს გვირგვინი მიართვა და თავისი სამფლობელოც სრულ მორჩილებაში მიუთვალა. არადს მიჰყვა მარათი, მარათს — ბიბლოსი, ბიბლოსს — სიდონი.

სიდონის მმართველი, სტრატონი, დანარჩენ ფინიკიურ მმართველთა მსგავსად, თავის თავს „მეფეს“ უწოდებდა და სპარსეთის მეფეს ემორჩილებოდა. სტრატონმა ალექსანდრესთან საომრად თავი უძლურად იგრძნო და თავისი ქალაქი, არადისა და ბიბლოსის „მეფეთა“ მიბაძვით, თვითონაც უბრძოლველად ჩააბარა. მაგრამ სტრატონს დათმობამ არ უშველა, რადგან სიდონელებმა იგი უარყვეს და ალექსანდრეს ხელისუფლად სხვა კაცი თხოვეს. ალექსანდრემ სიდონის მმართველის შესარჩევად ჰეფესტიონი გაგზავნა, ვინათგან ჰეფესტიონს სიდონი ადრეეც კარგად სცოდნოდა და იქ ბევრი ნაცნობ-მეგობარიც ჰყოლოდა. მივიდა ჰეფესტიონი და ქალაქის მეფედ „აარჩია“ ისეთი კაცი, რომელსაც მეფობის მოპოვებაზე უფრო დიდ ვაჟკაცობად მეფობაზე უარის თქმა მიაჩნდა! ისეთი კაცი ყოფილა ვინმე აბდალონიმე, წარმომავლობით დიახაც მეფური გვარეულობისა, მაგრამ ხასიათით ისეთი ადამიანი, რომელსაც თურმე მეფის ამაო, ცრუ და ფარისევლურ ცხოვრებას მებაღის წრფელი, მშვიდი და კრძალული ცხოვრება ერჩია. ჰეფესტიონის ბრძანებით, აბდალონიმეს თითქმის ძალით გახადეს მებაღის ფლასები და ძალით წამოასხეს მხრებზე მეფის წამოსასხამი. ალექსანდრემ მოისურვა ნახვა ამ უცნაური კაცი-შვილისა, რომელმაც, ალბათ, მას დიოგენესთან შეხვედრა გაახსენა. და როცა აბდალონიმე მოიყვანეს, მეფემ ერთხანს უყურა დაკვირვებით და გაკვირვებით, მერე კი უთხრა: „შენი გარეგნული იერი შენსავე კეთილშობილურ წარმომავლობას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ჭინდა ვიცოდე, მართლა გულწრფელად ითმენდი სიღარიბეს?“

„არასოდეს ჩემი სურვილები ჩემი ხელების მონაპოვართა იქით არ მიდიოდა, მაშასადამე — რაც არ მქონია, არც დამისაჭიროებია. ამი-

ტომ ღმერთს ვთხოვ, მეფობაც ისე დამათმენინოს, როგორც ვითმენდი მე სიღარიბეს!“ — უპასუხნია აბდალონიმეს *.

ალექსანდრე კმაყოფილი დაშორდა აბდალონიმეს — კაცს, რომლის სიღარიბის მიზეზი ყოფილა პატიოსნება. ალექსანდრესთვის კი ახლა მთავარი ის იყო, რომ სამივე დიდ ფინიკიურ ქალაქში — არადში, ბიბლოსში და სიდონში — „თავისი კაცები“ ჰყავდა „მეფეებად“. ყველა ეს ქალაქი, ძველთაძველნი და ძველთაგანვე მაღალკულტურულნი (მარტო ფინიკიური ანბანის გახსენებაც კმარა!), სპარსული ორასწლოვანი უღლისგან დათრგუნვილნი — მაკედონიის მეფეს შეხვდნენ, ვითარცა „გამათავისუფლებელს“.

სიდონის ჩაბარებისას, ალექსანდრეს ეახლნენ კიპროსელი ელჩები, რომელთაც კიპროსის ცხრა ქალაქის მორჩილება და „ძმობა-ერთობა“ მიართვეს მეფეს.

ამის შემდგომ ალექსანდრე მიადგა სამხრეთი ფინიკიის უდიდეს ქალაქს — ტიროსს.

ტიროსსაც თავისი „მეფე“ ჰყავდა, სპარსეთის უღელში შეუღლული, სახელად ადსუმილეკი, რომელმაც კარს მომდგარ ალექსანდრეს წარჩინებულთა ელჩობა შემოაგება, თავისი ძის მეთაურობით. სურსათი მოართვეს მაკედონიის მეფეს და თან ჰკითხეს — კიდევ რას ინებებდა ეგზომ „დიადი სტუმარი“ ეგზომ „მოკრძალებული მასპინძლებისგან“. ალექსანდრემ მადლი მიუძღვნა ასეთი „თავაზიანი შეხვედრისათვის“ **, შეაქო მათი ქალაქი და თქვა — მოვედი იმიტომ, რომ შევიდე თქვენს ტაძარში და მსხვერპლი შევწირო ტიროსის ჰერაკლესო (იგულისხმებოდა ფინიკიელთა უმაღლესი ღვთაება — მელკარტი).

ვითომ მოკრძალებული თხოვნა უნდა ყოფილიყო; მოკრძალებული კი არა, უაღრესად საპატიოც თვით ფინიკიელებისათვის, რაკი

---

* კურციუსის ეს მონათხრობი (IV, I, 16—26) ძალიან ჰგავს ძვ. წ. IV საუკუნის რომაელი მოღვაწის, ლუციუს კვინკციუს ცინცინატის თავგადასავალს. ტიტე ლივიუსის გადმოცემით, ცინცინატი, უბრალო მიწის მუშა-აგრიკოლა რომაელებს სახელმწიფოს ერთპიროვნულ გამგებლად — დიქტატორად უნდა აერჩიათ, მაგრამ ცინცინატს დიქტატორობას გლეხობა და მიწის თოხნა ერჩიენა. რომაელებმა მაინც, დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა დაითანხმეს და დანიშნეს დიქტატორად ცინცინატი, რომელმაც მტრის განადგურებისთანავე ისევ მოიხსნა სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების რწმუნებანი და ისევ თავის საყვარელ აგრიკოლობას დაუბრუნდა.

** ძველ მსოფლიოში განთქმული იყო „ფინიკიური თავაზიანობა და ერთგულება“, რაიც პირიქით — ფლიდობასა და ვერაგობას გულისხმობდა.

ეგზომ „დიადი სტუმარი“ ქალაქის სალოცავ ტაძარში ლოცვას ითხოვდა. მაგრამ ასეთი „უწყინარი“ და „საპატიო“ ფანდის გაახსნა არ გაუჭირდებოდათ ფინიკიელებს — ფანდისა და ხრიკის „კლასიკოსებს“.

ქალაქი ტიროსი და მისი მთავარი ტაძარი კუნძულზე იდგა, კუნძული კი მტრისთვის მიუდგომელი ციხესიმაგრე იყო. ალექსანდრეს თხოვნა — ლოცვისა და ზორვისთვის შემიშვითო და ამ თხოვნის შესრულება — ქალაქში საერთოდ უცხო ძალის დაშვებასა და მისი უმაღლესი მბრძანებლობის აღიარებას ნიშნავდა. ამიტომ ტიროსელმა ელჩებმა, ისევ „დიდი თავაზიანობით“, ალექსანდრეს ასეთი პასუხი მიუგეს: ჩვენ დიდად დავალებულნი და ბედნიერნი დავრჩებით, თუ თქვენს განზრახვას შეასრულებთ არა კუნძულზე, არამედ აქვე, ხმელეთზე. ძველ ტიროსში, სადაც გვაქვს აგრეთვე სალოცავსაზორველი ჩვენი ღმერთისაო, და თანვე დასძინეს: კუნძულზე, ანუ მთავარ ქალაქში ჩვენ სპარსელებსაც არ ვუშვებთო. ნათლად იყო ნათქვამი: ქალაქი ტიროსის კარი ყველა უცხოელისთვის დაკეტილიაო, ანუ — არც სპარსელს და არც მაკედონელს, არც ერთს არ შევუშვებთ, და მათ შორის ატეხილ ომშიც არც ერთს არ მივემხრობითო.

ალექსანდრემ მოლაპარაკება მაშინვე შეწყვიტა და საომრად გაემზადა.

ტიროსს მთავარი ხმელეთიდან ჰყოფდა ათასნაბიჯიანი სრუტე, ალექსანდრემ გადაწყვიტა მიწით ამოევსო ეს წყალგამყოფი, რომელიც ასე ათამამებდა ტიროსელებს — „ყველაზე ვერაგ ფინიკიელებს“. ამიტომ მეფემ ხმელეთზე ძველი ტიროსი დაანგრია და მისი მასალით და მახლობელი ლიბანის ხე-ტყით შეუდგა სრუტის ამოვსებას და დამბის აგებას. პირველი გაბიონი საკუთარი ხელით ააგო და ჩაუშვა ზღვაში ალექსანდრემ[1]. მაკედონელები აღტაცებული ყიჟინით და ენთუზიაზმით მიჰყვნენ „დემოკრატ მეფეს“ (ჯერ ისევ „დემოკრატს!“).

თვითონ ტიროსი, კუნძულზე, ყოველის მხრიდან მძლავრი ციხეგალავნებით იყო შემოვლებული და შემომტკიცებული. მაგრამ სრუტე და კონტინენტიდან სხეულებრივი განკვეთილობა მაინც ყველაზე დიდ სიმაგრედ იყო მიჩნეული მტრის შემოტევის უვნებელსაყოფად. ამიტომ ტიროსელები ჯერ განცვიფრებითა და სიცილის ფრქვევით უცქერდნენ მაკედონელთა ამ უცნაურ „წყლის ნაყვას“. მაგრამ როცა ზღვაში ნაყარი მიწა ზღვის ზედაპირზე მართლა მიწაყრილად ამოიმართა და კუნძულისაკენ თანდათან გაიწვართა, მაშინ კი იკადრეს ხე-

ლის გამოღება ტიროსელებმა. აღმოსავლეთ მხარეზე, — საიდანაც პირდაპირი დამიზნებით დამბა „მოცურავდა“, ქალაქის კედლები საგანგებოდ გაამაგრეს, ისრის, სათხედისა და ქვის სასროლი მანქანები გამართეს, წყალში შიშვლად მომუშავე მაკედონელებს „ცეცხლი“ გაუხსნეს და ზღვაზეც სწრაფმარბიელი ტრირემები გაუსიეს.

ალექსანდრემ უკვე კუნძულთან მიახლოებით მაინც მოახერხა საზელდახელო, საბნებითა და ტყავებით შეკრული ორი კოშკის აღმართვა, რომელთა წყალობით იგი ცდილობდა, დამბაზე მომუშავე ხალხი დაეცვა ქალაქიდან მომდინარე „ცეცხლისა“ და ზღვაზე მოთარეშე ხომალდებისგან.

დამბა შძიმედ, მაგრამ მტკიცედ და ჯიუტად, მიიწევდა ტიროსისაკენ. მაშინ ტიროსელებმა ახალ, „ფეთქებად „სტრატეგემატას“ მიმართეს. დიდი სატვირთო გემი სწრაფ-აგზნებადი მასალებით — ხმელი ფიჩხით, კვარით, გაფისული მორებით და ფისით სავსე ქვაბებით — დატვირთეს და ბუქსირით რამდენიმე ტრირემას * გამოუბეს. როგორც კი ზღვაზე ქარი ამოვარდა, გემი — ბრანდერი მაკედონელთა დამბისაკენ გაუშვეს და მის ბოლოზე მომუშავე მაკედონელებს მიაყენეს. მისვლისთანავე, გემზე საგანგებოდ მყოფმა ტიროსელებმა გემს ცეცხლი უფეთქეს და თვითონ უმალვე ზღვაში გადაეშვნენ. ტრირემებმა ცეცხლწაკიდებულნი თავიანთ გემბანებზე აიყვანეს და აფეთქებულ გემს გზა მისცეს. ცეცხლი ერთბაშად მოედო მაკედონელთა ტყავის კოშკებსაც და დამბაზე მომუშავე ბანაკსაც. ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი შეიქნა, ძლიერი ქარისა და ტრირემებიდან გახშირებული ისრის სროლის წყალობით. დამბის დაუმთავრებელი ნაწილი ცეცხლმა სრულიად შთანთქა და მისი ნამუსრევნი, დაღუპულ მაკედონელებთან ერთად, ზღვის მღელვარე ტალღებმა გაიტაცეს.

ეს უკვე მარცხი იყო და იმდენად სერიოზულ მარცხადაც მიიჩნიეს, რომ ბევრმა მაშინვე ურჩია ალექსანდრეს, ხელი აეღო აქამდე შეუძლებელისა და განუხორციელებელის განხორციელებაზე — წიწით ზღვის ამოვსებაზე — და მიეღო ტიროსის შემოთავაზება ნეიტრალიტეტზე, შეეკრა მასთან ხელშეკრულება და დაძრულიყო ეგვიპტისაკენ.

მაგრამ ასეთი უკანდახევა არ ესადაგებოდა არც ალექსანდრეს პირად ხასიათს, არც მის საერთო საპოლიტიკო განზრახულობას. აქამდე დაუმარცხებლად მომავალ ხელმწიფეს არ შეეძლო რომელიღაც

* სამბაქნიანი მსუბუქი ხომალდი.

ერთი ფინიკიურ-ეაჭრული ქალაქის „თავხედობა“ დაუსჯელი დაეტოვებინა და მისგან „დამარცხებულის“ ტიტულით წასულიყო. „ტიროსის კაზუსს“ უდიდესი მორალური მნიშვნელობა ენიჭებოდა და მისი დათმობა ბევრ რაიმეს ფრიად საეჭვოდ ხდიდა ალექსანდრეს მიღწევათა ორივე ჭრილში — წარსულშიც და სამომავლოშიც. ამიტომ, რადაც უნდა დასჯდომოდა, ტიროსის მიმართ (ისევე როგორც ყოველთვის და ყოველის მიმართ), თავისი უნდა გაეტანა საისტორიო ბედის ნებიერს.

ყველაზე უფრო, რაღა თქმა უნდა, ალექსანდრეს მტრებს აღუდგენდა ჩანავლებულ იმედებს მისი ამ მოულოდნელი წარუმატებლობის ამბავი. დარიოსსაც ალბათ ეს უფიქრია — ახლა დადგა დრო, დამარცხებულ და დამცირებულ მეტოქეს რაიმე დავათმობინოო და სასწრაფოდ ახალი წერილი უფრენია ალექსანდრესთან [5].

ამ წერილით დარიოსი ოჯახის გამოსასყიდად ალექსანდრეს სთავაზობდა 10000 ტალანტს; ამას გარდა, სთავაზობდა ქვეყნებს ევფრატისა და ჰალისის დასავლეთით, კიდევ — აძლევდა ცოლად თავის ერთ-ერთ ასულს და ამგვარად შერიგებულებს და დამოყვრებულებს უნდა შეეკრათ ზავი, კავშირი და მეგობრობა უკუნითი უკუნისამდე.

ალექსანდრემ თათბირი შეჰყარა, დარიოსის წერილი წაიკითხა და პირველად, როგორც ყოველთვის, აზრის გამოთქმა პარმენიონს მიანდო.

— მე რომ ალექსანდრე ვიყო, დარიოსის ამ პირობებს მივიღებდიო, — დაბეჯითებით სთქვა პარმენიონმა.

— მეც მივიღებდი, ვფიცავ მზეს, მაგრამ პარმენიონი რომ ვიყოო, — ფიცხლავ შეანარცხა ალექსანდრემ.

და რადგანაც იგი არ იყო არც პარმენიონი და არც სხვა რომელიმე მისი რჩეული თანამებრძოლი, არამედ მაინცადამაინც იყო „ერთადერთი ალექსანდრე“ ამ ცისქვეშეთში — ასეთი წერილით უპასუხა დარიოსს:

— მე არ ვსაჭიროებ შენს ფულს და არც ის მინდა, მთლიანი ქვეყნისგან რომ მხოლოდ ნაწილი ვიკმარო: ქვეყნებიც, ადამიანებიც, ოქროც და ქონებაც, — რომელიც შენ გაქვს — ყველაფერი მეკუთვნის მე. ამიტომ თუ მე მომესურვება ცოლად შევირთო შენი ასული, ამას შენი მოწყალების გარეშეც შევძლებ; ამიტომ შენ პირადად უნდა მეახლო მე, უკეთუ გსურს მართლა რაიმე წყალობის ღირსი შეიქნე; გახსოვდეს — ქვეყანაზე არ არსებობს ორი მზე და არც ორი მეფის

არსებობა არ შეიძლება; ისე ვითარცა ცაში არის მხოლოდ ერთი მზე, ასე მიწაზეც უნდა იყოს მხოლოდ ერთი მეფე, და ის ერთი და ერთადერთი მე გახლავარ...

ასე მისწერა და მაშინვე გაუცრუვა იმედი სპარსეთის მეფესაც და ყოველ მის თანამოსაგრესაც, — ვინათგან მას, ვითარცა „უძლეველს“, იმ ვაჭრუკანა ტიროსელთაგან აბა რა ვნება უნდა მისდგომოდა! და მისდგა ხელახლა, გაასკეცებული ენერგიით „ზღვის ამოვსებას“. ტიროსელებმა ახალი „ფეთქებადი გემის“ გამოშვება ვეღარ გაიმეორეს. მაკედონელებმა ახალი კოშკები და მანქანები გამართეს, ერთდროულად — დამბის მშენებლობის დაჩქარებისათის და თვითონ ქალაქის კედლების საიერიშოდ. ალექსანდრე სიდონში პირადად ჩავიდა ფლოტის შესაყრელად. სულ მალე სიდონში თავი მოიყარა არადის, ბიბლოსის, თვითონ სიდონის, კიპროსის, როდოსის, ლიკიისა და კილიკიის ხომალდებმა. სულ ორასზე მეტმა სამხედრო ხომალდმა მოიყარა თავი ალექსანდრეს ხელქვეით.

აქვე, სიდონში, — სანამ გემები გროვდებოდნენ — ალექსანდრემ ახალი ძლიერი შევსება მიიღო—4000 ბერძენი მოქირავნე, კლეანდროსის სტრატეგოსობით.

ასე გამძლავრებული და საომრად გაწყობილი გამოემართა მაკედონიის მეფე სიდონიიდან ტიროსისაკენ. მარცხენა ფლანგზე კრატეროსი ეყენა, მარჯვენას თვითონ მოუძღოდა.

ტიროსს ორი ნავსადგური ჰქონდა — ჩრდილოეთით „სიდონისა“, სამხრეთით „ეგვიპტისა“. ალექსანდრეს დამბა-მიწაყრილი შუაში იყო ჩაჭრილი ამ ორ ნავსაყუდელს შორის.

ტიროსელებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ დანარჩენი ფინიკიური ქალაქებისა და კიპროსის ფლოტი უკვე ალექსანდრეს ემორჩილებოდა და ზღვაზე გამოსვლას ეპირებოდნენ. მაგრამ ახლა, როცა ზღვაზე საომრად გამწკრივებული სამჯერ უმრავლესი მტრის ხომალდები დაინახეს, მიხვდნენ რომ საკუთარი ძალებით არამცთუ ზღვაზე გაშლილ ბრძოლას, არამედ ქალაქის ორივე ნავსადგურის დაცვასაც ვერ გაუძლებდნენ. ამიტომ ტიროსული ხომალდები მთლიანად ჩრდილოეთით, „სიდონის ნავსადგურის“ ვიწრო ყელში ჩაირაზმნენ, როსტრებით (ცხვირებით) წინგაშვერილნი. დაეძგერა კიდეც ალექსანდრე ტიროსელთა დაცვას, ვერ გაარღვია და მხოლოდ წინ წამოწეული სამი გემი შეუნგრია და ჩაუძირა ტიროსელთა სახომალდო ჯებირს.

ამის შემდეგ ალექსანდრემ თავისი ფლოტი გაჰყო ორ ნაწილად. კიპროსული ხომალდები, ანდრომახოსის სარდლობით, „სიდონის

ნავსადგურის“ სადარაჯოდ დააყენა, დამბისა და კუნძულის შესაყარში, ხოლო, მეორე ნაწილმა, ფინიკიურ ქალაქთა ფლოტმა, კუნძულს შემოუარა და „ეგვიპტის ნავსადგურს“ მიადგა. ნავსადგურთა ჩაკეტვისთანავე ალექსანდრემ ბრძანება გასცა, დაეწყოთ საიერიშო კოშკების, საბორდაჟო ხიდების, სასროლი და სანგრევი მანქანების მიტანა ქალაქის კედლებზე, მთელი კუნძულის გარშემო. მაგრამ ძალზე ძნელი კი აღმოჩნდა აღსრულება ამ ბრძანებისა. დამბის პირისპირ გამორჩეული სიმძლავრის დაცვა აღემართათ ტიროსელებს, ხოლო საიერიშო მანქანებით დატვირთულ გემებს ნაპირთან მიახლოება უჭირდათ, რადგან ტიროსელებს ხმელეთთან მისასვლელები ქვის ლოდებით ამოეხერგათ. მაკედონელებმა სცადეს კიდეც იმ ლოდების ამოღება, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა. ისევ დამბის ორივე მხრიდან მიიწევდნენ და აღწევდნენ კუნძულის ნაპირებამდე ალექსანდრეს გემები, მაგრამ აქ ისრის, სათხედის, ქვისა და მდულარე ფისის სროლითა და ნთხევით ეგებებოდნენ შტერს ტიროსელები. რეიდზე მდგარ ხომალდებს ტიროსელი მყვინთავები ბაგირებს უჭრიდნენ და ღუზაწყვეტილებს ქარი და ზღვა თავის ნებაზე მიაქანებდა, ალექსანდრემ თოკები ჯაჭვებით შეცვალა. დამბის ორივე მხარეს, და კიდეც რამდენიმე ადგილას, მაკედონელებმა ლოდები უმძიმესი ჯაფით ამოჰყარეს და საიერიშო მანქანებით დატვირთული გემები ქალაქის კედლებს მჭიდროდ მიაბჯინეს. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა მოიერიშეთა და ნაიერიშევთა შორის. მოწინააღმდეგენი იბრძოდნენ უკიდურესი ურთიერთმძულვარებით და დაუნდობლობით. ტიროსელები ტყვედმოხელთებულ მაკედონელებს კედლებზე დედიშობილად გატიტვლებულებს ჰკიდებდნენ, აწამებდნენ, ყელებს სჭრიდნენ და ზღვაში ისროდნენ. ამით ისინი უკანდასახევ ხიდებს წვავდნენ და თანამემამულეებსაც, სამომავლოდ, მტერთან რაიმე შერიგების იმედს უშრეტდნენ, რათა ყოველ მოქალაქეს არჩევანში მხოლოდ ეს ჰქონოდა — ან გამარჯვება, ან სიკვდილი.

ცარიელად დახმარების იმედი მხოლოდ კართაგენისგან ჰქონდა ტიროსს. კართაგენი, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ტუნისის ყურეში აღმართული ქალაქი იყო. იგი სწორედ ტიროსელ კოლონისტებს დაეარსებინათ, ამ ამბებიდან 582 წლის წინათ (ძვ. წ. 914). კართაგენს უკვე დიდი, მძლავრი სახელმწიფოებრიობის ისტორია ჰქონდა გავლილი ხმელთაშუა ზღვის აუზში და კიდევ 186 წელიწადი უნდა განეცვიფრებინა მსოფლიო თავისი დიადი და ტრაგიკული ისტორიით.

და ჰქონდა მეტროპოლიას კოლონიის იმედი, ანუ — მშობელს შვილის იმედი. უკვე გაგზავნილიც ჰყავდათ შიკრიკი კართაგენში სასწრაფო დახმარების სათხოვრად ტიროსელებს. პასუხიც სასწრაფოდ მოვიდა: კართაგენის „საღვთო ხომალდი“ გამოჩნდა, საზეიმოდ მორთული, ოცდაათკაციანი ელჩობით, რომელმაც „მშობლიურ ტიროსს“ მოართვა მხოლოდ თანაგრძნობა და სინანული იმის გამო, რომ ამჯერად არავითარი დახმარება არ შეუძლიათ, რადგან კართაგენელებს ახლა თვითონ უჭირთ სირაკუზელთა შემოტევისაგან. არა და, ტიროსის უმთავრესი საომარი ძალა, მისი განთქმული ფლოტი, ორად გათიშული და მტერთაგან ჩაკეტილი, უმოქმედოდ იდგა ორივე ნავსადგურში. და ისევ წავიდნენ ტიროსელნი უკიდურეს თავგანწირვაზე, — როგორც სჩვეოდათ სემიტური სისხლის ჯილაგებს. ერთ დღეს, შუადღისას, როცა ალექსანდრე ჩვეულებრივ თავის კარავში ისვენებდა და მისი მეომრების სიფხიზლეც გარკვეულწილად დუნდებოდა, უეცრად „სიდონის ნავსადგურიდან“ 13 ტიროსული ხომალდი გამოიჭრა და გააფთრებით შეება მათ წინ ჩარაზმულ კიპროსელთა ფლოტს. დატაკებისთანავე მტრის ერთი ხომალდი ჩაძირეს ტიროსელებმა, დანარჩენებსაც შეუტიეს ყიჟინ-ყივილით.

ალექსანდრე იმ დღეს ადრე გამოსულიყო კარვიდან და დროზე ეგრძნო რაღაც სახიფათო მოძრაობა „სიდონის ნავსადგურში“. ამიტომ სასწრაფოდ სამხრეთით, „ეგვიპტის ნავსადგურის“ საგუშაგოდ დამდგარი ფლოტი ორად გაჰყო; ერთს უბრძანა ადგილზე მტკიცედ მდგარიყო და იქიდან ტიროსელთა გამოხდომა არასგზით არ დაეშვა; მეორეთი კი თვითონ, სრულის სისწრაფით სამხრეთიდან და დასავლეთიდან შემოუქროლა და ჩრდილოეთით, „სიდონის ნავსადგურთან“ სწორედ იმ დროს გაჩნდა, როცა ზღვაზე გამოჭრილი ტიროსელები უკვე ამარცხებდნენ კიპროსელებს. ქალაქის მცხოვრებლები ყვირილით ამცნობდნენ წინ გაჭრილ და ბრძოლაში გართულ თავისიანებს ალექსანდრეს მოახლოებას, მაგრამ სანამ შეიტყობდნენ, ალექსანდრე უკვე ჩაება ბრძოლაში. მეფის შემოჭრამ მოატრიალა ბრძოლის ბედი. ტიროსელთა ცამეტი ხომალდიდან შვიდი დაიძირა, ორი ტყვედ ჩავარდა და ოთხმა ნავსადგურში შეასწრო, მაგრამ არც ერთი მათგანი საბრძოლველად აღარ ვარგოდა.

ეს დღე საბედისწერო გამოდგა ტიროსისთვის. ორივე ნავსადგურში მისი ფლოტი მკვდარი მასა იყო და სხვა აღარაფერი. ამის შემდგომ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საფორტიფიკაციო ხე-

ლოვნების პირველობაში — ტიროსელები დაცვაში, ბერძენ-მაკედონელები იერიშში. ტიროსელები გრძნობდნენ კატასტროფის სიახლოვეს და ყოველი დღის დალევასთან ერთად უარესი ფანატიზმით შეპყრობილნი ებრძოდნენ გარსმოწოლილ მტერს.

ალექსანდრე დამბის მხრიდან აწარმოებდა გადამწყვეტ შეტევებს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადალახეს მაკედონელებმა სწორედ დამბის პირდაპირ საგანგებოდ აღმართული უდიდესი და უმტკიცესი კედლები. მაშინ, ერთბაშად, ალექსანდრემ სამხრეთიდან მიიტანა იერიში ქალაქზე. უფიცხესი ბრძოლა გაჩაღდა. მაინც იმძლავრეს მაკედონელებმა და ერთგან შეანგრიეს კიდეც კედელი. ჩანგრეულ კედელში ჩამოდგნენ ტიროსელები და ისეთი სიაფთრით იბრძოლეს, ალექსანდრე იძულებული შეიქნა უკუ ეხმო თავისიანნი. იმ ღამით ის ჩანანგრევი ადგილი ისევ ამოაშენეს და ამოლესეს ტიროსელებმა.

იანვარში დაწყებულმა ბრძოლამ ივლისამდე შემოაღწია. გაჭიანურებული ბრძოლა კი ნერვებს უწეწავს დღენიადაგ სიკვდილის თვალებში მაცქერალ მეომარს. ალექსანდრემ იცოდა, რომ მისი ჯარისკაცებიც „მიწიერი ნერვისანი“ იყვნენ და თვითონაც ძალიან ჩქარობდა „ტიროსული ომის“ დამთავრებას. უბრალოდ, „სირცხვილი იყო“, — ასე დიდხანს ჯერ არსად არ დაბრკოლებულა ალექსანდრე მაკედონელი.

332 წლის აგვისტოც ჩამოდგა. ალექსანდრემ წყნარი, მზიანი დღე შეარჩია კუნძულზე სრული, ყოველმხრივი იერიშისათვის. ყველაზე დიდი სანგრევი და საიერიშო მანქანები სამხრეთიდან მიაყენა; იმ მანქანათა ორივე მხარეს კიდევ ორი გემი საგანგებო მოიერიშე ეკიპაჟებით დააყენა, ერთი ადმეტესა და მეორე კენოსის მეთაურობით; ორივე ნავსადგურის პირისპირ ცალ-ცალკე ფლოტილიები განალაგა, რომელთაც საერთო იერიშის დროს მოწინააღმდეგის ჩამკეტი ჯაჭვები უნდა დაემსხვრიათ და ნავსადგურთა შიდა აუზში შეჭრილიყვნენ. დანარჩენი ხომალდები კუნძულის გარშემო, ქალაქის კედლებთან, რაც შეიძლება ახლოს უნდა მისულიყვნენ და ბრძანების მიცემისთანავე ყოველი სასროლიდან სროლა აეტეხათ.

ალექსანდრემ ბრძანება გასცა და დაიწყო ყოველმხრივი იერიში, — დაიწყო ისეთი სიმძაფრით, რომ ტიროსელებმა ვეღარ შეიტყვეს, სად და რომელ ადგილზე მოენიშნა მტერს „მთავარი იერიში“.

მაინც ყველაზე მძლავრი აღმოჩნდა მიწოლა სამხრეთიდან, სადაც ალექსანდრეს მემანქანეებმა და „არტილერისტებმა“ გაარღვიეს ქა-

ლაქის კედელი. მაშინვე საბორდაჟე ხიდები ჩამოუშვეს თავიანთი გემებიდან ადმეტემ და კენოსმა და გრიგალისებურ იერიშზე გაუძღვნენ ჯარებს. პირველი აიკრა კედელზე ადმეტე და პირველივე დაეცა მკვდარი. ალექსანდრემ მიუსწრო და ახლა თვითონ გაუძღვა გააფთრებული ხმალთაკვეთებით მოიერიშე მეომრებს. სიკვდილზე გულგრილად მომავალი ტიროსელები ასჩეხეს, ზედიზედ აიღეს ორი გოდოლი და გზა გაიკაფეს მთავარი, „სამეფო კოშკისკენ". ალექსანდრემ „სამეფო კოშკიც" აიღო და ქალაქში შეიჭრა. ამასობაში „ეგვიპტის ნავსადგურიც" გაერღვიათ არადის, ბიბლოსისა და სიდონის გემებს — ფინიკიელებს. ფინიკიელნი (არადელ-ბიბლოსელ-სიდონელთ — ტიროსელნი), მათი ხომალდებიდან ზოგი დაეძირათ, ზოგი მძიმედ დაეზიანებინათ. იმავდროულად კიპროსელებსაც დაელეწათ „სიდონის ნავსადგურის" ჩამკეტი ჯაჭვები, შიგ ნავსადგურშიც შეპრილიყვნენ და სანაპირო ბასტიონებიც ჩაეგდოთ ხელში.

უკვე ყველგან უკუექციათ ალექსანდრეს მეომრებს ტიროსელნი. ქალაქი მაკედონელებითა და ბერძნებით ივსებოდა. გადარჩენილი ტიროსელი მეომარნი ჩრდილო-დასავლეთით, აგენორის მოედანზე შეიყარნენ სიკვდილთან შესახვედრად და აღარც მათთვის დაუყოვნებია სიკვდილს: ალექსანდრემ და კენოსმა შუა მოიქცეს და სავსებით ამოწყვიტეს ტიროსის უკანასკნელი დამცველნი.

შვიდთვიანი „ტიროსული ომი" დამთავრდა. მაინც დიდი სახელის მომტანი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მაკედონელისთვის ეს შვიდი თვე, — თუნდაც იმიტომ, რომ მანამდე, 250 წლით ადრე, ტიროსი 13 წელიწადი მარტოდმარტო უმკლავდებოდა აღმოსავლეთის უდიდეს მბრძანებელს, ნაბუქოდონოსორ ბაბილონელს, ალექსანდრეს ხელით კი შვიდ თვეში დაცემულიყო და დარეცილიყო ათასწლოვანი კულტურული ბრწყინვალებით შემკული ქალაქი, ძველი მსოფლიოს „ზღვათა დედოფალი". ომის ხანგრძლივობითა და სისასტიკით გამხეცებულმა მაკედონელებმა 8000 ტიროსელი გაწყვიტეს, 2000 ჯვრებზე გალურსმეს. 30000 მონად გაჰყიდეს. ცოცხლები გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც ადრევე გაასწრო ალყას. ალექსანდრემ სიცოცხლე აჩუქა ჰერაკლეს ტაძარში თავშეფარებულებს, მათ შორის ტიროსის მთავარს, ადსემილეკს და კართაგენელ ელჩებს. გადარჩნენ ის ტიროსელებიც, რომლებიც „ძმური სისხლის ყივილით" შეიფარეს სამტროდ მოსულმა „ფინიკიელმა ძმებმა" — არადელებმა, ბიბლოსელებმა, სიდონელებმა".

ალექსანდრემ სადღესასწაულოდ დარაზმული ჯარით და ფლო-

ტით ტიროსში დიდი ზეიმი გადაიხადა, ჰერაკლეს მსხვერპლი შესწირა (იქრე რომ ტიროსელებმა „არ დაანებეს“) და ქალაქს გაშორდა.

იგი შევიდა ჩრდილოეთ პალესტინაში, ძველ ისრაელში, ანუ სამარიის სატრაპიაში, სადაც სატრაპმა სანბალატმა უომრად ჩააბარა სამარიაც და ისრაელიც „უძლეველ მაკედონელს“. იერუსალიმიც მოყვრულად შეხვდა მაკედონელებს. ალექსანდრემ განთქმულ სოლომონის ტაძარში, ებრაელთა უმაღლეს ღვთაებას, ებრაული რიტუალების სრული დაცვით, მსხვერპლი შესწირა.

მხოლოდ ქალაქმა ღაზამ გადაწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა და დახვდა კიდევაც საომრად მაკედონელებს. ქალაქის მმართველად სუზის სასახლის კარს დაეყენებინა ვინმე საჭურისი ბატისი[7], რომელსაც თავისთავად სტრატეგიულად ძნელმისაწვდომი ღაზა კიდევ უფრო გაემაგრებინა, და ამას გარდა, დამხმარე ძალად არაბი მომთაბარეებიც დაექირავებინა. საჭურისს შეეძლო ეფიქრა, რომ ტიროსზე გამარჯვება ალექსანდრემ ფლოტის საშუალებით მოახერხა, ხოლო ღაზასთან საომრად ფლოტის გამოყენება შეუძლებელი იყო, ვინათგან ღაზა ზღვიდან ხომალდებისთვის საკსებით მიუწვდომელ მანძილზე მდებარეობდა. არც სახმელეთო ჯარებს უნდა გაადვილებოდათ ამ ქალაქის აღება, რამდენადაც იგი, ჯერ ერთი — აღმართული იყო მაღალ მთაზე, მეორეც — გარშემორტყმული იყო მაღალი და სქელი გალავან-კოშკებით და მისასვლელებიც ყოვლის მხრიდან ჰქონდა ქვიშიანი და ქვაღორღიანი.

ალექსანდრე 332 წლის შუა სექტემბერს მიადგა ღაზას. იგი დაბანაკდა ქალაქის სამხრეთით, მისი ფიქრით, ყველაზე ადვილად დასაძლევი კედლის პირდაპირ, და მაშინვე საიერიშო მანქანების აღმართვა ბრძანა. მშენებლები კი არწმუნებდნენ მეფეს, — შეუძლებელია იმ სიმაღლე მანქანების აგება, მთაზე მდებარე ქალაქის გალავნებს რომ შეწვდესო. მაგრამ ალექსანდრე „ალექსანდრეობას“ არ იშლიდა. მან ბრძანა, ჯერ აღემართათ იმ მთის სიმაღლე მიწაყრილი, რა სიმაღლეზეც ქალაქის კედლები იდგა. ბრძანა და დაიწყო კიდეც ხელოვნური ბორცვის აღმართვა. აღმართეს, ააშენეს და ზედ საიერიშო მანქანებიც დააშენეს. იერიშის დღეც დანიშნა ალექსანდრემ, თავი გვირგვინით შეიმკო, ტანზე საჭურველი აისხა და ბრძოლისწინარე მსხვერპლშეწირვას შეუდგა საზორველი ცხოველის დაკვლისთანავე, როგორც გადმოგვცემენ[8], თითქოს საკურთხევლისთვის რომელიღაც ფრინველს გადმოეფრინოს და კლანჭებით მონატარები ბელტი ალექსანდრეს

თავზე დაეცეს. იქვე მდგარ არისტანდროს მისანს მაშინვე უწინასწარმეტყველებია მეფისთვის: ეს უცნაური ამბავი იმას ნიშნავს, ქალაქს უეჭველად აიღებ, მაგრამ დღევანდელი დღის კი გეშინოდეს და გერიდებოდესო.

ალექსანდრემ თითქოს შეისმინა არისტანდროსის გაფრთხილება და ბრძოლის დაწყებისას, ერთხანს ისრის სასროლი მანძილიდან უკუდგა, მაგრამ როცა ბრძოლა გახურდა და მაკედონელებს ღაზელთა მძლავრი კონტრშეტევებით მისჭირდათ, მაშინ კი გავარდა მეფე თავისიანთა საშველად. უცებ მოწინააღმდეგე მხარეს ერთი არაბი მეომარი გამოეყო და ალექსანდრეს წინაშე დაემხო. ალექსანდრემ ის შეომარი მის მხარეზე გადმოსულად ირწმუნა, ხელი მოჰკიდა და ფეხზე წამოაყენა. უმალვე არაბმა თავში დამიზნებით მოუქნია მახვილი; გადაზნიქა და აიცდინა მეფემ, მეორე დარტყმაც აღარ აცალა, თვითონ შემოჰკრა და მახვილიანი მარჯვენა დაუგდებინა არაბს. ალბათ, ეს იყო ის საშიშროება, არისტანდროსმა რომ მიმანიშნაო, — იფიქრა მეფემ და უფრო ?ამძაფრებით მიიტანა იერიში. მაგრამ უარესი საშიშროება თურმე ახლა ელოდა მას: კატაპულტით მძლავრად ნასროლმა ისარმა ფარი და ჯაჭვი გაუგლიჯა და ბეჭიც განუპო.

მივარდა ფილიპე აკარნანიელი და ამოართვა ისარი ბეჭიდან მეფეს. ალექსანდრე ტკივილს კვნესით საერთოდ არასოდეს არ პასუხობდა, არც ახლა დაუკვნესია, — ჭრილობა შემიკარით და სისხლისდენა შემიჩერეთო, — მხოლოდ ეს ბრძანა და ისევ გადაეშვა ბრძოლაში.

ბატისმაც ახალის ძალით გააჩაღა კონტრშეტევა. ბრძოლა განივთდა, ალექსანდრეს ჭრილობამ კი იმძლავრა, მეფეს თვალთ დაუბნელდა, დაბარბაცდა და კიდევაც უნდა დაცემულიყო, მაგრამ მისმა „პაჟებმა“ დროზე შეიტყვეს, მეფე აიტაცეს და ბრძოლიდან გაიტაცეს. მაკედონელებმაც იმ დღეს ბრძოლა შეწყვიტეს. საჭურისმა ბატისმა კი ირწმუნა, რომ ალექსანდრე ბრძოლაში დაიღუპა და მისი მეომრებიც დამარცხდნენო; ამიტომ დაარხეინებული ქალაქში შებრუნდა და დიდი საზეიმო სვლა გამართა.

ღაზელთა ზეიმი ნაადრევი, უდროო და უდღეური გამოდგა. ალექსანდრე ჭრილობის სიძნელემ კიდევ უფრო აანთო საომრად. რაკი წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი ასრულდა, მეორეც უეჭველად ასრულდებაო, — და ღაზის აღებას გულისხმობდა იმ „მეორე ნაწილში“.

ისევ შემოარტყა ალყა ღაზას ალექსანდრემ, ისევ აღმართა მანქანები საიერიშოდ. რამდენიმე ადგილზე ბალავრები ჩაუთხარეს, მეფის ბრძანებით, მაკედონელებმა ქალაქის კედლებს. მიწა ძალზე ფხვიერი იყო, მთლიანად ქვიშოვანი და ადვილად ჩამოინგრა „თიხისფეხებიანი ბუმბერაზი“.

ალექსანდრე თვითონ შეუძღვა ქალაქში მოიერიშეებს. საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა ღაზის ქუჩებში. ალექსანდრემ ფეხიც დაიზიანა, ცალი ხელით შუბს დაებჯინა, ცალითაც მახვილს იქნევდა, თან ჯავრობდა, — ეს ერთი ქალაქი რა ჭირად ღირს, რომ მისთვის ორი ჭრილობის მიღება დამჭირდაო.

ღაზისათვის წარმოებული ორთვიანი ბრძოლა დამთავრდა. ყოველი ღაზელი მისთვის მიჩენილ ადგილზე ფეხმოუცვლელი დაეცა. 10000 ღაზელი — არაბი და სპარსელი — დარეცილიყო. მრავალი ტყვე — ქალი და ბავშვი — მონად გაიყიდა. ღაზის მმართველი, საჭურისი ბატისი, რომელიც ბოლომდე მამაცურად იბრძოდა — ალექსანდრემ შეიპყრო, ფეხებით ეტლზე გამოიბა და ქალაქის გარშემო ათრია, — ვითარცა აქილევსმა ჰექტორის გვამი.

დიდძალი ნადავლი, განსაკუთრებით არაბულ სანელებელთა ძვირფასი მარაგი, მაკედონელებს დარჩათ, ნადავლის დიდი ნაწილი მეფემ დედას — ოლიმპიადას და დას — კლეოპატრას გაუგზავნა მაკედონიაში; არც მეგობრები და ალმზრდელები დაივიწყა; მარტო ლეონიდას, მისი ბავშვობის მკაცრ ალმზრდელს, ალექსანდრემ 600 ტალანტის საფასე მარტო ნელსურნელოვანი გუნდრუკი-საკმეველი გაუგზავნა *.

ალექსანდრემ ამოწყვეტილ ღაზაში ფილისტიმელთა და არაბთა ახალმოსახლენი ჩაასახლა, მაკედონური ციხიონი შეაყენა და ქალაქი ამ უმნიშვნელოვანეს გზატკეცილზე დიდ სტრატეგიულ და ეკონომიურ პუნქტად აქცია [9].

ღაზის დაუფლების შემდგომ მაკედონიის მეფეს გზა ხსნილი ჰქონდა ეგვიპტისაკენ.

---

* ბავშვობისას ალექსანდრეს სამსხვერპლო გუნდრუკი ცეცხლში ჩაუყრია, ამის გამო ლეონიდას უთქვამს თავისი გაუფრთხილებელი მოწაფისათვის—აგრე გულუხვად გუნდრუკი მაშინ აკმიე, როცა ნელსურნელებით მდიდარ ქვეყანას დაიპყრობო. ახლა ალექსანდრე უგზავნიდა ამდენ საკმეველს და სწერდა ლეონიდას — აი, გიგზავნი სამყოფ გუნდრუკს და ზმირნს და ღმერთთა წინაშე ძუნწობას ამიერიდან თავი დაანებეო (პლეტ., ალექს., 25).

ალექსანდრე ეგვიპტეში

ალექსანდრე ახლა მიემართებოდა მსოფლიოში ყველაზე ძველი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ქვეყანაში. ნილოსის მიწას მრავალი ამაღლება და დაცემა ახსოვდა საკაცობრიო ცივილიზაციისა, მაგრამ უმძიმეს ტრაგედიათა ჯაჭვში ყველაზე მწარედ სახსოვარი ეგვიპტისათვის სპარსეთის უსასტიკესი მბრძანებლობის დრო-ჟამი იყო. განსაკუთრებით, კამბიზისა და არტაქსერქსე ოხოსის შლეგიანი შემოსევების შემდგომ, ყოველი ეგვიპტელის სულში სპარსელი ყველაზე საძულველ კაცთაგანის მოდგმად განიცდებოდა და განიხილებოდა. ამიტომ ყოველი სხვა უცხო ძალის მოსვლა ეგვიპტეში სპარსთაგან გათავისუფლების რაღაცნაირ მესიანისტურ მოვლინებად უნდა ყოფილიყო შეფასებული. გამორჩეულად, ასეთ „მესიებად“ ეგვიპტელებს, გარკვეულ დრო-ჟამში, ბერძნები მიაჩნდათ, მაგრამ ბერძნებმაც, მათი კონდოტიერული ბუნებიდან გამომდინარე, ბევრჯერაც გაიტეხეს სახელი „ეგვიპტელი ძმების“ წინაშე.

ახლა კი ალექსანდრე მაკედონელი მიეშურებოდა ეგვიპტეში, ხოლო ალექსანდრეს სახელი ჭეშმარიტი „გამათავისუფლებლის“, „მხსნელისა“ და „მესიის“ სახელად გავრცელებულიყო ეგვიპტეში. უკვე გავრცელებულიყო. უკვე ელოდნენ. ტიტული ტიტულატორს ელოდებოდა.

332 წლის ნოემბრის მიწურულს, ღაზადან გასვლის მეშვიდე დღეს, ალექსანდრე მებრძოლ-მაკედონური მხედრობით, ნილოსის დელტაში, ქალაქ პელუსიონში შევიდა. ზარ-ზეიმით შემოეგება სრულიად ეგვიპტე „გამათავისუფლებელს“, „მხსნელს“, „მესიას“.

ხოლო, თვითონ ალექსანდრეს „მესიანისტური მიზანდასახულობა“ ეგვიპტეში სხვას არაფერს ითვალისწინებდა, თვინიერ სპარსეთის ამ უკიდურესი პროვინციის დაპყრობისა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. მაგრამ ეს სინამდვილე ალექსანდრეს გულში იდუმალ იყო დაკრძალული და დაკუბოებული, ხოლო გარეგნულად — იგი „ნამდვილი მესია“ იყო. ამიტომ ეგვიპტე, — რომელსაც დიდი ფარაონების ოდინ-

დელი დამოუკიდებლობა და მსოფლიო მპყრობელობა სავსებით დაევიწყებინა და მხოლოდ უცხო ძალთა ურთიერთბრძოლის „პრიზად“ ქცეულიყო — ზეიმით ხვდებოდა უკეთესთა უკეთეს უცხოს *.

შეაყენა თუ არა ფლოტი ალექსანდრემ პელუსიონში, სპარსმა სატრაპმა მასაკემ თავისი არსებობა იმითღა გაამყღავნა, რომ მაშინვე მთელი ეგვიპტე მაკედონიის მეფის საკუთრებად გამოაცხადა (ვითომ ვინმე რასმეს ეკითხებოდა!).

ალექსანდრემ ფლოტი პელუსიონიდან, დელტის აყოლებით, მემფისისაკენ გაგზავნა, თვითონაც ხმელეთით იქით წარემართა. მთელს გზაზე, პელუსიონიდან მემფისამდე, ყოველი ქალაქი და სოფელი, დიდიან-პატარიანად გამოფენილი, „გამათავისუფლებელს“ აღტაცებული ბღავილით ეგებებოდა. ფიანდაზად დაეგო მეფეს ძველთაძველი ქალაქი ჰელიოპოლისი. მასუკან მემფისში შეავიდა ალექსანდრე — ეგვიპტის უძველესსა და უდიდეს სატახტოში. მემფისის დაუფლება კი ეგვიპტის სრულ დაუფლებას ნიშნავდა.

ალექსანდრემ თავისი „მისიაც“ და „მესიაც“ თითქოს საქმით კიდევაც დაუმტკიცა ეგვიპტელებს. მან გამოაცხადა ეგვიპტის „სრული თავისუფლება“, რაც ეგვიპტელთა ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულებების, ადათის, ზნეობისა და რელიგიური სინდისის სრულ დაცვასა და მოვლა-პატრონობაში მდგომარეობდა (რა ვუყოთ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა ისევ აღარ ექნებოდა საერთოდ ასეთ ქიმერას გადაჩვეულ ეგვიპტეს!). რა შედარება იყო სპარსელსა და მაკედონელს შორის, როცა ორივე სპარსელმა მეფემ — კამბიზმაც და ოხოსმაც — ეგვიპტეს მისი ღმერთი, ხარი-აპისი მოუკლეს, ხოლო ალექსანდრემ მემფისის ფტას მთავარ ტაძარში აპისს მსხვერპლი შეწირა, მუხლმოყრილმა საკმეველი უკმია და საგალობელნი უღიღინა! აპისს კი არა, — პოლითეისტური სუნთქვით ატანილ ამ საოცარ ქვეყანაში — ალექსანდრემ პატივი მიაგო ყოველ ციურ ღმერთსა და ყოველ მიწიერ ტრტემს — დაწყებული მზე ამონ-რათი და გათავებული „ღვთაებრივი“ ხოჭოთი. ბერძნულ კულტურასაც ნაზიარები იყო ეგვიპტე, — ისე, ვითარცა პირუკმოდ, საბერძნეთი თავის დროზე ეზიარა გაცილებით ძველთაძველ ეგვიპტურ ცივილიზაციას. ახლა ალექსანდრემ სრული „სინთეზი“ მოისურვა ეგვიპტურისა და ელინურისა. ეგვიპ-

---

* ალბათ, მაშინდელ ეგვიპტეში „უცხო ალექსანდრე“ გაიაზრებოდა და განიცდებოდა ისევე, როგორც სინონიმური განცდა-გააზრებანი ჩვენებურ ქართულ სიტყვიერებაში — „საუცხოო — საუკეთესო“ და „უცხო — უკეთესი“.

ტეში ბერძნულ თეატრონებს მართავდა, ბერძნულ ოლიმპიადებს, ასპარეზობებს, ფიზიკურსა და სულიერ შეჯიბრებებს აწყობდა და ადგილობრივთა სულს უთვისებდა და უთავისებდა; მეორე მხრივ, — მაკედონელებსა და ბერძნებს ადგილობრივ ეგვიპტურ ტრადიციათა პატივისცემას, ანგარიშგაწევასა და აღიარებას აჩვენებდა.

მემფისიდან ალექსანდრე ისევ ნილოსის შესართავისკენ დაიძრა, მაგრამ ამჯერად დელტის მარცხენა განტოტებით, ქალაქ კანოპისაკენ. მივიდა ალექსანდრე ხმელთაშუა ზღვამდე — სამეფო ავემის, ჰეტერების, რჩეულ მხედართა და მოისართა თანხლებით — და ერთხელ კიდევ გამჟღავნდა მისი გრანდიოზული, ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური განზრახულობანი. კანოპიდან დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვისა და მარეოტიდის ყურის შუაზედ შეჭრილ ხმელეთზე, კუნძულ ფაროსის პირდაპირ, მან საფუძველი ჩაუყარა ახალ დიდ ქალაქს, თავისი სახელობით — ალექსანდრიას, რომელსაც უსაზღვროდ დიდი როლი უნდა ეთამაშა მსოფლიოს ცივილიზებული ცხოვრების ყოველ სფეროში. საუკუნეების მანძილზე, ეს უნივერსალური წინამორბედი ყველა შემდგომი „ალექსანდრიებისა“, „ალექსანდრეპოლისებისა“, „ნიკეიებისა“ და „ნიკიფორიებისა“ — ჭეშმარიტი მაგალითი, ნიმუში, „ჰეგემონი“ და „წამყვანი“ იქნება ევროპა-აზია-აფრიკის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების საყოველთაო, ყოვლისმომცველ წრესაბრუნავსა და ჟამსაბრუნავში.

დიდხანს იარა და ათვალიერა ალექსანდრემ, თავის ხუროთმოძღვართან, დინოკრატოსთან ერთად, ზღვაში შეჭრილი ეს „ბედნიერი ხმელეთი“. ხელმარცხნივ მარეოტიდის ყურე, მყუდრო და საიმედოდ თავდასაცავი ნავსადგური უნდა ყოფილიყო მომავალი ქალაქისა. პირდაპირ, ხმელთაშუა ზღვა და კუნძული ფაროსი მაერთებელი რგოლი უნდა ყოფილიყო სამ კონტინენტს შორის სავაჭრო და კულტურული მარადისი მიმოქცევისა.

ეს მოასწავებდა ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობას, რაზეც საუკუნით ადრე ოცნებობდა დიდი ბერძენი პოლიტიკოსი და „კულტურტრეგერი“ — პერიკლე ათენელი.

მეფემ საკუთარი ხელით სახელდახელოდ დახაზა მისგანვე არჩეულ „რჩეულ მიწაზე“ თავისი ქალაქის კონტურები — მისი ქუჩები და ბაზრები, ბერძენთა ღმერთებისა და ეგვიპტელი ისიდას ტაძრები. რაკი ხელთ სხვა არაფერი აღმოაჩნდათ, ალექსანდრეს თითის გასწვრივ

მისმა მხლებლებმა ჯარის საკვები პურის ფქვილით დახაზეს მთელი ქალაქი. ივი საერთო მონახაზით, მიწაზე დაფენილ თეთრ ქლამიდას (წამოსასხამს) დაემსგავსა. აუარება ფრინველი წამოიშალა ყოველის მხრიდან და მიესია ასე მოულოდნელად და უხვად ჩარიგებულ საზრდელს. ფრინველთაგან „ქალაქის აკენკვა“ მისანმა არისტანდროსმა ახლად ჩასახული ალექსანდრიის დიდ სამომავლო ბედნიერებად და სახელგანსმენილობად იწინასწარმეტყველა — ეს იქნება უმდიდრესი, მსოფლიოს ნაირ-ნაირ ხალხთა გამომკვებავი ქალაქიო... [2].

მეფემ ბრძანება გასცა შესდგომოდნენ ქალაქის საძირკველთა ჩაყრას. თვითონ კი, ამალით და რჩეული ჯარით, დასავლეთისკენ გაეშურა, ზღვის გაყოლებით. მისი ოცნება იყო სწვეოდა ამონის ოაზისს, სადაც მზის უზენაესი ღვთაების, ამონის ტაძარში, ვითომც „უტყუარი წინასწარმეტყველება“ მიეღოთ მითოლოგიურ გმირებს — პერსეოსსა და ჰერაკლეს (რომელთა შთამომავლად თვლიდა თავის თავს ალექსანდრე).

ათას ექვსასი სტადიონი (დაახ. ხუთასი კმ) გაიარეს ქალაქ პარაიტონიამდე; აქედან კი სამხრეთით შემოტრიალდნენ და, ლიბიის სიღრმეში თავი მისცეს აფრიკის მძვინვარე მზის ქვეშ მოვარვარე უკიდეგანო უდაბნოებს. ისევ გაუღიმა ბედმა ნებიერს, — სიცხისაგან ქანცგაწყვეტილებს გზაზე მაცოცხლებელმა წვიმამ აწვიმათ (მანამდე რომ ათ წელიწადშიც ცა ამ მიწისთვის ერთ ცვარ წვიმასაც არ გაიმეტებს), არც ქარი გამოუხტათ (მანამდე რომ განუწყვეტელი ქროლვით სიცოცხლის გამაქრობელ სმერჩებს ჰბადებდა). იმაზედ კი ალარ ღირს ლაპარაკი, რომ ზოგჯერ გზადაკარგულებს და კვალარეულებს ხან გველები და ხან კიდევ ყვავები წარუძღვებოდნენ და მიანიშნებდნენ საშოძრაო მარშრუტებს! [3]

ასე მიატანეს ამონის ოაზისს — სიცოცხლის საოცარ კუნძულს, ძვალ-სახსართა დამადნობელი უდაბნოების ოკეანეში. მაკედონელები მოიხიბლნენ ამ ღვთაებრივი სამოთხით — მიწის გულიდან მომდინარე წყაროებით, მწვანედ მობიბინე მინდვრებით, ნაყოფმსხმოიარე ბაღებით, ზეთისხილისა და ფინიკიური პალმის ხეივნებით. შუაგულში უბრწყინვალესი ტაძარი იდგა, ამონის სახელობისა.

გამოეგება ალექსანდრეს ამონის ქურუმთა დასი, უმაღლესი ქურუმის წინამძღოლობით, — იმ ქურუმისა, რომლის წინაპრები, ალექსანდრეს გამოცხადებამდე ექვსასი წლით ადრე, „ქურუმთა დინასტი-

ის“ სახელით ფარაონობდნენ და სრულად ეგვიპტეს განუყოფელი მფლობელობით მფლობელობდნენ.

— სალამი შენდა, შვილო! — მიესალმა ქურუმთუხუცესი ალექსანდრეს.

— დე იყოს აგრე, მამაო! მე მინდა ვიყო შვილი შენი და მომანიჭე მბრძანებლობა მთელს მსოფლიოზე! — წამსვე მიუგო ალექსანდრემ.

ამ ამბის დამსწრენი სხვადასხვანაირად ხსნიდნენ და ავრცელებდნენ შემდგომში ქურუმისა და მეფის პირველ გასიტყვებას: ქურუმს უნდოდა ბერძნულად ეთქვა „პაიდიონ“ („შვილო“), მაგრამ შეეშალა და გამოუვიდა „პაი დიოს“, რაიც უკვე ნიშნავს „ძე ღვთისას“. ალექსანდრესაც სხვა რაღა უნდოდა: მისი „ღვთაებრივ-თესლიანობის“ პირველი აგური უკვე ჩაგდებული იყო — იგი ამონის მოციქულმა ღვთის ძედ აღიარა და გამოაცხადა!

ტაძარში შეეიდნენ.

წყაროთა[4] ურთიერთშედარებისა და შეჯერების შემდეგ, შესაძლებელი ხდება წარმოვიდგინოთ ასეთი დიალოგი „ღვთის მოციქულსა“ და „ღვთის ძეს“ შორის:

ქ უ რ უ მ ი: რაი გსურს და რაისთვის აღძრულხარ, შვილო ჩემო?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: მამაჩემის მკვლელებს დავეძებ და მინდა შევიტყო, ყველა დავსაჯე, თუ დამრჩა კიდევ მოსაძებნი და შურისსაგები?

ქ უ რ უ მ ი: გონი მოიკრიბე და კარგად დაუკვირდი, რას ლაპარაკობ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: მამაჩემის მკვლელებზე მოგახსენებ-მეთქი.

ქ უ რ უ მ ი: ფილიპეს გულისხმობ?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: სწორედ, მამაჩემს, ფილიპეს.

ქ უ რ უ მ ი: ჰოო, თუ ფილიპეს გულისხმობ, მისი მკვლელები უკვე უკლებლივ დასჯილი გყავს, ხოლო თუ მამაშენზე ლაპარაკობ, მამაშენის მოკვლა არავითარ ძალას არ ძალუძს; იგი მიუღწეველია ბოროტმოქმედის ხელისათვის, რადგან იგი თვითონ არის მარად უკვდავი და მარად უძლეველი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: (გაოგნებული)?!

ქ უ რ უ მ ი: ასეა, ვინათგან შენი მამა არის თვითონ ამონი!

თქვა და ზეცისკენ აღაპყრო მზერა „ამონის მოციქულმა“.

და ჯერ დაადო მეორე აგური ალექსანდრე მაკედონელის გაღმერთების ზეაღმავალ კიბეზე.

იგი უკვე გამოცხადდა ღვთის ძედ.

ამის შემდგომ დიალოგი უფრო გამოკვეთილ სახეს ღებულობს:

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: განსაზღვრული აქვს თუ არა ჩემს ღვთაებაშობელს, ამონს, ჩემი მბრძანებლობა მთელს ადამიანურ და მიწიერ სამყაროზე?

ქ უ რ უ მ ი: ეს განსაზღვრულია და კიდევაც იქნები ყოველი ადამიანური და მიწიერი სამყაროს მეუფედ. ამ ქვეყანაზე შენ იქნები კაცთაგან მარად უძლეველი, ხოლო როცა აღესრულები, ღმერთთა გვერდით ზეცაში ღმერთად აღზევდები!..

ახლა ისღა დარჩენილიყო, „გაღმერთებულსაც“ ხელი გამოეღო ღმერთის საპატიოდ და სადიდებლად. და ალექსანდრემ უმდიდრესი და უბრწყინვალესი შესაწირავებით აავსო ამონის ტაძარი.

იქვე შესრულდა მთავარი „საკრალური აქტიც“:

ხალხსა და ჯარს გამოუცხადეს, რომ ალექსანდრე ამონის ძე, ანუ ღვთაებრივი თესლისა ყოფილა! სწორედ ეს იყო მთავარი: ღმერთი რა ღმერთი იქნება, თუ ხალხმა არ მიიღო და ღმერთად არ აღიარა.

და ხალხმაც აღიარა „ახალი ღმერთი“, ზოგმა სრული გულწრფელობით აღიარა, ვინათგან საერთოდ სწამდათ ალექსანდრესი — თუნდაც ვითარცა კაცის გამორჩეულობა და „რაღაც არაჩვეულებრივი“ (თუნდაც „ღვთაებრივი“) განსაკუთრებულობა. ზოგსაც ისე „სწამდა“, როგორც უნდა ეწამებინა ძალდატანებულს, დაშინებულს, დავალებულსა და დაქვევრდომებულს, ზოგსაც კიდევ ისე, — როგორც თვითონ ალექსანდრეს სწამდა თავისი ღმერთობა. მოვა დრო და მარტო ღვინისა და ქალის ტრფიალების წინაშე უმწეობის გამო როდი შეიტანს ეჭვს ალექსანდრე თავის ღვთაებრივ ყოვლისშემძლეობაში, არამედ, რომელიღაც ბრძოლაში მორიგ ჭრილობას რომ მიიღებს, მაშინ სავსებით მიწიერი უძლურებით დაიღრიალებს: „ეს სისხლია, მეგობრებო, ჭრილობიდან რომ მოდის და არა მართლა იქორი, რაიცა ღმერთებს მიმოუჩქეფთ სხეულში მხოლოდ“ („ილიადას“ ლექსი მოიშველია) [5].

ახალი და გაუგონარი კი არაფერი მომხდარა ალექსანდრეს „გაღმერთებით“. ვინ მოთვლის რამდენი „გაღმერთებულა“ ალექსანდრემდე და რამდენი „გაღმერთდება“ ალექსანდრეს შემდეგ. მარტო ძველ აღმოსავლეთში ხომ ყოველი მონარქი-დესპოტი — ბრალიანი თუ უბ-

რალო, ნიჭიერი თუ უნიჭო, მამაცი თუ დიაცი, ღირსეული თუ უღირსი — სწორედ ღმერთად, ღვთის ძედ, „მესიად“, თუ „მხსნელად“ იყო გამოცხადებული, და ამ უთვალავ „ღმერთთა“ შორის თითო-ოროლა რომელიმე რამსესი, ნაბუქოდონოსორი, ანუ კიროსი თუ ალმოჩნდებოდა შედარებით უფრო „ღირსეული ღმერთი“.

ალექსანდრე მაკედონელის სასარგებლოდაც სწორედ ის შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთი მანამდელი „ღმერთი“, „ძე ღვთისა“, თუ „მესია“ მას სიდიდით და „ღვთაებრივი ღირსებით“ ვერ გაუტოლდებოდა.

აუცილებელი კი ყოფილა, ვინათგან თურმე სამომავლოდ აღარ ქმაროდა დროისა და სივრცის ის სიმბოლოები, რაითაც აქამდე მოქმედებდა ალექსანდრე მაკედონელი:

სიმბოლო პირველი — ილიონის ტაძრიდან ჩამოხსნილი საღვთო საჭურველი, რაითაც ალექსანდრე ბერძენთა შორის ბერძენთა გამათავისუფლებელ გმირს თამაშობდა;

სიმბოლო მეორე — გორდიოსის კვანძის განკვეთა, რაითაც ალექსანდრე მცირეაზიელ ხალხთა შორის აზიის მფლობელობის ყველაზე ღირსეულ კავალერს თამაშობდა;

სიმბოლო მესამე — სამსხვერპლო ზორვანი ტიროსისა და მემფისის ტაძრებში, რაითაც ალექსანდრე გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შემრიგებლისა და „სულთა შემრწყმელის“ როლს თამაშობდა.

აქამდე, — მსოფლიოს მხოლოდ ნაწილის დაპყრობამდე — კმაროდა ეს სიმბოლური ტრიადა, მაგრამ ახლა, ნაწილის დაპყრობის შემდეგ, რაკი საკითხი იდგა მთელის, ანუ მთელი მსოფლიოს დაპყრობისა, ანუ ალმოსავლეთ-დასავლეთის „გამთლიანებისა“ და „გაერთიანებისა“, საჭირო გახდა ახალი, შესატყვისად უფრო ვრცელი და ყოვლისმომცველი სიმბოლოს შექმნა.

და ასეთი უნივერსალური სიმბოლო უნდა ყოფილიყო „ღმერთი“, „ძე ღვთისა“, „ღვთაებრივი“, ანუ „მესია“ და მისთ.

და, ვინათგან ახალ დროსა და სივრცეში „აუცილებელი იყო“, კიდევაც — „იქმენინ ღმერთიო, და იქმნა ღმერთი!“

და ღმერთი იგი იყო ალექსანდრე!

ახლა ყველას თავიდანვე უნდა გაეხსენებინა, როგორი ხმები დადიოდა „თავის დროზე“ მაკედონიაში ალექსანდრეს ჩასახვისა და დაბადების გარშემო: ქორწინების ღამეს, საქორწინო სანთიობოში, სა-

ქორწინო სარეცელზე ფილიპეს თავისი თვალით უნახავს, როგორ ეხვეოდა შიშველ ტანზე ოლიმპიადას, არც მეტი არც ნაკლები — გველი-დრაკონი! ფილიპეს დელფოს ორაკულისთვის უკითხავს, რა იყო მიზეზი მისთვის, თავმოყვარე სიძისთვის „პირველი ღამის უფლების“ წართმევისა, — და პასუხიც შესაფერისი მიუღია: ის დრაკონი ჩვენებურად — ზევსი, ანუ ეგვიპტურად — ამონი გახლდათო!..

სხვა რაღა იყო საჭირო იმის საარწმუნოდ, რომ ალექსანდრე ღვთაებრივი ძე იყო უზენაესი ღმერთის, ამონისა?!

ხმა ისეთიც ისმოდა, თითქოს აზიაში გალაშქრების წინ თვითონ ოლიმპიადას გაემხილოს შვილისთვის მისი „ღვთაებრივი შთასახვის“ ამბავი.

და არც ერთი ასეთი „უხერხული ხმის“ გავრცელებას ხელს არ უშლიდა ალექსანდრე. ის კი არა და, დედის შეურაცხმყოფელი ამნაირი ჭორების გაგონებისას ალექსანდრე ისეთი პოზით წაუყრუებდა ხოლმე, რომ ადამიანს პირიქით — ეს მართლაც სულელური ჭორი წმინდა წყლის სიმართლედ მოსჩვენებოდა:

არისტოტელეს გაზრდილმა ყოველთვის იცოდა, — რა „პრაქტიკული“ ნაბიჯის წინ რა „თეორიულ-იდეოლოგიური“ გააზრება წაემძღვარებია. დიახ, — ამონის ოაზისში იგი საექსკურსიოდ როდი წასულა. სიკვდილის საფრთხეებით ამ გატენილ გზაზე იგი „დიდი საკითხავებით“ მიდიოდა, ისე ვითარცა სწორედ წინასწარ ღმერთს „ემკითხავენ“ პერსეოსი და ჰერაკლე — ერთი გორგონებთან შეტაკებისა და მეორე ანთეოსთან შერკინების წინ. ალექსანდრეს გორგონა კი დარიოს III იყო და მისი განადგურების გზაზე იგი მსოფლიოს უნდა დაუფლებოდა. ამისთვის კი „ღმერთობა“ იყო საჭირო, „ღმერთობა“ კი ამონის ოაზისში ელოდა პერსეოსისა და ჰერაკლეს „ღვთაებრივ შთამომავალს“.

და მივიდა ალექსანდრე ამონის ოაზისში.

და იქმნა ღმერთი!

და ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ჰერაკლიტე ეფესელის საოცარი სენტენცია — ღმერთები უკვდავი ადამიანები არიან, ხოლო ადამიანები მოკვდავი ღმერთებიო.

ალექსანდრე მაკედონელი კი მის თანამედროვეობაში „მოკვდავ ღმერთთაგან“ ყველაზე ღირსეული იყო, რომელსაც დროის შესატყვისი ახალი სიმბოლური მოწოდებით — „ღმერთობით“ — მაშინდელი მსოფლიო უნდა „გაემთლიანებია“.

და იქმნა ღმერთი!

და უკვე მაშინვე, ამონის ოაზისიდანვე აიდვა ფეხი „ღვთაებრივი ალექსანდრეს“ კულტმა. მალე მოიპრება მონეტა, რომელზეც გამოსახული იქნება ალექსანდრე, ამონის რქებით, მალე ჩამოყალიბდება, გამდიდრდება და „გადაყვავილდება“ ტიტულატურა — „მისი აღმატებულება ალექსანდრე, მეფეთა მეფე, მეფე დიადი, ღვთაებრივი ძე ამონისა, დიდი რქოსანი“.

ამონის ოაზისიდან წამოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ახალი გზით, უდაბნოს პირდაპირი გადაკვეთით მობრუნდა მემფისში, სადაც მას ბერძნულ ქალაქთა ელჩობანი შეეგება. ყველას მოუსმინა, ყველას სათხოვარი დააკმაყოფილა, ყველას მიუალერსა და ყველასთვის დიდძალი საბოძვარი გასცა „ღვთაებრივმა“.

ბალკანეთიდან ჩამოსული ახალი ჯარებიც დახვდნენ ალექსანდრეს — ანტიპატროსს გამოეგზავნა. მათ შორის, 400 დაქირავებული ბერძენი იყო, მენიდას სარდლობით, 500 მხედარიც თრაკიიდან წამოეყვანა ასკლეპიოდოროსს. დანარჩენი ქვეითი ლაშქარი იყო, რამდენიმე ათასი მეომარი.

ალექსანდრემ განსაკუთრებით იზრუნა ეგვიპტის მართვა-გამგეობის ორგანიზაციაზე. მან ეგვიპტის მმართველობა ორ კაცს ჩააბარა — პევკიტას და ბალაკროსს; ერთი პელუსიონს უნდა მდგარიყო, თავისი ციხიონით, მეორე — მემფისს, სადაც ალექსანდრე აგრეთვე დიდ მაკედონურ გარნიზონს ტოვებდა. ორივე გარნიზონი 4000 მეომარს მოითვლიდა. ნილოსის დელტაშიც ალექსანდრემ ოცდაოთხ-ხომალდიანი ფლოტი ჩააყენა, პალეშონის ნავარქოსობით. ადგილობრივ ტრადიციული დაყოფანი — ნომები და მათ სათავეში ნომარქოსები — ალექსანდრემ ხელუხლებლად დატოვა. ნომარქოსებს, ნომების მართვის გარდა, ევალებოდათ ხარკის აკრეფა. ხოლო, რწმუნებული ყოველი ხარკის თავმოყრისა იყო ნავკრატისელი ბერძენი, კლეომენი, რომელსაც ალექსანდრესგან დაკისრებული ჰქონდა, აგრეთვე, ახალი ქალაქის, ალექსანდრიის მშენებლობის ზედამხედველობა.

ერთი დიდად უსიამოვნო ამბავიც შეემთხვათ მაკედონელებს ეგვიპტეში. პარმენიონის უმცროს ძეს, ჰექტორს, ნილოსზე გაუფრთხილებელი სეირნობის დროს, ნავი გადაუბრუნდა და მდინარეში და-

იხრჩო. ალექსანდრეს ჰექტორი ძალიან უყვარდა, მწარედ დაიტირა და დიდის პატივით დაკრძალა.

ის ზამთარიც განესრულა.

331 წლის ადრიან გაზაფხულზე ეგვიპტიდან გამოვიდა ალექსანდრე მაკედონელი — „მეფე უზენაესი, ღმერთი უზენაესი, რქოსანი უზენაესი“.

თავი IX

ალექსანდრე მესოპოტამიაში

331 წლის აღრიან გაზაფხულზე ალექსანდრე მაკედონელი, „უკვე ღმერთი, ძე ამონისა, ამონის ბადალი დიდი რქოსანი“ — ეგვიპტიდან გამოვიდა, ფინიკია ამოიარა, ისევ ტიროსში მივიდა და ახალი მსხვერპლწირვანი და საზეიმო ასპარეზობანი გამართა, კვლავაც „მისი წინაპრის“, ჰერაკლეს სადიდებლად. ტიროსიდან სირიაში და სირიიდან მესოპოტამიისკენ მიმავალ გზებს შეუდგნენ მაკედონელები.

დარიოს III ამ დროს ბაბილონთან, დიდ ველზე, ჯარებს უყრიდა თავს. აქვე მაკედონელთა ტყვეობიდან გაქცეულმა მსახურმა საჭურისმა, ტირეოსმა, შეატყობინა მეფეს მისი მეუღლის გარდაცვალება. სპარსეთის დედოფალი, სიმშვენიერით განთქმული სტატირა, მუცლის მოწყვეტის მსხვერპლი გამხდარა. უსაზღვრო წუხილმა შეიპყრო დარიოსი. თავში ხელები წაიშინა და ატირდა — ჯერ იმის მოთქმით, მისმა მეუღლემ და თანამეცხედრემ სიცოცხლე ტყვეობაში რომ დაასრულა და მერე — სიკვდილის შემდეგაც მეფური პატივით დაკრძალვა რომ არ ეღირსა. მაგრამ ტირეოსმა დაამშვიდა მეფე: არც შენს მეუღლეს, არც დედას და არც შვილებს, ალექსანდრესგან საკადრისი პატივი არ დაჰკლებიათ; სიკვდილის შემდგომაც ჩვენი დედოფალი ალექსანდრემ დიდი პატივითაც დაკრძალა და, თავის თანამდგომებთან ერთად, ცხარე ცრემლითაც დაიტირაო.

შეცბუნებული დარიოსი ეჭვის ჭიას ბოლომდე ჩაჰყვა და ერთგულ მსახურს მუქარით და მუდარით მოსთხოვა სიმართლე ეთქვა — დარჩა თუ არა მისი მეუღლე ბოლომდე სხეულშეულახავი ალექსანდრესგან ან ალექსანდრეს ხომ არ უცდია გამარჯვებულის უფლებით ტყვე დედოფლის ხელყოფა... ამის გამგონე ტირეოსი მეფეს მუხლებში ჩაუვარდა და მხურვალედ შეჰღაღადა — ნუ იქნები უსამართლო და ტყუილუბრალოდ ჩირქს ნუ მოსცხებ ნურც ალექსანდრეს და ნურც ჩვენი დიდებული დედოფლის სპეტაკ ცხოვრებას, რომელიც საფლავშიაც ისეთივე სიწმინდითა და სისპეტაკით ჩავიდა, როგორი ღირსე-

ბითაც სიცოცხლეში ბრძანდებოდაო. მაშინ, ალექსანდრეს დიდსულოვნებით გაოგნებულმა დარიოსმა ეს შესძახა, თითქოს: „ღმერთებო, დამიფარეთ და აღმიდგინეთ ჩემი სამეფო, რამეთუ სამაგიერო მივუზღა ალექსანდრეს ჩემი ოჯახის პატივისათვის, ხოლო, უკეთუ თქვენგან მე უკვე აღარ მიწერია აზიის მბრძანებლობა, მაშინ ამას გთხოვთ, დიდი კიროსის გვირგვინი სხვას არავის არგუნოთ, გარდა ალექსანდრესი!“ [1]

ამ გულჩვილი რომანტიკის შემდეგ, დარიოსი ისევ განაგრძობდა ჯარების თავმოყრას ბაბილონის ველზე. მისი სამფლობელოები კვლავ უზარმაზარ, ამოუწურავ საომარ ძალთა წყაროებს წარმოადგენენ. მცირე აზიის, სირია-პალესტინისა და ეგვიპტის დაკარგვა დარიოსისთვის სრულებითაც არ ნიშნავდა ყველაფრის დაკარგვას. მისი სახელმწიფო ჯერ კიდევ „მსოფლიო სახელმწიფო“ იყო, ევფრატიდან ინდოეთამდე ვადაჭიმული, რომელშიც თავს იყრიდნენ ჯერ ომისაგან ხელუხლებელი დიდი ქვეყნები — მესოპოტამია, ირანი და ცენტრალური აზია — პართიით, ხორასნით, ბაქტრიით, არიანით, დრანგიანით, გედროზიით და არახოზიით.

მეფის დაძახილზე მოვიდა ბაქტრიის სატრაპი ბესა, რომელმაც ბაქტრიულ მხედრობასთან ერთად, მოიყვანა სოგდიანელები და ინდოელები ინდოეთის „კავკასიიდან“ (ჰინდუყუში). სკვითური ტომის, საკების ცხენოსანთა და მოისართა რაზმებს მოუძღვა მათი ბელადი — მავაკოსი. არახოზიის სატრაპი, ბარსაენტი, მოვიდა არახოზიელებით და კიდევ ინდოელებით: არიანის სატრაპი სათიბარზანი — არიელებით; პართიის სატრაპი ფრატაფერნი — პართიელებით, ჰირკანებით და ტაპურებით; მიდიის სატრაპი ატროპატი — მიდიელებით, კადუსებით, ალბანელებით და საკესინებით; ორონტობატი — გედროზიელებით; არიობარზანი — კარმანიელებით; ორქსინი — სპარსელებით; ოქსათრი, სუზიანის სატრაპის აბულიტის ძე — სუზიანელებით და უქსიებით; ბუპალი—ბაბილონელებით; ორონტი და მითრაბსტი—არმენიელებით; მაზეიოსი — აღმოსავლეთ სირიელებით; არიარათე — აღმოსავლეთ კაპადოკიელებით [2].

სულ დარიოსის საომარი დროშის ქვეშ ამჯერად იდგა: 100000 ქვეითი, 40000 ცხენოსანი, 200 ცელებიანი ეტლი, 15 საბრძოლო სპილო — ინდოეთიდან ჩამოყვანილნი [3].

ხოლო, ალექსანდრე მაკედონელი 40000 ქვეითი მეომრით და 7000 მხედრით, აგვისტოს დამდეგს, უახლოვდებოდა ქალაქ თაფსაკს,

მდინარე ევფრატზე, სადაც ჩვეულებრივ ხდებოდა ყოველი სალაშქრო გადასვლა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ჯარის საგანგებო ნაწილი წინ გაეშვა მეფეს, მდინარეზე ხიდების გასაწყობად და გადალახვის მოსამზადებლად.

მაგრამ მდინარის მარცხენა ნაპირზე მაზეიოსი დამდგარიყო 10000 მეომრით. იგი დარიოსს გამოეგზავნა ევფრატზე მაკედონელთა გადმოსვლის დასაბრკოლებლად და აღსაკვეთად.

მაკედონელმა „ინჟინრებმა“ ხიდების შენება წამოიწყეს, სპარსელებმა ხელი ვერ შეუშალეს. მალე ალექსანდრემაც მოაღწია სრულის ძალებით. მაზეიოსს მტრის შეკავების იმედი სულ გადაეწურა და თავისი ჯარით უკუიქცა ისევ დარიოსის მთავარ ძალებთან შესაერთებლად.

დარიოსი კი სრულის ძალებით ბაბილონიდან ჩრდილოეთით წამოსულიყო. იგი მოემართებოდა მდინარე ტიგროსის ზემო წელის მარცხენა, აღმოსავლეთის მხრისკენ, ქალაქ არბელას მიმართულებით.

ალექსანდრემ კი ამასობაში დაუბრკოლებლად გააწყო ორი ხიდი, ასევე ხელშეუშლელად გადაიყვანა ჯარები ევფრატზე. დარიოსი მას ბაბილონში ეგულებოდა და, ბუნებრივად, სამხრეთისკენ უნდა მობრუნებულიყო და ევფრატის გასწვრივ ევლო, უმოკლესი გზით, სწორედ ევფრატზე მდებარე ბაბილონისკენ. მაგრამ ალექსანდრე სიცხიან და ნაკლებ მოსავლიან ევფრატის ხეობას არ ენდო და უფრო გრილი და ნაყოფიერი გზა აირჩია — ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ნისიბისის გავლით, ტიგროსისაკენ და შემდეგ სამხრეთით, მისი ხეობით ბაბილონისაკენ.

ასეც მოიქცა მაკედონელი. მან ჯარი გაიყვანა ნისიბისის გზაზე, ნისიბისიც გაიარა და მიადგა ტიგროსს. ჩრდილო მესოპოტამიის ამ ნაწილს მაკედონელებმა ახალი სახელი დაარქვეს — მიგდონია. აქ, ტიგროსის გადალახვამდე, მაკედონელებმა შეიპყრეს და ალექსანდრეს მოჰგვარეს რამდენიმე სპარსელი მხედარი, რომლებიც დარიოსს მტრის დასაზვერად გამოეგზავნა. ტყვეები იოლად გატყდნენ და ალექსანდრეს აცნობეს, რომ დარიოსი უკვე წამოსულია ბაბილონიდან და დაბანაკებულია ტიგროსის მარცხენა მხარეს; დარიოსს გადაწყვეტილი აქვს, მთელის ძალებით დაუხვდეს და არ დაუშვას მაკედონელთა გადასვლა ტიგროსის მარცხენა ნაპირზე; მისი ახლანდელი არმიები გაცილებით მრავალრიცხოვანი და ძლიერია, ვიდრე ისოსთან ბრძოლაში.

ეს ცნობები ფრიად დამაფიქრებელი აღმოჩნდა ალექსანდრესთვის.

ძალზე სახიფათო იყო მრავალრიცხოვანი სპარსული არმიების ისართა „ცეცხლის“ ქვეშ ღრმა, განიერი და სწრაფი ტიგროსის გადალახვა. არა და, საჭირო იყო, რაც შეიძლება სწრაფად დაეძლია წყალგამყოფი და სწრაფადვე მოქცეულიყო მოწინააღმდეგის წრეწირში. რამდენადაც ტყვე სპარსელთა ცნობებიდან ჩანდა, დარიოსი ასურეთის ძველი სატახტო ქალაქის, ნინევიის მიდამოებში უნდა მდგარიყო. ამიტომ სანამ სპარსთა მეფე მტრის გადმოსვლას მდინარეზე ამავე ადგილების პირდაპირ ვარაუდობდა, მანამ ალექსანდრეს მოულოდნელად, მტრისგან იდუმალ, სულ სხვა ადგილზე უნდა გადაელახა მდინარე, ასედაც მოიქცა, — ღამით ჯარი ბანაკიდან უხმაუროდ გამოიყვანა, გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთით აიღო და სწრაფი, მუხლჩაუკრეფავი სვლით, ქალაქ ბედზაბდის მახლობლად მიადგა ტიგროსს. აქ თხელი ფონი იყო, მაგრამ მდინარე მაინც სწრაფი და მძლავრი ტალღებით მოედინებოდა. ალექსანდრემ მისვლისთანავე ბრძანა გადალახვა. ძალზე გაჭირდა მდინარეზე გადავლა. წყალი მეომრებს ყელამდე სცემდა, მძლავრად აწვებოდა და კაცს გასატაცებლად ამსუბუქებდა. მეფის ბრძანებით, ჯარისკაცები ერთმანეთს მჭიდროდ გადაებნენ და კაშხალივით განმტკიცებულნი[4], უმსხვერპლოდ გადავიდნენ და მარცხენა მთიან სანაპიროს შეეფინენ. ერთი დღე დაასვენა ალექსანდრემ დაღლილ-დაქანცული ჯარი.

ეს მოხდა 331 წლის 20 სექტემბერს. იმ ღამეს მთვარის დაბნელებაც მოხდა. ბერძენ-მაკედონელთა ჯარი ღრმა შიშითა და შეშფოთებით შეხვდა ამ მოულოდნელ „უბედურებას“. უეჭველად, ღმერთები გაგვიჯავრდნენ და ცუდს რასმეს დაგვმართებენო, — ფიქრობდნენ ზოგიერთები; ზოგიც სასიკეთოდ ხსნიდა ამ სტიქიონურ მოვლენას — მთვარე სპარსთა მნათობია და მისი დაბნელება სპარსთა „დაბნელებას“ ნიშნავსო. ისევე, როგორც 150 წლის წინათ, ქსერქსემ იხილა საბერძნეთის მნათობის, მზის დაბნელება, რასაც მაშინ საბერძნეთის უბედურება მოჰყვაო. მისანი არისტანდროსიც ალექსანდრეს თავშივე ბრძოლასა და გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. ალექსანდრემ მსხვერპლი შესწირა ყაცთა საცნობიერო სამებას — მთვარეს, მზეს და დედამიწას[5]. გათენდა თუ არა, ჯარიც სალაშქროდ გამოიყვანა.

მიდიოდნენ სამხრეთით, ტიგროსის გასწვრივ. 24 სექტემბერს მტრის კავალერია გამოჩნდა. ჯერ რიცხვი ვერ გაივარაუდეს, მაგრამ ალექსანდრემ მაინც ჯარები საომრად შემართა და გზა ისე განაგრძო. მალე გამოირკვა, რომ ათასზე მეტი სპარსნი ცხენოსანი უნდა ყოფილიყო.

ალექსანდრემ სამეფო აგემა და პეონთა მსუბუქი ცხენოსნობა აიყოლია და წინ გაქანდა. სპარსელები გაიქცნენ. ალექსანდრე დაედევნა, ზოგი გაექცა, ზოგი ასჩეხა, ზოგი ტყვედ აიყვანა. ტყვეებმა კი აჩვენეს, სადაც იდგა დარიოსი საომარ ბანაკად — ქალაქ გავგამელასა და ქალაქ არბელას შორის, უფრო გავგამელასთან მოჯრით, ამავე სახელწოდების ფართო ველზე. დარიოსს დაეჯერებინა თავისიანებისთვის — ისოსის ბრძოლა იმიტომ წავაგეთ, ველი რომ დავტოვეთ და მტერს ვიწრობებში შევეჩეხეთო; ამიტომ ახლა მაინც დაეხვდეთ აქ მაკედონელებს, გავგამელას ტრიალ ველზე, სადაც ჩვენი მრავალრიცხოვანი ჯარებისა და მხედრობის მიმოქცევას უეჭველად ჩვენს სასარგებლოდ წარვმართავთო. და ასე გადაუწყვეტიათ, გავგამელას სწორი ველი კიდევ მიუსწორ-მოუსწორებიათ და საომარი მზადყოფნით დაბანაკებულან [6].

ალექსანდრემ ჯარი შეაყენა და, იქ სადაც მდინარე გასერი ტიგროსს ერთვის — ძლიერი ბანაკი დასცა.

განვლო ოთხმა დღემ და სპარსთა მხრიდან ბაიბური არ ისმოდა. ალექსანდრე დარწმუნდა, რომ დარიოსს მტკიცედ აერჩია ბრძოლის ადგილი, რომელსაც ის უომრად აღარ შეელეოდა.

მაშინ ალექსანდრემ ბანაკში დატოვა დაჭრილი და დაუძლურებული ჯარისკაცები, ბრძოლაში გამოსადეგარი ბარგი და საომარი ძალებით შუაღამისას გაემართა სამხრეთისაკენ. გათენდა 30 სექტემბერი და მაკედონელები გადაადგნენ უკანასკნელ მაღლობს, რომლის ქვემოთ გადაიშალა გავგამელას ველი და მასზე, ერთი საათის სავალზე — სპარსთა ბანაკი.

ალექსანდრემ ჯარი შეაყენა, მეთაურები თათბირზე იხმო და კითხვა დასვა — ახლავე გადასულიყვნენ შეტევაზე, თუ ჯერ დაბანაკებულიყვნენ, დაესვენათ და ბრძოლისწინარე ზვერვას შესდგომოდნენ. სარდალთა უმრავლესობამ ბრძოლის დაუყოვნებლივი გამართვა ურჩია მეფეს, — ბარემ დავიწყოთ, სანამ ჯარს საბრძოლო ცეცხლი არ განელებიაო. მაგრამ მეტი სიფრთხილე მოითხოვა პარმენიონმა: ჩვენი ჯარი მგზავრობით დაღლილია, მტრისა კი დასვენებული, პოზიციაც თავისთვის მომგებიანი უჭირავთ სპარსელებს: ამასთან სავსებით შესაძლებელია, რომ მტერმა თავისი ბანაკის მისადგომებთან იდუმალი ორმოები და შუბებით აჯაგრული მალული მახეებიც გააწყო; ყველაფერს ამას დაზვერვა და შეტყობა სჭირდება, ამიტომ ჯერ უნდა დავდგეთ და დავიბანაკოთო, დაასკვნა გამოცდილმა სარდალმა. ასედაც

გადაწყდა. ალექსანდრემ იმავე მაღლობზე ჯარი დააბანაკა. მტრის თვალისგან დაურიდებლად.

დარიოსი კი მყარად იდგა თავის ბანაკში. საომარი ველი, მისი ბრძანებით, საკუთარი ეზომიდამოსავით „გაელამაზებიათ“ — ქვიშის ბორცვები გაესწორებინათ, ეკლიანი ბუჩქნარები ამოეძირკვათ, ყველაფერი მოეშორებინათ, რაიც კი მისი მხედრობისა და ეტლების მოძრაობას ხელს შეუშლიდა.

მტრის მოახლოებამ და მაზეიოსის უკუქცევამ გვარიანად შეაშფოთა დარიოსი, მაგრამ უმალვე დამშვიდდა მისი სატრაპების „დამარწმუნებელი ჩიჩინით“ გულმოფონებული, ისედაც თვითმრწმენი მეფე. ახლა აშკარად ჩვენი სჯობია მტრისასაო, ახლა შეიტყოს ალექსანდრემ ვინ ვართ და რა ვართ სპარსელებიო, — კვეხნასა და ქელესაობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დარიოსის სარდლები.

როცა იმ დილით მაღლობთა გრეხილზე მაკედონელთა ჯარებიც გამოჩნდა, დარიოსმა იფიქრა, რომ მტერი იერიშზე მოდიოდა და თვითონაც ბანაკი საომრად ფეხზე დააყენა.

მაგრამ იერიში არ შედგა. ისე ჩანდა, მაკედონელები ბანაკად დგებოდნენ. მხოლოდ ცხენოსანთა რამდენიმე რაზმი დაეშვა მთიდან დაბლობზე, ერთხანს გაიქნენ-გამოიქნენეს და, ისე რომ სპარსთა ბანაკისკენ თითქოს პირიც არ უქნიათ, უკანვე გაბრუნდნენ.

დაღამდა. ალბათ, მაკედონელი ღამით გვიმზადებს თავდასხმასო, და დარიოსმა მთელი ღამე თავისი ჯარები საომარ მზადყოფნაში, თვალმოუხუჭავად და მუხლჩაუკეცავად, ფეხზე ამყოფა. მეფეს თვითონაც არ უძინია. ჯართა რიგებში დადიოდა, ცხენზე მჯდარი, ყველას ესალმებოდა, ამხნევებდა და აიმედებდა.

მთელი ღამის საომარი ფეხზე დგომა სპარსელებისა უქმად განესრულა. უძილობით და საჭურვლის სიმძიმით მეტისმეტად დაიქანცა დარიოსის ბანაკი.

ის დღეც ისე გაილია — მაკედონელთა სრული სიმშვიდით და სპარსელთა უკიდურესი სულიერი დაძაბულობით.

დღის დასასრულს მზვერავთაგან მოტანილი ცნობების შემდგომ, ალექსანდრემ სარდლები იხმო და გამოუცხადა, რომ ხვალ დილისთვის იწყებდა ბრძოლას. თქვენი იმედი შაქვსო, — მიმართა მან თანამებრძოლებს — თქვენი პირადი ვაჟკაცობისაც მჯერა და თქვენი ჯარებისაც; ეს არა ერთ და ორ ბრძოლაში დაგიმტკიცებიათო; ჩვენს

მეომრებს საომარი ცეცხლის გაღვივება კი არა, მგონი უფრო განელება სჭირდებათო, ვინათგან საომარი შემჭართებლობა მათ დაბაღებითვე მოსდგამთო; თქვენ თქვენი მეომრები გააფრთხილეთ, უხმაუროდ, მდუმარედ წავიდეთ იერიშზე და მხოლოდ დატაკებისას ყიჟინაც დავცეთ და საომარი სიმღერაც დავაგრიალოთო; მეთაურებმა ჩემი ბრძანება და მინიშნება უმალვე აღიქვით და შეასრულეთ, ისეთივე სისწრაფით ყოველ მეომარს შეატყობინეთ და შეასრულებინეთო; ყველას ახსოვდეს, რომ ერთის შეცდომა ყველას საფრთხეში გვაგდებსო; მთავარია სისწრაფე და სიზუსტე არ მოვშალოთო; ყველამ ირწმუნეთ და ყველა დაარწმუნეთ, რომ ხვალინდელი დიადი დღის ბედი ცალკეულად ყოველ მეომარზეა დამოკიდებულიო; ყველას ახსოვდეს, რომ ხვალინდელი ბრძოლა იმართება არა სირიის, ფინიკიის თუ ეგვიპტისათვის, არამედ მთელი აღმოსავლეთისთვისო; ხვალინდელი ბრძოლა გადაწყვეტს, ვინ უნდა იბატონოს მსოფლიოზეო... სარდალთა თათბირმა საომარი აღტყინებით მიიღო მეფის სიტყვა და მოწოდება[7].

თათბირი დაიშალა. მეფემ დროზე ვახშამი და დროზე დაძინება უბრძანა ბანაკს. თვითონაც შევიდა კარავში დასაძინებლად.

რამდენიმე სარდალი, მათ შორის პარმენიონი და პოლიპერხონტი, მაინც შეჰყვნენ კარავში მეფეს. ეტყობოდა, პარმენიონი მაინც შიშობდა ხვალინდელი ბრძოლის ბედზე, — მტრის სიმრავლე და მისი პოზიციის უპირატესობა აფიქრებდა ბრძოლებში დაბერებულ სარდალს, და უთხრა პირდაპირ ალექსანდრეს — სპარსთა ბანაკში დანთებულ ცეცხლთა სიმრავლეს და იქიდან მოდენილ ხმაურს ეტყობა, მტერი მართლაც ურიცხვი უნდა იყოს, ამიტომ სჯობია, ხვალ, დღის სინათლეზე კი არა, ამღამითვე მოულოდნელად დავეცეთ მტერს თავზეო. ეს თქვა პარმენიონმა და პოლიპერხონტმაც დაუკრა კვერი.

მეფემ პარმენიონს, თითქოს, არ აკადრა და პოლიპერხონტს კი უთხრა მკაცრად: „მე თქვენ მირჩევთ ისე მოვიქცე, როგორც ქურდი და ყაჩაღი; ნურას უკაცრავად — მე გამარჯვების მოპარვა სირცხვილად მიმაჩნია და მირჩევნია დამარცხების სინანულით ვნანობდე, ვიდრე გამარჯვების სირცხვილით მრცხვენოდეს“, — ეს თქვა და უფრო მკაცრად დასძინა: წადით და ხვალისთვის საბრძოლველად გაემზადეთო[8].

მთელი ღამე გასაოცარი სიმშვიდით ეძინა მეფეს. სარდლებმა მეფის გარეშე ასაუზმეს დილით თავიანთი ჯარები. ბოლოს, პარმენიონი შევიდა და სამჯერ სახელის დაძახებით ძლივს გააღვიძა გვირგვინოსა-

ნი, რომელსაც ისე უდარდელი ძილით ეძინა, თითქოს უმანკო ბავშვი ყოფილიყოს და კისრად ერთი ადამიანის სისხლიც არ სდებიყოს...

და უთქვამს კიდეც პარმენიონს მაშინ: საოცარია, რომ უკვე გამარჯვებული კაცის ძილით გძინავს და არა იმ კაცის ძილით, რომელსაც ხვალინდელ დღეს ბრძოლათა შორის ყველაზე დიდი ბრძოლის გადახდა მოელისო. ალექსანდრემაც არ დააყოვნა პასუხი: „როგორ, შენ გგონია, რომ გამარჯვებული არა ვართ? ჩვენ ხომ აღარ გვჭირდება ხეტიალი და დევნა დარიოსისა, რომელიც აქამდე ასე გაურბოდა ბრძოლას ამ ვრცელსა და აოხრებულ ქვეყანაში?“ [9] თქვა ღიმილით და სასწრაფოდ იარაღის ასხმას შეუდგა.

დარიოსმა კი კვლავ არ იცოდა, ღამით დაეცემოდა თავზე მტერი თუ დღისით. ამიტომ მთელი ბანაკი მეორე ღამითაც კვლავ ფეხზე ჰყავდა საომრად გამზადებული, უძილარი და ნერვებმოშლილი, მთელი ღამე თვითონაც ფეხზე იდგა მეფეთა მეფე, მსხვერპლს სწირავდა აპურამაზდას, მითრას, მზეს და მარადიულ ცეცხლს, ამხნევებდა და აიმედებდა ყოველ შემხვედრს...

მაშ, სახელოვანი ბრძოლა გავგამელას ველზე.

331 წლის 1 ოქტომბერი.

ომის ღმერთმა ისევ აიღო საომარი სასწორი ხელში, — სასწორის ერთ პინაზე — 140000 აზიელი, მეორე პინაზე — 47000 ევროპელი.

სპარსელთა უკიდურეს მარცხენა ფლანგზე იდგა ბესა, ბაქტრიელებითა და სოგდიანელებით. მათ წინ ასი ცელიანი ეტლი იდგა, რომელთაც მარცხნიდან ათასი ბაქტრიელი და სკვითი მხედარი იცავდა. ბესას მარჯვნივ არახოზიელები და მთიელი ინდოელები იდგნენ; შემდეგ, ისევ მარჯვნიდან მიჯრით, მოჰყვებოდნენ თვითონ სპარსელნი ცხენოსანნი და ქვეითნი, შემდეგ — სუზიანელები და კადუზიანელები. აქ ცენტრი იწყებოდა, ხოლო ცენტრი მთლიანად ეჭირა რჩეულ სპარსელ არისტოკრატიას, „მეფის ნათესავებს“, და „უკვდავ ათასეულებს“. მათ ორივე მხრიდან, მარცხნიდან და მარჯვნიდან, ცენტრი იკეტებოდა ბერძენი მოქირავნეებით. აქვე იდგნენ ინდოელნი, მათივე სპილოებით, კიდევ — კარიელნი და მოისარნი მარდები, ხოლო ამათ წინ — ორმოცდაათი ცელიანი ეტლი. ცენტრის გასამაგრებლად, მის უკან ჩარიგებული იყვნენ კიდევ უქსიები, ბაბილონელები და სიტაკენელები ამრიგად, ცენტრი იმდენად ძლიერი იყო, რომ დარიოსს შეეძლო სრულ მიუწვდომლობის იმედით მდგარიყო მის შუაგულში. ცენტრიდან მარჯვნივ, მარდების შემდგომ, თანმიყოლებით იდგნენ: ალბანელ-

ნი და საკესინები, ფრატაფერნი — პართიელებით, ჰირკანელებით, ტაპურებით და საკებით, ატროპატი — მიდიელებით, შემდეგ — სირიელები და სულ ბოლოს — კაპადოკიელები და სომხები. აქ კიდევ, წინ წამოწევით, იდგა ორმოცდაათი ელიანი ეტლი.

ალექსანდრემ ცენტრში ფალანგა ჩააყენა, ექვს ტაქსისად დაყოფილი; ფალანგის მარჯვნივ თვითონ დადგა, მაკედონური და თრაკიული მხედრობით. მარჯვენა ფლანგზე, ყველაზე წინ, სამეფო აგემა დააყენა კლიტოსის სარდლობით. აქვე, მცირედი უკანდახევით — ფილოტა და მისი მხედრობა; შემდეგ, ფალანგაზე მიჯრით, მელეაგრე და მათ უკან — ფაროსნები ნიკანორის სარდლობით. მთლიანად მარჯვენა ფრთას თვითონ მეფე მთავარსარდლობდა. მარცხენა ფრთაზე კი კრატეროსისა და სიმიას ჯარები იდგნენ, ხოლო სულ უკიდურეს ფლანგზე — პარმენიონი ბერძნული და მათგან გამორჩეული თესალიური მხედრობით. მარცხენა ფლანგსაც მთლიანად პარმენიონი სარდლობდა. მეფემ გაითვალისწინა მტრის რიცხვმრავალ ცხენოსანთა მოსალოდნელი შემოვლა ფლანგებიდან და ამიტომ თავისი ორივე ფრთის უკან კიდევ მეორე კოლონა ჩააყენა — „მარჯვენა მეორე“ და „მარცხენა მეორე“, — რომელთაც ევალებოდათ მტრის საფლანგო შემოვლის შემთხვევაში შემობრუნებულიყვნენ და მის საპირისპიროდ მეორე ფრონტი გაეხსნათ. „მარჯვენა მეორეს“ შეადგენდნენ: დაქირავებულნი (სარდალი კლეანდროსი), მოისარნი (სარდალი ბრიზონი), აგრიანები (სარდალი ატალოსი), სარისოფორები (სარდალი არეტოსი), პეონიელები (სარდალი არისტონი) და ახალწვეული ბერძენი მეომრები (სარდალი მენიდა), „მარცხენა მეორეს“ კი შეადგენდნენ: თრაკიელი ქვეითნი და ბერძენ „მოკავშირეთა“ ცხენოსანნი (სარდალი კერანოსი), ოდრისები (სარდალი აგათონი) და დაქირავებული ცხენოსნები (სარდალი ანდრომახოსი).

ბრძოლა დაიწყო.

ალექსანდრემ მაკედონური მხედრობა დარიოსის ცენტრს დაუმიზნა და იერიშზე აფრინა. მაგრამ მაშინვე ბაქტრიელთა და სკვითთა მხედრებმა მოიერიშე მაკედონელებს თავის მხრივ მარცხენა ფლანგიდან მძლავრად შემოჰკრეს. ალექსანდრემ ზედიზედ შეაგება მენიდა ახალწვეულებით და არისტონი პეონიელებით. მაშინვე დარიოსმა ეტლების იერიში ბრძანა; ეტლებიც გაქანდნენ, მაგრამ, — როგორც ალექსანდრესგან წინასწარ ებრძანათ — მაკედონელებმა და აგრიანებმა

გზა მისცეს და გვერდებიდან ისრის, სათხედისა და ქვის სეტყვა დააყარეს, ხმლებით ჭაპნები დაუწყვიტეს, შუბებით ცხენები და მეეტლეები განუგმირეს, ეტლთა ასეულიდან ზოგი სულ დალეწეს, დანარჩენები ხელთ მოიხელთეს. ამასობაში ალექსანდრემ „მარჯვენა მეორედან“ კიდევ ერთი საომარი ძალა გაუშვა ბრძოლაში — სარისოფორები, არეტოსის სარდლობით. არეტოსი დაეძგერა ბაქტრიელებს და სკვით-საკებს, რომელთა გააფთრებულ კონტრშეტევებს დიდის გაჭირვებით აკავებდნენ მენიდა და არისტონი.

დარიოსს ეგონა, რომ წინ გაჭრილი მისი მარცხენა მხედრობა საიდაც არის გამარჯვების ნაღარას დაჰკრავდა და ვერ შენიშნა, რომ მის მხედრობასა და ქვეითად მდგარ ცენტრალურ კოლონებს მთლიანობა მოშლოდათ და მათ შორის ცარიელი სივრცე ჩასჭროდათ.

ალექსანდრე კი თითქოს ამას უცდიდა, — მაშინვე მუზარადი და ბუკეფალა მოითხოვა (უკვე სიბერეში შესულ ბუკეფალას სალაშქრო გზებზე მარქაფად ატარებდა და მხოლოდ ბრძოლის ველზე მოახტებოდა), ეს იმას ნიშნავდა, რომ ალექსანდრე თვითონ ებმებოდა ხმალთაკვეთებაში. სხვა ყოველი საჭურველი მანამდეც ტანთ ეცვა, ახლა მუზარადი დაიხურა, ბუკეფალას მოახტა, კლიტოს შავი და მისი მხედრობა აიყოლია და მძლავრი ყიჟინით იერიშზე გაქუსლა. იგი მარჯვენიდან მარცხნივ, ირიბი გეზით, გააფთრებით ეძგერა დარიოსის ცენტრალურ კოლონას. ამ სოლისებრმა გაჭრამ ახლა სავსებით გაჰკვეთა და გააშორიშორა სპარსთა ცენტრი და მარცხენა ფლანგი. კენოსმა და პერდიკამაც მიუსწრეს თავიანთი ტაქსისებით და შეუერთდნენ ბოერიშე მეფეს. ზედიზედ ჩაკაფეს და ჩაყწვინეს მაკედონელებმა სპარსთა რიგები, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ დამცველ კედლებად სდგომოდნენ მათ „ღვთაებრივ მეფეთა მეფეს“. ალექსანდრემ თვითონ მიაშურა პირდაპირი ჩეხვით დარიოსს. დარიოსმაც მოასწრო რამდენიმე ისრის გასროლა ალექსანდრესკენ, მაგრამ ყველა ნასროლი დაუცდა. ალექსანდრემ სამაგიერო სტყორცნა, იმანაც დააცილა სპარსთა მეფეს, მაგრამ მის გვერდით მდგარ მეეტლეს კი გაარტყა სასიკვდილოდ. უახლოეს მცველებს ეგონათ, დარიოსი დაეცა მკვდარიო და ეს წამიერი გაუგებრობა საკმარისი გახდა, ერთბაშად აშლილიყვნენ და გაქცეულიყვნენ. და კიდევ დადგა ის წუთები, როცა დარიოსს, ისოსის ბრძოლის მსგავსად, ისევ ორიდან ერთი უნდა აერჩია — ან სიკვდილი, ან სირცხვილი. და ისევ ისოსის მსგავსად, სირცხვილი არჩია აზიის მპყრობელმა — მან ყველა და ყველაფერი დაჰყარა, მარქაფს

მოახტა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. მისი მეომრებიც მიჰყვნენ გაქცეულ მეფეს „ზურგის სიმაგრედ“.

პანიკამ და გაქცევის ლტოლვამ გაიტაცა სპარსელთა უკანა კოლონაც. ამრიგად, დარიოსის ცენტრალური განლაგებანი პირწმინდად აიშალა და აიხვეტა ბრძოლის ველიდან. ამასობაში ბაქტრიელი და სკვითი ცხენოსნებიც აეკაფათ ალექსანდრეს მარჯვენა ფლანგის მხედრებს. მაშ, სპარსთა მარცხენა ფლანგიც უკვე აღარ არსებობდა.

მაგრამ სულ სხვა შედეგებით მიიმართებოდა ბრძოლა პარმენიონის მარცხენა ფრთაზე. ფალანგის მარცხენა მხარე, კრატეროსისა და სიმიას სარდლობის ქვეშ მყოფი ტაქსისები, გაბმული სრბოლით ველარ მიჰყვნენ ელვასავით წინ გაჭრილ ალექსანდრეს, დიდი მანძილით ჩამორჩნენ და ამასთან, ერთმანეთის კავშირიც მოეშალათ კრატეროსსა და სიმიას. ეს კარგად გამოიყენეს სპარსთა და ინდოელთა ჯარებმა და ისეთი გახელებით გამოქანდნენ, რომ შეუკავებლად გაიჭროლეს კრატეროსისა და სიმიას ტაქსისებს შორის მტრის ზურგში გავიდნენ და მანამ დაუბრკოლებლივ იქროლეს, სანამ თვით მაკედონელთა ბანაკში არ შეიჭრნენ. ალექსანდრეს ბანაკის საპატრონოდ თრაკიელთა მხოლოდ მცირე რაზმი ჰყავდა დატოვებული და უფრო სერიოზულ დაცვაზე მას არ უზრუნია, რადგან საერთოდ არ უფიქრია, ასეთი რამ თუ მოხდებოდა. თრაკიელები მაინც მედგრად დაუხვდნენ მოულოდნელად მოვარდნილ მტერს. მაგრამ ადრე, გზაზე დატყვევებულმა სპარსელებმაც აიშვეს და ზურგიდან მიესივნენ თრაკიელებს; სპარსთა და ინდოთ ჯარებმა მაკედონელთა ბანაკი დაიპყრეს და ველური თავაწყვეტით ძარცვას და ხოცვას შეუდგნენ. დარიოსის დედა და შვილები ენაჩავარდნილი და გაოგნებული უცქეროდნენ ბანაკში დატრიალებულ ამბებს.

მაინც დროზე შეიტყვეს ბანაკის გარშემო დატრიალებული დრამა ალექსანდრეს სარეზერვო კოლონის, „მარცხენა მეორის“ სარდლებმა — კერანოსმა, აგათონმა და ანდრომახოსმა, — სასწრაფოდ თავისი ჯარებით უკან შემობრუნდნენ და თვითონაც ბანაკისკენ გაქუსლეს. ისინი შეუხდნენ ძარცვა-წყვეტაში გართულ სპარსელებს, დაერივნენ და თითქმის სრულიად ამოხოცეს. მხოლოდ მცირედნი გადარჩნენ და გაიფანტნენ უგზოდ და უკვლოდ.

იმავდროულად უაღრესად მისჭირვებოდა თვითონ პარმენიონს, რომლის უკიდურესი მარცხენა ფლანგი, თესალიური კავალერია, სპარსთა, პართიელთა და კიდევ ინდოელთა თავბრუდამხვევი იერიშების

ქვეშ მოქცეულიყო. მეორე ნაკადად მაზეიოსი მოქროდა მიდიელთა, კაპადოკიელთა და სირიელთა მხედრობით. ასეთი სასოწარკვეთის დღე პარმენიონს არასოდეს დასდგომია. იმიტომაც მეფესთან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა: ან მაშველი მომაშველე, ან ყველაფერი დაღუპულიაო. ალექსანდრემაც ფიცხად პასუხი შეუტრიალა: პარმენიონი ალბათ ჭკუაზე შეცდა, ახლა რომ შველას მთხოვს: აკი მახვილთან ერთად არჩევანიც მას ხელთ უპყრია — ან გაიმარჯვოს ანდა მოკვდესო". [10]. ეს კი შეუთვალა, მაგრამ მაინც არ დავიწყნია გაჭირვება მამის კბილა ერთგული სარდლისა და, — დარიოსი რომ გააქცია — მის დევნაზე ხელი აიღო, სპარსთა აშლილი და ახვეტილი ზურგი გაიარა და ზურვიდანვე თავს დაესხა ჯერ კიდევ მკვიდრად ფეხზე მდგარ სპარსთა მარჯვენა ფლანგს. მოუტრიალდნენ და შეებნენ ალექსანდრეს სპარსელები, ინდოელები და პართიელები. ეს იყო ყველაზე საშინელი ცხენოსნური ხოცვა-ჟლეტა. ორივე მხარე იბრძოდა გამარჯვებისთვის ან სიკვდილისთვის. სამოცამდე უახლოესი და უმამაცესი ჰეტერი დაეღუპა ალექსანდრეს ამ გამხეცებულ შერკინებაში. ძალიან ბევრი დაიჭრა, მათ შორის — ჰეფესტიონი, პერდიკა, კენოსი და მენიდა. მაინც გაიმარჯვა ალექსანდრემ. სპარსთა უმრავლესობა დაირეცა: თითო-ოროლამ გაასწრო სიკვდილს.

პარმენიონსაც შეუმსუბუქდა ბრძოლის სიმძიმე, მან უკუაქცია მაზეიოსი და მისი მხედრობა. ალექსანდრემაც შემოაღწია და შემოუერთდა. რაკი მეფემ ბრძოლის ამ უბანზეც თავისი გამარჯვება ირწმუნა, ისევ გატრიალდა, გვამებით დახერგილი ველი გადაჭრა და გაქუსლა იქით, საითაც გაქცეული დარიოსი ეგულებოდა.

გვიან ღამემდე სდია აზიის მაძიებელმა ევროპელმა მეფემ აზიის დამკარგველ აზიელ მეფეს. ნაომარი ველიდან ოთხი საათის სავალზე მიადგნენ მდინარე ლიკოსს. ზედ ხიდზე გაქცეულთა საშინელი შეხლა-შემოხლა და შეკვლა-შემოკვლა დამდგარიყო. დარიოსს კი გადაესწრო და არბელასკენ გაქცეულიყო.

ოთხი საათით დაასვენა ალექსანდრემ დაქანცული მხედრები და ცხენები. შუადამისას, მთვარე რომ ამოვიდა, ისევ განაგრძო დევნა. მეორე დღეს მივიდნენ არბელას, მაგრამ დარიოსი იქ აღარ დახვდათ — იქიდანაც გაქცეულიყო სპარსთა მეფე, გაქცეულს კი ისევ დაეგდო თავისი ეტლი, ფარი, მშვილდი და ძვირად ღირებული საგანძურები. ალექსანდრემ ყველაფერი დაინადავლა და უკან გამობრუნდა.

მეფის დაბრუნებამდე პარმენიონს მთლიანად დაესრულებია გავ-

გამელას ველზე უზარმაზარი ნადავლის აღება — საჭურვლის, კარვების, ეტლების, ძვირფასი ნივთების, ცხენების, აქლემების, საქონლის მოკრება და დაბინავება, ორივე მხარის მსხვერპლთა დათვლა და სრულიად ბატალიის შეჯამება.

ალექსანდრეს მოგებული ჰქონდა უდიდესი ბრძოლა. გავგამელას ველს შესწირვოდა დაახლოებით 50000 აზიელის სიცოცხლე. ალექსანდრემ კი დაკარგა 500-მდე კაცი და 1000-მდე ცხენი [11].

ეს საშინელი მარცხი დარიოსისთვის სრულ დამხობას ნიშნავდა. ალექსანდრე აზიის მეფედ აღიარეს მტრებმაც და მოყვრებმაც. სულით აღზევებულმა ალექსანდრემ დიდი საზეიმო მსხვერპლწირვა გამართა, ღმერთებს დიდი შესაწირავები მიართვა, მეგობრები უხვად დააჯილდოვა, საბერძნეთში წერილები აფრინა და ყველგან ტირანია გაუქმებულად გამოაცხადა, ყველა ქალაქს ავტონომია მიანიჭა, ზოგსაც დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა [12].

დარიოსი კი, — გუშინ მსოფლიოში ყველაზე დიდი მონარქიის პატრონი, ახლა იყო მისსავე მიწაზე ლტოლვილი და მიუსაფარი. კიდევ 3000 მხედარსა და 600 ქვეით მეომარს მოეყარა თავი მის გარშემო. ასეთ ჯარს, არამცთუ მსოფლიო მეფეთამეფე, არამედ რომელიმე აზიელი მეფუკა ამალადაც ძლივს იკადრებდა. და გარბოდა დარიოსი ნაყარნუყარა ამალა-ჯარით, გარბოდა არბელიდან აღმოსავლეთით მიმავალ გზაზე, მიდიისკენ, ქალაქ ეკბატანასკენ.

გავგამელას სასაკლაოს გადარჩენილ სპარსთაგან, სატრაპმა არიობარზანმა მაინც მოახერხა სერიოზული მხედრობის მოგროვება — დაახლოებით, 32000 მეომრის შემადგენლობით [13]. ამ ძალებით არიობარზანმა სამხრეთისაკენ დაიხია და მტკიცედ ჩაკეტა მესოპოტამიიდან სპარსეთისაკენ მიმავალი გასასვლელები. ჩვეულებრივი საფიქრალით, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ამ ძალებით და ამ ადგილებში სპარსეთის გადარჩენისათვის ბრძოლის გამართვაც და იქნებ სპარსეთის გადარჩენაც, უკეთუ სპარსეთის ერთიანობის მაორგანიზებელი სუბიექტი — თვითონ ხელმწიფე — მოვიდოდა და პირადად ჩაუდგებოდა სათავეში თავისი სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლის ორგანიზაციას. მაგრამ ხელმწიფე სახელმწიფოს გადარჩენისათვის კი არა, უკვე მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისათვის გარბოდა სადღაც, საითაც მოუხდებოდა, უგზოუკვლოდ და უანგარიშოდ.

ალექსანდრე კი აღარც დარიოსს გამოსდევნებია და აღარც არი-

ოპარნასს. იგი ჯერ არბელაში შევიდა, დიდძალი ძვირფასეულობა აიღო და იქიდან ბაბილონისაკენ დაეშვა. ფრთხილად, საფეხური განწესრიგებით უახლოვდებოდა ალექსანდრე ამ უძველეს, ლეგენდებით შემოსილ „მსოფლიო დედაქალაქს“. ვინ მოთვლის და ვინ განსაზღვრავს, რამდენი სისხლი დაქცეულა და რამდენი სიცოცხლე დამწვებულა მის კედლებთან — რომელი დიდი დამპყრობელი არ შემოსევია მას — თუ კასიტები, თუ ხეთები, თუ ასირიელები, თუ სპარსელები — შარუკინები, სინაქერიბები, ასარჰადონები, კიროსები, დარიოსები. ალექსანდრეც ელოდა ბაბილონის კარიბჭეებთან დიდ სისხლთა თხევას, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ბაბილონში შემოასწრო და აქ გამაგრდა გავგამელას ველიდან უკუქცეული, დარიოსის სატრაპრთაგან ყველაზე ენერგიული მაზეიოსი, გადარჩენილი სპარსი ჯარებით.

მაგრამ კარიბჭენი განახვნა ბაბილონმა და თავის ლეგენდარულ წიაღში, ვითარცა „ღვთაებრივ გამათავისუფლებელი“, ისე მიიღო ალექსანდრე მაკედონელი. ხალხი, ქალაქის მესვეურნი, ბაბილონელი და სპარსელი მოხელენი, ქურუმნი, მკითხავნი და წინასწარმეტყველნი — გვირგვინებით, ყვავილთა თაიგულებით, ფიანდაზის ფენით, საკმევლის კმევით, საგალობელთა ღიღინით, უმდიდრესი ძღვენებით — ეგებებოდნენ „ღვთის ძესა და ღვთაებრივ რქოსანს“. თვითონ მაზეიოსი გამოეგება, თავისი შვილებით, ალექსანდრეს. გამოეგება და მოართვა ქალაქის, მისი ციხესიმაგრეებისა და საჭურჭლეების კლიტენი.

ბაბილონი იყო პირველი ყველაზე უფრო დიდი ჯილდო გავგამელას ველზე გამარჯვებისთვის. აღტაცებული მოიხილავდა ევროპელი გვირგვინოსანი ამ ზღაპრულ ქალაქს, მის მძლავრ გალავნებს, ციხეკოშკებს, საფეხუროვან ზიკურატებს, განიერ მოკირწყლულ ქუჩებს და მოედნებს, გრანდიოზულ ბელის ტაძარს, მსოფლიოს შვიდეულ საოცრებათაგან სახელგანთქმულ „კიდულ ბაღებს“. ალბათ თავისი პელა, ბაბილონის გრანდიოზულობასთან შედარებისას, საცოდავ სოფლად-ღა წარმოუდგებოდა გაოგნებულ და გაშეშებულ ალექსანდრეს. იგი იდგა მთელი მსოფლიო სიმდიდრის, დოვლათის, კულტურისა და „ყოველგვარი მოდის“ ყველაზე მთავარ სამიმოქცევო გზაჯვარედინზე. აქ მოედინებოდა და აქედან გაედინებოდა ყოველი „მსოფლიო გზა“.

ალექსანდრემ ოთხი წლის დაუსვენარი და უმძიმესი ლაშქრობებით განაწამები ჯარები ბაბილონში ხანგრძლივი დასვენებით და განსვენებით დააჯილდოვა. ჯარისკაცები თავდავიწყებით გადაეშვნენ

მთელს მსოფლიოში ყბადაღებულ „ბაბილონურ ცოდვათა“ მორეკში. რქროს თასებით, ძვირფასი ჭურჭლებით, უთვალავი ხორაგითა და ნაირნაირი, გონისწამართმეველი სასმელებით დატვირთული სუფრები, სურნელოვანი ნელსაცხებლებით დაზელილი შიშველი სხეულნი, თავაწყვეტილი როკვა, ფრივოლური არშიყობა და უსირცხვილო ბრუშოა — აი, ყველაფერი, თურმე რისთვისაც „ღირს ცხოვრება“ ამ ეფემერულ წუთისოფელში. აი, თურმე რა ყოფილა „ბედნიერი აზია“, რაც არ სცოდნია და არ უგემნია ამდენ ხანს „უბედურ ევროპას!“

„აი თურმე როგორ ცხოვრობენ აზიელი მეფეებიო“, ისოსში რომ წამოსცდა ალექსანდრეს, აქემენიანთა მდიდრულ აბაზანაში განბანვის ჟამს, — მაშინ ალექსანდრე პირველად „გაინათლა აზიურად“. ახლა იგივე შეეძლოთ ეთქვათ მის მეომრებს — აი, თურმე როგორ ცხოვრობენ აზიელებიო, და ისინიც, მათი „სამაგალითო მეფის“ მაგალითად, უკვე „ინათლებოდნენ აზიურად“.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯარისკაცი ოფლისა და ნივრის სუნს ნელსაცხებელში გაცვლის, ან საომარ გვირგვინს სანადიმო თასს ანაცვალებს და წყაროს წყალს ღვინით თუ თრიაქით შეცვლის ან კიდევ ომით დაღლილი თავის მისაყრდნობად სალაშქრო უნაგირზე უფრო ქალის მკერდს ამჯობინებს — ასეთი ჯარისკაცი ჰკარგავს ჯარისკაცობას. ასეთი ჯარი ძალაგამოცლილ, ჭკუადაკარგულ ჯოგს ემსგავსება. ამაზე აზიელ ხელმწიფეს არ უფიქრია და, — ნაცვლად იმისა, რომ საბრძოლო უნაგირისგან ჯანდაცლილ მტერს მობრუნებოდა — იგი უკანმოუხედავად გარბოდა. ალექსანდრეს კი, — თუ იგი ოდესმე წონასწორობას დაჰკარგავდა — დროულად წონასწორობის აღდგენის ალღოც არ აკლდა. ახლაც, 34 დღე-ღამის თავაწყვეტილ ორგიათა შემდგომ, ჯარი მკაცრი ბრძანებით თავდავიწყებას გამოჰყარა და სრული საბრძოლო განწესრიგებით ისევ საომარ გზაზე შეაყენა.

მაგრამ ყოველივე მაინც წმინდა „ვიტალურ-ბიოლოგიურ“ სფეროს განეკუთვნებოდა და „აზიელობა“ მარტო კუჭთან და სხეულებრივ განცხრომასთან გაიგივებას ვერასგზით ვერ დაითმენდა. აზია უწინარეს ყოვლისა უდიდესი და უპირველესი, მრავალფეროვანი და მრავალმორეკვიანი კულტურის სამშობლო და მეაკვნე იყო. ბაბილონი კი კორიფეესული ცენტრი იყო აზიის უმაღლესი სულიერი და ნივთიერი კულტურებისა.

საერთოდ კი უმთავრესი საკითხი აზიაში ალექსანდრეს ბატონობის

„მეთოდოლოგია“ იყო. მაკედონიის მეფემ სამ დიდ ბრძოლაში გაანადგურა სპარსთა ჯარები, მაგრამ ახალ „აზიის მეფეს“ ჯერ არც აზიის განუყოფელი ხელმწიფობა ეთქმოდა და არც საკუთრივ სპარსეთის მფლობელობა. ბრძოლაში გამარჯვება ჯერ კიდევ არ უდრის დამარცხებულთა ქვეყნის დაპყრობას. მთავარი გასააზრებელი ეს იყო — თუკი ამდენი გამარჯვებების შემდეგ ალექსანდრე სპარსეთის ტახტზე ასვლას აპირებდა, ვითარცა მხოლოდ მაკედონელი თუ ბერძენი დამპყრობელი — მაშინ მის ბატონობას აზიაში არავითარ შემთხვევაში განხორციელება არ ეწერა; ან სხვანაირად — უცხოური მონობის უღლით ერთი ციცქნა მაკედონიიდან მოსული ეგოისტი დამპყრობელი აზიის კონტინენტზე მკვიდრად ბატონობის ტახტს ვერასგზით ვერ დაიდგამდა. მაშ, — თუკი ალექსანდრეს აზიელ ხალხებზე რეალური ბატონობის მოპოვება სურდა, მისი „უცხოური უღელი“ აზიელებისათვის, და მათ შორის სპარსელებისათვის, გაცილებით უფრო მსუბუქი და მოსათმენი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამდენი ხნის „შეჩვეული“ და „მორგებული“, „მშობლიური უღელი“. ასეთი „იდეალური ბატონობის“ მიღწევის გზა კი ისევ ადგილობრივ დაპყრობილ ხალხთა ყოფით და კულტურული მონაპოვრების პატივისცემა, ანგარიშგაწევა და აღიარება იყო, — თანაც ისეთი აღიარება, როცა დაპყრობილი თავს დაპყრობილად აღარ გრძნობს ან ადრინდელ დაპყრობაზე უფრო ნაკლებად გრძნობს. ალექსანდრეს კი აზიაში ფეხის შემოდგმისთანავე დაწყებული ჰქონდა და აქამდე აგრძელებდა ამ „ნაკლებ ბოროტი დაპყრობის“ პოლიტიკას. აქამდე მან ყველა მის მიერ დაპყრობილი ხალხის ტრადიციული წესი, ადათი, კანონი, რელიგია და კულტურა აღიარა და პატივი სცა, ბერძნულთან და მაკედონურთან ყოველი აღმოსავლური და აზიური თანაბარუფლებიანად და თანაბარშემწყნარებლურად გამოაცხადა. როგორც ვნახეთ, ასე მოიქცა ალექსანდრე ტიროსში, იერუსალიმში, მემფისში და ასე იქცეოდა ახლა ბაბილონში. აქ მან ისევ შეამკო და გაამდიდრა ქსერქსესგან გაძარცვული და შერყვნილი ტაძრები, აღადგინა გოდოლი ბელ-მარდუკისა (პირველსახე ბიბლიური „ბაბილონის გოდოლისა“) და ადგილობრივ ქურუმობას მოუწოდა, ამიერიდან წირვა-ლოცვა ბაბილონელი პანთეონის სადიდებლად ყოველთვის ისეთივე წესებითა და დიდებამოსილებით ეწარმოებინათ, როგორც ნაბუქოდონოსორის „ოქროს ხანაში“. ამით ალექსანდრეს სურდა ბაბილონიც მის „მსოფლიო მონარქიაში“ ისეთივე „ორგანულ ნაწილად“ შესულიყო, როგორც აქამდე

„ორგანულად თავმოყრილი“ მაკედონია, საბერძნეთი, მცირე აზია, სირია, ფინიკია, პალესტინა და ეგვიპტე.

ყოველივე ეს იყო გზა ალექსანდრეს განაზრახის განხორციელებისა — ბერძნულ და აღმოსავლურ კულტურათა შერწყმისა, ევროპელ და აზიელ ხალხთა „გათანასწორებისა“ და „გაერთიანებისა“, რაიც თავის მხრივ საფუძველი უნდა გამხდარიყო მისი „მსოფლიო მონარქიის“ მარადიული სიმყარისა და მასზე საკუთარი ერთმფლობელობის შეურყეველი და განურღვეველი სიმტკიცისა.

მაგრამ აქვე დგებოდა საკითხი ამ „ახალი სახელმწიფოს“ ახალი ადმინისტრაციული მმართველობისა. მართლაცდა, თუ ყოველი ახლად დაპყრობილი (ბოდიში — ახლად შემოერთებული) ქვეყნის სათავეში, ახალ სატრაპებად და მმართველებად ალექსანდრე მხოლოდ მაკედონელს ან ბერძენს დანიშნავდა, მაშინვე მოსულ და დამხვდურ (ანუ — დამპყრობელ და დაპყრობილ) ხალხთა გათანასწორებისა და გაერთიანების გამოცხადება მხოლოდ ლიტონ, ფარისევლურ ლაყბობად რჩებოდა. ალექსანდრე კი აქაც პრინციპული და ბოლომდე თანმიმდევრული ჩანდა. იგი ადგილობრივ სპარსულ დიდკაცობას ითავისებდა, სპარსეთის სატრაპიათა სატრაპებად ისევ სპარსელებს იყენებდა — ან ძველს ტოვებდა, ან ახალს აწინაურებდა. დარიოსის უკეთესი სპარსული ამალა ახლა ალექსანდრეს ჰყავდა. სპარსელ არისტოკრატებს ასეთი დაფასება, წყალობა, მოალერსება და, რაც მთავარია, თავისუფალი აზროვნების უფლება „მშობლიური მეფისგან“ არა ჰლირსებიათ, როგორც ახლა ამ „ღვთისნიერი უცხოელისგან“ მოიპოვეს.

ასე, აღმოსავლეთის ლაშქრობათა დასაწყის წლებშივე ალექსანდრემ თავის სამსახურში და უახლოეს კარისკაცებში აიყვანა ადრე დარიოსთან ნამსახური სპარსელი პოლიტიკოსები: მითრინი — სარდედან, მასაკე — ტიროსიდან და ამინაპე — ეგვიპტიდან. გავგამელას ბრძოლის შემდეგ ალექსანდრემ მითრინი სომხეთის სატრაპად გაგზავნა. ახლა კიდევ მაზეოსი, — რომელიც გავგამელას ველზე მაკედონელებს სპარსთაგან ყველაზე თავგანწირულობით და დაუნდობლობით ებრძოდა, ალექსანდრემ ბაბილონიის სატრაპად დანიშნა.

ასეთი მაგალითების შემხედვარე სპარსული არისტოკრატია უმადურ და უძლურ დარიოსს ტოვებდა და ადამიანის პირად ღირსებათა დამფასებლის, „კეთილი ალექსანდრეს“ ბანაკს უერთდებოდა.

მაგრამ, რასაკვირველია, ალექსანდრეს არ ავიწყდებოდა, რომ

„შერწყმა“, „შეერთება“ და „შეერთნაირება“ ადმინისტრაციული მმართველობის სისტემაში იმას არ ნიშნავდა, რომ სპარსულ სატრაპიაში ყველაფერი ძველებურად ისევ სპარსელი სატრაპის ხელში დარჩენილიყო. ალექსანდრეს ახალი ადმინისტრაციული სისტემა სრულად მეღავნდებოდა ისევ ბაბილონიის მაგალითზე. აქ სატრაპი სპარსელი იყო — მაზეიოსი, მავრამ გარნიზონი — მაკედონურ-ბერძნული და გარნიზონის უფროსიც მაკედონელი — აგათონი (პარმენიონის ძმა), სატრაპის საერთო სტრატეგიულ საქმეთა გამგებელი — ბერძენი — აპოლოდოროს ამფიპოლისელი, და ბოლოს, ხარკის ამკრეფი ისევ მაკედონელი — ასკლეპიოდოროსი.

ასე, ამნაირი „ინტერნაციონალური თაიგული“ ჩნდებოდა ალექსანდრეს გვირგვინის ქვეშ მოქცეული ყოველი ახალი ქვეყნის სათაცეში...

ხუთკვირიანი დასვენების, „თავდავიწყებისა“ და კვლავ „გონზე მოსვლის“ შემდეგ, ალექსანდრე ბაბილონიდან გამოვიდა და სუზისაკენ წარემართა.

სუზაში, სპარსთა ამ უძველეს სატახტოში, ალექსანდრეს დიდი სამეფო საგანძურები ეგულებოდა და მათ დასაუფლებლად ჯერ კიდევ არბელადან მსუბუქი ცხენოსნებით გაგზავნა მაკედონელი ფილოქსენოსი, სამეფო ხაზინის გამგებელი. გზაზედ ალექსანდრეს ამბავი შემოაგება კიდეც ფილოქსენოსმა — სუზაც ჩვენს ხელშია და საგანძურებიცო, სატრაპმა აბულითმა ქალაქი თვითონ ჩამაბარაო. ფილოქსენოსის შიკრიკს თან ახლდა თვითონ აბულითის ძე, რომელმაც მამის სახელით მორჩილება გამოუცხადა ევროპიდან მოსულ მბრძანებელს.

თავი X

ალექსანდრე ირანში

ბაბილონიდან წამოსვლის მეოცე დღეს ალექსანდრე უკვე სუზაში იყო. აბულეთი შემოეგება, ეთაყვანა და უამრავი საჩუქრები შემოაგება, მათ შორის სწრაფმავალი აქლემები და ინდოეთიდან ჩამოყვანილი თორმეტი საბრძოლო სპილო. აქემენიდების მიერ ორასი წლის მანძილზე ნაგროვები უთვალავი სიმდიდრეების მფლობელი შეიქნა მაკედონიის მეფე. მარტო ფულად 50000 ოქროსა და ვერცხლის ტალანტი აიღო მეფემ; ამას გარდა, მის საკუთრებად იქცა დიდი მარაგი ძოწისა, ნელსაცხებლებისა, სანელებლებისა, კეთილშობილი ქვებისა, თვალ-მარგალიტისა, დიდი ხელოვნებით ნაქედი და ძვირფასად მოოქვილი ნივთებისა; აქვე აღმოჩნდა ქსერქსეს მიერ საბერძნეთიდან გატაცებული სიმდიდრენი, მათ შორის ათენის სახალხო გმირთა — ჰარმოდიოსისა და არისტოგეიტონის ცნობილი ბრინჯაოს ქანდაკებანი, რომლებიც ალექსანდრემ მაშინვე ათენში დააბრუნა.

აქვე, სუზაში ერთი კურიოზიც შეემთხვა ალექსანდრეს. იგი სპარსელი მეფეების სასახლეში შეეიდა და ძვირფასად მოოქვილ და ბრწყინვალედ მანათობელ ტახტს მიაშურა. უნდა დამჯდარიყო, მაგრამ ტანმორჩილმა მაკედონელმა ახოვანი აქემენიდების ტახტის სიმაღლე ვერ გამოთვალა და, დაჯდა კი არა, უფრო შესკუპდა და ფეხები ძირამდე ვეღარ დააწვდინა; უცებ ვიღაცამ, უხერხულობის გასაქარწყლებლად, ფეხებქვეშ რაღაცა შეუდგა. ალექსანდრეს ძირს არ დაუხედავს — თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. უცებ ქვითინი გაისმა. ეს დარიოსის მსახური საჭურისი ტიროდა. ალექსანდრემ ახლა დაინახა, რომ ფეხებში მისთვის პატარა სუფრა შეედგათ, ბაჯაღლო ოქროსი. და უთხრა იმ საჭურისმა ალექსანდრეს ტირილით: მაგ სუფრაზე, ახლა შენ რომ ფეხები გიდგას, ჩემი მეფე სადილობდაო ხოლმე. ალექსანდრეს შერცხვა, ფეხები აიღო და სუფრის გატანა ბრძანა. იქვე მდგარმა ფილოტამ კი ეს ამბავი სასიკეთო ღვთაებრივ მინიშნებად მიიჩნია და არ ანებებდა სუფრის გატანას — ნუ იზამ, მეფეო,

რადგან შენ რომ შენი მტრის სასადილო სუფრაზე ფეხები გიდგას, დიდ სასიკეთო რასმეს მოასწავებსო. მაგრამ მეფემ არ ინება დამარცხებული მტრის ეგზომი შეურაცხყოფა და სუფრა გაატანინა.

აქვე, სუზაში, ალექსანდრემ მიიღო მაკედონიიდან ანტიპატროსის მიერ გამოგზავნილი ახალი ჯარები — 6000 ქვეითი და 500 ცხენოსანი მაკედონელი, 3500 ქვეითი და 600 ცხენოსანი თრაკიელი, 4000 ქვეითი და 1000 ცხენოსანი პელოპონესელი ბერძენი, სულ — 13 500 ქვეითი და 2100 ცხენოსანი [1]. ყველა ეს ჯარი ალექსანდრემ მთავარ საომარ ძალებზე გადაანაწილა, რაიც სამომავლოდ მაკედონელთა ტაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო.

სუზასთან განთქმული მედროვე-საშურისის, ბაგოასის მდიდრული სასახლე იდგა, დიდძალი ძვირფასეულობით ავსებული. პარმენიონს აჩუქა ალექსანდრემ ეს სასახლე [2].

დიდხანს აღარ დარჩენილა სუზაში ალექსანდრე. მას სპარსეთის სამეფო ქალაქებში შესვლა ეჩქარებოდა, ვინათგან დიდი აქემენიდების — კიროსის, კამბიზის, დარიოს I-ისა და ქსერქსეს სასახლეთა დაუფლება, ნივთიერადაც და მორალურადაც, სპარსეთის სრულ დაუფლებასა და აქემენიდების საბოლოოდ დამხობას ნიშნავდა. ამიტომ დაარჩარა ალექსანდრემ სუზის სატრაპიის საქმეთა მოგვარება. სატრაპად ისევ სპარსი აბულითი დატოვა, ქალაქის აკროპოლისიც სპარსელ მაზარს ჩააბარა, სუზაში 30000-იანი ბერძნულ-მაკედონური გარნიზონი ჩააყენა, არქელაოსის სარდლობით. მეფემ აქვე დააბინავა დარიოსის ოჯახის წევრები — დედა სიზიგამბისი, ქალიშვილები და ვაჟიშვილი-ბატონიშვილი, — დააბინავა მეფური პატივისა და ყურადღების ქვეშ, მათთანვე, ბერძნული ენის სასწავლებლად დატოვა ბერძენი მასწავლებლები.

331 წლის შუა დეკემბერში, სუზაში ოთხი დღის ყოფნის შემდეგ, ალექსანდრე წარემართა საკუთრივ სპარსეთისაკენ. მაკედონელებმა გაიარეს სუზიანის დაბლობები და, გზაზე, მთიელი მწყემსი ტომის უქსიების წინააღმდეგობის დაძლევის შემდგომ, მიადგნენ საკუთრივ სპარსეთში შემავალ გზაბოძალს.

აქ არმია ორად გაჰყო ალექსანდრემ. ერთი ნაწილი პარმენიონს ჩააბარა და მთავარ სამხედრო გზაზე გაუშვა, მეორე ნაწილს თვითონ უსარდლა და, უფრო მოკლე, მაგრამ სახიფათო ვიწრობებით „სპარსეთის კარებისაკენ“ წარემართა. მან შეუსვენებელი მგლურით ხუთ დღეში მიაღწია ე. წ. „სუზის კლდეთა“ შორის ვიწრო გასასვ-

ლელს[3], რომელიც 40 000 ქვეითი და 700 ცხენოსანი მეომრით უკვე მტკიცედ ჩაეკეტა დარიოსის ერთგულ სატრაპს, არიობარზანს.

ალექსანდრემ, დაბანაკებისა და ერთი ღამის გათევის შემდეგ, დილით ადრე, იერიშში მიიტანა კლდოვან გასასვლელზე. სპარსელებმა სამი მხრიდან ხშირ მერეხად დააყარეს ისარი, შუბი, საუხედი, ქვა, კლდეზე ნასხლეტი ლოდები და ზვავები. რამდენიმე მეომრის უსაზმნო დაღუპვისა და დაშავების შემდეგ, ალექსანდრე უკუიქცა ბანაკისაკენ.

მდგომარეობა გართულდა. ეს ერთადერთი გზა იყო სპარსეთის მთავარი ქალაქის, პერსეპოლისისაკენ მიმავალი და მისი დაძლევის ეაჟიანურება საეჭვოს ხდიდა მაკედონელი მეფის ამდენ წარმატებათა შემდგომ სიმყარესა და მდგრადობას. სანამ იგი „სუზის კლდეებს“ ასკდებოდა, მანამ შესაძლებელი იყო სპარსთა ამ მოულოდნელ წარმატებას დარიოსი ბონს მოეყვანა და საომარ ველზე შემოებრუნებინა.

მაშინ სპარსელმა ტყვეებმა აუხსნეს ალექსანდრეს, — მახლობელ მთებზე არსებობს ბილიკები და გზაწვრილები, თუმცა თოვლიანყინვიანი და საკალად სახიფათონი, მაგრამ მათი დაძლევით მაინც ხერხდება ამ კლდოვან გასასვლელთა და სპარსთა ბანაკის შემოვლა.

ალექსანდრემ უყოყმანოდ გადაწყვიტა, ამ ახალ, ხიფათით სავსე გზასაც შებმოდა. მან ჯარის ერთი ნაწილი კრატეროსის სარდლობით, ბანაკში დატოვა და უბრძანა ღამე იმდენივე ცეცხლი დაენთო, რამდენიც მანამდე ინთებოდა; ამით მტერს უნდა ერწმუნებია, რომ მაკედონელთა ჯარები განუყოფლად ადგილზე იდგნენ. ხოლო, შემდგომ, როცა კრატეროსი მტრის ზურგში მაკედონელთა საყვირების ხმას გაიგონებდა, თვითონაც მაშინვე შეტევაზე უნდა გადასულიყო. ეს ბრძანა ალექსანდრემ და თანამოლაშქრეებად აიყვანა პერდიკა, ამინტა და კენოსი თავიანთი ტაქსისებით, ამათთან კიდევ — აგრიანები, ფაროსნები და მაკედონური მხედრობა ფილოტას სარდლობით. ყველა ამათი თანხლებით, ალექსანდრე შუაღამისას იდუმალ ბანაკიდან გავიდა და მთებში მიმოკარგულ ბილიკებს შეუდგა. გზა მართლაც უმძიმესი იყო, კლდოვანი, თოვლიანი და სხლტომადი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მეგზურები ჯარებს უშეცდომოდ მიატარებდნენ. დილით მტერს თავზე მოექცნენ. აქედან მარჯვნივ მთაგრეხილი მიიმართებოდა. ქვემოთ კი მდინარე არაქსი (ბენდ-ემირი) და მისი ხეობა გაშლილიყო, მასზე პერსეპოლისისკენ მიმავალი გზით.

იმ დღის შესვენების შემდგომ, ალექსანდრემ ჯარი ორად გაპყო.

ამინტა, ფილოტა და კენოსი მათი რაზმებით ხეობაში ჩაგზავნა, მდ-ნარეზე ხიდის გასადებად და პერსეპოლისის გზისკენ სპარსთა უკან-დახევის შემთხვევაში, მათზე თავდასასხმელად. თვითონ, პერდიკასა და ჯარის თანხლებით, დაეშვა მთაზე, რათა მტრის ბანაკს დასცემოდა. დაშვება — სიბნელის, ხშირი ტყეების, თოვლით დაფარული ხევხუვე-ბისა და ქარბუქის პირობებში — გაცილებით უფრო მძიმე და ძნელი შეიქნა. მაგრამ მიზანი მაინც მიღწეულ იქნა. რიყრაუზე მტრის პირ-ველ ფორპოსტს მიატანეს და ყველანი უხმაუროდ ამოწყვიტეს, მეორე ხაზიც სრულად დაიხელთავეს. მესამეზე — ზოგი დახოცეს, ზოგნიც გაექცნენ და მთებს შეეხიზნენ. სპარსთა მთავარი ბანაკი კი არხეინად განისვენებდა, მათ ეშვი არ ეპარებოდათ, რომ მაკედონელები უკლებ-ლად თავის ბანაკში იყვნენ ჩაკეტილნი და ზამთრის ასეთ ყინვიან-ქარ-ბუქიან უმურ ამინდში მთებში ლაშქრობა ხომ სრულიად წარმოუდ-გენელი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ უეცრად, მოწმენიდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, დაგ-რიალეს მაკედონელთა საყვირებმა და სპარსთა ბანაკი ორივე მხრი-დან გააფთრებული იერიშების მარწუხებში მოექცა. წინიდან კრატე-როსი მოდიოდა, ზურგიდან თვითონ ალექსანდრე. სპარსელები ხან ერთ მხარეს მიაწყდნენ და შეაწყდებოდნენ, ხან მეორეს. რაკი სხვა გზით ხსნა აღარ იყო, სპარსელები ბანაკის კედლებიდან გადაც-ვივდნენ და გვერდითი გზით შეეცადნენ სიკვდილის წრიდან თავის დაღწევას. მაგრამ ალექსანდრეს წინაჭარ ეს „მესამე გზაც“ გაუთ-ვალისწინებია და იქ პტოლემაიოსი ჩაუსაფრებია 3000 მეომრით. და გამოუხტა პტოლემაიოს ლაგიდი მისკენ გაქცეულ მტერს და ამო-წყვიტა სულ ერთიანად, მაშინ ყოველის მხრიდან გზამოჭრილი სპარ-სელები თვით მაკედონელთა ბანაკში შერბოდნენ, პირუტყვული ში-შით ატანილნი და გონწართმეულნი. აქ კი, ბუნებრივია, ან სიკვდილი ან ტყვეობა ელოდათ. ბევრი გაქცეული სპარსელი უფსკრულში სხლტებოდა და სულხორციანად იკარგებოდა. თვითონ არიობარზანმა, 40 მხედრისა და 5000 ქვეითის თანხლებით, ძლივს გაარღვია მტრის გა-რემოცვა და მთებს მისცა თავი [4].

პერსეპოლისისკენ გზა გახსნილი იყო და ალექსანდრემაც, მცირე შესვენების შემდგომ, დაძრა ჯარები სპარსთა უდიდესი და უბრწყინ-ვალესი ქალაქისკენ. გზაზე მეფემ პერსეპოლისის სამეფო საგანძურ-თა ხაზინადარის, ტირიდატის წერილი მიიღო — დროზე შობრძანდით და საგანძურები ჩაიბარეთ, თორემ მათ გაძარცვა და დატაცება ელო-

დებათო, — სწერდა ტირიდატი ალექსანდრეს. სისწრაფის ფასი ალექსანდრესავით ვინ იცოდა და მაშინვე, — ქვეით ჯარებს ჩვეულებრივი სალაშქრო სვლა უბრძანა, თვითონ კავალერია აიყოლია და გაფრინდა. ამინტას, ფილოტას და კენოსს, მეფის დავალებისამებრ, ხიდის გადება დაემთავრებინათ. ალექსანდრემ ისინიც გაიყოლია, ხიდი გადაიქროლა და მალე პერსეპოლისს მიიჭრა.

პირველი, რაიც მაკედონელებმა ქალაქის მისადგომზე იხილეს, იყო საშინელება — ათასამდე ხეიბარი ბერძენი, ადრე სპარსთაგან დანატყვევარნი, ნაწამებნი და ნაადრევად დაბერებულნი; ზოგისთვის ხელი მოეკვეთათ, ზოგისთვის ფეხი, ვისთვის თვალი ამოეგდოთ, ვისთვის ყურები დაეთალათ, ვისთვის ენა მოეჭრათ და ვისთვის კიდევ ცხვირი. მოცვივდნენ და ბღავილით, ტირილით ჩაუცვივდნენ ფეხებში „ბერძენთა მეფეს“ და „თვითონ ბერძენს“, მარტო ბერძენთა კი არა, მთელი კაცობრიობის „მხსნელს“ — ალექსანდრე მაკედონელს. სურათი იყო ფრიად დრამატული და ხელსაყრელი ალექსანდრეს სანტიმენტალობისა და „გულკეთილობის“ სადემონსტრაციოდ [5].

პერსეპოლისმა კი განაცვნა კარნი.

უომრად, უსმაუროდ და უყოყმანოდ ჩაბარდა მაკედონელს სპარსთა საამაყო და სათაყვანო ქალაქი, მისი უმდიდრესი საგანძურებით და საგერეკლეებით, უბრწყინვალესი სრა-სასახლეებით, ტაძრებით, მძლავრი ციხესიმაგრეებით და გალავნებით.

ასევე სწრაფად, უსისხლოდ და უჯაფურად ჩაიბარა ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის მეორე, უძველესი და უმდიდრესი ქალაქი პასარგადი. აქ ინახებოდა სპარსეთის სახელმწიფოს დამაარსებლის — კიროს უფროსის საგანძურები.

ყველაფერი დაისაკუთრა ალექსანდრემ. — მრავალათასეული ოქროსა და ვერცხლის ტალანტი, უთვალავი ძვირფასი ქსოვილი, უთვალავი კეთილშობილი ქვა და თვალმარგალიტი. წყაროები გვარწმუნებენ, რომ ყველა ამ სიმდიდრის გამოსატანად საჭირო გახდა ათი ათასი წყვილი ჯორი და ხუთი ათასი აქლემი [6].

მარტო სპარსეთის მეფეთაგან ორასი წლის მანძილზე ნაძარცვნაგროვებ ქონებათა დაუფლება როდი იყო მთავარი ალექსანდრესთვის. უდიდესი მორალური მნიშვნელობა ენიჭებოდა თვითონ სპარსეთის, — ვითარცა აქემენიდური მსოფლიო სახელმწიფოს ძირითადი დვრიტის დაპყრობას. სწორედ აქ, პასარგადის ველზე დაამხო სპარსმა კიროსმა მიდიელთა ბატონობა, ჯერ საფუძველი ჩაუყარა ახალი სპარსული

სახელმწიფოსა და მისი „მარადიულად მმართველი“ დინასტიის — აქემენიანების სატახტო რეზიდენციას, აქვე აღმართა დიდებული სრა-სასახლენი და ბოლოს, მისივე ანდერძით — აქვე დაიდგა მცირე, მოკრძალებული აკლდამა — მისი ნეშტის მარადიული სამკვიდრებელი. მერე, დარიოს I-მა, ჰისტასპის ძემ, ბერძენთა და მაკედონელთა დიდმა მოსისხლემ, აქ, პერსეპოლისის ველზე აღმართა ახალი სატახტო, ახალი სრა-სასახლენი, ახალი ტაძრები და ბოლოს — აქვე დაიდგა მისი აკლდამა. მას უკან, ყველა სპარსელი გვირგვინოსანი თავის სასახლეს, თავის სალოცავს, თავის წალკოტს და თავის აკლდამას აშენებდა პერსეპოლისში. ყოველი კაციშვილისთვის სანახავად საოცნებო და ნახვით გასაოცარი იყო პერსეპოლისის „ორმოცსვეტოვანი სასახლე“, სამ კლდოვან ტერასაზე საარაკო დიდებამოსილებით წამომართული.

ახლა ყოველივე ალექსანდრე მაკედონელის ფერხთა წინაშე გართხმულიყო და დარეცილიყო. ახლა ბერძენთა და მაკედონელთა მეფე თვითონ იჯდა იმ ქსერქსეს ოქროს ტახტზე, რომელსაც ზუსტად 150 წლის წინათ (ძვ. წ. 480) შუაგულ საბერძნეთში, ატიკის მიწაზე, უმდიდრესი კარავი ედგა და მისივე ბრძანებით ცამდე ცეცხლის ალში გახვეულ ათენს უცქერდა.

სწორედ საზეიმო წუთები იდგა ქვეყანაზე: საბერძნეთ-მეკედონიის ყველაზე მოსისხლე მტრების, დარიოსისა და ქსერქსეს ტახტზე ახლა თვითონ ბერძენ-მაკედონელთა მეფე დაბრძანებულიყო!

მიეახლა ალექსანდრეს მამამისის მეგობარი და თანამებრძოლი, მოხუცი დემარატოს კორინთელი და შეჰღაღადა ხმამაღლა ტირილით: ცაი თქვენ, საცოდავო ბერძნებო, ვინც ისე დაიხოცეთ, ამ სასწაულს ვერ მოესწარით და ალექსანდრე დარიოსის ტახტზე დამჯდარი ვეღარ იხილეთო!..

ალექსანდრემ აზიურ ქალაქთაგან პერსეპოლისი ბერძენ-მაკედონელთათვის ყველაზე მტრულ ქალაქად გამოაცხადა და საძარცვავად მიუგდო თავის ჯარისკაცებს[7]. მიგდება და წაქეზებაც აღარ სჭირდებოდათ, ისე იყვნენ ალექსანდრეს ჯარისკაცები ძარცვა-გლეჯაზე გაწაფულნი და გახარბებულნი. და მოედვნენ მაკედონელები თავაწყვეტილი ძარცვა-რბევით პერსეპოლისის მცხოვრებთა სახლ-კარს. საძარცვავი და სატაცებელი კი აუარებელი იყო — ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ნივთი, ჭურჭლეული, და ფართლეული. სასიკვდილოდ არ ზოგავდნენ არავის, ვინც ოდნავ ხელს შეუშლიდა მტაცებლობაში. ერთ-

მანეთსაც არ ზოგავდნენ, ხელით ხელიდან ერთმანეთს გლეჯდნენ, ერთურთის ხელსაც მოსაჩეხავად აღარ ზოგავდნენ. ქალებს და ბავშვებს მონად იტაცებდნენ და ჩვეულებრივი მონათმფლობელური მორალით საქონლად ისაკუთრებდნენ. მსოფლიოში უმდიდრესი ქალაქი ერთბაშად მსოფლიოში ყველაზე უბედურ ქალაქად იქცა [8].

დარიოსის სასახლის ახლოს ქსერქსეს უზარმაზარი ქანდაკება იდგა. ბერძენმა მეომრებმა კვარცხლბეკიდან გადმოაგდეს და მიწას დაანარცხეს იგი. როცა ალექსანდრემ საბერძნეთის დამაქცევარის ძეგლი ასეთ დღეში იხილა, მივიდა და უთხრა როგორც სულიერს: „მითხარი, რა გიყოთ ახლა შენ? საბერძნეთის აოხრების სანაცვლოდ ასე დანარცხებული დაგტოვოთ, თუ შენი ყოფილი სიდიადისა და სიმამაცისთვის ისევ ფეხზე წამოგაყენოთ?“ [9] უთხრა და კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, მაინც ბერძნებისა ამჯობინა და ისე მიწაზე დანარცხებული დატოვა მსოფლიო მბრძანებლობის „თავისი წინამორბედი“ ალექსანდრე მაკედონელმა.

ალაფობა და ძარცვა-გლეჯა კი გრძელდებოდა. ალექსანდრემ შეხედა, რომ ერთი მისი ჯარისკაცი ოქრო-ვერცხლით დატვირთულ ვირს მიერეკებოდა. ვირი საპალნეს ვეღარ მოერია და წაიქცა. ჯარისკაცმა თვითონ წამოიკიდა ტვირთი ჭაპანწყვეტით, უცებ თავზე რომ მეფე წაადგა, ჯარისკაცი დაფრთხა და ნაძარცვის დაგდება დააპირა, მაგრამ ალექსანდრემ მაშინვე გაამხნევა: ცოტა კიდევ გაისარჯე, ძალა მოიკრიბე და ეგ საპალნე შენს კარავში მიიტანეო [10], — ერთი სიტყვით, ღმერთმა შეგარგოსო... დიახ, — ამაზე უფრო „საყვარელი მეფე“ რომელ ჯარისკაცს უნდა ენატრა?!

მთელი ზამთარი ასე გაატარეს პერსეპოლისში მაკედონელებმა — მძარცველობაში, ნებადართულ ყაჩაღობაში, ლოთობაში, მრუშობაში, აღარც ალექსანდრეს შეუკავებია თავი წრეგადასული ნადიმებისა და ორგიებისაგან. ბოლოს, ყველაფერი დასრულდა სიმბოლურ-ტრაგიკული ფეერვერკით.

უკვე სრულად მოეცვა სანადიმო სუფრა დიონისური ზარხოშისა და ტრფიალების სულს. მეძავ ქალთა კაპრიზი მბრძანებლობდა მსოფლიოს მბრძანებლებზე. პირველობდა ათენელი ქალი, თაისი, ადრე პტოლემაიოსის სიძვის დიაცი, ახლა თვითონ ალექსანდრეს გულის მურაზი. და ადგა მთვრალი თაისი, ადგა და თქვა სიტყვა სამუდამოდ სახსოვარი და „სანიშანსვეტო“: „იმ წვალებისთვის რაც მე აზიაში ხეტიალის ჟამს გადავიტანე, სწორედ დღეს მივიღე ჯილდოდ ის,

რომ მე შემიძლია დავცინო სპარსთა ქედმაღალ სეფედარბაზებს; მაგრამ ამ ლხინის დროს კიდევ უფრო მეტი სიამოვნებით დავწვავდი მე ქსერქსეს სასახლეს; ქსერქსემ ხომ ათენი გადაწვა! ხოლო, მე ახლა შევუნთებდი ცეცხლს ამ სასახლეს ჩემი მეფის თვალწინ, რათა ყველამ თქვას მერე, რომ ალექსანდრეს ლაშქარში მყოფმა დიაცებმა უფრო მეტად იძიეს შური სპარსელებზე ელადისათვის, ვიდრე იმ სტრატეგოსებმა, რომლებიც ბერძენთ მხედრობას წინამძღოლობდნენ ზღვასა და ხმელზე გამართული ბრძოლების ჟამს“ [11].

არავინ იცის, ალექსანდრეს წაქეზებით თუ თავისი ნებით გაბედა როსკიპმა ქალმა ასეთი მასშტაბის „მანიფესტის“ წამოძახება, მწარე სიტყვა მწარე საქმედ კი იქცა: ფლეიტების, კითარების, საყვირების ვრიალით, სიმღერითა და ღრიანცელით, ანთებული ჩირაღდნებით გარს შემოერტყნენ მონადიმენი სასახლეს და პირველმა ალექსანდრემ სტყორცნა მაშხალა, მერე მისმა სიძვის დიაცმა თაისმა, მათ შემდგომ კი ყველამ ერთად [12] და მოედო ხანძარი ბრწყინვალე სასახლეს. იწვოდა აქემენიდთა საცხოვრისი და იძახდა ალექსანდრე: მე ამით სამაგიეროს ვუხდი სპარსელებს, ქსერქსეს მეთაურობით ათენი რომ გადასწვესო. ამით, თითქოს, ერთხელ კიდევ „აამებდა“ ათენელებს ალექსანდრე — ისევ თქვენს სასიკეთოდ ვაკეთებ ყველაფერსო. მაგრამ არც ერთ ათენელს და არც ერთ სხვა ბერძენს, — ვისაც ჯერ კიდევ უმაღლესი ხელოვნებისადმი პატივისცემის უნარი ამ უთვალავი ავკაცობის გზაზე სავსებით არ დაჰკარგოდა — არ მოსწონებია ამ დიდებული ხელოვნების ძეგლის ასე განუკითხავად განადგურება. განსაკუთრებით პარმენიონმა დაიწუნა მეფის ასეთი „ბარბაროსობა“. — რატომ წვავ ამ დიდებულ სასახლეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ივი ახლა ხომ შენი საკუთრებაა. ალექსანდრემ ცეცხლის ჩაქრობა ბრძანა, მაგრამ სასახლის უდიდესი ნაწილი უკვე დამწვარი იყო.

პერსეპოლისის სასახლის დაწვას იმთავითვე სხვადასხვა ნიშანსვეტებით განიხილავდნენ. ზოგი, სრული გულბრყვილობით, ამოდენა მოვლენას მართლა ქალის უგუნური კაპრიზის ნაყოფად მიიჩნევდა: ზოგიც მასში მხოლოდ ბერძენთა შურისგების განსახებას ჰხედავდა, ბერძენთა მაოხარ სპარსულ ლაშქრობათა გამო. სხვები ძველი სპარსული ჰონარქიის მზის ჩასვენებისა და ახალი, ბერძნულ-მაკედონური მსოფლიო მბრძანებლობის მზის ამობრწყინებას გულისხმობდნენ. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას — ჭეშმარიტების სიმაღლიდან დაწყებული, უკიდურეს და უმდაბლეს ჭორამდე დასრულებული...

ერთი რამ კი უეჭველად ცხადზე ცხადი იყო: ალექსანდრე მაკედონელი ბალკანეთიდან ცენტრალურ აზიამდე უკვე ფლობდა უზარმაზარ ახალ „მსოფლიო მონარქიას“, რომლის დაბადება და ჩამოყალიბება სიმბოლურად მართლაც პერსეპოლისის ძველი სასახლის ხანძარში განსახიერდა. მაგრამ იმავდროულად ეს იყო აგრეთვე ზენიშანი ახლადშექმნილი მონარქიის „აბსოლუტური გაფართოებისა“, ახალი უთავბოლო ლაშქრობებისა, სისხლთათხევის სერიებისა, ომებისა... ომებისა „ქვეყნის დასასრულამდე“, „მზის აღმოსავალთან მისვლამდე“.

ალექსანდრეს კი უსაშველოდ სწყუროდა და ესწრაფებოდა „მზესთან მისვლა“. იგი შეშფოთებული იყო დემოკრიტეს ერთი ნათქვამით — სამყაროში უთვალავი უცნობი „მსოფლიოები“ არსებობენო; — მე კი ჯერ ერთი ცნობილი მსოფლიოც ვერ დამიპყრია ბოლომდეო, — შფოთავდა და „ბოლომდე დასაპყრობად“ მიილტვოდა მაკედონელი... [13].

პერსეპოლისიდან გასვლამდე კიდევ მრავალი საბოძვარი გასცა ალექსანდრემ. საერთოდ გულუხვი იყო იგი საჩუქრების დარიგებაში. ოლიმპიადა ხშირად წერილით საყვედურობდა კიდეც შვილს: ყველა ქვეშევრდომს რომ ასე ასაჩუქრებ და მეფის ტოლობით იტოლებ, შენ რაღა მეფობით უნდა გამოირჩეო. ალექსანდრე ამ წერილებს ინახავდა და მაინც თავისას არ იშლიდა. ერთხელ ჰეფესტიონმა მოისურვა ოლიმპიადას ერთი წერილის წაკითხვა. ალექსანდრემ ნება დართო, ოღონდ თითიდან ბეჭედი წაიძრო და ტუჩებზე მიადო—ეხლოლოდ შენთვის ჩუმად წაიკითხეო.

პატივმოყვარე და ქედმაღალი ოლიმპიადა სახელმწიფო საქმეებში ჩარევას ცდილობდა თავგამოდებით. იგი ანტიპატროსს მტრობდა და შვილთან წერილობით ასმენდა. არც ანტიპატროსი აკლებდა ხელს და ისიც ატყობინებდა მეფეს — დედათქვენი ხელს მიშლის მაკედონიაში შენი დავალებების სრულქმნილად შესრულებაშიო. — ანტიპატროსმა არ იცის, რომ დედის ერთი ცრემლიც კი ათი ათას სხვის წერილს გადაშლისო, — უთქვამს ალექსანდრეს და ამით გაუთავებია დედასა და თანამებრძოლს შორის ატეხილ დავაზე ფიქრი... [14]

მაგრამ ალექსანდრე უკვე თვითონაც კარგად გრძნობდა, როგორ რყვნიდა და ამდაბლებდა ადამიანის სულს წრეგადასული პატივმოყვარეობა და ანგარებისადმი სიხარბე. არისტოტელეს „პირველ მოწაფეს“ აღიზიანებდა: ჰაგნონ ტეოსელს რომ ფეხსაცმელები ვერცხლის ლურსმნებით ჰქონდა მოჭედილი; ლეონატოსს რომ სავარჯიშო ქვიშა ეგვიპტიდან ქარავნებით მოჰქონდა; ფილოტას რომ გამორჩეულად ძვირ-

ფასი, ოქრომკერდით ნაქარგი სათევზაო ბადე ჰქონდა; წინათ უბრალო ზეთის უქონელნი ახლა რომ ტანს საგანგებო ფარეშებს და მექისეებს ძვირფასი ნელსაცხებლებით აზელინებდნენ და საკუთარი სხეულის მოვლას საკუთარი ხელითაც აღარ კადრულობდნენ. მიცვირსო, — იძახდა მეფე — ამდენი სახელოვანი ბრძოლის გამოვლის შემდგომ, აღარ გაგონდებათ, გამარჯვებულნი რომ უფრო მეტი სიამოვნებით იძინებენ, ვიდრე დამარცხებულნი; თქვენ კი ახლა სპარსთა ცხოვრების წესს საკუთარით ედრებით და ვეღარ ჰხედავთ, რომ არაფერი არ არის ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფური; განა, როგორ მოუვლის თვითონ თავის ცხენს კაცი ან როგორ გაიწმენდს მუბსა და მუზარადს, უკეთუ იგი გადაეჩვია მისთვის ყველაზე ძვირფასი სხეულის საკუთარი ხელით შეხებასო? [15]

ჯავრობდა მეფე თანამებრძოლთა „სპარსულ გააზიზებას“ და საკუთარი სხეულებრივი სპარტანიზმით ცდილობდა მათ „გამობრუნებას“. იგი ადრინდელზე მეტად ეტანებოდა ფიზიკურ შრომას, ჯაფას, გაჭირვებას, სალაშქრო და საომარ დატვირთვას. ნადირობისას ყველაზე საშიშ ნადირსაც არ ერიდებოდა და კრატეროსმა კიდევაც ჩამოასხმევინა და დელფოს ტაძარს შესწირა ბრინჯაოს ქანდაკება — თუ როგორ ამარცხებს ლომს ალექსანდრე ნადირობის ჟამს [16].

ხშირად, მარტო სიტყვით და პირადი მაგალითით კი არა, გააზიზებულთა პირდაპირი დასჯითაც აღარ კმაყოფილდებოდა მეფე. ამიტომ სამაგიეროდ ბევრჯერ საუბო სიტყვაც მოსდიოდა, რაზედაც მწარე სიცილით იტყოდა ხოლმე: რა გაეწყობა — მეფის ხვედრია, კარგის ქმნისთვის ავი მოისმინოსო... [17]

ოთხი თვე დაჰყვეს სპარსეთში მაკედონელებმა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ დასვენების, განსვენებისა და განცხრომის თვეები. იმ ზამთრის თვეებში ალექსანდრემ რამდენიმე მძიმე ლაშქრობაც მოაწყო მთიელ ტომებზე, განსაკუთრებით — მარდებზე, რომლებიც მთებიდან მოულოდნელად ეშვებოდნენ და თავს ესხმოდნენ მაკედონელებსაც და სპარსელებსაც. ალექსანდრემ სასტიკი „სამთო ლაშქრობებით“ გასტეხა და ერთგულების ფიცით შემოიფიცა გულფიცხელი მთიელი ტომები. აქედანვე კარმანიის სატრაპიაში გადავიდა ალექსანდრე, კარმანიაც უსისხლოდ დაიმორჩილა და აქვე მმართველად მანამდელი სპარსი სატრაპი დატოვა, სახელად — ასპატი.

თვითონ სპარსეთის სატრაპად ალექსანდრემ დანიშნა ფრასაორტი, ძე იმ რეომითრისა, რომელიც სხვა სპარსელ სარდლებთან ერთად

დარიოსის დაცვას შეეწირა ისოსის ბრძოლაში. პერსეპოლისში ალექსანდრემ 3000 მაკედონელი მეომარი დატოვა, საგარნიზონო სამსახურად, ნიკარქიდეს სარდლობით.

330 წლის აპრილში ალექსანდრემ ჯარები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ დაძრა — სპარსეთიდან მიდიისაკენ. ალექსანდრეს დარიოსი მიდიის მთავარ ქალაქში, ეკბატანაში ეგულებოდა.

დარიოსი, გავგამელას ველზე განცდილი კატასტროფის შემდეგ, მართლაც ეკბატანაში მივიდა. აქ იგი უკვე აღარ აპირებდა რამე სერიოზული საომარი ძალების შეყრას და ახალი ბრძოლის გამართვას. იგი მხოლოდ იმას უცდიდა, რას მოიმოქმედებდა ალექსანდრე. რათა ამისდა შესაბამისად ეზრუნა მხოლოდ სიცოცხლის გადარჩენის გზებზე. მთავარი მისთვის მაინც „მოხერხებული გაქცევა" იყო. მონიშნულიც ჰქონდა გაქცევის გეზი — ეკბატანიდან აღმოსავლეთისკენ, კასპიის კარებით პართიისა და შუა აზიისკენ. თავისი ჰარამხანა და საგანძურები მას უკვე წინასწარ გაეგზავნა ქალაქი რაგაში *, რომელიც სწორედ კასპიის ულელტეხილთან — „კასპიის კარებთან" მდებარეობდა.

ოთხი თვე იცადა დარიოსმა და ბოლოს მოვიდა ამბავი ალექსანდრეს მოახლოებისა. მას გამოეკლო სპარსეთსა და მიდიას შორის მდებარე პარეტაკენა, აქ სატრაპად დაენიშნა ოქსათრი, ძე სუზიანის სატრაპის აბულითისა, და უკვე მიდიის მიწაზე მოილტვოდა გამგელებული.

ალექსანდრეს ცნობები ჰქონდა, რომ დარიოსს გავგამელას ბრძოლის შემდეგ მაინც ახლდა რამდენიმე ათასი აზიელი და ბერძენი მეომარი. დარიოსს ახლდნენ და ჯერ კიდევ არ ღალატობდნენ სარდალი ნაბარზანი, ბაქტრიელი ბესა, მიდიელი ატროპიტი, არეიოსი სათიბარზანი, პართიელი ფრატაფერნი, ტაპურიელი ავტოფრადატი, არახოზიელი ბარსაენტი, მეფის ძმა ოქსათრი, დარიოსის ერთგული მეგობარი მოხუცი არტაბაზი, მეფე არტაქსერქსე ოხოსის ძე ბისთანი და „სპარსეთის კართა" ბრძოლის გმირი არიობარზანი. ამიტომ ალექსანდრე მტერს ისევ სერიოზულ ძალად თვლიდა და საომარი მზადყოფნით, სწრაფად უახლოვდებოდა ეკბატანას.

ეკბატანადან სამი დღის სავალზე იქნებოდა ალექსანდრე, ბისთან

---

* რაგას ნანგრევები ნაპოვნია თეირანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორი საათის სავალზე.

ოხოსის ძე რომ შემოეგება და მოახსენა, — დარიოსი უკვე ხუთი დღეა, რაც ეკბატანადან გაიქცა, თან წაიღო მიდიის საგანძურები, შვიდ ათას ტალანტად ღირებულნი, თან ახლავს ჯარი — ექვსასი ათასი ქვეითი და სამი ათასი ცხენოსანი მეომარიო [18].

ალექსანდრე მაინც მივიდა ეკბატანას.

მაშ, ეკბატანაც უკვე მაკედონელთა ხელში იყო — ირანის მეოთხე უდიდესი და უძველესი ქალაქი (სუზის, პერსეპოლისისა და პასარგადის შემდეგ). მთელი მაშინდელი მსოფლიო შეარყია ამ ამბავმა. განსაკუთრებით საბერძნეთში ლაპარაკობდნენ ბევრს. ესქინემ საგანგებო სიტყვა უთხრა ათენელებს: „ჩვენ საოცრად არაჩვეულებრივ დროებაში გვიხდება ცხოვრება; ჩვენი დღეების ისტორია მომავალ თაობებს ზღაპრად მოეჩვენებათ; სპარსეთის მეფეს — ათონი რომ გადათხარა, ჰელესპონტზე ხიდი გასდო, ბერძენთაგან მიწასა და წყალს მოითხოვდა და თავის თავს წერილებში აღმოსავლიდან დასავლამდე ყოველ ხალხთა მბრძანებელს ეძახდა — ახლა ბრძოლა უხდება საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად“.

ეკბატანაში ალექსანდრემ რამდენიმე გადაუდებელი საქმე გადაწყვიტა. მთავარი ამათგან თესალიელების საკითხი იყო. თესალიელებს უკვე აღარ სურდათ ლაშქრად ყოფნა და სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვდნენ. ალექსანდრემ ყველას ჯამაგირი დაურიგა და, ამას გარდა კიდევ ყოველი მათგანი დააჯილდოვა ორი ათასი ტალანტით, მერე მათი ცხენები დაიტოვა და ყველანი სამშობლოში გაუშვა. მაგრამ თესალიელთაგან მაინც ბევრი დარჩა ალექსანდრესთან თანამოლაშქრედ.

მიდიის სატრაპად ალექსანდრემ, დარიოსთან ერთად გაქცეული ატროპატის ნაცვლად, დანიშნა სპარსელი ოქსიდატი, რომელსაც დარიოსისაგან სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მეფემ პარმენიონს უბრძანა, სპარსეთიდან წამოღებული საგანძურები ეკბატანაში დაებინავებინა და მათ დასაცავად და საერთოდ საგარნიზონო სამსახურად დაეტოვებინა ჰარპალოსი 6000 ქვეითი და 2000 ცხენოსანი მაკედონელით. თვითონ პარმენიონი კასპიის სამხრეთით, ჰირკანიისაკენ უნდა დაძრულიყო. კლიტოს შავი სუზაში დარჩენილიყო, ავადმყოფობის გამო, და იმასაც ბრძანება გაუგზავნა ალექსანდრემ, — როგორც კი გამომჯობინდები, წამოდი, ეკბატანაში ჰარპალოსს გამოუარე, მისი ჯარიც აიყოლიე და პართიაში შემოგვიერთდიო.

ეს ბრძანებები დაარღვა და მაშინვე დანარჩენი ჯარებით დაიძრა დარიოსის კვალდაკვალ. რაგას რომ მივიდა, შეიტყო, დარიოსს უკვე გაუსწრია „კასპიის კარებში". ალექსანდრემ რაგაში რამდენიმე დღით დაასვენა დაქანცული ჯარები.

დარიოსიც ბანაკად მდგარიყო, ალექსანდრეს ბანაკიდან ხუთი დღის სავალზე. აქ დარიოსმა თავისი სარდლების თათბირი შეჰყარა და ყველასათვის საკვლევით მოულოდნელად გამოაცხადა, რომ იგი აპირებს ერთხელ კიდევ ბრძოლა გაუმართოს მაკედონელებს. მეფის ამ განცხადებამ ყველა დამსწრეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. არტაბაზმა და კიდევ რამდენიმემ მაშინვე მხარი დაუჭირეს მეფეს, მაგრამ სრულიად მოულოდნელად სიტყვა ისროლა სარდალმა ნაბარზანმა. მდგომარეობა მაიძულებს მწარედ ვილაპარაკოო — დაიწყო მან — მაგრამ რა გაეწყობა, აკი ექიმიც მწარე წამალს აძლევს გასაკურნებლად ავადმყოფსო; ახლა მაკედონელებთან შეტაკება ჩვენს უეჭველ დაღუპვას უდრისო, ამიტომ საჭიროა აღმოსავლეთისკენ ისევ გაქცევა და ახალი ჯარების შეგროვებაო; მაგრამ, რაც მთავარია, ხალხებს უკვე აღარ სწამთ დარიოსის ბედის ვარსკვლავისა; და არის მხოლოდ ერთი გზა ხსნისა; ეს არის ბესა, რომელიც სარგებლობს უდიდესი პატივისცემით აღმოსავლეთის ხალხებში, სკვითები და ინდოელები მისი მოკავშირეები არიან, მისი სატრაპიაც — ბაქტრია — სავსებით ხელუხლებელია და დიდძალი ჯარის გამოყვანა შეუძლია; მეფესთან მოყვრობა აკავშირებს ბაქტრიის სატრაპს; ამიტომ დაე დაუთმოს დარიოსმა მეფის გვირგვინი ბესას, მანამ, სანამ მისი მეთაურობით მტერი არ განადგურდებაო [19].

ღრიალით წამოიჭრა გაცოფებული დარიოსი, აკინაკი ვაიძრო და გაიწია ნაბარზანის შემოსაკრავად, მაგრამ ბაქტრები შემოესივნენ და არ გაუშვეს მეფე. ნაბარზანი და ბესა გაიქცნენ. ძნელი გასამეღავნებელი აღარ იყო, რომ ისინი შეთქმულნი ყოფილან. ერთმაც და მეორემაც გაიყოლიეს თავისი ჯარები. შეთქმულებს მიემხრო არახოზიისა და დრანგიანის სატრაპი ბარსაენტი და იმანაც თავისი ჯარით დატოვა დარიოსის ბანაკი. დანარჩენი აღმოსავლელი სატრაპებიც, თუმცა შეთქმულთა მხარეზე აშკარად არ გადასულან, მაგრამ ისინიც დარიოსისთვის უკვე ნაკლებ მისანდობლად ჩანდნენ.

მეფის ბანაკი უარესად დასუსტდა და დამცირდა. ამიტომ დაარწმუნა მოხუცმა არტაბაზმა დარიოსი, — რისხვას ნუ აჰყვები და ქვეშევრდომებთან ურთიერთობას ნუ გაამწვავებო. მეფემ რისხვა და-

იბშო, კარავში ჩაიკეტა, საჭმელ-სასმელზე უარი თქვა და სევდით აღსავსე მდუმარებაში ჩაიძირა.

ამასობაში ბესამ სცადა, დარიოსისთვის სპარსელთა ჯარიც ჩამოეშორებინა და ბაქტრიაში თან წაეყვანა. სპარსთაგან მეფეს ღალატი ზოგმა არ ისურვა, ზოგმაც ვერ გაბედა და ბესას ეს ჩანაფიქრი არ გამოუვიდა. არტაბაზიც ყოველ სპარსელს ხვდებოდა და არწმუნებდა მეფისთვის არ ეღალატნათ. შეთქმულებს უკვე ეპვიც ეპარებოდათ წარმატებაში.

ერთ დღეს არტაბაზი შეთქმულთა ბანაკში მივიდა და ნაბარზანსა და ბესას გამოუცხადა, მეფემ ორივეს შეგინდოთ დაუფიქრებელი ნაბიჯიო. დარიოსიც უკვე გამოეყვანა არტაბაზს უსაზღვნო წუხილისაგან. მეფე უკვე საჭმელსაც ჭამდა და მეფურ იერსაც იბრუნებდა. ორივე მხარისთვის „სასურველი შეხვედრაც“ შედგა: შეთქმულები სინანულის ცრემლთა ღაპაღუპით მეფეს მუხლებში ჩაუცვივდნენ და საშარადჟამო ერთგულება შეჰღაღადეს. სამაგიეროდ დარიოსმაც შეუნდო და დიდსულოვნების ცრემლები აპკურა თავზე „მონანიებულ“ ქვეშევრდომთ.

მეორე დღეს, — ისე რომ ალექსანდრესთან ბრძოლის განახლება აღარავის გახსენებია — დარიოსის ბანაკი დაიძრა ისევ აღმოსავლეთისკენ, ქალაქ თარას მიმართულებით. მიდიოდნენ ჩუმად, რაღაც უარესისა და უაღრესის მოლოდინში. უკვე აღარავინ აღარ ენდობოდა ერთმანეთს ამ მდუმარე ბანაკში. ბერძენ მოქირავნეთა სარდალმა, პატრონოსმა, იარაღი აისხა და თავის ჯარისკაცებსაც უბრძანა, ისინიც აღჭურვილიყვნენ და ყოველი მისი ბრძანების მოლოდინში ფხიზლად მდგარიყვნენ. იგი მეფის ეტლს არ შორდებოდა, რაღაცის სათქმელად დროს ეძებდა. მაგრამ მეფის ეტლს არც ბესა შორდებოდა თავისი მხედრობით, — „მეფის ახლობელს“ უფლებაც ჰქონდა და მოვალეობაც ეკისრებოდა მეფეს ხლებოდა განუშორებლად.

დარიოსმა შეატყო, ბერძენს რაღაც რომ უნდა ეთქვა, და თვითონ მიიხმო იგი. დარიოსმა ბერძნული ენა ცუდად არ იცოდა[20] და პატრონოსმაც ბერძნულად უთხრა მას: მეფეო, ჩვენ, ბერძნები, — ვინც კი აქამდე შემოვრჩენილვართ აზიაში გადმოსვლის შემდეგ — შენთან ერთად სრულის თავდადებით ყოველ ჭირსაც ისევე ვინაწილებთ, როგორც ლხინს ვინაწილებდით; რომელი მიწაც არ უნდა აირჩიო შენ საცხოვრებლად, ჩვენც იქ წამოვალთ და იმავე მიწას ვიწამებთ სამშობლო ქვეყნად და ოჯახურ საკურთხეველად; შენმა ბედმაც და

უბედობამაც სამუდამოდ დაგვაკავშირა ერთმანეთთან; ახლა გემუდარები, მეფეო, ჩვენი ურყევი ერთგულების სახელით, შენი კარაკი ჩვენს ბანაკში, ბერძენთა ბანაკში დადგი, და ნება მოგვეცი ჩვენ ვიქნებით შენი მცველნი და შემნახავნი; ჩვენ დავკარგეთ საბერძნეთი და არ გვსურს არავითარი ბაქტრია, ვინათგან ყოველი ჩვენი იმედი და სასოება მხოლოდ შენშია; მეტის თქმა მე არ შემიძლია. მე უცხოელი ვარ და ამიტომ ვერ გავბედავდი შენი დაცვის თხოვნას დარწმუნებული რომ ვიყო იმათ ერთგულებაში, ვინც ახლა გიცავსო [21].

ბესამ ბერძნული არ იცოდა და სიტყვა ვერ გაიგო, მაგრამ ბერძნის სახის მიმიკით თითქოს მიხვდა, რასაც ელაპარაკებოდა იგი დარიოსს. დაგვიანება უკვე დაღუპვის ტოლი იყო. ერთნაირად — შეთქმულთათვის და შეთქმულთა მსხვერპლისათვის. დარიოსი კი ისევ უნებო, უნიათო, და უძლური აღმოჩნდა — გააზრებაშიც და გააზრებულის სისწრაფით განხორციელებაში. სანამ იგი „უცხოელ ბერძნებსა“ და „მშობლიურ აზიელებს“ შორის მერყეობდა, „მშობლიურებმა“ დაასწრეს...

მიმწუხრისას მივიდნენ თარას. დაიბანაკეს. ბაქტრიელები, ვითარცა „უერთგულესი მცველები“ გარს ერტყნენ მეფის კარავს. ბერძნები და სპარსელები მოშორებით იდგნენ. შუაღამისას, როცა ყველას ეძინა და ყოველივე მდუმარებას მოეცვა, მეფის კარავში ფეხაკრეფით შევიდნენ — ბესა, ნაბარზანი, ბარსაენტი და კიდევ რამდენიმე მათი თანადასელი. შევიდნენ, მეფე შეიპყრეს, ოქროს ბორკილები გაუყარეს, ოთხთვალა ფორანზე დააგდეს და ბაქტრიისკენ მიმავალ გზას გაუყვნენ.

მეფის დატყვევების ამბავი ერთბაშად გამჟღავნდა, ბანაკი აიშალა და აინგრა. მეფე აღარავის ახსოვდა. ბაქტრები მათ ბატონს, ბესას მისდევდნენ; სპარსელები ზოგნი ბაქტრებს ეედევნენ, ზოგნი სულ მიიფანტ-მოიფანტნენ. არტაბაზმა, თავისი შვილებით და პატრონოსმა თავისი ბერძნებით ჩრდილოეთით ჰირკანია-ტაპურის მთებს მიაშურეს; სპარსი სარდლები, არტაბელი და ბაგისთანი, თავიანთი რაზმებით, უკან შემობრუნდენ და ალექსანდრეს ჩაბარდნენ.

ალექსანდრე რაგადან მეხუთე დღის დამდეგს გამოვიდა, ორ დღეში კასპიის კართა უღელტეხილები დასძლია და გავიდა ხოარენის (ხუარის) ნაყოფიერ ველზე. აქვე დაიბანაკა. აქედანვე გზა მიდიოდა პართიის მთავარი ქალაქის, ჰეკატომპილისისკენ, სადაც იყრებოდა სამი გზა — ჰირკანიისა, ბაქტრიისა და არიანისა.

სწორედ ცენტრალური აზიისაკენ მიმავალ ამ დიდ გზაზე, ალექსანდრეს ბანაკში მოვიდნენ სპარსელი სარდლები, არტაბელი და ბაგისთანი, რომელთაც პირველად აცნობეს ევროპელ მეფეს მისი აზიელი მეტოქის მოულოდნელი უბედურება — იგი ბორკილდადებული მიჰყავთო მისსავე ქვეშევრდომებს ბაქტრიისაკენ მიმავალ გზაზე.

ალექსანდრემ არმიის უდიდესი ნაწილი კრატეროსს დაუტოვა და ზომიერი ნაბიჯით სვლა უბრძანა, თვითონ კი კავალერია აიყოლია, მასთან — მზვერავნი და მსუბუქი ქვეითნი, და სრულის სისწრაფით გამოედევნა გაქცეულებს.

მთელი დღე-ღამის პირველი ნახევარი მიქროდნენ, მუხლჩაუკრეფავად და თვალმოუხუჭავად. შუადღისას მცირედ შეასვენა მეფემ ჯარი. ისევ გაქანდნენ, ის დღე და ის ღამე ისევ შეუსვენებლად იქროლეს და მზის ამოსვლისას მივიდნენ თარას, საიდანაც ოთხი დღის წინათ გაეტაცებინათ შეთქმულებს შეპყრობილი და დაბორკილი დარიოს მეფე. ალექსანდრემ ყოველივე მოისმინა დარიოსის თარჯიმნისა, მელონისგან, რომელიც თარაში დარჩენილიყო ავადმყოფობის გამო. მელონმა აცნობა, რომ არტაბაზი და პატრონოსი ბერძნებით ტაპურის მთებში წასულან, ხოლო მეფის ხელისუფლება დარიოსის ნაცვლად ბესას უტვირთავს; შეთქმულების განაზრახი ასეთი ყოფილა; დარიოსი აღმოსავლეთ პროვინციებში მიიყვანონ და იქიდან ალექსანდრესთან მოლაპარაკება გამართონ, დარიოსი ცოცხლად მიართვან და სამაგიეროდ ალექსანდრემ აღმოსავლეთი პროვინციები ბესას დამოუკიდებელ სამეფოდ ცნოს; ხოლო, უკეთუ ალექსანდრე დევნას არ დაიშლის, მაშინ შეთქმულებმა ჯერ კიდევ მათ ხელში შყოფ აღმოსავლეთის პროვინციებში ჯარები უნდა შეჰყარონ და მტერს საომრად დაუხვდნენ.

მაკედონელებს ისევ დიდი სისწრაფე სჭირდებოდათ. მხოლოდ ერთი საშინელი ცხელი დღე გაათიეს თარაში და როგორც კი მზე ჩავიდა, ისევ გაქუსლეს თავდაუზოგავად. ისევ მთელი ღამე იქროლეს, კიდევ ნახევარი დღე, და მივიდნენ რომელიღაც სოფელში, სადაც ერთი დღის წინათ მდგარან გაქცეულები — მდგარან ღამის მოლოდინში და დაღამებისთანავე გაქცეულან. მანძილი მდევრებსა და დევნილებს შორის გვარიანად დამოკლებულიყო, მაგრამ შესვენების გარეშე მაინც აღარ შეეძლოთ წინსვლა მაკედონელებს — სიცხისა და დაქანცულობისაგან ფეხზე ვეღარ დგებოდა ვეღარც კაცი და ვეღარც ცხენი. ალექსანდრემ უფრო მოკლე გზა მოიკითხა. უთხრეს — არის უფრო მოკლე გზა, მაგრამ გზა იგი მიდის სავსებით უწყლო უდაბნოზეო.

მეფემ აღარც აცია, აღარც აცხელა — ხუთასი ცხენი და ხუთასი მხედარი გადაარჩია, ყველაზე ძლიერნი, გაბედულნი და გამძლენი — დანარჩენები ჩააბარა ნიკანორს, ფაროსანთა სარდალს, და ატალოსს, ავრიანთა სარდალს, და უბრძანა, ისევ სწრაფი სვლა განეგრძოთ მთავარი სამხედრო გზით. თვითონ კი იმ ხუთასი ნარჩევი მხედრით მეფემ უდაბნოს მისცა თავი.

მთელი ღამე ისევ შეუსვენებლივ აჭენეს ცხენები. ზოგმა ვეღარ გაუძლო და უდაბნოშივე პოვა სიკვდილი. დილით გააღწია ალექსანდრემ უდაბნოს ბოლოს, გააღწია და გამოჩნდა კიდეც ქარავანი გაქცეულებისა. უკანასკნელი ძალის დაძაბვით დააოთხეს ცხენები მაკედონელებმა. გაქცეულებმაც დაინახეს მდევარი და მის ფერხთა ქვეშე ავარდნილი მტვრის კორიანტელი.

შიშით მოცული, დამფრთხალი ხმაურითა და ყარყაშით აიშალა დევნილთა ქარავანი; ვინ სად ვარბოდა და ვინ საით. მხოლოდ ზოგიერთებმა გაბედეს უკვე შოვარდნილი მტრის წინააღმდეგ ხელის გამოღება და ისინიც უმალვე ასჩეხეს მაკედონელებმა.

ფორანი, რომელზეც დარიოსი ეგდო, ქარავნის შუაში მოექცინათ ბესას ბრძანებით. ახლა, როცა ალექსანდრე წუთი წუთზე უნდა გაჩენილიყო, შეთქმულებმა უბრძანეს დარიოსს მარქაფ ცხენზე გადამჯდარიყო და მათთან ერთად გაქცეულიყო. დარიოსმა უარი თქვა. მაშინ სატევრები გაიძრეს ბესამ, ნაბარზანმა და ბარსაენტმა და ბორკილებით შეკრულ მეფეს მკერდი დაუნდობელი დარტყმებით დაუგმირეს, მსახურებიც ზედ დააკლეს, ფორანში შებმული ცხენებიც შუბებით დაჭრეს — მომაკვდავი რომ მორს არ გაეტაცნათ — და თვითონ გადაიხვეწნენ, ჯარის ნაფლეთთა თანასრბოლით.

ერთმანეთში არეულა კაცსა და ცხენში, აქლემსა და აღალ-ფორანში ჯერ შეუძლებელი იყო გარკვევა, სად, რომელ საზიდარზე უნდა ყოფილიყო დარიოსი. ალექსანდრე გამოედევნა გაქცეულებს, რომელთა შორის მისი ვარაუდით უნდა ყოფილიყო დარიოსიც.

დარიოსის ფორანი კი დაჭრილ-დაკოდილ ცხენებს მთავარი გზიდან გადაეცდინათ, ერთხანს ევლოთ და შემდგარიყვნენ ძალადაკარგულნი.

დარიოსი უკანასკნელ წამებს ითვლიდა. მის აღსასრულს მაკედონელი ჯარისკაცი ესწრებოდა, სახელად პოლისტრატოსი, შემთხვევით რომ გადაჰყროდა სასიკვდილოდ დაცხრილულ გვირგვინოსანს. მომაკვდავმა წყალი ითხოვა და მიაწოდა წყალი მაკედონელმა. უკანასკნელ სიტყვას ამბობდა სიკვდილის წინ დარწყულებული მეფეთა მეფე:

„აი, მეგობარო, ეს წამი აღსასრულისა ყოველ ჩემს ბედუკუღმართობაზე უფრო მწვავეა იმიტომ, რომ სიკეთისათვის სამაგიერო სიკეთის მიგება აღარ შემიძლია; მაგრამ შენ ალექსანდრე მოგიგებს სამაგიეროს, თვითონ ალექსანდრეს კი ღმერთები მიუგებენ იმ კეთილმოწყალებისათვის, რომელიც მან დედაჩემსა და ჩემს ცოლ-შვილს გაუწია: მომეც შენი ხელი და შენი მეშვეობით ჩემს მარჯვენას ვართმევ ალექსანდრეს“ [22].

იდგა 330 წლის ივლისი და ცოცხალთა შორის აღარ იყო დარიოს III კოდომანი, მეფეთა მეფე, მბრძანებელი უდიდესი და უვრცესი მსოფლიო მონარქიისა. მისი სიკვდილით დასრულდა ზეობა სახელოვანი აქემენიდების დინასტიისა, რომელსაც 220 წლის წინათ საფუძველი დაუდო დიდმა კიროსმა. იგი მოკვდა, გვირგვინოსანი — გვირგვინმოხდილი და ბორკილოსანი. მოკვდა ისე, რომ სამეფო გვირგვინი ნაწილობრივ სიცოცხლეში არ გაცვალა და დამნაშვეთა საკუთრებად არ აღიარა.

გაქცეულთა ამაო დევნის შემდეგ მობრუნდა ალექსანდრე და იხილა მოკლული დარიოსი; მდუმარე თავდგომით პატივი სცა მის ხსოვნას, ძოწეული ქლამიდი მოიხსნა და გადაიფარა მის გვემულ ცხედარს. მისივე ბრძანებით, დარიოსი საპატიო ესკორტით გაგზავნეს პერსეპოლისს, აქემენიდთა სამეფო საძვალეში დიდის პატივით დასაკრძალავად. სიზიგამბისი შეეგება მირონცხებული შვილის ცხედარს, დაიტირა და დაკრძალა იგი...

დარიოსის სიკვდილმა ყოველგვარი „უხერხულობისაგან“ იხსნა სვებედნიერი ალექსანდრე. უწინარესად ყოვლისა, მან აიცდინა სახელი „მეფის მკვლელისა“, ამას გარდა, დარიოსის მხოლოდ დევნილი სიცოცხლეც მუდმივ საეჭვოდ ხდიდა მის ერთმფლობელობას სპარსეთის ტახტზე. ახლა, პრაქტიკულადაც და მორალურადაც, იგი ნამდვილი მეფე იყო აზიისა, უმეტოქეოდ და ურაყიფოდ. უკვე ასე უნდა ყოფილიყო იგი „ბარბაროს აზიელთა“ თვალშიც და „მშობლიურ ევროპელთა“ თვალშიც. მარტო ბრძოლის ველზე როდი დაიგდო ალექსანდრემ გმირის სახელი. ყველა გააოცა და აღაფრთოვანა მისმა გასაოცარმა გამძლეობამ და შემართებამ გაქცეული დარიოსისა და მისი მოღალატე ქვეშევრდომების დევნის ჟამს. ბევრი თანამებრძოლის სიცოცხლე შეიწირა და პირსისხლიანი „დემობორის“ * სახელსაც ვერ

* დემობორი — „ხალხის მჭამელი“. ამ სახელწოდებას ჰომეროსი ხმარობდა მეფე ბასილევსთა მიმართ.

აიცდენდა ალექსანდრე, მაგრამ მისმა საარაკო თავგანწირვამ და თვით-შეწირვამ, ყოველი კაციშვილისთვის დაუძლეველი დაბრკოლების მძლეველობამ, იგი მართლაც ზებუნებრივი ძალის მქონე ღვთაებად აღამაღლა მისგანვე დატანჯულ თანამოლაშქრეთა გულში. სწორედ მაშინ გათამაშდა ეს ნიშანდობლივი სცენა, როცა ალექსანდრე ისე თავდავიწყებით, აქილევსური სისხლის აზარტით მისდევდა დარიოსს: გარშემო უდაბნო თახთახებდა, უსაშველო სიცხით ატანილი, მეომრები წყურვილით იხრჩობოდნენ. აუტანელი წყურვილი სტანჯავდა თვითონ მეფეს. და აი, წყლით სავსე მუზარადი მოართვეს მას. ალექსანდრემ მუზარადი ჩაჰმოართვა და ის იყო უნდა დაწაფებოდა, რომ დაინახა როგორი ტანჯვით უცქერდნენ მის ხელებში დასალევად მომარჯვებულ წყლით სავსე მუზარადს ჯარისკაცები. ალექსანდრემ დალევაზე გადაჭრით უარი თქვა და მუზარადი პირქვე გადააბრუნა — წყალი დაღვარა — „მე რომ მარტო დავლიო, ჩემი მეომრები სულით დაეცემიანო“, — ამოიგმინა მან. ჯარი აღტაცებული ყიჟინით შეხვდა მეფის ამნაირ ვაჟკაცობას; „წაგვიყვანე, საითაც გინდა! არც დავიღლებით, არც მოგვწყურდება, არც მოვკვდებით, სანამ ასეთი მეფე გვყავხარ! — ბღაოდნენ, ცხენებს მათრახებს უტკაცუნებდნენ და ისევ სალაშქროდ მიიწევდნენ, მეფის გმირობით გაოცებულნი და გაოგნებულნი [23].

დარიოსის მკვლელები კი ისევ გარბოდნენ, ყველანი თავიანთ სატრაპიებში: ბესა — ბაქტრიაში, ნაბარზანი — ჰირკანიაში, ფრატაფერნი — პართიაში, სატიბარზანი — არეიაში, ბარსაენტი — დრანგიანაში.

ალექსანდრემ კი ჯერჯერობით დევნაზე ხელი აიღო და პართიის მთავარ ქალაქში, ჰეკატომპოლისში შეჩერდა. აქ ჯარიც დაასვენა, დანარჩენ ჯარებსაც დაელოდა და პართიის საქმეებიც მოაგვარა. პართიის სატრაპია მან სამმართველოდ გადასცა პართიელ ამინაპეს, რომელიც ადრე, ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, სპარსელ მასაკესთან ერთად, ერთგულებით ეყმო ალექსანდრეს. ამინაპეს გვერდით, „ზედამხედველად“ („ეპისკოპოს“) [24] დასვა ტლეოპოლემოსი, უახლოესი ჰეტერთაგანი.

პართიასა და კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთა შორის იყო ჰირკანია, რომლის დაპყრობის გარეშე ალექსანდრეს არ შეეძლო გზა განეგრძო ცენტრალური აზიისაკენ. ისედაც იცოდა ალექსანდრემ, რომ ჰირკანიისკენ, ტაპურიის მთებით გადასული იყვნენ დარიოსის

ერთგული ჯარების უკანასკნელი ნაფლეთები, სპარსი არტაბაზისა და ბერძენი პატრონოსის მეთაურობით.

ალექსანდრემაც სასწრაფოდ გადაწყვიტა ტაპურია-ჰირკანიის დამორჩილება. ჯარი სამ ნაკადად ააწყო და სამივესთვის ლაშქრობის საბოლოო შესაკრებ პუნქტად ჰირკანიის მთავარი ქალაქი, ზადრაკარტა დანიშნა. ერთი ნაკადი ერიგიოსს ჩააბარა და ყველაზე გრძელი და ნაკლებ ხიფათიანი გზით გაგზავნა ზადრაკარტასკენ. მეორე ნაწილი, კრატეროსის სარდლობით, ტაპურიის მთებში წარგზავნა, ხოლო მესამეს მეფემ თვითონ უსარდლა და ყველაზე მოკლე, მაგრამ ყველაზე სახიფათო გზას დაადგა. არც ერთ გზაზე რაიმე სერიოზული დაბრკოლება არ შეხვედრიათ, ისე მივიდნენ სამივენი ზადრაკარტაში.

აქვე ალექსანდრემ და მისმა თანამებრძოლებმა პირველად იხილეს კასპიის ზღვა.

აქ, გზაზედ, ალექსანდრესთან გამოცხადდა სპარსი სარდალი ნაბარზანი, დარიოსის ერთ-ერთი დამღუპველი. გამოცხადდა, მორჩილება და ერთგული სამსახური შესთავაზა ალექსანდრეს. მალე ნაბარზანს მოჰყვნენ და ალექსანდრეს ჩაბარდნენ ფრატაფერნი და კიდევ სხვა წარჩინებული სპარსელნი დარიოსის ამალიდან [25]. ნაბარზანს, ვითარცა თავისი ხელისუფლის ერთ-ერთ უპირველეს მესაფლავეს, ალექსანდრემ სიცოცხლის შენარჩუნება აკმარა, ხოლო ფრატაფერნი და მისი შვილები — ფარისმანი და სისინი — კიდევაც შეიწყალა, კიდევაც დააწინაურა და დაიახლოვა. ფრატაფერნს ისევ დაუბრუნა სამმართველოდ პართიისა და ჰირკანიის სატრაპიები, ფარისმანი და სისინი კი შემდგომში ბევრჯერ გამოიჩენენ თავს ალექსანდრეს ხიფათით სავსე სალაშქრო გზებზე. ალექსანდრესთან მოვიდა არტაბაზიც, რომელმაც თან მოიყოლა სამი ვაჟიშვილი — არსამი, კოფენი და არიობარზანი. არტაბაზი ალექსანდრეს მისი უფლისწულობის ჟამსაც ენახა მაკედონიაში, როცა ეს სპარსელი დიდკაცი, არტაქსერქსე ოხოსისაგან დევნილი, თავს აფარებდა პელას სასახლეში. ახლა ეს „ევროპამოვლილი“ 95 წლის ბაბილელი მისი სამივე ვაჟით თავის უახლოესთა ამალაში ჩარიცხა მაკედონელმა. ალექსანდრეს ჩაბარდა ავტოფრადატიც, ტაპურიის ყოფილი სატრაპი. ისიც შეიწყალა მეფემ, ისიც დააბრუნა მისი ტაპურიის ბატონად და პატრონად. არტაბაზს მალე მოჰყვა მასთან ერთად ტაპურიის მთებში გადახვეწილ ბერძენთა დელეგაცია, რომელიც ბაზად იყო კაპიტულაციაზე, უკეთუ ალექსანდრე მათ აპატიებდა „მშობლიური ელადის“ წინააღმდეგ ბრძოლას და სანდო ადამიანებს გაგზავნიდა მათთან შეწყალების აღთქმით. ისევ გამოიჩინა მეფემ

„დიდსულოვნება“ და გაგზავნა ბერძნებთან არტაბაზი და ანდრონიკოსი, ქმარი თავისი დედამძუძისა და სიძე კლიტოს შავისა (ანდრონიკოსის ცოლი, ლანიკა, იყო დაი კლიტოსისა და გადია ალექსანდრესი).

აქვე, კასპიის ზღვის სანაპიროებზე, ალექსანდრე ბევრს ფიქრობდა იმ „მსოფლიო საურთიერთობო გზაზე“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღმოსავლეთ აზიასა და ევროპას შორის საკაჭრო და კულტურული ურთიერთობისათვის. ამ გზის „შუაგულზე“, კასპიის ზღვაზე იდგა ახლა მაკედონიის მეფე. აქ უნდა მოსულიყო საქონელი ინდოეთიდან, სამი დიდი მდინარის — ინდის, იაქსართის (სირ-დარია) და ოქსის (ამუ-დარია) გამოვლით; მერე კასპიიდან — მტკვრით, ძირულათი, ყვირილათი, ფასისით და შავი ზღვით ევროპისკენ. ამიტომ ალექსანდრე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორედ კასპიის ზღვაზე მიკრულ ჰირკანიას, მისი გეოგრაფიული მდებარეობით და მდიდარი, გემთმშენებლობისათვის საუკეთესო ხე-ტყით.

საჭირო იყო კიდევ უფრო გაევრცელებინა და განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება ალექსანდრეს კასპიის ზღვის სანაპიროებზე. სწორედ ამიტომ მან პარმენიონი ჯარით გაგზავნა ჩრდილოეთ მიდიასა და კასპიის დასავლეთ სანაპიროთა შორის მთიელი ტომების — კადუსიელების დასამორჩილებლად, ხოლო თვითონ ალექსანდრე კადუსიელთა მეზობლების, მამაცი შვილდ-მოისარი მარდების დასაპყრობად წარემართა *. არასოდეს მარდების მთაგორიან და უსიერი ტყეებით მოცულ მიწაზე აქამდე არავის ფეხი არ დაედგა. ახლა კი მაკედონელები მიიკვლევდნენ მანამდე უკვლეველ გზებს მთებში, თავისუფლების მოყვარე ხალხის თავშესაფრებისა და სახიზარების დასაკავებლად. გვარიანად გაუჭირდათ „ყოვლისმძლეველებს“. ისედაც მოხდა, რომ ერთი მოულოდნელი თავდასხმით მარდებმა ალექსანდრეს მისი საყვარელი საომარი ცხენი, ბუკეფალაც კი წაჰგვარეს. — ცხენი დამიბრუნეთ, თორემ, იცოდეთ, დედა-ბუდიანად ამოგჟლეტთო, — შეუთვალა გაჯავრებულმა მეფემ მარდებს [26]. მარდები დაფრთხნენ და უკანვე მოჰგვარეს ცხენი პატრონს.

---

* სხვათაშორის ეს ის „მოისარი მარდები“ არიან, რომლებიც „შუბოსან იბერიელებთან“ ერთად, ამ ამბებიდან 162 წლის შემდგომ (ძვ. წ. 68), როგორც „ყველაზე მამაცი და საიმედო მოკავშირენი“, ტიგრან II სომეხთა მეფეს ეხმარებოდნენ რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, 1956, გვ. 155).

მანამდეც მრავალჯერ დაჭრილი და სისხლდაქცეული მეფე. მარდებთან ბრძოლისას ორჯერ მძიმედ დაშავდა. ერთჯერ შორიდან ნატყორცნი ისრით მარდებმა მარცხენა ფეხის წვივი გაუპეს, მეორედ შურდულით კისერში ქვა გაარტყეს და კარგა ხანს თვალებზე ბინდგადაკრულს მხედველობა ძლივს დაუბრუნდა. მაგრამ სიკვდილთან შეუპოვარმა მეფემ მაინც თავისი გაიტანა და მარდებიც აიძულა მის წინაშე მორჩილებით მუხლი მოეყარათ. მეფემ მძევლები აიყვანა და მარდთა მიწა-წყალი ტაპურიას მიათვალა და აქაურ სატრაპს, ავტოფრადატს ჩააბარა სამმართველოდ.

მარდების დამორჩილების შემდეგ, ალექსანდრე ისევ დაბრუნდა ზადრაკარტაში, სადაც მას არტაბაზმა და ანდრონიკოსმა უკვე დაეხვედრეს ტაპურიის მთებიდან ჩამოყვანილი ბერძნები, სულ — 1500 მეომარი. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც დარიოსთან მოსალაპარაკებლად ყოფილან საბერძნეთიდან წამოსულნი. ამათგან ოთხი სპარტელი იყო და თითო-თითო ათენიდან, ქალკედონიდან და სინოპიდან. ათენელმა, სახელად დემოკრატემ, შეწყალება არ ითხოვა და საკუთარ მახვილს გულით წამოეგო [27]. ალექსანდრემ სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა იმ ბერძნებს, რომლებიც სპარსთა სამსახურში 334 წლამდე, ანუ კორინთოს კონგრესამდე შესულიყვნენ. დანარჩენი ბერძნები თავის სამსახურში ჩააყენა და ანდრონიკოსის სამხედრო ნაწილს მიათვალა. მუდამ გამდგარი და განრისხებული სპარტის ელჩები კი — პატიმრობაში აიყვანა.

სპარტას ალექსანდრეს აზიაში გადასვლის დღიდანვე არ შეუწყვეტია მტრობა მაკედონიის წინააღმდეგ. ბალკანეთზე ჯერ კიდევ სავსებით ჩაუმცხრალ ანტიმაკედონურ მოძრაობას სათავეში ედგა სპარტის ნიჭიერი და მამაცი მეფე აგისი. სპარტელები გაფაციცებით ელოდებოდნენ, როდის მოვიდოდა აზიიდან საოცნებო ამბავი მაკედონელი მეფის „უეჭველი განადგურებისა“. მაგრამ არ გაამართლა არც გრანიკოსმა, არც ისოსმა, არც ტიროსმა; ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ გავგამელაზე, მაგრამ გავგამელამ ხომ ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა „ბედის ნებიერას!“

ჯერ კიდევ 333 წელს, ისოსის საბედისწერო ბრძოლის წინ, სირიაში მყოფ დარიოსს სპარტელი ელჩები ეწვივნენ მაკედონიის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის წინადადებით. სამი წელიწადი დასდევდნენ ის ელჩები ალექსანდრესაგან დევნილ, აღმადაღმა მორბენალ სპარსთა მეფეს და ბოლოს დარიოსიც აღესრულა და აგისის ელჩიონი მაინც

ალექსანდრეს ხელში ჩავარდა. ბალკანეთზე კი, იმ სამი წლის განწვრილებ, სპარტა მაინც თავგამოდებით ებრძოდა მაკედონიას. 333 წელს აგისმა თავისი ძმა აგესილაოსი კრეტაზე გაგზავნა, ამ დიდმნიშვნელოვანი კუნძულის დასაჭერად. იმავე დროს სპარტელთა ფლოტი შეუერთდა ჯერ კიდევ ეგეოსის ზღვაზე მოდრეიფე სპარსელთა საომარ ხომალდებს. პირევსში მაშინ ათენელებს ასი გემი ედგათ, მაგრამ სპარტელებთან შეერთება ვერ გაბედეს და ამით ალექსანდრეს „იღბალი გაუძლიერეს". აგესილაოსმა კრეტის უმთავრესი ქალაქები დაიმორჩილა, მაგრამ 331 წელს მაკედონელთა ფლოტმა, ამფოტეროსის სარდლობით, მაინც მოახერხა სპარტელთა გაძევება კრეტადან[73]. სპარტა სპარსეთის ფლოტი სავსებით დაიშალა. ეგეოსზე მაკედონელები საბოლოოდ გაბატონდნენ.

მაგრამ აგისი მაინც არ ცხრებოდა. ახლა მან ხმელეთზე გახსნა საომარი ოპერაციები; გაანადგურა მაკედონელთა ჯარი, რომელსაც კორაგოსი სარდლობდა; ამ წარმატების შემდეგ სპარტას მიემხრნენ ელიდა, არკადია და აქეია. პელოპონესში ალექსანდრეს ერთგულებას არ ღალატობდნენ მხოლოდ სპარტის მარადიული მტრები — მესენა, მეგალოპოლისი და არგოსი. კორინთოშიც მტკიცედ იდგა მაკედონელთა გარნიზონი.

მაკედონური უღლისაგან თავის დახსნის მისწრაფებანი პელოპონესის გარეთაც გამოჩნდა, — თუნდაც მაკედონიის ერთგულ თესალიაში. მაგრამ მთავარი მაინც, — როგორც ყოველთვის — იყო ათენი, ხოლო ათენი იარაღის ხელში აღებას ვერა ბედავდა და მხოლოდ მაკედონური და ანტიმაკედონური ენის ფხანით ეძლეოდა თავდავიწყებას.

ანტიპატროსმა ომის დასაწყისში ვერ მოახერხა ხელი შეეშალა აგისის წინსვლისათვის პელოპონესში. ამის მიზეზი ის იყო, რომ თრაკიის მმართველად დანიშნული მემნონი აუჯანყდა ანტიპატროსს. აჯანყება მართლაც სერიოზული იყო — თრაკია ხელიდან ეცლებოდა მაკედონიას. ანტიპატროსი იძულებული გახდა მთელი საომარი ძალებით გადასულიყო თრაკიაში. აგისმა ამით ისარგებლა და მეგალოპოლისს ალყა შემოარტყა.; მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მემნონის გამოსვლა არ ყოფილა საერთოდ „ანტიმაკედონური", ანუ „ანტიალექსანდრული" ხასიათის „მოძრაობა". მისი საფუძველი უფრო მემნონისა და ანტიპატროსის პირადი უთანხმოებანი ყოფილა და მალე კიდევაც შერიგდნენ წაკიდებული სარდლები. მემნონი თრაკიის მმართველად

დარჩა და ანტიპატროსსაც საშუალება მიეცა მთელის ძალებით საბერძნეთისკენ დაძრულიყო [29]. მან იოლად ჩააქრო ანტიმაკედონური გამოხდომა თესალიაში და ამის შემდგომ, 331 წლის შემოდგომაზე, 40 000-ანი არმიით დაიძრა პელოპონესისკენ, და დროზედაც მიუსწრო — ალყით განაწამები მეგალოპოლისი უკვე უნდა დანებებოდა სპარტელებს. აგისს 20000 მეომარი ჰყავდა, მტრის ორმაგ ძალებს განერიდა და მეგალოპოლისს ალყა მოხსნა. ანტიპატროსმა ქალაქიც ჩაიბარა და მოწინააღმდეგესაც კვალდაკვალ მიჰყვა.

გაიმართა სასტიკი ბრძოლა სპარტელთა და მაკედონელთა შორის. სპარტელები იბრძოდნენ ძველთაგანვე განთქმული სპარტანული სიმამაცით, არაჩვეულებრივი იყო შემმართებლობა თვითონ აგისისა, მაგრამ რიცხობრივმა უპირატესობამ მაინც თავისი გაიტანა. უკვე მოახლოებული შარცხის მხილველი აგისი სიკვდილს ეძიებდა და დაიღუპა კიდეც ომირის სიკვდილით. მასთან ერთად დაეცა 5300 თანამებრძოლი. 3500 მებრძოლი დაკარგა ანტიპატროსმა და გაიმარჯვა [30].

სპარტელებმა ზავი ითხოვეს, ანტიპატროსმა 50 სპარტელი ბიჭი მძევლად აიყვანა და საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა ბერძენთა სამოკავშირეო სინედრიონს გადასცა. სინედრიონმა, თავის მხრივ, სპარტელთა ბედის განჩინება „უმაღლეს ინსტანციას“ — ალექსანდრეს მიანდო.

ალექსანდრე ისევ „გულმოწყალე“ და „დიდსულოვანი“ იყო. მან ყველას ყველაფერი აპატია, ოღონდ აქეელებს მეგალოპოლისის სასარგებლოდ 120 ტალანტის გადახდა დააკისრა.

ეს იყო და ეს. ამის შემდგომ საბერძნეთი „ენის ფხანის“ იქით აღარ წასულა და ალექსანდრეს სიკვდილამდე მაკედონიის წინააღმდეგ ქარქაშიდან მახვილის დაძვრა აღარავის გაუბედნია.

თავი XI

ალექსანდრე ცენტრალურ აზიაში

ალექსანდრემ საბერძნეთში დატრიალებული ამბები სწორედ კასპიის ზღვის სანაპიროებთან, ჰირკანიაში ყოფნის დროს შეიტყო. აქვე ყოველივე ბალკანური საქმენი განიკითხა, განაგო, განჩინება განაჩინა, საბერძნეთში მდგომარეობის სტაბილურობა ირწმუნა და ჯარები ახალ სალაშქრო გზებზე შეაყენა.

გზები ისევ აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა — ბაქტრიისა და ინდოეთისკენ. ალექსანდრეს ამ გზებზე გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა დარიოსის მკვლელთა შეპყრობა და დასჯა. მაგრამ ეს მხოლოდ საბაბი იყო აღმოსავლური ლაშქრობების ეგზომი განვრცობისა და გაღრმავებისა. სინამდვილეში ალექსანდრეს დაუოკებელი წყურვილით სწყუროდა თვითონ აღმოსავლეთის სრული დამორჩილება — ჯერ ცენტრალური აზიისა, მერე ინდოეთისა, მერე კიდევ, და მერე კიდევ... სადღაც იქ, ზღვასთან, თუ „მზის აღმოსავალთან" — დასრულდებოდა და დაცხრებოდა ყოველივე ვნებანი დამპყრობელურნი.

გალაშქრების წინ ბერძნული ასპარეზობანი და მსხვერპლზორვანი გამართა ჰირკანიის მთავარ ქალაქში, ზადრაკარტაში. ამის შემდეგ ისევ დასძრა ჯარები ალექსანდრემ. ამჯერად მისი საომარი ძალები შედგებოდა 20000 ქვეითისა და 3000 მხედრისაგან [1].

პარმენიონი ეკბატანაში გაგზავნა ალექსანდრემ. ეკბატანადან სახელმწიფოში „მეორე კაცს" უმაღლესი მეთვალყურეობა და მმართველობა უნდა განეხორციელებინა აქამდე დაპყრობილ აზიურ ქვეყნებზე.

ხოლო, ალექსანდრეს თანამოლაშქრე სარდალთაგან — სამეფო კავალერიას ისევ სარდლობდა ფილოტა პარმენიონის ძე, ფაროსნებს — ნიკანორ პარმენიონის ძე, ფალანგურ ტაქსისებს — კრატეროსი, ამინტა, კენოსი და პერდიკა, 600 ფალანგიტი კიდევ ეკბატანადან უნდა წამოეყვანა კლიტოს შავს.

ალექსანდრე ბაქტრიის მთავარი ქალაქის, ბაქტრასაკენ მიეშურებოდა. იქ მას დარიოსის მკვლელი და სპარსეთის სამეფო გვირგვინის

მიმტაცებელი ეგულებოდა. გზად პართია უნდა გაევლო და მდინარე ორექსარტე გადაელახა. პართიაში მისვლისას ალექსანდრე უქეიფოდ შეიქნა, — მუცლის სალმობა აწუხებდა; მაგრამ ტკივილი არაფრად ჩაგდო და მდინარე ავადმყოფმა გადასცურა, მოპირდაპირე მხარეზე სკვითები დაუხვდნენ იარაღით ხელში, მაგრამ ის სკვითებიც დაიფრინა მეფემ [2].

აქ ალექსანდრემ კიდევ ერთი თავისი სახელობის ქალაქი — ალექსანდროპოლისი დააარსა და გზა განაგრძო.

გზაზედ, მოულოდნელად ნიკანორი გარდაიცვალა, პარმენიონის შუათანა ძე. მეფის ბრძანებით, ფილოტამ დიდი ზეიმური პატივით დაკრძალა ძმა. წუხილი რომ გაინელეს, მაკედონელები პართიიდან მეზობელ სატრაპიას — არეიას მიუახლოვდნენ და ქალაქ სუზიაში შევიდნენ. უმალვე აქაური სატრაპი, სატიბარზანი გამოეგება ალექსანდრეს, სრული მორჩილებისა და „კუბოს ფიცრამდე“ ერთგული სამსახურის აღთქმით. „მადლიერმა“ ალექსანდრემ სატიბარზანი არეიის სატრაპად დატოვა, თუმცა გვერდით, „როგორც წესი“, მაკედონური „ეპისკოპოსებიც“ („ზედამხედველები“) დაუდგინა — 60 მაკედონელი მხედარი, თავის ჰეტერის, ანაქსიპეს მეთაურობით.

სატიბარზანმა ესეც შეატყობინა ალექსანდრეს: ბესამ უკვე თავზე დაიდგა სპარსეთის მეფის გვირგვინი და არტაქსერქსეს სახელით შეუდგა მბრძანებლობას და ჯარების შეყრას თქვენთან საომრადო.

ალექსანდრემ სრულის სისწრაფით გაქუსლა ბაქტრიისაკენ, მაგრამ ზურგიდან სავსებით მოულოდნელად ამბავი წამოეწია და იმ ამბავმა უმალვე უკან შემოაბრუნა. არეის სატრაპი, ალექსანდრესგან ახლახან შეწყნარებული და აღზევებული სატიბარზანი აჯანყებულა, მასთან დატოვებული ის 60 მაკედონელი, სარდალ ანაქსიპესთან ერთად, ამოუჟლეტია და ჯარების შეყრასაც შესდგომია ბესა-არტაქსერქსესთან შესაერთებლად და მაკედონელთა გასანადგურებლად.

ალექსანდრემ უცებ გადაზომა გზები და მარშრუტები. არეიადან გამოსულსა და ბაქტრიისაკენ მიმავალს კიდევ ორი მტრული სატრაპია უნდა გაევლო — დრანგიანა და არახოზია, რომელთაც დარიოსის კიდევ ერთი მკვლელი განაგებდა — ბარსაენტი. უგუნურება უნდა ყოფილიყო ზურგში აჯანყებულთა დატოვება და კიდევ უმეტესი მტრებით დასახლებულ გზებზე ცხენის ჭენება. ამიტომ ალექსანდრე მყისვე შედგა, ჯარები ორად გაჰყო, ერთ ნაწილს უფროსად კრატეროსი უჩინა და ადგილზე დგომა უბრძანა, მეორე ნაწილი — ორი ფალანგა და

სამეფო მხედრობა — თვითონ აიყოლია და უკანვე, აჯანყებული არეიასაკენ გაფრინდა. ორი დღის შეუსვენებელი სრბოლით უკვე არეიის სატახტოში — არტაკოანაში იყო.

მტრის ასე მოულოდნელი მოხდომის პასუხად სატიბარზანმა ისლა შეძლო, მაშინვე მთებში გაქცეულიყო, ბესასთან მისასვლელი გზების ძიებით. მისი ჯარებიც გაიქცნენ და დაიფანტნენ. მაკედონელები გამოედევნენ, და ვისაც კი წამოეწივნენ, მუსრი გაავლეს, ბევრი ტყვედ აიყვანეს და მონობის ბორკილი გაუყარეს. ჩალის ცეცხლივით ანთებული აჯანყება ჩალის ფერფლივით ჩაქრა. ხელახლა დაჩოქილი არმიის სატრაპად ალექსანდრემ სპარსი არსამი დასვა, არტაბაზის უფროსი ძე.

არეია ცენტრალური აზიის დიდ საკვანძო გზასაყარს წარმოადგენდა. ალექსანდრემ სცნო ამ ოლქის უდიდესი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა და აქ კიდევ ერთი ახალი „ალექსანდრია“ დააარსა — ალექსანდრია-არიანა (ახლ. ჰერათი).

ისევ წამოვიდა მგლურით ალექსანდრე არეიადან, შეიერთა კრატეროსის ჯარები, და გზა განაგრძო სამხრეთისაკენ. მაკედონელები შეიჭრნენ დრანგიანა-არახოზიის მიწა-წყალზე. სატრაპი ბარსაენტი მტრისკენ პირმიუქცევლად გაიქცა ინდოეთში. სატრაპიის მთავარი ქალაქი, მდიდარი პროფთაზია, მაშინვე ჩაბარდა ალექსანდრეს. ინდოელებმა ბარსაენტი შეიპყრეს და ალექსანდრეს გამოუგზავნეს. ალექსანდრემ იგი სიკვდილით დასაჯა — „დარიოსის ღალატისათვის“ (!)

დრანგიანიდან მცირედ სამხრეთით, ნაყოფიერ და მშვენიერ ოაზისებში ცხოვრობდნენ არიასპები, მშვიდი, შრომისმოყვარე, სოფლის მეურნე ხალხი. დიდის სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ ალექსანდრეს არიასპები. ალექსანდრემ მათი გულწრფელი ერთგულება იწამა და თავისუფლება და „ხელშეუხებლობა“ გამოუცხადა ამ „აზიელ ფეაკებს“.

მშვიდობიანად შეხვდნენ მაკედონელებს, აგრეთვე, გედროზიელები და არახოზიელები. მეფემ არახოზიის სატრაპიაში მოაქცია გედროზიელებიც, დრანგიანელებიც და ყველას მმართველად დანიშნა მაკედონელი მენონი, 4000 ქვეითი და 600 ცხენოსანი მეომრის თანხლებით. ალექსანდრეს ბრძანებითვე, მენონმა თავის სატრაპიაში დააარსა მეფის სახელობის კიდევ ერთი ქალაქი — ალექსანდრია (ახლ. ყანდაჰარი).

იდგა 330 წლის შუა ნოემბერი; არახოზიიდან დაძრულ ალექსანდრეს ჯარს ბაქტრიისაკენ მიმავალ გზაზე მაღალი, ღრმა თოვლით და-

ფარული ბჭეები უნდა გადაელახა. მძიმე და შეუპოვარი სვლით კიდევაც გადალახეს და გადავიდნენ პირველი ინდური ტომის, პარაპამისადების მიწაზე, ჩრდილოეთიდან ჰინდუყუში აზიდულიყო — „ინდოეთის კავკასიონი“, რომლის შემდგომ იწყებოდა ბაქტრია, უზურპატორ ბესა-არტაქსერქსეს სამფლობელო ქვეყანა.

იწურებოდა 330 წელი და ალექსანდრე, ოთხწლოვანი სისხლთათხევისა და ჭირთათმენის შემდგომ, ინდოეთის კარიბჭეებთან მოსულიყო.

და უეცრად გამოირკვა სავსებით მოულოდნელი „პარადოქსი“ — ყოველი ამ „ზეადამიანურ გმირობათა“ ჯილდოდ ალექსანდრეს უნდა მიეღო... სიკვდილი! დიახ, სიკვდილი და ისიც იმნაირი სიკვდილი, როგორითაც მოისრა მისი მეტოქე დარიოსი — მისებრ შეთქმულთაგან და მისებრ თანამებრძოლთა და თანასისხლიერთა ხელით!

ერთბაშად რაღაც უძირო უფსკრული ჩაჭრილიყო მეფესა და მის „მოყვარულ“ ჯარებს შორის. ლაშქრობის უკიდურესი სიმძიმენი და სიდუხჭირენი დიახაც შეიძლებოდა საფუძველი გამხდარიყო ჯარისკაცთა ჯერ „გაბუტვისა“, მერე „ბუზღუნისა“, შემდეგ, „დრტვინვისა“ და ბოლოს „მამაუფლის“ მოსაკლავად ხელის გამოღებისა.

მაგრამ მთავარი მაინც უფრო სხვა რამ ყოფილა — მეფის ახალი, სავსებით უპრეცედენტო პოლიტიკური, საზოგადოებრივი, მორალური და ყოფაცხოვრებითი „ახირებულობანი“.

ალექსანდრე მაკედონელი მისგანვე დამხობილი სპარსული მონარქიის ნანგრევებზე ახალ სახელმწიფოს აშენებდა, სავსებით ახალს — ახალი იდეოლოგიური, საზოგადოებრივი და „საერთაშორისი“ პრინციპებით.

ნიშანდობლივი იყო ამ მხრივ არისტოტელეს შეგონებანი ალექსანდრესადმი. — ბერძნებს ისე მოექეცი, როგორც ჰეგემონი, ხოლო ბარბაროსებს — როგორც მბრძანებელი, ანუ — ბერძნებს ისე უნდა მოექცე, როგორც მეგობრებსა და თანამემამულეებს, ხოლო ბარბაროსებს როგორც ცხოველებსა და მცენარეებსო, — შეაგონებდა მასწავლებელი მოწაფეს[3]. ბერძენთა და ბარბაროსთა განსხვავება თვითონ ბუნებამ დაადგინაო, — განაგრძობდა არისტოტელე — „ევროპის ცივ ქვეყანათა შვილები სიმამაცით აღსავსენი, მაგრამ გონებრივად უვიცნი და ხელოვნებაში გაუგებარნი არიან, ამიტომ მათგან უმეტესნი დამოუკიდებლად ცხოვრობენ, მაგრამ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა და სხვებზე ბატონობის უნარი არ გააჩნიათ; აზიის ხალხები კი დაჯილდოებულნი არიან ცოცხალი გონებით და ხელოვნებისადმი მიდრეკი-

ლებებით, მაგრამ მოკლებულნი არიან სიმამაცეს, ამიტომ ჰყავთ მბრძანებლები და თვითონ კი არიან მონები. ხოლო, ბერძენი ხალხი, რომელიც ცხოვრობს ამ ორი მოდგმის ხალხთა შუაში, ფლობს ორივე ამ ხალხის კეთილ თვისებებს. ამიტომ ბერძნებს აქვთ თავისუფლება და საუკეთესო სახელმწიფოებრივი ცხოვრება და, უკეთუ ისინი ერთ სახელმწიფოებრივ სხეულს შექმნიან, მათ შეუძლიათ ყველა დანარჩენ ხალხებზე გაბატონდნენ[4].

მაგრამ ალექსანდრე არ გამოდგა მისი გენიალური მასწავლებლის დოქტრინის ბრმა მიმდევარი-დოქტრინიორი. მასწავლებლისა და აღმზრდელის ამ ურჩმა „პოლოსმა“ (ვეიცმა), ვითარცა მისი თანადროული ისტორიის „მთავარმა გმირმა“, თავისი საკუთარი, ცხოვრებისაგან ნაკარნახევი „დოქტრინა“ შექმნა: თუ გინდა დაიპყრო, დაპყრობილი შეინარჩუნო და მასზე ძირმტკიცედ და გულმყარად იბატონო, არ შეიძლება დაპყრობილ ხალხებს ისე უყურებდე და ეჭცეოდა, ვითარცა ცხოველებსა და მცენარეებს. შეუძლებელია „მაკედონელობა“ რაიმე მხრით „სპარსელობაზე“ უპირატესობას განიჭებდეს და სჯობს ისევ „ბერძნობას“ ჩავეჭიდოთ, მაგრამ აქაც — შეიძლება შენ, ბერძენს, შენი თავი შინაგანად „უკეთესად“ მიგაჩნდეს და სპარსელი „უარესად“, მაგრამ რამდენადაც სპარსელსაც შეუძლია პირუკმოდ წარმოიდგინოს — თავისი თავი „უკეთესად“ და შენ კი „უარესად“ — ამიტომ არ შეიძლება ამის საგანგებოდ გამოჩინება და ადამიანთა მოდგმის ასე აშკარად („ოფიციალურად!“) დაყოფა — „უკეთესებად“ და „უარესებად“, „ჰეგემონებად“ და „მაჩანჩალებად“, ნამდვილ „ხალხად“ („დემოს“) და ნამდვილ „ბრბოდ“ („ოხლოს“) მთავარი ესაა: თუ ასეთი „დაყოფა“ დაუშვი, ვერ დაიპყრობ და კიდევაც რომ დაიპყრო, ვერ იბატონებ, ვერ იბატონებ-მეთქი!

არისტოტელე ალექსანდრეს საქმიანობაში მხოლოდ მანამდელი ისტორიული გამოცდილების შეჯამებას და ბერძენთა სასარგებლოდ მის „გადაჯამებას“ ახდენდა, ხოლო ალექსანდრე, მისი „კონსერვატორი“ მასწავლებლისაგან განსხვავებით, თავისი ახალი სახელმწიფოს „მარადიული არსებობისათვის“, ახალ სახელმწიფოებრივ და იდეოლოგიურ საფუძვლებს ეძიებდა.

უეჭველად, ალექსანდრეს ეცოდინებოდა თავისი მასწავლებლის შეგონება იმის შესახებ, რომ — არსი საუკეთესო სახელმწიფოებრივი წყობილებისა ემყარება სახელმწიფოს წევრთა შორის უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობას, „მაგრამ უკეთუ მათ შორის ვინმე გა-

მოერჩევა ისეთი ნიჭით და უნარით, როცა სხვების ნიჭი და ძლიერება იმ ცალკე პიროვნების უნარს ვერ გაუტოლდება, მაშინ იმ გამორჩეულს ისე არ უნდა ვხედავდეთ, როგორც ნაწილს მთელისას. ჩვენ რომ იგი — ნიჭით და ძლიერებით სხვათაგან ეგზომ უსწორო — სხვებისთვის გაგვეთანასწორებინა, მაშინ მის მიმართ სწორედ უსამართლოდ მოვიქცეოდით. ასეთი ადამიანი ხომ ღმერთს ჰგავს ადამიანთა შორის; აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ კანონმდებლობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ადამიანებით, ვინც დაბადებით და უნარით თანასწორნი არიან; ხოლო გამორჩეულთათვის კანონი არ არსებობს, — ისინი თვითონ არიან კანონი; სასაცილო იქნებოდა ის, ვინც მათ (რჩეულებს) კანონებს მოახვევდა; მაშინ ისინი (რჩეულნი) ალბათ ისევე უპასუხებდნენ, როგორც უპასუხეს ანტისთენეს ლომებმა, როცა ნადირთა კრებაზე კურდღლები ლაპარაკობდნენ და ნანადირევის თანაბრად განაწილებას მოითხოვდნენ“ [5].

არისტოტელეს ეს თეორია, რასაკვირველია, რომელიმე ცალკე, სახელდებით ნაგულისხმევი პიროვნების გააზრებით როდი დაუწერია, მაგრამ სავსებით დასაშვებია, რომ ამ ზოგადი თეორიული მოძღვრების წაკითხვისას იგულისხმება ალექსანდრე, მართლაც „გამორჩეული პიროვნება“, რომლის „გონება აჭარბებდა ყოველ ადამიანურ გონებას“ [6]. მაგრამ თვითონ ალექსანდრე, — როგორც მისი საწუთიოსფლო პრაქტიკა გვიჩვენებს — თავის „გამორჩეულობას“ და ადამიანთა შორის „ლომობას“ არისტოტელეს თეორიის ფილოსოფიურ დასაბუთებად როდი იყენებდა. ალექსანდრეს პოლიტიკური ზნეობისათვის მიუღებელი იყო ყოველი არაბერძნისა და არამაკედონელის ცხოველთან და მცენარესთან გაიგივება; იგი ვერც იმას გაიზიარებდა, რომ მაკედონელებსა და ბერძნებს ბატონობა „ამშვენებთ“, ხოლო ბარბაროსებს — მონობა [7].

ალექსანდრე მაკედონელი სულ სხვა, ახალ, „ნოვატორულ“ გზას აღგა. მან სპარსული სახელმწიფო დაამხო — აქ იგულისხმება ძველი, სპარსული სახელმწიფოებრივი სისტემის მოსპობა და არა საკუთრივ სპარსეთის დამხობა. დარიოსის სიკვდილისთანავე ალექსანდრე აზიის უთვალავ ხალხებზე მბრძანებლობის მემკვიდრედ იქცა, — იმ ხალხებისა, რომელთაც აქამდე ისე ექცეოდნენ, როგორც მონებს და არა რგორც სახელმწიფოს მოქალაქე-წევრებს. და აი, ალექსანდრე აღმოჩნდა პირველი, რომელმაც გამოაცხადა, რომ ყოველი აზიელიც ისეთივე თავისუფალი სულის ადამიანია, როგორც ყოველი ბერძენი თუ მაკედო-

ნელი. სპარსელისა და ეგვიპტელის წესსა და ადათს, ენასა და კულტურას, რელიგიასა და სინდისს ისეთივე პატივი უნდა სცე, როგორც საკუთარ ბერძნულსა და მაკედონურს. ალექსანდრე პირდაპირ ასწავლიდა აზიის ხალხებს აქემენიანთა ბოროტი დესპოტისგან გადავიწყებულ თავისუფლებას (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მის თანადროულ სინამდვილეში). ორივე მხარე უნდა შეჩვეოდა და შეგუებოდა ამ „სინთეზს“ — ამიერიდან ამ ახალ, „ალექსანდრეულ სახელმწიფოში“, ყველა ერთუფლებრივი წევრია — ბერძენიც, მაკედონელიც, ეგვიპტელიც, სპარსელიც და საერთოდ ყოველი აზიელიც. მთავარი ის არის, რომ მათ შორის არავინაა „დამპყრობელი“ და „დაპყრობილი“; აქ დავიწყების ხავსი უნდა დაედოს განსხვავებას „ელინსა“ და „ბარბაროსს“ შორის. სწორედ აღმოსავლეთ-დასავლეთის ასეთი „გამთლიანებით“ და „გაერთსახოვანებით“ ფიქრობდა იგი არისტოტელეს „იდეალური“ სახელმწიფოებრივი სხეულის შექმნას, სადაც ერთმანეთს ჰარმონიულად შეერწყმოდა „ხელოვნება დასვენებისა“ და „წრთობა რკინისა“ [8].

ალბათ, ამ აღმოსავლურ-დასავლურ „სინთეზში“ ალექსანდრეს სწამდა, რომ ელინური კულტურა მაინც „თავისას გაიტანდა“, მაგრამ იგივე ბერძნული აღმოსავლურსაც გვარიანად შეირწყავდა. სიმბოლურადაც გამოჩანს, რომ ალექსანდრემ 30000 სპარსელი ყრმა ბერძნულ ენასა და მაკედონური იარაღის ხმარებაში გააწვრთნევინა [9].

ალექსანდრე ყოველნაირად ცდილობდა „ერთი“, ანუ „საერთო“ მეფის როლი ეთამაშნა ორივე მხარის თვალში, და ამ მხრივ მისი ტვირთი სწორედ განუზომლად მძიმე იყო, ვინათგან იგი ერთადერთი საწყისი დვრიტა იყო იმ ერთიანობისა, რომელიც, მისი აზრით, ისევ და ისევ, მხოლოდ და მხოლოდ მის გარშემო უნდა განივთებულიყო და გამკვრივებულიყო. განსაკუთრებით კი აზიელები უნდა დაერწმუნებია, რომ იგი „მათი მეფე“ იყო, და თანაც გაცილებით უფრო ახლობელიც, ვიდრე რომელიმე „მშობლიური“ დარიოსი, ქსერქსე თუ კიროსი. უკვე ვიცით, როგორ პატივს სცემდა და რა აქტიურად ეხმაურებოდა ალექსანდრე ადგილობრივ კულტურას, ენას, რელიგიას, ზნესა და ჩვევას, ან კიდევ — როგორ იწყნარებდა, აწინაურებდა და იახლოებდა იგი ისევ ადგილობრივ აზიელ პოლიტიკოსებს. მაგრამ დარიოსის შემდეგ მაინც სულ „გასპარსელდა“ ალექსანდრე. აზიელების მიღებისას აზიურ ცერემონიალებს მართავდა, თვითონაც აზიური ტანსაცმლითა და აღმოსავლური ბრწყინვალებით მორთულ-მო-

კაზმული და აზიელ კარისკაცთა ამალით გამოდიოდა. მეორე დღეს კი მას ისევ უბრალო მაკედონურ სამოსსა და საჭურველში ჰხედავდნენ და სხვათაგან მხოლოდ ისევ მისი საოცარი სიმამაცით, გამძლეობით და პირთათმენით თუ გამოიცნობდნენ.

აზიელთა სამყაროში ალექსანდრეს ნათესი უეჭველად ნაყოფს იმკიდა, მაგრამ რამდენად მისაღები, შესასმინარი და შესაგონებელი იყო ეს მისიანებისათვის, თვითონ მაკედონელებისა და ბერძნებისათვის?

და „საკითხავიც“ სწორედ ეს არის!

ჰეფესტიონი, თითქოს, ერთადერთი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ალექსანდრეს „პოლიტიკური იდეოლოგიისა“ სჯეროდა[10], ან, იქნებ, არც ესმოდა, მაგრამ მაინც სჯეროდა, სწამდა და მიჰყვებოდა კიდეც. მეორე ხასიათი კი კრატეროსი იყო, რომელსაც სპარსული წესწყობილებისა არაფერი სწამდა და მხოლოდ მამაპაპეული ტრადიციების წმინდად შენახვაზე და მათ გავრცელებაზე იღვწოდა. ალექსანდრეც ამბობდა: ჰეფესტონს ჩემში ალექსანდრე უყვარს, კრატეროსს კი მეფეო[11]. სხვადასხვა „მსოფლმხედველობის“ მქონე ორ ჰეტერს ერთიმეორე კიდეც სძულდათ, ზოგჯერ ერთმანეთს სასიკვდილოდაც არ ინდობდნენ და მხოლოდ ალექსანდრე ახერხებდა ხმალდახმალ წაკიდებულთა გაშველებას[12].

მაგრამ, თურმე მთელი ჰეტერთა წრე, სრულიად მაკედონური და ბერძნული არისტოკრატია, კრატეროსის მსგავსად, ალექსანდრეს „ახირებული ნოვატორობის“ წინააღმდეგ ყოფილა. მათი ფსიქოლოგია დამპყრობელის ეგოისტურ ინსტინქტებს ოდნავადაც არ გაშორებია. ისინი დამპყრობლებად წამოვიდნენ, დაიპყრეს და დამპყრობლებად რჩებოდნენ. ყველა ისინი არისტოტელეს ერთგული მიმდევარი „პერიპატეტიკოსები“ ყოფილან: ბარბაროსები იმიტომ არიან ბარბაროსები, რომ მონად ემსახურონ ადამიანთა უმაღლეს მოდგმას — ბერძენ-მაკედონელთა მოდგმას, მორჩა და გათავდა! (თურმე ვის ასწავლიდა არისტოტელე და ვინ გამხდარა ერთგული მისი სწავლებისა!).

ყოველ მაკედონელს და ბერძენს თურმე ბოღმა და ბრაზი ახრჩობდა, რომ მათი „საყვარელი მეფე“ სპარსელთა სალოცავებში სპარსულად გუნდრუკს აკმევდა, სპარსელებს რომ იწყნარებდა, იწყალებდა და იახლოებდა, სპარსულ ამალას რომ იმრავლებდა, სპარსული ტანსაცმლის ჩაცმას რომ კადრულობდა და სპარსული სამეფო ინსიგნიებით იკაზმებოდა.

თვითონ აზიურ ფუფუნებას, დიახაც, თავდავიწყებით დაეწაფნენ და დაეხარბნენ დამპყრობელნი, მაგრამ ქონების დაგროვებაზე დახარბებული იმდროინდელი მეომარი, — კლასობრივი კატეგორიით მონათმფლობელი — ქონების ყველაზე სასურველ ნაწილად სწორედ დაპყრობილ, მონადქცეულ ტყვეს გულისხმობდა — მონას, ყველაზე ძვირფას საქონელს!

და ვინ იყო ეს მეტიჩარა ალექსანდრე, ისეთი „რევოლუცია" გამოეტყორ, რომ მონა მონად აღარ დარჩენილიყო და მონათმფლობელი კიდევ მონათმფლობელადჟ!

განსაკუთრებით უფროსი თაობა, ფილიპეს დროინდელი დიდკაცობა ვერ შერიგებოდა ახალგაზრდა მეფის „უცნაურ ახირებულობას!". ისე გამოდიოდა, მთელი მათი სიცოცხლის ნაამაგარი და ნასისხლარი თვითონ, გამარჯვებულებს კი არა, მათგანვე დამარცხებულებს უნდა მოემკოთ და იმკიდნენ კიდეც! მარადიულად ყბადაღებული უთანხმოება „მამებსა" და „შვილებს" შორის ამ შემთხვევაშიც „თავისას" მოითხოვდა. მამები შვილთა „ნოვატორობაში" მამაპაპეულ ტრადიციათა შელახვას ხედავდნენ და ამ შემთხვევაშიც ალექსანდრეს „პრობარბაროსული პოლიტიკა" მაკედონურ ტრადიციათა დასამარებად მიაჩნდათ ფილიპეს კბილა „მამებს".

სამხედრო ბანაკში მცირეოდენი სულიერი რხევაც კი საშიში, ძალზე საშიშია მეფისთვის და მთავარსარდლისთვის. ამიტომ დროზე უნდა „მოეგო გონს" ალექსანდრე, თორემ...

ალექსანდრემ იცოდა, რაც ხდებოდა მის ბანაკში, იცოდა ვის მოსწონდა და ვის არ მოსწონდა მისი „საპოლიტიკო ნოვატორობა". იცოდა, რისთვისაც ემტერებოდნენ ერთმანეთს ჰეფესტიონი და კრატეროსი. იცოდა, რომ „ბარბაროსთა ამყვავებელი" მისი პოლიტიკით უკმაყოფილო იყო პარმენიონი, მეფის შემდგომ „მეორე კაცი", პარმენიონის ვაჟიც, ფილოტა, ბუნებით ფიცხელი და შეუპოვარი, აშკარად, ჯარისკაცთა შორისაც არ ერიდებოდა მეფის აუგად მოხსენიებას. — ეგზომ დიდი სახელი ალექსანდრემ მამაჩემის და ჩემის წყალობით მოიხვეჭაო, — ამბობდა ფილოტა, თუ ჯარისკაცებში, თუ მეძავ ქალებში. ძალზე ახლობელი შავი კლიტოსიც კი — ძმა ალექსანდრეს ძუძუსმეველისა და სარდალი სამეფო აგემისა — უკვე გაურბოდა მეფესთან შეხვედრას.

სამხედრო საბჭო აქ, ინდოეთის მისაქციელთან, აღარ ჰგავდა სამხედრო საბჭოს გავგამელას ბრძოლის წინანდელს. ახლა სარდალთა

თათბირზე ზომაგადასული ხმაური იდგა, წამდაუწუმ გაგულისებულთა ნერვიული შეძახილები და კბილთა ღრჭენა ისმოდა. ისეთებიც გამოჩენილან, ომის დასრულებას, ომით მონაპოვრების განაწილებას, ჯარების დაშლას და სამშობლოში დაბრუნებას რომ მოითხოვდნენ.

რაღა თქმა უნდა, ეს განწყობილება მეთაურებიდან ჯარისკაცებზე უნდა გადასულიყო. ჯარიც ომის გათავებას და სახლში დაბრუნებას ითხოვდა და მოითხოვდა. ჯარს ბუზღუნისა და დრტვინვის „საფეხურები“ უკვე გაევლო და ახლა უკვე იმუქრებოდა.

ალექსანდრეს საერთოდ დაუთმობელი ხასიათი ჰქონდა და მით უფრო ვერ დათმობდა ყველაზე მთავარს, რაც მას თავისი ძველი სახელმწიფოს ერთადერთ მაარსებელ ქვაკუთხედად მიაჩნდა. ვერც ხელქვეითთა თავაშვებულობას და დაუმორჩილებლობას დაუშვებდა, ვინათგან ალექსანდრესავით არავინ იცოდა, რომ სამხედრო დისციპლინის ოდნავი შესუსტებაც კი სულ მალე ჯარს უწესრიგო, უთავბოლო და საშიში ინსტინქტებით აღძრულ ბრბოდ აქცევდა.

მაშ, არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებდა.

მაკედონელთა ბანაკში სისხლის სუნი ჩამოწვა.

და... პატროკლეებმა აქილევსს მოკვლა დაუპირეს.

მეთაურთა წრეში იყო ვინმე დიმნოსი, მაკედონიის ქალესტრადან, კაცი ფრიად ექსცენტრიული, ნერვიული, მამათმავალი. ერთ დღეს იგი გამოუტყდა თავის საყვარელ ყმაწვილს, — ნიკომაქეს. — ჩვენ ვართ შეთქმულნი, დღეიდან მესამე დღეს უნდა მოვკლათ მეფე და შეთქმულებაში შენც უნდა მიიღო მონაწილეობაო. ნიკომაქემ გადაჭრით უარი თქვა. მაშინ დიმნოსმა ფიცი ჩამოართვა, შეთქმულებაზე სიტყვა არ დაგცდესო. ნიკომაქემ ფიცი კი მისცა, მაგრამ იმ დღესვე ყველაფერი მაინც აუწყა თავის ძმას, კებალინეს. კებალინე სასახლეში წავიდა და მის შესასვლელთან დადგა, მეფის რომელიმე ახლობელი კარისკაცის მოლოდინში. გამოჩნდა ფილოტა. ფილოტაზე ახლობელი მეფეს ვინღა ჰყავსო, — და სწორედ მას აუწყა კებალინემ შეთქულების ამბავი. ფილოტა მაშინვე შევიდა მეფესთან, შევიდა, ბევრ რამეზე ელაპარაკა, მაგრამ ბოლს ისე დაშორდა, რომ შეთქმულებაზე არაფერიც არ უხსენებია. საღამოს კებალინემ ფილოტას მიაკითხა და ამბავი მოიკითხა. დღეს თქმა ვერ შოვახერხე და ხვალ აუცილებლად ვეტყვი მეფეს მაგ საშფოთარ ამბავსო, — უპასუხა ფილოტამ. მაგრამ არც მეორე დღის ხანგრძლივ საუბარში უხსენებია შეთქმულება მეფესთან ფილოტას. კებალინე ფილოტას უკვე აღარ

ენდო და ახლა მეტრონს, მეფის მესაჭურვლეს აუწყა და თან ალექ-სანდრესთან პირადი შეხვედრის მოწყობა სთხოვა. მეტრონმა კებალინე იდუმალ მეფის საჭურველთა სათავსო ოთახში შეიყვანა, თვითონ კი აბაზანაში შევარდა, სადაც იმ წუთში ალექსანდრე ბანაობდა და განისვენებდა. როგორც იქნა, მეფე და დამსმენი ერთმანეთს შეხვდნენ. კებალინემ ყველაფერი დაწვრილებით აუწყა. ალექსანდრე საშინლად აღელდა და აზვავდა. ჯერ თვითონ კებალინეზე აღეძრა ეჭვი — ასე გვიან რატომ შემატყობინეო. მერე კი, — როცა შეიტყო, ფილოტამ ეს ამბავი ორი დღით ათრია უთქმელადო — სულ შეიშალა მეფე. ახლავე დიმნოსი შეიპყარით და აქ მომგვარეთო, — დაიღრიალა. ბრძანების შესასრულებლად გაქანდნენ, მაგრამ ხელცარიელნი მობრუნდნენ — დიმნოსმა თავი მოიკლაო. მაშინ ფილოტა მოიკითხა ალექსანდრემ. ფილოტაც მოვიდა და კითხვაზე, თუ რატომ არ აუწყა მეფეს მან შეთქმულების შესახებ, უპასუხა, — აბა, რა საჭირო იყო გარყვნილთა ტრაბახი სერიოზულ განაზრახად ჩამეთვალა და მეფე სასაცილო მდგომარეობაში ჩამეგდოო, მაგრამ ახლა, რაკი დიმნოსმა თავი მოიკლა, საქმე მართლა სერიოზული ყოფილა და გამოძიებას ბოლომდე მივყვეთო; მე კი გთხოვ: ისევ ძველებურად გიყვარდე და ეჭვებს გულში ნუღარ გაიტარებო, — უთხრა და მოეხვია ფილოტა მეფეს. ალექსანდრემ, ვითომ ფილოტას უცოდველობაში დარწმუნებულმა, იგი გაუშვა და ჩვეულებრივ სანადიმო ტრაპეზზე დაიბარა. მაგრამ ფილოტას მობრუნებამდე მან საიდუმლო საბჭო შეკყარა და საქმის ვითარება შეატყობინა. მოთათბირეებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს შეთქმულების სერიოზულობა და საშიშროება. გულუბრყვილობა იქნება იმის ფიქრი, თითქოს ვიღაც ქალესტრელ დიმნოსს გაებედნოს ამოდენა საქმეო; იგი უფრო იარაღი ჩანს ვინმე უფრო მძლავრის ხელშიო, ალექსანდრემ საბჭო დაშალა და საგანგებო სუფრაზე შემოიყარა ჰეფესტიონი, კრატეროსი, კენოსი, ერიგიოსი, პერდიკა და ლეონატოსი. ფილოტაც უნდა მოსულიყო და ისიც მოვიდა.

ოპერაცია იწყება, სანამ თანამესუფრენი სუფრას ულხენენ, მეფის ერთგული ჯარები იპერენ ყოველ შესასველელ-გამოსასვლელს, ყველა კარიბჭეს; გზას, განსაკუთრებით ეკბატანასკენ მიმავალ გზას, ვინათგან ეკბატანაში არის პარმენიონი, მამა ფილოტასი... იმ სუფრაზე არაფერიც არ ხდება — ფილოტა აინუნშიც არ არის, ისე მიდის სახლში და იძინებს ღრმა, არხეინი ძილით. მაგრამ მისი სახლი უკვე გარშემორტყმულია მეფის ერთგული სამასი რჩეული მეომრით. ისინი

ერთბაშად იჭრებიან სახლში, თავს ესხმიან ფილოტას, ბორკილებს უყრიან და მიჰყავთ მეფის კარავში.

ასე განესრულა ღამე. მეორე დღეს კი მეფემ, ძველი მაკედონური წესით, ჯარი შეჰყარა, ვითარცა სასამართლო, და გამოუცხადა: მხილებულ არიან შეთქმულნი — პარმენიონი, ფილოტა, დიმნოსი, პევკოლაოსი, დემეტრიოსი, — რომელთაც განზრახული ჰქონდათ ჩემი მოკვლაო. გამოვიდნენ და ილაპარაკეს — ნიკომაქემ, კებალინემ და მეტრონმა; დიმნოსის თვითმკვლელობაც ღალატის საბუთად დაიდეს, მისი გვამიც გამოიტანეს და ჯარის წინ დააგდეს. მეფემ ფილოტას ბრალი დასდო — ჩემი მოკვლის განზრახვა რომ შეატყობინეს, ორი დღე უთქმელად ათრია და მესამე დღეს, — რომ არ დამესწრო — განზრახვა უნდა შეესრულებიათო. ეს თქვა და მეფემ წერილი ამოიღო და წაუკითხა ხალხს, — აი, რას სწერს პარმენიონი შვილებს, ფილოტას და ნიკანორს: „ჯერ თქვენს თავზე იზრუნეთ, მერე თქვენიანებზე და ასე წარმატებით მივაღწევთ ჩვენს მიზანსო“. მიზანი კი თურმე ჩემი მოკვლა ჰქონიათ მამა-შვილებსო, — განაგრძობდა ალექსანდრე ბრალდების სიტყვას — სხვა რამეც ბევრი მესმოდა ფილოტას ორგულობისა და ღალატისაო, მამაჩემი რომ მოკლეს, ფილოტას სხვა ვისმეს აყვანა უნდოდა ტახტზეო; მაგის დის ქმარი, ატალოსი ხომ დედაჩემს და მე გვებრძოდა ისე თავგამოდებით; ეგვიპტეშიც რამდენჯერმე მომახსენეს, რა კადნიერი და მუქარით გატენილი სიტყვები დაუხარჯავს მაგ ვაებატონს ჩემზედ, რაიც შემდგომაც გაუმეორებია მის როსკიპ ანტიგონასთან; ახლა მისი თავგასულობა, ტრაბახი, უზომო ფუფუნება, თავგაწყვეტილი ფუქსავატობა იხილეთ, მამამისსაც რომ ათქმევინა — ნამეტანს ნუ იზამ, ნაადრევად ნუ გამომეღავნებიო; კარგა ხანია, მამა-შვილმა ხელი აიღო ერთგულ სამსახურზე; გავგამეღანეც ბრძოლა კინაღამ წავაგეთ პარმენიონის წყალობით; დარიოსის სიკვდილის შემდეგ კი მამამ და შვილმა მდგომარეობა მომწიფებულად ჩათვალეს და მოქმედებაზე გადავიდნენ, მკვლელები დაიქირავეს და ჩემი მოკვლის დღეც დანიშნესო.

მეფის სიტყვამ ააღელვა და შეთქმულთა წინააღმდეგ განაწყო ხალხი. მაგრამ, როცა მეფის ბრძანებით ფილოტაც გამოიყვანეს, ახლა ის შეიცოდა ხალხმა — გუშინ დიადი, კავალერიის მეთაური, ამპარტავანი და ბედნიერი, დღეს დაცემული, ბორკილგაყრილი და თავზე ჯვალოჩამოცმული, დამცირებული და სიკვდილმიცემული.

მაშინ სიტყვით გამოვიდა სარდალი ამინტა, რომელმაც ფილოტას

ბრალი დასდო და ხალხი დაარწმუნა, — უკეთუ ფილოტა თავისას ვაიტანდა და მეფეს სიკვდილს შეჰყრიდა, მაშინ ყველას, ყოველ ჯარისკაცს სამშობლოში დაბრუნების იმედიც ეკარგებოდა.

მერე, მწვავე სიტყვა წარმოთქვა კენოსმა, ფილოტას დის ქმარმა, რომელმაც ბრალდება დააბრუნა თუ არა, ქვას ხელი წამოავლო და ფილოტასთვის პირველს უნდა დაერტყა და ამით ყველასთვის ნიშანი მიეცა, მაკედონური წესით, განწირულის ჩაქვავებისა. მაგრამ ალექსანდრემ არ დაანება ქვის დარტყმა კენოსს. დაე, ფილოტამ ჯერ თავი იმართლოსო, და თვითონ მეფემ დატოვა საკრებულო, რათა დაცვის თავისუფლება არ დავაბრკოლოო.

საინტერესო ისაა, რომ გასვლის წინ მეფემ ხალხის გასაგონად უთხრა ფილოტას — სიტყვა თქვი და მაკედონელებს ელაპარაკე მაკედონურ ენაზე, უკეთუ მშობლიური ენა არ დაგვიწყნია და კიდევ სცემ მას პატივსო.

ფილოტამაც თქვა თავისი სიტყვა, — მაინც ბერძნულად თქვა და თავი ასე იმართლა: დიდი ხანია, ჩემი მშობლიური მაკედონური ენა ხმარებიდან გამოვიდა და ახლა ყველას — გამარჯვებულებსაც (მაკედონელებს) და დამარცხებულებსაც (აზიელებს) უცხო (ბერძნული) ენის შესწავლა გვიხდებაო; მერე ბრალდება უარჰყო თავგამოდებით ფილოტამ. მამაჩემიც და მისი შვილებიც ყოველთვის უერთგულესი მსახურნი ვიყავით ალექსანდრესიო; მე მხოლოდ იმიტომ არ მოვახსენე მეფეს შეთქმულების ამბავი, რომ იგი არ მჯეროდა და არ მინდოდა ისეთივე გაცრუებული დამსმენი ვყოფილიყავი, როგორიც მამაჩემი აღმოჩნდა მაშინ, როცა ტარსოსში ფილიპე აკარნანიელი ასმევდა წამალს ავადმყოფ მეფესო.

დიდი მღელვარების პირობებში მაკედონელთა საკრებულომ საჭიროდ სცნო შეთქმულთა სიკვდილით დასჯა. მაგრამ ალექსანდრემ ერთი დღით კიდევ გადასდო სასამართლო. მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ფილოტას აღიარება დანაშაულში, რაიც ნათელს მოჰფენდა პარმენიონისა და დანარჩენების წილხვედრს შეთქმულებაში.

ალექსანდრემ კიდევ შეჰყარა საიდუმლო საბჭო. უმრავლესობამ მაშინვე მოითხოვა ფილოტას მოკვლა. მაგრამ ჰეფესტიონი, კრატეროსი და კენოსი მეფეს ურჩევდნენ მაინც სიკვდილამდე აიძულონ ფილოტა აღიარებაზე. ასედაც გადაწყვიტეს.

ჰეფესტიონის, კრატეროსისა და კენოსის დასწრებით, დაიწყო ფილოტას დაკითხვა. დაკითხვა წამებაში გადავიდა. წამება ფილო-

ტასთვის აუტანელი გახდა და განწირულმა ჰეფესტიონს ვედრება დაუწყო, შემიბრალე, წამება შემიმსუბუქეო. ალექსანდრე ფარდის იქით ყოფილა ჩასაფრებული, ვეღარ მოითმინა და დაუღრიალა: „ნუთუ, ფილოტავ, ასეთმა სულმდაბალმა და ლაჩარმა გაბედე ამოდენა საქმისთვის ხელის გამოღება?!“

ბოლოს და ბოლოს, ესე სცნო წამებით განაწამებმა: დიახ, მე და მამაჩემი ვლაპარაკობდით ალექსანდრეს მოკვლაზე, მაგრამ ეს არ გვინდოდა გვექნა, სანამ დარიოსი იყო ცოცხალი, რადგან ალექსანდრეს მოკვლით მაშინ მოვიგებდით არა ჩვენ, არამედ სპარსელები, ხოლო ახლა თვითონ, ფილოტამ, — ისე რომ მამამისმა პარმენიონმა არაფერი იცოდა — გადაწყვიტა და შეკრა შეთქმულება ალექსანდრეს მოსაკვდინებლად...

მეორე დღეს მეფე გამოვიდა და აცნობა ხალხს ფილოტას აღიარება. მაკედონელები ფილოტას მიცვივდნენ და შუბებით დაცხრილეს[13].

მაშინვე უნდა გადაწყვეტილიყო პარმენონის მოკვლის საკითხიც. თუ ფილოტა მოღალატე იყო, მოღალატე იქნებოდა პარმენიონიც, ვინათგან მამა და შვილი, არამცთუ მეფის მოკვლას, უერთმანეთოდ უბრალოდ წყალსაც არ გადააქცევდნენ. ხოლო, უკეთუ ეს გამონაკლისი მოხდა და მამამ შვილის განზრახვისა ამჯერად არაფერი იცოდა, სულ ერთია — ფილოტას მკვლელობის შემდგომ მაინც პარმენიონი მტერი იქნებოდა ალექსანდრესი. ორი შვილი შესწირა პარმენიონმა ალექსანდრეს კეთილდღეობას, ახლა კი ეს ერთადერთიც ალექსანდრემ შეიწირა. რასაკვირველია, შვილებამოწყვეტილი, მარტოდ შთენილი ბებერი სარდალი შურისსაძიებლად თავს აღარ დაიზოგავდა. იგი დიდ ჯარებს სარდლობდა მიდიაში; მას ეპარა მრავალათას ტალანტად ღირებული საგანძურები ეკბატანაში. იგი ყველაფერს შურისსაძიებლად დახარჯავდა.

დიახ, უნდა მოეკლათ პარმენიონიც. უნდა დაესწროთ და მოეკლათ. ეკბატანაში პარმენიონს თანაშემწე სარდლებად უდგნენ მენიდა, კლეანდროსი და სიტალკი — თრაკიელთა ბელადი, და ამათი ხელით უნდა მოეღოთ ბოლო პარმენიონისთვის, სასწრაფოდ, მანამ, სანამ პარმენიონი რამეს იაზრებდა მისი უბედურებისას. ალექსანდრემ უახლოესთაგან პოლიდამანტი აარჩია, ჰეტერთა რაზმი და წერილები მისცა და ეკბატანასკენ აფრინა. სწრაფ, დრომადერ აქლემებზე ისხდნენ. მეთერთმეტე ღამეს მიიჭრნენ ეკბატანს. იმ ღამით პოლიდამანტმა ინახულა სიტალკი, კლეანდროსი და მენიდა, მეფის წერილობითი

ბრძანება გააცნო სამივეს. გადაწყვიტეს, როდის და როგორ მოეკლათ პარმენიონი. მეორე დღესვე, დილით უნდა შეხვედროდნენ და მოეკლათ. პარმენიონს აცნობა თავის ჩამოსვლა და მეფის წერილის ჩამოტანა, პოლიდამანტმა. დათქვეს, დილით შეხვედროდნენ ყველანი ერთმანეთს, სასახლის ბაღში.

დილით ადრე, ბაღში მოსეირნე დახვდა პარმენიონი თავის სარდლებს — სიტალკს, მენიდას, კლეანდროსს. პოლიდამანტიც მოვიდა. ყმაწვილური სიმარდით შეეგება სამოცდაათი წლის სარდალი მეფის წარგზავნილს. ერთმანეთს გადაეხვივნენ. სტუმარმა მასპინძელს მეფის წერილი გადასცა. პარმენიონმა ღიმილით გასტეხა ბეჭედი, წერილი წაიკითხა და გამოაცხადა: არახოზიელთა დალაშქვრას ამზადებს თურმე ჩვენი სათაყვანო მეფე; საოცარია მისი საქმენი, დიადნი და მარად დაუსვენარნი; მაგრამ, ოდეს მან მიაღწია ეგზომ დიდებას, ჩვენ მეტი უნდა ვიზრუნოთ მისი სიცოცხლის დასაცავად და მოსავლელადო.

და, ამას რომ ამბობდა, პირველმა სიტალკ თრაკიელმა აძგერა მახვილი, გული გაუპო და ძირს დაცემულს გამოსჭრა ყელი. დანარჩენებმაც წამოუშინეს მახვილები, ისედაც უკვე სიკვდილში ჩაძირულს...

გრძელდებოდა დანარჩენ შეთქმულთა გასამართლება. ბორკილები ედო და საპყრობილეში თავის წილხვედრს ელოდებოდა დემეტრიოსი — მეფის შვიდ მცველთაგან ერთ-ერთი (ახლა მისი აღვილი პტოლემაიოს ლაგიდს დაეჭირა). შეთქმულთა ჯგუფს აკუთვნებდნენ ფილოტას მეგობრებსა და თანამებრძოლებს, ანდრომენეს ოთხ ვაჟს — ამინტას, სიმიას, ატალოსსა და პოლემონს. პოლემონმა, ფილოტას შეპყრობა რომ შეიტყო, გაქცევა მოასწრო. ამან დანარჩენი ძმების მიმართ მეფის ეჭვები გააძლიერა. მაგრამ მედგრად იცავდა თავსაც და ძმებსაც ამინტა. მაკედონელებს ეჭვი აღარ ეპარებოდათ ანდრომენიდების სიმართლეში. ბოლოს ამინტამ მეფეს თხოვა გაეშვა იგი გაქცეული ძმის მოსაყვანად. ალექსანდრემ დართო ნება. მართლაც, წავიდა ამინტა და მოიყვანა ძმა, პოლემონი. ძმები გაათავისუფლეს. მალე ამინტამ ერთი რომელიღაც სოფლისათვის გამართულ ბრძოლაში ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა და იქვე მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. ამის შემდეგ, დანარჩენი ძმებისათვის ალექსანდრეს აღარაფერი ვნება აღარ მიუყენებია.

აქვე მეფემ გაიხსენა ალექსანდრე ლინკესტიდი, რომელმაც ოთხი წლის წინათ, მცირე აზიაში, მისი მოკვლა დააპირა. მას მერე დატყ-

ვევებულს მოათრევდნენ ლინკესტიდს. მეფე ამდენხანს მის მოსისხლეს მხოლოდ იმიტომ აცოცხლებდა, რომ იგი ანტიპატროსის ცოლისძმა იყო. ახლა კი, — როცა მეფის მოკვლის იდეა ასე „პრაქტიკულად“ გამხდარა და იქვე მეფობის ახალი კანდიდატის ძიებაც ჩვეულებრივ საკითხად დაისმებოდა — ალექსანდრე ლინკესტიდი აუცილებლად უნდა მოეკლათ, რადგან იგი ხომ თავიდანვე, თავისი „დინასტიური შთამომავლობით“ მაკედონიის ტახტის პრეტენდენტად ითვლებოდა. ალექსანდრეს შემდეგ მაკედონიის მეფობა ყველაზე კანონიერად ფილიპეს მეორე ვაჟსა და ალექსანდრეს ნახევარძმას, არიდაიოსს ეკუთვნოდა, მაგრამ, უკეთუ ალექსანდრეს ვინმე მოკლავდა (!), უფრო რეალურად საფიქრებელი ის იყო, რომ მის ნაცვლად ტახტზე არიდაიოსს, ამ „კანონიერ იდიოტს“ კი არ დასვამდნენ, არამედ „ნაკლებ კანონიერს“, მაგრამ მაინც ნორმალურ ალექსანდრე ლინკესტიდს.

შეიძლება თვითონ ალექსანდრე ლინკესტიდს, ოთხი წლის პატიმრობით განაწამებს, ტახტი კი არა, იქნებ თავიც დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ მაინც გაახსენეს, გამოიყვანეს და სიცოცხლეს გამოასალმეს.

ასე დამთავრდა ეს პირველი შეტაკება პატროკლეებსა და მათ „საყვარელ აქილევსს“ შორის. მეფემ გაიმარჯვა, მაგრამ ვაი იმისთანა გამარჯვებას! იქნებ, ყველას ეწამებინა მეფის სამართლიანობა ფილოტასა და პარმენიონის მიმართ, მაგრამ ძნელი და თითქმის შეუძლებელი იყო შევსება ამ უმძიმესი დანაკლისისა. „დიადი მამა-შვილის“ განადგურებამ გლოვისა და ზაფრის ზარი დაარისხა მაკედონელთა ბანაკის თავზე. ბევრი ჯარისკაცი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას „საყვარელ სარდალთა“ დახოცვის გამო. მაკედონიაში გაგზავნილ ჯარისკაცულ წერილებში იკითხებოდა მეფის „უსამართლობის“ მამხილებელი აზრები.

ალექსანდრემ უკმაყოფილო ჯარისკაცები ერთ საჯარისო ნაწილში შეჰყარა, სახელად „უწესრიგოთა რაზმი“ („ტაგმა ატაკტონ“) დაარქვა და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ მოაქცია, — ვინძლო ამ „ანარქისტებს“ სხვა, ჯანსაღი საომარი ძალებიც არ აეყოლიებინათ და მორალურად „გახრწნილებს“ სხვებიც არ გაეხრწნათ.

იმ ზამთარს ალექსანდრემ საერთოდ მოახდინა ჯარების რეორგანიზაცია. მხედართა რვა-რვა ილა თითო ჰიპარქიაში მოაქცია. და ასე შექმნილ ორ ჰიპარქიას მეთაურებად — ჰიპაროქსებად — ერთს კლიტოს შავი დაუნიშნა, მეორეს ჰეფესტიონი. ამათ გარდა, იყო კიდევ

რვა ჰიპარქია. ცალკე საჯარისო ნაწილად რჩებოდა სამეფო მხედრობა — აგემა. ცხენოსნური ნაწილების გარდა, მთავარ საომარ ძალად რჩებოდა, რასაკვირველია, ისევ ტაქსისებად დაყოფილი ქვეითთა ფალანგა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ალექსანდრეს ბრძანებით 30000 სპარსელ ყმაწვილს ზრდიდნენ და წვრთნიდნენ ბერძნულ ენაში და მაკედონურ საომარ ხელოვნებაში. ამათ ალექსანდრემ „ეპიგონები" („შთამომავალნი", „მიმდევარნი") დაარქვა და იგულისხმა, რომ ისინი ახალ ცვლად დადგებოდნენ მაკედონიის საომარი დროშების ქვეშ[14]. მაგრამ მარტო სპარსელები კი არა, მალე აზიის სხვა ტომებიც მრავალ ნაკადად შეერთვებიან მაკედონიის სამხედრო ბანაკს — ბაქტრები, სოგდიანელები, პაროპამისადები, სკვითები, ინდოელები.

ამ მხრივაც, როგორც ჩანდა, დროისა და სივრცის დინებით, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც თვითონ ალექსანდრე ვარაუდობდა: მისი არმიები, — რომლებიც აქამდე მხოლოდ მაკედონელთა, ბერძენთა და ევროპელ ბარბაროსთაგან შედგებოდა — ამიერიდან ისეთივე „ნაერთი" უნდა ყოფილიყო, როგორც მისი სახელმწიფო — ევროპულ-აზიური, აღმოსავლურ-დასავლური, „მრავალ-ნაკადური".

აზიის ყოველ სატრაპიასა და ყოველ კუთხეში ალექსანდრესგან ჩამკვიდრებული ბერძნულ-მაკედონური გარნიზონები დროთა განმავლობაში, წმინდა სამხედრო ორგანიზაციის გარდა, სამოქალაქო თემებადაც ყალიბდებოდნენ და მათში ჩარიცხული აზიელებიც „ელინიზებულ" მეომრებად და მოქალაქეებად „გვარდებოდნენ".

ალექსანდრეს ახალი, ევროპულ-აზიური ჯარები თვითონ ატარებდნენ ახალ სახელმწიფოებრივ ატრიბუტებს. სამხედრო ბანაკი იმავდროულად სამოქალაქო ხელისუფლების რეზიდენციაც იყო. აქ წყდებოდა სახელმწიფოს მართვა-ყვამგეობა, სახაზინო ფინანსური საქმენი, საინტენდანტო მმართველობა, არმიის შეიარაღება, შემოსვა, სურსათი, ფურაჟი, სალაზარეთო სამსახური. ბანაკის შიგნით და გარეთ განუშორებლად ირეოდნენ ყოველი რჯულის სამხედრონი და სამოქალაქონი, საერონი და სასულიერონი — ვაჭრები, სპეკულანტები, ფილოსოფოსები, პედაგოგები, ექიმები, ექიმბაშები, ვარსკვლავთმრიცხველნი, მკითხავნი, ქურუმნი, ფათერაკებისა და თავგადასავლების მაძიებელი ავანტიურისტები, მეძავი ქალები... სამხედრო ბანაკი, თითქოს, მოძრავი სახელმწიფო იყო, ახალშობილი სახელმწიფო, სამშობიარო ტკივილებით, სიახლის სიხარულით, მომავლის რწმენით,

ეპვით, დაცემით, ამაღლებით, ისევ დაცემით, ისევ იმედით, ისევ და ისევ...

329 წლის გაზაფხულისათვის ალექსანდრე გულსრულად ემზადებოდა სალაშქროდ. მთებს გადაღმა, ბაქტრიაში, მდინარე ოქსის (ამუ-დარია) ხეობაში უზურპატორი, ბესა-არტაქსერქსე მაკედონელთა დასახვედრად იკრებდა ძალებს. მასთან იდგნენ და მხარს უმაგრებდნენ — დატაფერნ და ოქსიართ ბაქტრიელნი, სპიტამენ სოგდიანელი და კატან პარეტაკენელი. სატიბარანიც ბესას შეერთებოდა, არეიიდან გამოქცეული.

ბესას ბრძანებით, ბაქტრიაში შესასვლელი გზების გასწვრივ ყველაფერი გადასწვეს და გადაბუგეს, — მტერს რომ ფეხი ვერ მოეკიდა და საშმელად ლუკმაც ვერ მოეძია. სატიბარზანს ბესამ ორი ათასი მხედარი მისცა და ისევ არეიაში გაგზავნა, — არეელები იქნებ ისევ ააჯანყო და აქეთ წამოსულ ალექსანდრესაც ზურგში მოექცე და მოეკიდოო. პართიაშიც გაგზავნა ბესამ ერთგული კაცი, სახელად ბრასანი, რომელსაც უნდა აეჯანყებინა პართიელები მაკედონელი მეფისა და მისგან დაყენებული სატრაპის, ფრატაფერნის წინააღმდეგ. ბრასანი პართიაში ვერაფერს გახდა, მაგრამ სატიბარზანმა კი მართლაც ისევ აიყოლია და ააჯანყა არეიელები მაკედონელთა წინააღმდეგ. ეტყობოდა, ალექსანდრესგან დაყენებული არსამიც თანაუგრძნობდა აჯანყებულებს.

ალექსანდრემ ისევ აფრინა ჯარი არეიაში, სპარსი არტაბაზისა და ახლო მეგობრების, ერიგიოსისა და კარანოსის სარდლობით. პართიაში ფრატაფერნსაც შეუთვალა მეფემ, ზურგიდან დაარტყი აჯანყებულ არეელებსო. სატიბარზანი ამჯერად თავგამეტებით შეეგება მეფის ჯარს. შუა ბრძოლისას ივი წინ გამოიჭრა, მუზარადი მოიძრო და მტრის სარდალი ორთა ბრძოლაში გაიწვია. გავიდა ერიგიოსი. ორივე იბრძოდა ვაჟკაცურად. ბოლოს ერიგიოსმა სატიბარზანს შიგ სახეში შუბი ჩაარჭო და უსულოდ დააგორა. მოკლული სპარსელი სარდლის ჯარი მაშინვე გაიქცა და უგზო-უკვლოდ გაიფანტა. არეია ისევ შეურიგდა მაკედონელთა ბატონობას [15].

ალექსანდრემ იმ ადგილზე, სადაც ახლა თვითონ ბანაკად იდგა — „ინდოეთის კავკასიონის“ ძირში — კიდევ ერთ „ალექსანდრიას“ დაუდო საძირკველი. აქვე ამ ოლქის სატრაპად მან დასვა სპარსელი პროექსი, ხოლო მის „ეპისკოპოსად“, ძლიერი გარნიზონით, ჰეტერი ნილოქსენოსი.

დგას 329 წლის ადრიანი გაზაფხული და ალექსანდრე მაკედონელი თავისი ნაზამთრალი, სულით და ხორცით ნანჯღრევი ჯარებით, ბაქტრიისაკენ მიეშურება. თოთხმეტი დღე იარეს თოვლით და ყინვით დათრგუნვილ მთებსა და ღრეებში. გზაზე და ხევში, სადაც კი სულიერს სულიერობა შეეძლო, ყველაფერი დაცარიელებული ხვდებოდათ — სოფლები გაქცეული, სახლ-კარი დაქცეული, საქონელი გარეკილი, ნათესები აოხრებული. მეომრებმა ბალახისა და ფესვების ჭამა ისწავლეს, ხორცად ხანდახან საჭაპანე საქონელს თუ გაურევდნენ.

ეს იყო თავისებური წინამორბედი სამთო ლაშქრობა 110 წლის შემდგომ მომხდარი სახელოვანი ჰანიბალის ალპური ლაშქრობისა.

მეთექვსმეტე დღეს, როგორც იქნა, მიატანეს პირველ ბაქტრიულ ქალაქს, დრაპსაკას. ბაქტრიელები, როგორც ჩანს, არ მოელოდნენ ასეთი სისწრაფით მტრის გამოჩენას და ხელგაუნძრევლად დაანებეს დრაპსაკა ალექსანდრეს. ქალაქი ჩაიბარა, აღარ შეჩერებულა და ისევ სწრაფი სვლით განაგრძო გზა მაკედონელმა. ისევ დაუბრკოლებლად გავიდნენ ბაქტრიის ნაყოფიერ ველებზე, მიატანეს მთავარ ქალაქსაც — ბაქტრას.

ბესა უზურპატორმა, როგორც კი ალექსანდრეს მოახლოება შეიტყო, ისლა მოახერხა, თავის ჯარით ქალაქიდან გაიქცა, ოქსზე ხომალდებით გადავიდა, ის ხომალდები დასწვა (მტერს რომ ხელთ არ ჩავარდნოდა) და სოგდიანაში ქალაქ ნავტაკამდე უკანმოუხედავად ირბინა. იგი არ აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, რამდენსაც ბაქიბუქობდა. ბაქტრიელებმა სულ მიატოვეს თავისი დაბნეული „მეფე“ და თავიანთ საცხოვრებლებსა და სახიზარებში გაიხიზნენ.

ალექსანდრემ სისხლდაუქცევლად დაიჭირა მთელი ბაქტრია.

ამასობაში ალექსანდრესთან მობრუნდნენ არეიაში აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილი არტაბაზი, ერიგიოსი და კარანოსი და ყოველივე დაწვრილებით აუწყეს — აჯანყების ჩახშობა, სატიბარზანის მოკვლა, მისი ჯარების განადგურება და არსამ სატრაპის თვალთმაქცობა. ალექსანდრემ არეიაში ახალი სატრაპი გაგზავნა — ჰეტერი სტასანორი, რომელსაც ებრძანა არეიის მმართველობაც მიეღო და არსამიც პატიმრობაში აეყვანა [16].

ბაქტრიის მდიდარი სატრაპიის მმართველობა ალექსანდრემ ჩააბარა მხცოვან არტაბაზს და ამით მან სპარსელებსა და აზიელებს, „მისი სიყვარულით“, ერთხელ კიდევ მოაფხანინა გული.

ბაქტრიაში ალექსანდრემ ერთად დაასახლა საომარი მწყობრიდან გამოსული ვეტერანები და ამით საძირკველი ჩაუგდო კიდევ ერთ თანამოსახელე ქალაქს — ალექსანდრია-ბაქტრიანას.

ალექსანდრე მზად იყო გადაელახა ოქსი და შესულიყო სოგდიანაში, მარაყანდას (სამარყანდი) სქლადდასახლებულ, მდიდარ ველზე. ქვეყანა, რომელიც დასავლეთიდან დაცული იყო თვალმიუწვდომი უდაბნოებით და დანარჩენი სამი მხრიდან მთებით და ვიწრობებით, ყოველ საშუალო სარდალსაც იოლად შეეძლო გამოეყენებინა არამცთუ მტრის მოსაგერიებლად, არამედ ხანგრძლივი, წარმატებული ომების საწარმოებლად. მაგრამ ბესა, თურმე, არც საშუალო ყოფილა, არც ქვესაშუალო. ალექსანდრეს ისევ არ აღმოაჩნდა სერიოზული, მისი ღირსსაფერი მოპირდაპირე *.

ალექსანდრე მაინც უნდა აჩქარებულიყო, ვინათგან სანამ უზურპატორს პირადად არ შეიპყრობდა, მანამ სპარსეთის გვირგვინისათვის ბრძოლა დასრულებულად არ ჩაითვლებოდა. ჯარები ბაქტრიიდან გაიყვანა, უდაბნო ერთის ამოსუნთქვით გაიარა და ოქსს მიადგა [1].

მდინარე ფართო იყო, ღრმა, უფონო, ქვიშიან-ნაპირიანი და ქვიშიან-ძირიანი. ნავები აღარსად იყო. ახალი ნავების და ტივების შესაკრავად თვალსაწიერზე ერთი ხეც არ მოიხილვებოდა.

მაშინ დუნაის გადალახვა გაიხსენა ალექსანდრემ. კარვებს ტყავები ახსნა, ხმელი ბალახით გაატენინა და ტიკებად ისე მჭიდროდ შეაკერინა, წვეთი წყალი რომ არ გაეტარებინა. ასეთი ნავტიკები ხის კოჭებით პონტონებად შეკრა, ზედ ჯარები რაზმეულებად „მიაკავშირა“ და მდინარეში მიუშვა. ხუთ დღეში მთელი არმია ასე გადაატარა და გაიყვანა მდინარის ჩრდილო ნაპირზე ალექსანდრემ [17].

ამასობაში ბესას ბედი სულ გაუკუღმართდა. დაბნეულობით, მუდმივი გაქცევითა და მხოლოდ თავშესაფრების ძებნით და ლოთობით გართულ უზურპატორს სავსებით დაჰკარგვოდა ავტორიტეტი თავისიანთა შორის. აღარავინ პატივს აღარ სცემდა, აღარავინ ანგარიშს აღარ უწევდა საკუთარი მეფის მკვლელისა და სამეფო გვირგვინის მიმტაცებელს.

ალექსანდრე კი უკვე გადასულიყო მდინარეზე და სოგდიანას შუაგულისკენ მიეშურებოდა შეუჩერებლივ.

---

* რა შესადარებელია ალექსანდრესთან ჰანიბალის მდგომარეობა, როცა ამ გენიალურ მთავარსარდალს პირისპირ უდგნენ დიდი, უნიჭიერესი და უმამაცესი რომაელი სარდლები.

მაშინ უსურპატორის ბანაკიდან ყველაზე აცარე „ეკეა ინმარა“ სპიტამენ სოგდიანელმა, რომელმაც გადაწყვიტა მოღალატე ღალატითვე შეეპყრო, ალექსანდრესთვის მიერთმია და მისი „ღვთაებრივი გული“ დასაწყისშივე მოეკლა და მოეხვეჭა. სპიტამენი შეეთქვა დანარჩენ ბელადებს — დატაფერნს, კატანს, ოქსიართს — სამივენი დაითანხმა და სამივემ ალექსანდრეს შეუთვალეს: თუ ერთ მცირე რაზმს გამოგვიგზავნი, ბესას — რომელიც ახლა ჩვენს ხელთაა, ივ რაზმს ჩავაბარებთ და გაახლებთო.

ალექსანდრემ რომ ეს ამბავი შეიტყო, არმია მცირე ხნით დაასვენა, 6000 მხედარი გამოჰყო, სარდლად პტოლემაიოს ლაგოსის ძე უჩინა და სპიტამენისა და მისიანების ბანაკისაკენ აფრინა. თვითონ მეფე ზომიერი სვლით და სვენებ-სვენებით მიჰყვა, დანარჩენი ჯარებით, ლაგიდის წინგაჭრილი მხედრობის კვალს.

პტოლემაიოს ლაგიდმა კი ათი დღის გზა ოთხ დღეში დაითოკა და მიადგა სპიტამენისაგან დანიშნულ ადგილს — მცირე ქალაქს. მაგრამ თვითონ სპიტამენი და მისი თანაშეთქმულნი იქ აღარ იყვნენ. მათ ვერ გაუბედიათ, თუ ვერ უნამუსებიათ ბესას მუხანათური შეპყრობა, მიუტოვებიათ იგი და თვითონ კი გადახვეწილან.

პტოლემაიოსმა კი არც აცივა და არც აცხელა, — ქალაქს ალყა შემოარტყა და, მაცნეს ძახილით, მოსახლეობას გამოუცხადა — უკეთუ შეწყალება გსურთ და თავი თქვენი გენანებათ, კარი გააღეთ, შემოგვიშვით, და ბესა ჩაგვაბარეთო. ქალაქის კარი მაშინვე გაიღო. მაკედონელები შეცვივდნენ, ბესა შეიპყრეს და მტკიცედ დარაზმულ მეომართა შუაში მოქცეული გამოიყვანეს. პტოლემაიოსმა უკანვე, ალექსანდრესთან შესახვედრად გამოუყენა ძვირფასი ნადავლი.

თან, წინასწრობილად, მალემსრბოლი აფრინა პტოლემაიოსმა ალექსანდრესთან შეკითხვით — მომყავს დარიოსის მკვლელი და მიბრძანე რა სახით შეგახვედროო. მაშინვე პასუხი შეუბრუნა ალექსანდრემ: გაამშვენე, ყელზე ბორკილი დაჰკიდე და გზაზე ჩემგან მარჯვნივ დაიყენეო.

ჯარები შეხვდნენ ერთმანეთს. ალექსანდრემ ხელმარჯვნივ, შიშველ ბესასთან ეტლი შეაჩერა და ჰკითხა: რად უღალატე დარიოსს, შენს მეფეს, მბრძანებელს, ნათესავსა და კეთილისმყოფელსო: რად შეიპყარ, ბორკილები რად დაადე და ბოლოს რად მოჰკალიო?

— მე მარტო როდი გადამიწყვეტია დარიოსის ბედიო, — პასუხობდა ბესა — ყველა მისი ახლობელი ამავე აზრისა იყოო; თანაც, ყველა

დარწმუნებული ვიყავით, თუ დარიოსს მოვკლავდით, ამით შენს წყალობას მოვიპოვებდითო.

ალექსანდრემ ბესა შოლტებით აცემინა და მისი ნათესავი მაცნეს სახალხოდ ცამოაცხადებინა. მასუკან, მეფის ბრძანებით, ბესა გაუყენეს ბაქტრასაკენ, სადაც მას სიკვდილი ელოდა[18].

ალექსანდრეს ეახლნენ და მორჩილება შეჰფიცეს სპიტამენმა, დატაფერნმა, კატანმა და ოქსიათრმა. მეფემ ყველანი თავის ძველ პატივსა და თანამდებობაზე დატოვა და თვითონ სოგდიანის სატახტო ქალაქში, მარაყანდაში გაეშურა. მარაყანდაში ძლიერი გარნიზონი ჩააყენა და იქვე ბრძანა — ჰინდუყუშის მთებში დაღუპული ან შეჭმული ცხენების სანაცვლოდ სოგდიანური საუკეთესო ჯიშის ცხენები აეყვანათ მის ჯარისკაცებს.

მარყანდადან ჩრდილოეთისკენ დაიძრა მეფე, მეორე დიდი მდინარისკენ, იაქსართისკენ (სირ-დარია). გზაზე მაკედონელებმა გაიარეს კიროპოლისი (კირესხატა), უკანასკნელი ქალაქი სპარსთა მსოფლიო მონარქიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლურ კუთხეში. იქიდან გზა განაგრძო. მაგრამ სანამ იაქსართს მიადგებოდა, მოულოდნელ ხიფათს გადაეყარნენ აქამდე მტრისგან სავსებით შეუწუხებლად მომავალი „მსოფლიო მპყრობელნი“.

რამდენიმე მაკედონელი მეომარი მთიან სოფლებში გასულა სურსათისა და ფურაჟის მოსაგროვებლად, მაგრამ უეცრად მთიელი ბარბაროსები თავს დასხმიან და ზოგი დაუხოცავთ, ზოგიც ტყვედ წაუყვანიათ.

გაჯავრებულმა ალექსანდრემ მსუბუქი ჯარი აიყოლია და სისხლის საძიებლად მთას შეესია. მთიელები მიუვალ კლდე-ღრეებში ჩაუსაფრდნენ მტერს, ისრისა და შურდულის სროლით, ლოდთა გორებით და ზვავების სხლეტით. მაკედონელთა ყოველი იერიში ამაო გამოდგა. ალექსანდრეს ბევრი მეომარი დაეჭრა და დაუშავდა. თვითონაც შორიდან მძლავრად ნატყორცნმა ისარმა ბარძაყი გაუპო, გამჭოლი გავლით. გაცოფებულმა მეფემ სრულის ძალებით ბრძანა იერიში. მაკედონელებმა მთები აიღეს მძიმე სისხლად. 20000 ბარბაროსიდან მხოლოდ 8000 ჩაბარდა ცოცხლად, დანარჩენები კი ან მაკედონელთა მახვიხლებს შეაკვდნენ, ან კლდეებსა და უფსკრულებზე გადაიჩეხნენ[19].

ჩრდილოეთისკენ გზა განაგრძეს მაკედონელებმა. შვიდი ციხე-ქალაქი გაიარეს ზედიზედ. ამათგან ყველაზე დიდი და მძლავრად გამაგრებული იყო ქალაქი კირა — კიროპოლისი. ყველა მათგანში ალექსან-

დრემ საკუთარი ციხიონები შეაყენა და ისევ განაგრძო სვლა ჩრდილოეთით. იგი მივიდა შუა აზიის მეორე უდიდეს მდინარესთან, იაქსართან, და ბანაკი დასცა.

დედამიწის კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან წერტილზე იდგა ალექსანდრე მაკედონელი. აქ ერთმანეთს ერთვოდა და ერთმანეთისგან იყრებოდა გზები „ყოველი აზიისა“. აქვე ხერხდებოდა მძლავრი ბარიერების აგება ჩრდილოეთიდან მოწოლილი მრავალრიცხოვანი და მრავალშტოიანი სკვითური ტომების შესაკავებლად. სტრატეგიულ განაზრახთა გარდა, აქ სამომავლოდ საუკეთესო გზაკვანძი ჩანდა ხალხთა შორის მშვიდობიანი, კულტურული, სამეურნეო და საბაზრო ურთიერთობისათვის.

და აქ, იაქსართის მარცხენა მხარეს, მაკედონელმა საძირკველი ჩაუგდო თავის თანამოსახელე ქალაქს — ალექსანდრია-ესხატას (ალექსანდრია — „უკიდურესი“, ახლა ლენინაბადი).

აქ ალექსანდრე მაკედონელთან მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოსაგდებად პირველნი მოვიდნენ სკვითური ტომის, აბიების წარმომადგენელნი. ალექსანდრემ, თავის მხრივ რომელიღაც უახლოესი ჰეტერთაგანი გააყოლა სკვით ელჩებს, მათ ხელისუფალთან ურთიერთობის გასამტკიცებლად. ამას გარდა, ალექსანდრეს წარმომადგენელს უნდა შეეტყო და შეესწავლა სკვითთა ქვეყანა, მისი ბუნებრივი პირობები, ხალხთა სიმრავლე თუ სიმცირე, მათი ზნე-ჩვევანი და საომარ აღჭურვილობათა სახეობანი [20].

იმავეამს ფრიად საშფოთარი ამბავი მოიჭრა ზურგიდან. სოგდიანაში აჯანყება დაწყებულიყო, აჯანყების მოთავე ყოფილა ის სპიტამენი, რომელიც ხან დარიოსს ემხრობოდა, ხან ბესას, ხან ერთს ღალატობდა და ხან მეორეს. რაკი ეს „ხან-ხან“ მისთვის ჩვეულებრივი ბუნება იყო, აღარც ალექსანდრეს მორიდებია და, გუშინ რომ უერთგულეს ყმობას და მორჩილებას ეფიცებოდა, დღეს აჯანყება აღუძრავს მის წინააღმდეგ.

სოგდიანას „შვიდ-ქალაქოვანში“ აჯანყებულები, ერთსა და იმავე დროს, მოულოდნელად თავს დასხმიან მაკედონურ გარნიზონებს და ერთიანად ამოუწყვეტიათ ისინი.

სოგდიანას სატახტოში, მარაყანდაში ჩამდგარ მაკედონელთა მცირე ციხიონს თვითონ სპიტამენი შემოსდგომოდა ალყად.

სპიტამენის მოწოდებაზე, მაკედონელთა წინააღმდეგ საომრად სოგდიანელებს აჰყოლიან სკვითური ტომები — მასაგეტები და საკები.

ბაქტრიაშიც ხმა გავრცელებულა, — ალექსანდრე ქალაქ ზარიასპაში აზიელი ბელადების ყრილობას იწვევს და ყველა ბელადის ერთად ამოწყვეტას აპირებსო. ამ ხმასაც ბევრი ბაქტრიელი აპყოლია და მაკედონელთა დასაკლავად იარაღი აუღია ხელში.

სპიტამენს მხარში ამოსდგომიან სხვა ბელადებიც — ოქსიართი, კატანი, ხორიენი და გავსტანი.

ერთი სიტყვით, — აჯანყებას რაც შეეხება — ჯერ ასეთი მასშტაბის აჯანყება ალექსანდრეს მთელს აზიაში აქამდე არ შეხვედრია. ეს აჯანყება ალექსანდრესთვის, ამდენ ხანს უძლეველი, „მრავალნაცადი გმირისათვის", სწორედ ყველაზე დიდი გამოცდა უნდა ყოფილიყო.

და ამოქმედდა ალექსანდრე. კიროპოლისში, სადაც აჯანყებულთა ყველაზე დიდი ძალები იდგნენ, კრატეროსი გაგზავნა და დაუბარა — ქალაქი ალყაში მოექცია, გარშემო თხრილებითა და მიწაყრილებით ჩაეკეტა და საიერიშო მანქანები მიეგორებინა. ამით კრატეროსი აჯანყებულთა მთავარ ძალებს დაიჭერდა და ამასობაში ალექსანდრე ყველა დანარჩენ უბანზე უფრო შედეგიანად იმოქმედებდა [21].

თვითონ ალექსანდრემ პირველი იერიში მიიტანა შვიდ ქალაქთაგან უახლოესზე — გაზაზე. ჯერ შურდულის და ისრის მერეხში მოაქცია აჯანყებული ციხესიმაგრე. მასუკან ფალანგა დაძრა საიერიშო კიბეებით. მალე კედლებიც გადალახეს, შიგ ჩაიჭრნენ მაკედონელები გაზაში. მეფის ბრძანება სრული სისასტიკის უფლებას აძლევდა მებრძოლებს. და დაერივნენ მოსახლეობას უწყალო ჩეხვით მაკედონელები, მამაკაცებს ყველას ყელები დაჭრეს, ქალები, ბავშვები და ქონება დაიტაცეს და ბოლოს, ასე აკლებული ქალაქი ცეცხლს მისცეს.

კიდევ ერთი ციხესიმაგრე აიღო ალექსანდრემ — იმავე დღეს, იმავე საომარი ტაქტიკით, იმავე სისასტიკით, დედა-ბუდიანად ჟლეტით, ძვლებამდე ძარცვით და ფერფლადქცევით.

შეორე დღის დამდეგს მესამე ქალაქიც აიღო, გაწყვიტა და გააცამტვერა ალექსანდრემ.

ჯერ კიდევ გადარჩენილი ორი ქალაქიდან მოსახლეობა ხედავდა, როგორ ნთქავდა ხანძარი წინარე სამ ქალაქს. დამფრთხალი ხალხი ორივე ქალაქიდან აიყარა და მთებს მისცა თავი. მაგრამ არც ეს გამოჰპარვია ალექსანდრეს. წინასწარ ჯარები გაეგზავნა, მთებში გასაქცევი გზები შეეკრა და შეეხუთა. გაქცეულები თითქმის მთლიანად შეაწყდნენ ჩასაფრებული მტრის ხმლებსა და შუბებს. დაცარიელებული ქალაქები კი გაძარცვეს და გადასწვეს მაკედონელებმა.

ასე — ორ დღეში ალექსანდრემ ხუთი ციხე-ქალაქი აიღო და დაიძრა კიროპოლისისაკენ, სადაც მისგანვე გაგზავნილი კრატეროსი იდგა ალყად. მისვლისთანავე ბრძანა მეფემ — ყოველი საიერიშო მანქანით, კიბით, თოკით, ქვითა და ისრით, ირგვლივი იერიში მიეტანათ ქალაქის კედლებზე. მეფემ ისიც შენიშნა, რომ ქალაქში შემავალი მდინარე დამშრალიყო და კედლის ძირში ხვრელი დაეტოვებინა. როცა გარშემო, კედლების გასწვრივ იერიში გახურდა და ქალაქის დამცველთა ყურადღება მთლიანად კედლებს მიეჯაჭვა, თვითონ ალექსანდრე რამდენიმე არჩეული მეომარით იმ ხვრელში წოლელად შეძვრა, შიგნიდან უახლოეს კარებს დაეტაკა, გასტეხა და იმ კარებთან წინასწარ გამზადებულ ჯარს გზა მისცა. მაკედონელები შეცვივდნენ თავაწყვეტილი ჩეხვით. უკვე კედლებიც გაერღვიათ და გადმოელახათ დანარჩენებს. აჯანყებულები თავგანწირვით შეეგებნენ ქალაქში ყოველის მხრით შემოჭრილ მტერს. ალექსანდრე საგულდაგულო სამიზნედ აირჩიეს და მძიმე ნიშანიც დააჭედეს — შურდულით ქვა გაარტყეს კისერში და თვალთა სინათლეც კარგა ხნით ჩაუბნელეს. ისრით დაიჭრა კრატეროსი, დაიჭრნენ სხვა მეთაურებიც, მაგრამ ყოველი წინააღმდეგობა ამაო იყო. 15000 აჯანყებულიდან 8000 მკვდრად დაირეცა. დანარჩენები აკროპოლისში ჩაიკეტნენ, მაგრამ მიმწუხრისას, წყურვილით შეწუხებულნი, მტერს დანებდნენ [22].

კიროპოლისის დაცემის შემდეგ კიდევ ერთი, მეშვიდე ქალაქი დარჩენილიყო და ისიც უბრალოდ, „გავლით“ აიღო ალექსანდრემ, აიღო ისეთივე აკლებით და დაქცევით, როგორც წინარე ექვსი ქალაქი.

იმ გაცამტვერებულ შვიდ ქალაქთაგან, ვინც კი სიკვდილს გადაურჩა, ალექსანდრემ მის ახალ ქალაქში — ალექსანდრია-ესხატაში დაასახლა.

ალექსანდრეს მარაყანდაში დაბრუნება და სპიტამენისგან ალყაში მოქცეული მაკედონური ციხიონის გადარჩენა ეჩქარებოდა. მაგრამ მდინარე იაქსართს ჩრდილოეთიდან სკვითთა ურდოები მოადგნენ საომარი მუქარით.

ალექსანდრემ რამდენიმე ასეული გამოჰყო და მარაყანდას გაგზავნა მაკედონური ციხიონის მისაშველებლად. თვითონ კი სკვითთა პირისპირ დადგა.

ოცი დღის განმავლობაში ალექსანდრია-ესხატას მშენებლობით იყო მეფე გართული, — თითქოს, გაღმა მხრიდან მომდგარ სკვითებს აინუნშიაც არ აგდებდა. ქალაქის გარშემო გალავანი შენდებოდა, ყო-

ველ მეომარს სამუშაო წილი ჰქონდა მიჩენილი და სწრაფი შეჯიბრით მიდიოდა აღმშენებლობა — სახლისაც, კარისაც, ქუჩისაც და ციხე-კოშკისაც. მეფე ახალ მოქალაქეებად ასახლებდა ძველ ვეტერანებს, ბერძენ მოქირავნეებს, ადგილობრივ ბარბაროსებს, ტყვეებს, ღარიბებს, უქონელთა და უპოვართ. მეოცე დღეს ქალაქი დიდი საზეიმო ასპარეზობით და მსხვერპლშეწირვით აკურთხა და მისი სახელიც აუწყა მსოფლიოს.

სკვითები კი ისევ იდგნენ მდინარის მოპირდაპირე მხარეს, იმუქრებოდნენ, ისარს ისროდნენ, მაკედონელებს ლაჩრობას სწამებდნენ, ახელებდნენ და ბრძოლაში იწვევდნენ. სკვითების „მეფეს“ ებრძანებია თავის მეომრებისათვის — ის ახალი ქალაქი დაანგრიეთ, ვინათგან იგი უღელივით მედგმება კისრადო[23]. და მოსულიყვნენ სკვითები „ახალი ალექსანდრიის“ დასანგრევად.

ალექსანდრე კი ისევ თავს იკავებდა. სამკითხაო „მასალებიც“ სამომავლო ბრძოლაში სასიკეთო ნიშნებს არ იძლეოდა. კიროპოლისის ბრძოლაში მიღებული ჭრილობაც საშუალებას არ აძლევდა მეფეს, პირადად რომ წასძღოლოდა ლაშქარს; არა და, სკვითების „ასე გათამამებაც“ უკვე აღარ შეიძლებოდა.

ალექსანდრე, მის დროის-და შესაფერისად, ფატალისტი იყო, მაგრამ მკითხაობისა მას მაინც უფრო ნაკლებად სჯეროდა, ვიდრე მის ჯარისკაცებს. მან მეორედ უბრძანა მკითხავ არისტანდროსს, ღმერთებისთვის მსხვერპლი შეეწირა და ნამსხვერპლზე ისევ ემკითხავა. ისევ „ცუდი ნიშანი“ აჩვენა ნამისნევმა — თითქოს, ომის შემთხვევაში თვითონ ალექსანდრეს ემუქრებოდა რაღაც მძიმე ხიფათი.

მაშინ თქვა ალექსანდრემ: მე მირჩევნია უსაშინელეს საფრთხეს მივეცე, ვიდრე იმ ბარბაროსთა სასაცილო გავხდეო, — და საომრად გასვლა ბრძანა.

ჯარები მდინარის პირას დააწყო, მტრისკენ პირმიქცევით, წინ სატყორცნი მანქანები ჩაუმწკრივა და წყალშიც ისევ ტყავის ნავტიკები ჩაალაგა, პონტონურ ტივებად შეკრულნი.

ამასობაში სკვითები მოპირდაპირე ნაპირზე ისევ გამაყრუებელი ხმაურით მიმოქროდნენ, ისარს ისროდნენ და იმუქრებოდნენ.

სამზადისი რომ ჩაათავა, ალექსანდრემ ბრძანება გასცა და მისმა სატყორცნმა მანქანებმა, ქვითა და ისრით, გაბმული სროლა აუტეხეს გაღმა ნაპირზე მოჭენავე მტერს.

ასეთი რაიმე ველურ ტომებს არც ენახათ, არც გაეგონათ და არც

მოელოდნენ. როცა მათგან რამდენიმე მეომარი ცხენიდან ძირს დაჭრილი გადმოვარდა, დანარჩენები მაშინვე უკუიქცნენ დამფრთხალნი და აშლილ-დაშლილნი. მაკედონელებმაც, საომარი ბუკების გრიალის ქვეშ, დაიწყეს მდინარის გადალახვა. პირველნი გადავიდნენ მარჯვენა ნაპირზე მოისარნი და მოშურდულნი, ისევ და ისევ განუწყვეტელი „ცეცხლის“ ნთხევით, რათა მათ შემდგომ უმსხვერპლოდ გადასულ-ყვნენ დანარჩენი ჯარები.

მეორე წყებად სამეფო ალემა და სხვა ცხენოსანთა ილები გადავიდნენ, თვითონ ხელმწიფის მეთაურობით. გადასვლისთანავე შეუტია ალექსანდრემ. თითქოს გონს მოეგნენ სკვითები, მოუტრიალდნენ და წამოემართნენ ყოველის მხრიდან, ისრის სროლით, გამაყრუებელი ყიჟინით და ბღავილით. თითქოს, ალყაშიც მოექცნენ მაკედონელნი, თუმცა მათ მჭიდრო წყობასთან ხელჩართულ ჩეხვას ეაურბოდნენ სკვითები. ისინი შორიდან, არევ-დარევით, „მიხდომ-მოხდომით“ არჩევდნენ ბრძოლას.

ფალანგამაც მდინარე გადმოათავა და ხმელეთზე გადმოვიდა. ალექსანდრემ შუაგულზე მიუშვა ქვეითნი, ფლანგებზე ისევ კავალერია მიუსია და მოწინააღმდეგე ისე მოსწურა და დაიყოლია — „მიხდომ-მოხდომაზე“ ხელი აეღო და „მართლა ბრძოლა“ მიეღო.

ამას კი სკვითებმა ვეღარ გაუძლეს და უკუიქცნენ.

გააფთრებით დაადევნა ჯარები ალექსანდრემ.

საშინელი სიცხის, წყურვილისა და ბუღის ქვეშ მიერეკებოდნენ მაკედონელები გაქცეულ მტერს. თვითონ მეფემ, წყურვილით განაწამებმა, რაღაც მყაყე წყალი დალია. დევნაში თავდავიწყებული ერთბაშად მოისხლიტა, ჭირის ოფლმა დაასხა და ბოლოს და ბოლოს, ცხენზე ჯდომაც ვეღარ შეიძლო. ალბათ, ჯერ კიდევ მოუშუშებელმა ჭრილობამაც თავისი ჰქნა.

მეფის ავადმყოფობამ გაქცეული სკვითები გადაარჩინა სრულ ამოწყვეტას. მაინც რამდენიმე ათასეული სკვითი დარჩა მკვდრად დარეცილი ბრძოლის ველზე, მათ შორის მათივე ბელადი — სატრაკე. 1500-მდე სკვითი ტყვედ აიყვანეს მაკედონელებმა, 1800 ცხენიც გამოირეკეს. გამარჯვებულთაგან დაეცა 100 ქვეითი და 60 მხედარი, დაიჭრა 1000-მდე კაცი[24].

ალექსანდრე ერთხელ კიდევ გამოეხსნა სიკვდილს. „უძლეველ სკვითებზე“ გამარჯვებას დიდი წონა ეძლეოდა მტრებისა თუ მოყვრების თვალში. სკვითთა მეფემაც ელჩები გამოუგზავნა და ბოდიში

მოუხადა ალექსანდრეს — ხალხისა და მეფის დაუკითხავად, მხოლოდ ცალკე მოთარეშე ბრბოების ბრალით მოხდა თქვენთან შეტაკებაო, ამიერიდან ჩვენ მზად ვართ დავემორჩილოთ დიდი ხელმწიფის ყოველ ბრძანებასო, — ითვლევინებოდა სკვითების მეფე.[25]

ალექსანდრეც თავაზიანად გაეპასუხა სკვითთა მბრძანებელს, ბრძოლაში ტყვედ აყვანილი მეომრებიც უსასყიდლოდ გაათავისუფლა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯერ კიდევ „ცივილიზაციით გაურყვნელ“ ტომებზე „დიდი მაკედონელის“ დიდსულოვნებამ და შემწყნარებლობამ.

ახლად დაარსებული „უკიდურესი ალექსანდრიის“ გარშემო მშვიდობიანობამ დაისადგურა. ყოველ შემთხვევაში, ეს ჯერჯერობით მაინც ასე იყო და ახლა ალექსანდრეს საშუალება ეძლეოდა ისევ სოგდიანაში, მარაყანდის გარშემო დატრიალებული ამბებისათვის მიეხედნა.

სოგდიანაში კი მდგომარეობა მართლაც ალექსანდრეს საზიანოდ ვითარდებოდა. დაიწყო იმით, რომ სპიტამენმა ალყა შემოარტყა მარაყანდაში ჩასაგრებულ მაკედონურ გარნიზონს. მაკედონელებს რომ გაუჭირდათ, აკროპოლისიდან გამოიჭრნენ. სპიტამენის მეწინავენი დახოცეს და ისევ აკროპოლისში შეიკეტნენ. ამასობაში ალექსანდრეს მაშველმა ასეულებმაც მოაღწიეს. სპიტამენი დაფრთხა, ქალაქს ალყა მოხსნა და დასავლეთით სტეპს მისცა თავი.

ალექსანდრემ კიდევ ახალი ძალები გაგზავნა მარაყანდასკენ — 66 მაკედონელი მხედარი, 800 ბერძენი მხედარი და 1500 მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მოქირავნე. სარდლებად მეფემ უჩინა — ანდრომახოსი, კარანოსი და მენედემოსი. თარჯიმნად კიდევ მიჰყვებოდათ ადგილობრივ მცხოვრებთ ენის მცოდნე ლიკიელი ფარნუხი.

მარაყანდას რომ მივიდნენ და ქალაქი ისევ მაკედონური ციხიონის ხელში დახვდათ, ხოლო სპიტამენი გაქცეული და გადახვეწილი — ალექსანდრეს სარდლებმა ეს საკმარისად არ მიიჩნიეს და აჯანყებულების საძებრად და ამოსაწყვეტად ჯარით სტეპისაკენ გაუტიეს. სპიტამენმა ადევნებული მტერი რომ დაინახა, უფრო შორს, უკიდეგანო უდაბნოში ჩაიკარგა. მაკედონელებიც მიჰყვნენ თავდავიწყებით. მათ გადაეწყვიტათ, მარტო სპიტამენი კი არა, მისი მოკავშირე სკვითებიც კი დაესაჯათ მწარედ. კიდევაც შეესივნენ სკვითი მომთაბარეების საცხოვრებლებს და ააწიოკეს ისინი. მაკედონელთა უგუნურებამ სპიტამენი გააძლიერა. მის ბანაკს 600 სკვითი მხედარი შეუ-

ერთდა გადამთიელებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საწარ-
მოებლად.

აქამდე შეუფერხებლად მიმავალი მაკედონელები მალე მტრის
უცნაური საომარი ტაქტიკის პარტნიორები შეიქნენ. სოგდიანელები
და სკვითები მათ შორიდან ურბენდნენ და უშენდნენ ისარს. როცა
მაკედონური მხედრობა მწყობრი განწესრიგებით იერიშზე გადავი-
დოდა, სპიტამენელები უმალვე გარბოდნენ, ვითომ დამარცხებულნი
და აშლილდაშლილნი. მაკედონელებიც მისდევდნენ გახელებით და
თავდავიწყებით. ჩამორჩებოდნენ მაკედონელები და ისევ მოუბრუნ-
დებოდნენ და დაუშენდნენ სპიტამენელები, ისევ გამოედევნებოდ-
ნენ მაკედონელები, ისევ თავიდან ყოველივე, ისევ უკუქცევა,
გაქცევა. დევნა... და ბოლოს გამოირკვა, რომ მაკედონელები, „გა-
მარჯვების" მიუხედავად, თურმე კატასტროფას უახლოვდებოდნენ.
მძვინვარე მზის ქვეშ, ცხელი ქვიშის ოკეანეში სრბოლით, უჭმელო-
ბით და უწყლობით, ცხენები ექანცებოდათ, ეხოცებოდათ და თვი-
თონაც იქანცებოდნენ და იხოცებოდნენ. მაშინ ფარნუხ ლიკიელმა
მიმართა მაკედონელ სარდლებს — ანდრომახოსს, კარანოსს, მენედე-
მოსს — მე თარჯიმნობის მეტი არცრა გამეგება და არცრა მეკითხება.
ამიტომ თქვენგან ერთ-ერთმა იკისროს მთავარსარდლობა და თავისი
შეუვალი ნებით ჯარი საფრთხიდან გაიყვანოს და დაღუპვას გადაარ-
ჩინოსო. მაგრამ არც ერთმა სტრატეგოსმა არ იკისრა მთავარსარდ-
ლობა და პასუხისმგებლობა თითქმის წაგებული საომარი კამპანიისა.
ბოლოს, სამივე სარდალმა თავთავისი ჯარებით მახლობელი ტყისა და
მდინარისაკენ დაიწყო დახევა. სამივე ცალ-ცალკე, თავისი ჭკუითა და
ერთმანეთთან შეუთანხმებლად იხევდა უკან. კარანოსმა პირველმა
შეყარა მდინარეში თავისი ცხენოსნები, მეორე ნაპირზე გასასვლე-
ლად. ამის მხილველმა ანდრომახოსის ქვეითმა ჯარმაც ტყე მიატოვა
და წყალს მიაშურა. გამოუდგნენ სოგდიანელები და სკვითები. მდი-
ნარეში ჩაუხტნენ, ზემოდანაც და ქვემოდანაც წყალზე სამოძრაო
გზები ჩაუჭრეს და დაუშინეს ყოველის მხრიდან — თუ ისარი, თუ
შუბი, თუ ქვა. ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იღუპებოდნენ
მაკედონელნი. გადარჩენილები კი მდინარეში მოქცეულ კუნძულზე
შერეკეს სპიტამენის რაზმებმა და სულ ერთიანად ამოწყვიტეს. მცი-
რედნი დანებდნენ ტყვედ. მაგრამ გამარჯვებულებმა ტყვეებიც არ
დაიტოვეს და ისინიც ჩახოცეს. დაიღუპა ყველა სარდალი. მხოლოდ
40 მხედარი და 300 ქვეითი მაკედონელი გადაურჩა, რაღაც მანქანე-
ბით, სიკვდილს[26].

გამარჯვებით ფრთაშესხმულმა სპიტამენმა მაშინვე ისევ მარაყანდას მიაშურა და მის აკროპოლისში გამაგრებულ მაკედონელებს ისევ შემოარტყა ალყა.

მარცხის ამბავმა უდიდესი წუხილი მიაყენა ალექსანდრე მაკედონელს. ამდენ ხანსა და ამდენ სალაშქრო გზათა მანძილზე მის ჯარს ჯერ ასეთი მარცხი არ უგემნია. გამხელა კი არ ინდომა ამ საგლოველი ამბისა ჯერჯერობით — ვაი, თუ ჯარი დამიფრთხეს და მტერი გამითავხედდესო, ამიტომ სანამ მტრის სისხლს არ ამოვიღებ, ეს ამბავი არ უნდა გამქღავნდესო და სიკვდილის მუქარით აუკრძალა მაცნეებს კრინტის დაძვრა[27].

სასწრაფოდ დააყენა ფეხზე მეფემ ჯარი და ორად გაჰყო. უფრო სწრაფი მხედრობა და მსუბუქი ქვეითი რაზმები თვითონ აიყვანა, მეორე ნაწილს სარდლად კრატეროსი უჩინა და უკან გაყოლა უბრძანა.

თვითონ მგლურით დაიძრა მეფე და შვიდი დღის სავალი გზა სამ დღეში დაფარა. როკორც კი მისი მოახლეების ამბავი შეიტყო, სპიტამენი მარაყანდას ისევ მოეხსნა და გადაიხვეწა. ალექსანდრე გამოედევნა და ის ადგილი გზად გაიარა, სადაც საბედისწერო შეტაკებაში მისი ჯარი დაღუპულიყო. დახოცილები დააკრძალვინა და, მოჭრილი დროით, მათი სულის სარგებად მსხვერპლიც აწირვინა. ისევ მისდია გაქცეულებს. ისევ უზღვრო უდაბნოს შეერივნენ მაკედონელნი. აზრი აღარ ჰქონდა შემდგომ დევნას. სპიტამენი სავსებით გადაკარგულიყო და გადაქარებულიყო მისი ქვეყნიდან („მისი ქვეყანა“ აღარ იყო მისი). შემოაბრუნა ჯარი შეფემ. შემოაბრუნა და ცეცხლითა და მახვილით მოედო სოგდიანის სოფლებს და ქალაქებს. აქამდე არავის მოსწრებია ალექსანდრე მაკედონელის ასეთი სისასტიკე და დაუნდობლობა. არბევდა, ძარცვავდა, ჟლეტდა, აწიოკებდა, ანგრევდა, წვავდა. 12000-მდე კაცი თუ ქალი, ბავშვი თუ მოხუცი ემსხვერპლა მაშინ მაკედონელის მძვინვარე მახვილს[28].

„განმათავისუფლებელმა“ ნიღაბი ჩამოიხსნა, — დროებით მაინც ჩამოიხსნა. „ერთიანობის“, „თანასწორუფლებიანობის“, „ერთხმივობისა“ და „ერთსახოვანების“ დოქტრინიორმა თავისი „დოქტრინა“ საკუთარი ხელითვე დაასამარა.

ალექსანდრემ სოგდიანაში საბატონოდ დატოვა თავისი სტრატეგოსი, პევკოლაოსი, 3000 მეომრით[29]. თვითონ მეფე ბაქტრიაში გაემართა, ქალაქ ზარიასპაში, სადაც მას ადგილობრივ ბელადებთან

შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. სოგდიანის მწარე ბედით დამფრთხალი ბაქტრიელი მეთაურები ალექსანდრეს ადგილზე დახვდნენ, სრულის მორჩილებით და თაყვანისცემით.

329 წელი იწურებოდა. ზამთარი იდგა. გამოზამთრებაც აქვე, ზარიასპაში გადაეწყვიტა მეფეს. სოგდიანის „სისხლის წვიმების“ შემდეგ, ბაქტრიული დღეები მისთვის ფრიად სასიკეთოდ მიიმართებოდა. ბაქტრიელ დიდებულთა ყრილობამ ერთხელ კიდევ „დიდის აღტაცებით“ სცნო „დიადი“ ალექსანდრეს უზენაესად „სამართლიანი ხელმწიფობა“, მარტო ბაქტრიაში კი არა, სრულიად ქვეყანასა ზედა.

აქვე, ზარიასპაში, ალექსანდრეს ახალი საომარი ძალები მოუვიდა დასავლეთიდან.

აქვე „ევრაზიის ხელმწიფეს“ ეახლა მრავალრიცხოვანი ელჩობანი ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან.

„მსოფლიოს ცენტრი“ ხომ თან დასდევდა ალექსანდრე მაკედონელს, ანუ — სადაც ის იყო, იქვე ბრუნავდა მსოფლიოს ცენტრიც და იმ წელს ზარიასპა — მანამდე უჩინო ბაქტრიული ქალაქი — ქცეულიყო მსოფლიოს „ცენტრად“, „ჰიპად“თუ „თვალად“. აქ ერთსხეულად ჩამოსხმულიყო აზიური ფუფუნება, მაკედონური სალდათურობა და ელინური განათლებულობა[30].

აქ ალექსანდრემ ძველი სპარსული ადათით და ყაიდით გაასამართლა დარიოსის მკვლელი და მისი გვირგვინის მიმტაცებელი — ბესა. იგი ბორკილებით დატვირთული შემოიყვანეს სპარსელ დიდებულთა სამსჯავროზე. საბრალდებო სიტყვა წარმოსთქვა თვითონ ალექსანდრემ. მას უკან სპარსელებმა დასდეს ბრალი ბრალდებულს. ბოლოს, ალექსანდრეს ბრძანებით, ისევ სპარსული სამოსამართლო ტრადიციით, ბესას მოაჭრეს ცხვირი და ყურები და გაგზავნეს ეკბატანაში, სადაც ის სპარსელებისა და მიდიელების წინაშე უნდა გაეკრათ ჯვარზე. ასედაც მოხდა — ეკბატანაში მიიყვანეს და ჯვარს აცვეს ბესა. მაგრამ ესეც არ აკმარეს — მისი გვამი სპარსელებმა დაანაკუწეს და ნაკუწები შურდულებით მიმოტყორცნეს[31].

ზარიასპაში ალექსანდრესთან არეიადან მობრუნდნენ მისგან გაგზავნილი ფრატაფერნი და სტასანორი და მოიყვანეს არეიის ყოფილი სატრაპი, მაკედონელი მეფის მოღალატე არსამი, აჯანყებული სატიბარზანის იდუმალი ხელშემწე. მოიყვანეს, აგრეთვე, ბარსანი, ბესასგან პართიის სატრაპად დაყენებული, და კიდევ რამდენიმე სპარსელი

დიდებული — ბესას მომხრენი და დარიოსის თანამკვლელნი. ყველანი ამოწყვიტეს, ალექსანდრეს ბრძანებით.

ზარიასპაში ევროპელ სკვითთა ელჩები ეწვივნენ ალექსანდრეს. წინა წელს წარგზავნილ მაკედონელ ელჩებს ჩამოჰყვნენ ისინი. სკვითთა ახალი მეფე (ძველი მომკვდარიყო) კავშირს, მეგობრობასა და მოყვრობას სთავაზობდა ალექსანდრეს. ჩემი ასული ცოლად შეირთეო, ხოლო უკეთუ ამას არ ინებებ, შენი დიდებულები დააქორწინე ჩვენებურ ქალებზეო. ალექსანდრემ ქორწინებრივ მოყვრობაზე უარი თქვა და სამაგიეროდ მდიდარი საჩუქრებით და მეგობრობის აღთქმით გაისტუმრა სკვითი ელჩები.

კიდევ — ზარიასპაში ალექსანდრეს ეწვია ხორეზმელთა მეფე ფარასმანი, 1500 მხედრის თანხლებით; მოვიდა, რათა პირადად გამოეცხადებინა ევროპელი ხელმწიფის წინაშე მორჩილება და ერთგული სამსახური.

მე კოლხებისა და ამაძონების დაპყრობაში მოგეხმარებიო და ევქსინის პონტოს სანაპიროებს დაგპყრობინებო, — შესთავაზა ფარასმანმა ალექსანდრეს.

მადლი მოუგო საპასუხოდ ალექსანდრემ, „სამეგობრო კავშირიც“ მაშინვე შეკრა ფარასმანთან, მაგრამ ესეც დასძინა: პონტოსკენ გალაშქრება ახლა არ შემიძლია, რადგან ახლა მთლიანად ინდოეთზე ფიქრით ვარ შეპყრობილი; ხოლო, როცა ინდოეთს დავიპყრობ და ამით აზიის დაპყრობასაც დავასრულებ, მაშინ მოვბრუნდები ელადას მთელი ჩემი სახმელეთო და საზღვაო ძალებით, ჰელესპონტისა და პროპონტიდის გავლით, შევიჭრები პონტოს ქვეყნებშიო და შენც შენის ძალებით მაშინ გამოჩნდი ჩემს მოსაშველებლადო.

ასე შეთანხმდნენ მაშინ ალექსანდრე მაკედონელი და ფარასმან ხორეზმელი მომავალი „ქართული ლაშქრობისათვის“ (!)...*

ალექსანდრე ზარიასპაში გამოზამთრების შემდეგ ინდოეთისკენ აპირებდა ჯარების დაძვრას, მაგრამ ისევ იფეთქა აჯანყებამ სოგდიანაში. იქ დატოვებულ პევკოლაოსს თავისი სამი ათასი მეომრით არ შეეძლო თავი გაერთმია აჯანყების დათრგუნვისათვის. აჯანყებულები მოქმედებდნენ ცალკე ჯგუფებად, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, დაფანტულად და ერთიანობის უქონლად. არც ერთიანი მეთაური და

---

* არიანოსის ამ მონათხრობს (ანაბასისი. IV, 15. 4—6) ქვემოთ ისევ მივუბრუნდებით.

სარდალი ჰყავდათ. არ ჩანდა თვითონ სპიტამენი, რომელიც, ალექსანდრეს რომ გაექცა, მას შემდეგ მასაგეტებთან აფარებდა თავს.

სწორედ იმ დროს მიიღო ალექსანდრემ ახალი საომარი ძალები, რომელთაც მოუძღვნენ — ლიკიის სატრაპი ნეარქოსი, კარიის სატრაპი ასანდროსი და სირიის სატრაპი ასკლეპიოდოროსი. ამათ კიდევ თავიანთი ჯარებით მოჰყვნენ სტრატეგოსები — მენიტე, ეპოკილე, მენიდა და თრაკიელი პტოლემაიოსი. სულ ახლადმოსული ჯარები შედგებოდა 17000 ქვეითი და 2600 ცხენოსანი მეომრისაგან[32].

328 წლის გაზაფხულზე ალექსანდრემ ფალანგის ერთი ნაწილი — მელეაგრეს, პოლიპერხონტის, ატალოსისა და გორგიას სარდლობით — ბაქტრაში გაგზავნა, საერთოდ ბაქტრიის სამეთვალყურეოდ („საეპისკოპოსოდ"), ხოლო თვითონ დანარჩენი ჯარები ხუთ კოლონად დაჰყო. სარდლებად უჩინა ჰეფესტიონი, პტოლემაიოს ლაგიდი, პერდიკა, არტაბაზი, კენოსი და ყველანი სოგდიანას შეუსია, ერთდროულად, სხვადასხვა კუთხით და მიმართულებით. ყოველმა სარდალმა თავისი ამოცანა „პირნათლად" შეასრულა. აჯანყებული ოლქები აიღეს, ააწიოკეს, გააცამტვერეს და ბოლოს, ალექსანდრეს დათქმისამებრ, მარაყანდაში მოიყარეს თავი. მხოლოდ მიუვალ მთებში თავშეფარებული სოგდიანელები დარჩათ მაკედონელებს ხელმიუწვდომი.

ახლა, როცა აჯანყება ჩაქრობილი და ქვეყანა დაქცეული იყო, ალექსანდრემ საჭიროდ ჩათვალა, სოგდიანის ხელახალი აღორძინებისათვის ეზრუნა. ამ საქმეს მან სათავეში ჩაუყენა ჰეფესტიონი, რომელსაც ხალხი უნდა დაეშოშმინებინა და დაეწყნარებინა, ახალი დაბები და ქალაქები აეშენებინა და დაფანტულ-დამფრთხალი ხალხი შიგ ჩაესახლებინა.

ალექსანდრემ მაინც ვერ დაითმინა მთებში გამავრებულ აჯანყებულთა „დამოუკიდებლობა", ჯარს წარუძღვა, მთებს მიაწვა, იქაც აჯანყებულთა ყოველი ციხე და ბუდე მოშალა და გამარჯვებული ისევ მარაყანდაში მობრუნდა.

აქ კი ისევ ახალი ტრაგედია ელოდა მაკედონელთა ბანაკს.

მხცოვანმა არტაბაზმა ალექსანდრეს სამსახურიდან — ბაქტრიის სატრაპობიდან გათავისუფლება სთხოვა. მეფემ ერთგული სპარსელი კარისკაცის თხოვნა აღასრულა და მის ადგილზე ბაქტრიის სატრაპად დანიშნა ჰიპარქოსი კლიტოს შავი. ნადიმობა და ნადირობა ერთმანეთს გადაება მარაყანდაში. საზეიმო დღეებში დიონისეს სადიდებე-

ლი დღეც გამოერია, მაგრამ ალექსანდრემ დიონისეს ნაცვლად დიოსკურების საპატიო დღესასწაული გადაიხადა.

სუფრას ერთად და „ერთნაირად“ უსხდნენ მაკედონელებიც და სპარსელებიც. აკი ასეთი იყო „ჟინიანი ნება“ ალექსანდრესი. ღრეობა გვიან ღამემდე გაგრძელდა. ალექსანდრე თავიდანვე უგუნებოდ მისჯდომოდა სუფრას; მას ცუდი სიზმარი ენახა იმ ღამით: ვითომც კლიტოსი შავ წამოსასხამში გახვეულიყო და აქეთ-იქით პარმენიონის გასისხლიანებული შვილები უსხდნენ.

ღვინო უკვე მძლავრობდა სუფრაზე. მოქეიფეთა ერთმა ჯგუფმა, გამორჩევით ახალგაზრდებმა, ალექსანდრეს წრეგადასული ქება დაუწყეს. ალექსანდრე უფრო დიდია, ვიდრე დიოსკურები და თვით ღიადი ჰერაკლეო, — გაიძახოდნენ ისინი.

უკვე ყველა მთვრალი იყო, მათ შორის მეფეც.

და მთვრალი იყო კლიტოს შავიც, რომელიც თავიდანვე ვერასგზით ვერ შერიგებოდა, რა განცხრომით ისმენდა მეფე ახალგაზრდების მლიქვნელურ დითირამბებს, რიტორულ ქლესაობას და, რაც მთავარია, სპარსელთა კადნიერ „სუფრულ თანასწორობას“. ახლა კი, როცა მთვრალმა „ლაწირაკებმა“ ჰერაკლე და დიოსკურები ასე „შეურაცხყვეს“, თავი ვეღარ შეიკავა და ჩაილაპარაკა: საკადრისი არ არის მეფის ამნაირი ქება-დიდება და არც კიდევ მას ისეთი სადიდებელი არა ჩაუდენია, რაიც ჯერ ყოველი მაკედონელის სიქველესთან არ იყოს დაკავშირებულიო; არც ის არის ლამაზი, რომ მაინცა და მაინც ამ ბარბაროსი სპარსელების თანდასწრებით ამცირებენ მაკედონელებსო; ანდა, ის გარდასული მაკედონელები, — რომლებიც უბედურების მსხვერპლნი გამხდარან, — განა, გაცილებით უკეთესები არ იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც ახლა მათ დასცინისო?

ალექსანდრემ გაიგონა და რისხვიანად უყვირა კლიტოსს: შენ რომ უბედურებას ეძახი, ის სილაჩრეა და შენც, ვითარცა სილაჩრის დამცველი, ლაჩარი ყოფილხარო.

კლიტოსმა არც მეფეს შეარჩინა სიტყვა, ფეხზე წამოიჭრა და ცოფების ყრით მიაძახა: ჩემმა სილაჩრემ გადაგარჩინა შენ გრანიკოსის ბრძოლაშიო; მაკედონელთა სისხლისა და ჭრილობების წყალობით აღზევდი შენ იმ ზომამდე, რომ ფილიპეს მამად აღარ ცნობ და თავს ღმერთი ამონის შვილად ასაღებო.

არამზადავ, — უყვირა ალექსანდრემ — ნუთუ გგონია, მუდამ გაიხარებ, ყოველთვის რომ ასე მლანძღავ და მაკედონელებს მიჯანყებ?

კლიტოსმა ისევ შეაგება პასუხი: რა გვაქვს სასიხარულო, როცა ესოდენი ღვაწლისთვის ამნაირ სამაგიეროს ვღებულობთ, — მაგ სპარსელ ბარბაროსებში გვცვლი და მაგათ თვალსასეიროდ გვამცირებო.

ატყდა ხმაური და აურზაური. ახალგაზრდები თავგამოდებით შეეპაექრნენ უფროსი თაობის რჩეულს. კლიტოსი აჰყვა, მისი ტოლებიც აჰყვნენ და გაიმართა შეხლა-შემოხლა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის. სიტყვა, ბუნებრივია, ისევ ფილიპეზე უნდა ჩამოვარდნილიყო და, როცა „შვილებმა“ ისე გადააჭარბეს, რომ ფილიპეს, გარდა ალექსანდრეს მამობისა, არავითარი ღვაწლი არ მიუძღვისო და ყოველივეს შემოქმედი მხოლოდ ალექსანდრე არისო; — კლიტოსი ისევ აღრიალდა: თავი და თავი ალექსანდრე კი არა, ფილიპე გახლავთო, ფილიპემ და მისმა თანამდგომმა სარდლებმა დაასაძირკვლეს და ააშენეს მაკედონიის სახელმწიფო და სახელ-დიდებაო, ალექსანდრემ კი ფასი არ დასდო ფილიპეს თაობის დამსახურებასო, ალექსანდრეს უსამართლო სისასტიკეს უძართებულოდ შეეწირა დიდი პარმენიონი და მისი შვილებიო და ნეტავ იმ მაკედონელებს, რომლებიც მანამ დაიხოცნენ, სანამ იხილავდნენ, როგორ სცემენ ალექსანდრესგან გათავხედებული მიდიელები შოლტებით მაკედონელებს და როგორ ემუდარებიან ისინი ალექსანდრეს კარავში შეშვებას სპარსელ გუშაგებსო.

ხანდაზმულ სტრატეგოსებს გულს მოეფონათ, მათმა ტოლმა რომ მათი გულის ბუხარი ამოიყარა, მაგრამ მაინც მისცვივდნენ კლიტოსს და ცდილობდნენ მის დაშოშმინებას.

მაშინ, ცოფით სახემოშლილმა მეფემ ხმამაღლა გადასძახა გვერდით მჯდომ ბერძნებს, ქსენოდოქე კარდიელს და არტემიოს კოლოფონელს:

„ხომ მართალია, რომ თქვენ, ბერძნები, ისე გრძნობთ თავს მაკედონელთა შორის, როგორც ნახევრადღმერთები მხეცთა შორის?“

ეს კი სწორედ მეტისმეტი იყო, და არც ჰგავდა ალექსანდრეს ნათქვამს — იმ ალექსანდრესი, რომელიც ქვეყნად ხალხთა შორის თანასწორობას ქადაგებდა, — იმ ალექსანდრესი, რომელიც თანასწორთა შორის ყველაზე „თანაბარ ძმებად“ სწორედ ბერძნებსა და მაკედონელებს აცხადებდა და, გულში რომ „მტრულ ჭეჭკად“ არაფერი დარჩენოდათ, აქამდე ბერძენსა და მაკედონელს ჭიდაობაში შეჯიბრების უფლებასაც რომ არ აძლევდა.

თქვა ეს ალექსანდრემ, წაიცდუნა პირიდან ასეთი მკრეხელობა

მისივე „დოქტრინის“ მიმართ, და კლიტოსმაც მარჯვენა ხელი აღმართა და გაუმეორა მეფეს:

„სწორედ ამ ხელმა გიხსნა შენ სიკვდილისგან გრანიკოსის ბრძოლაში; ახლა მიდი და ილაპარაკე რაც მოგესურვოს, ოღონდ გახსოვდეს, ამიერიდან სუფრაზე ჩვენებრ თავისუფალი ადამიანები კი არ მოიწვიო, არამედ მხოლოდ ბარბაროსები და მონები, რომლებიც ტანსაცმლის კალთებს გიკოცნიან და მაგ სპარსულ წელსაკრავზე ილოცებიან!“

სულ გაშლეგდა ალექსანდრე. წინ დახვავებული ხილიდან ერთი ვაშლი აიღო და სახეში სთხლიშა კლიტოსს და მახვილიც მოითხოვა, მაგრამ ადრევე მოეშორებინათ მისი საჭურველი ლისიმახოსს და ლეონატოსს — სიმთვრალის ჟამს მეფის სიფიცხის მცოდნეებს. მაშინ, მეფემ მაკედონურად მაკედონელ მცველებს მოუწოდა, შური ეძიათ „მათი მეფის“ შეურაცხყოფისათვის. ისევ არავინ გამოეხმაურა. ახლა, მესაყვირეს უბრძანა მეფემ, საგანგაშო დაჰკარიო, მაგრამ როცა არც იმან გაუგონა, სახეში მუშტი შემოჰკრა, ცხვირიდან სისხლი წაახეთქინა და აღრიალდა: მე ახლა ისე მექცევიან, როგორც დარიოსს, როცა მას ბესა და მისი ამხანაგები მიათრევდნენ, როგორც უნდოდათ, საითაც უნდოდათ და იმ საცოდავს, მეფის საცოდავი სახელის მეტი, აღარაფერიც აღარ შერჩენოდაო.

უკვე ერთმანეთის მოსაკლავად იქაჩებოდა ორივე. ალექსანდრეს ძლივს აკავებდნენ პერდიკა და პტოლემაიოსი. კლიტოსი მეგობრებმა ძლივს გაათრიეს სანადიმოდან, მაგრამ გამოექცათ, სხვა კარიდან შემოვარდა და მეფის დასაცინლად მოჰყვა ლექსის კითხვას ევრიპიდეს „ანდრომაქედან“: „მტერზე გამარჯვება მოპოვებულია მეომართა სისხლით, მაგრამ პატივი მიითვალა მხოლოდ სარდალმა, რომელიც ახლა ზის განცხრომით თავის ტახტზე და დასცინის ხალხს, რომელიც მისთვის აღარა ფასობს“[33].

მაშინ კი გაუსხლტათ ალექსანდრე ხელიდან, რომელიღაც შუბოსან მეომარს შუბი გამოსტაცა, ელვის სისწრაფით კლიტოსს შიგ გულში აძგერა და მიაძახა: „წადი ახლა შენს ფილიპესთან, პარმენიონთან და ატალოსთან!“

კლიტოსი ბღავილით დაენარცხა და წამსვე გათავდა.

ალექსანდრეც წამსვე გამოფხიზლდა და გამოერკვა, მკვდარს შუბი ამოაძრო და ახლა თვითონ დააპირა ყელით ზედ ჩამოგება; მაგრამ სისხლიანი იარაღი წაართვეს, შებოჭეს, სამეფო კარავში გააქ-

ნეს და სარეცელზე დააწვინეს. მთელი ღამე იტირა და იბღავლა; მისძახოდა კლიტოსს — გრანიკოსთან რომ სიკვდილს გადამარჩინე. ახლა მე როგორ გადაგიხადეო; მისძახოდა კლიტოსის დას, ლანიკას, თავის დედამძუძეს — შენი ძვირფასი ორნი ძენი, ჩემი ძუძუმტენი, მილეტის კედლებთან დაიხოცნენ ჩემი გულისთვისო; ახლა კიდევ შენი საყვარელი ძმა, შენი ერთადერთი ნუგეში, ჩემი ხელით რომ მოგიკალი, კარგად კი გადაგიხადე შენგან მოწოდებული ძუძუს მადლი; მოხუცი პარმენიონი და მისი შვილებიც გაიხსენა — იმათაც ერთგული სამსახურისთვის უმართებულო სიკვდილით გადავუხადეო, სიცოცხლის ღირსი აღარ ვარ და რაღად მაცოცხლებთ, მომკალით და გაათავეთო. წინ დაისვენა კლიტოსის გვამი და სამი დღეღამე ისე იბღავლა, იტირა, ითავცემა, ვითარცა მისმა „წინაპარმა“ აქილევსმა პატროკლეს ცხედარზე — უძილრად, უჭმელად, უსმელად...

ბოლოს, როგორც იქნა, დაარწმუნეს, რომ ყველაფრის მიზეზი დიონისეს რისხვა არისო — დიოსკურებს რომ დიონისეს მაგივრად შესწირა მსხვერპლი მეფემ. დაარწმუნეს და დააჯერეს, სანამ სხვა უარესი უბედურება რაიმე დატრიალებულა, გლოვა შეწყვიტე, კარვიდან გამოდი და დიონისეს საბოდიშო მსხვერპლი შესწირეო. იმასაც ეუბნებოდნენ, — კლიტოსი შენ სამართლიანად მოჰკალი და ამდენი სინანულისა და გლოვა-გოდებისა კი არა, ის დამარხვის ღირსიც არ არისო.

როგორც იქნა, გამოვიდა ალექსანდრე, კლიტოსი დიდის პატივით დაასაფლავა, დიონისეს საბოდიშო მსხვერპლი შესწირა და „სინდისი დაიწყნარა“[34].

კლიტოსის დრამა სრულებითაც არ ყოფილა. მხოლოდ ალექსანდრეს „ლოთობასთან“ დაკავშირებული შემთხვევითი ამბავი *. კლიტოსის „გამოხდომა“ იყო მკვეთრი გამოხატულება ისევ და ისევ იმ საყოველთაო პროტესტანტული განწყობილებისა, რაიც სუფევდა მაკედონელთა ბანაკში მეფის „პროსპარსული“ და „პროაზიური“ პოლიტიკის გამო. უფსკრული აქილევსსა და მის პატროკლეებს შორის გაღ-

* ალექსანდრეს „ლოთობა“ ფრიად ყბადაღებული იყო მისსავე დროში. იყო შემთხვევები, როცა მეფე ღვინის სმაში შეჯიბრს აწყობდა და გამარჯვებულისთვის ჯილდოს აწესებდა. ერთ ასეთ ლოთურ პაექრობაზე ორმოცდაერთი კაცი მომკვდარა უგონო სიმთვრალისგან. გამარჯვებულს, ვიღაც პრომაქოსს, მეფის ხელით ჯილდოდ ოქროს გვირგვინი მიუღია, მაგრამ სამი დღის მეტი აღარც ამ „პრიზიორს“ (თუ „ჩემპიონს“) უცოცხლია იმ საბედისწერო დათრობის შემდეგ.

რმავებულიყო. იქნებ ალექსანდრემ გულწრფელად ინანა კლიტოსის მოკვლა, მაგრამ „კლიტოსობის“ წინააღმდეგ ბრძოლაში იგი სიკვდილამდე პრინციპულად უცვლელი და შეურიგებელი დარჩა. ამაში კიდევ, დაგვარწმუნებს რამდენიმე ადგილი ამ წიგნისა.

ამასობაში სპიტამენ სოგდიანელს სოგდიანელებში სკვითი მასაგეტები შეურევნია და ისევ განუახლებია თარეში მაკედონურ გარნიზონებზე. ბევრი სისხლიც ადინა მტერს, ბევრი სისხლი თვითონაც აქცევინეს, მაგრამ გადამჭრელი შედეგი მაინც არ ჩანდა — ვერც სპიტამენმა მოახერხა მაკედონელთა სერიოზული დამარცხება, ვერც მაკედონელებმა შეძლეს უდაბნოელი მხედრის მოხელთება.

ალექსანდრემ კლიტოსის ადგილზე, ბაქტრიის სატრაპად დანიშნა ამინტა ნიკოლაოსის ძე და თვითონ ისევ აღჯდა სალაშქრო უნაგირზე. სპიტამენი უნდა მოესპო ბოლოს და ბოლოს. რამდენიმე შეტაკება სპიტამენის მარცხით და უკუქცევით გათავდა. აჯანყებულთა მეორე ბელადი, სისიმითრი, მიუვალ კლდეებში გამაგრებულიყო და მასთან ბრძოლა უფრო მისჭირდათ მაკედონელებს. ხოლო, როცა ალექსანდრე პირადად წარუძღვა ჯარებს, სისიმითრიც თვითონ ჩამოეშვა მთიდან, მეფის წინაშე მუხლი მოიყარა და „კუბოს ფიცრამდე“ ერთგული სამსახური გამოუცხადა.

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ გამოჩნდა სპიტამენი, 3000 სკვითის თანხლებით, სოგდიანის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ქალაქ ბაგას მახლობლად. სასწრაფოდ კენოსი გაემართა მასთან შესახვედრად, თავისი მხედრობით. სასტიკი ბრძოლა ისევ მაკედონელთა გამარჯვებით გათავდა. 800 სკვითი დარჩა მკვდრად დარეცილი სიცხით და სისხლით ადუღებულ მიწაზე. სკვითთა განადგურების შემდეგ, სოგდიანელმა და ბაქტრიელმა აჯანყებულებმა, დატაფერნის მეთაურობით, სპიტამენი მიატოვეს და კენოსს ჩაბარდნენ. სკვითმა მასაგეტებმა მოკავშირეების კარვები გაძარცვეს და სპიტამენთან ერთად უდაბნოში გადაიხვეწნენ. მალე ლტოლვილთა ბანაკში ხმა გავრცელდა, რომ თვითონ ალექსანდრე მოეშურება უდაბნოს დასალაშქრავადო. სკვითები კარავში შეუვარდნენ სპიტამენს, შეიპყრეს, შებოჭეს, თავი მოკვეთეს და ალექსანდრეს გამოუგზავნეს (სხვა ცნობით.[35] მძინარე სპიტამენს თავი ცოლმა მოსჭრა და ალექსანდრეს მიართვა).

სპიტამენის სიკვდილთან ერთად ზღვარი დაედო ფართო აჯანყებათა სერიას შუა აზიის მაშინდელ ხალხებში. დარჩა კიდევ რამდენიმე

განრინებული და შეურიგებელი გუნდი, რომელთაც ისევ მიუვალ მთებსა და კლდე-ღრეებში დაედოთ ბინა და სახიზარი.

328 წელიც მიიწურა, ახალი წელიც დადგა. ზამთარიც გავიდა და გაზაფხულის შემოსვლისთანავე ალექსანდრემ სამთო ლაშქრობა ბრძანა.

ეგრეთ წოდებულ „სოგდიანის კლდეზე“ გამაგრებულნი იყვნენ აჯანყებულნი, რომელთაც ბაქტრიელი ოქსიართი მეთაურობდა. მიუვალ კლდე-ქვაბულებში ჩასაფრებულებს სურსათიც უხვად მოემარაგებინათ და, მარადიული თოვლის წყალობით, წყალიც მუდმივად ეპოვებოდათ. ამიტომ თამამად იყვნენ და, როცა ალექსანდრემ შეუთვალა, დაგვნებდით და სიცოცხლეს გაჩუქებთო, პასუხად ეს ჩამოუგდეს: საჩუქებელი რა გვჭირს; თუ შენ და შენს ჯარისკაცებს ფრთები გაქვთ, ამოფრინდით და დაგხვდებითო.

ალექსანდრემ თავის ბანაკს გამოუცხადა: მტრით გამაგრებული ის მწვერვალი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ავიღოთო, საამისოდ თორმეტ ჯილდოს ვაწესებო — ვინც მტრის სიმაგრეზე პირველი გადავა, თორმეტ ტალანტს მიიღებს და ასე, რიგით, თითო ტალანტის მოკლებით, მეთორმეტე ერთ ტალანტს მიიღებსო. სამასი მსურველი აღმოჩნდა მწვერვალზე იერიშისა. ალექსანდრემ ისინი დამოძღვრა, საჭურვლით, კარვებით, თოკებით, პალოებით დატვირთა და მთაზე მიუშვა. შუაღამისას მოიერიშეებმა კლდის ყველაზე ციცაბო და პიტალო კედელს მიაღწიეს. საიდანაც, კლდის მიუდგომლობის გამო, ოქსიართი არავითარ საფრთხეს არ მოელოდა და იმ მხარეს არც რაიმე დაცვა არ დაუყენებია. დილამდე იცოცეს მაკედონელმა „ალპინისტებმა“ თოვლითა და ყინვით შემოსილ და შერკინულ კლდეზე. ოცდაათი კაცი მოწყდა და გადაიჩეხა, დანარჩენებმა დილით მწვერვალზე ააღწიეს, ოქსიართის არხეინად ჩაძინებულ ბანაკს ზემოდან მოექცნენ და, დათქმისამებრ, ალექსანდრეს იქიდან თეთრი თავსაფრები დაუფრიალეს. მაშინ ალექსანდრემ ერთხელ კიდევ ბუკით შესძახა აჯანყებულთა ბანაკს: ფრთოსანი მეომრები უკვე თავზე გადგანან და იმედია, ახლა მაინც მიხვდებით, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა უნაყოფოა და იარაღს დაყრითო.

გაოცებულმა და თავზარდაცემულმა აჯანყებულებმა მართლაც წინააღმდეგობის გაგრძელება უაზრობად ჩათვალეს და იარაღი დაყარეს. ალექსანდრე თვითონ ავიდა კლდოვან ბანაკში, სადაც მას მდიდარი ნადავლი ჩაუვარდა ხელთ[36].

აქვე, მრავალ ბაქტრიელ და სოგდიანელ წარჩინებულ ქალთა შორის, ალექსანდრემ იხილა აჯანყებულთა ბელადის, ოქსიართის უმშვენიერესი ასული, როქსანა. დარიოსის ცოლის შემდეგ ასეთი ლამაზი ქალი აღარ გვინახავსო. — იძახდნენ გაოცებული მაკედონელები [37].

ალექსანდრემ პირველი დიდი სიყვარულით შეიყვარა როქსანა. საგანგებო ნადიმზე შეყვარებულმა მეფემ პური მახვილით შუაზე გაჭრა და ნახევარი თვითონ შეჭამა, ნახევარიც როქსანას აჭამა; ეს ძველმაკედონური საქორწინო სიმბოლიკა იყო — კანონიერი ცოლ-ქმრობისა და ახალი ოჯახის დასაწყისისა [38].

მაშინვე როქსანას ახლობლები უხვი საბოძვარით აავსო ალექსანდრემ. სიმამრი, ოქსიართი, ბაქტრიის სატრაპად დანიშნა, სამი ცოლისძმა სამეფო მეგობართა აგემაში ჩარიცხა.

მაშ, 29 წლის ალექსანდრემ ცოლად შეირთო აზიელი, სოგდიანელი ქალი როქსანა. ალექსანდრე თავისი „დოქტრინის“ სიმბოლიკას ამ ქორწინებაშიც ხედავდა: „ევრაზიულ სახელმწიფოს“ მეფედ ევროპელი ესვა, დედოფლად — აზიელი, ერთი, ანუ „ერთიანი“ პური შუაზე, თანაბრად გაეყოთ ევროპელსა და აზიელს...

ამის შემდგომ, მდინარე ოქსის ზემო წელზე, კიდევ ერთი მთის სიმაგრე ელოდებოდა ალექსანდრეს იერიშებს. იქაც აჯანყებულები ჩასაგრებულიყვნენ, ფეხშეუდგამ კლდეებსა და უსიერი ტყეებით დაბურულ გამოქვაბულებსა და წკვარამებში. აჯანყებულთა ბანაკს სათავეში ედგა ხორიენი.

გაუძღვა ალექსანდრე ჯარს და შეუდგნენ მთებს.

უმძიმეს გზებზე კიდევ საშინელი წვიმები წამოეწიათ, სიცივე და ყინვა დააწვა დედამიწას. ბევრი მეომარი გაიყინა და გათავდა. მეფის გასაოცარი მხნეობა და დაუღლელობა მაინც სულსა და ხორცს განუმტკიცებდა ჯარისკაცებს. ერთი შესვენების ჟამს, — როცა ალექსანდრე ბანაკში ცეცხლს უჯდა, თბებოდა და ისვენებდა — ერთი მოხუცი მეომარი შემობორძიკდა, ყინვისგან გათოშილი და დაღლილობისგან ჯანდაშრეტილი. ალექსანდრე ფეხზე წამოვარდა, ჯარისკაცს იარაღი მოჰხადა და ცეცხლთან თავის სკამზე დასვა. როცა გათბა და თვალში გამოიხედა, მხოლოდ მაშინ იცნო მეფე იმ ჯარისკაცმა, — იცნო და ფეხზე წამოვარდა დაფეთებული. ალექსანდრემ სიცილით დაამშვიდა ჯარისკაცი: „ჰხედავ, მეგობარო, მეფის სკამზე ჯდომას სპარსელებთან სიკვდილი მოაქვს, შენ კი ჩემს სკამზე ჯდომამ სი-

ცოცხლე დაგიბრუნა“... გზა განაგრძეს და სიმაგრის ძირსაც მიაღწიეს ვაივაგლახით. იქ კიდევ ახალი დაბრკოლება გამოჩნდა — უძირო უფსკრული. არც აქ შედრკა ალექსანდრე. მაშინვე ჯარი ტყეებს მიუსია, უზარმაზარი ნაძვები წამოაქცევინა, უფსკრული გადაბეჭა, გადახიდა და ზედ ჯარიანად გადაიარა. მაშინვე სატყორცნი მანქანებიც მიაგორეს კედლებთან მაკედონელებმა და დაუშინეს ქვა და ისარი. ხორიენიც მიხვდა, რომ წინააღმდეგობა მას და მის ბანაკს სრული დაღუპვის მეტს არაფერს არგუნებდა. ამიტომ ალექსანდრეს მოლაპარაკების თხოვნა გაუგზავნა და შუამავლად და თავდებად ოქსიართი ითხოვა. ალექსანდრემაც გაგზავნა სიმამრი ხორიენთან. მივიდა ოქსიართი ყოფილ თანამებრძოლთან და დაარწმუნა იგი, თავისი თავდებობით, ალექსანდრეს მხრივ სრულს უვნებლობაში. ხორიენიც ადგა და ეახლა ალექსანდრეს თავისი თანამებრძოლებით. ალექსანდრემაც პატივით მიიღო და თან მიულოცა, რომ მან ბოლოს და ბოლოს თავისი სიცოცხლე ანდო არა კლდეს, არამედ კეთილშობილ ვაჟკაცს. ხორიენმა ციხესიმაგრეში დაგროვილი მთელი სურსათ-საზოვაგე გამოიტანა და შიმშილითა და სიცივით შეეიწროებულ მაკედონელებს დაურიგა.

ის ციხესიმაგრე და მისი მიმოსახედი ოლქი ალექსანდრემ ისევ ხორიენს მისცა საბატონოდ, თვითონ კი ქალაქ ბაქტრაში ჩავიდა, აქედან მან კრატეროსი ოთხი ფალანგური ტაქსისით და 600 ცხენოსნით გაგზავნა უკანასკნელ აჯანყებულებთან — კატანთან და გავსტანთან საომრად. საშინელ ბრძოლაში კრატეროსმა გაანადგურა აჯანყებულნი. კატანი ბრძოლაში დაიღუპა, გავსტანი კი ტყვეექმნილი და ბორკილდადებული მოჰგვარა კრატეროსმა მეფეს.

მცირე ხნით მიწყდა და მიჩუმდა საომარი ნაღარების ცემა და საჭურვლის ზათქი-ზრიალი.

და სანამ სისხლით გალეშილი ომის ღმერთი თვალს ატყუებდა, ისევ აიმღვრა რყევადი სულის სამყარო მაკედონური სამხედრო ბანაკისა.

ბრძოლის ველიდან ბანაკში მობრუნებისა და „სულის მობრუნების“ ჟამს ისევ მკვეთრი გახდა „იდეოლოგიური მეხთატეხა“ ჯერ კიდევ ფილოტასა და კლიტოსის სისხლის ოხშივრისგან დაუწმენდელ ბანაკში. ახალ-სახელმწიფოებრიობისა და მისი ახალ-იდეოლოგიური

საფუძვლების სარკვევ მორევში ისევ მძლავრობდა ბერძნული ინდივიდუალიზმი. თანაც— ყველა ეს ინდივიდუუმი, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც იმ წუთისოფლის მთავარ გმირთან განუყოფელ ურთიერთობაში ირჩევდა თავის „ინდივიდუალისტურ გზას“ ცხოვრებისას. ეს კი თავისთავად სწორედ იმ „მთავარ გმირთან“ კონფლიქტს, ანუ იმ „მთავარი გმირის“ ბრძოლაში გამოწვევას ნიშნავდა — საბედისწერო ბრძოლაში გამოწვევას.

ალექსანდრეს ახლობელ თანამებრძოლთა წრეში ყველა თავისი „ინდივიდუალური ბუნებისა“ იყო, ყველა თავისი საკუთარი თითის ანაბეჭდით. მაგრამ მათგან მაინც გამორჩეული მდგომარეობა ეჭირა ორ ახალგაზრდა ბერძენ ფილოსოფოსს.

ერთი — კალისთენე იყო, ქალაქ ოლინთოსიდან, დიდი არისტოტელეს დისწული და უსაყვარლესი მოწაფე. აქედანვე, თითქოს, თავისთავად იგულისხმებოდა მისი სულიერი ნათესაობა ალექსანდრესთან. იყო იგი ბრწყინვალე მწერალი, ისტორიკოსი, რიტორი, ფილოსოფოსი და გეოგრაფოსი. და წაჰყვა იგი აღმოსავლეთში მიმავალ „თანაევროპიულ“ ლაშქარს, — წაჰყვა, რამეთუ როგორც საკუთარ თვალითმხილველსა და მონაწილეს, მომავალი თაობებისთვის მართლად მოეთხრო ალექსანდრე მაკედონელისა და მის თანამებრძოლთა საქმენი საგმირონი.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ალექსანდრეს შეძახილი აქილევსის სულისადმი: ნეტავ შენ, ბედნიერო ჭაბუკო, რომ სიცოცხლეში მოიპოვე უერთგულესი მეგობარი, ხოლო სიკვდილის შემდეგ უდიდესი მეხოტბეო. მაშ — ნამდვილი, „კლასიკური მეგობარი“ — პატროკლე, და „კლასიკური მეხოტბე“ — ჰომეროსი. ეს, თითქოს, სიმბოლურ საპროგრამო სიტყვად ისროლა მაშინ ალექსანდრემ. მინ შემდგომ ექვსი წელიწადი გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი სისხლიც დაიქცა და „პროგრამის“ პირველმა ნაწილმა — პატროკლეობამ — ბოლო ხანს „თავი შეირცხვინა“ — პატროკლეებმა აქილევსზე ხელი აღმართეს! ხოლო, მეორე ნაწილი — „ჰომეროსობა“ — აქამდე დიდებულად ამართლებდა მთავარი გმირის „საპროგრამო მოწოდებას“ — იწერებოდა ალექსანდრე მაკედონელის საგმირო საქმეთა „ისტორიანი“ და „ზმანი“ („ქებანი“), რომელთა ავტორები იყვნენ: არისტობულე, კლიტარქოსი, ტიმაგენე, პოლიკლეტოსი, ონესიკრიტოსი, ასკლეპიადე, არისტოსი.

მაგრამ ყველა ამ ისტორიკოსსა და მწერალს შორის ყველაზე გა-

მორჩეული, ჰომერული ძალისხმევის კალმოსანი მაინც კალისთენე იყო. თვითონ ამბობდა კალისთენე, — მე ლაშქრად მოვდივარ არა საკუთარი დიდების მოსახვეჭავად, არამედ ალექსანდრეს საქმეთა განსადიდებლადო. ძლიერი, შთამბეჭდავი და დამაჯერებელი ლოგოსის მეუფე იყო კალისთენე, თვითონაც იცოდა ფასი თავისი ლოგოსისა და თვითონვე მიანიშნებდა ხაზგასმით: მომავალი თაობები სწორედ ჩემი თხზულებებით იწამებენ სიმართლეს და არა ოლიმპიადას ღვთაებრივი მუცლადღების ზღაპრების მიხედვით.[39] ჩვენამდე მოღწეული ნაფლეთები მისი ისტორიული თხზულებებისა ნათლად მეტყველებენ მათი ავტორის თანმიმდევრულ მეხოტბეობას ალექსანდრეს პიროვნებისა და საქმეებისადმი. ალექსანდრემ პამფილიის პირზე რომ გაიარა, მის წინ ზღვის ტალღები ჩაიკეცნენ და თაყვანი სცესო, — წერს ერთგან კალისთენე. გავგამელას ბრძოლის წინ ალექსანდრემ ზეცისკენ ხელები შემართა და შესძახა, — თუ მე მართლა ზევსის ძე ვარ, მაშინ, ღმერთებო, მოჰხედეთ და ბრძოლა მოაგებინეთ ელინებსო, — წერს მეორეგან, და აკი შეისმინეს მისი თხოვნა თავისმა „ნათესავმა ღმერთებმა“?!.. დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ ჯარისკაცები ამ ახალგაზრდა კაცს. მოსწონდათ მისი მაღალგანათლებულობა, შთამაგონებელი საუბარი, გონებამახვილობა, თავაზიანობა და სამართლიანობა.

მეორე, სავსებით სხვა ხასიათის პიროვნება იყო ანაქსარქოს აბდერელი, სახელოვანი დემოკრიტეს თანამემამულე, ელეატური ფილოსოფიის მიმდევარი. მისი ცხოვრების ამოსავალი წერტილი წმინდა ევდემონიზმი — სხეულებრივი ბედნიერებისთვის ყველაფრის გაწირვა იყო. იგი ამცირებდა და დასცინოდა ყველას, ვინც კი სახელის მოხვეჭისათვის ათასგვარ ხიფათზე მიდიოდა და ცხოვრებისგან სხვაზე მეტ სიამოვნებას მაინც ვერ ღებულობდა.[40] იგი ქედმაღლურად და ზიზღით ეპყრობოდა ადამიანებს. განსაკუთრებით ახლობლებსა და ნათესავებს, ხალხს „ოხლოსს“ (ბრბოს) ეძახდა და საერთოდ პატივისცემის ღირსად მაინცა და მაინც არც მიიჩნევდა. ვერავინ არკვევდა საზღვარს მის გულწრფელობასა და ფარისევლობას შორის, ხუმრობასა და სერიოზულობას შორის, მაამებლობასა და ცინიზმს შორის. მეფისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა, მაგრამ მწარე სარკაზმის უფლებასაც აძლევდა ხოლმე თავს მეფის დიდსულოვნებით გათამამებული ახალგაზრდა ფილოსოფოსი. იგი, ერთი მხრივ ამტკიცებდა, რომ ალექსანდრე დიონისეზე და ჰერაკლეზე დი-

დი გმირია და მასზე მეტადაც უნდა ვაღმერთებდეთო, მაგრამ ხშირად თვითონვე დასცინოდა ალექსანდრეს „ღმერთობას“! ერთხელ, ავდარში, ცაზე რომ საშინელი ქუხილი ატყდა, ანაქსარქოსმა ასე მიმართა ალექსანდრეს: „იქნებ, შენც დააჭექო, ზევსის ძევ, მეხი ზეცაში?“ ალექსანდრე მიხვდა, როგორ დასცინა ენაკვიმატმა მის „ღვთისძეობას“, მაგრამ პასუხად ეს გადაჰკრა: „მე არ მინდა დაგიჯერო და მეგობრები შევაშინო: შენ კი ჩემი სადილითაც უკმაყოფილო ხარ, ვინათგან სუფრაზე მარტო თევზს ჰხედავ და არა სატრაპთა თავებს“.[41] მერე კიდევ, — როცა ალექსანდრეს კლიტოსი შემოაკვდა და მეფე გაუთავებელ გლოვასა და აპათიას მიეცა. მასთან ანაქსარქოსი შევარდა და შესძახა დამტუქსავი ხმით: „განა, ეს არის ალექსანდრე, რომლისკენაც ახლა მიპყრობილია თვალი მთელი სამყაროისა?! ეს ხომ ისე წევს და ტირის, ვითარცა მონა და ეშინია კაცთა კანონისა და ძრახვისა, — იმ კაცთა, ვისთვისაც თვითონ უნდა იყოს კანონიც და სამართლიანობაც! მან ხომ იმიტომ გაიმარჯვა, მბრძანებლობდეს და სხვები ჰყავდეს მორჩილებაში და არა იმიტომ, რომ ფუჭი აზრისგან დაძლეული სხვას დაემონოს! გონს მოდი, ხელმწიფეო, განა, შენ არ იცი, ზევსს გვერდით დიკე და თემიდა (მართლმსაჯულების ქალღმერთები) უსხედან, რათა რასაც მბრძანებელი ჩაიდენს, ყველაფერი განგებისმიერად და სამართლიანად ჩათვალონ? “[42].

მეფეს სჭირდებოდა ასეთი კაცი, — კაცი, რომელიც მისი გულის ნადებს მიხვდება და, სიწრფოებით თუ ფარისევლობით, „გულის მოსაფხან“ სიმართლეს ეტყვის. ამიტომ ალექსანდრემ ანაქსარქოსი კიდევაც დაითმინა და კიდევაც დაისაჭიროვა.

ხოლო, კალისთენესა და ალექსანდრეს შორის წყალი მოულოდნელად აიმღვრა. მიზეზი კი ისევ და ისევ ალექსანდრეს ახალ-სახელმწიფოებრივი „საპოლიტიკო ნოვატორიზმი“ იყო. ალექსანდრეს ყურს მიწვდა, რომ კალისთენე აშკარად, ხალხსა და ჯარში ხმამაღლა გაცხადებით, არ იწონებდა ბერძენთა და ბარბაროსთა გაწონასწორების მოძღვრებას. ერთი სიტყვით, კალისთენე, ალექსანდრესგან განსხვავებით და მის საპირისპიროდ, აქაც არისტოტელეს ერთგული მოწაფე და მისი გეზგაუხრელი მიმდევარი დარჩენილა.

დაიწყო თითქოს უბრალო და უწყინარი კინკლაობით და განვითარდა ავისმაუწყებელი ჭიდილითა და შეხლა-შემოხლით.

კალისთენემ მოუკლო მეფისგან მიწვეულ სუფრაზე სიარულს; ან თუ მივიდოდა, იჯდა უტყვი და პირჩაქუფრული — ეს ენამჭევრი და

ლამაზი კაცი. ალექსანდრეს კი არ გამორჩენია მისი „მეგობრის“ ეს ყრუ პროტესტანტობა და განაცხადა კიდეც ერთხელ, ევრიპიდეს ლექსით:

> მძულს მე ისეთი ბრძენი, რომელიც
> თავის თავისთვის არ არის ბრძენი.

მუქარით იყო ეს ლექსი ნათქვამი, მაგრამ კალისთენეს ისევ არ გაუცია პასუხი.

მეორედ, — ისევ მეფის გამართულ მრავალსტუმრიან სუფრაზე, კალისთენეს ღვინით სავსე თასი მიაწოდეს და ჩააცივდნენ, ადექი და ერთი შენებურად მაკედონელები შეაქეო. ადგა კალისთენე და თქვა სადღეგრძელო, — თქვა ისე ძლიერად, რომ მთელი სუფრა წამოიშალა ტაშის გრიალით, აღტაცებული შეძახილებითა და ყვავილთა ფრქვევით. მაგრამ ალექსანდრემ სცადა არაფრად ჩაეგდო კალისთენეს სიტყვა და ისევ ევრიპიდეს ლექსი ისროლა:

> როს საუცხოო ამბავზეა სალაპარაკო,
> ენამჭევრობა სრულებითაც არ არის ძნელი.

ეს თქვა მეფემ და დასძინა: აბა, თუ ბიჭი ხარ, შენი მჭევრმეტყველება, ქებით კი არა, მაკედონელთა გაკიცხვით გვიჩვენე, რათა თავიანთი შეცდომანი შეიგნონ და უკეთესები გახდნენო.

კეთილი და პატიოსანიო, — და ხელახლა წამოდგა კალისთენე, ხელახლა წარმოთქვა სიტყვა, მაგრამ სიტყვა მაკედონელთა ნაკლთა და სისუსტეთა მამხილებელი, რომლის მთავარი აზრი ეს იყო — ფილიპესა და მისი მაკედონელების ამაღლება და გაძლიერება მხოლოდ ბერძენთა შინაგანი უთანხმოებისა და შინამტერობის შედეგი იყო, და ლექსით დაასრულა:

> უკეთუ ხალხში დამკვიდრდება უთანხმოება,
> არამზადები იდროვებენ, აღზევდებიან.

ახლა კი საშინლად ააღელვა და აახმაურა სუფრა ამ სიტყვამ. კალისთენემ მჭევრმეტყველება კი არა, ჩვენდამი მტრობა და სიძულვილი გაამჟღავნაო, — ყარყაშობდნენ მაკედონელნი. ალექსანდრე კი ბოროტად იღიმებოდა — აი, თქვენი საყვარელი ოლინთოელი ბრძე-

ნიო. კალისთენემაც საფრთხე იგრძნო და სუფრიდან წასვლისას სამჯერ თავის თავს ხმამაღლა უთხრა ლექსი „ილიადადან“:

პატროკლეც მოჰკლეს — აკი შენზე ბევრად უმაღლეს!

ამ ამბავს გვიან ეტყვიან არისტოტელეს და ისიც იტყვის: მჭევრმეტყველებით მართლაც დიდი და მძლავრი იყო კალისთენე, მაგრამ ჭკუა დიახაც აკლდაო. ასე იყო: პირდაპირობა და გულახდილობა უჭკუობად იყო შეფასებული.

ალექსანდრესა და კალისთენეს „ზოგადიდეოლოგიური“ უთანხმოებანი კიდევ ერთ ცალკე „საკითხში“ გამჟღავნდა მკვეთრად. საქმე ეხებოდა მეფის საუდიენციო ცერემონიალსა და განრიგებას. როცა ალექსანდრესთან სპარსელები და საერთოდ აზიელები შედიოდნენ, ჩვეულებრივი აღმოსავლური წესით, მუხლებზე ეცემოდნენ, მიწას განერთხმოდნენ, მეფეს ფერხთა მტვერს უკოცნიდნენ. მაკედონელები კი ისევ ძველებურად, „დემოკრატიულად“, ჩვეულებრივი სწორფრული მისალმებით ხვდებოდნენ მეფეს. ალექსანდრეს კი, თავისი „პოლიტიკური ფილოსოფიის“ მიხედვით, არ შეეძლო ასე დაეშვა ბოლომდე. ნიველირება აუცილებელი იყო, მაგრამ ვის სასარგებლოდ? სპარსული ყაიდის თუ ევროპული „დემოკრატიზმის“ სასარგებლოდ?.. და ალექსანდრემ ისევ სპარსული ყაიდის სასარგებლოდ გადაწყვიტა: ამიერიდან მაკედონელებიც ისევე უნდა დამხობილიყვნენ მეფის წინაშე, როგორც სპარსელები ემხობოდნენ საუკუნეების მანძილზე კიროსების, კამბიზების, ქსერქსეების, არტაქსერქსეების, დარიოსების, და ახლა კიდევ, „ახალი კიროსის“ — ალექსანდრე მაკედონელის წინაშე. მაკედონელები და ბერძნები უკიდურესად აღაშფოთა ალექსანდრეს ამ გადაწყვეტილებამ, მაგრამ პირდაპირ თქმა ვერავინ გაუბედა. ერთადერთი აღმოჩნდა ისევ კალისთენე, რომელმაც „გადაჭრით და ფილოსოფოსის სიმტკიცით“ გაილაშქრა ალექსანდრეს წინაშე აღმოსავლური წესით თაყვანისცემის წინააღმდეგ. იგი ისეთი დაუნდობლობით და შეურიგებლობით გამოდიოდა, რომ ალექსანდრე იძულებული გახდა ხელი აეღო თავის გადაწყვეტილებაზე. იძულება კი სიძულვილს ჰბადებს. მეფის სიძულვილი კი ის ძალაა, რომელსაც შეძულებული ბოლოს და ბოლოს შეეწირება.

წყაროები ერთ ნიშნეულ ამბავსაც გადმოგვცემენ ამასთან დაკავშირებით, ალექსანდრემ ერთ სუფრაზე ოქროს თასი ჩამოატარა სად-

ღეგრძელებელ სასმურად. ეტყობოდა, ვისთანაც იმ თასით მეფე პირველად მივიდა, ის კაცი გაფრთხილებული იყო: უნდა დაელია, დაცლილი სასმურით ალექსანდრეს ხლებოდა და აღმოსავლური წესით თაყვანი ეცა, რისთვისაც იგი სამაგიეროდ მეფისგან კოცნას მიიღებდა. ასე, პირველმა დაიწყო და სხვებიც მიჰყვნენ: თასს გამოსცლიდნენ, ალექსანდრესთან მიდიოდნენ, ეთაყვანებოდნენ და მეფის კოცნით „გაბედნიერებულნი“ უკან ბრუნდებოდნენ. კალისთენეს რიგი რომ დადგა, მეფემ თასი მიაწოდა და თვითონ,—ვითომ ყურადღებას არ ვაქცევო — გვერდით მჯდარ ჰეფესტიონთან გაბა ლაპარაკი. კალისთენემ ამით ისარგებლა, თასი სულმოუთქმელად გამოსცალა, მაგრამ თაყვანისცემა გამოტოვა და მეფეს მხოლოდ კოცნისთვის მიუახლოვდა. უცებ ჰეტერმა დემეტრიოსმა იყვირა: არ აკოცო მაგას, მეფეო, მაგან ერთადერთმა არ გცა თაყვანიო. მეფემაც აღარ აკოცა კალისთენეს. მაგრამ კალისთენემაც მხრები აიჩეჩა და მწარე დაცინვით წამოიძახა: რა გაეწყობა, — წავალ ასე, ერთ კოცნას მოკლებულიო[44].

კიდევ გავიხსენოთ ადრე ნათქვამი: ფილიპეს დროიდანვე მაკედონიაში წესად იყო წარჩინებულ მაკედონელთა ვაჟიშვილების სასახლის კარზე აყვანა და აღზრდა, ვითარცა „მეფის ყმაწვილებისა“ და მისი „მცველებისა“, ანუ — გვიანდელი სახელდებით — „პაჟებისა“. ომის დროს ისინი წარმოადგენდნენ მეფის სამხედრო ამალას, ყარაულობით ღამეს უთევდნენ მის სახლს. მოართმევდნენ ცხენსა და იარაღს, ახლდნენ ნადიმობისას და ნადირობისას. მეფე იყო მათი მფარველი და მათზე მზრუნველი. მეფე იწვევდა თავისი „პაჟებისთვის“ მასწავლებლებს, აღმზრდელებს, პოეტებს, ფილოსოფოსებს, რიტორებს.

იყო ამ „პაჟთა“ შორის ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად ჰერმოლაოსი, დიდი მოყვარული და თაყვანისმცემელი კალისთენეს პიროვნებისა, მისი ფილოსოფიისა და სიტყვათხელოვნებისა. იგი, კალისთენეს კვალდაკვალ, მტრულად უცქერდა ალექსანდრესეულ სპარსულ-მაკედონურ ზნე-ჩვევათა აღრევას, ნიველირებასა და „წმინდა მაკედონურის“ უარყოფასა და დამცირებას. ჰერმოლაოსს დაჰკარგვოდა პატივისცემა და კრძალულობა ერთ დროს მისი სათაყვანო მეფისა. და ერთხელ, ნადირობისას, ჰერმოლაოსმა მეფეს დაასწრო და ანაზდად შემოფეთებულ გარეულ ტახს შუბი სტყორცნა და დააგორა. რაკი მან წესი დაარღვია და მეფის „პირველობის უფლება“ მი-

ითვისა, ალექსანდრემ ამ „კადნიერ ბიჭუნას“ ცხენი ჩამოართვა და ყველას თვალწინ ჯოხებით საშინლად აცემინა.

ჰერმოლაოსმა გადაწყვიტა შური ეძია და თავისი განზრახვა პირველად გაანდო უახლოეს მეგობარს — სოსტრატოსს, რომელიც იყო შვილი ამინტასი — იმ ამინტასი, რომელსაც, მის ძმებთან ერთად, ბრალი ედებოდა ფილოტას თანამზრახველობაში, თუმცაღა ამინტამ ის ბრალდება გააქარწყლა და ერთ ბრძოლაში ალექსანდრესთვის თავიც გასწირა. სოსტრატოსსაც თურმე ალექსანდრეს სისხლი სწყურდა მამამისის უსამართლოდ გაწირვის გამო და მაშინვე აუბა მხარი ჰერმოლაოსს ალექსანდრეს მოკვლის განზრახვაში. შეითქვნენ და შეთქმულებმა კიდევ ოთხი თანამზრახველი გაიჩინეს: ანტიპატროსი — ძე ასკლეპიოდოროს სირიის სატრაპისა, ეპიმენე — ძე არსეოსისა, ანტიკლეოსი — ძე თეოკრიტოსისა და ფილოტა — ძე თრაკიელი კარსიდოსისა. იდუმალ ითათბირეს და ასე გადაწყვიტეს: იმ ღამით, როცა მეფის კარავის გუშაგობა რიგით ანტიპატროსს უწევდა, კარავში უნდა შესულიყვნენ და მძინარე ალექსანდრე მოეკლათ.

დადგა ის ღამეც. ანტიპატროსი გუშაგად დგას. შეთქმულებიც მზად არიან და ნიშანს ელიან. მეფე ვახშმად ზის მეგობრებთან და ქალებთან, რომელთა შორის არის ერთი ვინმე სირიელი მისანი ქალი. ადრე ამ ქალის მისნობას ალექსანდრე და მისიანები დასცინოდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი „ზეციური ხილვის“ უნარი დაუჯერებიათ და მეფე აღარც იშორებდა ამ ქალს... გვიან ღამემდე შეჰყვა მეფე სმასა და ზმას. ხოლო, როცა წამოიწია და დასაძინებლად წასვლა დააპირა, იმ სირიელმა ქალმა არ დაანება და ურჩია, ამ ღამით არ დაეძინებია და დილამდე გაჰყოლოდა ნადიმობას. ალექსანდრემ დაუჯერა და ტრაპეზთან დღის შემოსვლამდე დარჩა. შეთქმულება ჩაიშალა.

შეთქმულებმა კი თავისი არ დაიშალეს და ალექსანდრეს მოკვლა იმ ღამისთვის გადაიტანეს, რა დღესაც რომელიმე მათგანს საგუშაგოდ დაუძახებდნენ. მაგრამ, საერთო ჰეშმარიტებით, რამდენადაც დიდია საიდუმლო, იმდენადვე უჭირს ენის მქონებელ ადამიანიშვილს მისი შენახვა, გულში უთქმელად დამარხვა და დაკუბოვება. და აი, ერთმა შეთქმულთაგანმა, ეპიმენე არსეოსის ძემ, ყველაფერი, რაც ალექსანდრეს მკვლელობის განზრახვას შეეხებოდა, დაწვრილებით გაანდო თავის ძმას — ევრილოხოსს. ევრილოხოსი კი, არც აცივა, არც აცხელა, მეფესთან გაიქცა; გაიქცა და — პირველი ვინც შეეყარა — პტოლემაიოს ლაგიდს აუწყა, არიქა, მეფეს მოკვლას უპირე-

ბენო. პტოლემაიოსი მეფესთან შევარდა და... და ყველაფერი გათავდა — შეთქმულები შეიპყრეს და გაასამართლეს. საშინელი წამების შემდეგ, ჰერმოლაოსმა და მისმა თანამზრახველებმა დაასახელეს კიდევ რამდენიმე შეთქმული. ითქვა ისიც, რომ შეთქმულების შესახებ იცოდა კალისთენემ. ეს კი საკმარისზე მეტიც იყო, რომ ეს „აუტანელი სოფისტიც“ სხვებთან ერთად შეეპყრათ და ბორკილები დაედოთ.

ალექსანდრემ სასამართლოზე, რომელსაც თვითონ თავმჯდომარეობდა, კალისთენე საერთოდ არ გამოაჩინა, ხოლო შეთქმულების მეთაურს, ჰერმოლაოსს, ამნაირ „პროვოკაციულ კითხვას“ აძლევდა: აბა, მოგვითხრე ყოველივე, რას გირჩევდა და როგორ ჩაგაგონებდა კალისთენე ჩემს მოკვლასო.

ჰერმოლაოსის სიტყვა კი ასეთი იყო მეფე ალექსანდრე მაკედონელისადმი:

— ჩვენ კალისთენემ კი არ ჩაგვაგონა და გვასწავლა, არამედ ჩვენი ცხოვრების უბედობამ გვასწავლა; ჩვენ შენი მოკვლა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ შენ ჩვენ გვეპყრობოდი არა ვითარცა თავისუფალ ადამიანს, არამედ ვითარცა მონებს; რამდენი კეთილშობილი მაკედონელი გადაურჩა კიდევ შენს სისხლიან სისასტიკეს? როგორ გადაუხადე შენ ატალოსს, ფილოტას, პარმენიონს, ალექსანდრე ლინკესტიდსა და კლიტოსს მათი ერთგულებისთვის, შენთვის დაღვრილი სისხლისთვის, შენი განდიდებისა და ამაღლებისთვის! კლიტოსის სისხლით შენივე სუფრა შეთხვარე, ფილოტა საშინელი წამებით მოჰკალ! შენი სარდლები, შენთვის მუდამ წკიპზე შემდგარნი, მათგანვე დამარცხებული ბარბაროსი სპარსელების გასართობ და აბუჩად ასაგდებ სანახაობად გახადე; პარმენიონი, — რომლის დახმარებით შენ თავის დროზე ატალოსი მოჰკალი — შენ თვითონ მოჰკალ გაუსამართლებლად. შენ მაკედონელებს ჰხოცავ მაკედონელთა ხელით და მერე, შენგანვე მკვლელებად ქცეულებს კიდევ სხვათა ხელით სპობ. ჩვენ, ყმაწვილებს, იქნებ გვიჭირდეს ყოველივე სრულიად გამოვთქვათ, ერთადერთი, ვისაც ძალუძს ყოველივე ძლიერად თქვას, თავისი ძლიერის ლოგოსით, — არის კალისთენე; შენ კი, ახლა მაინც რად არ მოიყვან კალისთენეს, როცა ჩვენ თვითონ გულწრფელად ვაღიარებთ ჩვენს გულისნადებს? მაშასადამე, შენ მისი გეშინია, დიახ — გეშინია უდანაშაულო ადამიანის მძლავრი სიტყვისა: მე ვამტკიცებ, რომ

კალისთენეს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. აქ არის ყველა, ვინაც ჩემთან ერთად გადაწყვიტა განსრულება ამ მშვენიერ განზრახვისა (მეფის მოკვლისა) და ვერც ერთი მათგანი ვერ იტყვის, რომ კალისთენე ჩვენი თანამზრახველი ყოფილიყოს და მაინც, მიუხედავად ამისა, იგი, ჩვენი უაღრესად სამართლიანი და დიდსულოვანი მეფისგან, უკვე განწირულია სასიკვდილოდ. აი ჯილდო მაკედონელებისა: შენ ისე აქცევ მათ სისხლს, როგორც უვარგის, ჭუჭყიან ნარეცხს! ოცდაათი ათასი ჯორი ეზიდება ნადავლად აღებულ შენს ოქროს, ხოლო შენს მეომრებს სახლში მისატანად არაფერიც არ გააჩნიათ, შენთვის მიღებულ ნაჭრილობევთა გარდა. მაგრამ ყველაფერ ამას ავიტანდით და მოვითმენდით, სანამ შენ ბარბაროსთა გულისთვის ჩვენ არ დაგვივიწყე და მათი წეს-ჩვეულნი უღლად არ დაგვადე. შენ მოგწონს სპარსული ტანსაცმელი და სპარსული ცხოვრების წესი. გამოდის, რომ ჩვენ გვინდოდა მოგვეკლა სპარსთა მეფე და არა მაკედონელთა მეფე. ჩვენ გდევნით შენ ომის კანონით, როგორც მოღალატეს და მტრის მხარზე გადასულს. შენ გინდოდა, რომ მაკედონელები შენს წინაშე მუხლებზე დაცემულიყვნენ და მოგსალმებოდნენ ვითარცა ღმერთს; შენ უარი უთხარ მამაშენის, ფილიპეს მამობას და თავი ზევსის ძედ გამოაცხადე; მაგრამ ზევსზე დიდი თუ ვინმე გამოჩნდა, მაშინ შენ ზევსის შვილობაზეც უარს იტყოდი; შენ გიკვირს, რომ ჩვენ, თავისუფალ ადამიანებს, არ შეგვიძლია მოვითმინოთ შენი ტირანია. და ახლა, რას უნდა ველოდეთ შენგან ჩვენ, რომელთაც არ შეგვიძლია ვიცხოვროთ როგორც მონებმა? ჩვენ დავიხოცებით, მაგრამ თუკი შენ ოდესმე გამოსწორდები, ბევრით ჩემგან აღმოჩნდები დავალებული, — აკი შენ ჩემგან შეიტყვე, რაის მოთმენაც არ შეუძლიათ თავისუფალ ადამიანებად შობილთ! ჩვენ მხოლოდ ამას გთხოვთ სიკვდილის წინ, — დაინდე ჩვენი მამები წამებისგან და სიკვდილისგან — ეს უბედურნი, მათ სიბერესთან მარტო შთენილნი და ამიერიდან უშვილძირონი. ახლა კი უბრძანე დაგვხოცონ, რამეთუ ჩვენ ჩვენი სიკვდილით მოვიპოვოთ ის, რაის მოპოვებასაც ვაპირებდით შენი სიკვდილით, — დაასრულა ჰერმოლაოსმა[45].

ალექსანდრემ საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა, რისხვით და ბრაზით — სიტყვა კნინი და უმწეო. შეთქმულები გაიყვანეს და, ძველი მაკედონური წესით, ქვის დაკრებით ჩახოცეს [46].

კალისთენეს გარშემო კი მითქმა-მოთქმა აღარ წყდებოდა. ზოგი შეთქმულებაში მის მონაწილეობას გაიძახოდა, ზოგი შეთქმულთა წა-

ქეზებას აბრალებდა, ზოგი მხოლოდ შეთქმულების პასიურ ცოდნას, ზოგიც სულ უცოდნელობას.

ხმა დადიოდა ჯარში: ერთხელ ჰერმოლაოსმა ჰკითხა კალისთენეს — როგორ შეიძლება, ადამიანმა დიდი სახელი მოიხვეჭოსო; როგორ და, ფრიად სახელგანთქმული ადამიანის მოკვლითო, — უპასუხნია კალისთენეს. მერე კიდევ, ასე წააქეზა კალისთენემ ჰერმოლაოსი: შენ იმან არ შეგაშინოს, მეფე რომ ოქროს ტახტზე წევს, — სულ ერთია, მეფის სხეულიც ისეთივე უმწეოა ჭრილობისა და სენის ქვეშ, როგორც ყველა სხვა მიწიერი ადამიანისო, — და სხვა მისთანანი, ჭორნი თუ სწორნი.

ალექსანდრეს მტკიცედ გადაეწყვიტა კალისთენეს დაღუპვა. შვიდი თვე ბორკილდადებული და გალიად ჩაგდებული მიჰყავდა სალაშქრო გზებზე. თითქოს, გვიან უნდა გაესამართლებინა, ომის დამთავრების ჟამს, მისი ბიძისა და მასწავლებლის, არისტოტელეს თანდასწრებით. მაგრამ პატიმრობიდან შვიდი თვის თავზე, ინდოეთში ალექსანდრეს ლაშქრობის ჟამს, აღესრულა კალისთენე. დღემდე მოღწეულ ცნობათაგან, ამ საინტერესო ადამიანის დაღუპვის გარემოებათა გარშემო ერთხმივი აზრი არც კი არსებობს. ზოგი (არისტობულე) ფიქრობს, რომ იგი ტყვეობაში დაავადდა და ტანჯვით გარდაიცვალა, დასივებული და ტილებდახვეული; მეორე ავტორის (პტოლემაიოს ლაგიდი) ცნობით, კალისთენე ალექსანდრემ აწამა და ჩამოახრჩო; ან კიდევ (დიოგენე ლაერტის ცნობით) — კალისთენე ლომს ჩაუგდეს და დააგლეჯინესო; კიდევ სხვისი (იუსტინე) გადმოცემით — კალისთენეს ცხვირი და ყურები დააჭრეს და ისე აჩვენებდნენ ყველას, ბოლოს ლისიმახოსს შეეცოდა, ჩუმად საწამლავი მისცა და იმ საწამლავით იხსნა თავი კალისთენემ ეგზომ ტანჯული სიცოცხლისგანო.

ასე იყო თუ ისე, ფილოტასა და კლიტოსის შემდგომ, ასე შეუბრალებლად მოისრა მესამე დიდი ყვავილი ალექსანდრე მაკედონელის ცოდვიან წალკოტში.

თავი XII

ალექსანდრე ინდოეთში

327 წლის გაზაფხულზე ალექსანდრე მაკედონელი თავისი საომარი ძალებით უკვე ინდოეთისკენ მიმავალ სალაშქრო გზაზე იდგა.

ევროპელები პირველად მიდიოდნენ უცხო, მანამდე თვალით უხილავ და მხოლოდ ზღაპრით, ლეგენდით და სასწაულით გაცნობიერებულ ქვეყანაში.

ინდოეთად წოდებული ეს კუთხე პლანეტისა მართლაც გასაოცრად გამორჩეული ქვეყანა იყო — თავისი გეოგრაფიული განკერძოებულობით, ბუნებრივი პირობების მრავალსახოვანებით, ცისა და მიწის საოცრებებით, ნივთიერი და სულიერი კულტურის სიმდიდრითა და ნაირგვარობით, საზოგადოებრივი იერარქიების მრავალსართულიანობითა და სირთულეებით; ქვეყანა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მისვლამდე ორი ათასი წლის მაღალცივილიზებულ კულტურას ატარებდა და მაინც აქამდე ერთსახელმწიფოებრიობისა არაფერი გაეგებოდა. ინდოეთის პოლიტიკური ისტორია გულისხმობდა მუდამ მრავალნაკრიან პარტიკულარიზმს, მრავალნაკვეთიანობას, მრავალსახელმწიფოებრიობას. ქვეყანა, რომელიც სამი მხრით შემორტყმულია ოკეანეებით, ხოლო დანარჩენი მხრით კი — მსოფლიოში უმაღლესი და უფართოესი მთებით, მანამდე სრულიად მოწყვეტილი და შეუღწეველი იყო რაიმე სერიოზული ურთიერთობისათვის, რასაც შეიძლებოდა „საერთაშორისო“ დარქმეოდა. ინდოელები არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ათასხუთასწლოვან მსოფლიო ორომტრიალში, სადაც „მსოფლიოში პირველობის“ კვერთხს ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ — ეგვიპტელები, ხეთები, ბაბილონელები, ასირიელები და მიდიელები. მხოლოდ ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებში, კიროსისა და მისი სპარსული მონარქიის აღზევების ჟამს ჩნდება ინდური ტომების დანარჩენ მსოფლიოსთან პოლიტიკური „მი-მო-დგომის“ ასე თუ ისე ხელშესახები ნიშნეულობანი. კიროსის სახელმწიფოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მოხსენიე-

ბულია სატრაპია განდარა. შემდეგ, დარიოს I-ის დროინდელ სპარსეთის მეოცე სატრაპიას ინდოელები შეადგენდნენ; ბოლოს, საბერძნეთს მოლაშქრე ქსერქსეს ლაშქარშიც იხსენიებოდნენ განდარიელები[1].

დარიოს III-ის სახელმწიფოში კი ქვეშევრდომებად გვევლინებიან ინდოეთის უკიდურეს დასავლეთში მცხოვრები პაროპამისადები. ამათ მოიყვანეს გავგამელას ველზე სპილოები, რომლებიც პირველად იხილეს და უსაზღვროდ გაიოცეს ევროპელებმა.

ალექსანდრეს უკვე ჰქონდა ცნობები ინდოეთის შესახებ. იცოდა, რომ დიდი „ხუთმდინარეთის“ — ფენჯაბის, ინდისა და განგის ხეობებში მრავალი დიდი და მცირე სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი ჯაჭვის რგოლებად ასხმოდნენ ერთმანეთს. ალექსანდრე უკვე იყენებდა კიდევაც ინდურ სამეფოთა შორის ქიშპსა და მტრობას. ყველაზე მეტად მას ფენჯაბში დატრიალებული შინაური ამბები აინტერესებდა, ვინათგან პირველი დიდი ინდური ქვეყანა, რომელზეც ევროპელ ხელმწიფეს პირველი ნაბიჯი უნდა დაედგა, სწორედ ინდის ზემო წელი და ფენჯაბი იყო. ალექსანდრემ იცოდა, რომ აქ ორი ინდური სამეფო ებრძოდა ერთმანეთს — სამეფო ტაქსილესი და სამეფო პოროსისა. პირველი ინდსა და ჰიდასპეს (ახლ. ჯელუმ) შორის მდებარეობდა, მეორე — ჰიდასპესა და აკესინეს (ახლ. ჩინაბ) შორის. ჯერ კიდევ სოგდიანაში ყოფნისას მოსვლოდა ალექსანდრეს ელჩები ტაქსილესაგან. მორჩილებას, კავშირსა და სრულ დახმარებას აღუთქვამდა ინდოელი რაჯა, უკეთუ მაკედონელი გვირგვინოსანი ინდოეთს მისვლას „ინებებდა“ და „იკადრებდა“.

ალექსანდრეს ბანაკში იყო ამ დროს, აგრეთვე, ინდის დასავლეთ მხარის ბატონი, სისიკოტე, რომელიც ადრე ბესას ეხმარებოდა, მაგრამ იგი დროზე მიატოვა და ალექსანდრეს ეახლა, ერთგული სამსახურისა და სრული მორჩილების ფიცით...

მაშ, 327 წლის გაზაფხულზე ალექსანდრემ ბაქტრია-სოგდიანის საპატრონოდ დატოვა 10000 ქვეითი და 3500 ცხენოსანი მეომარი, თვითონ კი, ახლად ორგანიზებული საომარი ძალებით, არა მარტო ბერძნულ-მაკედონურით, არამედ უფრო მეტი აზიურით — სულ 120000 მეომრით,[2] — დაიძრა ინდოეთისაკენ.

ვინც კი ინდოეთში ყოფილა, ყველა არწმუნებდა ალექსანდრეს,— ინდოეთი ის ქვეყანაა, რომელიც გატენილი და გაბრწყინებულია ოქროთი და თვალმარგალიტით, კეთილშობილი ქვით და სპილოს ძვლითო. ვითომ არც ეს გაიკვირვა ალექსანდრემ — არც ჩვენ გახლავართ

სხვებზე ნაკლებიო და გალაშქრების წინ, სამეფო მხედრობის ყოველ მეომარს ფარი ვერცხლის ფურცლებით მოაჭედვინა, ცხენები ოქროს საკაზმავებით მოაკაზმინა, ჯავშნებიც ოქროთი ან ვერცხლით მოასევადებინა [3].

და მიემართებოდა ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთს ევრაზიული მხედრობით, მოოქროვილ-მოვერცხლილი საჭურვლის ბრჭყვიალით და საომარი ნაღარების გრიალით. ჭეშმარიტად — საზიშანსვეტო დღეები დგებოდა ქვეყანასა ზედა!

ბაქტრიიდან წამოსული მაკედონელები ათ დღეში მივიდნენ ალექსანდრიაში. ორი წლის წინათ დაარსებული ეს ქალაქი, რომელსაც „ინდოეთის კარების“ როლი უნდა შეესრულებინა, არც ისეთი დახვდა, როგორსაც მოელოდა მეფე, ამიტომ მან აქაური მმართველი, ნილოქსენოსი, მაშინვე მოხსნა. აგრეთვე გადააყენა ამ ოლქის, პაროპამისადების სატრაპი, სპარსელი პროექსი. ქალაქის მოსახლეობა ალექსანდრემ გაზარდა ახლომახლო მცხოვრებლებით და იმ მეომრებით, რომელთაც ინდოეთის მძიმე ლაშქრობის დაძლევა უნდა გასჭირვებოდათ. ქალაქისა და ციხიონის ახალ მეთაურად ალექსანდრემ დანიშნა ჰეტერი ნიკანორი, მამა კილიკიის მმართველის ბალაკროსისა, ხოლო პაროპამისადების სატრაპად მეფემ დასვა სპარსი ტირიასპი.

ალექსანდრიიდან ნიკეაში მივიდნენ მაკედონელები. აქედან ალექსანდრემ ინდოეთს, ინდის მხარეში, მაცნეები აფრინა და ყველა იქაურ რაჯას (მეფეს) მოუწოდა მისულიყვნენ და მორჩილება გამოეცხადებინათ მის წინაშე. ბევრი მართლაც მივიდა, მათ შორის ტაქსილე ხომ ადრევე დაექვევრდომა ევროპელ მბრძანებელს. და მივიდნენ ინდოელი რაჯები, უცხოდ მორთულ-მოკაზმულნი, უცხოდ მორთულ-მოკაზმულ სპილოებზე ამხედრებულნი, ბრწყინვალე ამალებით დამშვენებულნი. ეახლნენ ალექსანდრეს მდიდარი ძღვენით დატვირთულნი, აღმოსავლური თაყვანებით და სრული სამსახურის შეთავაზებით. მაშინვე აჩუქეს 25 საბრძოლო სპილო — იმდროინდელი ტანკები, ინდური მიღწევა მსოფლიო საომარ „ტექნიკაში“.

ალექსანდრემ უცხო სტუმრებს აცნობა, რომ ამ ზაფხულს ინდის ხეობაში შევიდოდა და ყველას თავისას მიუზღავდა — მეგობრებს უკეთილშობილესი მეგობრობით და მტრებს უსასტიკესი მტრობით; ზამთარსაც იქ გავატარებ, ინდის ხეობაშიო და მომავალ წელს კიდევ იმათ დავსჯი, ვისაც ჩემი მოკავშირე ტაქსილე თავის მტრად მიიჩნევსო.

ინდოეთში შესასვლელად მონიშნული იყო მდინარე კოფენის (ქაბულის) ხეობა, რომელიც მარჯვენა მხრიდან ერთვოდა მდინარე ინდს...

ალექსანდრემ მთელი არმია გაჰყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი ჩააბარა ჰეფესტიონსა და პედრიკას და გაუშვა მდინარე კოფენის მარჯვენა (სამხრეთ) ნაპირის გასწვრივ. მეორე ნაწილს კი თვითონ უსარდლა და გაუყვა კოფენის მარცხენა ნაპირს. ეს გზა მეტად სახიფათო იყო — მთიელი, მეომრული ტომებით სქლად დასახლებული.

ჰეფესტიონსა და პედრიკას, — რომელთაც მიჰყვებოდნენ ინდოელი ქვეშევრდომებიც — ევალებოდათ მოსალოდნელ მტერთაგან გაეწმინდათ კოფენის სამხრეთი სანაპირო, გასულიყვნენ შესართავამდე და, ალექსანდრეს მოსვლამდე, გაედოთ ხიდი მდინარე ინდზე.

ალექსანდრე კი კოფენის ჩრდილოეთ ნაპირის გასწვრივ მძიმე ბრძოლებით მიიკაფავდა გზას. აქ ძლიერი ინდური ტომი, ასპაზიები დაუხვდნენ მტრულად. პირველსავე ციხე-ქალაქზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ასპაზიელებმა ვეღარ გაუძლეს და ქალაქში შეიკეტნენ. ალექსანდრემ იერიში მიიტანა, მაგრამ იმ დღეს ვერაფერს გახდა, მეფე ბეჭში დაიჭრა ისრით. დაიჭრნენ პტოლემაიოსიც და ლეონატოსიც. მეორე დღეს მაკედონელებმა იერიში განაახლეს, კედლები გადალახეს და ქალაქში ჩაიჭრნენ. მოსახლეობამ, ნაწილმა, მთებში გაასწრო; დანარჩენები, ტყვედ აყვანილნი, მაკედონელებმა, მეფის სისხლის დაქცევის გამო, ყველა დაუნდობლად ამოწყვიტეს. თვითონ ქალაქი, ალექსანდრეს ბრძანებით, საძირკვლამდე დაანგრიეს. მიადგნენ მეორე ქალაქს, ანდაკას, რომელიც უომრად დანებდა მტერს. აქ ალექსანდრემ დატოვა კრატეროსი, რომელსაც დაევალა განეგრძო ბრძოლა სხვა ახლომახლო ქალაქებთან, დაეპყრო ისინი, დაექცია წინააღმდეგობის გამწევნი და განეგრძო გზა აღმოსავლეთისკენ, მეფესთან შესაერთებლად.

თვითონ ალექსანდრემ ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაუხვია და მიაშურა მთავარ ქალაქს, ევასილას, სადაც მას ეგულებოდა ასპაზიების ხელმწიფე. მაგრამ ევასილა ხალხისგან დაცლილი და ხანძარში გახვეული დახვდა დამპყრობელს. ხალხი კი მთაში გარბოდა. მაკედონელები დაედევნენ და, ვისაც წამოეწივნენ, უწყალოდ ამოწყვიტეს.

პტოლემაიოსმა შენიშნა, მახლობელ მაღლობზე ინდოელ მეომართა რაზმი დამდგარიყო იარაღშემართული. მაშინვე მიაშურა ლაგიდმა თავისი მეომრებით. ციცაბოზე ცხენს სიარული გაუჭირდა, დაქვეით-

და და ისე შეუდგა აღმართს პტოლემაიოსი. ჩამოეგება ინდოელთა ბელადი. შეიბნენ. შუბი შიგ მკერდში აძგერა ინდოელმა, მაგრამ ჯავშანმა იხსნა მაკედონელი. ამანაც საპასუხო აძგერა და ფერდში გაუყარა შუბი. დაცემულ ინდოელს იარაღის ასაყრელად მიჰყო ხელი პტოლემაიოსმა. ინდოელები წამოეშველნენ დაჭრილ მეთაურს. ალექსანდრემაც მოუსწრო და შეიქნა ბრძოლა ინდოთ ბელადის გარშემო,— თითქოს, პატროკლეს გვამისთვის აქაველები და ტროელები ებრძოდნენ ერთმანეთს. როგორც იქნა დააგდებინეს ბელადის გვამი და გაქციეს ინდოელები მაკედონელებმა.

ამის შემდგომ ალექსანდრე კიდევ მიადგა ერთ მთის ქალაქს, არიგეას, მაგრამ არიგეაც მის მცხოვრებლებს ცეცხლისთვის მიეცათ და თვითონ მთებში გაქცეულიყვნენ. კრატეროსმაც მოატანა მას შემდგომ, რაც მეფის ბრძანება შეესრულებინა და გამოვლილ გზაზე ყველა ციხესიმაგრე მაკედონელებისთვის დაემორჩილებინა. ახლა ალექსანდრემ კრატეროსი გადამწვარ არიგეაში დატოვა და დაავალა ხელახლა აღედგინა შესანიშნავი მდებრეობის ეს ქალაქი — დაესახლებინა იგი ახლომახლო მცხოვრებლებით, დაჭრილ-დაუძლურებული ჯარისკაცებით და სხვა ყოველი მსურველით.

თვითონ ალექსანდრემ უფრო ჩრდილოეთით გაიწია, მთებში, სადაც თავს აფარებდნენ ინდოელთა მრავალრიცხოვანი საომარი ძალები. მეფემ იმ მთის ძირში თავისი არმიის ერთი ნაწილი დატოვა და დაბანაკა. თვითონ ღამით დანარჩენი ჯარები აიყოლია და მრავალი კოცონით გაჩირაღდნებულ მტრის ბანაკს მიუახლოვდა. აქ მან ჯარი სამ ნაწილად გაჰყო, ერთს სარდლად უჩინა ლეონატოსი, მეორეს — პტოლემაიოსი, მესამეს თვითონ უსარდლა და საიერიშოდ ის მხარე აირჩია, საითაც მტრის მეტი სიმრავლე იგრძნობოდა.

ინდოელებმა სამი მხრიდან წამოსული მტერი დროზე შენიშნეს და თვითონაც ჩამოეგებნენ სამ ნაკადად. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. ყველაზე ადრე ალექსანდრემ მილეწა და გააქცია „თავისი წილი“ მტერი. მერე, ლეონატოსმაც და პტოლემაიოსმაც გაიმარჯვეს და აოტეს მოპირდაპირე, 40000 ინდოელი ტყვედ აიყვანეს მაკედონელებმა, 230000 სული რქოსანი საქონელიც გამოირეკეს. ალექსანდრე მოიხიბლა ინდური პირუტყვის სილამაზით. მათგან ყველაზე ლამაზი და დიდტანოვანი ხარ-ძროხა აარჩია და მაკედონიას გაგზავნა, იქ მოსაშენებლად და სახნავ-სათესში გამოსაყენებლად.

აქვე ალექსანდრემ მიიღო ცნობა, რომ მის წინააღმდეგ საომრად

ემზადებოდა კიდევ ერთი ინდური ტომი — ასაკენები, რომელთაც 30000 ქვეითი მეომარი, 2000 მხედარი და 30 სპილო დაუყენებიათ საომარი დროშების ქვეშ.

ალექსანდრეც დაიძრა ჯარით ასაკენთა წინააღმდეგ, მძიმე, უაღრესად ძნელად სავალი გზაწვრილებით და ხევხუვებით. თანაშემწეებად კენოსი და პოლიპერხონტი მიჰყვებოდნენ. კრატეროსსაც დაესრულებინა არიგეიის აღდგენა და თვითონაც წამოსულიყო ჯარით და მანქანებით მეფესთან შესაერთებლად.

სანამ ასაკენთა მიწა-წყალს მიაღწევდნენ, მდინარე გურეას ხეობაში, მშვენიერსა და მდიდარ ველზე, მიადგნენ ქალაქ ნისას. ალექსანდრემ ბანაკი დასცა. ვიდრე იქი ადგილობრივთა დამოკიდებულებას გაარკვევდა, ნისელთა ბელადი თვითონ ეწვია, სახელად — აკუფისი, ოცდაათი თანაშემწის თანხლებით. ისინი განაცვიფრა შორეული ქვეყნიდან მოსული მეფის ხილვამ, რომელიც ჯერ კიდევ იარაღში იჯდა, ნაომარი და ნალაშქრალი, თავზე მაღალი მუზარადით და ხელში გრძელი შუბით. მაშინვე მის წინაშე დაემხნენ ნისელნი. ალექსანდრემ ნება დართო ფეხზე დამდგარიყვნენ. აკუფისს ბალიშიც მიართვა, დაბრძანდიო, უთხრა და თქვი შენი სათქმელიო. და უამბო საკვირველი ამბავი აკუფისმა ალექსანდრე მაკედონელს: ჩვენი წრმომავლობა თქვენსას ენათესავებაო; ჩვენი წინაპრები აქ თქვენებურ დიონისეს მოუყვანიაო; ჩვენი ქალაქიც, ნისა, დიონისეს დაუარსებია და მასვე მოუნათლია ამ სახელითო, რაკი დიონისეს გამდელი ხომ ნისა იყოო; მას შემდგომ ჩვენ და ჩვენი ქალაქი მარად თავისუფალნი ვყოფილვართ და ახლა გთხოვთ თქვენც დაგვინარჩუნოთ თავისუფლებაო.

ვის შეეძლო ოდნავი სინათლით მაინც გაერკვია, რა იყო აკუფისის ნათქვამში ნამდვილი და რა კიდევ ზღაპარი. მაგრამ თვითონ ალექსანდრე ფრიად კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით. სათხოვარიც აღუსრულა მთხოვნელებს — თავისუფლება აჩუქა ნისას, მისი 30 მმართველიც, აკუფისის წინამძღოლობით, დამოუკიდებელ ხელისუფლებად აღიარა. მხოლოდ ნისელთაგან 300 მხედრისა და 100 საუკეთესო მოქალაქის მიცემა მოითხოვა ალექსანდრემ. სამას მხედარს, დიახაც მოგართმევთო — მოახსენა აკუფისმა მეფეს, — მაგრამ ასი საუკეთესო მოქალაქე თუ წამართვი, საუკეთესო მმართველობა როგორღა გვექნებაო; ამიტომ ასი რჩეულის ნაცვლად, თუ არ გაგვიწყრები, ორმაგს და სამმაგს სხვას გაგატანთო.

ესეც შეიწყნარა ალექსანდრემ და მხოლოდ 300 მხედრის აყვანა იკმარა ამ „უცნაური ხალხისაგან“. იქვე დიონისობაც იდღესასწაულეს მაკედონელებმა, ინდოელ „დიონისეს შთამომავლებთან“ ერთად[4].

ნისადან ალექსანდრე ისევ შეუდგა მძიმე გზებს აჯანყებულ ასაკენთა მიმართულებით. ასაკენებმა, უცხო მტერი რომ მოახლოვდა, პირდაპირი დახვედრა ვეღარ შეუბედეს. რაზმეულებად დაიშალნენ და თავიანთ ციხე-ქალაქებში ჩაიკეტნენ.

მაკედონელები მიადგნენ აჯანყებულთა ყველაზე დიდ ქალაქს, მასაგას, და დაიბანაკეს. მასაგელებმა არ დააყოვნეს, ქალაქიდან გამოიჭრნენ და მტერს შემოუტიეს. ალექსანდრემ უცებ ბანაკი აჰყარა და უკუიქცა. მასაგელებმა მისი უკუქცევა გაქცევად ირწმუნეს და მთელის ძალებით გამოედევნენ. ალექსანდრემ ქალაქიდან ნახევარი საათის სარბენზე გამოიტყუა მტერი, უცებ ჯარი შემოაბრუნა და თვითონ შეუტია გაალმასებით. მასაგელები ამჯს არ მოელოდნენ, დაიბნენ. დაფრთხნენ და დაიფანტნენ. მაკედონელებმა, ვისაც კი წაეწივნენ, ყველა ამოწყვიტეს; მასაგელთაგან ნაწილმა მაინც მოასწრო ქალაქში შებრუნება და კარიბჭეთა ჩაკეტვა. ალექსანდრემ ქალაქს შემოურბინა, საიერიშო წერტილების დასანიშნავად, და სწორედ მაშინ ქალაქის კოშკიდან ნასროლი ისრით დაიჭრა კოჭში. მეორე დღეს საიერიშო ტარანებით რამდენიმე ადგილზე გაარღვიეს მაკედონელებმა ქალაქის კედლები, მაგრამ მასაგელები იბრძოდნენ სრულის მხნეობით, სიმამაცით, თავგანწირულებით, და ალექსანდრე იძულებული იყო უკანვე ბანაკებში ეხმო ჯარები იმ დღეს. მეორე დღის გააფთრებული იერიშებიც უშედეგო აღმოჩნდა მაკედონელთათვის. მესამე დღეს ალექსანდრემ ისეთივე საობრდაჟე ხიდებით სცადა მასაგას კედლებზე ჯარის გადაყვანა, როგორითაც ეს განასრულა ტიროსის აღების დროს, ხუთი წლის წინათ. მაგრამ არც ამან გაამართლა ამჯერად. ხიდები კედლებზე გადააგეს, მაგრამ, ხიდებზევე მაკედონელებს ქალაქის დამცველები შემოეგებნენ სასტიკი ხმალცემით. ხიდებმა ხალხის სიმძიმეს ვეღარ გაუძლეს, ჩაიქცნენ და მეომრებიც ჩაიყოლიეს. ბევრი მაკედონელი ამაოდ ემსხვერპლა იმდღევანდელ ხოცვა-ჟლეტას.

მეოთხე დღეს კვლავ მიიტანეს იერიში მაკედონელებმა, ისევ საიერიშო მანქანებით, კიბეებით და საობრდაჟო ხიდებით. ისევ საარაკო სიმამაცით იბრძოდნენ ინდოელნი, იბრძოდნენ მანამ, სანამ მათი

ბელადი უცაბედი ისრით განგმირული არ დაეცა და მის გარშემო რჩეულ მეომართა რაზმიც სულ არ ამოწყდა. და მასაგელებმა შერიგება თხოვეს ალექსანდრეს. ესეც დათანხმდა და შერიგების პირობად ეგზომ მამაცი მასაგელი მეომრების აყვანა მოითხოვა თავის საომარ სამსახურში. შეთანხმდნენ კიდეც და მასაგელთა რაზმები. გუშინდელი მტრები, დღეს „მოყვრებად" და „მოკავშირეებად" მიყვანეს და დაბანაკეს მაკედონელთა ბანაკის მახლობლად შემართულ ბორცვზე. მაგრამ იმ ღამით ალექსანდრეს შეატყობინეს — მასაგელნი თურმე გაქცევას აპირებენ, რაკი გადაუწყვეტიათ, შენს მხარდამხარ არ იბრძოლონ მოძმე ინდოელთა წინააღმდეგ. მეფემ აღარც აცვა, აღარც აცხელა — მაშინვე იმ ბორცვს ჯარით შემოერტყა, ყოველის მხრიდან იერიში მიიტანა და მასაგელთა რაზმები სულ ერთიანად ჩახოცა. მეორე დღეს უჯარისკაცოდ დატოვებული ქალაქი მასაგა უომრად დაიჭირეს მაკედონელებმა. ალექსანდრეს ტყვედ ჩაუვარდა ბრძოლაში დაღუპულ ასაკენთა ბელადის ცოლ-შვილი[5].

მალაგას დაცემის შემდგომ კიდევ ორი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი შემორჩათ ინდოელ ასაკენებს — ბაზირა და ორა. ბაზირას დასაუფლებლად კენოსი გაგზავნა ალექსანდრემ, ორას დასაპყრობად კი — ალკეტოსი, თავიანთი ჯარებით. მეფეს ეგონა, რომ ასაკენები, მათი ხელმწიფის დაღუპვის შემდეგ მაინც, ადვილად დათმობდნენ პოზიციებს. მაგრამ მალე საშფოთარი ამბავი მობრუნდა ორივე მხრიდან. არც ბაზირიტები და არც ორიტები უსისხლოდ არ აპირებდნენ მშობლიურ ქალაქთა დათმობას. პირველი იერიშებიც თურმე მძიმე მსხვერპლად დაუჯდათ კენოსსა და ალკეტოსს. ის იყო ალექსანდრე თავის სარდალთა საშველად აემზადა, რომ კიდევ სხვა ამბავი მოიტანა მოულოდნელად: ქაშმირის რაჯას, აბისარს, ორასთან კავშირი შეუკრავს და მისი შუამდგომლობით, ჩრდილოელი მთიელებისგან მაშველი ძალებიც მიუღიათ ორიტებს.

ალექსანდრემ ისევ ჩვეული სისწრაფით განაფინა საომარი განაზრახი. კენოსს შეუთვალა — ბაზირას სათვალთვალოდ ძლიერი ბანაკი დატოვე, დანარჩენი ჯარებით შენ თვითონ ჩემთან წამოდი და შემომიერთდიო. თან მეფე თავისი მხედრობით ორასკენ დაიძრა მგლური სვლით, მივიდა თუ არა მაშინვე, ყოველის მხრიდან თავბრუდამხვევი იერიშების ქვეშ, აიღო კიდეც ქალაქი ორა. გამარჯვებულებმა დიდძალი დავლა დაინადავლეს, მათ შორის რამდენიმე საბრძოლო სპილოც.

კენოსი კი, მეფის ბრძანებისამებრ, ის იყო ბაზირას კედლებს

მოშორდა, რომ ქალაქიდან ინდოელთა ჯარი გამოიჭრა და მაკედონელებს გააფთრებით დაეძგერა. ბრძოლა კარგა ხანს წონასწორად მიდიოდა, მაგრამ უკვე ხმამ მოუსწრო — ორა მაკედონელებს აუღიათო და. ფრთაშესხმულმა კენოსმა და მისმა ჯარმა ფრთადაწეული ბაზირიტები უკუაქციეს და ქალაქის კედლებამდე მისდევს ჩეხვით. იმ ღამით ბაზირიტებმა მშობლიური ქალაქი იღუმალ დატოვეს და გაღავიდნენ მთიან ციხესიმაგრე აორნში, მდინარე ინდის მარჯვენა ნაპირთან.

ეს სამი დიდი ქალაქი — მასაგა, ორა, ბაზირა — და მათი დაუფლება ალექსანდრეს მდინარე კოფენის ჩრდილოეთ მხარეში გაბატონების მტკიცე ნიადაგს აძლევდა. მდინარის სამხრეთით კი ალექსანდრეს მტრული სახელმწიფო იყო, სახელად — პევკელა, საღაც რაჯად იჯდა ასტე. ამ მხარეზე მომავალმა ჰეფესტიონმა ალყა შემოარტყა ციხესიმაგრეს, რომელშიც გამაგრებულიყო თვითონ რაჯა ასტე. ალყა ერთი თვე გაგრძელდა. ბოლოს, გადამწყვეტი შეტაკების შემდგომ, მაკედონელებმა აიღეს ციხე. რაჯა ასტე ბრძოლაში დაიღუპა. მალე უმეფოდ დარჩენილი პევკელას მთავარი ქალაქი (აგრეთვე, პევკელას სახელით) უომრად დანებდა უცებ მოვარდნილ ალექსანდრეს. კიდევ რამდენიმე დიდმა და მცირე ინდურმა ქალაქმა დაყარა იარაღი და, ამრიგად, 327 წლის ზაფხულში ალექსანდრე მაკედონელის ხელში იყო ინდოეთის მიწა-წყალი პაროპამისადებიდან ინდის მარჯვენა ნაპირამდე, მდინარე კოფენის გასწვრივი ქვეყანა. ეს პირველი ინდური მიწა-წყალი ალექსანდრემ თავის სახელმწიფოში დაამკვიდრა სატრაპია „ინდოეთის“ სახელწოდებით და აქ პირველ სატრაპად დანიშნა ჰეტერი ნიკანორი.

ერთადერთი ციხესიმაგრე, რომელიც ამ მხარეში ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა ალექსანდრე მაკედონელს, იყო აორნი, ინდისა და კოფენის წყალსაკრებიდან ჩრდილოეთით ათ კილომეტრზე. იგი ცადატყორცნილ, მიუვალ კლდეზე იყო წამომართული და მისი სახელიც — აორნი, ანუ „უფრინველო“, ფრინველისთვის მიუღწეველი — თავისთავად მეტყველებდა ინდის დასავლელ ინდოელთა ამ უკანასკნელი თავშესაფრის მრისხანებაზე. აორნი ცალკე სახელმწიფოსავით იყო, ყოველ შემთხვევაში, არანაკლებ ძალმოსილი „სახელმწიფო“, ვიდრე რომელიმე ბერძნული „პოლისი“, ვინათგან ზემოთ, კლდოვანსვეტოვანის თავანზე, აორნი წარმოადგენდა მრავალსახოვანი სამეურნეო დარგებით აყვავებულ მიწას — პურეულით, ხილეულით, ხორცე-

ულით, ბალიჩეულით, ბოსტნეულით, ღვინით, წყლით, სანელებლებით და ყოველი სიკეთით, რაიც წლობით შეინახავდა აქ დაბინავებულ ათასობით მცხოვრებელს.

ძნელი, ძალზე ძნელი ჩანდა აორნის აღება. მაგრამ ალექსანდრე ისეთი იყო, წინ ერთ ნაბიჯსაც არ წაიგებდა, თუ ზურგში ყველაფერი საიმედოდ და საბოლოოდ არ ჰქონდა „გაწყობილი". აორნის გარეშე მისი წინსვლა მაინც წინსვლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინ იცის — აკი მთის წვერიდან დაგორებული მცირე გუნდა მთის ძირამდე ყოვლისწამლეკავ ზვავად იქცევა ხოლმე!..

თითქოს, რაღაცნაირი „ეზარტიც" იზიდავდა ალექსანდრეს აორნისაკენ, მასთან ლეგენდაც სმენოდა — ვითომც მის „წინაპარს", ჰერაკლეს მოეღწიოს აორნამდე. მაგრამ ვერასგზით ვერ აუღია ჰერაკლეს აორნი. ალექსანდრემ კი აუცილებლად უნდა აიღოს — უნდა აიღოს, რადგან ალექსანდრე ახლა უკვე გაცილებით დიდი გმირია, ვიდრე ჰერაკლე, ვიდრე აქილევსი, ვიდრე დიოსკურები — პოლიდევკე და კასტორი!..

ალექსანდრემ აორნის მახლობელ ქალაქში, ემბოლიმაში, ჯარის ნაწილით დატოვა კრატეროსი, რომელსაც უნდა ეზრუნა სურსათ-საზოგაგეზე: თვითონ კი დანარჩენი ჯარებით მიადგა აორნის კლდის ძირს.

აქ ვინმე ადგილობრივი მცხოვრებლები ეახლნენ მეფეს, ეთაყვანენ და აღუთქვეს, ჩვენ წაგიყვანთ ერთადერთ ხერხიან გზაზე, საიდანაც შეიძლება აორნის აღებაო. მეფემ პტოლემაიოს ლაგოსის ძე გააყოლა მათ აგრიანების, მსუბუქი მეომრების და რჩეული ფაროსნების თანხლებით, თან დაუბარა პტოლემაიოსს, — როცა ადგილზე მიხვალ და დამაგრდები, მაშინვე ნიშანი მომეცეო.

დაიძრა პტოლემაიოს ლაგიდი, წარუძღვნენ მეგზურები, და, თუმცა, დიდი ჭაპანწყვეტით, მაინც ავიდნენ დანიშნულ მთაზე, ზედ ქალაქის კედელთა გასწვრივ. პტოლემაიოსმა მაშინვე — ისევ მტრისგან შეუმჩნეველად — ბანაკი დასცა, გარშემო თხრილები, მიწაყრილები და ღობეები შემოავლო და მას უკან მთაზე ცეცხლიც დაანთო მეფის სანიშნოდ.

ალექსანდრემ კლდის იერიში დაიწყო. საცალფეხოზე ქალაქის დამცველები ჩაეგებნენ ქვების გორებით, ისრისა და სათხედის განუცადებელი სროლით. ის დღე ისე უშედეგოდ გაუთავდა ალექსანდრეს. გათამამდნენ ინდოელნი, თუმცა, ალექსანდრეს ვერ გაუბედეს,

მაგრამ პტოლემაიოსს დაეცნენ თავზე გაალმასებით. მისპირდა ლაგიდს, ყოველთვის ლაღად და ჭკვიანად მეომარს, ძლივს დაინარჩუნა ბანაკი ინდოელთა გააფთრებული იერიშებისაგან.

ალექსანდრემ იმ ღამით ყველაზე სანდო, იმ ადგილმდებარეობათა სრულად მცოდნე ინდოელი აარჩია, პტოლემაიოსთან გაგზავნა და შეუთვალა: მე ხვალ დილით შეტევაზე მივდივარ და შენც, შენი ბანაკის დასაცავად კი არა, თვითონ გადადი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტევაზე შენის მხრიდანო. გამთენიისას ალექსანდრე შეუდგა იმავე გზას, რა გზითაც პტოლემაიოსი ავიდა ორი დღის წინათ. მთელი დღის სასტიკი ბრძოლით მეფემ შეძლო მიმწუხრისას მისულიყო და შეერთებოდა პტოლემაიოსს, რომელიც მთელი დღის სასტიკი ბრძოლით ამსუბუქებდა მეფის მაღლა ამოსვლას.

ბორცვი, რომელზედაც ახლა ერთად იდგა ალექსანდრესა და პტოლემაიოსის უკვე გაერთიანებული ბანაკი, ქალაქის კედლებზე დაბალიც იყო და ღრმა, ფართო ხრამითაც გამოყოფილი. ალექსანდრემ გადაწყვიტა ამ ხრამის ამოვსებაც და ქალაქის სიმაღლეზე იმ ბორცვის ამაღლებაც. ასეთი სამუშაოს შესრულება წარმოუდგენლად ძნელი ჩანდა, მაგრამ ალექსანდრემ არ დაიშალა, არ დაისვენა და არც არავინ დაასვენა. მთელი ერთი კვირა, დღეღამსწორებით იმუშავა და ამუშავა მთელი ბანაკი, ყოველი რიგითისა და მეთაურის წაქეზებით. დაჯილდოებით, დასჯით, მუქარით, მუდარით და სამასი მეტრის სიგრძეზე ხრამიც ამოავსეს და ბორცვიც აღამაღლეს — მიწით, ხე-ტყით, ქვით, ღორღით და ყველაფრით, რაიც ამოსავსების ამოსავსებ მასალად გამოდგებოდა. როცა მაკედონელებმა ეს უცნაური აღმშენებლობა წამოიწყეს, ინდოელები ქალაქიდან სიცილს აყრიდნენ, მაგრამ როცა საქმე საქმედ განივთდა, მაშინ კი სცადეს ხელის შეშლა და რამდენჯერმე გამოუხტნენ კიდეც ისრისა და ქვის სროლით, მაგრამ ყოველთვის უკუაქციეს ისინი მაკედონელებმა. ხოლო, როცა მიწაყრილი თითქმის ქალაქის კედელს მიებჯინა და მაკედონელებმა საიერიშო მანქანების მიგორებაც დაიწყეს, მაშინ კი აორნის მესვეურებმა ალექსანდრეს მაცნეები გამოუგზავნეს და ქალაქის ჩაბარების პირობებზე მოლაპარაკების გამართვა ითხოვეს. ალექსანდრემ იგრძნო, რომ აორნელებს იმ დღის მოგება სურდათ, რათა ღამით ქალაქიდან იდუმალ გაპარულიყვნენ. მეფესაც, თითქოს, საწინააღმდეგო რაღა უნდა ჰქონოდა, ღამით ქალაქის გარშემო განლაგებული საგუშაგოები მოხსნა და აორნელებს გაპარვის საშუალება მისცა. სანამ აორნელები „მიიპარებოდნენ“, ალექსანდრე შვიდასი რჩეული მეომრის თანხლე-

ბით პირველი გადავიდა ქალაქის კედელზე, დანარჩენ კედლებზეც ერთდროულად გადავიდნენ მაკედონელთა ჯარები. გადავიდნენ და ერთბაშად, ზარდამცემი ყიჟინით დაესხნენ თავს გასაქცევად აშლილ უიარაღო ხალხს. ბევრი ამოჟლიტეს, ბევრიც კლდეებსა და უფსკრულებში გადაიჩეხა გზაუკვლევ ლტოლვას თავმიცემული. დილით აორნი მთლიანად მაკედონელთა ხელში იყო. ალექსანდრემ ეს გამარჯვება იქვე დიდი ზეიმითა და მსხვერპლწირვით აღნიშნა. ხუმრობა ხომ არ იყო — აორნი აიღო, ჰერაკლემ ვერ შეძლო მისი აღება, ალექსანდრემ კი შეძლო!..

ალექსანდრემ აორნის მმართველად, მაკედონური გარნიზონით, დასვა სპარსელი სისიკოტე, რომელსაც, როგორც ჩანს, უკვე სრული ხდობა მოუპოვებია მაკედონელი ხელმწიფისა.

ამასობაში ისევ აჯანყებულან ასაკენები. ბრძოლაში დაღუპული მეფის ძმა ჩასდგომია ახლა სათავეში აჯანყებულებს. იგი 20000 მეომრით და 15 სპილოთი გამაგრებულიყო ცოხე-ქალაქ დირტაში. ალექსანდრე რამდენიმე ათასეული მეომრით წარემართა დირტასაკენ. მივიდა და ქალაქი დაცარიელებული დახვდა. მეფის მოახლოებაზე აჯანყებულები გაქცეულან შორეულ მთებში და გაუვალ ტყეებში თავშესაფარად. გაქცეულთა მოსაძებნად და მოსატყვევნად, განსაკუთრებით კი სპილოების ხელში ჩასაგდებად, ალექსანდრემ თავიანთი ათასეულებით გაგზავნა ნეარქოსი და ანტიოქოსი.

თვითონ ალექსანდრე დანარჩენი ჯარებით დაიძრა მდინარე ინდისაკენ. გზაზე სოფლები დაცარიელებული ხვდებოდათ. მეგზურებმა აცნობეს, რომ ხალხი ინდს გაღმა, აღმოსავლეთისკენ გაქცეულიყო, აბისარის სამეფოში, სპილოები კი ინდის პირას, მინდორში დაუტოვებიათ გაქცეულებს. ალექსანდრემ თხუთმეტიდან ცამეტი სპილო აიყვანა (ორი სპილო კლდეზე გადაჩეხილიყო). ინდზე მცირე ხომალდები და ნავები გაამართვინა და ჯარი შიგ ჩასხა. ეს იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა ინდზე ფლოტით დაშვებისა.

ალექსანდრე მივიდა კოფენისა და ინდის წყალსაკრებში, სადაც ჰეფესტიონსა და პერდიკას ხიდიც გაედოთ, ხომალდებიც და ნავებიც აეგოთ და საერთოდ ყველაფერი გაემზადებინათ ინდის გადასალახავად და აღმოსავლეთ ნაპირზე გადასასხმელად.

აქ, ინდზე გადასვლამდე, დასასვენებლად და გამოსაზამთრებლად დააპანაკა ალექსანდრემ ჯარები. აქვე თავი უნდა მოეყარათ და ალექ-

სანდრეს საომარ ძალებს შეერთებოდნენ ვასალებად თვითცნობილი და მორჩილქმნილი ინდური ჯარები.

ისევ მოვიდნენ ელჩები ტაქსილესგან. ისევ გამოუცხადეს სრული მორჩილება და ძღვნად მოართვეს ალექსანდრეს: 200 ვერცხლის ტალანტი, 3000 საბსხვერპლო ხარი, 10000 ცხვარი, 30 საბრძოლო სპილო და კიდევ — 700 ინდოელი მხედარი. თან ამას უთვლიდა ტაქსილე ალექსანდრე მაკედონელს: როცა მდინარეს გადმოივლით, თქვენთვის მომირთმევია ჩემი სატახტო, ყველაზე დიდი ქალაქი ინდსა და ჰიდასპეს შორისო[5].

იდგა 326 წლის ადრე გაზაფხული. ალექსანდრე მაკედონელს ინდზე გადასასვლელად დაელაგებინა ჯარები. წინასწარი დიდი მსხვერპლწირვანი, ტანვარჯიშობა და ცხენთა ჯირითი გაემართა. სამსხვერპლოსამისნომაც კეთილსასურველი ნიშნები აჩვენა მეფეს. გადასვლა დაიწყო — ხიდით, ხომალდებით, ნავებით, ტივებით. თვითონ მეფე და მისი ამალა საგანგებოდ გაწყობილ ორ იახტაში — ოცდაათნიჩბიან ხომალდებში ისხდნენ. გადასვლა დასრულდა უნაკლულოდ და უმსხვერპლოდ. გადასვლისთანავე, მარცხენა ნაპირზე, ისევ შესწირეს საამადლობელი მსხვერპლი ღმერთებს.

დაიძრნენ და წარემართნენ ტაქსილას მთავარი ქალაქისკენ მაკედონელნი, მართლაც ამ ზღაპრული ქვეყნის სიმშვენიერით და სიმდიდრით განცვიფრებულნი. ჩრდილოეთიდან, ჭაშმირის მხრიდან, ცადაზიდული თოვლით მოსილი მთები გადმოსცქეროდნენ უცხოტომელებს, სამხრეთით გაზაფხულის სუნთქვით აფეთქებული და აყვავილებული თვალუწვდენი მინდვრები გადაშლილიყვნენ. უთვალავ ციურ და მიწიერ სულიერთა ვალობა და გნიასი არყევდა გარემოს. გზაზე ევროპელებმა პირველად იხილეს ინდოელ მლოცველთა და მომნანიებელთა გუნდები, რომლებიც შიშვლად, უხმოდ და უძრავად იდგნენ მძვინვარე მზისა თუ მეხთატეხით აღძრული კოკისპირული წვიმების ქვეშ.

მიუახლოვდნენ ტაქსილეს სატახტოს და გამოეგებათ თვითონ მეფე ტაქსილე (გამეფებამდე მას ერქვა ომფისე) საზეიმოდ მორთულმოკაზმულ სპილოებზე ამხედრებული ამალით, საბრძოლო მუსიკის ბრიალით, ეჟვანთა, ზინზილაკთა და ზარაზინთა ზრიალით. სპილოდან დაქვეითდა ტაქსილე, მიეახლა და ეთაყვანა ალექსანდრეს და

ერთხელ კიდევ მისცა და მიუსაკუთრა სატახტო ქალაქიც, მთელი სახელმწიფოც, თავისი ქვეშევრდომებიც და თავისი თავიც.

და შეუძღვა ინდოელი რაჯა ევროპელ ხელმწიფეს და მის ჯარებს თავის სატახტოში, აღმოსავლეთის კიდევ ერთ უბრწყინვალეს ქალაქში. სხვა ინდოელი რაჯებიც მოვიდნენ. ძღვენი მიართვეს და მორჩილება გამოუცხადეს ალექსანდრე მაკედონელს. მოსულთა, მორჩილთა და მოძღვენეთა შორის იყვნენ ელჩები დოქსარისა და ქაშმირის რაჯებისაგან. განსაკუთრებული ბრწყინვალებით მოვიდა ქაშმირის მეფის, აბისარის ელჩობა, თვითონ მეფის ძმის მეთაურობით; მოვიდნენ და მოართვეს ალექსანდრეს უამრავი კეთილშობილი ქვა და თვალ-მარგალიტი, სპილოს ძვალი და ძვირფასი ქსოვილი, მოვიდა და დაარწმუნა მეფე აბისარის სრულ მორჩილებასა და ერთგულებაში.

ალექსანდრემ ყველას მორჩილება მიიღო „დიდსულოვნად", ყველას სათხოვარი და საჩივარი მოისმინა და მათი სამფლობელო საზღვრები „მიასწორ-მოასწორა" და „შეასწორ-შემოასწორა". როგორც იქნა, საზეიმო ტრაპეზები, ასპარეზობანი და მსხვერპლწირვანი ჩათავდა.

ალექსანდრემ ინდური მიწების მმართველობის სტატუსში ახალი ცვლილებები შეიტანა. ყოველი ინდური მიწა-წყალი, რომელიც ახლა მას მდინარე ჰიდასპეს დასავლეთით ემორჩილებოდა, ერთ სატრაპიად — „ინდოეთად" გაერთიანა და სათავეში უახლოესი და უერთგულესი კაცი — ფილიპე მაქატას ძე ჩაუყენა, ძლიერი მაკედონური გარნიზონით. იგულისხმებოდა, რომ „სატრაპია ინდოეთში" თავ-თავისი „სამეფოებით" შედიოდნენ ალექსანდრეს მორჩილი რაჯები, რომელთა შორის, როგორც ჩანს, მაინც „პრინცეპსობა" ტაქსილეს ჰქონდა მინიჭებული.

ტაქსილეს ასეთი „თავგადამკვდარი ერთგულება" უცხოელი დამპყრობელისადმი, უწინარეს ყოვლისა, გაპირობებული იყო იმ ქიშპობითა და მტრობით, რომელიც მას ჰქონდა მეზობელ მეფესთან — პოროსთან, რომლის სახელმწიფო გაშლილი იყო მდინარე ჰიდასპესა და მდინარე აკესინეს შორის, „ხუთი ათასი ღირსშესანიშნავი ქალაქისა და ფრიად მრავალი სოფლის" მოცულობით.[7] თვითონ პოროსი იყო შთამომავალი უძველესი და უკეთილშობილესი ინდური გვარის — პარვავასი. იყო ბრძენი, ჭკვიანი და მამაცი კაცი; ფლობდა

მრავალ სიმდიდრეს და მბრძანებლობდა მრავალრიცხოვან საომარ ძალებს.

ალექსანდრემ ტაქსილადან კლეოხაროსი აფრინა პოროსთან და შეუთვალა: მე მოვდივარ ჩემი მხედრობით, ხარკი იკისრე და შენ მორჩილებით შემომეგებე შენივე სახელმწიფოს საზღვრებზეო. პოროსმაც მაშინვე ეს პასუხი შეუტრიალა ალექსანდრეს: შენს მოთხოვნათაგან იმას აღვასრულებ, რომ მართლა დაგხვდები ჩემი ქვეყნის საზღვართან და დაგხვდები იარაღით ხელშიო.

ალექსანდრემ ფიცხლავ კენოსი იხმო და უბრძანა ხალხი წაეყვანა ინდხე, იქ გაწყობილი ხიდი და ფლოტი დაეშალა, სასწრაფოდ ჰიდასპეზე გადმოეტანა, ხელახლა აეწყო და ჰიდასპეს გადასალახავად გაემზადებინა. კენოსმა ყოველივე აღასრულა სრულად და წარმატებით.

ალექსანდრე მთელი თავისი საომარი ძალებით, მათთან ტაქსილას 5000 ინდოელით, ტაქსილადან ჰიდასპესაკენ დაიძრა. ერთბაშად ამინდი აირია. ტროპიკული წვიმები დადგა, საშინელი გრიგალებით, მეხტატეხებით, ნიაღვრებით და ღვარნაფშვენებით. ლაფი დადგა. გზები მოიშალა.

ჰიდასპეზე გავიდნენ. ათას ხუთასი ნაბიჯის სიფართით მოექანებოდა დიდროობით გაზურავებული მდინარე.

მოპირდაპირე მხარეზე კი პოროსი მომდგარიყო სრული საომარი ძალებით. 300 სპილო სულ წინ ჩაემწკრივებინა, ცოცხალ ციხე-კოშკებად და „ტანკებად"; სპილოებს შემდგომ სამასი საომარი ეტლი დაეყენებინა; ეტლებს უკან კი ჯარი იდგა — 30000 მეომარი, მათ შორის — უჩვეულოდ გრძელი და მძიმე ისართა მტყორცნელნი. სულ წინ თვითონ პოროსი იდგა, უზარმაზარ სპილოზე ამხედრებული, თვითონ ტანად გოლიათი, უბრწყინვალესი აღჭურვილობით აღკაზმული. ორივე მხარეს, რამდენიმე ადგილას, — სადაც ასე თუ ისე მდინარე მაინც თხლად და საფონედ ჩანდა — საგანგებოდ ძლიერი საგუშაგოები დაეყენებინა ინდოთ ხელმწიფეს.

ალექსანდრემ იმ ლოკალში შეუძლებლად მიიჩნია მდინარის გადალახვა; ამიტომ მან ისევ ხერხს მიმართა — მოწინააღმდეგის ვარაუდთა გასაცრუებლად, ყურადღების მოსაღლელად და ალღოს ასაშლელად, მეფემ ჯარები რაზმეულებად დაჰყო და მტრის სათვალთვალოდ აღმა-დაღმა სანავარდოდ გაუშვა, მდინარის გასწვრივ თუ ასწვრივ; ამით მდინარესაც ზვერავდა — სად უფრო მოსახერხებელი

იქნება მისი გადალახვაო — და მტერსაც საგონებელში აგდებდა — ნეტავ, აგრე ჭენებით რას გვიმზადებენ მაკედონელებიო... ზოგი რაზმი ალექსანდრემ ქვეყნის სიღრმეში შეგზავნა, სურსათ-სანოვაგის შესაგროვებლად. თან ხმამაღლა აცხადებდა, — მდინარე ყოველთვის ასე დიდი ხომ არ იქნება და ერთხელაც, დაზამთრებისას მაინც, ჩაცხრება და მაშინ გადავლახავთ ახლა გადაულახავსო.

ამ „ხმებმა" ინდოელთა ბანაკშიც შეაღწია და, ბოლოს და ბოლოს, პოროსი დარწმუნდა, რომ ალექსანდრე ხანგრძლივად რჩებოდა გაღმა ნაპირზე.

მოულოდნელად ალექსანდრემ შეიტყო, რომ ქაშმირის მეფეს, აბისარს, მიუხედავად ისეთი ფიცი-მტკიცისა, ალექსანდრესთვის მაინც უღალატნია და პოროსის დასახმარებლად მთელი თავისი საომარი ძალებით წამოსულა.

ალექსანდრე საერთოდ არ აპირებდა ჰიდასპეს პირზე მართლა ხანგრძლივად დგომას, მაგრამ ახლა აბისარის წამოსვლის ამბავი რომ შეიტყო, კიდევ უფრო უნდა აჩქარებულიყო და პოროსთან ანგარიშსწორება მანამ გაეთავებინა, სანამ აბისარი მასთან გაერთიანებას მოასწრებდა.

მაშ, მდინარის გადალახვა აუცილებელი იყო და აუცილებელი რაც შეიძლება სწრაფად. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო იქ, სადაც ახლა იდგა მაკედონელთა ბანაკი. აქ მდინარე ისევ დიდი იყო, უფონო და შეუღწევადი; მდინარესაც რომ გაეშვა, ხშირ ტყედ ჩაკორომეზულ ინდოელებს შეეძლოთ გრძელ ისართა და სათხედთა „ცეცხლით" ჩაეხოცათ მდინარეზე ცურვით გადამავალნი; და კიდევაც რომ გასულიყვნენ, ლაფიან-შლამიან ნაპირზე უნდა დაფლულიყვნენ ცხენაკიანად და ისევ ხელგაუნძრევლად შეწყვეტოდნენ საომრად გამზადებულ, ნასვენებ მოპირდაპირეს. საბედისწეროდ საშიში იყვნენ სპილოებიც, რომელთა სუნი და ხრინწიანი ყივილი სიშლეგემდე აფრთხობდა მაკედონელთა ცხენებს.

აუცილებელი — გადაუდებლად სასწრაფო და აუცილებელი კი იყო მეორე ნაპირზე გაღწევა. და ალექსანდრემ შუაღამისას ასტეხა საომარი ბუკებისა და ნაღარების ცემა, ხმაურით წამოშალა ბანაკი, მაშხალების ბრიალით გამოიყვანა ჯარები, ჩაუშვა მდინარეში ხომალდები. მოპირდაპირე ბანაკმაც ირწმუნა მტრის განზრახვა მდინარის გადალახვისა და პოროსმაც საომრად გააწყო ჯარები, განალაგა სპილოები, ეტლები...

მაგრამ იმ ღამით „ჩაეშალა“ ალექსანდრე მაკედონელს მდინარის გადალახვის განზრახვა. მეორე ღამეს კიდევ სცადა, ისეთივე ხმაურით და თავგამოდებით. პოროსმაც ისევ გაამზადა საომარი ძალები. მაგრამ ისევ „ჩაეშალა“ ალექსანდრეს მისი „მკვეხარა განაზრახი“. მესამედ, მეოთხედ და კიდევ რამდენჯერმე განმეორდა ალექსანდრეს „ცდა“ მდინარის გადალახვისა, მაგრამ ისევ და ისევ „ყოველთვის ეშლებოდა“. და პოროსსაც მოსწყინდა და მობეზრდა წვიმასა და ქარიშხალში საომარ მზადყოფნაში დგომა, მხოლოდ სანაპირო საგუშაგოების გაფრთხილება იკმარა და თავი მიანება ალექსანდრეს „ამაო ბრახაბრუხზე“ ყურისგდებას.

ალექსანდრეც ამას უცდიდა. მან ბანაკში დატოვა კრატეროსი თავის ჰიპარქიით, მასთან პოლიპერხონტისა და ალკეტოსის ფალანგებით და 5000 ინდოელით. კრატეროსს ეს კორპუსი უნდა ჰყოლოდა ადგილზე მანამ, სანამ პოროსი მოპირდაპირე მხარეს ფეხმოუცვლელად იდგომებოდა. უკეთუ პოროსი ჯარს გაჰყოფდა, თვითონ ერთი ნაწილით ბანაკს გაშორდებოდა, მაგრამ სპილოებს არ წაიყვანდა და ბანაკში დატოვებდა, არც მაშინ უნდა მოეცვალა ადგილიდან ფეხი კრატეროსს (სპილოებთან ბრძოლა ძალიან უჭირდა მაკედონურ კავალერიას), მაგრამ თუკი პოროსი სპილოებით გაუჩინარდებოდა, მაშინ კი უნდა დაეწყო მდინარის გადალახვა კრატეროსს. აქვე ალექსანდრემ დატოვა ატალოსიც, რომელიც მას ძალიან ჰგავდა გარეგნულად, მიმოხრით, მანერებით. დატოვა და თავისი ტანსაცმლით მორთო მეფემ ატალოსი, თავის კარავში დააბინავა და უბრძანა, ამავე კარვის წინ ესეირნა და საერთოდ ყოველივე ისე მოემოქმედა, რასაც თვითონ აკეთებდა ალექსანდრე ცალმა მდგარი მტრის შესახედავად. გასაგებია, რაც სურდა ალექსანდრეს ამ „მანევრით“: ინდოელები უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ მაკედონელთა მეფე მისი ბანაკიდან არსად წასულა[8]...

მეორე კორპუსად ალექსანდრემ შეადგინა მელეაგრეს, ატალოსისა და გორგიას ნაწილები და გაგზავნა მდინარის ასწვრივ, კრატეროსის ბანაკიდან დაახლოებით ორი ათას ნაბიჯზე. აქ, ამ მეორე კორპუსს — უკეთუ იგი შენიშნავდა, რომ პოროსის ჯარები უკვე ბრძოლაში ებმებოდნენ — მაშინვე უნდა დაეწყო მდინარის გადალახვა.

მესამე ნაწილი თვითონ აიყვანა ალექსანდრემ — სამეფო აგემა, ჰეფესტიონი, პერდიკა, დემეტრიოსი და კენოსი თავიანთი ჰიპარქიებით, ბაქტრიული, სოგდიური და სკვითური მხედრობით, აგრი-

ანთა სწრაფი ცხენოსნებით. ყველა ამათი თანხლებით, ალექსანდრე გაეშურა უფრო ზემოთ, ჩრდილოეთით, სადაც მას მონიშნული ჰქონდა ადგილი მდინარის გადასალახავად. აქ მდინარეს თავს ადგა მთა, საიდანაც მოედინებოდა მეორე, მცირე მდინარე, მარჯვენა შენაკადი ჰიდასპესი. სწორედ აქ, მდინარეთა შორის, იყო ხშირი ტყით შემოსილი მცირე კუნძული. სწორედ ამ კუნძულზე უნდა გასულიყო, მტრისგან იდუმალ, ალექსანდრე თავისი კორპუსით. აქვე წინასწარ გაგზავნილ „ინჟინრებს“ უკვე ყველაფერი გაემზადებინათ გადალახვისთვის — ნავები, ხომალდები, ტყავის ნავტიკები, ნავტიკებზე ტივები (ცხენების გადასაყვანად).

ალექსანდრე ღამით მიდიოდა, ნაპირიდან მოშორებით — მტერს რომ თვალი არ დაეკრა გაღმიდან. საშინელი კოკისპირული წამოვიდა. სმენისა და გულის დამხშობი და დამთრგუნველი მეხთატეხა ატყდა. ამან კიდევ ხელი შეუწყო, მტრისგან სავსებით შეუმჩნეველად შესულიყვნენ იმ კუნძულზე მაკედონელნი.

განთიადზე ქარი ჩადგა, წვიმამ ვადაიღო და ალექსანდრე პირველი ავიდა ხომალდზე პტოლემაიოსის, პერდიკას, ლისიმახოსის და სელევკოსის თანხლებით, და გადალახვის ბრძანება გასცა.

ინდოელმა მეთვალყურეებმა მტერი მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როცა მას ნახევარი მდინარე უკვე დაეძლია და გამალებით უახლოვდებოდა მარცხენა ნაპირს. მაშინვე ცხენებს ქუსლი ჰკრეს და პოროსთან ამბის მისატანად გაფრინდნენ. ალექსანდრე კი უკვე გადახტა ნაპირზე და მიწაზე ფეხის დაბიჯებისთანავე შეუდგა ერთმანეთის მიყოლებით გადასული ჯარების საომრად დალაგებას, — უწინარესად ცხენოსნებს აწყობდა გამალებით. თითქოს, ყველაფერი წარმატებით თავდებოდა, მაგრამ, თურმე, სავსებით მოულოდნელი იმედგაცრუება კი ელოდათ. დიდროობით გაგიჟებულ მდინარეს თურმე აღმოსავლეთით ახალი განტოტება გაუწვდია და ხმელეთი, რომელზეც ახლა მაკედონელები იდგნენ, მეორე ახალ კუნძულად გადაუქცევია. მაშ, მაკედონელები, — რომელთაც ეგონათ უკვე მდინარის ნაპირზე გავედითო — ისევ წყალთა-შუა იდგნენ. მაგრამ სასოწარკვეთისა და შიშის გავლებაც არ აცალა ჯარებს ალექსანდრემ და მაშინვე ფონის საძებრად მიაყენა ისინი ახალ. „ცინცხალ“ მდინარეს. დიდის გაჭირვებით, როგორც იქნა, მიაგნეს ასე თუ ისე ფონად ვარგის ადგილს და მაშინვე შეადგო ალექსანდრემ ცხენი მდინარეში. ყელამდე ჩაიძირა ცხენი. ყველანი მიჰყვნენ; მეომრებსაც ყელამდე

სწვდებოდა და მიაქროლებდა სწრაფმქროლი ტალღები. მაინც გაიღწიეს. ისევ დააწყო ალექსანდრემ სალაშქროდ და საომრად ჯარი. ისევ გამოსტაცა მან „ყოვლის მყლაპავ დროს“ უძვირფასესი წუთები, ისევ ვერ მოუსწრო მტერმა უკიდურესად საშიშ, ალბათ, დამღუპველ მომენტებში — მდინარეს რომ სამჯერ ჭრიდა: მარჯვენა ნაპირიდან კუნძულზე, კუნძულიდან ახალ კუნძულზე და ახალი კუნძულიდან მარცხენა ნაპირზე.

მთელი კორპუსით გადასულიყო ალექსანდრე მაკედონელი. ახლა მშვიდად იყო. სულ 15000 მეომარი ჰყავდა — 5000 ცხენოსანი, 10000 ქვეითი. ცხენოსნები წინ დააყენა. ქვეითი ჯარი — ამ მძიმე სამდინარო თავგადასავლის შემდეგ, უარესად რომ არ დაქანცულიყო — მეფის ბრძანებით, ნელი ნაბიჯით უნდა წამოსულიყო, ცხენოსანთაგან ნახევარი საათის დამანძილებით. ეს დრო მეყოფაო, იფიქრა ალექსანდრემ და წამოუძღვა მხედრობას სამხრეთისაკენ, ჰიდასპეს მარცხენა ნაპირის ჩასწვრივ. ინდოელები მთელის ძალებითაც რომ შემომეფეთონ, ჩემი მხედრობით ვეყოფი და ამასობაში ქვეითი ჯარიც მომისწრებსო, ხოლო, უკეთუ მანამდე მტერს ამ მხედრობითაც გავაქცევ (არც ამაში ეპარებოდა ეჭვი), იგივე მხედრობა დასადევნებლადაც მეყოფაო...

პოროსმა კი, — როცა სასწრაფოდ მივარდნილ გუშაგთან საომარ ძალთა გამოჩენის ამბავი შეიტყო — ჯერ ეს ეგონა, ჩემი მოკავშირე აბისარ ქაშმირელი მოეშურება ჩემთან შესაერთებლადო, მაგრამ მაშინვე იმასაც მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო მოკავშირეს — ან მდინარის გადმოლახვამდე, ან შემდგომ — წინასწარ არ ეცნობებინა თავისი მოახლოება, და ირწმუნა, რომ მდინარე სწორედ მაკედონელებს გადმოულახავთ. მაგრამ ეს არც იმდენად საშიშად ეჩვენა პოროსს, ვინათგან, გაღმა ისევ იმოდენა ჯარებს ხედავდა და მათთან კიდევ „ალექსანდრესაც“ ამჩნევდა, მაგრამ, დავუშვათ, ის ალექსანდრე ნამდვილი არ იყო და „ნამდვილი მეფე“ ბანაკიდან წამოვიდა — იგი უეჭველად მცირე ძალებით წამოვიდოდა და ეჭვგარეშეა ადიდებულ მდინარეზე გადმოსვლისას კიდევ უმრავლესობა დაეღუპებოდა. ამდენად, ახლა მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მომავალი ალექსანდრე არავითარ საშიშ ძალას არ უნდა წარმოადგენდეს. ის კი არა და, კაცმა რომ თქვას, იგი ახლა თვითონ მოქცეულა ხაფანგში, მისი განადგურებაც ახლა სავსებით ადვილი საქმეა და კიდევაც განადგურდება!..

სრული ძალებით პირადი გამოსვლაც არ ჩათვალა საჭიროდ პოროსმა და ალექსანდრესთან შესახვედრად შვილი გაგზავნა, 2000 მხედრით და 120 ეტლით.

როცა ალექსანდრემ იხილა მდინარის ამოსწვრივ სამხრეთიდან მომავალი ჯარი, ირწმუნა, ეს პოროსია ავანგარდით, ხოლო უკან უეჭველად მთავარი ჯარები მოჰყვებიან და მალეც გამოჩნდებიანო. ამიტომ მან ჯარი შეაყენა და საომრად შემართა. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ მოწინააღმდეგის ჯარი მარტო მოდიოდა და უკან არავითარი „მთავარი ძალა" არ მოჰყვებოდა, ალექსანდრემ თვითონ დასძრა თავისი მხედრობა ელვისებურ იერიშზე.

პირველი დაჯახებისთანავე ასჩეხეს მაკედონელებმა ინდოელი მეწინავენი. სულის მოთქმა აღარ აცალა მტერს ალექსანდრე მაკედონელმა. საომარი ეტლებიც უსწორმასწორო და ატალახებულ მიწაზე, გამოდგომის ნაცვლად, ხელის შემშლელ ტვირთად გაუხდათ ინდოელებს. ისინი ამაოდ ცდილობდნენ გავეშებით მოიერიშე მტრის შეკავებას. სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ. 400 ინდოელი დაეცა მკვდარი, მათ შორის სარდალი — ძე პოროსისა. საომარი ეტლებიც, თავიანთი ცხენებით, გამარჯვებულებს დარჩათ. ალექსანდრემ გამარჯვებით გალაღებული ჯარით დევნა განაგრძო[9].

ბრძოლიდან გაქცეულმა ინდოელმა მეომრებმა აცნობეს მათ მეფეს ალექსანდრესა და მისი ჯარის გადმოსვლის, მათთან შეტაკების, მარცხისა და უფლისწულის დაღუპვის ამბავი. პოროსი ახლა დარწმუნდა, რომ მართლაც დიდ, სწორუპოვარ მტერთან ახვედრებდა მას საწუთისოფლო ბედისწერა. როგორ უნდა მოქცეულიყო? გაღმა, პირდაპირ მდგარი კრატეროსის ბანაკი, ეტყობოდა, წკიპზე იყო შემდგარი მდინარის გადასალახავად. ამიტომ ინდოელი მეფისთვის ძალზე სახიფათო იქნებოდა ბანაკიდან მთელის ძალებით გასვლა. მაგრამ მთავარი მაინც ალექსანდრე იყო — მისი დაუყოვნებლივი განადგურება, სანამ დანარჩენი ჯარებიც გადმოლახავდნენ მდინარეს.

და პოროსმა ბანაკში დატოვა რამდენიმე სპილო, რამდენიმე ათასი ჯარისკაცი, — ვინძლო ამათ გარკვეულ დრომდე მაინც დაებრკოლებინათ მოპირდაპირე მხრიდან კრატეროსის ჯარების გადმოსვლა, ხოლო თვითონ პოროსი სრული საომარი ძალებით — 30000 ქვეითი მეომრით, 4000 მხედრით, 200 სპილოთი და 300 საბრძოლო ეტლით — ბანაკიდან სწრაფად გავიდა და ჩრდილოეთით წარემართა, ალექსანდრე მაკედონელთან შესახვედრად. მან ჯარები მიიყვანა

ფართო, სწორსა და მშრალ ველზე და იქ გაემზადა საომარი წყობით.

წინ, ფრონტის მთელს სიგრძეზე, ინდოთ მეფემ გაამწკრივა ორასი სპილო, — სპილოდან სპილომდე ორმოცი ნაბიჯის დამანძილებით. ქვეითი არმიაც იმდენ რაზმად დაპყო, რამდენიც სპილო ჰყავდა, — თითოეულ რაზმში 150 მეომარი, — და ასე, 200 რაზმეულად დაყოფილი არმია მეორე რიგში ჩააყენა, თითოეული რაზმი სპილოთა-შორისი მანძილის უკან. ორივე მხარის ბოლოებში, ფლანგებზე, მხედრობა დააყენა, თითოეულ მხარეზე — 2000 ცხენოსანი. ცხენოსანთა წინ დადგნენ ეტლები, თითოეულ ფლანგზე 150 ერთეული. ყოველ ეტლზე მოთავსებული იყო ორი შეჭურვილი მეეტლე, ორი მძიმედ შეიარაღებული მეომარი და ორიც მოისარი, დიდი მშვილდით და გრძელი ისრებით.

ასეთი საომარი წყობის მთავარი ძალა და მოწინააღმდეგის მიმართ მისი უპირატესობა ეყრდნობოდა მაინც სპილოებს. მაკედონელები სპილოების გვერდის ავლით ინდოელებს ვერ მისწვდებოდნენ, რადგან სპილოები იდგნენ მთელი ფრონტის წინ და იერიშზე მომავალ მაკედონელს წინ აუცილებლად სპილო უნდა დახვედროდა, მის ზურგზე აღმართული ციხესიმაგრით და მასში ჩასაგრებული მეომრებით. ხოლო, სპილოთა შორის შეჭრასაც, პოროსის ფიქრით, მაკედონელები ვერც ცხენით და ვერც ფეხით ვერ გაბედავენ, ვინათგან პირუტყვიც და ადამიანიც ერთნაირად უფრთხიან სპილოსგან გასრესას.

მართლაც, ფრიად საშიში ჩანდა ინდოელთა საბრძოლო წყობა მაკედონელთათვის. მოსალოდნელი იყო სპილოებით მაკედონური მხედრობის უკუქცევა და ქვეითი ფალანგების გასრესა, ხოლო ეტლები და კავალერია დაედევნებოდნენ და მანამ გაანადგურებდნენ გაქცეულებს, სანამ ისინი მდინარეზე უკანვე გადაასწრებდნენ. ასე ჩანდა ინდოელთა უპირატესობანი, უკეთუ პოროსი ამ უპირატესობათა გამოყენებას დასაწყისშივე დაიწყებდა, ანუ — თუ იგი მიხვდებოდა, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იერიშის ინიციატივას ენიჭებოდა. უკეთუ პოროსი იერიშს დაასწრებდა, ბრძოლის სასწორიც დასაწყისშივე მისი ძლევამოსილებით დაქანდებოდა.

მაგრამ პოროსი ვერ მიხვდა ამას, — იგი უძრავად იდგა — მტერს ელოდა.

ალექსანდრე კი თავიდანვე მიმხვდარი იყო, — იმ წუთიდანვე, რა წუთსაც მისმა ქვეითმა ჯარმაც მოაღწია და შემოუერთდა — პირველი დარტყმის „უფლება“ მას „ეკუთვნოდა“ და არასდიდებით არ უნდა დაეთმო რიცხვით დიდად უმეტესი და სპილოებით „შერკინული“ მტრისთვის. არ დაეთმო, რადგან მისი ჯარი როგორადაც არ უნდა გაშლილიყო, მტრის განლაგების მეოთხედსაც ვერ გასწვდებოდა, ამიტომ საჭირო იყო იერიშზე გადასვლა ისევ ირიბი გრძივით, მტრის გარკვეულ, ყველაზე სუსტ და მგრძნობიარე წერტილებზე. ხოლო, რაკი მთელს ფრონტზე სპილოების კედელი აღმართულიყო ალექსანდრემ ყველაზე სუსტ წერტილებად მაინც ფლანგებზე მდგარი კავალერია აირჩია. აქ, „საკავალერიო სასწორზე“ ჰქონდა უპირატესობა ალექსანდრეს — 5000 წინააღმდეგ 4000-ისა. ამიტომ საკმარისი იქნებოდა 3000 ცხენოსანი მარჯვენა ფლანგით 2000-ის წინააღმდეგ და 2000 ცხენოსანიც მარცხენა ფლანგით კიდევ 2000-ის წინააღმდეგ.

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡᲙᲔᲜ, მარჯვნიდან, მტრის მარცხენა ფლანგს თვითონ დაემიზნა ალექსანდრე, 3000 ცხენოსნით, ჰეფესტიონის, პედრიკას და პტოლემაიოსის თანხლებით. მარცხენაზე, მტრის მარჯვენა ფლანგზე დასატაკებლად კენოსი გაამზადა, 2000 ცხენოსნით და დემეტრიოსის თანხლებით. თან გააფრთხილა კენოსი მეფემ: შენ შეტევაზე გადახვალ მხოლოდ მაშინ, როცა მე უკვე შეჭრილს დამინახავ მტრის მარცხენა ფლანგშიო და უკეთუ შენი საიერიშო ინდოელი ცხენოსნობაც ჩემთან საომრად დაიძრება, შენ მას მაშინვე ზურგიდან დაჰკარი და ასჩეხეო. მერე, ანტიგენეს, ლეონატოსს, ანტიოქოსს და ტავრონს მიუბრუნდა მეფე — როცა ჩვენ ცხენოსნებით მტრის ფლანგებს შემოვკრავთ, თქვენ მაშინვე თქვენის ფალანგური ტაქსისებით მტრის შუაგულს დაეძგერეთო. სპილოებმა არ შეგაშინოთო, — ამხნევებდა მეფე ჯარებს — ჩვენი გრძელი შუბები სპილოსაც მისწვდება და მის მხედრებსაცო; ძირს ჩამოჰყარეთ სპილოზე ამხედრებულნი და გაბედულად აძგერეთ იარაღი თვითონ სპილოებსაცო; სპილოების დაცვა სახიფათოა ჯარისთვისო, დაჭრილი და გაცოფებული სპილო მისიანებისთვის უფრო საშიშიაო, ვიდრე ჩვენთვისო...

მაშ, 326 წლის მაისი. სახელოვანი ბრძოლა ჰიდასპზე.

დასძრა ჯარი ალექსანდრე მაკედონელმა. ისრის სასროლზე რომ მიუახლოვდნენ, უცებ წინ გაიჭრა თვითონ მეფე ათასი მხედრით — ათასივე სკვითი ცხენოსანი მოისარი — და დაუშინეს ისრის ბარანი მტრის მხედრობას. დანარჩენი ორი ათასიც მიჰყვა მეფეს. მჭექარე

ყიჟინით, შუბებისა და მახვილთა ცემით მიესივნენ ინდოელთა მარცხენა ფლანგს და დატაკებისთანავე მოშალეს და არივ-დარიეს იგი. აშლილმა ინდოელმა მხედრებმა სპილოებს მიაშურეს თავშესაფარებლად. მაშინ მარჯვენა ფლანგიდან მართლაც გამოუშვა ინდოთ მეფემ ცხენოსნები, მარცხენა ფლანგის მისახმარებლად და ალექსანდრეს უკუსაგდებად. მაგრამ მოუსწრო მათ კენოსმა, ზურგიდან დაეძგერა და შეუდგა ჩეხვას. პოროსი მიხვდა ალექსანდრეს განზრახვას, თუმცა, გვიან, მაგრამ სანამ უფრო გვიან არ იყო, შეეცადა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მან მტრის ორივე კავალერიის წინააღმდეგ სპილოები შეაბრუნა და გააქანა იერიშზე. ამრიგად, შას ფრონტი ორ უბნად უნდა ექცია. მაგრამ სწორედ ამ დროს მოუსწრო ცენტრში მაკედონურმა ფალანგამ. პოროსს „მესამე ფრონტიც“ დაჭირდა, ძალებიც საკმარისზე მეტი ჰყავდა და ცენტრშიც მიუსია სპილოები ფალანგებს. საშინელი ბრძოლა გაჩაღდა, მანამდე ევროპელთათვის უჩვეულო და არგაგონილი. სპილოები მანამდეც ენახათ, მაგრამ ეგზომ სრული, მასშტაბური „სპილოური ომი“ აქამდე მათთვის მართლაც თვალით უნახავი და წარმოუდგენელი იყო. სპილოები, ვითარცა „ტანკები“, არღვევდნენ, თელავდნენ და სრესდნენ მაკედონელთა სქელად შეკრულ ფალანგებს, საშინელი ყვირილით და სუნით აფრთხობდნენ ცხენებს, მეომრებს ხორთუმებით იტაცებდნენ და ეშვებით გლეჯდნენ. გამხნევდნენ ინდოელი მხედრები. შეიკრნენ მჭიდროდ და შეუტიეს მაკედონელთა კავალერიას, მაგრამ ისევ სძლიეს მაკედონელებმა, ისევ უკუიქცნენ და სპილოები იფარეს ინდოელებმა. ფალანგიტებიც „გაუშინაურდნენ“ სპილოებთან რკენას — ჯგუფჯგუფად ერტყმოდნენ, მათ მხედრებს ძირს ჰყრიდნენ, თვითონ სპილოებს ყვირილით აფრთხობდნენ. ძალმოკრებით სცემდნენ შუბებს და მახვილებს, ხორთუმებს ჭკვეთდნენ, მუხლებს აჭრიდნენ, თვალებს თხრიდნენ და გაცოფებული სპილოები მტერს და მოყვარეს ვეღარ არჩევდნენ, გზაარეულნი თავისიანებშიც იჭრებოდნენ, იმათაც თელავდნენ, ჭყლეტდნენ, ანაკუწებდნენ. ამასობაში კენოსმა და მისმა მხედრობამ, ინდოელ მემარჯვენე ცხენოსნობის აკაფვის შემდგომ, შიატანა ალექსანდრემდე და შეუერთდა მას. ხოლო ალექსანდრე ახლადშეყრილი და შემკვრივებული მხედრობით, — რამდენადაც მისთვის „სპილოური შიში“ თითქმის მოხსნილი იყო — გულსრულად თავს დაესხა ინდურ ქვეითთა რაზმეულებს, რომლებიც აქამდე ძლივს აკავებდნენ მაკედონური ფალანგის გააფთრებულ იერიშს. ინდოელე-

ბი აირივნენ და თავი მისცეს უგზო-უკვლო ლტოლვას. უმრავლესობა ისევ სპილოებს აფარებდა თავს. მაგრამ მათი სპილოებიც აღარ იყო „მათი“. ეს „გამხეცებული მხეცები“ ახლა არავისი აღარ იყვნენ, ანუ — ერთნაირად „იყვნენ“ ან „არ იყვნენ“ მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ალექსანდრე მთელს საომარ ველს, სრული ბარე-წრეწირით და შიგნით ყოველ უბანზე მაღალხელოვანი დირიჟორივით უწევდა მეუფებას. ბრძოლის ველზე სივრცის პრობლემა ჩამოწვა. ინდოელები კაციან-ცხენიან-ეტლიან-სპილოიანად ჩაჭედილიყვნენ საბედისწერო წრეში. მაკედონელები კი სივრცეს მთელის სისრულით ფლობდნენ. ისინი გარშემო ურბენდნენ მათგანვე შეკრულ სალტეში შოქცეულ, უწესრიგო ბროვად შეყრილ მტერს და თავისუფლად, სრული ხალვათობით შეეძლოთ გაშლა თავდასხმისა, ისრის სასროლზე დამანძილებისა, მახვილით მიხდომისა, სპილოს შემოტევისას უკუქცევისა, ისევ მიქცევისა და მივარდნისა, წამდაუწუმ. ისევ და ისევ...

მაშინ პოროსმა შემოიყარა ჯერ კიდევ საღად გადარჩენილი ორმოცი სპილო და მათი იერიშით სცადა უკვე წაგებული ბრძოლის ბედის შემობრუნება. ალექსანდრემაც არ დაიყოვნა და რჩეულ მოისართა, თრაკიელ-აგრიანთა და მაღალხელოვან აკონტისტთა (შუბოსანთა) რაზმები მიუსია ინდოთ ხელმწიფეს ყოველი მხრიდან. იმავდროულად, დანარჩენი ძალები ხელახლა შეამწკრივა და შეამკვრივა ალექსანდრემ — მხედრობაც, ფალანგაც — და ირგვლივი იერიშით გააქანა ისინი უკვე სულთმობრძავი მტრის გასათავებლად.

ინდოელთაგან ცოცხლები გადარჩნენ ისინი, ვინც ადრევე გაექცა საბედისწერო ხმალთაკვეთებას. ზოგი ტყეში, ღრეში, ჭაობსა თუ ღელეში ჩაჩუმქრულიყო, ზოგიც ბანაკში დაბრუნებულიყო, მაგრამ ამაოდ — კრატეროსს თავისი ჯარებით უკვე გადმოელახა ზღინარე და სრულიად დაპატრონებოდა ინდოელთ ბანაკს.

ათასათიანი ხოცვა-ჟლეტა დამთავრებულიყო. ალექსანდრე მაკედონელს ხელთ ეპყრა კიდევ ერთი ბრწყინვალე კვერთხი „უცხოდ საკითხავი“ ძლევამოსილებისა. ბრძოლის ველზე იწვა 20000 ინდოელი ქვეითი და 3000 მხედარი. მკვდრად დარეცილიყო ყველა ინდოთ სარდალი, მათ შორის პოროსის ორი ძე და მოკავშირე რაჯა — ეპიტაკი. აჩეხილი იყო ყველა ეტლი და მეეტლე. დახოცილი ეყარა ასზე მეტი სპილო და სამი ათასზე მეტი ცხენი. გამარჯვებულებმა ტყვედ აიყვანეს 9000 ინდოელი და 80 სპილო. ალექსანდრეს კი ამ ბრძოლაში დაეღუპა 700 ქვეითი და 280 ცხენოსანი მეომარი[10].

თვითონ მეფე პოროსმა — სტრატეგოსობაში საოცარ ევროპელ-თან დიახ, წაგებულმა — ბრძოლაში სწორედ საარაკო გმირობა გამოიჩინა. ალექსანდრე განცვიფრებული ხედავდა, როგორ იბრძოდა მისი მეტოქე. იგი — უზარმაზარ სპილოზე ამხედრებული და ოქროს აღჭურვილობით მოელვარე — ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად მისიანებს მისჭირდებოდათ; მიზანუმცდარად ისროდა ისარს, მაგრამ თვითონაც უკვე რამდენიმეჯერ დაჭრილიყო მტრისთვის იოლად მიზანსაცემი ბუმბერაზი, მაგრამ ბრძოლის მიტოვება ერთი წუთითაც არ უფიქრია (განა, იგი დარიოსი იყო!). ხოლო, როცა ბრძოლის ბედი საბოლოოდ წაგებულად სცნო, ინდოთ მეფე პირდაპირ სიკვდილს დაეძებდა მტრის უხშირეს კორომებზე გამგელებით მოიერიშე. უკვე ცხრა ადგილას მოხვედროდა შორიდან ნატყორცნი ისარი გმირ რაჯას, სისხლი ექცეოდა, ძალა ელეოდა და მისგან ნასროლი ისრებიც უსაზმნოდ ცვივოდა ირგვლივ. ბოლოს ბეჭში მძიმედ დაიჭრა და, — რაკი სამარცხვინო ტყვეობის საფრთხე შეიგრძნო, სპილოს ქუსლი ჰკრა და ჭკვიანმა ცხოველმა იგი გაიტაცა ბრძოლის ველიდან. გამოედევნა ალექსანდრე, რომელსაც სულით და გულით ეწადა ცოცხალს დასწეოდა და მასთან შეხვედრაში ყველაზე დიდი, „ღვთის სწორი“ დიდსულოვნება გაეთამაშნა. მაგრამ მთელი დღის ომით ქანცგაწყვეტილი ბუკეფალა დაუვარდა ალექსანდრეს. მაშინ ტაქსილეს უბრძანა დასწეოდა გაქცეულს. წამოეწია ცხენით ტაქსილე პოროსს, სულ ახლოს მისვლა ვერ გაბედა და დამანძილებით მიაძახა — „მობრუნდი და შეურიგდი ალექსანდრე მაკედონელსო. შემოუბრუნდა პოროსი მოღალატეს და მოსისხლეს და უკანასკნელი ძალის მოკრებით სტყორცნა ხელშუბი. ცხენის სისწრაფემ ძლივს დაიხსნა ტაქსილე სასიკვდილო მოხვედრისაგან. ხელმეორედ ალექსანდრემ სხვა ინდოელი გაგზავნა პოროსთან შესახვედრად და შუამავლად — რაჯა მეროე, პოროსის ადრინდელი მეგობარი და ახლობელი. მეროეს მართლაც გაუჩერდა პოროსი და მოისმინა ყოველივე ალექსანდრესგან დანაბარები. სპილომ ხორთუმით ჩამოსვა ძალადაცლილი პატრონი. წყალი დალია და წყურვილი ძლივს დაიცხრო სიცხით და მარცხით გულადუღებულმა პოროსმა. მცირედ შეისვენა, იფიქრა და ბოლოს უთხრა მეროეს — „კარგი, მოვდივარ და წამიყვანე ალექსანდრე მაკედონელთანო“.

ალექსანდრე არჩეული ამალით შეეგება პოროსს. იგი ერთხანს განცვიფრებით და აღტაცებით უცქერდა საოცრად ახოვან — „ხუთ

წყრთაზე უმაღლეს“ [12] (ორმეტრნახევარზე უმაღლეს). — პირმშვენიერ მოხუც ხელმწიფეს, რომელსაც ეგზომ მწუხარების ქამს — შეილებდახოცილსა და ხალხამოწყვეტილს, დამარცხებულსა და დაქვესკნებულს — მაინც არ დაჰკარგვოდა ღირსებით სავსე თავშეკავებულობა და კეთილშობილური ამპარტავნობა.

ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და მიესალმნენ არა როგორც გამარჯვებული და დამარცხებული, არამედ ვითარცა სწორფერნი — მეფე შეფეს, გმირი გმირს.

და ჰკითხა ალექსანდრე მაკედონელმა ინდოთ ხელმწიფეს: რას ისურვებდი და როგორ მოგექცეო?

— მეფურადო, — მოკლედ მოჭრა პოროსმა.

ასე ერთ სიტყვაში ჩატეული მინიშნებაც ძალიან მოეწონა ალექსანდრეს — მეფურად მომექეცეო, ანუ ისე მომექეც როგორც მეფეს ეკადრებაო; თანაც, შეიძლებოდა ეს ერთი სიტყვა ორაზროვანიც ყოფილიყო, ერთი — როგორც მე, მეფეს მეკადრებაო და მეორე — როგორც შ ე ნ, მეფეს გეკადრებაო; უკეთუ პოროსი ამ თქმაში პირველს გულისხმობდა, მაშინ იგი თავის თავს განადიდებდა, ხოლო თუ მეორეს — მაშინ იგი ალექსანდრეს ანიჭებდა უპირატესობას. ალექსანდრემაც უეჭველად ასე გაიგო, როცა პოროსის ერთსიტყვიან პასუხს ასე გაეპასუხა: „მე აგრეც მოგექცევი, ვინათგან ეგ თვით მე მეხება, ხოლო შენ მთხოვე ის, რაც შენ თვითონ გსურსო“. მაგრამ პოროსმაც არ დაიხია და უთხრა გადაჭრით ალექსანდრეს: „ამ ერთ სიტყვაში მე ვთქვი ჩემი სათხოვარი და გავათავეო.

და ალექსანდრემაც დააჯილდოვა ინდოთ ხელმწიფე სწორედ „მეფურად“, გნებავთ, ორივე გაგებით: ვითარცა ეკადრებოდა მეფე ალექსანდრეს და ვითარცა ეკადრებოდა მეფე პოროსს. დიდსულოვნების თამაში ალექსანდრეს საპოლიტიკო თამაშს გულისხმობდა, მით უფრო აქ, შორეულ ინდოეთში. მან პოროსი შეუზღუდველად დატოვა მეფედ თავისსავე სამეფო ტახტზე, რამაც ტაქსილეს უეჭველი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის ბატონობაც ამ შორეულ ქვეყანაში, ევროპიდან შემოტანილი მახვილის გარდა, სწორედ ადგილობრივი დინასტიების ქიშპსა და მტრობაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული...

ალექსანდრემ, მას შემდეგ, რაც ბრძოლაში დაღუპულები მიწას მიაბარა, ინდოეთში მოპოვებულ გამარჯვებათა აღსანიშნავად ჰელიოსის სადიდებელი მსხვერპლწირვა და ასპარეზობანი გამართა; აღ-

ლუმზე შეყრილ ჯარებს სახოტბო სიტყვით მიმართა და გამოაცხადა, ამ უკანასკნელ ბრძოლაში ინდოელთა განადგურებისა და დიადი ძლევამოსილების მოპოვების შემდგომ, ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას არა იმდენად ომით, რამდენადაც უზარმაზარი ქონების დაგროვებით, და ჩვენ ამიერიდან მოვიპოვებთ იმდენს, რომელთან შედარებით სპარსეთში მოპოვებული ქონება არარაობად მოგეჩვენებათ; დღეიდან თქვენ იშოვით იმდენ ძვირფას ქვას და თვალ-მარგალიტს, იმდენ ოქროს და სპილოს ძვალს, რაიც გაავსებს არა მარტო თქვენს სახლებს, არამედ სრულად მაკედონიას და საბერძნეთსო [13].

მაშ, ალექსანდრე ისევ მიილტვოდა წინ, ისევ აღმოსავლეთისაკენ, ისევ „მზის აღმოსავლამდე", ისევ „ქვეყნის დასასრულამდე" (თუ „დასაწყისამდე") და „საპროგრამო სიტყვაც" სწორედ ასეთი უნდა ეთქვა მეფისა და მთავარსარდალს ჯარისთვის, რომელსაც ამ უთავეამო ჯოჯოხეთის გზებზე მამონა-ქონების უძირო სიხარბის გარდა არავითარი სხვა რამ ძალა წინ ნაბიჯსაც ვერ წაადგმევინებდა.

ალექსანდრემ აქ, მდინარე ჰიდასპეზე კიდევ ორი ახალი ბერძნულ-აღმოსავლური ქალაქი დააარსა; ერთი — იმ კუნძულის გასწვრივ, სადაც მან და მისმა ჯარმა მდინარე გადალახა, და უწოდა ამ ქალაქს — ბუკეფალია, მისი საომარი ცხენის, ბუკეფალას სახელზე (წინა დღეებში მოკვდენია ბუკეფალა მეფეს, უკვე ბებერი — 30 წლისა — და უთავეამო ლაშქრობებით ჯანგატეხილი; ალექსანდრეს მწუხარედ უთქვამს — ბუკეფალა ჩემთვის ცხენი კი არა, ახლობელი ადამიანი იყოო).[14] მეორე ქალაქი კი ალექსანდრემ დააფუძნა იმ ადგილზე, სადაც მან პოროსთან ბრძოლაში აიღო ის დიდი გამარჯვება და სახელადაც „გამარჯვება" — „ნიკეია" დაარქვა.

იმავე დღეებში ალექსანდრეს კიდევ რამდენიმე გადაუდებელი პოლიტიკური ღონისძიება უნდა გაეტარებინა. უწინარეს ყოვლისა, მას ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაერკვია პოზიცია და სამომავლო ურთიერთობა ქაშმირის მეფე აბისართან, რომელიც სიტყვით ალექსანდრეს ეფიცებოდა ერთგულებას, საქმით კი მის მტრებს ეხმარებოდა. სწორედ მაშინ აორნის გარნიზონის უფროსმა, სისიკოტემ შემოუთვალა ალექსანდრეს, ასაკენები ისევ აჯანყდნენ და შენგან დაყენებული მეფეც მოკლესო; ისე ეტყობოდა, ასაკენების აჯანყებაში წილი აბისარ ქაშმირელს ედო. ალექსანდრემ ფიცხლავ ბრძანება გაუგზავნა პაროპამისის სატრაპს ტირიასპეს, და ინდოეთის სატრაპს, ფილიპეს, სასწრაფოდ ჯარები დაეძრათ ასაკენთა აჯან-

ყების ჩასახშობად. კიდევ იმ დღეებში ალექსანდრესთან მოვიდა ელჩობა მდინარე აკესინეს აღმოსავლეთ სახელმწიფოს, განდარიტიდის რაჯასაგან, პოროსისაგან, ანუ როგორც მას ბერძნები უწოდებდნენ — „მშიშარა პოროსისგან“. ეს „მშიშარა პოროსი“ დიდი პოროსის ნათესავი, მეზობელი და კლიენტი იყო, მაგრამ საერთო მტრის წინააღმდეგ საღვთო ომში ხელიც არ გაუნძრევია. მას ეგონა, ეს „დამსახურება“ დაუფასდებოდა ალექსანდრესგან. მაგრამ რაოდენ განცვიფრებულნი დარჩნენ „მშიშარა პოროსის“ ელჩები, როცა მათ დიდი პოროსი, რომელიც ბორკილდადებული და საკნად ჩაგდებული ეგულებოდათ, თვითონ ალექსანდრეს გვერდით იხილეს დაბრძანებული, პატივდებული და მოალერსებული: ისინი ცივად მიიღო მაკედონელმა, სანუგეშო დაპირებაც არაფერი გაუტანებია მათ „ლაჩარ პოროსთან“ გადასაცემად. კეთილად მიიღო ალექსანდრემ „ხუთმღინარეთის“ სხვა ტომთა წარმომადგენელნი, რომლებიც მას ეახლნენ მდიდარი საბოძვარით და სრული მორჩილების გამოცხადებით.

აბისარისგან კი ისევ ბაიბურიც არ ისმოდა. ალექსანდრეს ისევ იარაღისათვის უნდა მიემართა. ოცდაათდღიანი შესვენების შემდეგ, მან ჰიდასპეზე, არმიის დიდი ნაწილით, დატოვა კრატეროსი, რომელსაც დაევალა დაესრულებინა ბუკეფალიისა და ნიკეიის მშენებლობა, თვითონ კი დანარჩენი ჯარით დაიძრა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, სადაც მას უნდა დაემორჩილებინა გლავკანიკების (გლავსები) ტომი და იქიდანვე გზა გაეკაფა ქაშმირისაკენ. ახლა კი იკადრა პასუხის გაცემა აბისარ ქაშმირელმა. ფიცხლავ ელჩობა გამოგზავნა თავისი ძმის მეთაურობით, — ბოდიშს იხდიდა იგი ალექსანდრეს წინაშე, პატიებას ითხოვდა და თავის ქვეყანასაც და თავის თავსაც მის „მწყალობელ ხელს“ უქვემდებარებდა; თანაც, ნიშნად ერთგულებისა, ძღვნად 40 სპილოს უგზავნიდა ქაშმირის რაჯა „ევრაზიის ხელმწიფეს“. ალექსანდრეს კი გამოცდილება კარნახობდა, აბისარის ფიცს არ ნდობოდა და მოითხოვა პირადად გამოცხადებულიყო იგი მაკედონელთა ბანაკში, თორემ, თუ მოსვლას დააგვიანებდა თვითონ ალექსანდრე გაჩნდებოდა ჯარით ქაშმირში!.. ეს მუქარა გაუბრუნა ალექსანდრემ აბისარს და თვითონ გზა განაგრძო გლავკანიკების ქვეყნისკენ. მაკედონელები შევიდნენ მთაგორიან და ტყიან ქვეყანაში, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში, 37 მარტო ქალაქი მოითვალეს, თითოეული არანაკლებ 5000 მცხოვრებით, ბევრიც 10000-ზე მეტი მცხოვრებით. ყველა ეს ქალაქი და მათთან მრავალი

სოფელი, სრულიად ქვეყანა გლავკანიკებისა, ალექსანდრემ დაიპყრო და „დამეგობრებულ“ პოროსს შეუერთა სამმართველოდ. აქვე, ხშირსა და მდიდარჯიშოვან ტყეებში ალექსანდრემ დიდძალი ხეები დააჭრევინა და ჰიდასპეზე დააცურებინა ბუკეფალა-ნიკეიისაკენ, სადაც კრატეროსის მეთვალყურეობით ფლოტი უნდა აეგოთ — ფლოტი, რომლითაც ალექსანდრე და მისი ჯარი მდინარე ინდით ოკეანისკენ უნდა დაცურებულიყო.

აღმოსავლეთისკენ, მდინარე აკესინესკენ წარემართა ჯარით ალექსანდრე. გზაზე მას შეატყობინეს — განდარიტიდის რაჯას, „მშიშარა პოროსს“, რამდენიც მოუსწრია, ჯარიც შემოუყრია, საჭურჭლეებიც მოუძარცვია და მდინარე განგისკენ გაქცეულა. ალექსანდრემ დიდი პოროსი თავის სამეფოში დატოვა და დაუბარა, შეეკრიბა ახალი ჯარები, სპილოები და გაჰყოლოდა მაკედონელებს კვალდაკვალ. თვითონ ალექსანდრე აკესინეს მიადგა, ადგილი აარჩია და გადალახვას შეუდგა. მდინარეზე დიდრობა იდგა. გადალახვისას ბევრი მეომარი დაეღუპა, განსაკუთრებით ნავებში მჯდომნი, ნავტიკებმა კი უფრო გაუმართლეს. ალექსანდრემ გადასვლისას, მარცხენა ნაპირზე კენოსი დატოვა ჯარების სრული გადმოლახვის სამეთვალყუროდ, თვითონ კი შეუჩერებლად განაგრძო სვლა განდარიტიდის მიწაზე. განდარიტიდაც ორ მდინარეს შორის — აკესინესა (ახლ. ჩინაბი) და ჰიდრაოტეს (ახლ. რავი) შორის მოქცეული ქვეყანა იყო. ალექსანდრე ჰიდრაოტესკენ მიეშურებოდა, — იქნებ გაქცეულ „მშიშარა პოროსსაც“ წამოსწეოდა. ჰიდრაოტეს რომ მიადგა, იქ ჰეფესტიონს დემეტრიოსი შეუერთა და სამხრეთით გაგზავნა, რათა ჰიდრაოტესა და აკესინეს შორის მოქცეული სამხრეთი მიწები მთლიანად დაეპყრო და დაემორჩილებინა.

თვითონ ალექსანდრემ კი ჰიდრაოტეც გადალახა და გადავიდა ფენჯაბის უკიდურეს აღმოსავლეთ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული „თავისუფალი ანუ უმეფო ინდოელები“. ამ ტომთაგან ზოგიერთებმა ალექსანდრეს ბატონობა მაშინვე, უომრად სცნეს. მაგრამ სხვებმა, განსაკუთრებით კათეების, ანუ კათარების მეომრულმა ტომმა, გადაწყვიტა უსისხლოდ არ დაეთმოთ თავისი მიწა-წყალი. ალექსანდრე მიუახლოვდა კათეების მთავარ ქალაქს — სანგალას, რომელსაც მძლავრი, ირგვლივი კედლები ერტყა; ერთი მხრიდან კიდევ ტბა იცავდა, მეორე მხრიდან — მაღალი მთა. კათეელები და მათი მეზობელი მოკავშირეები მთაზე გამაგრებულიყვნენ.

ალექსანდრემ ჯერ მშვილდოსან-მოისარნი მიუშვა მტრის სიმაგრეზე, ირგვლივი უწყვეტი სროლით, იქიდან გარეთ გამოხდომაზე რომ არ ეფიქრათ. ამასობაში კი თვითონ დანარჩენი ჯარები დაალაგა საიერიშოდ. მარცხენა ფლანგს პერდიკა უჩინა სარდლად, მარჯვენას ისევ თვითონ წარუძღვა და იერიშზე დაიძრა. მაკედონელებმა დიდის გაჭირვებით დასძლიეს კათეელთა გააფთრებული, თავზე ხელაღებული წინააღმდეგობა და მთის სიმაგრე, როგორც იქნა, აიღეს. კათეელებმა ქალაქის კედლებს შეაფარეს თავი. მაკედონელებმა ალყაში მოაქციეს სანგალა. შუაღამისას კათეებმა ქალაქიდან იდუმალი გაქცევა სცადეს, ტბის გადალახვით, — მაგრამ ესეც წინასწარ გაუთვალისწინებია ალექსანდრეს. ტბასთან კათეებს ჩასაფრებული მაკედონელები დაუხვდნენ და, ვინც უკანვე ქალაქში ვერ შეასწრო, ყველა ამოწყვიტეს. ბრძოლა რამდენიმე დღეს კიდევ გაგრძელდა. პოროსმაც მოუსწრო 5000 ინდოელი მეომრით და სპილოებით. უკანასკნელი იერიშები მიიტანეს მაკედონელებმა სანგალაზე. ლოდსატყორცნებით და ტარანებით რამდენიმე ადგილას კედლები გაარღვიეს და ქალაქში შეცვივდნენ. ალექსანდრეს ბრძანება იყო, იარაღიანი ცოცხლად არავინ გაეშვათ. წაქეზებაც აღარ სჭირდებოდათ, ისეთი ხოცვა-ჟლეტა გაახურეს მაკედონელებმა. 17000 კათეელი გაწყდა, 70000 ტყვე მონად აიყვანეს, მაკედონელთაგან 100 მოისრა, 12000 დაიჭრა, ამათ შორის — ალექსანდრეს მამაცი სარდალი და მცველი ლისიმახოსი და კიდევ რამდენიმე მაღალი მეთაური[15].

სანგალას დაცემისთანავე ალექსანდრემ 300 მხედრით ევმენე აფრინა კათეების მოკავშირე ქალაქებთან, მოთხოვნით და განმარტებით — ალექსანდრე მაკედონელი თქვენთან მოდის მხოლოდ სამეგობროდ და ამიტომ მასთან შეხვედრის და „მეგობრობის" ერთადერთი პირობაა უსისხლოდ იარაღის დაყრა. მაგრამ უკვე აღარავის სჯეროდა მაკედონელი მეფის მეგობრობისა. მას უკვე დიდძალი ინდური სისხლი დაედო კისრად. ახლად გაქცეულებსაც ამბავი ჩამოერიგებინათ მაკედონელთა ხელით სანგალაში გაჩაღებული საშინელი სისასტიკისა და სისხლისქცევისა. ამიტომ კათეელთა მოკავშირე ტომები თავიანთი სოფელ-ქალაქებიდან დედაბუდიანად აიყარნენ და ჩრდილოეთით გადაიხვეწნენ. გამოედევნა ალექსანდრე გაქცეულებს, მაგრამ ლტოლვილნი უკვე შორს იყვნენ; მხოლოდ ჩამორჩენილებს, ხუთასამდე ადამიანს, წამოეწივნენ მაკედონელნი და ასწყ-

ვიტეს უწყალოდ. დაცარიელებული ქალაქები ალექსანდრემ საპატრონოდ გადასცა პოროსს.

მობრუნდა ალექსანდრე და საძირკვლიანად მოთხარა სანგალა (სისასტიკე როდი აკლდა „ინდოელთა მეგობარს"!).

ბოლოს, ალექსანდრე მაკედონელი, მდინარე ჰიფასის'ის (ახლ. სატლეჯ) ზემო წელზე, შევიდა რაჯა სოფიტეს სახელმწიფოში. მთავარ ქალაქს რომ მიადგნენ მაკედონელნი, არავინ წინ არ შემოხვედრიათ, არც სამტროდ არც სამოყვროდ, არც ქალაქის კარებს იცავდა ვინმე, არც კედელზე და კოშკზე ჩანდა გუშაგი. ასე, რომ სატახტო ქალაქი, სადაც მაკედონელებს თვითონ რაჯა ეგულებოდათ, სულაც დაცარიელებული ეგონათ. მაგრამ მალე გაიღო მთავარი კარიბჭე და ბრწყინვალე ამალით გამოვიდა რაჯა სოფიტე, აქეთ-იქით ორი უფლისწული მოჰყვებოდა. გასაოცრად ძვირფასი მორთულობით მოაბიჯებდა რაჯა. ტანსაცმელი მთლიანად ოქროთი და ძოწით ნაქარგი ემოსა, ფერხთსაცმელნი — ბაჯაღლო ოქროსი და კეთილშობილი ქვებით მოოქვილი, ხელები, ყურები და წინამხარნი — თვალ-მარგალიტით დატვირთულნი; ხელში ოქროს კვერთხი ეჭირა, ბერილის თვლებით შემკობილი.

მიეახლა ალექსანდრეს სოფიტე, ეთაყვანა, კვერთხი გადასცა და თავისი შვილები და სრულად სამეფო მასვე მიართვა და შეავრდომა[16].

სოფიტეს სახელმწიფოს მეზობლად, აღმოსავლეთით, კიდევ ერთი რაჯა, სახელად — ფეგეოსი, დაემორჩილა თავისი სამფლობელოებით ალექსანდრე მაკედონელს...

იდგა აგვისტო 326 წლისა.

იდგა ალექსანდრე მაკედონელი მდინარე ჰიფასისის პირას.

ჰიფასისს იქით კი გრძელდებოდა დიდი ინდოეთი და საერთოდ გრძელდებოდა ქვეყანა, რომელიც ალექსანდრეს „აუცილებლად ბოლომდე" უნდა დაეპყრო. ცნობებიც ჰქონდა ფეგეოსისგან და პოროსისგან დამოწმებულნი, რომ ჰიფასისს გადაღმა ჯერ თერთმეტი დღის სავალზე უდაბნო იყო გადაჭიმული, ხოლო უდაბნოს შემდეგ დიდი საღვთო მდინარის, განგის ხეობა იწყებოდა, უთვალავი სიმდიდრით. მრავალრიცხოვანი ინდური ტომებით დასახლებული ქვეყანა. ყველაფერი და ყოველი უნდა დაეპყრო მაკედონელს, უნდა აჩქარებულიყო და დაეპყრო...

მაგრამ თურმე ს'აისტორიო ბედისწერას ეს ადგილი — ჰიფასის'ი —

დაედგინა დედამიწის იმ უკიდურეს წერტილად, რომლის იქით უდიდესი მსოფლიო დამპყრობლის ხარბი ნაბიჯი ვეღარ გადაიდგმებოდა.

აქ „ყოველმოსიერსა“ და „ყოვლისმძლეველ“ კაცთაგანს თურმე ისეთი დაბრკოლება ელოდა, რომლის დაძლევა „ამონ-ზევსის ძესაც“ აღარ შესძლებია.

და ამ „უძლეველი დაბრკოლების“ სახელი იყო — ჯარის უარი შემდგომ წინსვლაზე — მისთვის უკვე უაზრო და გაუგებარ წინსვლაზე.

მოთმინების ფიალა გადმოქცეულიყო, ძაფი გაწყვეტილიყო. ჯარისკაცები ხან აქ, ხან იქ, ჯგუფ-ჯგუფად იყრებოდნენ, ბევრი ტიროდა, სამშობლოში დაბრუნების იმედმოშლილნი, სხვები იმუქრებოდნენ, ქუფრი სახეებით ყარყაშებდნენ, დრტვინავდნენ და ერთმანეთს აფიცებდნენ მტკიცედ ყოფილიყვნენ და, სიცოცხლედაც რომ დასჯდომოდათ საომრად აღარ გასულიყვნენ და, ბოლოს და ბოლოს, სამშობლოში დაბრუნება მეფისთვის გადაჭრით მოეთხოვათ.

როგორც კი ალექსანდრეს ბანაკის სულიერი მღელვარების ავი სუნთქვა მისწვდა, მაშინვე ჯარები ჰიფასისის მდიდარ სანაპიროთა საძარცვავად გაუშვა, ჯარისკაცების დაბრუნებამდე კიდევ მათ ცოლებსა და შვილებს უხვი საბოძვარი მიუბოძა, მაგრამ ამით ვერაფერიც ვერ მოიგო — ჯარებმა მოსაძარცვავი მოძარცვეს, საბოძვარიც შიიბოძეს, მაგრამ მდინარის გადალახვაზე და ომის გაგრძელებაზე ისევ გადაჭრით იძახდნენ უარს.

ალექსანდრემ ჯარები შეჰყარა და სიტყვით მიმართა: ჯარისკაცებო, თქვენ კარგად იცით ჩემი განზრახვა — განზრახვა შემდგომი საომარი წინსვლისა და, ვინათგან, როგორც ეტყობა, ბევრს არ სურს ამ განზრახვის გაზიარება, მოგიწოდებთ — ან მე უნდა დაგარწმუნოთ შემდგომ ლაშქრობათა სარგებლიანობაში, ან თქვენ უნდა დამარწმუნოთ მის უაზრობაში და უკან დაბრუნების აუცილებლობაში. აქამდე წარმოებული ომებით ჩვენ, მაკედონელებმა და ბერძნებმა, მოვიპოვეთ მცირე აზია, სირია, ფინიკია, პალესტინა, ეგვიპტე, ლიბია, მესოპოტამია, სპარსეთი, მიდია, ცენტრალური აზია, ინდოეთი; დღეს ჩვენს სამფლობელოებზე მოედინებიან — ნილოსი, ევფრატი, ტიგროსი, ოქსი, იაქსართი, ინდი, ჰიდასპე, აკესინე, ჰიდრაოტე და, აჰა, ჰიფასისზე ვდგავართ ახლა, — და ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ აქამდე წარმოებულ ომებს ჩვენთვის, ყველასთვის არავითარი აზრი და სარგებელი არა ჰქონია?! ვაჟკაცი კაცისთვის ცხოვრებისეული ბრძოლის მიზნად თვითონ ბრძოლის გარდა მე არაფერი გამიგონია.

თუ ვინმეს სურს, ჩემი ლაშქრობების ბოლო წერტილი იცოდეს, მე ვასახელებ მდინარე ინდსა და აღმოსავლეთის ზღვას; ერთიც ახლოა და მეორეც, ხოლო აღმოსავლეთის ზღვიდან მე წაგიყვანთ უკან, საზღვაო გზებით, სპარსეთისაკენ, ლიბიისკენ (აფრიკა) და მიგიყვანთ ჰერაკლეს სვეტებამდე (ჰიბრალტარი). აკი ჰერაკლეს სვეტები და აღმოსავლეთის გზა დაუდგენია უზენაეს ღმერთს დედამიწის საზღვრებად! ახლა ჰიფასისზე ვდგავართ-მეთქი და მის გადაღმა კიდევ დარჩნენ ხალხები, რომლებიც ჩვენი მბრძანებლობის ქვეშ უნდა მოექცნენ, და ნუთუ თქვენ ახლა ამბობთ უარს ამ ბოლო ლაშქრობებზე? ნუთუ თქვენ რაიმე საფრთხე გაშინებთ? ნუთუ თქვენ დაივიწყეთ თქვენი დიდებანი და მისწრაფებანი? ჩვენ ხომ სულ მალე დავასრულებთ მსოფლიო დაპყრობას და დავაბრუნებ მაკედონიაში ყველას აღვსილს უთვალავი ქონებით, დიდებით და მოგონებებით [17].

ალექსანდრეს ამ სიტყვას კარგახნის მდუმარება შეხვდა პასუხად. ვერავინ ბედავდა ეგზომ გადამწყვეტ წუთებში თავისი აზრის გამოთქმა ეკისრებინა — ან მეფის საწინააღმდეგოდ, ან მის მხარდასაჭერად. ალექსანდრე კი მოითხოვდა ეთქვათ სიტყვა, სინდისისმიერი, გაბედულად და მისგან მოურიდებლად.

ბოლოს, წინ წამოვიდა კენოსი და თქვა: რამდენადაც მეფეს სურს ჯარი მას მიჰყვებოდეს არა მხოლოდ ბრძანების ძალით, არამედ რწმენით და მისწრაფებით, ამიტომ მე ვილაპარაკებ სწორედ ჯარის სახელით და არა ჩვენი სარდლების სახელით, ვინათგან ჩვენ — სარდლები ისედაც ავსებული ვართ პატივით, ჯილდოებით, თანამდებობით, ქონებით, სახელდიდებით. თანაც, ჯარისკაცებზე ლაპარაკისას მე იმის თქმას კი არ ვაპირებ, რა მოუხდებათ და ესიამოვნებათ თვითონ მათ, არამედ — ჩვენი რჩევით რას ვარგებთ მეფეს ამჟამად და სამომავლოდ. თანაც, ჩემი ასაკი, ომებში მიღებული ჭრილობები, მეფისა და თანამებრძოლების პატივისცემა, მე უფლებას მაძლევს ყველაფერი ვთქვა პირდაპირ, გულახდილად, რასაც მე უკეთესად და სარგებლიანად ვთვლი ასეთ ჟამს. და ვამბობ — რაც უფრო დიადი საქმენი განასრულეს მეფე ალექსანდრემ და მისმა ჯარებმა, მით უფრო აუცილებელია საზღვარი დაედოს სალაშქრო შრომას, ჭირს, საფრთხეებსა და დაბრკოლებებს; შენ თვითონ ხედავ, მეფეო, რამდენი მაკედონელი და ბერძენი წამოვიდა სამშობლოდან შენთან ერთად და რამდენიღა შემორჩა კიდევ ცოცხალი, რამდენი ბრძოლაში დაიღუპა, რამდენი ავადმყოფობამ და უძლურებამ ამო-

ხოცა, ხოლო ვინც გადარჩა და ჯერ კიდევ პირში სული უდგას, გაფანტული არიან მთელი აზიის ქალაქებში და ოცნებობენ, ბოლოს და ბოლოს დაბრუნდნენ სამშობლოში, დედასთან და მამასთან, ცოლთან და შვილებთან; იქ, მშობლიურ კერაზე სურთ მაგ უბედურებს გაატარონ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, მოუთხრონ თავისიანებს შენი მეთაურობით გარდახდენილი გმირობანი, მოიხმარონ და შეიტკბონ შენის წყალობით მოპოვებული სიმდიდრენი. ნუ წაიყვან მეფეო, ჯარებს მათი სურვილის წინააღმდეგ; თუ მათ ბრძოლა აღარ სურთ, ისინი ახალ ბრძოლაშიც უკვე ისეთნი აღარ გეყოლებიან, როგორიც გყავდნენ ადრე, აქამდე. არ შეიძლება ასეთი ჯარით ახალ ომებში წასვლა. დააბრუნე და შენც დაბრუნდი სამშობლოში, მეფეო, დაბრუნდი და ინახულე შენი დედა, განიკითხე და განაგე საქმენი ელინთა, შეიყვანე შენს მამაპაპეულ სასახლეში შენი უთვალავი და უდიადესი გამარჯვებანი, და ამის შემდგომ, თუ მოისურვებ, ისევ აღიკაზმე ახალ ლაშქრობად, საითაც გსურს და ვისზედაც გსურს — აღმოსავლეთ ინდოელებზე თუ ევქსინის პონტოზე. კართაგენის წინააღმდეგ თუ კართაგენის გადაღმა ლიბიაზე. შენი საქმე იქნება მხოლოდ ხალხის გაძღოლა და შენ გამოგყვებიან სხვა მაკედონელნი და სხვა ბერძენნი — ახალგაზრდები მოხუცთა მაგივრად, ძალ-ღონით სავსენი ძალდაშრეტილთა ნაცვლად. სიხარულით გამოგყვებიან და ღმერთები ისევ გარგუნებენ ახალ-ახალ დიად გამარჯვებებს. ღმერთები სწორედ ბედნიერებაში ზომიერებას აფასებენ ყველაზე მეტად. შენ, ასეთ ბელადს, თანაც ასეთი ჯარის პატრონს, განა მტრისა შეეშინდება, მაგრამ ღმერთებისგან კი, რაღაც მოულოდნელ საბედისწეროს უეჭველად უნდა ელოდე [18].

კენოსის სიტყვამ ააღელვა და აატირა ჯარი, — შეძახილით თუ მდუმარე გამომეტყველებით. ყველა მისადმი მხარდაჭერას ამჟღავნებდა. ყველას ომის შეწყვეტა და სამშობლოში დაბრუნება უნდოდა.

გაჯავრებულმა ალექსანდრემ საკრებულო დაშალა, კარავში შეიკეტა და მეორე დღის დადგომამდე აღარავინ მიიკარა. მეორე დღეს კი ისევ შემოიყარა ჯარები, ჰეტერ-მეგობარნი, თანაშემწენი და თანასარდალნი და რისხვით აღსავსემ ასეთი მოკლე სიტყვით მიმართა მათ: მე მაინც გავწევ წინ და არც ერთ მაკედონელს არ ვაიძულებ მისი სურვილის წინააღმდეგ გამომყვეს ლაშქრად; მე ისედაც დამრჩა საკმარისად მამაცი მეომარნი, რომელთაც ახალ-ახალი სახელ-დი-

დებათა მოხვეჭა კვლავაც არ მოყირჭებიათ. ხოლო, სხვები, ვისაც სახლში დაბრუნება აუჩემებია — დაე, დაბრუნდნენ და იქ, სამშობლოში მოუთხრონ ყველას, როგორ მიატოვეს მათი მეფე მტრების გარემოცვაში — ეს თქვა, ისევ კარავში შევარდა და კიდევ სამი დღე და სამი ღამე აღარავის უნახავს იგი.

იჯდა კარავში ცოფით ატანილი და ელოდა — იქნებ გაეწიათ ანგარიში ჯარისკაცებს მისი ჯავრისთვის, იქნებ „უგუნურ სჯიუტეზე“ ხელი აეღოთ და, ერთიც არის, მისი კარვისკენ დაძრულიყვნენ ძახილით: „მოვდივართ და თუნდაც ჰადესში წაგვიყვანე, ჩვენო მეფეო ღვთაებრივო, ძეო ამონისა“... და სხვა მისთანანი; მაგრამ არ ჩანდა ასეთი სანატრელი ძახილი. ჩანდა და ისმოდა მხოლოდ დრტვინვა, მუქარა, ქვითინი, მუდარა — ომის შეწყვეტისა და სამშობლოში დაბრუნებისა.

მიხვედრა არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უნდა მიმხვდარიყო ალექსანდრე, რომ მისი ჯარი აღარ იყო ის ახალგაზრდული ძალ-ღონით, შემმართებლობითა და გმირული სულით შეკრული და ჩაკირული საომარი სხეული, რომელიც მან რვა წლის წინათ გადმოიყვანა აზიის მიწაზე. სწორედ ამ რვაწლოვან უმძიმეს საომარ სვლას, სისხლის თხევას, შიმშილს, წყურვილს, სიცხეს, სიცივეს, თითქოს, სავსებით დაებერებია და დაედნო მსოფლიოს დამპყრობელთა „უბერებელი“ სული და სხეული. მშობლიური აღარაფერი შემორჩენოდათ. მასზე ცრემლის დათხევით მაინც რომ მოეოხებინათ სამშობლოზე სევდით ადუღებული გული. ჯავშანი დაელეწათ, ფარ-ხმალი დაეფშვნათ, ცხენთა ფლოქვები დაუცვდათ, დამდნარ-დაფლეთილი ბერძნულის ნაცვლად ტანზე ბერძნულად დამოკლებული და დახალვათებული ინდური სამოსის ჩაცმა ეკადრებინათ[19]. ინდოეთის გასაოცარმა, მრისხანებით აღსავსე ბუნებამ მაინც სულ ააფორიაქა, დაიფრთხო და შიშით დააკნინა ევროპელის ნებიერი სული. ზეცაში აყრილი მთები, მთებისგან შევიწროებული ზეცა, ტროპიკული წვიმები, განუცადებელი ჭექა-ქუხილი და მეხთატეხანი, ზღვადმოსხლეტილი მდინარეები და მდინარეებად მომსკდარი ხევები, გაუვალი ჯუნგლები და ადამიანზე მონადირე ნადირნი, შხამიანი ქვეწარმავალნი და ზეწარმავალნი, მახრჩობელა პითონები და ჩხრიალა გველები. უკანასკნელად მაინც სულ შეირყა და შეიშალა სკნელი ყოველი. 70 დღეღამე პირდაპირ აპოკალიპსური წარღვნა იდგა ინდოეთში — წვიმდა კოკისპირულად, გადაუკარებლად, შეუნელებლად. სამოცდაათი დღე-

ღამე ცა დედამიწას განუცადებლად სცემდა მეხსა და ელვას. შიშმა შეეპარა სული მსოფლიოს დამპყრობელი ჯარისკაცისა. ახლა მას აღარაფერზე აღარ შეეძლო ფიქრი, გარდა ამ ჯოჯოხეთიდან გაღწევისა და განწამები სხეულის სამშობლოში ჩათრევისა.

და გატყდა „მარად გაუტეხელი“ ალექსანდრე მაკედონელი.

თავი დამარცხებულად სცნო „მარად დაუმარცხებელმა“.

ჯარები შეჰყარა და უკან დაბრუნება გამოაცხადა.

წარმოუდგენელი, ენით აუწერელი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ამ „ღვთაებრივმა გამოცხადებამ“. აღრიალდა, აბღავლდა, ატირდა ჯარი. შემოესივნენ ალექსანდრეს და მის კარავს ბღავილით, ცრემლთა თხევით, მუხლებზე ფორთხვით უძღვნიდნენ მადლს „მარად უძლეველს“, რომელმაც თავი მხოლოდ მის ჯარისკაცებს დააძლევინა![20]

მეფის ბრძანებით, ჯარისკაცებმა ჰიფასისის ნაპირას აღმართეს 12 წყრთის სიმაღლის 12 საკურთხეველი და მათ გარშემო გამართეს საზეიმო მსხვერპლწირვანი და ასპარეზობანი. ამ საკურთხეველ-გოდოლთა გარდა, ალექსანდრემ სამომავლო სახსოვრად ჯარისკაცებს ააშენებინა სამხედრო ბანაკი, მაღალი კედლებით და ღრმა თხრილებით გარშემორტყმული — სამჯერ მეტი მოცულობისა, ვიდრე მაშინდელი მათი სადგომი. ყოველ ჯარისკაცს, კიდევ, ახალი დიდი საცხოვრებელი კარავი ააშენებინა, შიგნით ორი ხუთწყრთიანი საწოლით, შესაბამისად ყოველი სხვა საცხოვრებელი ნივთისა და საგნის ტანსრულობით, მომავალში აქ მოსულთა და მხილველთა განსაცვიფრებლად — მართლაც, რა ბუმბერაზი და ზეადამიანური ძალის მქონე გმირები მოუყვანია აქ ალექსანდრე მაკედონელსო[21].

ამის შემდეგ ალექსანდრემ უკანასკნელად მიაპყრო მხედრული აღტყინებით თვალი აღმოსავლეთს, მისმა მხედრებმაც უკანასკნელად დაარწყულეს ცხენები ჰიფასისის წყლით და გამობრუნდნენ დასავლეთისკენ. ისევ, უკანვე გადალახეს ჰიდრაოტე, გადაიარეს განდარიტიდა და მიადგნენ აკესინეს. აქ ახალი ქალაქი, ალექსანდრია დაესრულებინა ჰეფესტიონს. ალექსანდრე მცირე ხანს შეჩერდა, რათა თვალყური ედევნებია სამხრეთით დაცურების სამზადისისა და ქალაქის უფრო განსრულებისათვის. აქვე სათაყვანოდ ეახლნენ ელჩები აბისარ ქაშმირელისგან. ელჩობას ისევ მეფის ძმა მოუძღვა, მდიდარი ძღვენით, მასთან 30 სპილოთი. ალექსანდრეს წინარე ნაბრძანები მაინც ვერ შეასრულა და პირადად ვერ ეახლა მას აბისარი,

ამჯერად ავადმყოფობის გამო. ქაშმირს გაგზავნილმა მაკედონელმა ელჩებმაც დაადასტურეს აბისარის ავადმყოფობა და ალექსანდრემაც სცნო მისი მფლობელობა მისსავე ქვეყანაში, ბუნებრივია, ქვეშევრდომად და გარკვეული ხარკის გადახდით.

ამის შემდეგ ალექსანდრემ ისევ დიდი მსხვერპლწირვით და ასპარეზობით აკურთხა ახალი ალექსანდრია, ჯარები აკესინეზე გადაიყვანა და შუა სექტემბერს მივიდა ჰიდასპეზე, მისგანვე დაარსებულ ქალაქებში — ბუკეფალიასა და ნიკეაში.

აქ ალექსანდრეს ადრევე ჰქონდა დატოვებული ბრძანება ფლოტის მშენებლობისა. ახლა თვითონ ჩაუდგა სათავეში გაცხოველებულ გემთმშენებლობას; ჰიფასისიდან აქამდე, ჰიდასპემდე მაკედონელები ძველი, ნაცნობი გზებით მობრუნდნენ და ამდენად დაბრუნება დაბრუნებას ჰგავდა, მაგრამ აქედან, ბუკეფალია-ნიკეადან ალექსანდრე გეზს იცვლიდა სამხრეთისაკენ, საითაც მას უნდა დაეპყრო ისევ ახალი ქვეყნები და ხალხები, დიდი ინდური ქვეყანა — სინდეთი, ანუ მთელი ინდის ხეობა, ფენჯაბიდან „დიდ ოკეანემდე" (ინდოეთის ოკეანემდე). დამპყრობელი თავისას არ იშლიდა. ჯარისკაცებმა იგი თავისი „ჭირვეულობით" განგის აუზზე არ მიუშვეს, მაგრამ დამპყრობელურ ვნებათა დასარწყულებლად არანაკლებ მომგებიანი იყო ინდის ხეობა, რომლის დასაპყრობადაც ამზადებდა ახლა ჯარისკაცებს მთავარსარდალი.

ალექსანდრემ თავის ახლო ჰეტერ-მეგობართაგან აარჩია 33 ყველაზე დიდი სარდალი და დანიშნა ისინი ტრიერარქოსებად — გემთუფროსებად, გნებავთ — „ადმირალებად". ამათ ევალებოდათ აეგოთ და აღეჭურვათ გემები თავისი ხარჯით. 33 ტრიერარქოსიდან 24 მაკედონელი იყო, 6 ბერძენი, 2 კიპროსელი უფლისწული და ერთიც სპარსელი. და გამოაცხადა მათ შორის შეჯიბრი ალექსანდრემ — ვინ უკეთეს ხომალდებს ააგებდა — უფრო მტკიცეს, ლამაზსა და საომარი გაწყობილობით უმჯობესსა და უკლებელს.

ერთ თვეში ფლოტი მზად იყო. ალბათ, ტრიერარქოსების ხარჯით და თავგამოდებით უნდა აშენებულიყო 80 საუკეთესო სამხედრო, სამბაქნიანი და ოცდაათნიჩბიანი გემი (ტრირემები), რომლებზეც ალექსანდრემ საზღვაო ეკიპაჟად აიყვანა ფინიკიელები, ეგვიპტელები, კიპროსელები, ეგეოსის კუნძულებისა და მცირე აზიის სანაპიროთა ბერძნები. ცალკე 200 გემი მზად იყო ცხენების სატარებლად. ამათ გარდა, კიდევ აშენდა, ან აშენებული შეგროვდა — არანაკლებ

1000 გემისა, რომელთა დიდი ნაწილის დანიშნულება იყო ჯარების გადაყვანა, სხვებისა — სურსათ-სანოვაგის, საპურვლის ტარება, საინტენდანტო სამსახური...

ლაშქრობად გასვლა დანიშნული იყო 326 წლის ნოემბრის დამდეგს. ალექსანდრემ სადარბაზოდ მოიწვია თავისი ამალა, ჰეტერ-მეგობართა წრე და მასთან მყოფი ინდოელი ელჩები. მეფემ იმედი გამოთქვა, რომ მის მიერ ფენჯაბში დამყარებული წესრიგი და მშვიდობა იქნება შეუცვლელი და მარადიული.

რაჯა პოროსს ალექსანდრე მაკედონელმა ერთხელ კიდევ დაუდასტურა მისი „პრინცეპსობა“ ფენჯაბში, და მასვე გადასცა ახალი ტერიტორიები მდინარე ჰიფასისამდე, შვიდი ტომობრივი გაერთიანებით და ორი ათასამდე ქალაქით. მეფემ საბოლოოდ „მიასწორ-მოასწორა“ საზღვრები პოროსს, ტაქსილეს, სოფიტეს, აბისარსა და ფეგეოსს შორის. რაც მთავარია, მაკედონელმა ხელმწიფემ ინდოელებს ერთხელ კიდევ „შეახსენა“ მის წინაშე მათი სახარკო და საქვეშევრდომო ვალდებულებანი. აქვე ალექსანდრემ ბრძანა ინდური სამხედრო ნაწილების დაშლა და სახლებში დაბრუნება.

ბოლოს, გადაწყდა გამგზავრების განწესრიგება. მეფე, მისი ამალა, სამეფო ცხენოსნური აგემა, ფაროსნები, აგრიანები და მოისარნი — სულ 8000 კაცი — გაემგზავრებოდნენ გემებით. სრულიად ფლოტის მთავარსარდლად, ადმირალად, მეფემ დანიშნა ნეარქოსი, ხოლო საკუთარი გემის მესაჭედ — ონესიკრატოსი (ფილოსოფოსი და ისტორიკოსი). იმ რვა ათასი მეომრის გარდა, დანარჩენი ჯარები გაიყო ორ კოლონად, რომელთაც ხმელეთით უნდა ევლოთ მდინარის ორივე მხარეს, მარჯვნივ, — კრატეროსის სარდლობით, მარცხნივ — ჰეფესტიონის მეთაურობით. ჰეფესტიონს მოჰყავდა, აგრეთვე, 200 სპილო. ორივე კოლონას უნდა ევლო სწრაფად და შეჩერებულიყო სამხრეთით, მდინარეზე, სამი დღის სავალზე, და იქ დალოდებოდნენ ფლოტის ჩასვლას.

მაგრამ სად არის კენოსი? რატომ აღარ ჩანს ალექსანდრე მაკედონელის უსაჩინოესი, უერთგულესი და უსაყვარლესი მეგობარი და თანამებრძოლი? უბრალოდ ითქვას: იგი მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა. მეფემ დიდის ამბით დაიტირა და დაკრძალა კენოსი, თუმცა ესეც წაიცდუნა პირიდან: სწორედ ამ ცხონებულმა მოითხოვა პირველად მაკედონიაში დაბრუნებაო[22]. არც ეს არის გამორი-

ცხული, — მეფის პრინციპულ მისწრაფებათა საპირისპირო „რჩევის“ ავტორები ხშირად ავად ხდებიან და იხოცებიან!..

დადგა გამგზავრების დღე. დილიდანვე გემებმა დაიწყეს თავიანთ ეკიპაჟთა აყვანა. მდინარის ორივე ნაპირზე, კრატეროსმა მარჯვნივ და ჰეფესტიონმა მარცხნივ, სამგზავროდ დაალაგეს თავიანთი კოლონები. მეფემ მდინარის პირას, ბერძნული წესებით, მსხვერპლი შესწირა ბერძენთა ღმერთებს, მას უკან — მდინარეს, ინდური წესებით. აქედან ავიდა თავის ხომალდზე. ხომალდიდან მდინარეს ოქროს ფიალით ზედაშე აპკურა და მესაყვირეს უბრძანა ბუკით სალაშქრო ნიშანი მიეცა. და ასე, ბუკების, საყვირების, ყიჟინისა და საომარი ემბატერიების გრიალის ქვეშ, უთვალავ გაოცებულ ინდოთა თვალწინ, დაიძრა ფლოტი, ნაირფერი იალქნების ფრიალით და ნიჩბების წყობილი ტყლაშუნით[23].

ქვეითმა კოლონებმა, მეფის ბრძანებისამებრ, სამი დღის შემდეგ ბანაკი დასცეს ჰიდასპეს ორივე ნაპირზე. ალექსანდრემაც მიატანა ფლოტით. ორი დღე დაისვენეს. ორ დღეში „სატრაპია ინდოეთის“ მმართველიც მოვიდა — ფილიპე — და თან ჯარებიც მოიყვანა. ახლა ალექსანდრეს ხელქვეით 120000 მეომარი იდგა. უკვე უცხო ქვეყნებში იწყებდნენ შესვლას და მეტი სიფრთხილე მართებდათ. ამიტომ მეფემ ახლად მოსული ფილიპე თავისი ჯარებით ჰეფესტიონის მარცხენა მხარეზე დააყენა, მდინარე აკესინესკენ, რათა ამ მხრიდან რაიმე მოულოდნელი თავდასხმა აღეკვეთათ. დანარჩენი საომარი ნაწილები ისევ თავისი გეზით მიდიოდნენ. ასე უნდა ევლოთ ჰიდასპესა და აკესინეს შერთვის ადგილამდე. ამ ორი მდინარის წყალსართავის სამხრეთით მძლავრად მეომრული ინდური ტომების, მალებისა და ოქსიდრაკების მტრულ დახვედრას ელოდნენ მაკედონელნი.

მაგრამ მაკედონელები, სანამ იარაღასხმულ მტერს შეხვდებოდნენ, მანამდე სრულიად მოულოდნელად ლამის წყლის სტიქიონის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. მეხუთე დღეს, ჰიდასპესა და აკესინეს შესაყარს რომ მიაღწიეს, უეცრად აქ ფლოტი საშინელი სისწრაფის, სიღრმისა და სიმძლავრის მორევთა ქვაბში მოექცა. რამდენიმე ხომალდი, მათ შორის ორი დიდი, ოცდაათნიჩბიანი გემი, სულ ერთიანად დაილეწა, ბევრი ეკიპაჟთაგანიც დაიღუპა. საფრთხე მეფის ხომალდსაც დაემუქრა და ალექსანდრეც ტანს იხდიდა — მდინარეში გადასახტომად და გადასაცურავად ემზადებოდა. დიდის ვაივაგლახით გააღწიეს, მარჯვენა ნაპირზე მიდგნენ, დახოცილთა გვამები აას-

ვენეს და დაკრძალეს. დაზიანებული გემები შეაკეთეს. მანამდე ალექსანდრემ მოაწყო ადგილობრივი ტომის, სიბების დარბევა, რადგან ცნობა ჰქონდა, რომ სიბები მალებთან და ოქსიდრაკებთან მეგობრობდნენ. მაკედონელებმა სიბების მთავარი ქალაქიც აიღეს იერიშით.

ხელმარცხნივ, აკესინესა და ჰიდრაოტეს ქვემო წელზე, მალები და ოქსიდრაკები, — აქამდე რომ ერთმანეთს მტრობდნენ — ახლა საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებულან, ერთმანეთთან შეფიცულან, მძევლები გაუცვლიათ და ორივე ტომს საომრად გაუმზადებია 50000 ქვეითი, 10000 ცხენოსანი და 700 საბრძოლო ეტლი. მაგრამ მაინც ვერ დაახვედრეს ინდოელებმა ერთიანი ფრონტი საერთო მტერს. საერთო ბელადის არჩევანზე წაეკიდნენ ერთმანეთს, ისევ გაითიშნენ და გაიფანტნენ, ცალკე მალები და ცალკე ოქსიდრაკები.

ალექსანდრესთვის მთავარი სამტრო ძალა მაინც მალები იყვნენ და ისიც მიქროდა მალების მთავარი ქალაქისაკენ. მან აკესინეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორი დღის სავალი უდაბნო ხუთ საათში გადაიქროლა, მერე მცირე შესვენების შემდეგ, დანარჩენი დღე და მთელი ღამე შეუსვენებლივ იარა და უეცრად მიადგა ქალაქ აგალასას. მალები ასეთი ეზით და ასეთი სისწრაფით მტრის გამოჩენას არ ელოდნენ და სანამ გონს მოეგებოდნენ და იარაღს მიწვდებოდნენ, მაკედონელები მათ ისე დაერივნენ, როგორც ცხვრის ფარას. ერთბაშად ათასეულობით ინდოელი ხელგაუნძრევლად დაირეცა მკვდრად. მხოლოდ მცირე ნაწილმა შეასწრო და შეიკეტა აგალასას კედლებში. აგალასა ალექსანდრემ კავალერიით ალყაში მოაქცია. პერდიკამაც მოუსწრო ფალანგებით. პერდიკა მეფემ მეორე ქალაქისკენ (სახელი არაა ცნობილი) აფრინა ბრძანებით — ალყა შემოერტყა, გარეთ არავინ გამოეშვა და იერიშიც არ მიეტანა, სანამ თვითონ არ მიეშველებოდა. თვითონ კი მაშინვე ირგვლივი იერიშები წამოიწყო აგალასაზე. მალები უკვე გონს მოსულიყვნენ და გააფთრებით იცავდნენ თავს. მაკედონელებმა ქალაქის კარიბჭეები შემუსრეს და შეიჭრნენ. რამდენიმე ათასმა ინდოელმა აკროპოლისს შეაფარა თავი. პირველი იერიშები აკროპოლისზე მაკედონელებს უშედეგოდ დაურჩათ, მაგრამ ალექსანდრეს პირადმა სიმამაცემ, მისმა დაუცხრომელმა ენერგიამ მაინც თავისი გაიტანა. მაკედონელებმა აკროპოლისიც აიღეს და ბრძოლის სიმძიმით გაცოფებულმა, ორი ათასი ინდოელი მეომრისგან არც ერთი ცოცხალი აღარ გაუშვეს.

ამასობაში პერდიკაც მიხდომია მალების მეორე ქალაქს, მაგრამ

ალყაშემოსარტყმელი იმ ქალაქში არავინ დახვედრია — მალები გაქცეულიყვნენ. პერდიკა დაედევნა და ყოველი ინდოელი, რომელმაც ჰიდრაოტეს ვერ გადაასწრო, ამოწყვიტა.

ალექსანდრემ აგალასაში მცირე ციხიონი შეაყენა და მალების დანარჩენ ციხესიმაგრეებსა და სამალავებს მისდგა. ყველა აიღო, ყველა ამოწყვიტა, ყველა დაანგრია. განსაკუთრებით ერთი ბრაჰმანული ციხე-ქალაქი გაძალიანდა, ბევრი მაკედონელიც შეიწირა. ისევ იმძლავრა ალექსანდრემ, ჯერ ქალაქის კედლები გადალახა, ქალაქის ციტადელიც აიღო; ინდოელებმა ციტადელს თვითონ გაუჩინეს ხანძარი და ბევრი მათგანი ცეცხლში თვითონ გადაეშვა, დანარჩენები — 5000 ინდოელი — მაკედონელებმა გაჟლიტეს.

ერთი დღის შესვენების შემდეგ ისევ გაიყვანა ჯარები მარბიელად მეფემ. ხუთი დღე სდიეს და ჟლიტეს მალები შეუსვენებლივ, სადაც წაეწივნენ, ყველგან — ციხესიმაგრეებში, ტყეებში, ბუჩქნარებში, ჭაობებში. კიდევ შესვენება და კვლავ ნადირობა მალებზე — ხუთდღიურებად, კვირეულებად.

ბოლოს, ალექსანდრე მიადგა მალების კიდევ ერთ დიდ ქალაქს (ეს უნდა ყოფილიყო დღევანდელი მულტანის ადგილზე). დილით, სისხამზე ირგვლივი იერიშები მიიტანეს მაკედონელებმა — ერთ ნახევარზე ალექსანდრემ, მეორე ნახევარზე პერდიკამ. ალექსანდრემ კარიბჭე შეანგრია და პირველი შეიჭრა ქალაქში. მალები უკუიქცნენ და აკროპოლისს მიაშურეს. აკროპოლისი კი უაღრესად ძლიერად გამაგრებიათ მალებს. მაღალი კედლები და კოშკები ხშირი ურთიერთმიჯრით გაევსოთ იარაღში დასილაღებულ მეციხოვნეებს, ხელუცთომელ მოისრეებსა და მესათხედეებს. იმიტომაც საიერიშოდ მისვლა ძალზე სახიფათო ჩანდა და პირველი, რითაც მაკედონელებმა დაიწყეს, იყო კედლების საძირკველთა გასწვრივი მიწის გათხრა, რამდენჯერმე საიერიშო კიბეებით კედლებზე ასვლაც სცადეს, მაგრამ ყოველთვის ინდოელმა მეციხოვნეებმა ისრისა და სათხედის სეტყვით უკუჰყარეს მოიერიშე მაკედონელნი.

მაშინ კიბე აიტაცა და კედელზე მიაგდო ალექსანდრემ და — მარცხენაში ფარით, მარჯვენაში მახვილით — კიბე აირბინა ელვასავით. იმავე კიბით ფეხდაფეხ მიჰყვნენ პევკესტა და ლეონატოსი. მეორე კიბე მიადგა და აირბინა აბრეიოსმა. მეფე უკვე კოშკის ზეთავზე იყო, ფარით ისრის სეტყვას იგერიებდა, მახვილს სცემდა საოცარი სისწრაფით და მიმოხრით; ყოველი შემხვედრი ძირს დაანარცხა ან კოშკი-

დან გადასჩეხა. ეს ყველაფერი გაგრძელდა წუთით. მაკედონელებიც არბიან ორივე კიბით, ერთიმეორის მიყოლებით. მაგრამ კიბეები სიმ-ძიმეს ვეღარ უძლებენ, იმსხვრევიან და მოიერიშენი ძირს ენარცხე-ბიან. ალექსანდრე, პევკესტა, ლეონატოსი და აბრეიოსი კოშკზე, მტრის გარემოცვაში, მარტო რჩებიან. ალექსანდრეს გასაოცარი სი-მამაცით და საომარი ხელოვნებით გამოწვეული წუთიერი გარინდება სძლიეს მალებმა, ბრწყინვალე აღჭურვილობით და მუზარადზე ფრთებით შეიცვნეს მეფე. მიტომაც ახლოს, ხმლის მისაწვდენზე მის-ვლა ვეღარ შეუბედეს და შორიდან დაუშინეს გაალმასებით. ესროდ-ნენ ყოველი მხრიდან — კედლებიდან, კოშკებიდან, აკროპოლისის შიგნიდან; ესროდნენ ისარს, შუბს, სათხედს, ქვას და ყველაფერს, რაის სროლაც შეიძლებოდა. საშინელი ღრიალი დადგა შიგნით და გარეთ.

გადმოღმიდან მაკედონელები ბღავილით ეევედრებოდნენ მეფეს, უკანვე გადმომხტარიყო და ეხსნა სიცოცხლე თვისი. ალექსანდრემაც წამიერი მზერის ტყორცნით გაზომა სიმაღლე კოშკიდან და გადახტა... გადახტა ქალაქის შიგნით!.. ეს უკვე გმირობა კი არა, სიგიჟე იყო... ჩახტა, ზურგით კედელს მიეყრდნო — უკანა მხარე უვნებელჰყო — და პირისპირ მტრის იერიშებს დაელოდა, „აქილევსის ფარითა“ და მახვილით ხელში. გავეშებით დაეძგერნენ ინდოელნი. მათი მეწინავე, ალბათ წინამძღოლი, მისვლისთანავე მახვილის დაკვრით უსულოდ დასცა ალექსანდრემ, მეორეს ქვა დასთხლიშა და დააწვინა, მესამე და მეოთხე ისევ მახვილით დაასიკვდილა თავის ფეხებთან. უკუიქცნენ დანარჩენები და ისევ დამანძილებით დაუშინეს ისარი და სათხედი, შუბი და შურდული — ყველაფერი, რითაც ამ უცნაური კაცთაგანის მოკვლა შეიძლებოდა. კვლავ გასაოცარი ხელოვნებით ისხლეტდა მტრის ნასროლს ალექსანდრე ფარით, მახვილით, ელვისებური გახ-ტომ-გამოხტომით. მაგრამ მაინც დაიჭრა რამდენიმე ადგილას, ქვამ მუზარადიც გაულრიცა, თუმცა ყველაფრის გასააზრებლად „ვერ მოი-ცალა“ თავდავიწყებით მეომარმა.

უკვე გაჩნდნენ მის გვერდით პევკესტა, ლეონატოსი და აბრეი-ოსი. მისვლისთანავე აბრეიოსს მძლავრად ნასროლი ისარი სახეში მოხვდა და მკვდარი დაეცა. აღტაცებული ბღავილი აღმოხდათ მა-ლებს და გაახშირეს სროლა მეფეზე — ყველაზე „ძვირფას სამიზ-ნეზე“.

ახლა კი ისრისა და სათხედის ბარანში ყველაზე მძლავრად ნასრო-

ლი ქეიბური გამოერჩა და ალექსანდრეს მარჯვენა ძუძუში გამჭოლად შეიჭრა; სისხლმა იჭექა შადრევანივით. ხელი მოივლო დაჭრილმა ისრის ამოსაძრობად, მაგრამ ამაოდ. დაბარბაცდა. მსროლელმა მეფის სიკვდილის სიახლოვე ირწმუნა და იარაღის ასაყრელად მიეჭრა, აღტაცებული ბღავილით. ისევ ძალანაკრები შეეგება ალექსანდრე, ხმალი ფერდიდან დარტყმით გულში გაუტარა და, უსულოდ დასცა ნაადრევად გახარებული მოსისხლე. მაგრამ თვითონაც ძალა თანდათან დაეშრიტა, მუხლები მოეშალა, მკლავები იარაღთან ერთად დაუცვივდა და ამდენხანს ღირსეულად ნატარებ და ნაომარ აქილევსურ ფარზე დაეცა ცნობაწართმეული. პევკესტა და ლეონატოსი ფარების მიჯრით გადაეფარნენ თითქმის სიკვდილის საუფლოში ჩაძირულ მეფეს. მაგრამ თვითონაც დაჭრილები არიან — პევკესტა სამგზის სათხედით, ლეონატოსი კისერში დარტყმით. და ორივე სისხლისგან იცლებიან. ამასობაში მაკედონელებს გადმოულახავთ აკროპოლისის კედლები — ზოგს კიბეებით, ზოგს პაღლოებით, სხვებს თოკებით თუ ერთმანეთის ზურგზე გადავლით; ზემოდან თვალს ჰკიდებენ დარეცილ მეფეს და თავზე ხელაღებით ცვივიან მის გადასარჩენად. პირველნი ტიმეოსი და არისტონი მიცვივდნენ მეფესთან. ტიმეოსი დაცხრილეს და მკვდარი დასცეს მალებმა. არისტონიც დაიჭრა მძიმედ. პევკესტაც უკვე მინებდა სიკვდილს. მაგრამ უკვე შიგნიდან გაეხსნათ აკროპოლისის კარიბჭენი კედლებიდან გადმოცურებულ მაკედონელებს. აკროპოლისი ერთბაშად აივსო მაკედონელთა ჯარებით. ხმაც გავარდნილიყო მეფის სიკვდილისა. იხილეს კიდეც, როგორ მიასვენებდნენ ვითარცა მკვდარს, ილიონურ ფარზე დასვენებულ მეფეს მისი ჰეტერები. საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს მხეცადქცეულმა მაკედონელებმა. სჩეხავდნენ ყველას — კაცსა და ქალს, მოხუცს და ახალგაზრდას, შუაზე ხლეჩდნენ და აკვანში ჭყლეტდნენ ძუძუთა ბავშვებს. მალთა ქალაქში მალთაგან აღარავინ გადარჩენილა[24].

მეფე სისხლის თქეშით ავსებული ქალაქიდან ბანაკში გადაიყვანეს, მის კარავში დააწვინეს და მიეხვივნენ „ხეირურგნი“ და „ხეირურგიის“ მჩემებელნი. ვერ იქნა და, ვერ ამოართვეს ისარი მკერდიდან დაჭრილს. ქეიბურის ანკესი მჭიდროდ მოსდებოდა მკერდის შიდაძვალს. — ჩასჭერით, ჩააფართოვეთ და ისე ამოიღეთო, — ამოიკვნესა ალექსანდრემ და ისევ დაჰკარგა გრძნობა. ისე მოიქცნენ, როგორც ბრძანა „ყველაფრის მცოდნემ“ — ჭრილობა ხმლით ჩაუფართოვეს და ამოუღეს ისარი. ძლივს შეუკრეს ჭრილობა, ძლივს

შეუწყვიტეს სისხლდენა. მთელი ღამე სიკვდილი და სიცოცხლე თავგამოდებით ებრძვიან ერთმანეთს ალექსანდრე მაკედონელის სხეულის დაუფლებისათვის. მთელი ღამე დასტირიან მისი „მეგობრები“ და „პაჟები“ სიკვდილის წიაღისკენ გათრეულ მეფეს. ჯარები ღამეს ათევენ მის კარავთან — მეფის, სარდლისა და „პატრონის“ სიკვდილ-სიცოცხლის მოლოდინში.

მაკედონელთა იმ ბანაკებშიც, რომელთაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მიიჭრა თავზარდამცემი ამბავი უმძიმეს შეტაკებაში ალექსანდრეს დაჭრისა და მისი სიკვდილისა, დიახ — სიკვდილისა! და აუწერელმა მღელვარებამ მოიცვა მაკედონელთა მთავარი ბანაკი. რომელიც ალექსანდრემ მალებზე გალაშქრების წინ ჰეფესტიონსა და ნეარქოსს დაუტოვა ჰიდრაოტეს და აკესინეს შესაყარში. ჯერ იყო ყვირილი, ღმუილი, ბღავილი, ტირილი, ცრემლი — ვისთვის სინანულისა, ვისთვის სიხარულისა, მაგრამ საყოველთაო -ყო შიში — შიში იმ მომენტისა, შიში „უალექსანდრეობისა“; რა მოხდება ახლა. ამ წუთიდან? ვინ იქნება მის მაგიერი და ვინღა შეძლებს ალექსანდრობას? როგორი იქნება ის ვინმე „მეორე ალექსანდრე“, და (რაც მთავარია) როგორი თვალით დამიწყებს ყურებას მე?! როგორ გავაღწევთ აქედან, უთვალავ მტერთაგან გარშემორტყმულნი, როცა აღარ გვყავს „ღვთის სწორი“ ალექსანდრე? ვინ დაგვაბრუნებს, რა გზით და რა საშუალებით სამშობლოში, როცა ცოცხალთა შორის აღარ არის ის?! მაგრამ ცოცხლები იმიტომ არიან ცოცხლები, რომ ყოველნაირი კაცთაგანის სიკვდილს ბოლოს და ბოლოს ურიგდებიან და ასევე უნდა ყოფილიყო ალექსანდრეს მიმართაც. და ისევ მოიჭრა უცებისი ამბავი — ალექსანდრე სიკვდილს გადარჩენილა. თუ გაცოცხლებულა, თუ მკვდრეთით აღმდგარა... ახლა ამის დაჯერება გასჭირდა (ზოგს არც სურდა, ალბათ). მალე ხმას თვითონ ალექსანდრეს წერილიც მოჰყვა — მალე დავბრუნდები ბანაკშიო — იწერებოდა მეფე. მაგრამ ბევრს მაინც არ სჯეროდა, — ეს წერილი მხოლოდ ალექსანდრეს ახლობელთაგან შეთხზული იქნება — რომელიმე „ჰეტერთაგან“ თუ „პაჟთაგან“ — ჩვენს დასამშვიდებლად და მოსაღორებლადო.

არა და, ეს რეალობა იყო. ალექსანდრე მართლა გადარჩა სიკვდილს. შვიდ დღეში ჭრილობა მოუშუშდა, მგზავრობა მაინც საშიში იყო, მაგრამ აიჩემა წამიყვანეთ ბანაკშიო. შიშობდა მეფე, ჯარები პანიკამ და უწესრიგობამ არ მოიცვას ჩემი დაღუპვის შემტყობარემო. ჰიდრაოტაზე ხომალდი კარვითა და საწოლით გააწყვეს, მეფე

შიგ შეიყვანეს და დააწვინეს. ხომალდი ნელა აუშვეს და, მეფე რომ ზედმეტი რყევით არ შეეწუხებინათ, ნიჩბების მოსმის გარეშე, ნელად მიმავალი მდინარის ნებისად გაცურდნენ. მეოთხე დღეს მიუახლოვდა ბანაკს წყნარად მიმავალი ხომალდი. ჯარი ელოდა მუხლმოუკეცავად და თვალმოუხუჭავად. ბევრს კიდევ არ სჯეროდა მეფის სიცოცხლე. ხომალდი რომ გამოჩნდა, მაშინაც ფიქრობდნენ, რომ იმ ხომალდით მეფის ცხედარს მოასვენებდნენ. ალექსანდრემ ბრძანა, კარავი გაეხსნათ, რამეთუ ყველას ეხილა იგი. თვითონ წამოიწია, აღიმართა და ხელის ქნევით მიესალმა ხალხს. ათასეულების შებღავლებამ შესძრა ცა და ქვეყანა. ხომალდი ნაპირს მიადგა. ძლივს აკავებდნენ „პაჟები“ აბღავლებული და ატირებული ხალხის მოწოლას.

საკაცეები მოიტანეს, — მეფე უნდა დაესვათ და ისე წაეყვანათ მის კარავში. მაგრამ არ ინება ალექსანდრემ — ბრძანა ცხენი მოერთმიათ. და როგორც კი ჯარმა ისევ ამხედრებული იხილა იგი, ახალის ძალით ატყდა გრგვინვა, ფარებზე მახვილების და შუბების ცემა, გაუთავებელი და გამაყრუებელი ზათქი-ზრიალი. კარავთან ცხენიდან გადმოხტა და ხალხს ერთხელ კიდევ აჩვენა, კვლავ როგორ შეეძლო ფეხზე დგომა და სიარული. ყველა მისკენ მიისწრაფოდა, ყველას უნდოდა, ხელით შეხებოდა მის სხეულს, სამოსს, როგორმე მისი მზერა დაეჭირა. მიელტვოდნენ, ყვავილს და ფიანდაზს უგებდნენ და თვითონაც ფეხებში ეგებოდნენ.

კარავში შეჰყვნენ ჰეტერ-მეგობრები ალექსანდრეს, შემოეხვივნენ და შეჰკადრეს საყვედურები — რატომ აგრე გაუფრთხილებლად ეპყრობი შენს სიცოცხლესო, საკუთარ თავსაც რომ არად აგდებდე, ქვეყანას, ჯარსა და ჩვენ რაღა პასუხს გვაძლევო, ისედაც — ბრძოლაში ეგზომ თავგანწირვა რიგითი ჯარისკაცის საქმეა და არა მეფისა და მთავარსარდლისაო, და სხვა მისთანანი. მაინცა და მაინც არ ეპიტნავა მეფეს ამგვარი შეგონებანი. ერთი მოხუცი ბეოტიელის ნათქვამმა კი ძალიან ასიამოვნა მას: „ჰოი, ალექსანდრეე, ვაჟკაცს საქმენი ამშვენებენ, ხოლო ვინც მოქმედებს, იგი ტანჯვა-წამებასაც არ უნდა შეუშინდეს“. ამ თქმისთვის ძალიან შეიყვარა და დაიახლოვა ის ბეოტიელი ბერძენი ალექსანდრემ.

უმამაცესი მალების განადგურებამ და მათი სატახტო ქალაქის დაუფლებამ კვლავ განადიდა მაკედონელი მეფის სახელი და გააღრმავა შიში მის წინაშე მთელს ინდოეთში. თვითონ მალებმა ელჩები გამოგზავნეს და მათი მიწა-წყალი ალექსანდრეს ქვეშევრდომად ცნეს.

მაკედონელთა მორჩილად უომრად აღიარეს თავი ოქსიდრაკებმაც — მეორე ძლიერმა, მეომრულმა ტომმა ინდოეთში. ამათგან ალექსანდრემ ათასი მძევალი მოითხოვა. ოქსიდრაკებმა ის ათასი მძევალიც მისცეს და კიდევ, თავისი ნებით, ხუთასი საბრძოლო ეტლიც მიუძღვნეს — ყოველი ეტლი ერთი მეეტლითა და ორი მეომრით. ასეთი „უეჭველი ერთგულების“ გამომხატველი ქცევით ნასიამოვნებმა ალექსანდრემ ის ათასი მძევალი გაათავისუფლა, ხოლო ნაჩუქარი ეტლები თავის საომარ ძალებს შეუერთა.

მალებისა და ოქსიდრაკების ტერიტორიები მეფემ „სატრაპია ინდოეთს“ შეუერთა და თავიდანვე დანიშნულ მის სატრაპს, ფილიპეს დაუმორჩილა.

სანამ ალექსანდრეს ჭრილობა პირს იკრავდა, მანამ მისმა გემთმშენებლებმა კიდევ ბევრი ახალი ხომალდი ააგეს. ასე გაზრდილ ფლოტს ახლა შეეძლო წაეყვანა 10000 ქვეითი და 1700 ცხენოსანი მეომარი.

ალექსანდრეც გამოჯანსაღდა და გამომთელდა. ღმერთებს სამადლობელი მსხვერპლი შესწირა, იასპარეზა, ინადირა, გემზე ავიდა, დაიძრა ფლოტით და ჯარით. გაიარეს შესართავი ჰიდრაოტესი, შემდეგ ჰიფასისისა და ბოლოს, როცა ყველა ერთად — ჰიდასპე, აკესინე, ჰიდრაოტე და ჰიფასისი იქცევა ერთ მდინარედ პანჯანადად. და ერთვის ინდს — მაკედონელთა ფლოტიც შეერთო მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს მდინარეს.

გზადაგზა ინდური ტომები ელჩებს ელჩებზე აგზავნიდნენ, მაკედონელ ხელმწიფეს მორჩილებას მოახსენებდნენ და ძვირფას ძღვენს მოართმევდნენ — ურიცხვ ალმასს, მარგალიტს, უცხო ქსოვილებს, გველის ტყავებს, კუს ჯავშნებს, მოშინაურებულ ლომებს და ვეფხვებს. ჯერჯერობით მხოლოდ პერდიკას დასჭირდა თავისი ფალანგით საომრად გასვლა — აბასანტების ტომის ძალით დამორჩილება.

იქ, სადაც ხუთმდინარეთი ერთ დიდ ინდთან იკვრება, მაკედონელმა დააარსა კიდევ ერთი ქალაქი თავისი სახელობისა — ალექსანდრია, რომელსაც თვითონ ალექსანდრეს გაანგარიშებით, თავიდანვე დიდი როლი უნდა ეთამაშნა ჯერ ინდოეთისა და შემდგომ აღმოსავლეთ-დასავლეთ ქვეყანათა სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობაში. ამ ახალი ალექსანდრიის გაზრდის, განმტკიცებისა და სავაჭრო ცენტრად გადაქცევის მეთაურობა მეფემ მიანდო ისევ ფილიპეს, ინდოეთის სატრაპს.

ზამთარი ახალ ალექსანდრიაში გაატარეს. 325 წლის თებერვალში ალექსანდრემ ფლოტი და ჯარი ინდის ზემო წელისკენ დასძრა. მაკედონელები მივიდნენ სოგდების ქვეყანაში და ბანაკად დადგნენ მათ მთავარ ქალაქში, რომელიც მაშინვე გადააქციეს ბერძნულ კოლონიად და უწოდეს — „ალექსანდრია-სოგდიანა“. იგი საგანგებოდ გაამაგრეს, სავაჭრო ნავსადგურებით და შენობებით გააწყვეს და გამოაცხადეს ახალი სატრაპიის რეზიდენციად; ხოლო, ეს ახალი ინდური სატრაპია მოიცავდა ტერიტორიებს ინდ-პანჯნადის შესაყარიდან ვიდრე ინდის შესართავამდე და ინდოეთის ოკეანემდე. სატრაპად კი, 10000-იანი ციხიონით, ალექსანდრია-სოგდიანაში მაკედონელმა ხელმწიფემ დასვა პითონი.

ინდის ქვემო დინებაზე ინდოელი ტომები მტრულად შეხვდნენ უცხო დამპყრობელს. აქაური რაჯები და მათი წარმომადგენლები, ნაწილობრივ საკუთარი თვითდაჯერებით და ნაწილობრივ კიდევ „ღმერთებთან მოსაუბრე“ ბრაჰმანთა კასტის წაქეზებით, მძულვარებით და მედიდურობით ეგებებოდნენ მაკედონელებს, ერთადერთი აღმოჩნდა რაჯა სამბა, [25], რომელმაც „ცხვირის აბზეკის“ გარეშე გამოაცხადა მორჩილება ალექსანდრე მაკედონელის წინაშე. სამბას ასეთი „ანტიეროვნული“ ნაბიჯი ადვილად აიხსნებოდა: იგი უფრო ძლიერისა და მაკედონელების მომტერე მუსიკან რაჯას ქვეშევრდომი იყო და უცხო დამპყრობელთან შეკავშირებით უცდია „მშობლიური მჩაგვრელისგან“ თავის დახსნა. ალექსანდრემაც „დააფასა“ სამბას ერთგულება და იგი თავისი ქვეყნის შეუზღუდველ სატრაპად აღიარა — რასაკვირველია, ისეთივე სახარკო ვალდებულებებით, როგორც ფენჯაბის სატრაპები.

დანარჩენი რაჯების „გონზე მოსაყვანად“ ისევ მიწვდა ალექსანდრეს ხელი მრისხანე მახვილს. იგი ალექსანდრია-სოგდიანადან დაეშვა მუსიკანის სატახტოსაკენ. მისვლა და იერიში აღარ აცალა მუსიკან რაჯამ, სასწრაფოდ ქალაქიდან გამოვარდა, ალექსანდრეს მუხლებში ჩაუვარდა, პატიება თხოვა და თავისი ქვეყანაც ქვეშევრდომად მიუბოძა. მრავალ ძვირფას საჩუქართა გვერდით, მუსიკანმა მაკედონელ მეფეს მიართვა ყველა სპილო, რომელიც კი მას ჰყავდა სახელმწიფოში. ალექსანდრემ მონანიებულ რაჯას წინანდელი მტრობა შეუნდო და დატოვა იგი თავისი სახელმწიფოს გამგებლად და მაკედონიის მოხარკედ. მუსიკანი შეუძღვა თავის რეზიდენციაში უცხო სტუმარს და ხელისუფალს. ალექსანდრე განაცვიფრა ქალაქისა და

მისი მიდამოების სიმდიდრემ და დოლათიანობამ. აქვე მან მაკედონური გარნიზონი ჩააყენა და კრატეროსს ახალი აკროპოლისის აგება უბრძანა.

ძტრულად შეხვდა ალექსანდრეს პრეტიების მეფე ოქსიკანი.[26] ალექსანდრემ პრეტიებიც გაანადგურა, მათი მეფეც მოაკვლევინა.

მოულოდნელად რაჯა სამბა აუჯანყდა ალექსანდრეს. იგი უკმაყოფილო დარჩენილა, მაკედონელმა რომ მისი მეტოქე მუსიკანი შეიწყალა და რაჯას ტახტზე დატოვა. მის კარზე მყოფი ბრაჰმანებიც აქეზებდნენ სამბას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. სამბამ მაკედონელთა მფლობელობა მის ქვეყანაზე გაუქმებულად გამოაცხადა, მაგრამ უმალვე ბრძოლას დაუშინდა, ანარქიით მოცული სამეფო მიატოვა და ინდს გადაღმა უდაბნოს შეაფარა თავი. გაქცეული რაჯას სატახტო ქალაქი, სინდომანა, უომრად ჩაბარდა ჯარით მოსულ ალექსანდრე მაკედონელს. სპილოები და სახელმწიფო საჭურჭლეებიც მაშინვე მიართვეს. დანარჩენი ქალაქებიც დანებდნენ, გარდა ერთისა, სადაც ბრაჰმანებს შეეფარებინათ თავი. ალექსანდრემ ეს ქალაქი აიღო და ყველა ბრაჰმანი სიკვდილს მისცა.

მობრუნება ვერ მოასწრო ალექსანდრემ, რომ მოახსენეს — ბრაჰმანების წაქეზებით, მუსიკანიც აჯანყებულა მთელი თავისი ქვეყნითო. მაშინვე მეფემ პითონი გაგზავნა აჯანყებული მუსიკანის წინააღმდეგ, თვითონ კი მის ქალაქებს დაერია. ყველა ქალაქი აიღო და ყველას სასტიკად გაუსწორდა — გაძარცვა, დაანგრია, დასწვა, მოსახლეობა ან ამოწყვიტა, ან მონებად გაირეკა. ყველგან მაკედონური ციხეები შეაყენა და უკან დაბრუნდა. პითონიც მოვიდა და შეპყრობილი მუსიკანიც მოიყვანა. მეფის ფიცხელი ბრძანებით, მუსიკანიც და მისი წამქეზებელი ბრაჰმანებიც, შარაგზების გაყოლებით, სახრჩობელებზე ჩამოჰკიდეს.

ალექსანდრემ ერთი ბრაჰმანი გაიშინაურა, აღარ მოიშორა და აღარც ის მოშორდა. სახელად სფინე ერქვა, მაგრამ პტოლემაიოსმა და ლისიმახოსმა, — რომელთაც ამ ინდოელთან საუბარი ძალიან შეუყვარდათ — მას „კალანე“ დაარქვეს, რაკი იგი ამ სიტყვით ესალმებოდა ყველას. ერთხელ, კალანემ მეფეს ალეგორიულად დაუხატა მისი უზარმაზარი სამეფოს სურათი: საქონლის გამხმარი ტყავი მოატანინა, მიწაზე დადო და ერთ მხარეზე რომ ფეხი დააჭირა, ტყავის დანარჩენი კიდეები ზევით აიპრიხა; კალანემ ტყავს ასე შემოუარა გარშემო — ერთ მხარეს რომ ფეხით მიწას აკრავდა, დანარჩენი

ბოლოები ისევ ღა ისეე მაღლა იმართებოდა; ბოლოს შუაგულზე დაჭირა ფეხი და ტყავი მთლიანად, მისი ყოველი ბოლოთი გაეკრა მიწას. აი, ასე გახლავთო, — დაასკვნა კალანემ — ხელმწიფე თავისი სამეფოს შუაგულში უნდა იდგესო და არა სხვათა დასაპყრობად. „სხვათა კიდეზე“ ფეხს ადგამდესო, თორემ სულ ერთია, ყველაფერი მაინც წარმავალიაო[27].

იქნებ კალანეც იმ „ინდოელ სოფისტთა“ შორის იყო, ერთ მინდორში, ერთსა და იმავე ადგილზე რომ ფეხებს ატყაპუნებდნენ და გაოცებულ ალექსანდრეს ეუბნებოდნენ: „მეფეო ალექსანდრე, ყოველ ადამიანს მხოლოდ იმდენი მიწა ეკუთვნის, რამდენსაც მისი ფეხის ტერფები ფარავს; შენც ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც სხვანი ყოველნი, ოღონდ უფრო მოუსვენარი და ამაყი, სახლიდან წამოსულხარ, ამდენი მიწა გამოგივლია, არც შენ ისვენებ, არც სხვას ასვენებ; მალე შენც მოკვდები და შენც იმდენი მიწა გეყოფა, რამდენიც მხოლოდ დასამარხავად დაგჭირდება“[28].

კალანეზე ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ და ჩვენ მას კიდევ შევხვდებით, როცა იგი კვლავაც იტყვის „თავის სიტყვას“.

ალექსანდრე მაკედონელს ინდის ხეობაში მხოლოდღა მდინარის დელტა დარჩენოდა დასაპყრობელი. დელტაში დიდი ქალაქი იდგა, პატალა, ამავე სახელწოდების სამეფოს სატახტო ქალაქი. პატალის რაჯამ, მიორისმა, ჯეროვნად შეაფასა, რა დღეც აყარა მის თანამოძმეებს ურჩობისთვის უცხოელმა დამპყრობელმა და თვითონ ეახლა ალექსანდრეს ალექსანდრია-მარგიანაში. ეახლა, დიდძალი საჩუქრები მიართვა, პირადი სიცოცხლეც და სამეფოც სრულ მორჩილებაში ჩააბარა. ალექსანდრემ მიორისიც დატოვა მისსავე ტახტზე, ხარკის გაღებით და მაკედონელთა უმაღლესი ხელისუფლების აღიარებით. აქვე მიორისმა ალექსანდრეს მისცა მისთვის საჭირო ყოველი ცნობა ინდის დელტის გარშემო. ინდის დელტა ნილოსის დელტაზე უდიდესიაო, — ირწმუნებოდა მიორისი — იგი აღუწერდა ალექსანდრეს ინდის შესართავისა და ოკეანის გასწვრივი ქვეყნების ბუნებრივ პირობებს, იქ მცხოვრები ხალხების ადათს, ზნეობასა და განწყობილებებს. ალექსანდრემ ყოველივე მოისმინა და მიორისი უკანვე, პალატაში გაგზავნა ბრძანებით — ყოველივე გაამზადე ჩემი ჯარებისა და ფლოტის მისაღებადო[29].

ალექსანდრე მაკედონელს უკვე შეეძლო საომარი კამპანიები ინდოეთში დასრულებულად ჩაეთვალა. ფენჯაბი და სინდეთი მთლიანად

მის ხელში იყო. ბოლოს და ბოლოს, ახლა მაინც უნდა დამსგავსებოდა „დაბრუნება“ დაბრუნებას. ამდენი ჯარიც უკვე აღარ სჭირდებოდა ალექსანდრეს. მისი მთავარი მისწრაფების საგანი ახლა მხოლოდ ოკეანესთან მისვლა და იქიდან სპარსეთისაკენ ზღვითა და ხმელეთით სვლა იყო. ამისთვის იმოღენა ჯარი საჭირო კი არა, ზედმეტი დამაბრკოლებელი ტვირთიც კი იქნებოდა. ზღვათა გასწვრივ მოძრაობის დროს, ხშირად უწყლო და უნაყოფო უდაბნოების გადალახვისას, ისედაც, ამოდენა ჯარის შენახვა და მოვლა-პატრონობა გაჭირდებოდა. ინდოეთიდან დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთ სატრაპიებშიც აქა-იქ არეულობანი დაწყებულა. ბაქტრაში, ბაქტრიის მთავარ ქალაქში, მაკედონურ გარნიზონს თვითონ მოუწყვია აჯანყება, ალექსანდრესგან დაყენებული უფროსი გადაუგდიათ და მის ნაცვლად ვილაც მეჯინიბე ათინოდორე დაუნიშნავთ, ათინოდორე კიდევ ვილაც ბიკონს ნადიმობისას სუფრაზე დაუკლავს, სამაგიეროდ ჯარისკაცებს ბიკონის წამებით სიკვდილი გადაუწყვეტიათ, მერე ისევ ხელი აუღიათ და მასთან ერთად, სამი ათასი ბერძენი და მაკედონელი ბაქტრიიდან დასავლეთით წასულან, სამშობლოში დასაბრუნებლად.[30] პაროპამისიდან, კიდევ, საჩივრები მოუვიდა ალექსანდრეს, მისგან დაყენებული სატრაპის, ტირიასპეს უკანონო მმართველობაზე. ალექსანდრემ ტირიასპე მოხსნა და მის ნაცვლად პაროპამისის სატრაპად ოქსიართი გაგზავნა. არიანაშიც, არიასპების ტომში, სპარსელ ორდანს თავი მეფედ გამოუცხადებია. ამიტომ ყველა ამ „არეულ ოლქში“ საჭირო იყო მაკედონური ჯარების უბრალო გამოჩენა და გავლა მაინც, „მაკედონური წესრიგის“ აღსადგენად და გასამტკიცებლად. ასეთი „გავლა“ კი სწორედ „დაბრუნებულ ჯარს“ უნდა დაჰკისრებოდა.

ერთი სიტყვით, ალექსანდრემ ალექსანდრია-მარგიანაში გადაწყვიტა თავისი ჯარების ერთი მესამედი ინდოეთიდან დასავლეთით გაებრუნებია. ისინი იყვნენ ფალანგები კრატეროსისა, ატალოსისა ანტიგენესი და მელეაგრესი, ნაწილი მშვილდოსნებისა, საომარი სამსახურისთვის უკვე უვარგისი ვეტერანები და ყველა სპილო. მთავარსარდლად მეფემ კრატეროსი უჩინა და უბრძანა გეზი აეღოთ არაბოზია-დრანგიანა-კარმანიის გავლით ბაბილონისკენ. გზადაგზა, ყველგან, დანგრეული „მაკედონური წესრიგი“ უნდა აღედგინათ, შერყეული უნდა განემტკიცებინათ, ადგილობრივი სატრაპებისათვის ბრძანება გადაეცათ, რათა ყველას ზღვის გასწვრივ მოლაშქრე მეფისთვის

სურსათი დროზე მიეწოდებინა, და ასე ევლოთ დასავლეთისკენ. კრატეროსმაც დასძრა „ჯარი დაბრუნებულთა“

თვითონ მეფე დელტისაკენ დაეშვა. იგი ასევე ფლოტს მიუძღოდა. სახმელეთო ჯარებს მდინარის მარჯვნივ ჰეფესტიონი მიუძღოდა, მარცხნივ — პითონი.

მესამე დღეს მოულოდნელი საშფოთარი ამბავი შემოაგებეს ალექსანდრეს. თურმე, პატალის მეფეს, მიორისს, იმის მაგივრად, რომ ალექსანდრესთვის მიცემული პირობა შეესრულებინა და მაკედონელებს ზარ-ზეიმით შეხვედროდა, ქალაქის მოსახლეობა აუყოლიებია და სადღაც უდაბნოში გადახვეწილა. ალექსანდრემ სვლა ააჩქარა. გზებზე სოფლები და დაბები დაცარიელებული ხვდებოდათ, ივნისის ბოლოს უკვე პატალაში იყვნენ. ქალაქი მკვდარი დახვდათ, მოსახლეობისგან და ქონებისგან სრულიად დაცლილი და გახვეწილი. ყველაზე სწრაფმორბენალი ცხენოსნები აფრინა მეფემ. ვისაც წაეწივნენ, მოიხელთეს და მოიყვანეს. ესენი კიდევ მეფემ დანარჩენ ხალხთან დაგზავნა და შეუთვალა — მობრუნდით, თქვენს კერას და მეურნეობას მიჰხედეთ, ისე იცხოვრეთ, როგორც ცხოვრობდით, არავინაც არ გერჩითო. მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლაც მობრუნდა.

პატალაში ალექსანდრე შეუდგა თავისი კიდევ ერთი გრანდიოზული განაზრახის აღსრულებას. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს სამი მდინარე — ინდი, ტიგროსი და ევფრატი — ერთ ზღვას თუ ოკეანეს ერთვოდა. ასე, რომ მას შესაძლებლად მიაჩნდა, ინდის დელტიდან, „დიდი ოკეანის“ გავლით, უწყვეტად ზღვის გზით, ევფრატის შესართავთან მისვლა და მისი აყოლებით ბაბილონში ასვლა. ეს იმ დროისათვის „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენა“ იყო. ალექსანდრეც პირველი უნდა ყოფილიყო, ვინც ამ გზაზე გაივლიდა, იგი პირველი და საძირკვლის დამდები უნდა გამხდარიყო კიდევ ერთი ახალი გზისა, რომელსაც უაღრესად ცხოველმყოფელი როლი უნდა შეესრულებინა აღმოსავლეთ-დასავლეთ ქვეყანათა მრავალმხრივი და მრავალსაუკუნოვან ურთიერთობის ისტორიაში. ამავე გზაზე, ინდის დელტიდან ნილოსის დელტამდე, ახალ-ახალ „ალექსანდრიათა“ და „ალექსანდრეპოლისთა“ დაარსებას აპირებდა მაკედონელი. სწორედ ამ ქალაქებს უნდა აღესრულებინათ „ცენტრთა“ და „შუამავალთა“ როლი მაშინ ცნობილ სამივე კონტინენტს შორის ნივთიერ და სულიერ ფასეულობათა „მი-მო-ტანის“ საკაცობრიო ისტორიაში.

და დაიწყო ალექსანდრე მაკედონელმა მისთვის ჩვეული სიცხოველით და სისწრაფით. ჰეფესტიონს ბრძანება მისცა პატალაში ახალი ციხესიმაგრე, გემთსაშენი და სრულსივრციანი ნავსადგური აეშენებინა. პატალას აღმოსავლეთით უწყლო და უდაბურ ადგილებში ალექსანდრემ ჯარის ნაწილი გაგზავნა ჭების ამოსათხრელად და სიცოცხლის დასაფუძნებლად.

ახალ აღმშენებლობათა სრულად გაშლისა და გაფართოების შემდგომ, ალექსანდრემ საჭიროდ ჩათვალა პატალადან ოკეანისკენ დაშვებულიყო და ყველაფერი თვისი თვალით მოეხილა და შეესწავლა დედამიწის ამ ნაკვეთზე. და გაემართა ალექსანდრე ფლოტით, ინდის მარჯვენა განტოტებით, ოკეანისკენ.

პირველი დღე ცურვა მშვიდობიანად მიდიოდა, მაგრამ მეორე დღეს, ოკეანიდან წამოსული მოქცევით, საშინელი გრიგალი შემოიჭრა მდინარეში. რამდენიმე ხომალდი დაეღუპათ, უფრო მეტი დაუზიანდათ. მაშინვე ნაპირს მიადგნენ გემების შესაკეთებლად და ზარალის ამოსავსებად. ალექსანდრემ მეომრები გაგზავნა, ადგილობრივ მცხოვრებთაგან ვისმეს მოსაყვანად — ვინც აქაურ გზასა და კვალს იცნობდა. მეომრებმაც რამდენიმე მეთევზე მოიყვანეს მეგზურებად და მომდევნო დილას ისევ განაგრძეს ცურვა. მდინარე თანდათან მაღლდებოდა და განიერდებოდა. ზღვის სუნთქვა მძლავრობდა, წყალი კვლავ მძვინვარებდა, მეზღვაურებს ნიჩბების ხმარება აღარ შეეძლოთ. ცურვა ძალზე სახიფათო გახდა. მაშინ მეგზურებმა მარჯვენა მხარეს ერთი არხი აჩვენეს და ხომალდებიც შიგ შეაცურეს და იქ, მყუდრო წყალში ჩაუშვეს ღუზები. მაგრამ წყალმა უკუქცევა დაიწყო, არხი მეჩეჩად იქცა და გემები შლამში ჩაეფლნენ. ამას არც ევროპელები ელოდნენ და არც ინდოელ მეგზურებს სცოდნოდათ წყლის ამნაირი „მუხანათობა". რამდენიმე საათი ასე იყვნენ გაოცებულნი და გაშეთებულნი. მერე ისევ დაიწყო მოქცევა, წყალი ადიდდა, ტალღები აიყარა, გემები აიტაცა, გააქანა და ნაპირებს შეანარცხა. ზოგი გემი გადაბრუნდა, ზოგი ერთმანეთს შეელეწა და ჩაიძირა. დიდის გაჭირვებით განაპირდნენ გადარჩენილნი. ალექსანდრემ ისევ ბრძანა ზარალის ამოვსება. მან უკვე ისწავლა „სიბრძნე" ზღვის მოქცევა-უკუქცევისა და მისი მიხედულობით წყალზე მოძრაობისა. მან, სანამ მისი ზღვაოსანნი დაზიანებულ ხომალდებს აკეთებდნენ, ორი საუკეთესო ხომალდი შეარჩია და სამხრეთით გაუშვა, მდინარის შესართავში არსებულ კუნძულ სკილუტასკენ. მეთევზე მეგზურები

არწმუნებდნენ ალექსანდრეს — სკილუტა ოკეანესთან ახლოა და ნაპირებიც მყუდრო აქვს გემების შესაფარებლადო. ალექსანდრეს გაგზავნილი გემები სკილუტას ეწვივნენ, იქაურობა დაათვალიერეს, მობრუნდნენ და მეფეს მოახსენეს: კუნძული მართლაც ზღვასთან ახლოა, მისი ნაპირებიც მყუდრო სანავსადგურია, სასმელი წყალი ზედ უხვად მოიპოვება. ალექსანდრე მაშინვე წარემართა ფლოტით, კუნძულს მიადგა, გემები დააბინავა, თვითონ კუნძულზე გადავიდა და დიდხანს უცქირა მღელვარე თვალით შორს, მდინარის შესართავსა და ზედ წამოზიდულ ოკეანის კაბადონს. გული აღარ დაუდგა, ფლოტი და ჯარი ლეონატოსს დაუტოვა, ოცდაათნიჩბიანი საუკეთესო ხომალდები აარჩია და ოკეანესთან შესახვედრად გასცურა. მდინარე ერთბაშად გაფართოვდა, ხუთი-ექვსი კილომეტრის სიგანივით გადაიშალა, მალე დასავლეთი ნაპირი სულ დაინთქა და ირგვლივ ზღვაური სამყაროს უსაზღვროებამ დაისადგურა.

ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთის, ანუ — როგორც მაშინ უწოდებდნენ — „დიდ ოკეანეში“ იდგა.

ხელმარცხნივ დაიხიეს, მდინარის მარცხენა შესართავისკენ; აქ მეორე კუნძულს მიადგნენ, გადავიდნენ და, ამ საოცარი ხილვის სამადლოდ, მსხვერპლი შესწირეს ალექსანდრეს „მამას“ — ამონს. ისევ გავიდა მეორე დღეს ზღვაზე ალექსანდრე, ისევ სკილუტაზე დაბრუნდა და ახლა, „ამონის მითითებით“, ბერძენ ღმერთებს შესწირა მსხვერპლი. მესამედ წავიდა იგი ზღვაზე, ამჯერად კიდევ უფრო თამამად, უფრო ღრმად, და როცა ხმელეთი უკვე თვალსამზირიდან სავსებით დაინთქა, როცა გარშემო, ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე წყლის სტიქიონისა და ზემოდან ცის გარდა აღარაფერი ჩანდა, ალექსანდრემ წყვილად ხარი დაკლა და ზღვაში ჩაუშვა ზღვათა მბრძანებელ პოსეიდონის სადიდებლად, მერე ოქროს ფიალით ზღვას ზედაშე ასხურა და ის ფიალა კიდევ ოქროს თასებთან ერთად ზღვაშივე ისროლა — დიოსკურებისა და მისი წინაპრის, აქილევსის დედის, ვერცხლისფეხება თეტიდას შესაწირავად. სწირავდა, ლოცულობდა და შესთხოვდა ყველას — პოსეიდონსაც, დიოსკურებსაც, თეტიდასაც — სამშვიდობოდ და სასიკეთოდ მიეღოთ მათ საგამგებლო ზღვათა წიაღში მისი გემები და მისი ხალხი მშვიდობიანად ეტარებინოთ ისინი ინდოეთიდან ბაბილონამდე[31].

მობრუნდა ოკეანიდან ალექსანდრე სკილუტაზე, ფლოტი გაიყოლია და ისევ პატალას მივიდა. აქ ჰეფესტიონს აკროპოლისის მშე-

ნებლობა უკვე დაესრულებინა და ნავსადგურს აშენებდა გამალებული.

ალექსანდრემ კიდევ რამდენჯერმე მოათვალიერა და გულდასმით მოჩხრიკა ინდის დელტისა და ზღვის შესაყარი, უფრო სრული დაკვირვებით გაიცნობიერა ამინდისა და უამინდობის, ქართა ძვრისა და ზღვის მოქცევა-უკუქცევის აქაური კანონზომიერებანი და ბოლოს მიადგა უმთავრესს — ზღვაზე გასვლის დროისა და საზღვაო ძალთა უფროსის — ნეარქოს-ადმირალის საკითხს.

მეფემ საზღვაო საქმეთა ყველაზე დიდი მცოდნე და უერთგულესი კაცი მოიხმო სათათბიროდ. ეს კაცი იყო ნეარქოსი, დაბადებით კრეტელი ბერძენი, მოქალაქე ამფიპოლისისა. — შენ უნდა მითხრა ვინ გამოდგება ევფრატისკენ მიმავალი ფლოტის მეთაურად, ვის ვანდოთ ეგზომ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეო, — ეკითხებოდა მეფე ერთგულ მეგობარსა და თანამებრძოლს. ნეარქოსმაც ხან ვინ დასახელა და ხან კიდევ ვინ, მაგრამ ალექსანდრემ ყველა დაიწუნა — ზოგი მერყეველად მიიჩნია, ზოგი ნაკლებ ერთგულად, ზოგი ნაკლებ მცოდნედ, სხვა ნაკლებ გაბედულად, სხვა კიდევ სამშობლოზე ზედმეტად მოწუწუნედ. როცა ყველა კანდიდატურა ასე დაწუნებულ იქნა, მაშინ უთხრა ნეარქოსმა ალექსანდრეს: „მეფეო, მე თვითონ ვარ მზად ვიკისრო საზღვაო ძალთა მეთაურობა და, ღმერთთა და კაცთა შემწეობით, სრული უკლებლობით მივიყვან მათ სპარსეთში, უკეთუ მაგ საზღვაო მგზავრობის აღსრულება ადამიანურ ძალებს არ აღემატება“. ალექსანდრემ ჯერ იუარა — არ შემიძლია შენისთანა ერთგული და ნამსახური კაცი ეგზომ დიდ ხიფათში ჩავაგდოო. მაგრამ ნეარქოსიც უნდა მიმხვდარიყო, რომ მეფე ეშმაკობდა — მას სწორედ ერთადერთი ნეარქოსი სურდა საზღვაო ლაშქრობის მეთაურად. ნეარქოსიც „მიეძალა“ და ალექსანდრეც „ძლივს დათანხმდა“, ხოლო მესაჭეთუხუცესობა ერგო ისევ ონესიკრიტოსს.

ზღვაზე გასვლა დაინიშნა ოქტომბრის ბოლოსათვის.

მანამდე კი სახმელეთო ძალებით თვითონ ალექსანდრე უნდა დაძრულიყო დასავლეთისკენ, გზადაგზა, ზღვის სანაპიროებზე, რომ ჭები ამოეთხარათ და სურსათი გაემარაგებინათ ზღვაზე მომავალთათვის.

ალექსანდრეს დაბრუნება

325 წლის აგვისტოს მიწურულს ალექსანდრე, 35000 მეომრის თანხლებით პატალადან გამოვიდა და დასავლეთით, გედროზიისაკენ წარემართა. მან სწრაფად გაიარა ინდოეთ-გედროზიის გამყოფი მთები და მეცხრე დღეს შევიდა მდინარე არბიოსის (ახლ. პორალი) ხეობაში. მდინარის მარცხენა მხარეზე არბიტების ტომი ცხოვრობდა, მარჯვენა მხარეზე — ორიტებისა, ალექსანდრემ ჯარები კოლონებად დაჰყო, — ვინიცობაა, ომი დასჭირვებოდა, ორივე ტომი ერთდროულად უნდა გაენადგურებინა. მეწინავე კოლონას თვითონ გაუძღვა მეფე, დანარჩენებს კი სარდლებად უჩინა ჰეფესტიონი, ლეონატოსი და პტოლემაიოსი.

არბიტები მაკედონელთა გამოჩენისთანავე დედაბუდიანად აიყარნენ და უდაბნოებში გაიხიზნენ. ორიტები კი საომრად მოემზადნენ.

მეფეს მარცხენა მხარე ეჭირა — ჭები უნდა ამოეთხარა ზღვით მომავალი ნეარქოსისთვის. ასედაც აღასრულა — ჭები გაამზადა და ფიცხლავ ორიტებს შემოუტია. წინ კავალერია მიუშვა, ძალზე გრძელ ფრონტზე გაშლილი ილებით, უკან ფალანგა მიაყოლა. სოფელს სოფელზე იღებდნენ მაკედონელნი. ზოგან წინააღმდეგობაც ხვდებოდათ, — ჩასაფრებული ორიტები მოწამლულ ისარს უშენდნენ მტერს. პტოლემაიოსი დაიჭრა ასეთი ისრით. ძლივს დაიხსნეს ლაგიდი რაღაც ბალახის წამლებით. მაკედონელები დაუნდობლად სპობდნენ ყველას, ვინც წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებოდა. ორიტებიც მიხვდნენ, რომ „მსოფლიოს მძლეველებთან“ ვერაფერს გახდებოდნენ და ბედს შეურიგდნენ.

ალექსანდრეს ორიტთა ერთი დიდი სოფელი, სახელად სამბაკია, მისი წყაროს წყლები და ადგილმდებარეობა ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა ერთი „ალექსანდრია“ აქაც დაეარსებინა. ახალი ქალაქის მშენებლობა მან ისევ ჰეფესტიონს მიანდო, თვითონ კი გაერთიანებული ორიტებისა და გედროზიელების წინააღმდეგ საომრად წა-

ვიდა მთებში. მის მიახლოებაზე მოპირდაპირენი დაფრთხნენ და დაიფანტნენ. ორიტების ბელადები ალექსანდრეს ეახლნენ და ამერიდან სრული მორჩილება, ქვეშევრდომობა, მოხარკეობა და „მოჩანჩალეობა“ გამოუცხადეს.

ალექსანდრემ ორიტთა, არბიტთა და გედროზთა ტერიტორიები ერთ სატრაპიად გამოაცხადა, სატრაპად აპაოლოფანოსი დანიშნა და პირველ დავალებად ეს მისცა: გედროზიის სიღრმეში მას სახორცე საქონელი და სხვა სურსათი უნდა გაემარაგებინა იქ გაელილი ჯარის საკვებად. აქვე ლეონატოსიც დატოვა მეფემ მისი ჯარით, და უბრძანა — მანამ დარჩენილიყო იგი აქ, სანამ ნეარქოსი არ მოადგებოდა ფლოტით ნაპირებს, მანამ კი მათთვის ყველაფერი უხვად უნდა გაემზადებინა; ახალი ალექსანდრიის დასახლებისა და აშენების დაჩქარებისთვისაც უნდა ეზრუნა ლეონატოს.

ორიტების ქვეყნიდან გედროზიისკენ დაიძრა ალექსანდრე. გზა უკვე უღაბნოზე მიდიოდა. მთელი დღეები ცხელ ქვიშაზე მიაბიჯებდნენ, მძვინვარე მზის ქვეშ. რაც უფრო ზღვას შორდებოდნენ და ქვეყნის სიღრმეში შედიოდნენ, სიცხე უარესად მძლავრდებოდა. სიარული შეუძლებელი ხდებოდა. ისევ ღამით მილასლასებდნენ. დღისით ცხელ მიწაზე დაეყრებოდნენ. ზღვის პირს მაინც არ ივიწყებდა ალექსანდრე: ყამ-ყამად მალემსრბოლ მხედრებს აგზავნიდა ჭების ამოსათხრელად, ნეარქოსის ზღვაოსანთა დასარწყულებლად. ამ მხედრებმა, — რომელთაც თოანტი მეთაურობდა — ამბავი მოიტანეს — ზღვის პირზე ზღვის ცხოველთა ძვლებით აკინძული ქოხმახები ვნახეთო, შიგ ჩია, სისხლდაშრეტილი ადამიანები ცხოვრობენო, მარტო თევზით იკვებებიანო; იხთიოფაგები (თევზის მჭამელნი) ყოფილანო, — დაასკვნეს ბერძნებმა და მაკედონელებმა და გზა განაგრძეს. ძალიან ჩქარობდნენ გედროზიის შუაგულში მისვლას, ვინათგან უკვე შიმშილი მკვიდრდებოდა ბანაკში. როგორც იქნა, მიიტანეს. ალექსანდრეს ბრძანებით, აქ დაგროვილი ხორცი და სხვა საჭმელ-სასმელი დიდი მომჭირნეობით გაინაწილეს. დიდი ნაწილი მაინც, მეფის მკაცრი განკარგულებით, აქლემებზე აჰკიდეს, მეფის ბეჭდებით დაბეჭდეს, შეიარაღებული მცველები მიუჩინეს და ნეარქოსისთვის ისევ ზღვაზე გაგზავნეს. მაგრამ როგორც კი ალექსანდრე და მისი ჯარი თვალს მიეფარნენ, მცველებმა საპალნეებს მეფის ბეჭდები თვითონ აჰყარეს და საჭმელ-სასმელიც თვითონ დაიტაცეს. ალექსანდრემ ეს სულწასული მცველები დაუსჯელი დატოვა, ახალი სურსათი

და სახორცე საქონელი შეაგროვა და ისევ გაგზავნა ზღვისკენ. უფრო ძლიერი და სანდო რაზმებით.

გზა განაგრძეს ჯარებმა დასავლეთისკენ. უდაბნოური ხვატი და პაპანაქება სულის ამოხდენამდე აუტანელი ხდებოდა. მთელი დღეები მიდიოდნენ და წყალი არსად ჩანდა. ჯარი შიმშილმა, წყურვილმა და უწესრიგობამ მოიცვა. იხოცებოდა ცხენი, აქლემი, ჯორი. ადამიანები ხორცს გლეჯდნენ უმად. დამპალ ლეშსაც აღარ ერიდებოდნენ. ლუკმა-მძორისთვის ერთიმეორეს მოსაკლავად აღარ ინდობდნენ. ავადმყოფებით დატვირთული საზიდარებიდან ცხენებს ხსნიდნენ, კლავდნენ, ჭამდნენ და სნეულ ამხანაგებს ღვთისანაბარად ყრიდნენ უდაბნოში. სასიკვდილოდ იყო განწირული, ვინც კი მთავარ კოლონას ჩამორჩებოდა, მისთვის არავის ეცალა, დახმარების ხელის გაწვდენა, არც არავის შეეძლო, არც არავის სურდა. თუკი სადმე ჭას წააწყდებოდნენ, სვამდნენ მაშინვე, ცხელ შიგნეულზე და ბევრი ახლა სმით იხოცებოდა. ერთ ღამეს, სადღაც სიცხით ჩამშრალი მდინარის კალაპოტში ათევდნენ ღამეს, კარვებში შემძვრალნი. უეცრად მოიკრა მდინარე და გაიტაცა მძინარე ბანაკი. ბევრი დაიღუპა კაცი და საქონელი; წყალმა გაიტაცა კარვები, საჭურველი, ლუკმის მარაგი. სტიქიას ძლივს გაასწრო თვითონ მეფემ, კარავი და ნაწილი საჭურველისა მაინც წაართვა წყალმა.

ისევ ვიდოდნენ განაწამებნი, და ერთხელ უდაბნოში ისეთი ქარბორბალა ამოვარდა, სილის კორიანტელმა სულ დააბნელა და ამოავსო ცისა და დედამიწის შესაყარი. ადგილობრივმა მეგზურებმაც გზაკვალი ვეღარ გაარკვიეს და ყველაზე მამაცი ჯარისკაცებიც სულით დაეცნენ და აქვითინდნენ მწარე, დიაცური ცრემლებით. მაშინ ალექსანდრემ შემოიყარა უძლიერეს მხედართა რაზმი, გაამხნევა და განამტკიცა და გაიყოლია გზის საძებრად, სამხრეთით, ზღვისკენ. უმრავლესობამ მაინც ვერ გაუძლო, ცხენები დაუვარდათ, თვითონაც დავარდნენ და დაირეცნენ, მხოლოდ ხუთმა შეძლო ბოლომდე მიჰყოლოდა ამ „რკინის მეფეს“. და მართლაც მიაღწიეს ზღვას. ცხენებიდან გადმოეშვნენ, მახვილები გაიძრეს და მიწის თხრა იწყეს, — სასმელ წყალს ეძებდნენ, არ მოეშვნენ და... იხეთქა წყალმა! ცხენს მოახტა ალექსანდრე და უკუიქცა ჯარის საძებრად. მიაგნო, გამოუძღვა და მოიყვანა წყალთან განაწამები ჯარისკაცები.

ისევ დასძრა ალექსანდრემ მისგან დასაპარებული და მისგანვე მკვდრეთით აღმდგარი ჯარები წინ, ქვეყნის სიღრმეში. შვიდი დღე

კიდევ იარეს და, როგორც იქნა, მივიდნენ გედროზიის მშვენიერ და ნაყოფიერ მთავარ ქალაქში — პურაში.

60 დღე გაგრძელდა ეს საშინელი უდაბნოური ოდისეა. ამ ცხრა წლის უმძიმეს ლაშქრობათაგან ასეთი გასაჭირი ჯერ არ დასდგომიათ, პატალადან გამოსული ჯარიდან მეოთხედი ძლივს გადარჩენოდა დაღუპვას და გადარჩენილებიც აღარ ჰგავდნენ ადამიანებს — გამხდარნი, ქანცგაწყვეტილნი, დაკონკილნი, სულით გატეხილნი, სასოწარკვეთილნი. პურაში შეჩერდა ალექსანდრე, ჯარის დასასვენებლად, სულით და სხეულით ასაღორძინებლად და გასამტკიცებლად. ორიტიდა-გედროზიის სატრაპი, რომელმაც უდაბნოში ტანჯვით მოარული ჯარს სურსათი ვერ მიაწოდა, ალექსანდრემ მოხსნა და მის ნაცვლად სატრაპად დასვა თოანტი.

გედროზიიდან კარმანიაში გადავიდა ალექსანდრე. აქ ადრე წამოსული კრატეროსი და მისი ჯარი უნდა დახვედროდა მას. აქვე წინასწარ, კიდევ, ცენტრალური აზიის რამდენიმე სატრაპი ჰყავდა ალექსანდრეს დაბარებული.

325 წლის დეკემბერი დამდგარიყო. ნეარქოსისა და მისი ფლოტისა არაფერი იცოდა ალექსანდრემ, სიმშვიდე დაეკარგა, იმედი დაელია, უსაზღვრო წუხილმა და ურვამ შეიპყრო. და სწორედ დროზე აცნობა მას აქაურმა, კარმანელმა „ჰიპარქოსმა“.[1] ხუთი დღის წინათ ნეარქოსმა სავსებით მშვიდობიანად და უკლებელად მოაყენა ფლოტი მდინარე ანამისის შესართავში, ქალაქ ჰარმოზიის ახლოსო, და როგორც კი აქ შენი ყოფნა შეიტყო, ფლოტის დაბანაკებას შეუდგა, და ალბათ, სადაც არის თვითონაც პირადად გეახლებაო.

უსაზღვრო სიხარულმა შეცვალა მეფის წუხილი. იგი ბედნიერი იყო იმ წუთს. მაგრამ დღე დღეს გადაება, ღამე ღამეს და ნეარქოსი კი არ ჩანდა. მძებნელს მძებნელზე აგზავნიდა მეფე, მაგრამ ზოგი უკან აღარ ბრუნდებოდა, ხოლო ვინც ბრუნდებოდა, იმათ ნეარქოსი და მისი ფლოტი თვალითაც ვერ უხილავთ, ყურითაც ვერ უსმენიათ. გაცოფებულმა ალექსანდრემ ის „ჰიპარქოსი“ ბორკილებით შეკრა, ტყუილის თქმისთვის და ეგზომ საშფოთარი საქმის გამასხრებისათვის.

არა და, ჰიპარქოსმა სრული სიმართლე უთხრა მეფეს: ნეარქოსი მართლა მოადგა ფლოტით კარმანიის ნაპირს; მართალია, მას გზაზე დიდი გაჭირვებანი ენახა, მაგრამ მაინც ინდოეთიდან წამოყვანილი ძალები — 100 გემი, 12000 ჯარისკაცი და 2000 მეზღვაური — მხო-

ლოდ მცირე დანაკლისით მოიყვანა კარმანიაში. აქ, ნეარქოსთან შემთხვევით მოხვდა კაცი, რომელმაც აცნობა მას ალექსანდრეს ყოფნა ამავე ქვეყანაში. იგივე გაუმეორა „ჰიპარქოსმა", რომელმაც ალექსანდრესაც შეატყობინა სანატრელი ამბავი ნეარქოსის გამოჩენისა.

ნეარქოსმა ფლოტი დროზე დააბინავა და თავის თანაშემწესთან, არქიოსთან ერთად და კიდევ ხუთი კაცის თანხლებით, დაადგა კარმანიის სიღრმეში მიმავალ გზას. მათ გზაზე კიდევაც შეხვდნენ ალექსანდრესაგან გამოგზავნილი მძებნელნი, ერთმანეთი ვერ იცნეს და ერთმანეთს შეშორდნენ. ნეარქოსისა და მისი თანამოლაშქრეების ცნობა მართლაც ძალზე ძნელი იყო. ზღვაზე თმა-წვერი უზომოდ გაზრდოდათ და გახუნებოდათ, დამწვარი და დანაცრული სახეც აღარ ეცნობოდათ. მერე, არქიოსი მოვიდა აზრზე და უთხრა ნეარქოსს — ეგ ცხენოსნები იქნებ ჩვენ გვეძებენ და ვეღარ გვცნობენ, ვინათგან ჩვენ აკი ისეთები აღარა ვართ, ინდოეთში რომ ვიყავით, ამიტომ, თუ კიდევ შეგვხვდებიან, ვუთხრათ ვინცა ვართო. მართლაც, როცა მძებნელნი ისევ გადაეყარნენ, ჰკითხეს მათ, ვის ეძებთო, — ნეარქოსს და მის გემებსო, — იყო პასუხი. „მე ვარ ის, ვისაც თქვენ ეძებთ და წაგვიყვანეთ მეფესთან!" — შესძახა ნეარქოსმა.

ასე მოიყარეს თავი, ბოლოს და ბოლოს, მეფემ და მისმა ადმირალმა. ალექსანდრემ ძლივს იცნო ნეარქოსი, ფლოტი მაინც დაღუპულად იგულისხმა და უთხრა მას ხანგრძლივი ქვითინის შემდეგ: შენ და არქიოსს ცოცხლებად რომ გხედავთ, მიმსუბუქდება ეგ უდიდესი დანაკლისი. ახლა კი მიამბე, როგორ დაიღუპა ჩემი ფლოტი და ჩემი ჯარი? ზღაპრული სიზმარივით ჩაესმის მეფეს ნეარქოსის პასუხი: შენ ორივე გყავს, მეფეო, ჯარიც და ფლოტიც, და ჩვენ მოვედით, რათა გაუწყოთ, როგორ გადარჩა იგი და როგორ მოვაღწიეთ თქვენამდე, და სხვა მისთანანი (რაიც აღუწერია თვითონ ნეარქოსს თავის ჩანაწერებში). უსაზღვრო იყო ალექსანდრეს სიხარული: იცინოდა ტიროდა, ნეარქოსს ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ზევსსა და ამონს იფიცებდა, ეს დღე უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე მთელი აზიის დაუფლებაო.

ამასობაში კრატეროსმაც მოატანა თავისი ჯარით, მხედრობითა და სპილოებით, კარმანიაში. მას წარმატებით და უზარალოდ გადმოელახა არახოზია და დრანგიანა. აქვე კარმანიაში ალექსანდრეს ეახლნენ სარდლები, რომლებიც მან ხუთი წლის წინათ დატოვა მიდიაში — კლეანდროსი, ჰერაკონტოსი, აგათონი და სიტალკ თრაკიელი. მოვიდ-

ნენ და 5000 ქვეითი და 1000 მხედარი მოართვეს მეფეს. მოვიდნენ. აგრეთვე, არეიისა და დრანგიანის სატრაპი სტასანორი და პართიის სატრაპის, ფრატაფერნის ძე ფარასმანი. ამათ მორეკეს მრავალი აქლემი, ცხენების რემა და ხარების ნახირი.

მალე, — ვითარცა სჩვევიათ ცოცხალთ — მკვდრები დავიწყებას მისცეს, ზარალი და ჯავრი გაიქარვეს და შეუდგნენ ზეიმს, ასპარეზობას, ზორვას, ნადიმს, ღრეობას, თავაწყვეტილ და თავდავიწყებულ დიონისიას. უხვი ჯილდოები დაარიგა. ალექსანდრემ ნეარქოსს თავი გვირგვინით შეუმკო; პევკესტა, — რომელმაც მეფე მალებთან ბრძოლისას აშკარა სიკვდილისაგან გადაარჩინა — მერვე მცველად აიყვანა ალექსანდრემ.

აქვე მან განარიგა ახალი სალაშქრო გზები ჯარისა და ფლოტისა. მომავალ შესაკრებ ადგილად სუზა გამოაცხადა. ფლოტს სპარსეთის ყურეში ცურვა უნდა განეგრძო და მდინარე პასიტიგრადით სუზასკენ წასულიყო. სახმელეთო ჯარების ერთი ნაწილი ჰეფესტიონს უნდა წაეყვანა, ზღვის სანაპიროებით ევლო და ისე მისულიყო სუზაში; მეორე ნაწილით — მაკედონური მხედრობით, ფაროსნებით და მშვილდოსნებით — თვითონ ალექსანდრე მეორე გზით გასწევდა სუზისაკენ, — უფრო ჩრდილოეთის, პერსეპოლისისა და პასარგადის გზით.

ახალი სამოძრაო მარშრუტები ასე განარიგა ალექსანდრე მაკედონელმა, მაგრამ მთავარი საზრუნავი მაინც სულ სხვა რამ იყო „მსოფლიო ხელმწიფისა". იგი ერთხელ კიდევ უნდა დარწმუნებულიყო, რომ მსოფლიო სახელმწიფოს მოპოვებაზე გაცილებით უფრო ძნელი მისი შენარჩუნება ყოფილა. ალექსანდრემ თვითონ იცოდა (და ეს სწორედ მის ღრმა აზროვნებაზე მეტყველებს), რომ მარტო იარაღი არ შეიძლება სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცისა და სულიერ-სხეულებრივი მთლიანობის საძირკვლად იქცეს. მთავარი ქვაკუთხედი სახელმწიფოთა (ბით უფრო, მრავალხალხოვან მსოფლიო სახელმწიფოთა) მკვრივი ერთიანობისა მაინც ადამიანთა შორის (და ხალხთა შორის) სამეურნეო, ეკონომიური, ზნეობრივი, კულტურული და ფსიქოლოგიური გამთლიანებაა. ეს თვითონ ალექსანდრეს „დოქტრინაც" იყო, მაგრამ მისი განხორციელება — უკეთუ საერთოდ ოდესმე ამ იდეას განხორციელება ეწერა — უაღრესად ხანგრძლივ დროს, ალბათ, მთელ თაობებს მოითხოვდა.

ხოლო, ახლა საკმარისი გახდა, ალექსანდრე სამი-ოთხი წლით თვალს მიფარებოდა და მისგან ნაწყალობევმა და მისგან აღზევებულ-

მა სატრაპებმა — მაკედონელებმა, ბერძნებმა, სპარსელებმა თუ ინდოელებმა — ცალკე ხელმწიფობა და ცალკე „ალექსანდრეობა“ მოინდომეს.

მაშ, ალექსანდრეს „ერთიან სახელმწიფოში“ მისსავე სიცოცხლეში თავს იჩენენ ცალკე „ერთეულ სახელმწიფოთა“ გამოყოფის ტენდენციები.

ალექსანდრესაც ისლა დარჩენოდა, ისევ მახვილისათვის მიემართა, მას სისასტიკე საერთოდ არ აკლდა. ახლა კი უსასტიკესობა იყო საჭირო და ესეც ჭარბად შეეძლო საერთოდ ზომიერებადარღვეულ მეფეს.

ჯერ, თვითონ კარმანიაში, აქაური სატრაპი, ასპატი, იმისთვის, რომ მან ჯარის მომარაგება სურსათით თავის დროზე ვერ უზრუნველყო, ალექსანდრემ ჯალათებს მიუგდო საწამებლად და სასიკვდილოდ. ასპატის ნაცვლად მეფემ კარმანიის სატრაპად ჯერ სიბირტიოსი, მერე ტლეპოლემოსი დანიშნა. მერე, არახოზიაში გამოვლისას კრატეროსმა შეიპყრო არეულობის მეთაური, სპარსი ორდანი და მეფეს მიჰგვარა კარმანიაში. მეფემ ორდანიც მაშინვე მისცა სიკვდილს.

ინდოეთიდანაც ცუდი ამბები დაეწია მეფეს კარმანიაში. „სატრაპია ინდოეთის“ მმართველი ფილიპე მოუკლავთ მის ქვეშევრდომ მოქირავნეებს, თუმცა მკვლელები კიდევ მოკლულის მცველებს დაუხოცია. აბისარიც მომკვდარა და ქაშმირის რაჯობისთვის ამტყდარა დიდი ცილობა. სატრაპია ინდოეთის მმართველობა ალექსანდრემ დროებით მიანდო ტაქსილეს და ევმენეს. აბისარის ტახტზე კი მისი შვილის აყვანა ბრძანა მაკედონელმა.

მიდიიდან რომ სტრატეგოსები ეახლნენ მეფეს, გამოირკვა, რომ მათგან სამი — კლეანდროსი, ჰერაკონტოსი და სიტალკ თრაკიელი — თურმე მიდიაში უაღრესად თვითნებურსა და თავგასულ ცხოვრებას ეწეოდნენ — ხალხს ავიწროებდნენ, არბევდნენ და აბუჩად იგდებდნენ, ტაძრებსა და აკლდამებს ტეხდნენ და ძარცვავდნენ. ალექსანდრემ სასამართლო გამართა. კიდევ ექვსასი მეომარი აღმოჩნდა მათი სტრატეგოსების თანამძარცველი. მხოლოდ ჰერაკონტოსმა მოახერხა თავის გამართლება; დანარჩენები — კლეანდროსი, სიტალკი და ის ექვსასი მეომარი იქვე ჩაახოცვინა მეფემ. დავიწყებული იქნა ისიც, რომ პარმენიონის მკვლელობაში ალექსანდრეს დიდი სამსახური გაუწიეს სწორედ სიტალკმა და კლეანდროსმა.

მეფემ სასტიკი ბრძანება გაუგზავნა ყველა თავის სატრაპს — დაუყოვნებლივ დაეშალათ ყოველი დაქირავებული ჯარი, რომელიც პირადად მეფის ბრძანებით არ იყო შეყრილი[2].

ალექსანდრემ კარმანია დატოვა და სპარსეთს მივიდა. მისგან დანიშნული აქაური სატრაპი, ფრასაორტი, გარდაცვლილიყო. სატრაპის ტახტი, — ისე რომ ინდოეთში მყოფ ალექსანდრეს ამის შესახებ არაფერიც არ შეატყობინეს — თვითნებურად დაუჭერია ერთ სპარსელ წარჩინებულს, ორქსინეს. პირველი, რამაც სპარსეთში, პასარგადში მისვლისას ალექსანდრეს გულისწყრომა გამოიწვია, იყო შებილწვა სახელოვანი კიროს უფროსის საფლავისა. ადრე, ხუთი წლის წინათ, პასარგადში ყოფნისას, ალექსანდრემ ხელახლა მოაწყო კირორსის აკლდამა, ქვის ნაგებობა გაახსნევინა, შიგნით აკლდამა და კუბო გააწმენდინა და მოახატვინა, ხელახლა დაახურვინა და კვლავ აღამართვინა ფილა, ეგზომ მრავლისმეტყველი წარწერით: „ადამიანო, ვინც არ უნდა იყო შენ და საიდანაც არ უნდა იყო მოსული — და რომ მოხვალ, მე ამაში დარწმუნებული ვარ — იცოდე, მე ვარ კიროსი, სპარსთა მბრძანებლობის დამფუძნებელი. და ნუ შეგშურდება შენ ეს ერთი პეშვი მიწა, რომელიც ახლა ჩემს სხეულს ფარავს“. სპარსელ მოგვებსაც უბრძანა მაშინ ალექსანდრემ, ისევ ძველებურად ელოცათ, მსხვერპლი ეწირათ და პატივი ეცათ სპარსთა უდიდესი წინაპრისათვის. ახლა კი კიროსის სამარხი დაქცეული, გაძარცული და შეგინებული იყო. თაღი და კარები დაელეწათ, კუბოს სახურავი მოეგლიჯათ, ცხედრის ნაშთები ამოეღოთ და მტვერში გადაეყარათ. ყოველი ძვირფასი ნივთი და სამკაული გაეტაცებინათ. ალექსანდრემ უბრძანა არისტობულეს, ხელახლა ჩაესვენებინა ნეშტი კუბოში, სხვაც ყველაფერი თავის ადგილზე დაებრუნებინა, აღედგინა და სამეფო ბეჭდით დაებეჭდა მისი უღირსი თანამემამულეებისგან ეგზომ მკრეხელურად შეგინებული დიდი წინაპრის საძვალე. თვითონ საკუთარი ძვირფასი ლაბადა მოიხსნა ალექსანდრემ და კიროსის კუბოს ქვეშ დაუფინა, ზემოდან კი ოქროს გვირგვინი დაუსვენა. მას უკან დამნაშავეები მოიკითხა ალექსანდრემ. არავინ გამოეხმაურა. აკლდამის მოდარაჯე მოგვები შეიპყრო, აწამა, მაგრამ მაინც ვერ შეიტყო, რადგან მოგვებსაც არ სცოდნოდათ, ვისი ხელით მოხდა ეს მკრეხელობა. ალექსანდრეს ისღა დარჩენოდა, მთელი რისხვა გადაეტანა სატრაპზე, რომელიც მას პერსეპოლისში ელოდებოდა[3].

პერსეპოლისშიც ჩავიდა ალექსანდრე. შემოეგება ორქსინე; მაგრამ შემოაგებეს საჩივრებიც ორქსინეზე. თურმე გასაოცარი თავაშვებულობით და თვითნებობით განაგებდა თვითნებურად აღზევებული სატრაპი სპარსეთის სატრაპიას. ანგარება, გამომძალველობა, ტაძრებისა და სამეფო აკლდამების ძარცვა — ყველაფერი გამოძიებით დაუდასტურდა ორქსინეს. მეფის ბრძანებით იგი ჩამოახრჩვეს.[4] მის ნაცვლად, სპარსეთის სატრაპად ალექსანდრემ დასვა მალებთან ბრძოლის გმირი პევკესტა, რომელსაც მაკედონელ ჰეტერთა შორის ყველაზე უკეთ ეხერხებოდა სპარსული ყაიდით ცხოვრება. პევკესტა მაკედონელთაგან ერთადერთი იყო, ვინც სპარსული ტანსაცმელი ჩაიცვა, ყველაფერი წარმატებით აითვისა სპარსელებისა — ენა, ზნე-ჩვეა, მიხრა-მოხრა. ამიტომაც ფრიად შეიყვარეს იგი სპარსელებმა[5] (და ალექსანდრესაც ხომ ეს უნდოდა.

პერსეპოლისში ალექსანდრეს გამოეცხადა მიდიის სატრაპი, ატროპატი, და თან მოიყვანა ბორკილდადებული მიდიელი დიდკაცი — ბარიაქსი, რომელსაც თავი მიდიელად და სპარსელთა მეფედ გამოუცხადებია. ალექსანდრემ ბარიაქსიც მაშინვე მისცა სიკვდილს.

პერსეპოლისი დატოვა ალექსანდრემ, მისთვის ნაცნობი „სპარსეთის კარებიც“ გაიარა და 324 წლის თებერვალში სუზას მივიდა. მთელს სახელმწიფოში გავრცელებული იყო აზრი, რომ ალექსანდრე მეფეს მის სატრაპებზე მეტად ხალხი „უყვარს“, ხალხი „ეცოდება“, სატრაპთაგან შევიწროებულ ხალხს „ესარჩლება“ და ხალხის მჩაგვრელ სატრაპებს სასიკვდილოდ არ ინდობს. ამიტომ თამამად მიდიოდნენ „დემოკრატ მეფესთან“ საჩივრებით მისი „საყვარელი ხალხის“ წარმომადგენელნი. სუზაშიც უხვად დახვდა საჩივრები ალექსანდრეს. ამ საჩივართა განხილვამ დაარწმუნა მეფე, სიკვდილით დაესაჯა სუზის მმართველი აბულითი და მისი ძე ოქსიართი, პარეტაკენების სატრაპი — და დასაჯა კიდეც.

კარმანიაში რომ სტრატეგოსმა ჰერაკონტოსმა თავი იმართლა და სიკვდილისგან მაშინ თავი დაიხსნა, ახლა აქ მის შესახებ ალექსანდრეს ახალი საჩივარი შეაგებეს. თურმე ჰერაკონტოსს სუზაში ტაძარი გაუძარცვავს. ალექსანდრემ მაშინვე მოაკვლევინა ჰერაკონტოსი.

სუზაში, დათქმისამებრ მოვიდნენ ჰეფესტიონი სახმელეთო ჯარებით და ნეარქოსი სამხედრო ფლოტით. ახლა ყველა სუზაში იყო — მეფის მეგობრებიც, სარდლებიც, ჯარისკაცებიც, მეზღვაურებიც, მოწვეულებიც — მოწვეულნი, ზოგი სასიკვდილოდ, ზოგი სა-

ქორწილოდ... დიახ, მარტო სასიკვდილოდ კი არა, არამედ სალხინოდ და საქორწილოდაც.

სუზაში ყველაფერზე საკვირველი, მანამდე გაუგონარი და თვალთუხილავი სწორედ ქორწილი იყო. „მსოფლიო ქორწილი", რომელსაც „მსოფლიო მეფე" იხდიდა. იმ დღეს 10000 ევროპელი ამდენივე აზიელ ქალზე ქორწინდებოდა. ასეთი იყო ნება ალექსანდრე მაკედონელისა, რომელსაც სურდა მსოფლიოსთვის სიმბოლურად ეჩვენებინა ევროპისა და აზიის ხალხთა სამუდამო შეერთება, დამოყვრება და დანათესავება.

„მსოფლიო ქორწინების" მთავარი წყვილი თვითონ ალექსანდრე და მისი ახლად დანიშნული ქალი იყო. იგი მეორე ქორწინებით (როქსანა სოგდიანელის შემდეგ) ცოლად ირთავდა სპარსეთის მეფის, დარიოს III-ის ასულს — სტატირას. სპარსელ ქალებს ირთავდნენ ალექსანდრეს მეგობრებიც: ჰეფესტიონი — ბარსინას, დარიოსის უმცროს ასულს, სტატირას უმცროს დას; კრატეროსი — ამასტრიდას, ოქსიართის ასულს; პერდიკა — მიდიის სატრაპის, ატროპატის ასულს; პტოლემაიოსი — არტაკამას, არტაბაზის ასულს; ევმენე — არტონიდას, არტაბაზის მეორე ასულს; ნეარქოსი — მენტორ როდოსელის ასულს; სელევკოსი — სპიტამენ სოგდიანელის ასულს. სულ მეფის ოთხმოცი „ჰეტერი" ქორწინდებოდა აზიელ ქალებზე იმ დღეს.

შუაზე მეფის უზარმაზარი, ძვირფასქსოვილიანი კარავი იდგა. იგი ეყრდნობოდა ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით მოოქვილ ორმოცდაათ მაღალ სვეტს. შიგნით კარავი მოგებული იყო უძვირფასესი ხალიჩებით და ხალებით. კარვისა და მასში გადაშლილი საქორწინო სუფრის სიგრძე ათას ნაბიჯს აღწევდა. ერთ მხარეზე სასიძოებისთვის ასი ვერცხლისფეხებიანი დივანი გადაებათ ერთმანეთისთვის. ხოლო შუაზე მეფის დივანი იყო ოქროისა. სამეფო საყვირებმა საქორწინო ნადიმის დაწყება ამცნეს. აქეთ-იქით გაშლილ სუფრებზე სტუმრები ჩამორიგდნენ. საყვირებმა ხელახალი გრიალით ამცნეს, რომ მეფე საღვთო ზედაშეს აპკურებდა. ყველამ მიბაძა მეფეს — ყველამ ზედაშე აპკურა მის წინ დადგმული ოქროს თასით (ეს თასებიც მეფისგან საჩუქრად ეძღვნებოდა ყველას). მესამე საყვირზე საპატარძლოები შემოვიდნენ. სპარსული წესით ჩადრ-დაბურვილნი, და თავიანთ საქმროებს მიუსხდნენ.

„მსოფლიო ქორწილი" და ნადიმ-ღრეობა ერთი კვირა გაგრძელდა. მოდიოდნენ და საქორწინო საჩუქრებს მოართმევდნენ აზიისა და

ევროპის სატრაპიების, ოლქების, ქალაქების წარმომადგენელნი ელჩები, კერძო სტუმრები. 15000 ტალანტად ღირებული მარტო ოქროს გვირგვინები შემოვიდა საჩუქრად. ალექსანდრეც უხვად გასცემდა. 10000 ოქროს თასი დაარიგა. ყოველი საპატარძლო თვითონ გაამზითვა უმდიდრესი მზითევით. ყველა სასიძო უხვი საჩუქრებით აავსო. მეფემ გამოაცხადა ვალში ჩავარდნილ მექორწილეთა ვალების გადახდა და იქვე გადაიხადა კიდეც, სულ — 20000 ტალანტი. მეფემ თავის ხელით ოქროს გვირგვინები დაადგა თავზე — პევკესტას, ლეონატოსს, ნეარქოსს, ონესიკრიტოსს, ჰეფესტიონს, ლისიმახოსს. არისტონს, პერდიკას, პტოლემაიოსს და პითონს. ბოლო აღარ უჩანდა სმას, ზმას, ჰომერულ ხარხარს და ხორხოცს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბერძენი რაფსოდები, ფლეიტისტები, არფისტები, პოეტები, სოფისტები, გიმნაზისტები, მოჭიდავენი, მოჯირითენი, მოკრივენი, მსახიობნი, სპარსელი მოგვები და მხედარნი, ინდოელი ჯადოქრები და ილუზიონისტები[6].

ბოლოს, ქორწილის დასასრულს, თავისი „საკუთარი სიტყვა" თქვა სფინემ, ანუ კალანემ — იმ კალანემ, ბრაჰმანმა და ფილოსოფოსმა, ინდოეთიდან რომ წამოჰყვა ალექსანდრე მაკედონელს. აქამდე მოსულიყო იგი, უმძლავრეს ჯარისკაცთა გვერდით, უმძიმეს გზათა მლეწველი, და აქამდე ისე დაბერებულიყო, ფრჩხილიც რომ არ წამოსტკენია. მხოლოდ ახლა იგრძნო 73 წლის კალანემ რაღაც ყრუ ტკივილი კუჭის არეში. მაშინვე მეფესთან მივიდა და უთხრა — მე არ მსურს, ამქვეყნიური ჩემი ცხოვრება სხეულებრივი ტკივილებით დავასრულო; ჩემს სამშობლოში, ინდოეთში, ყველაზე დიდ სირცხვილად ითვლება, როცა ავადმყოფობა არღვევს ადამიანის სულიერ სიმშვიდეს, ამიტომ ჩემი რწმენა მე მკარნახობს ავიდე კოცონზე და ფერფლად ქცეული სხეულიდან თავდახსნილი სული ჩემი გადავიდეს სხვა სამყაროშიო.

მეფეს არ შეეძლო წინაღდგომოდა „საოცარი ინდოელის" რწმენისმიერ ურყეველობას და უბრძანა პტოლემაიოსს, გაემზადებინა კოცონი კალანეს საზეიმო გარდასახვისა და „გარდაცვალებისთვის". კოცონიც აღიმართა, ქალაქის შუა მოედანზე; კოცონის თავზე ოქროს საწოლი დაედგათ. დღეც დაინიშნა და დილიდანვე დაიწყო ჯარისა და ხალხის საზეიმო სვლა კოცონის გარშემო, მოდიოდნენ ცხენოსანნი და ქვეითნი, ბრწყინვალედ აღჭურვილნი, სპილოები შეჯავშნულნი, მერე ხალხი დას-დასად, არომატული სასხურებლებით, სამეფო ტან-

საცმლით, ხალიჩებით, ოქროსა და ვერცხლის თასებით. მერე მოდიოდა თვითონ კალანე, ცხენზე აღმჯდარი. ცხენიდან ჩამოსვეს. საფეხებით მშვიდად, პირზე საზეიმო ღიმილით, ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა ყველა ახლომყოფს და სთხოვა მთელ საკრებულოს, ის დღე, მის სახსოვრად, სულ ზეიმსა და მხიარულებაში ეატარებინათ — მათ საყვარელ მეფესთან ერთად, რომელსაც მე თვითონ მალე ბაბილონში შევხვდებიო (მაშინ ყურადღება არავის მიუქცევია ამ უკანასკნელი სიტყვების საშინელ „წინასწარმაუწყებლობაზე"); მერე, ის ცხენი, რომლითაც კალანემ თავისი ამქვეყნიური წუთისოფლის უკანასკნელი სივრცე და დრო განკვეთა, ლისიმახოსს აჩუქა, დანარჩენ „მეგობრებს" ოქროსა და ვერცხლის თასები და ხალათები დაურიგა და კოცონზე ავიდა დინჯი, აურევნელი ნაბიჯებით.

კოცონის ზეთავიდან ერთხელ კიდევ მზერამოვლებით გამოემშვიდობა ხალხსა და ჯარს, თმა აიკვეცა და კოცონზე დააგდო, ტანზე ზედაშე იპკურა, ვითარცა სამსხვერპლო ცხოველმა, თავზე გვირგვინი დაიდგა და ინდურ საწესო საგალობლებს მოჰყვა; ბოლოს, გალობას რომ მორჩა, სახე მზისკენ მიიქცია, ხელები აღაპყრო და საწოლზე წამოწვა. ეს ნიშანი იყო და ცეცხლი შეუგზნეს. ატყდა საყვირების და ბუკების გრიალი, ჯარის საომარი ზახილი და იარაღის ზათქი-ზრიალი. სპილოები შემაზრზენი ყივილით ესალმებოდნენ მათ „თანამემამულეს". ხანძარი აიჭრა და გარს შემოადგა უძრავად და უშფოთველად მლოცველ ინდოელს. მალე იგი სულ დაიფარა და დაინთქა ცეცხლის სტიქიონში[7].

ალექსანდრე არ დაესწრო თავისი მეგობრისა და მასწავლებლის თვითდაწვას. მხოლოდ ესა თქვა გაოცებულმა: კალანემ ჩემზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხაო.

დიდი სიმბოლიკაც ინაკვთება ალექსანდრესა და კალანეს სიახლოვეში. ალექსანდრე ამ შემთხვევაშიც, თითქოს, ისევ თავისი „დოქტრინის", აღმოსავლეთისა და დასავლეთის „შერწყმის" ერთგული რჩებოდა: თვითონ, თავის პიროვნებაში, ერთმანეთს უერთებდა და „ურწყავდა" დასავლეთელი არისტოტელესა და აღმოსავლელი კალანეს ფილოსოფიურ გააზრებებს.

სუზაში, იგივე „დოქტრინის" პრაქტიკული ნაყოფი იხილეს და „იწვნიეს" მაკედონელებმა. ამ შემთხვევაში საქმე შემდეგში იყო: ალექსანდრეს რამდენიც არ უნდა ეძახნა და ლოზუნგები ეფრიალებია — მაკედონელები და სპარსელები გაერთიანდით და გაერთნაირ-

დითო — მაინც ყველაფერი გარეგნული, ფორმალური და ფიქტიური რჩებოდა. დარიოსის სიკვდილის შემდეგ, ალექსანდრე სამხედრო სამსახურში ხომ სპარსელებსაც იწვევდა და მომავალ ომებში, — ვთქვათ, ინდოეთში — სპარსელების ღვაწლიც, თუ მეტი არა, მაკედონელების ღვაწლს არ ჩამორჩებოდა; მაგრამ სპარსელი თავისი ხასიათით, შეიარაღებით და საომარი წესებით მაინც სპარსელი იყო და მაკედონელი მას მაინც ისე უცქერდა, ვითარცა მონობისთვის დაბადებულ ბარბაროსს და არა როგორც თანასწორ თანამებრძოლსა და საერთოდ ამ პლანეტაზე თანასწორუფლებიან თანამცხოვრებს. უეჭველად, ალექსანდრეც კარგად ხედავდა, რა იყო მისი პოლიტიკის პრაქტიკაში ფაქტობრივი და რა ფიქტიური, რა ნამდვილი და რა მოჩვენებითი. ამიტომ ალექსანდრე ცდილობდა სპარსელები როგორმე „გაემაკედონელებინა", ან „გაეელინებინა". აზიელების ასეთი „ევროპეიზაციის" უმოკლეს გზად ხელმწიფეს ბერძნული ენისა და მაკედონური საომარი ხელოვნების ათვისება მიაჩნდა, და აკი სუზაში მოსვლამდე შვიდი წლით ადრე, 331 წელს, ალექსანდრეს ბრძანებით, 30000 სპარსელი ყმაწვილი აიყვანეს და მაკედონურ სამხედრო სასწავლებლებში გაამწესეს. ახლა — როცა ალექსანდრეს საომარი ძალები 25000 მეომარზე დასულიყო — ერთბაშად მოიყვანეს სწორედ ის 30000 დავაჟკაცებული სპარსელი, რომლებიც უკვე აღარ იყვნენ დარიოსის დროინდელი სპარსელნი, არამედ — „გამაკედონელებული სპარსელები", აღზრდილნი ბერძნულ ენაზე, დასილაღებულნი მაკედონური აღჭურვილობით, გაწვრთნილნი მაკედონური საომარი ხელოვნებით. ეს ალექსანდრეს ახალი ჯარიც იყო და მისი ახალი სახელმწიფოს ახალი მოქალაქეებიც.

ალექსანდრემ ამ ახალი, „ევრაზიული ჯარიდან" ის მხედრები, რომლებიც წარმომავლობით და მოხდენილი გარეგნობით გამოირჩეოდნენ, მეფის „მეგობართა" კავალერიაში ჩარიცხა, დანარჩენებს მაკედონელებიც შეურია და მეხუთე ჰიპარქია ჩამოაყალიბა. მან სამეფო აგემაში შეიყვანა ისევ „ევროპეიზებული აზიელნი": კოფეტ არტაბაზის ძე, გიდარნი და არტიბოლა მაზეიოსის ძენი, სისინი და ფარასმანი ფრატაფერნის ძენი, აიგობარ მითრობის ძე და იტან ოქსიართის ძე, როქსანას ძმა (ალექსანდრეს ცოლისძმა). აგემის უფროსად, კიდევ, ალექსანდრემ დანიშნა ბაქტრიელი ჰისტასპი[8].

მაკედონელი მეომრები ძალიან ააღელვა მათი „მეტოქეების" მოყვანამ და მათდამი მეფის ეგზომ დიდმა ყურადღებამ და პატივისცე-

მამ. ალექსანდრეს ჩვენ უკვე აღარ ვჭირდებითო, ბარბაროსები თავზე დაგვასვაო, თვითონაც გაბარბაროსდაო, მაკედონია შეიძულა და აღმოსავლეთი შეიყვარაო; მისი გადაგვარება მაშინ დაიწყო, ტანი რომ მიდიური და სპარსული ტანსაცმლით შეიმოსაო; პევკესტას რომ აგრე სულში იძვრენს, სწორედ იმიტომ, რომ პევკესტამ ყოველი მშობლიურ-მაკედონური ბარბაროსულ-სპარსულზე გაცვალაო; ან ის ქორწილი რას ჰგავდა, ალექსანდრემ რომ გადაგვიხადა — ცოლებად სპარსელები შეგვრთო და ქორწილიც სპარსული წესებით ჩაატარაო.

სწორედ სააჯანყო განწყობილება ღვიოდა მაკედონელ ვეტერანთა ბანაკში. მხოლოდ მცირე საბაბი იყო საკმარისი ასაფეთქებლად.

ალექსანდრემ გადაწყვიტა სუსადან ასულიყო ტიგროსზე, ქალაქ ოპისში, სადაც ორი გზა იყრებოდა — ერთი დასავლეთით, მესოპოტამიის სიღრმეში, მეორე აღმოსავლეთით, მიდიისკენ. ჰეფესტიონს სახმელეთო ჯარების უმრავლესობა ჩააბარა და ხმელეთით გაგზავნა ოპისისაკენ, თვითონ კი ალექსანდრე, აგემით, ფაროსნებით, მცირე მხედრობით, ნეარქოსს ჩაუჯდა ხომალდებში და სპარსეთის ყურის გავლით ტიგროსის შესართავს მიადგა. აქ კიდევ ერთი „ალექსანდრია“ დააარსა მეფემ და ამის შემდეგ შესცურა ტიგროსში. მდინარე რამდენიმე ადგილას კაშხალით იყო ალაგმული. ალექსანდრემ ეს ძველი კაშხალები დაანგრევინა და ტიგროსი თავისუფალი ნაოსნობისა და სავაჭრო მიმოქცევის მდინარედ აქცია.

324 წლის ივლისში ალექსანდრემ და მისმა ყოველმა ჯარმა თავი მოიყარეს ქალაქ ოპისში. ჯარის მღელვარება სუზიდან წამოსვლის შემდგომ სრულებითაც არ დამცხრალიყო.

ალექსანდრემ ქალაქის გარეთ, მინდორზე, ჯარები შეჰყარა და, როგორც თვითონ ვარაუდობდა, სწორედ ჯარისკაცთათვის ძალზე სასიხარულო და სასიამოვნო გადაწყვეტილება გამოაცხადა: მე ვათავისუფლებ და სამშობლოში ვაბრუნებ ყველა ხანდაზმულ და ჭრილობებით დასუსტებულ ჯარისკაცსო; ვათავისუფლებ და ვაბრუნებ ყოველ მათგანს ისე დასაჩუქრებულს, სამშობლოში რომ ყველა შენატრებს და მათი შემხედვარე ყოველი ახალგაზრდა მაკედონელი სურვილით აღინთება ბრძოლასა და შრომაში თავმისაცემადო.

მაგრამ რას ელოდა და რას წააწყდა ამის მთქმელი მეფე: მაკედონელი ჯარისკაცები ავად აღრიალდნენ და აყარყამდნენ, — როგორ თუ მეფე ჩვენ, ამდენი სამსახურისა და დამსახურების შემდეგ, თავიდან გვიშორებსო, როგორ თუ ჩვენ თავს ის პრანჭია ბარბაროსები

ამჯობინაო; ერთიც ვნახოთ, ჩვენ წავიდეთ და ეგ ვისთან ერთად იომებსო, — ალბათ, მამამისთან ერთადო („ამონის ძეს“ უკაკუნებდნენ).

რისხვამ აიტანა ალექსანდრე. ტრიბუნიდან გადმოხტა და შიგ ჯარში შევარდა, ცამეტი ყველაზე აქტიური მოთავე თავისი ხელით გამოათრია და მცველებს მიუგდო საგანგებოდ დასასჯელად.[9] ისევ აიჭრა ტრიბუნაზე და უკვე ენაჩაწყვეტილ ჯარს ჯავრით აღსავსე სიტყვით მიმართა: მე ახლა მოგმართავთ არა იმისთვის, რომ დაგამშვიდოთ და დაგინარჩუნოთ, — საითაც გნებავთ, იქ მიბრძანდით, — არამედ მე უნდა გაგაგებინოთ, რანი იყავით თქვენ ადრე და რა მდგომარეობაში მყოფნი მეყრებით დღეს მე. ჯერ, მამაჩემის, ფილიპეს დროით დავიწყოთ. ფილიპემ თქვენ მოგისწროთ მათხოვრებსა და მაწანწალებს; გეცვათ ტყაპუჭი და მიუვალ მთებში მწყემსავდით თითო-ოროლა ცხვარს და ძლივძლივობით იგერიებდით ილირიელების, ტრიბალებისა და თრაკიელების თავდასხმებს.

ფილიპემ კი თქვენ მყრალი ტყაპუჭის ნაცვლად ჩაგაცვათ ძვირფასი ქლამიდა, ჩამოგაბრძანათ მთიდან ბარში, გადაგაქციათ თქვენი მაოხარი მეზობლებისთვის მრისხანე მეომრულ ძალად, გასწავლათ ბრძოლა, მტრისა და მოყვრის დახვედრა, დაგასახლათ ქალაქებში, მოაწესრიგა თქვენი ცხოვრება, გაგზარდათ და მიგაჩვიათ კეთილ ჩვევებს, კანონებს და კანონების პატივისცემას. ფილიპემ თქვენ გაგაბატონათ ყველა იმათზე, ვისაც ადრე ტყვედ და მონად მიჰყავდით, ვისაც თქვენი ქონება მიჰქონდა, — თქვენ, მონებო! ფილიპემ შემოუერთა მაკედონიას დიდი ნაწილი თრაკიისა, დაიპყრო ზღვისპირეთი და სავაჭრო გზებზე გაიყვანა მაკედონია; ფილიპემ შეგიქმნათ სამთამადნო საქმიანობა; მან გაგაბატონათ იმ თესალიელებზე, ადრე რომ მათ წინაშე შიშით სული გძვრებოდათ; მან დაამდაბლა ფოკეა და ამით თქვენ გზა გაგიხსნათ შუა ელადისკენ, ადრე რომ იქ ფეხის ჩადგმასაც ვერ იღირსებდით.

ფილიპემ ათენელები და თებელები — ახლა უკვე ჩემი მონაწილეობით — ისე დაამდაბლა, რომ თქვენ კი აღარ უხდით მათ ხარკს, არამედ ისინი იღვწიან თქვენი სიკეთისა და უვნებლობისთვის. ფილიპემ დაამყარა წესრიგი პელოპონესში. ფილიპე გამოაცხადეს მთელი ელადის სრულუფლებიან მთავარსარდლად და ამან უდიდესად გაუთქვა სახელი მაკედონიას. ყველაფერი ეს გააკეთა მამაჩემმა თქვენთვის, თავისთავადი ეგზომ დიდი საქმენი, მაგრამ ყველაფერი მაინც

არის არარაობა იმასთან შედარებით, რაც შემდგომ მე გამიკეთებია თქვენთვის.

ძაძაჩემმა მე დამიტოვა რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის თასი; ხაზინაში 60 ტალანტიც აღარ იყო და ფილიპეს ვალი 500 ტალანტს უდრიდა. მე კიდევ 800 ტალანტი ვალის აღება დამჭირდა. და გამოვედი მე ქვეყნიდან, რომელიც თქვენ ხეირიანად ვერც კი გაძღებდათ. და უცებ გაგიხსენით გზა ჰელესპონტისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ზღვაზე ჯერ ისევ სპარსელები ბატონობდნენ. მერე მე დავამარცხე დარიოსის სატრაპები და თქვენს სამფლობელოს შემოვუერთე მთელი იონია, მთელი ეოლიდა, ორივე ფრიგია და ლიდია; ალყაში მოვაქციე და ავიღე მილეტი. ყველა დანარჩენი მიწები მათივე ნებით დამემორჩილა და მოგართვით თქვენ.

სიკეთენი ეგვიპტისა და კირენისა, რომლებიც მე მოვიპოვე მშვიდობიანი გზით, აგრეთვე გეკუთვნით თქვენ; კელესირია, პალესტინა და შუამდინარეთი — თქვენი საკუთრებაა; ბაბილონი, ბაქტრა და სუზა — ეგეც ხომ თქვენია; სიმდიდრენი ლიდიელებისა, საგანძურები სპარსელებისა, სიკეთენი ინდოელებისა და მთელი გარეთა ზღვანი — თქვენია და თქვენი; თქვენ ხართ სატრაპები; თქვენ ხართ სტრატეგოსები; თქვენ ხართ ტაქსიარქოსები. მე კი რა მიმიღია ამდენი შრომისა და გარჯის საფასურად, გარდა ამ წამოსასხამისა და დიადემისა? ჩემთვის მე არაფერიც არ მომიხვეჭია; ვერავინ ვერ მიმითითებს მე ჩემს საგანძურებს, გარდა იმ საგანძურებისა, რომლებიც მხოლოდ თქვენთვის შემინახავს და თქვენთვის დამირიგებია.

ჩემთვის მე არაფრის შენახვა არ მჭირდება; აკი მეც ისეთსავე პურს ვჭამ, როგორსაც თქვენ, ისეთივე საწოლზე მძინავს, როგორზეც თქვენ. ის კი არა და, ვფიქრობ, ბევრი თქვენგანი ჩემზე მდიდრულად ცხოვრობს და მე კი ღამეებს ვტეხავ იმისთვის, თქვენ რომ მშვიდად გეძინოთ. იქნებ თქვენ თქვათ, მე რაც მოვიპოვე, მხოლოდ თქვენი გარჯით მოვიპოვე და მე მხოლოდ ბრძანებებს ვიძლეოდი და სხვა არაფერი? მაგრამ, მითხარით, რომელი თქვენგანი შრომობდა ჩემზე მეტს? აბა, გამოვიდეს ვინმე თქვენგანი, ტანთ გაიხადოს, თავისი ჭრილობები მაჩვენოს და მეც გაჩვენებთ ჩემსას. სხეულზე წინიდან ერთი ადგილიც არა მაქვს დაუჭრელი; არ არსებობს იარაღი, ხელჩართულად საბრძოლო თუ შორიდან სატყორცნი, ჩემს ტანზე რომ კვალი არ დაეტოვებინოს; მე მჩეხდნენ მახვილით, მცხრილავდნენ მშვილდით და მანქანით ნატყორცნი ისრებით; რამდენჯერ ქვ^ თ

და ნამორით დამაშავეს — და ყველაფერი ეს ხდებოდა თქვენთვის, თქვენი დიდებისთვის, თქვენი გამდიდრებისთვის.

მე თქვენ მოგატარეთ ვითარცა ძლევამოსილნი მთელს დედამიწაზე, ზღვებზე, მდინარეებზე, მთებზე, ველ-მინდვრებზე. მე დავქორწინდი იმავე ყაიდით, როგორც თქვენ და ბევრი თქვენგანის შვილები ჩემი შვილების ნათესავები იქნებიან. ვისაც ვალი გქონდათ, მე გადაგიხადეთ, ისე რომ არც გამომიკითხავს, რისთვის აიღეთ ეგ ვალები, როცა იმდენ ჯამაგირს გაძლევდით, იმდენ ქონებას გახვეტინებდით, იმდენ ქალაქს გაძარცვინებდით. თქვენგან უმრავლესობას ოქროს გვირგვინებიც არ აკლია, — ვითარცა სახსოვარი თქვენი სიმამაცისა და ჩემი თქვენდამი პატივისცემისა. ხოლო, ვინც დაიღუპა, დიდებულად დაიღუპა და მისი საფლავიც არ დაკარგულა, უმრავლესობას სამშობლოში ბრინჯაოს ქანდაკებანი დავუდგით და მათი მშობლები ცხოვრობენ პატივში და გათავისუფლებული არიან ყოველგვარი გადასახადისა და ვალდებულებისაგან. თქვენს შორის, ჩემი მეთაურობით, კაცი არ გამოჩენილა, ბრძოლის ველიდან გაქცევით რომ დაღუპულიყოს. ხოლო, ახლა მე ვაპირებდი სამშობლოში გამეგზავნა ის მეომრები, რომელთაც სამხედრო სამსახური აღარ შეუძლიათ და თანაც გამეგზავნა ისე, რომ იქ, სამშობლოში, ყველას მათი შეშურდებოდა; მაგრამ რაკი არ ინებეთ, ახლა ყველა წადით, მიბრძანდით, დამეკარგეთ, მომშორდით!

დაასრულა ალექსანდრემ ეს მწარე სიტყვა და, ისე რომ პასუხისა და გამონმაურებისათვის აღარ დაუცდია, უმალვე ტრიბუნიდან გადახტა, სასახლეს მიაშურა და ჩაიკეტა. ჯარი კი გაქვავებული დარჩა ადგილზე. ორი დღე აღარ გამოჩენილა მეფე. ჯარი ამასობაში გამოერკვა და ისევ უფრო მძაფრად და მკაცრად განაგრძო თავისი უკმაყოფილების გამოხატვა „უმადური ხელმწიფის“ მიმართ. ალექსანდრეს სიტყვას არ შეეძლო რაიმე გარდატეხა შეეტანა ჯარისკაცთა სულში. იგი უბრალო ჩამოთვლა იყო იმისა, რაც ჯარისკაცებმაც ძალიან კარგად იცოდნენ. ალექსანდრე არ პასუხობდა იმ საჭირბოროტო კითხვას, რის გამოც ჯარისკაცები ჯანყდებოდნენ. მთავარი „საკითხავი“ კი ეს იყო: ჩვენ, მაკედონელებს, თავზე სპარსელები დაგვასვიო, ჩვენ გვაძევებ და სპარსელებს იშინაურებო. ალექსანდრემ კი ამ პროტესტანტულ ხმას ჩახშობა დაუპირა, ყველაზე მოქმედი „პროტესტანტები“ შეიპყრო და სიკვდილს მისცა და ბოლოს ყველა მაკედონელს ერთად უბრძანა — წადით, მომშორდით, სადაც გინდათ იქით

გადაიკარგეთო. ჯარისკაცებს ასეთი პასუხი, ვითარცა მღელვარე გონების ნაყოფი, არ შეიძლებოდა მეფის საბოლოო გადაწყვეტილებად მიეღოთ. ისინი ალექსანდრესგან „უფრო გონივრული“ ნაბიჯის გადადგმას ელოდნენ. და, ალექსანდრე რომ ორი დღე სასახლიდან არ გამოსულა, არც ჭამა-სმა და არც ხელ-პირის დაბანა არ გახსენებია, ამ დროის განმავლობაში ალბათ იმ „გონივრული გადაწყვეტილების“ ძებნაში იყო მთელის გონებით ჩაძირული.

და აი, მესამე დღეს, გამოვიდა ალექსანდრე მისი უკანასკნელი, გადამწყვეტი, გონივრული გადაწყვეტილებით: ფიცხლავ სპარსელთა და მიდიელთა ჯარები შეჰყარა, მაკედონური სამხედრო განწესრიგებით დაალაგა და ჩამოაყალიბა: სპარსული სამეფო ცხენოსანთა აგემა, სპარსელი ცხენოსანი ჰეტერები, სპარსული ჰიპარქიები, სპარსული ფალანგები, ილები, ლოხოსები, ტაქსისები, სპარსული ქვეითი ჰეტერ-მეგობრები, სპარსული „ვერცხლის ფაროსნები“, ყველას დაუნიშნა სპარსელი და მიდიელი მეთაურები, რჩეულთაგან რჩეულებს — ისევ სპარსული სასახლის ტრადიციით — მიანიჭა „ნათესავების“ ტიტული და მეფის კოცნის უფლება; მეფისა და სასახლის მცველებადაც მაშინვე სპარსელები დააყენა ალექსანდრემ[10].

და ალექსანდრე მაკედონელმა სეფე-სიტყვითაც მიმართა თავის ახალ ჯარს, „თავის აზიელებს“: მე რომ ევროპიდან აზიაში მოვდიოდი, იმედი მქონდა, ჩემს სახელმწიფოს მრავალ დიდებულ ტომს და ძლიერ ხალხს შემოვუერთებდი, და არც მოვტყუვდი. თქვენში მე ვხედავ დიდ სიმამაცეს და მეფისადმი ურყევ ერთგულებას. ადრე მე ვფიქრობდი, რომ აქ ყველა მხოლოდ ფუფუნებაში იყო ჩაძირული და ყველა ზედმეტი კეთილდღეობისგან მხოლოდ ვნებებს იყო აყოლილი. მაგრამ, ვფიცავარ ღმერთებს, თქვენ სამხედრო სამსახურს ატარებთ სულისა და სხეულის ერთნაირი ამტანიანობით, ერთნაირი სიმამაცით და ერთგულებით. მე ამას ახლა პირველად გეუბნებით, თუმცა დიდი ხანია ამას ვხედავდი. ამიტომ აგიყვანეთ და დაგალაგეთ ჩემს ახალ ჯარებად. თქვენ გაცვიათ იგივე ტანსაცმელი, გასხიათ იგივე აღჭურვილობა, მაგრამ გაქვთ მორჩილება და დისციპლინა გაცილებით მაღალი, ვიდრე სხვებს (მაკედონელებს გულისხმობდა).

მე თვითონ ცოლად შევირთე ასული სპარსელი ოქსიართისა, რათა შვილები ჩემი არ ყოფილიყვნენ ტყვე-ქალის ნაშობნი. უფრო გვიან, — როცა შთამომავლობის გამრავლება მოვისურვე — ცოლად კიდევ დარიოსის ასული შევირთე და ჩემს მეგობრებსაც ვურჩიე და-

ქორწინებულიყვნენ სპარსელ ქალებზე და შეექმნათ შთამომავლობა, რათა ასეთი წმინდა კავშირით წაშლილიყო ყოველგვარი განსხვავება გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის. ამიტომ იცოდეთ, რომ თქვენ ჩემი შთამომავლობითი მეომრები ხართ და არა დაქირავებულნი. აზია და ევროპა ახლა ერთი სამეფოა, და მე თქვენ გაძლევთ მაკედონურ შეიარაღებას. თქვენ ჩემთვის აღარ ხართ უცხოელები — თქვენ ჩემი მოქალაქენი და ჩემი მეომრები ხართ. ყველაფერი გაწონასწორდა. როგორც სპარსელებს არ უნდა ეძაგებოდეთ მაკედონელთა ჩვეულებანი, ისე მაკედონელებსაც არ უნდა ერცხვინებოდეთ სპარსელების ჩვეულებათა გადაღება... ერთნაირი უნდა იყოს ყველას უფლება, ვინც ერთი მეფის ხელქვეით ცხოვრობს...[11]

ერთი სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელს ახალი ჯარი მზად ჰყავდა — ფორმით მაკედონური, სულით და ხორცით აზიური. ეს სწორედ უკიდურესობა იყო. ალექსანდრე ერთბაშად „შუალედურ თამაშს“ მოეშვა და რადიკალურ გამოწვევაზე გადავიდა — მან თავის მაკედონელებს ასეთი „რადიკალიზმით“ პირდაპირ გამოუცხადა — ან ქედი მოიდრიკეთ და რასაც გიბრძანებთ ის მიიღეთ, ან „ჩემს აზიელებთან“ ომი ინებეთო! და კიდევაც პირდაპირ გაუგზავნა ალექსანდრემ ბრძანება მაკედონელებს: ახლავე ბანაკი დასცალეთ და სადაც გინდათ მიბრძანდით, ხოლო უკეთუ ბრძოლას არჩევთ, მაშინ მეთაური აირჩიეთ, ალექსანდრეს შეებრძოლეთ და, როცა განადგურდებით, მაშინ დარწმუნდებით, რომ ალექსანდრეს გარეშე თქვენ არარაობას წარმოადგენთ[12].

ეს ბრძანება რომ ისმინეს, მაკედონელები ერთბაშად მოწყდნენ და ბღავილით ალექსანდრეს სასახლეს მიაწყდნენ; იარაღი დაჰყარეს და ცრემლთა ფრქვევით შეწყალებისა და პატიების თხოვნას შეუდგნენ. მეფესთან შეგვიშვით, მუხლებში ჩავუვარდებით, მისი გულმოწყალებისა ვიცით — იგი გვაპატიებს, ჩვენს წამქეზებლებს ჩავაბარებთ და დავასჯევინებთ, ყოველივეს აღვასრულებთ, რასაც გვიბრძანებს, სულ ერთია, დღე და ღამე აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ მეფე არ მიგვიღებს და არ გვაპატიებსო.

ალექსანდრემ აცალა — ერთხანზე კიდევ ებღავლათ და ეფრქვიათ სინანულის ცრემლები მის კადნიერ თანამემამულეებს... და მერე გამოვიდა. და შემოეხვივნენ აღტაცების ბღავილით, პატიების ღაღადით, ცრემლების თხევით. ალექსანდრესაც შეეძლო „თავის დროზე“ ატირება და ისიც ატირდა. მაკედონელები სულ შეიშალნენ. ალექ-

სანდრემ ცრემლები „ძლივს“ შეიწყვიტა, შეიმშრალა და სიტყვის სათქმელად მოემზადა. მაკედონელები უარესად აბღავლდნენ, შიშით — ვაი თუ იმ პირველივე სიტყვაზე გაოჩნდეს და მეფემ შერიგებაზე უარი გვითხრასო. ამიტომ დაასწრო მეფეს ერთმა ხანდაზმულმა სამხედრო მეთაურმა, ჰეტერმა კალინემ, და მოახსენა: „მეფეო, მაკედონელებს ყველაზე უფრო ის სწყინთ, რომ შენ სპარსელებს დაუნათესავდი; სპარსელები „ალექსანდრეს ნათესავებად“ იწოდებიან და გკოცნიან შენ; მაკედონელთაგან კი ეს პატივი არავისაც არ გაუსინჯავს“. შეაწყვეტინა ალექსანდრემ: „ყველას თქვენ გთვლით ჩემს ნათესავებად და ამიერიდან ყველას ასე გიწოდებთ“. ეს რომ გაიგონა, მაშინვე მიეახლა და აკოცა მეფეს კალინემ. მიესივნენ სხვა „ნათესავებიც“ მეფეს საკოცნელად. მერე ყველამ აიღო თავისი საჭურველი, დაეწყვნენ გახარებულნი და პეანებისა და ემბატერიების სიმღერით გაეშურნენ ბანაკისაკენ[13].

მაშ. ალექსანდრემ ისევ თავისი გაიტანა. ყოველი გამარჯვების აღსანიშნავად, როგორც წესი, ის ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა და ახლაც გამართა ზორვა, მერე ნადიმი მოაყოლა და სანადიმო ტრაპეზზე ირგვლივ მაკედონელები შემოისვა, მათ გვერდით სპარსელნი, შემდგომ სხვა ტომელნი ჩაარიგა. შუაზე ერთი დიდი კრატერი დაადგმევინა და ზედაშეს იმ კრატერიდან ყველა ერთნაირად იღებდა — მაკედონელიც და სპარსელიც. 9000 მონადიმე ევროპელი და აზიელი ერთი კრატერიდან სვამდა, ადღეგრძელებდა და უმღეროდა მაკედონურ-სპარსული სახელმწიფოს ერთიანობას, „ერთსულოვნებას“, „ერთსახოვანებას“, „ერთნაირობას“.

ამის შემდგომ, 10000 მაკედონელი მეომარი,[14] ხანდაზმული და ინვალიდი ვეტერანები, ალექსანდრეს „სიამტკბილობით“ დაშორდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ. ალექსანდრემ ყოველ მათგანს ნამსახურ ჯამაგირთან ერთად, მისცა კიდევ თითო ტალანტი საგზაო ხარჯებისათვის. ბავშვები, რომლებიც ამ ვეტერანებს აზიელ ქალთაგან შეეძინათ, ყველანი ალექსანდრემ დაიტოვა, რათა მაკედონიაში მათ ჩაყვანას ოჯახური უსიამოვნებანი არ წარმოეშვა სამშობლოში ვეტერანის მომლოდინე ცოლ-შვილში. ამ ბავშვების აღზრდას თვითონ მეფე კისრულობდა — მათგან ნამდვილ მაკედონელ მეომრებს აღზრდიდა, ასე დავაჟკაცებულთ მაკედონიაში ჩაიყვანდა და მათ მამებს დაურიგებდა (კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა!).

სუსტნიადაგიანი დასაბუთება რომ უფრო მყარი გამხდარიყო და

დათხოვნილი ჯარისკაცებისადმი თავისი ერთგულება კიდევ უფრო დაემტკიცებინა, ალექსანდრემ მათ წინამძღოლად და მფარველად, სამშობლოში მიმავალ გზაზე, დაუნიშნა თავისი უერთგულესი და თვალის ჩინივით ძვირფასი [15] კაცი — კრატეროსი, რომელიც მაშინ ძალიან დასუსტებული იყო, ალექსანდრემ კი, ჯარისკაცთა „უსაზღვრო სიყვარულისთვის“ მაინც ასე „გაიმეტა“ იგი. გზაზე რომ რამე არ დამართნოდა და ხშირად მისი მაგივრობაც გაეწია, ალექსანდრემ კრატეროსს თანაშემწედ დაუნიშნა პოლიპერხონტი. კრატეროსი სამშობლოში უნდა დარჩენილიყო. მას ანტიპატროსისგან უნდა ჩაებარებინა მაკედონიის, თრაკიის, თესალიისა და „თავისუფალი საბერძნეთის“ მმართველობა. ანტიპატროსი კი ალექსანდრესთან უნდა წასულიყო, ვეტერანთა ცვლის — ახალგაზრდა მაკედონელთა ჯარის თანხლებით [16].

ვეტერანები და მათი მეფე სიყვარულის, განშორების და სინანულის ცრემლთა ფრქვევით გამოეთხოვნენ და გაშორდნენ ერთმანეთს. უკანასკნელი იყო მათი თანაყოფნაც, უკანასკნელი — მათი შეტაკებაც, უკანასკნელი — მათი თანახილვაც.

ვეტერანთა დაბრუნებას იმდენი მითქმა-მოთქმა არ მოჰყოლია, რამდენიც კრატეროსისა და ანტიპატროსის ადგილთა შეცვლას. ეს ფაქტობრივად ანტიპატროსის დაცემას ნიშნავდა — თუნდაც „სხვა ადგილზე გადაყვანის გამო“. არც ისე უსაფუძვლოდ გაისმოდა, რომ ანტიპატროსის დაცემაში მაინც ალექსანდრეს დედამ, ოლიმპიადამ შეასრულა დიდი როლიო, მართლაც მტრობამ ოლიმპიადასა და ანტიპატროსს შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია. ალექსანდრესთან წამდაუწუმ აბეზღებდნენ ერთმანეთს. ალექსანდრე ისევ იმ აზრზე იყო, რომ ანტიპატროსის ათასი წერილის წასაშლელად დედ-ს ერთი ცრემლიც კმაროდა, მაგრამ მშობლის უსაზღვროდ მოყვარული შვილი სახელმწიფოს საქმეებში მის ეგზომ აქტიურ ჩარევას მაინც ვერ იტანდა, მწარე სიცილით იტყოდა ხოლმე — დედაჩემს მე მუცლად ათი თვე შევრჩი და ახლა იმ ათი თვის ბინის ქირას ძალიან ძვირად მახდევინებსო [17].

მაინც ოლიმპიადას პირადი მტრობა ვერ დაამხობდა ანტიპატროსის განუყოფელ მბრძანებლობას ბალკანეთზე. მთავარი მიზეზი, რისთვისაც ალექსანდრე ბალკანეთზე მისი „ნაცვლის“ უზენაესობას ვეღარ შეიწყნარებდა, იყო თვითონ ანტიპატროსი, რომელიც „მეფის ნაცვლობას“ თითქმის აღარ კმარისობდა და „მეფობის“ ტიტულს

ელაციებოდა. განსაკუთრებით, მისი სიძის, ფილოტას მკვლელობის შემდეგ გახდა საცნაური ანტიპატროსის „იდუმალი თვითნებობ-ს“ აღკვეთა... და ალექსანდრემ უკვე ბრძანა თავისი საბრძანისი: ანტიპატროსმა ბალკანეთის მმართველობის საჭვნი უნდა გადასცეს კრატეროსს!..

მაგრამ კრატეროსი და მისი ვეტერანები — ვისაც მეფის ეს ბრძანება მაკედონიაში უნდა მიეტანათ — ჯერ კიდევ გზაში იყვნენ. ანტიპატროსი მათ ჩასვლამდე უნდა მჯდარიყო ბალკანეთის „ტახტზე“. და ამავე დროს, „მათ ჩასვლამდე“ კიდევ სხვა ამბები უნდა დატრიალებულიყო თვითონ ბალკანეთზე.

* *

საბერძნეთმა ალექსანდრე მაკედონელის უკანასკნელი ხუთი წლის მონაპოვარნი არ ჩააგდო „თავის მონაპოვრებად“. ბერძნული პოლისები გულგრილად ხვდებოდნენ აღმოსავლეთიდან მოფრენილ, ყოველი ახალი გამარჯვების მაუწყებელ ამბავს. ათენშიც, „ელადის ტვინში“, თითქოს მობეზრდათ კიდეც მაკედონური მახვილის შეუჩერებელი წინსვლის გარშემო აზრისა და ტვინის „ჭყლეტა“, თითქოს ყოველგვარი ინტერესი დაკარგა „მაკედონელობამაც“ და „ანტ-მაკედონელობამაც“ და შეწყდა ოცწლოვანი სილოგისტურ-ფრაზეოლოგიური ბრძოლა ამ ძველი სამყაროს ინტელექტუალი ჰამლეტებისა.

გულგრილად და უმწეო სარკაზმით შეხვდნენ საბერძნეთში ალექსანდრეს ბრძანებას — თაყვანი ეცათ მისთვის, ვითარცა ღმერთისთვის, ზევსის ძისთვის, და საამისოდ საგანგებო დადგენილებაც მიეღოთ ყოველი პოლისის საზოგადოებრივ საკრებულოზე.

ამასთან დაკავშირებით, სპარტაში ეს დაუდგენიათ; დაე, იყოს ალექსანდრე ღმერთი, რაკი მას ღმერთობა მოსურვებიაო.[18] ათენში, კიდევ ახალგაზრდა ორატორს, პითეიას უთქვამს — ალექსანდრეს გაღმერთება სოლონის კანონებს ეწინააღმდეგება, რადგან სოლონის კანონმდებლობით ჩვენ მარტო სამამულე ღმერთებს უნდა ვეთაყვანოთო. ვიღაცამ პითეიას მიაძახა, შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ნება არა გაქვს ეგზომ დიდმნიშვნელოვან საქმეებზე ლაპარაკობდეო. თუ აგრეა, — ალექსანდრე ჩემზე უფრო ახალგაზრდაა — უპასუხა პითეიამ. ლიკურგემაც მხარი დაუჭირა პითეიას: რანაირი ღმერთი

უნდა იყოს ალექსანდრე, როცა მისი სალოცავიდან გამოსული კაცი ისევ განსაწმენდელი შეიქნებაო.

და სანამ ათენელი ჰამლეტები მაკედონელი მეფის ღმერთობის კანონიერებასა და უკანონობაზე მსჯელობით თავს იყოლიებდნენ, ალექსანდრეს მეორე ბრძანებამაც შემოაღწია საბერძნეთში. ეს იყო ბრძანება საბერძნეთიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით გაქცეული და განდევნილი ბერძნების შესახებ. უმეტესწილად ესენი სპარსელთა სამსახურში შესული დაქირავებული ჯარისკაცები იყვნენ. ხოლო, როცა სპარსთა მეფეც მოისრა და ცალკეულ სატრაპებსაც ალექსანდრე მაკედონელმა მოქირავნეთა აყვანა აუკრძალა, მოქირავნეობა ერთბაშად „დრომოჭმული" და „ანაქრონისტული" გახდა. არა და, კორინთოს კონგრესის ცნობილი დადგენილებით, საბერძნეთის მტრის სამსახურში მებრძოლი მოქირავნენი სამშობლოს მტრად და სიკვდილის კერძად იყვნენ გამოცხადებული. ახლა ბერძნული მოსახლეობის ეს უჯანსაღესი ნაწილი — ბრძოლისა და შრომის ეს ჭარბძალოვანი მასა — უქმად, უმაქნისად და მოუხმარისად დაეხეტებოდა ქვეყნიდან ქვეყნად. სამშობლო აღარ ღებულობდა, „ანტისამშობლოს" აღარ სჭირდებოდა. და ისევ „ყოვლისმხსნელი" ალექსანდრე მოევლინა მხსნელად და მშველელად მისი დროის „დრომოჭმულ კონდოტიერობას". მან სამშობლოდაკარგული ბერძნების ამნისტია და სამშობლოში დაბრუნება ბრძანა.

ამ „დიაგრამის" გამოსაცხადებლად მეფემ აარჩია მორიგი ოლიმპიადა — 324 წლის ივლისი (114-ე — ოლიმპიადა). იმ დღეს, ყოველი საბერძნეთის საკრებულოს წინაშე, — რომელსაც 20000 განდევნილი ჯარისკაცი და ნაჯარისკაცალიც ესწრებოდა — ალექსანდრესგან საგანგებოდ წარმოგზავნილმა ემისარმა, ნიკანორ სტაგირელმა, მაცნეთა შორის გამარჯვებული და დაფნით მოსილი მაცნეს პირით გამოაცხადა: „მეფე ალექსანდრე გიგზავნით სალამს ბერძნულ ქალაქთაგან დევნილებს. თქვენი განდევნის მიზეზი ჩვენ არ ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენ გვინდა მოგცეთ საშუალება სამშობლოში დაბრუნებისა ყველას, გარდა მკვლელობაში ბრალდებულისა. ამიტომ ჩვენ ვუბრძანეთ ანტიპატროსს, ძალით აიძულონ ის ქალაქები, რომლებიც უარს იტყვიან თქვენს მიღებაზე"[19].

ზეცა შეარყია ამნისტირებულთა და მათ ნათესავთა აღტაცებულმა ბღავილმა. ბრძანება მაშინვე ძალაში შევიდა — ყველა თავისი მშობლიური ქალაქისკენ წარემართა. მაგრამ, — როგორც თვითონ

„დიაგრამის“ ტესტიდან ჩანს — ყველა პოლისი როდი აპირებდა, თურმე, მიეღო და სიყვარულით გულში ჩაეკრა თავისი დევნილი, „უძღები“ თუ „ნაძღები“ შვილები. ამ ახალი სოციალური ძალის დაბრუნებას უეჭველად რაიმე სოციალური შეხლა-შემოხლანი უნდა გამოეწვია ბერძნულ პოლისთა ისედაც მშფოთვარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გამორჩევით, ათენი დადგა ალექსანდრეს ბრძანების წინააღმდეგ. ათენს კუნძული სამოსი ჰქონდა დაპყრობილი, იქიდან ადგილობრივი სამოსელები ათენელებს გაედევნათ და მათი მიწები თვითონ დაენაწილებინათ კერძო კლერუხიებად. ალექსანდრეს ბრძანება კი სამოსელებს დაბრუნების უფლებას აძლევდა, რაიც. ბუნებრივია, იმავე დროს სამოსიდან ათენელთა განდევნას გულისხმობდა. ამას გარდა, ალექსანდრეს ბრძანება კორინთოს ერთიანი „სამოკავშირეო კონგრესის“ დადგენილების დარღვევას ნიშნავდა და, მაშასადამე, ასეთი „სეპარატისტული დიაგრამით“ მაკედონიის მეფე ერთხელ კიდევ დაუფარავად ამქღავნებდა თავის „დესპოტურ“ ხელყოფას ბერძნულ პოლისთა „ავტონომიის“ მიმართ.

ამ ამბებს უეცრად დაემთხვა კიდევ ერთი საინტერესო ზნეობრივ-პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც, შეიძლება, მისი ხასიათის მიხედვით, დავარქვათ „ჰარპალოსის კაზუსი“.

ჰარპალოსი ყრმობითვე ალექსანდრეს უახლოესი და უსაყვარლესი მეგობარი იყო. ფილიპესა და ალექსანდრეს შორის ატეხილ „მამა-შვილურ ომში“ ჰარპალოსს — ნეარქოსთან და პტოლემაიოსთან ერთად — დიდი ამაგი მიუძღოდა უფლისწულის სასარგებლოდ. შემდგომ, მეფობის ჟამს, ალექსანდრეც უხვი წყალობით ავსებდა მეგობარს. ალექსანდრე იმასაც ანგარიშს უწევდა, რომ გარეგნულად ლამაზი, მაგრამ ფიზიკურად სუსტი ჰარპალოსი მეომარ-მოლაშქრედ არ გამოდგებოდა და ამიტომ სპარსეთთან ომის დაწყების წინ ალექსანდრემ ის ომში არ წაიყვანა და სახელმწიფო ხაზინის უფროსად დატოვა. ომიც დაიწყო, ალექსანდრეც უკვე აზიაში იბრძოდა და ისოსის ბრძოლის წინ შეიტყო, რომ ჰარპალოსს მაკედონიის სამეფო საჭურჭლეები გაუტაცნია და, აღმა-დაღმა მორბენალს, ბოლოს მეგარა აურჩევია, თავისი „ჭკუის ქეიფზე“ საცხოვრებლად. ალექსანდრემ რომ ეს შეიტყო, ფრიად გაჯავრდა, მაგრამ მაინც აპატია და თავისთან მიიხმო აზიაში ეს მსუბუქი ჭკუის კაცი. მიიხმო და გაიყოლია სალაშქრო გზაზე.

მერე, ალექსანდრემ რომ მთელი დასავლეთი და ცენტრალური აზია დაიმორჩილა, ჰარპალოსი ისევ მთავარ ხაზინადრად დანიშნა. ჰარპალოსის ხელში იყო მაშინდელი მსოფლიოს ყველა უძვირფასესი საგანძური — მცირე აზიისა, ეგვიპტისა, ბაბილონისა, სუზისა, პერსეპოლისის, პასარგადისა, სხვათა და სხვათა... და, რაც უფრო შორს, აღმოსავლეთით მიდიოდა ალექსანდრე, რაც უფრო იზრდებოდა და მატულობდა მისი სამფლობელონი, მით უფრო იზრდებოდა და მატულობდა ჰარპალოსის ფუქსავატური თავაწყვეტილობა, ფულის ფანტვა, ღრეობა და ნადიმობა, გაუკუღმართებული სხეულებრივი ტრფიალება, თითქოს ალექსანდრე მსოფლიოს იმიტომ იპყრობდა და სისხლს აქცევინებდა, ჰარპალოსს რომ თავისი ბრიყვული სული და ბილწი სხეული ეამებინა. ჰარპალოსი მაშინდელი მსოფლიოს ყბადაღებული სკანდალი იყო. ჰარპალოსი კომედიოგრაფოსთა ყველაზე ინტრიგანულ თემად ითვლებოდა. მაღალი, სერიოზული აზროვნების სფეროში ჰარპალოსზე სიტყვის ჩამოგდება შეუწყნარებელ მკრეხელობად მიიჩნეოდა. ცნობილმა ისტორიკოსმა თეოპომპემ, ღია წერილიც კი მისწერა ალექსანდრეს, — ბოლოს და ბოლოს, დროა ზღვარი დაედოს ეგზომ გახმაურებულ უმსგავსობასო.

ჰარპალოსი კი ანგარიშმიუცემლად განაგრძობდა თავისი, „საკუთარი ფილოსოფიით“ გარყვნილობას. აზიელი კახპები რომ მოყირჭდა, ათენიდან პითიონიკა გაიწვია — მთელს საბერძნეთში განთქმული, საჯარო სიძვის დიაცი. მერე, როცა ეს ქალი მოუკვდა, ჰარპალოსმა მას, რასაკვირველია, სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე, ორი უბრწყინვალესი ძეგლი აუგო და ორივე მსოფლიოს უბრწყინვალეს „დედაქალაქში“ — ერთი ათენში, მეორე ბაბილონში.

სწორედ საოცრად იცინოდა და იკბინებოდა ბედისწერა ისტორიისა: არავის გახსენებია ძეგლები დაედგათ გრანიკოსის, ისოსის და გავგამელას გმირებისათვის, როცა დროის ყველაზე ბრწყინვალე ძეგლი დაედგა ერთ უკანასკნელ როსკიპს, რომლის დაუფლება ყოველ ქუჩის ვიგინდარას შეეძლო ნახევარ გროშად. ეს არ იკმარა ჰარპალოსმა, — გარდაცვლილი პითიონიკას ნაცვლად არანაკლებად სახელგანთქმული მეძავი ქალი გამოიწვია ათენიდან, სახელად — გლიკერია. ჩამოიყვანა და კილიკიის მთავარ ქალაქში — ტარსოსის სასახლეში დაასახლა, სირიის ქალაქ როსოსში ძეგლი დაუდგა და ყველას სიკვდილის მუქარით მოსთხოვა, ამ თახსირისთვის თაყვანი ისე ეცათ, ვითარცა დედოფლისათვის.

ალექსანდრეს მისდიოდა ცნობები ჰარპალოსის ყოველ უმსგავსობათა შესახებ. ჯერ არ სჯეროდა ან გადაჭარბებულად მიაჩნდა, მაგრამ დრო დადგა, თვალები ვეღარ დაითხარა და დაიჯერა. რაც უფრო შორს მიდიოდა ალექსანდრე, ჰარპალოსს ჰგონებია, იგი უკან მოუბრუნებლად მიდიოდა; მაგრამ როცა მან დაინახა, რომ ალექსანდრე უკან მობრუნდა და თანდათან კიდევაც ახლოვდებოდა, იფიქრა ჩემი განკითხვის დღეც ახლოვდებაო და თავის შველა ისევ გაქცევით დაიპირა. უზარმაზარი ფული — 5000 ტალანტი მოხვეტა, გლიკერია და პითიონიკასგან შეძენილი გოგონა აიყოლია, 6000 მეომარიც დაიქირავა და ეგეოსის ზღვისკენ გაუტია. იქ, მცირე აზიის სანაპიროზე 30 გემი იშოვა და ათენში გასამგზავრებლად გაამზადა. ათენი მას იცნობდა, მისგან დარიგებული პურის გემოც იცოდა, ბოლოს და ბოლოს, ჰარპალოსი ათენის საპატიო მოქალაქე იყო და ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ქალაქს „თავისი შვილისთვის“ მოევლო და ეპატრონებინა... მაგრამ დემოსთენეს დაჟინებითი მოთხოვნით, ჰარპალოსს უარი ეთქვა ათენში მიღებაზე. ჰარპალოსიც რა ფრინველი იყო, ეგრე იოლად მოშვებოდა, და ბოლოს, დიდი ფულისა და დაქირავებული ჯარის „ანგარიშ-გაწევით“, მაინც შეაღწია ათენში.

მალე ათენში ალექსანდრეს ახალი ხაზინადარი — ფილოქსენე — გამოჩნდა და მეფის სახელით ჰარპალოსის ჩაბარება მოითხოვა. ისევ გამოცოცხლდნენ და ერთმანეთს მიესივნენ „მაკედონელნი“ და „ანტიმაკედონელნი“. პირველნი ჰარპალოსის გაცემას მოითხოვდნენ, მეორენი — დაცვას და შენახვას. ალექსანდრეს მოთაყვანე ფოკიონიც კი წინააღმდეგი იყო ჰარპალოსის გაცემისა. დემოსთენე ხომ მაკედონელთა დაუძინებელ მტრად რჩებოდა და იმანაც ახლა ჰარპალოსისა და მისი ხაზინის დაცვა მოითხოვა. კრებამაც დაადგინა, თვითონ დემოსთენეს ჰარპალოსისთვის მისი თანხლებული თანხა ჩამოერთმია და აკროპოლისში შეენახა. დემოსთენემ მაშინვე ჰკითხა ჰარპალოსს, რამდენს შეადგენდა მის ხელში არსებული თანხა. 700 ტალანტსო, უპასუხა ჰარპალოსმა, მაგრამ მეორე დღეს აკროპოლისში მას 350 ტალანტზე მეტი აღარ მიუტანია. თურმე, იმ ღამით ხაზინის უდიდესი ნაწილი სამეგობროდ და მხარდასაჭერად დაგულებული მოქალაქეებისთვის დაურიგებია. დემოსთენემ ამის შესახებ ხალხს აღარაფერი აცნობა, ოღონდ ჰარპალოსს სიტყვა ჩამოართვა, რომ იგი არეოპაგს დაუსახელებდა იმ პირებს, ვისაც მან ფული დაურიგა.

ალექსანდრეს კი ბრძანება გაეცა, ფლოტი გაემზადებინათ და,

უკეთუ ათენი, რომელმაც ალექსანდრეს გაღმერთებაზე უარი თქვა, ახლა ჰარპალოსის გაცემაზეც უარს იტყოდა, დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს ატიკას.

ფილოქსენემ უფრო მკაცრად მოითხოვა ჰარპალოსის გაცემა. იგივე ბრძანება გამოუგზავნეს ათენს ანტიპატროსმა და ოლიმპიადამ.

სამარი ატმოსფერო ჩამოწვა. მაგრამ ისევ გაუჩინარდა ჰარპალოსი. მის გუშაგობაზე ზრუნვა დემოსთენეს ჰქონდა მინდობილი. დემოსთენეს და მის მომხრეებს მათმა მოწინააღმდეგეებმა ბრალი დასდეს ჰარპალოსისგან ფულის აღებაში. საქმის გამოძიება არეოპაგს მიენდო. არეოპაგმა გამოძიება გააჭიანურა. ჯერ ისევ გრძელდებოდა კამათი ალექსანდრეს ორივე ბრძანების გარშემო, საერთოდ: ეღიარებინათ თუ არა მაკედონელი მეფე ღმერთად და დაებრუნებინათ თუ არა განდევნილი თანამემამულენი თავის ქალაქში.

ხოლო, ჰარპალოსი თავისი ხაზინით და დაქირავებულთა ჯარით კუნძულ კრეტაზე გაქცეულიყო. აქ იგი მუხანათურად მოჰკლა მისმა მეგობარმა, სპარტელმა თიბრონოსმა, ხაზინაც და მოქირავნეებიც ახლა ამან მოიხელთა და მათთან ერთად კირენაში გადაიხვეწა.[20] ცოცხალი გადარჩა და როდოსზე გაიქცა ჰარპალოსის მონა, რომელიც თურმე თავისი ბატონის შემოსავალ-გასავლის დავთრებს აწარმოებდა. ეს მონა თავისი დავთრებით მიჰგვარეს ფილოქსენეს. დავთრებში აღმოჩნდა იმათი სიაც, ვისაც ჰარპალოსმა ათენში ფული დაურიგა. მათ შორის დემოსთენეს სახელი არ აღმოჩნდა. ნახევარწლიანი გამოძიების შემდეგ, როგორც იქნა, „ჰარპალოსის კაზუსის“ გარშემო ათენში დაიწყო სასამართლო პროცესები, რომლებშიც ბრალმდებელთა და ბრალდებულთა სახით მონაწილეობდნენ მაშინდელ ბერძნულ სამყაროში ყველაზე დიდი ორატორები: ბრალმდებელნი — ჰიპერიდე, პითეია, მნესექმე, ჰიმერიოსი და სტრატოკლე, ბრალდებულნი— დემოსთენე, დემადე, ფილოკლე და ქარიკლე. დემოსთენეს ბრალად ედებოდა 20 ტალანტის აღება. რიტორიკის დიდოსტატმა იბრძოლა მისი დიდოსტატური ლოგოსით. ამაოდ მოიყვანა სასამართლოზე შვილებიც — მსაჯულ-ჰელიასტთა გულის ასაჩუყებლად — მას ხუთმაგად მიუსაჯეს აღებულის გადახდა, და რაკი ასეთი თანხის დაფარვა არ შეეძლო, იგი დილეგში ჩააგდეს. მეექვსე დღეს გაქცევა მოახერხა დემოსთენემ.

ათენის სახელგანთქმულმა დემოკრატიამ სამუდამოდ შეირცხვინა თავი. სასამართლომ, დემოსთენესთან ერთად, ყველა სხვა დიდი პა-

ტრიოტი მკაცრი სასჯელით გაიმეტა, ხოლო ყველაზე მავნე მედროვენი გაამართლა და გაათავისუფლა.

ბოლოს, სახალხო კრებამ გადაწყვიტა, ელჩები გაეგზავნა ალექსანდრესთვის, თხოვნით — როგორც გამონაკლისი, ნება დაერთო ათენისათვის, არ შემოეშვა თავისი დევნილი მოქალაქენი, რომლებიც იმჟამად მეგარაში იდგნენ და, მეფის ბრძანების შესაბამისად. სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვდნენ.

მართლაც და — O, tempora! O, mores! საზოგადოება ყველაზე დიდ მტერს ეხვეწებოდა — შენგან მოკვეთილი ჩემი ყველაზე ბრძოლისუნარიანი და შრომისუნარიანი ნაწილი უკანვე აღარ დამიბრუნო!!..

თავი XIV

ალექსანდრე უკანასკნელი ნელსაბრუნავი

ალექსანდრეს კი არც ათენელი ელჩები უნახავს და აღარც მათი უმწეობისა და უთავბოლობის მაუწყებელი თხოვნა მოუსმენია. იგი, — მალე მას შემდეგ, რაც ოპისიდან ვეტერანები გაუშვა — აღმოსავლეთით შებრუნდა და მიდიის მთავარი ქალაქის, ეკბატანასკენ აიღო გეზი.

ინდოეთში ყოფნის ჟამს ალექსანდრეს ყურს რამდენჯერმე მისწვდა მიდიაში მისგან დატოვებულ მმართველთა კადნიერებისა და თავგასულობის ამბები. აკი მიდიის მმართველ სტრატეგოსთა სიკვდილით დასჯაც დასჭირდა მეფეს. მიდიის მიუვალ მთებში ზოგიერთი ტომიც, — მათ შორის, მამაცი კოსეელები — ჯერ კიდევ მაკედონელთა ბატონობას არაფრად აგდებდნენ და ალექსანდრეს კიდევ სჭირდებოდა მახვილის წარმართვა მიდიის სრულყოფილი დამორჩილებისათვის.

მეფემ რაზმეულებად დაყოფილი და ერთიმეორისგან დამანძილებული ჯარებით გაიარა მდინარე ზაგროსის ხეობა და გავიდა ნისეის ველებზე (ახლ. სერპულსა და კერინდს შორის), სადაც მაკედონელები შედგნენ და დადგნენ მთელი ერთი თვე. 50—60 ათასამდე ცხენი გადათვალეს ნისეის ნოყიერ საძოვრებზე. აქვე მოვიდა მიდიის სატრაპი — ატროპატი, რათა ხლებოდა და მისალმებოდა ალექსანდრეს მისი სატრაპიის საზღვარზე. მიესალმა და დიდი „სიურპრიზიც“ მიართვა სატრაპმა მეფეს — ასი ცხენოსანი ქალი, აღჭურვილნი საომარი ნაჯახებით და მსუბუქი ფარებით. მალე ხმაც გავარდება, რომ ამ ქალთა სახით ალექსანდრე თითქოს ამორძალებს — მითიურ მეომარ ქალებს შეხვდა [1].

აქვე, ნისეის ველზე, ერთი უსიამოვნო ამბავიც მოხდა მაკედონელთა შორის. ეს იყო კონფლიქტი მეფის ორ უახლოეს კაცს შორის — ჰეფესტიონსა და ევმენეს შორის.

ჰეფესტიონი, როგორც ადრევე ითქვა და ვხედავდით, ყველაზე ახლო ადამიანი იყო ალექსანდრე მაკედონელისა — ყრმობითვე მასთან

შეზრდილი უაღრესად ერთგული და თავდადებული. არავის ისე უტყუვრად არ შეეძლო ალექსანდრეს საფიქრალთა და საზრუნავთა ამოცნობა და განხორციელება, როგორც ჰეფესტიონს. თითქოს და მართლაც არანაკლები იყო მეგობრული სიყვარული და თავდადება ალექსანდრე-ჰეფესტიონისა, ვიდრე აქილევს-პატროკლესი. ჰეფესტიონი იყო ალექსანდრეს უშინაგანეს გრძნობათა მესაიდუმლე, მისი „მეორე მე" (აკი უთხრა მეფემ დარიოსის დედას ჰეფესტიონზე—ეგეც ალექსანდრე არისო), კაცი, რომელსაც უფლება ჰქონდა მეფისთვის ზურგიდან ხელი გადაეხვია და თვალი მიედევნებინა მის ხელში გაშლილი დედის საიდუმლო წერილისათვის, რომელშიც არც ისე იშვიათად ჰეფესტიონის სააუგოც ბლომად ეწერა.

ევმენე მეფის მდივანი და წერილობითი საქმეების გამგებელი იყო. მისი მოძულენი კიდევაც ამბობდნენ დაცინვით, — ევმენე მეფეს შუბით და მახვილით კი არა, სანთლის ფირფიტებითა და ლერწმით (კალმით) ემსახურებაო. სიძულვილით კი ძალიან ბევრს სძულებია ევმენე, განსაკუთრებული სიხარბისა და ცბიერებისთვის. ზოგჯერ მეფესაც წონასწორობას აკარგვინებდა მისი „მწერალი-მინისტრის" ანგარებისმოყვარეობა და სიძუნწით ნაკარნახევი თაღლითობა. ერთხელ ინდოეთში, ალექსანდრემ თავის ახლობლებს სთხოვა ფული გაეღოთ სამდინარო ფლოტის ასაგებად; ევმენეს 300 ტალანტი უნდა გადაეხადა, მაგრამ 100 ტალანტის მეტი არ გაიღო — ესეც მეგობრებში ძლივს შეეაგროვეო. ალექსანდრემ კი ევმენეს სიმდიდრე ძალიან კარგად იცოდა, ამიტომ მან ქვახარშია მდივნისგან არც ის ასი ტალანტი მიიღო და შუაღამისას მისი კარავი, მის სიმდიდრესთან ერთად, ცეცხლს მიაცემინა. მეფეს უნდოდა ყველას დაენახა, როგორ გამოჰგლეჯდა ცეცხლს ევმენე მის საგანძურებს; თუმცა ხანძარი ისე სწრაფად გავრცელდა, ევმენემ თვითონ ძლივს გამოასწრო და მთელი მისი ქონება, არანაკლებ 1000 ტალანტისა, და მასთან მთელი საკანცელარიო დოკუმენტაცია — ცეცხლმა შთანთქა. ალექსანდრემ ცეცხლში გადამდნარი ოქროვერცხლი ისევ ევმენეს დაუტოვა, ხოლო წერილობითი არქივის აღსადგენად სატრაპებს და სტრატეგოსებს უკანვე გამოსთხოვა მათთან გაგზავნილი ბრძანებათა პირები[2]. მიუხედავად ასეთი თვითნებობისა და თაღლითობისა, ალექსანდრე ევმენეს არ იშორებდა, მის ნიჭს, ერთგულებას და მოქნილობას იგი ძალიან აფასებდა.

ჰეფესტიონი და ევმენე — საწინააღმდეგო ხასიათთა მქონე ეს ორი ადამიანი — ხშირად ჩხუბობდნენ მეფის უახლოესთა წრეში. — ახლაც,

საკმარისი აღმოჩნდა მეფეს ჰეფესტიონი დაესაჩუქრებინა, რომ ხარბი და შურიანი ევმენე დაჯილდოებულს მიხდომოდა და გაელანძღა. ჰეფესტიონმაც არ შეარჩინა და მეფემ ჯერ ძლივს გააზავა და მერე ძლივს შეარიგა ორივენი [3].

ოცდაათდღიანი დასვენების შემდეგ, მაკედონელებმა გზა განაგრძეს და შვიდ დღეში ჩავიდნენ ეკბატანაში. ალექსანდრემ მიდიის უძველეს სამეფო სასახლეში დაიდო ბინა. იშვიათი სილამაზითა და სიმდიდრით იყო ნაგები ეს სასახლე — კედრისა და კვიპაროსისა, სვეტები, კაპიტელები, ფრონტონები, ჭერი და სანთიობოთა კედელ-ყურენი — სულ ოქროთი მოჭედილი და მოპირკეთებული; სახურავიც ვერცხლის ფურცლებისა. ასევე განსაცვიფრებელი იყო იქვე, მეორე შენობა — ანიტისის ტაძარი, რომლის სვეტთა კაპიტელებიც ოქროისა იყო, ხოლო ზემოდან — ოქროსა და ვერცხლის კრამიტებით გადახურული [4].

324 წლის ოქტომბრის ბოლოს ალექსანდრემ ამ სასახლეში გადაიხადა გრანდიოზული ზეიმი — დიონისობა. ერთიმეორეს გადაება მსხვერპლწირვანი, მხედრული ასპარეზობანი, ჩირაღდნიანი სვლანი, პოეტური და სახიობური შეჯიბრებანი, ნადიმობანი, ღრეობანი. მიდიის სატრაპმა ატროპატმა ყველა გააოცა ალექსანდრეს საპატიოდ გამართული ნადიმის უზღვრო სიმდიდრით და სიდიადით. მან მეფესთან ერთად მიიწვია არა მარტო მისი ამალა, არამედ მთელი ჯარი, ყველა უცხოელი და შინაური სტუმარი. სუზის „მსოფლიო ქორწილის“ შემდგომ, აღარავის ენახა ეგზომ გრძლად და ფართოდ გადაჭიმული სანადიმო ტრაპეზნი. ზეცას აზანზარებდა ზარხოშით გატენილი ხმაური, სიმღერა, ხორხოცი და ყარყაში.

მხოლოდ ალექსანდრე იყო მოწყენილი. მოწყენილი იყო, ვინათგან, ჰეფესტიონი ციებ-ცხელებას ჩაეგდო ლოგინად. აქიმი გლავკიოსი დღედაღამ განუშორებლად თავს დასტრიალებდა, მაგრამ უძლური ჩანდა მისი საქიმო მეცნიერება და ხელოვნება. ალექსანდრეს აღარ ექეიფებოდა, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა — წესი მოითხოვდა მასპინძელსა და ჯარს არ მოშორებოდა. უკვე შვიდი დღე მიდიოდა ნადიმი და სწორედ მეშვიდე დღეს, — როცა მეფე სტადიონზე იჯდა და ყმაწვილთა შეჯიბრებას უცქერდა — მოახსენეს, ჰეფესტიონი ძალზე ცუდად არისო. ალექსანდრე წამოვარდა და გავარდა სასახლეში, მაგრამ მეგობარს ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. მრავალ მწუხარებანაჭამი მეფე არასოდეს ასე არაფერს შეუწუხებია. სამი დღე და სამი ღამე არ მოშორებია ძვირფას ცხედარს: ან ქვითინებდა, ან კაეშანს მდუმარედ

იყო ჩაღრმავებული. არც ჭამა და არც სვა, სანუგეშოდაც არავინ გაიკარა. თმები აიკვეცა და ცხედარს მოაპნია, — ვითარცა მწუხარე აქილევსმა დარეცილ პატროკლეს. მთელი ჯარი გლოვობდა. ყველამ თალხი ჩაიცვა. ყველა ცხენს ფაფარი ააკვეცეს. მიდიელმა მოგვებმა ტაძრებში საღვთო ცეცხლი ჩააქრეს, როგორც ეს მეფის სიკვდილის ჟამს სჩვეოდათ [5].

მერე, მეოთხე დღეს, როგორც კი წუხილს მცირედად გამოეხსნა, ალექსანდრემ ბრძანა გაემზადებინათ სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც ჰეფესტიონის ცხედარი ბაბილონში უნდა გადაესვენებინა. ევმენეს მეთაურობით ჰეტერებმა, ჰიპარქოსებმა და სტრატეგოსებმა ძვირფასი სამკაულებით და ბრწყინვალე აღჭურვილობით დატვირთეს ეტლი, რომელზეც ესვენა ჰეფესტიონი. პროცესიის გაძღოლა და მეთაურობა დაევალა პერდიკას. მასვე გაჰყვა დინოკრატოსი რომელსაც ბაბილონში უნდა აღემართა უძვირფასესი კოცონი, რომელზეც მომავალ გაზაფხულზე უნდა დაესვენებინათ და დაეწვათ „მეორე ალექსანდრე“.

სამგლოვიარო პროცესია მთავარი გზით დაიძრა ბაბილონისკენ. ალექსანდრეს კი ჯერ კოსეების მოთარეშე ტომები უნდა დაელაშქრა და ისე წასულიყო ბაბილონში. 324 წლის მიწურული იყო, მთები და ხევები დიდი თოვლით ავსებულიყო და ალექსანდრეს ვარაუდით სწორედ ახლა სჯობდა ბარში ჩამოსახლებული და მთისკენ გზამოჭრილი კოსეების დალაშქვრა. ასედაც მოხდა. ალექსანდრემ ჯარი ორ კოლონად გაჰყო, ერთს პტოლემაიოს ლაგოსის ძე უჩინა სარდლად, მეორეს თვითონ გაუძღვა და შეესია კოსეების დასახლებებს. შეესია და ორმოცი დღე არბია, ჟლიტა და ძარცვა, „გლოვით გულადუღებულმა“ მეფემ ეს მამაცი, მანამდე თავისუფალი და სხვათა მარბიელი ტომები. ყველა მათი ციხესიმაგრე მიწასთან გაასწორეს, მაკედონელებმა, ათასობით ტყვედ აიყვანეს და მონად გაირეკეს [8].

ალექსანდრემ არ იცოდა, რომ კოსეებთან ბრძოლა უკანასკნელი ბრძოლა იყო მისი დაუდგრომელი წუთისოფლისა.

ისედაც, იგი აღარ ჰგავდა იმ ალექსანდრეს, როგორიც იყო ჰეფესტიონის სიკვდილამდე. ვერ იქნა და, ვერც ახალ საომარ განაზრახთა რთული ფიქრებით მოახერხა მძიმე მელანქოლიის დათრგუნვა. არავინ იცის, იყო თუ არა იგი გულწრფელი, როცა — აქილევსის მსგავსად — მეგობრის სიკვდილს თავის სიკვდილს ამჯობინებდა, მაგრამ წუხილი კი უეჭველად გაუნელებლად შეჰყროდა მის გულს. იგი მაშინ 32 წლი-

სა იყო. მაშასადამე, მისი ვაჟკაცობის ყვავილი ჯერ კიდევ ყვავილობდა, „აკმეს“ საბოლოო დამწიფებამდე შვიდი-რვა წელიწადი კიდევ აკლდა, მაგრამ მეგობრის დამმარხველს, — რომელთან ერთად თავისი ბავშვობა და ყმაწვილობაც დაემარხა — გული თითქოს დაბერებოდა, საშინელი წინათგრძნობები ტანჯავდა, განუწყვეტლივ სიკვდილზე ფიქრობდა, — ვითარცა გილგამეში ენქიდუს სიკვდილის შემდეგ.

— პატროკლე რომ მოკვდა, აქილევსიც მალე მიჰყვაო, — ხმიანდებოდა მის სულში.

ტიგროსი რომ გადმოიარა და ბაბილონს მიაშურა, წინ ქალდეველი მისნები, ბაბილონელი ქურუმები და ვარსკვლავთმჩხრეკელები შემოეგებნენ და ჯარისგან ნამალევად შეჰკადრეს — ნუღარ წახვალ ბაბილონშიო, ღვთაება ბელმა მიგვანიშნა, რომ ბაბილონი შენთვის საბედისწერო იქნებაო. ალექსანდრემ ეს გაფრთხილება თითქოს არაფრად ჩააგდო და მისნებს ევრიპიდეს ლექსით უპასუხა: „უმჯობესია ის მკითხავი, ვინც გვიმკითხავებს ბედნიერებას“. არ მოეშვნენ ქალდეველები, — მაინც ნუ წახვალ, მეფეო, მაგრამ თუ არ დაიშლი, მაშინ დასავლეთს პირი უქციე და აღმოსავლეთის მხრიდან შემოდი ბაბილონშიო [7]. ეს კი დაიჯერა ალექსანდრემ. ჯარი ქალაქის აღმოსავლეთით შეაჩერა, თვითონ კი ევფრატს ჯერ სამხრეთისაკენ დაუყვა, მერე გადალახა, ხელმარჯვნივ შემობრუნდა და ქალაქს ზურგით დასავლეთისკენ და პირით აღმოსავლეთისკენ მიადგა. აქ მას ბერძნები შემოეყარნენ, მათ შორის სოფისტი ანაქსარქოსი, რომელმაც გამოიკითხა მეფის ეგზომ უცნაური სამოძრაო გეზნი და დაჟინებული „ფილოსოფიური შთაგონებით“ დაარწმუნა მეფე ქალდეველთა მისნობის სიმცდარესა და უნიადაგობაში. ალექსანდრე გულდადებულად შევიდა ბაბილონში.

მაშ, 323 წლის ახალწლობაზე ალექსანდრე მაკედონელი უკვე ბაბილონში იყო. ბაბილონი გამოაცხადა მან თავისი უზარმაზარი, ტანსრულობით და ხალხთა სიმრავლით მანამდე გაუგონარი სახელმწიფოს სატახტო ქალაქად. აქაც ნათლად გამოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის გონებრივი განსჯის სიმაღლე: მსოფლიო მონარქიის სატახტოდ მსოფლიო ქალაქი ბაბილონი და არა „მშობლიური“, მაგრამ, უკვე „პროვინციული“ პელა (მაკედონიის „მშობლიურობას“ ისედაც უნდა გაურბოდეს ალექსანდრე, ვინათგან მისი „სამშობლო“ ახლა არის მთელი მსოფლიო!). დიახ, ბაბილონი, — რომელსაც ისედაც ალექსანდრემდე მთელი ათასი წელი უჭირავს პალმა მსოფლიოს პირველქალაქობისა; ბაბილონი მსოფლიოს შუაგული—ბუნებრივ-გეოგრაფიულად,

სავაჭრო-ეკონომიკურად, პოლიტიკურ-სტრატეგიულად, კულტურულ-მორალურად.

ბაბილონში, მსოფლიოს სატახტოში, „მსოფლიოს ხელმწიფესთან“, უამრავ ხალხთა და ტომთა ელჩობა მოედინებოდა — თუ მორჩილების გამოსაცხადებლად, თუ ძღვენთა და საჩუქართა მოსართმევად, თუ კავშირის, მეგობრობისა და მოყვრობის გასამართავად, თუ მეზობელზე საჩივლელად, თუ სახელმწიფოთა შორის სადავო საქმეთა გარიგების სათხოვრად.

მოდიოდნენ ლიბიელნი, ეთიოპელნი, კართაგენელნი, იტალიელნი, ეტრუსკები, რომაელნი, იბერიელნი (ესპანელნი), კელტები, სხვანი და სხვანი.

ალექსანდრემ ბრძანა რიგი და დრო დაეწესებინათ ელჩთა მისაღებად. ყველას თავის დროზე ღებულობდა, ყველას გულისყურით და თავაზით უსმენდა, ყველას გასაოცარი სიბრძნით განსჯიდა, განიკითხავდა, მისაგებელს მიუგებდა და მისასჯელს მიუსჯიდა.

და არც ერთმა იმ ელჩთაგანმა არ უწყოდა, რომ ეს „მსოფლიოს განმაბრძნობელი“, „კოსმოკრატორი“ და „კოსმოფაგი“, ხვალ თუ ზეგ მათ სამშობლო ქვეყანათა დასამონებლად და ჩასაყლაპავად ემზადებოდა.

ჯერ კიდევ გზაში, ბაბილონს მისვლამდე, ალექსანდრეს ბრძანება გაეგზავნა ფინიკიაში — ზღვაოსნები შეჰყარეთ, გემთა ნაწილები გასთალეთ და ასაწყობად, ხმელეთის გზებით, ბაბილონში გადმოიტანეთო. აქ ნეარქოსიც ამოვიდოდა თავისი ფლოტით, ძველს ახალი ხომალდები შეუერთდებოდა და ნეარქოსი სრული საზღვაო ძალებით დაეშვებოდა და ზღვებით გარს შემოადგებოდა მთელს არაბეთის ნახევარკუნძულს. იმავე ჟამს ალექსანდრემ ჰირკანიაში გაგზავნა ჰერაკლიდე არგეოსის ძე, რომელსაც თან გაატანა გემთმშენებლები და ხეროები. ამათ ევალებოდათ ჰირკანიის მთებში ხე-ტყის დამზადება და კასპიის ზღვაზე გემების აგება. ახალი, ბერძნული ანაგების ხომალდებით კასპიის ზღვაზე უნდა გასულიყო ექსპედიცია და ევლო ჩრდილოეთით და დადგენილიყო, უერთდებოდა თუ არა კასპიის ზღვა მეოტიის (აზოვის) ზღვას, ან თუ იყო შესაძლებელი, ბოლოს და ბოლოს, ამ გზით ინდოეთის ზღვებში გასვლა.

ბაბილონში თავს იყრიდნენ სახმელეთო ჯარები, რომლებიც ალექსანდრესა და მისი სარდლების წინამძღოლობით უნდა დაძრულიყვნენ ჯერ ისევ დაუპყრობელ ქვეყანათა დასაპყრობად — სამხრეთით (არა-

ბეთი), ჩრდილოეთით (შავი ზღვის აუზი), დასავლეთით (დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზი).

იმჟამად ბალკანეთიდან ეწვივნენ „მშობლიურ ალექსანდრეს“ წარმომადგენელნი მაკედონელებისა, თრაკიელებისა, ილირიელებისა და ბერძნებისა. ყველანი ანტიპატროსს უჩიოდნენ. არც ანტიპატროსს წაუთვლემია და თავისი ძე, კასანდროსი, უფრო ადრეც უფრენია ალექსანდრესთან. კასანდროსს უნდა დაერწმუნებინა მეფე მამამისის უცოდველობაში. კასანდროსის გაგზავნა თავისთავად „გარდამეტებულ ერთგულებას“ მოწმობდა ალექსადრესადმი, რადგან ანტიპატროსის კიდევ ერთი, უმცროსი ძე — იოლაოსი — უკვე ადრევე საკუთარ ღვინისმწდედ (მერიქიფედ) ჰყავდა აყვანილი ალექსანდრეს. ისე გამოდიოდა, ორივე შვილი, თითქოს თვითნებობით მძევლებად მიეცეს ანტიპატროსს ალექსანდრესთვის...

როგორც ეტყობა, კასანდროსს (მომავალი მეფე მაკედონიისა) მამისეული კადნიერება მაინც არ აკლდა და პირველ აუდიენციაზევე, — როცა მეფის წინაშე რომელიღაც აზიელი სათაყვანოდ მიწაზე გაერთხა—ხმამაღალი სიცილი აუტყდა. განრისხებული ალექსანდრე ფეხზე წამოიჭრა, კასანდროსი თმებით დაითრია და კედელზე თავი ატახუნებინა [8].

ამის შემდგომ ბალკანეთიდან ჩამოსულებმაც ალექსანდრეს წინაშე ანტიპატროსის წინააღმდეგ საჩივრები აღავლინეს. — ეგენი მამაჩემს ცილსა სწამებენო, — იყვირა კასანდროსმა, — რას ამბობ, ეს ხალხი რომ მართლა შეურაცხყოფილი და შევიწროებული არ იყოს, ამოდენა გზას ცილისწამებისათვის როგორ გამოივლიდაო? — დაუბრიალა თვალები მეფემ, — სწორედ ეს ადასტურებს ამათ ცილისწამებასო, — ასე შორს იმიტომ წამოსულან, რომ სიცრუეში არ გვამხილონო, — არ თმობდა კასანდროსი. ამაზე ალექსანდრემ სიცილით დაიწყო და მუქარით დაამთავრა: ეგ ნამდვილი არისტოტელური სიტყვის ჭახრაკობა არისო — ეგ შენი აზრი მამაშენის გასამტყუნებლადაც გამოდგება და გასამართლებლადაცო; მაგრამ ვაი შენ და მამაშენს, თუ ეს ხალხი ოდნავადაც შეურაცხყოფილი აღმოჩნდებაო [9].

წყაროებში მაინც აღარ ჩანს, როგორ წარიმართა მტყუანთა და მართალთა გამოვლინება, მაგრამ ფაქტად ის გამოჩნდა, რომ ანტიპატროსი ჯერ ისევ დაუსჯელი და ხელუხლებელი რჩებოდა. რაც შეეხება ბერძენთა სხვა თხოვნას, რომ ბერძენი მოქირავნენი სამშობლოში

აღარ დაბრუნდნენო, ალექსანდრემ არ შეიწყნარა და ყოველი ბერძენი ლტოლვილი საბოლოოდ საბერძნეთში დააბრუნა.

საბერძნეთი კმაყოფილი იმით მაინც უნდა დარჩენილიყო, რომ ალექსანდრემ უკანვე, სამშობლოში დააბრუნა ქსერქსეს ლაშქრობის დროს სპარსთაგან გატაცებული ყოველი ძვირფასი ძეგლი და ნივთი, რომლებიც აქამდე „ტყვედ ინახებოდა“ პასარგადაში, პერსეპოლისში. სუზაში თუ ბაბილონში.

მთელი ბაბილონი გაცხოველებულ აღმშენებლობას მოეცვა. ქალაქის მოსახლეობა, ჯარი, სირია-ფინიკიიდან ჩამოყვანილი მშენებელნი — ყველანი თავთავის უბანზე მიეშვა ალექსანდრეს სამუშაოდ. ნაბუქოდონოსორის შემდგომ, აღარ ახსოვდა ბაბილონს ასეთი აღმშენებლობითი „ციებ-ცხელება“. აშენებდნენ გემებს, ნავებს, ნავსადგურს, საგემთმშენებლო დოკებს, არხებს, ღმერთ ბელის ტაძარს, ჰეფესტიონის საკრძალველ კოცონს.

ალექსანდრემ წინასწარ გაგზავნა რამდენიმე ხომალდი, რომელთაც გაიარეს ევფრატი, მოიარეს სპარსეთის ყურის კუნძულები, გავიდნენ ოკეანეში, გეზი აიღეს დასავლეთით, გაუყვნენ არაბეთის სანაპიროებს და მიაღწიეს წითელ ზღვამდე. ისევ შემობრუნდნენ და მოართვეს წინასწარი ცნობები „იმ წელსვე დასაპყრობი“ ქვეყნის შესახებ მეფეს. ალექსანდრემ ერთხელ კიდევ ირწმუნა, რომ ევფრატიდან მას ცურვით შეეძლო გასულიყო ხმელთაშუა ზღვაზეც და შავ ზღვაზეც.

მას უკან თვითონ დაეშვა გემით ევფრატზე მეფე. მას განსაკუთრებით აინტერესებდა არხად გაჭრილი მდინარის მარჯვენა განტოტება, რომელიც აწესრიგებდა საერთოდ ევფრატის მოძრაობას მისი ადიდებისა და დამცრობის მიხედვით. მეფემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ არხის სათავე ფხვიერი იყო, ხშირად იშლებოდა და მისი ხელახალი აღდგენა ან შეუძლებელი ხდებოდა, ან უზარმაზარ შრომას და ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომ ალექსანდრემ მოიძია და მიაგნო უფრო მყარ და მკვრივ ადგილს, სადაც მისი ბრძანებით მაშინვე დაიწყეს არხის ახალი სათავის გათხრა, გაკვალვა და გამაგრება. არხს დაუყვა და დელტამდე მივიდა მეფე. საჭეს საკუთარი ხელით მართავდა და გზადაგზა გულდასმით ათვალიერებდა ყოველივე თვალით მისაწვდომს, განსაკუთრებით დასავლეთით, არაბეთის სანაპიროებს. აქვე, არაბეთისა და მესოპოტამიის შესაყარში, იგი შეუდგა კიდევ ერთი „ალექსანდრიის“ დაფუძნებას და მშენებლობას.

ერთი ფრიად დამაფიქრებელი და ცუდად მისანიშნებელი ამბავიც

შეემთხვა ამ მგზავრობის ჟამს ფატალიზმის ტყვეობაში ჩავარდნილ მეფეს. საჭესთან მდგარს თავზე სამეფო დიადემით შეკრული კავსია ეხურა — მაკედონური ფართოფარფლებიანი ქეჩის ქუდი. უცებ ამოვარდნილმა ქარმა ის კავსია და დიადემა თავიდან მოაძრო და ორივე მდინარეში გადაუგდო. კავსია წყლით აივსო და დაიძირა, დიადემა კი ჭაობში ჩაძირულსა და ლერწმიანით შემოსილ რომელიღაც მესოპოტამიელი მეფის აკლდამას ჩააფრინდა. უცებ გადახტა მდინარეში ვიღაც მეზღვაური, დიადემა — რომ არ დასველებულიყო — თავზე მოიხვია და ისე მოართვა მეფეს. მიესივნენ ალექსანდრეს მკითხავები შეშფოთებულნი — ცუდი ნიშანია, რომ ვიღაც ვიგინდარას თავზე მეფის დიადემა აღმოჩნდაო, არ შეიძლება ამნაირი თავი მოუკვეთელი დარჩესო. ალექსანდრემ იმ მეზღვაურს, ჯერ ერთგული თავგამოდებისთვის ერთი ოქროს ტალანტი აჩუქა, მერე თავი გააგდებინა *. სხვა ცნობით, ალექსანდრემ იმ მეზღვაურს ფული აჩუქა, თავი შეარჩინა და გაჯოხვა აკმარა. კიდევ სხვა ცნობით, იმ დიადემის ამომტანი წყლიდან მეზღვაური კი არა, სელევკოსი იყო, ალექსანდრეს ერთი უახლოესი ჰეტერი, რომელსაც მართლაც, ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ, დიდი ხელმწიფობა ელოდებოდა [10].

ბაბილონში მობრუნებულ ალექსანდრეს ახლადმოყვანილი ჯარები დახვდა. პევკესტას სპარსეთის სატრაპიიდან 20000 სპარსელი მეომარი მოეყვანა, ამათთან კიდევ — მეომრული ბუნებით განთქმულ კოსეელთა და ტაპურიელთა რაზმები. ცხენოსანი და ქვეითი ჯარები მოეყვანათ: კარიიდან — ფილოქსენეს, ლიდიიდან — მენანდრეს, მაკედონიიდან — მენიდას. განსაკუთრებული გულისყურით მოიხილა მეფემ სპარსული ჯარები. მადლობა უთხრა მათ, ჯარსაც და სარდალსაც — პევკესტას — ერთგული სამსახურისთვის, ჯარისკაცთა მაღალი გაწრთვნილობისა და განწესებისათვის.

ახალი საომარი წყობით დააწყო ალექსანდრემ ახალი ჯარები. მან მანამდე ცალ-ცალკე სახეობათა მიხედვით საჯარისო დაყოფის ნაცვ-

---

* ანალოგიურ ამბავს გვამცნობს უფრო ადრე ჰეროდოტე: სპარსეთის მეფემ, ქსერქსემ, საბერძნეთიდან უკუქცევისას, მესაჭე, — რომელსაც საჭე გაუტყდა, მაგრამ ხომალდი მაინც ნაპირს მიაყენა და მეფე გადაარჩინა — ჯერ, ვითარცა თავდადებული ვაჟკაცი, უხვად დააჯილდოვა და მერე, როგორც გაუფრთხილებელი მესაჭე, სიკვდილით დასაჯა. უეჭველად, ძველი სამყაროს ისტორიის ეს ორი „სენსაციური“ პასაჟი, ან ერთი მათგანი, გამოიყენა ვიქტორ ჰიუგომ თავის რომანში — „93 წელი“ — ლანტენაკი რომ გემზე მეზარბაზნეს ჯერ აჯილდოებს და მერე ხვრეტს.

ლად, პირველად შემოიღო სხვადასხვა სახეობათა — ჰოპლიტთა, პელტასტთა და მსუბუქთა — კომბინირებული და მცირერიცხოვანი, მობილური დანაყოფები, რაიც, თავის მხრივ, შესაბამისად ახალ ტაქტიკურ განლაგებებსა და მიმართულებებს მოითხოვდა საომარ ველზე [11].

ბრძანება ბრძანებას მისდევდა, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე შეეყარათ ყოველი ანაგებისა და წყალწყვის სამხედრო გემი, აღჭურვილობანი, საზღვაო ეკიპაჟი და მომზადებულიყვნენ სალაშქროდ დასავლეთის ყველა მიმართულებით — აფრიკისკენ, სიცილიისკენ, იტალიისკენ, იბერიისკენ და ეს ყველაფერი ერთბაშად დაიწყებოდა მაშინ, როცა ალექსანდრე თვითონ გავიდოდა ბაბილონიდან: ხმელეთით — ფინიკიისკენ, წყლით — ევფრატ-სპარსეთის ყურით, არაბეთის შემოვლით, წითელი ზღვით, ნილოსის დელტით [12].

იდგა 323 წლის მაისი. ბაბილონი ახალი „მსოფლიო ომის" ცენტრებელებას მოეცვა. ლაშქრობის დაწყებას ერთი ნაბიჯიღა უკლდა — დაკრძალვა ჰეფესტიონისა. კოცონიც მზად იყო — გრანდიოზულობით და ფასეულობით მანამდე გაუგონარი და თვალთუხილავი საცხედრე კოცონი. 10000 ტალანტი თვითონ ალექსანდრეს დაეხარჯა მისთვის, 2000 ტალანტიც სხვებს — მეგობრებს, სტუმრებს, მაამებლებს მეფისას. იგი ხუთ ტერასაზე აღემართათ, ოქროს სვეტები შეედგათ, ოქროს არწივებით, გრიფონებით და გველებით მოერთოთ, ზეთავზე დაედგათ ოქროს სირენები, რომლებიც მიცვალებულის სადიდებელ სამგლოვიარო სიმღერებს მღეროდნენ [13]. გარშემო ხალხისა და ჯარის ტევა აღარ იყო. საბერძნეთიდან ახლად მოსული ელჩები „მეფე-ღმერთს" ეახლნენ, თაყვანი სცეს და ოქროს გვირგვინები მიართვეს. ალექსანდრეს ეგვიპტეში — ამონიუმში — თეორები (საკულტო საქმეთა რწმუნებულნი) გაეგზავნა შეკითხვით — როგორ მოვიქცეთ და როგორ დავკრძალოთ ჰეფესტიონი, ვითარცა ღმერთი თუ ვითარცა გმირიო. მხოლოდ ვითარცა გმირიო, — იყო პასუხი.

და მისცეს ცეცხლი ჰეფესტიონი-გმირის საარაკო საზორველს, სამგლოვიარო სიმღერების, ფლეიტების, საყვირებისა და ნაღარების გრიალში, ზარსა და ზუნში ჩაიწვა და ჩაიფერფლა ყოველივე. ალექსანდრემ პირველმა აპკურა ზედაშე ძმობილი-გმირის ფერფლს. სხვებიც მიჰყვნენ.

ათი ათასი ხარი მსხვერპლად დააკვლევინა იმ დღეს ალექსანდრემ და ქელეხზე მიიწვია იქ დამსწრე ჯარი და ხალხი.

საქელეხო და სამსხვერპლო ჭამა-სმა ხუთი დღე გაგრძელდა. ყვე-

ლამ იცოდა, კიდევ ამ ერთი „მსოფლიო ტრაპეზის“ შემდგომ, ახალი „მსოფლიო ომი“ იწყებოდა. ასეთი იყო ნება „კოსმოფაგისა“ და „კოსმოკრატორისა“.

და უცებ აპეირონში განსხეულდა ეს ნაღვლიანი შეგონება — „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდა“. ასე მოხდა, ვინათგან სრულიად მოულოდნელი გეზითა და შინაარსით წარემართნენ ქვემორე დღენი, ქრისტეს წინარე 323 წლისა:

31 მ ა ი ს ი. ალექსანდრემ ნეარქოსის გამოსამშვიდობებელი და ზღვაზე გასასვლელი ტრაპეზი გააწყო და ადმირალთან ერთად დანარჩენი მეგობრებიც მიიწვია. საღამოს, ის იყო, მსუბუქად შემთვრალი სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, რომ მეფეს თესალიელი მიდიოსი მიეახლა და ეჯა — მეგობრული, ფრიად მხიარული სუფრა გვაქვს და გვეწვიეთო. ალექსანდრეს მიდიოსი უყვარდა, სამხიარულო სუფრაც იტაცებდა და თხოვნაზე უარი აღარ თქვა. წავიდა, დილამდე სვა, იმღერა, იხუმრა და წამოსვლისას, თანამესუფრეების თხოვნით, პირობა დადო. მომდევნო საღამოსაც მივიდოდა სანადიმოდ.

1 ი ვ ნ ი ს ი. პირობა შეასრულა — იმ საღამოს კიდევ მიდიოსთან და მის ამხანაგებთან შუაღამემდე დარჩა სმასა და ზმაში.

2 ი ვ ნ ი ს ი. შუაღამეზე რომ მობრუნდა, თავი ცუდად იგრძნო. იბანავა, ორიოდე ლუკმა შეჭამა და ჩაწვა. მთელი დღე სიცხის ალმურში იყო გახვეული, ოფლს ასხამდა, აცახცახებდა. აშკარა იყო — ტანში ტროპიკული ციებ-ცხელება ჩასდგომოდა.

3 ი ვ ნ ი ს ი. ისევ ცუდად იყო, ძალიან ცუდად. ბრძანა, საკურთხეველთან მიმიყვანეთო; მიიყვანეს, მსხვერპლი შესწირა (რაიც წესად ჰქონდა ყოველდღიურად). სარდლები დაიბარა სათათბიროდ, სიცხიანმა. გალაშქრება 7-ში იყო დანიშნული, ერთი დღით გადასწია, 8-სთვის, უკეთ ვიქნები და შევძლებ გემზე ასვლასო. საღამოს ევფრატს გადაღმა, ბაღში გასვლა მოისურვა, გემზე აიყვანეს და გადაიყვანეს. ბაღში იბანავა. დააბრუნეს. მთელი ღამე ციებ-ცხელების თონეში იწვოდა.

4 ი ვ ნ ი ს ი. დილით იბანავა, მსხვერპლი შესწირა, სამუშაო ოთახში გადავიდა და მთელი დღე იქ იწვა, ისევ დიდ სიცხეში ჩავარდნილი მთელი დღე მიდიოს თესალიელი საწოლთან უჯდა და ენამახვილაკობით ცდილობდა მეფისთვის ტანჯვა გაექარვებინა. მომდევნო დღისთვის სარდლებთან თათბირი დანიშნა ავადმყოფმა. საღამოს ცოტა წა-

ციცქნა და დასაძინებლად დაწვა. მაგრამ მთელი ღამე თეთრად გაცვითა, ოფლით და ცეცხლით გათანგულმა.

5 ივნისი. ისევ ბანაობა, ისევ მსხვერპლწირვა. იქვე, საბანაო ოთახში დარჩა. ნეარქოსი და მისი თანაშემწე სარდლები ეახლნენ. მეფემ ისევ შეახსენა, რომ ზღვაზე გასვლა 8-ში დანიშნული. მანამდე სამი დღეა, სამ დღეში მეფე გამოკეთდება და უეჭველად შეძლებს გემზე ასვლას. ნეარქოსი დაიტოვა, საწოლთან დაისვა და, ეს მერამდენედ, ათხრობინებდა ოკეანეზე განცდილ თავგადასავლებს. გატაცებით უსმენდა და უხაროდა — მეც მალე ავდგები, მეც გავალ ზღვაზე და ყოველივეს თვითონ განვიცდი, რაც შენ ხიფათი გადაგხდენიაო. ციებ-ცხელება კი მთელი ღამე ისევ განუცადებლად ჭამდა მის სხეულს.

6 ივნისი. დილით, ჩვეულებრივი ბანაობისა და მხვერპლწირვის შემდეგ, ისევ შემოიყარა ფლოტის მეთაურები და ისევ გააფრთხილა — 8-ში თქვენთან ვარ და ყველაფერი გაამზადეთ ჩემს შესახვედრად და ზღვაზე გასასვლელადო. საღამოს აბაზანის შემდგომ, უფრო მძაფრად შემოუტია ციებ-ცხელებამ. ისევ აუტანელი ტკივილები, ისევ სრულიად უძილო ღამე.

7 ივნისი. დილით მაინც ბრძანა, დიდ წყალსაცავში ჩაეშვათ იგი. ჩაუშვეს. ძლივს ამოიყვანეს. ძლივსღა შეძლო მსხვერპლის შეწირვა. ისევ მოიწვია ფლოტის სარდლობა, ისევ ეთათბირა, ვიღაც მეთაურების გადაყენება ურჩია სტრატეგოსებს, ახალთა შერჩევაში სერიოზულობა და სიმკაცრე უბრძანა.

8 ივნისი. დადგა გალაშქრების დღე. ალექსანდრე კი მძიმე ავადმყოფად დარეცილიყო. მაგრამ მაინც ბრძანა მიეყვანათ იგი საკურთხეველთან. ხელში აიყვანეს და ეგრევე აღასრულებინეს მსხვერპლწირვა. ზღვაზე გალაშქრება კი ისევ გადასდო. სარდლებს უბრძანა, შორს ნუ წახვალთ, ღამე აქ, ეზოში გაათიეთო. უმძიმესი ღამე. უმძაფრესი ბრძოლა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის „კოსმოკრატორის“ სხეულის დაუფლებისთვის.

9 ივნისი. დილით თითქოს ისევ იმძლავრა სიცოცხლემ. ძლივს შეძლო, თუმცა მაინც შეძლო მსხვერპლის შეწირვა. სასახლის მეორე ნაწილში გადაიყვანეს. მცირედ ჩაეძინა, მაგრამ ხურვებამ ისევ გამოაღვიძა. სარდლები რომ შევიდნენ, ყველა იცნო, თუმცა სიტყვის დაძვრა კი ვეღარ შეძლო. ენა წართმეოდა მეფეს.

10 ივნისი. დილიდანვე ჯარი და ხალხი მიაწყდა მეფის სასახლეს. ხმა გავარდნილიყო ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილისა.

სტრატეგოსები არწმუნებდნენ, მეფე ცოცხალია, ოღონდ მძიმე ავადმყოფია, მაგრამ ავადმყოფობასაც დაძლევს, ვითარცა ხშირად სიკვდილი დაუძლევიაო. ზოგმა დაიჯერა, უმრავლესობამ არ დაიჯერა—მეფე მკვდარია და არ გვიმხელენო. მაგრამ ვინც ირწმუნა და არ ირწმუნა, ყველა ერთად მოითხოვდა სასახლის კარის გაღებას და მეფის სანახავად შეშვებას. არაფერმა გაჭრა — არც თხოვნამ, არც მუქარამ — და კარები გააღეს, ჯარი რიგში ჩააყენეს და მეფის სახილველად შეუშვეს. რიგ-რიგად მიდიოდნენ და მის საწოლს ჩაუვლიდნენ ჯარისკაცები. მეფე მარჯვენა ხელის სუსტი ჩამორთმევით, ოდნავი თავის დაქნევით და მკრთალი ღიმილით ემშვიდობებოდა ყველას. ის ღამე პევკესტამ, სელევკოსმა, პითონმა და კიდევ რამდენიმე ჰეტერმა სარაპისის ტაძარში გაათიეს და იქვე, ქურუმთა საშუალებით, „ღმერთს ჰკითხეს“: ხომ არ სჯობია, რომ ავადმყოფი მეფე გამოსამჯობინებლად ტაძარში გადმოვასვენოთო; მაგრამ შუაღამისას ეს „ზეციური“ პასუხი მოესმათ: „არა, აქ არ მოიყვანოთ, ვინათგან იქ უფრო მალე გახდება კარგადო“... არცერთ მათგანს არ უფიქრია, რომ ალექსანდრესთვის მაშინ „კარგად გახდომა“ თურმე სიკვდილს ნიშნავდა.

11 ი ვ ნ ი ს ი. იმ დღეს მხოლოდ უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები დასდგომოდგნენ თავზე ხელმწიფეს. სიკვდილი კი უკვე ზეიმობდა. ალექსანდრეს დაუცხრომელი სიცოცხლე იშრიტებოდა. უეჭველად, ყოველ იქ მყოფს უწვავდა გონებას ეს საკითხავნი: იგი კვდება და რა იქნება მის შემდგომ? ან ვინ იქნება? და სად ვიქნები და ვინ ვიქნები მე? ვინ იქნება მისი დიადოხოსი (მემკვიდრე)? იქნებ მე?! ან, რატომაც არა — მე!!! ან რომელია ჩემზე უმეტეს, ჩემზე უმჯობეს, ჩემზე უმამაცეს, ჩემზე უნიჭიერეს?! ჰა, იქნებ მე? დიახ, მე!..

უკანასკნელად გაახილა თვალი მომაკვდავმა. მზერა რიგრიგად ჩამოატარა და, ალბათ, ყველას თვალებში „ის საკითხავნი“ ამოიკითხა. პერდიკას ანიშნა, აწ დალეული თითიდან ბეჭედი ადვილად წაიძრო და გადასცა. მაშინვე რომელიღაცამ შესძახა, ისტერიული მღელვარებით: „ვის უტოვებ, მეფეო, შენს სამეფოს?“... „საუკეთესოს“ — ამოიხრიალა ალექსანდრემ. ერთხელ კიდევ ჩამოატარა მზერა მის „დიადოხოსთა“ სახეებზე და თქვა დაქანცული ხმით: „ვხედავ საშინელ ხმალთაკვეთებას და სისხლთა თხევას ჩემს სარეცელთან“...

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

ალექსანდრე მაკედონელი სიკვდილის საუფლოში ესვენა.

თავი XV

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ

დიდი ხელმწიფის სულის აღმოხდენისთანავე, დასანგრევად შეერყა და შეტორტმანდა მისი ცოდვიანი მახვილით მობოჭილი „კოსმოპოლისი“ — გეოგრაფიული სივრცითა და ხალხთა სიმრავლით მანამდე უსწორო და უბადლო მონარქია, გადაშლილი და გადაწვართული ადრიატიკის ზღვიდან და ლიბიის უდაბნოდან ინდოეთის შუაგულამდე.

„ღვთაებრივი“ დამპყრობლის „სურნელოვანი სხეული“ ჯერ სრულად არც კი გაციებულიყო, რომ მის სარეცელთან მართლაც გაისმა უთავეამო ომებისა და სისხლთათხევების მაუწყებელი საჭურვლის ჟღრიალი.

საესებით ბუნებრივად, იდგა საკითხი ალექსანდრეს მემკვიდრეობის სამომავლო ბედისა; მაგრამ მოხერხდებოდა კი, უსისხლოდ გადაწყვეტილიყო სწორედ სისხლისა და გვამის ნალექზე დაფუძნებული პოლიტიკური მემკვიდრეობის სახვალიო და სამერმისო ბედ-იღბალი?!

მდგომარეობას უფრო ისიც ამწვავებდა, რომ თვითონ ალექსანდრეს, არც წერილობით და არც სიტყვიერად, არავითარი „ანდერძი“ არ დაუტოვებია ტახტის მემკვიდრისა და მისი უზარმაზარი დანატოვარის მოვლა-პატრონობის თაობაზე. სარდალთა კითხვაზე — „ვის უტოვებ სამეფოსო“ — მომაკვდავმა მეფემ — „საუკეთესოსო“, — თუ ამნაირი კითხვა-პასუხი მართლა შედგა, მაშინ, ამნაირი პასუხი დააშოშმინებდა კი არა, კიდევ უფრო გაამწვავებდა დამოკიდებულებებს ტახტის „მაძიებელთა“ და „მზრუნველთა“ შორის. ასე უნდა ყოფილიყო, ვინათგან ყველა ისინი — ყველა ეს „დიადოხოსნი“ — ერთნაირად იყვნენ „საუკეთესონი“, ერთნაირად-მეთქი: ერთნაირად ღირსეულნი თუ უღირსონი, ერთნაირად ნიჭიერნი თუ უნიჭონი, ერთნაირად ბრძენნი თუ უგუნურნი. ერთი სიტყვით — იყვნენ ერთნაირნი და არც ერთი მათგანი არ იყო ტოლი და ბადალი ალექსანდრე მაკედონელისა. ამიტომ, როგორც „ერთნაირთა“ წრეს სჩვევია, ვერც ერთი

მათგანი ვერ მისცემდა თავს უფლებას, წინ გამოჭრილიყო და დაეძახნა — მე ვარ ის „საუკეთესო“, ალექსანდრემ რომ თავის ხელმწიფურ ადგილზე გაიგულისხმაო და ამიერიდან სწორედ მე გახლავარ ალექსანდრე მაკედონელიცო. ისედაც — „ერთნაირები“ ხომ თავისი წრიდან არც არავის მისცემენ ნებას ასეთი მეტიჩრული გამოხდომისთვის!

დაე, იყოს სხვა, თუნდაც ჩვენზე უარესიც, ოღონდ არავითარ შემთხვევაში რომელიმე ჩვენთაგანი! — აი, მარადიული შურის ემანაცია „ერთნაირებისა“...

არა და, ტახტი უეჭველად ვიღაცას უნდა მიჰკუთვნებოდა. ეს გარდუვალად საჭირო იყო, უკეთუ აუცილებლობას წარმოადგენდა ალექსანდრესეული სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნება, უკეთუ საისტორიო ბედისწერა ალექსანდრეს დიდი ტახტისგან მრავალი მცირე ტახტის გამოჭედვას არ აპირებდა.

რასაკვირველია, დიადოხოსობის ყველაზე „სასურველი ვარიანტი“ ისევ თვითონ ალექსანდრეს ძე, ტახტის უშუალო მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. კიდევაც ჰყოლია ვაჟი ალექსანდრეს, სახელად ჰერაკლე— ჰყოლია მემნონ როდოსელის ქვრივისგან, ბარსინასგან. მაგრამ ჰერაკლე მაინც „უკანონო ეშმაკობის“ ნაყოფად ითვლებოდა და მისი გამეფების სასარგებლოდ ბოლომდე თავს მაინც ვერავინ გამოიდებდა.

ამ მხრივ „საიმედოდ ბრწყინავდა“ ალექსანდრეს კანონიერი მეუღლე-დედოფალი როქსანა, რომელიც გვირგვინოსანი ქმრის აღსასრულისას მეექვსე თვის ფეხმძიმობაში იდგა და ტახტის „ნაღდი მემკვიდრის“ დაბადებას ელოდებოდა. მაგრამ ვინ იცოდა, მაინც და მაინც ვაჟი დაიბადებოდა, ან თუ აქაც გაამართლებდა, ვინ აიჩემებდა, რომ ის ნანატრი უფლისწული დღემოკლე ან ჭკუამოკლე არ აღმოჩნდებოდა, ანდა — თუ აქაც ყველაფერი საბედისწეროდ და ნორმალურად წარიმართებოდა, მაინც ვინ იძლეოდა პოლიტიკური მდგომარეობის გარანტიას იმ — აწი დასაბადებელი უფლისწულის გაზრდამდე და სამეფო კბილის ამოსვლამდე?!

ასე რომ, ის „მომავალი ახალი ალექსანდრე“ მაინც მხოლოდ საოცნებო იმედად რჩებოდა, ტახტზე კი „მოსვლამდე“ და „ასვლამდე“ აუცილებლად ვინმე უნდა მჯდარიყო — „მეორე ვარიანტით“, მეფის ძმა. და ასეთი „ვარიანტიც“ ყოფილა — ალექსანდრეს ძმა ჰყავდა. ეს იყო არიდაიოსი, რომელიც ფილიპეს თესალიელი მოცეკვავე ქალისგან შესძენოდა და ახლა, ალექსანდრეს სიკვდილის ჟამს, ასაკობრივად მოწიფულიც გახლდათ. რა ვუყოთ, რომ არიდაოსი ალექსანდრეს მხო-

ლოდ ნახევარძმა იყო, თანაც ეპილეფსიით დაავადებული და ჭკუაშერყეული. მთავარია, რომ იგი ფილიპეს შვილი და ალექსანდრეს სისხლის თანაზიარი იყო.

არიდაიოსის პოზიციას განსაკუთრებით განამტკიცებდა მისი „წმინდა ევროპელობაც“ — მამით მაკედონელი, დედით ბერძენი (თვითონ ალექსანდრესავით!). ასეთი კაცის გამეფებით უნდა შენახულიყო „სიწმინდე“ მაკედონურ-ელინური ტახტისა და გადარჩენილიყო იგი „აზიურ-ბარბაროსული შერევისაგან“.

და აი, პირველი შეიარაღებული გამოსვლა სწორედ არიდაიოსის სახელს დაუკავშირდა. პირველმა ხმა აღიმაღლა ქვეითმა ჯარმა, წარმომავლობით სრულიად „ნაციონალურმა“ — მაკედონურ-ბერძნულმა — და სოციალურად გლეხურმა. ეს ის ჯარი იყო, ალექსანდრესაც რომ არ ერიდებოდა და „ბარბაროსების“ აღზევებისთვის პირში საყვედურობდა.

სასახლისკენ დაძრულ ჯარს სათავეში ედგა მელეაგრე, „გაუსწორებელი ნაციონალისტი“, რომელიც არიდაიოსს თავგამოდებით უჭერდა მხარს სწორედ მისი სისხლის „რასიული სიწმინდისათვის“.

ჯარისკაცები გამაყრუებელი ღრიალით და იარაღის ზრიალით სასახლეს მიაწყდნენ, შიგ შეიჭრნენ, სადღაც შიშით შეკუნჭული არიდაიოსი გამოათრიეს, სამეფო ტანსაცმლით მორთეს და, ფილიპე III-ის სახელით, მეფედ გამოაცხადეს.

(საისტორიო ბედისწერას უყვარს ასეთი ფარსის გათამაშება: გენიოსის ადგილზე იდიოტის დასმა!).

ეს, ფაქტიურად, მელეაგრეს ერთპიროვნულ აღზევებას მოასწავებდა, ამას კი დანარჩენი დიადოხოსები არასდიდებით არ დაუშვებდნენ. ისინი, პერიდიკას მეთაურობით და კავალერიის თანადგომით, წინ ჩაეღობნენ მოიერიშე ფალანგიტებს.

და, უკვე აღესრულა წინა დღის წინასწარმეტყველება ალექსანდრე მაკედონელისა: მის სარეცელთან სისხლიანი ქელეხი იწყებოდა. დადგა საომარი ყიჟინა, ხმალთა ცემა, სისხლის ქცევა, დაჭრილთა ბღავილი და მომაკვდავთა უკანასკნელი მაწყვეტარი ამოძახილი. და ყოველივე ეს ხდებოდა იმ სასახლეში და იმ დარბაზში, სადაც ახლა ყოველგვარ ბრძოლათა და ადამიანურ ჭიდილთა მიმართ ისე მშვიდად და გულგრილად იწვა თვითონ, მარად მოუსვენარი, სისხლით მარად უძღები ომის ღმერთი — ალექსანდრე მაკედონელი.

ქვეითმა ჯარმა ბრძოლის უპირატესობა მიიღო, მაგრამ წარმატება ვეღარ განავითარა და იძულებული გახდა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო.

თათბირს პერდიკა მეთაურობდა, ასაკით ყველაზე უფროსი და თანაც იმ უპირატესობის შეგრძნებით, რომ მომაკვდავმა ალექსანდრემ ბეჭედი სწორედ მას გადასცა. რასაკვირველია, მეფის თითიდან წაძრობილი ბეჭედი სამეფო მემკვიდრეობის უფლებას როდი ანიჭებდა მოხუც სარდალს, მაგრამ ხელმწიფური ინსიგნიების დაცვა, მოელაპატრონობა და სახელმწიფო მმართველობისათვის ბჭობა-განწესრიგების მეთაურობა შეიძლება „ეპატიებინათ“ პერდიკასთვის დანარჩენ დიადოხოსებს.

თათბირმა სცნო არიდაიოსის, ანუ ფილიპე III-ის მეფობა. მაგრამ ამავე დროს, მის თანაზიარ მეფედ, ანუ „თანამეფედ“, გამოაცხადეს უფლისწულიც, რომლის დაბადებასაც მოელოდნენ როქსანასაგან. ასეთი გადაწყვეტილება კომპრომისი იყო ქვეით ჯარსა და კავალერიას შორის, ანუ პერდიკასა და მელეაგრეს შორის. ამასთანავე, ფაქტიურად არარსებულ „მეფეებზე“ ზედამხედველობაც ორივე ბელადმა დაიკისრა, მაგრამ სულ მალე პერდიკამ, საზეიმო მსხვერპლწირვის დროს, მელეაგრე ზედ სამსხვერპლოზე მიაკლა და მისი სამასი რჩეული თანამებრძოლიც სპილოებს დააჭყლეტინა.

საბოლოოდ, ალექსანდრეს სარდლებმა და „ნამდვილმა დიადოხოსებმა“, ვითომც „ორმეფობის ფონზე“, რეალურად და ფაქტიურად თავისი მმართველობა დაადგინეს და ერთმანეთში ნადავლივით გაინაწილეს. პერდიკა და კრატეროსი იმ ფაქტიურ მეფეთა მეურვეებად, ანუ „რეგენტებად“ გამოცხადდნენ, დანარჩენებს კი „მათი წილი“ ქვეყნები დაურიგდათ: ანტიპატროსს — ისევ მაკედონია-საბერძნეთი, ლისიმახოსს — თრაკია, პტოლემაიოსს — ეგვიპტე, ანტიგონეს — დიდი ფრიგია, ლიკია და პამფილია, ევმენეს — კაპადოკია და პაფლაგონია, ლეონატოსს — ჰელესპონტის ფრიგია, ლაომედონტოსს — სირია. პითონს — მიდია, პევკესტას — სპარსეთი. დანარჩენი აღმოსავლეთ აზიური და ინდური სატრაპიები სამმართველოდ დარჩათ ალექსანდრესგან დატოვებულ სატრაპებსა და რაჯებს.

სხვანაირად — ეს ნიშნავდა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს ფაქტიურ დაშლას.

იმ დღეებში როქსანამ ალექსანდრეს მეორე ცოლი დარიოსის ასული სტატირა, მის დასთან ერთად, დაახოცვინა და ჭაში ჩააყრევინა. მა-

ლე როქსანამ მართლაც ნამდვილი ტახტის მემკვიდრე აჩუქა დაბადებულ ქვეყანას.

ახლად დაბადებულს მეფობის სახელად ალექსანდრე IV დაერქვა.

მაგრამ ქვეყანა მაინც უმეფოდ იყო. ძუძუთა ბალღი და მოწიფული სულელი რა ანგარიშში ჩასაგდები იყვნენ და ერთბაშად აღზევდა და გამძლავრდა პერდიკა — მზრუნველი და რეგენტი ფიქტიური მეფეებისა. დანარჩენი დიადოხოსები კი თავიანთ „წილ სამფლობელოებში“ და თავიანთ კანში ვერ ეტეოდნენ და მტრული თვალით ზომავდნენ „ზომაზე მეტად“ ამაღლებულ „თანატოლ მეტიჩარას“.

პირველი, ვინც გაბედა რეგენტის ნება-სურვილთა ხელყოფა, იყო პტოლემაიოს ლაგიდი, ეგვიპტის გამგებელი და მპყრობელი. ამ შემთხვევაში, საქმე შეეხო ალექსანდრე მაკედონელის დაკრძალვას.

3000 ბერძენი მხატვარი მონაწილეობდა ალექსანდრეს საზეიმო დაკრძალვის მოწყობაში. უბრწყინვალეს რელიეფებით გამოკვართულ ოქროს სარკოფაგში ჩაასვენეს დიდი ხელმწიფის მუმია, ნაირგვარი ნელსაცხებლებით გაჟღენთილი. სარკოფაგი ძოწის ძვირფასი საბურველით შებურეს და უზარმაზარ, ოქრო-ვერცხლით შეკედილ ეტლზე დაასვენეს. ზემოდან ეტლს კვლავაც დიდებული ხელოვნებით ნაკეთები თაღოვანი კატაფალკი გადამხობოდა, ესეც მთლიანად ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოოქვილი. კატაფალკის თაღქვეშ ოქროს ტახტი იდგა, ტახტს ზემოთ კი — ოქროს რგოლებზე დაკიდებული უბრწყინვალესი გვირგვინი. სარკოფაგის გვერდით ელაგა უამრავ ბრძოლებში გამოვლილი საჭურველი ალექსანდრესი. სულ ზემოთ, წრიულად, ზარები და ზარაზინები ეკიდა, სვლის დროს შორიდანვე რომ შეეტყოთ საზეიმო-სამგლოვიარო პროცესიის მოძრაობა და მოახლოება. ბალდახინის ოთხივე კუთხეში გამარჯვების ქალღმერთის, ნიკეას ქანდაკება იდგა. თაღის საყრდენი პერისტილიც, იონიური კაპიტელებით გაწყობილი, აგრეთვე ოქროსი იყო, ოთხივე სვეტი თავიდან ბოლომდე ოქროს ფოთლებით შემკობილი; შიგნით, ოთხივე სვეტთან, ოთხი სურათი იდგა, ნაირგვარი თხზულხაზებით შემკულ ჩარჩოებში. ერთ სურათზე თვითონ მეფე იყო გამოხატული, ხელში მსოფლიოს მპყრობელობის სკიპტრით, ევროპელ და აზიელ მცველთა თანხლებით; მეორე სურათზე — სპილოებზე ამხედრებულ მაკედონელთა აღლუმი; მესამეზე — სამხედრო ხომალდთა საზღვაო აღლუმი; მეოთხეზე — ცხენოსანთა ბრძოლა და ხმალთაკვეთება. კატაფალკში შესასვლელს ოქროს ლომები იცავდნენ. თაღის ზეთავზე, სახურავის შუაგულში, გაშ-

ლილი იყო ძვირფასი ფინიკიური ხალიჩა, რომელზეც ესვენა ზეთისხილის რტოთა სახოვანი ოქროს გვირგვინი. ეტლის ოთხივე ბორბალი სრულად ოქროთი იყო მოჭედილი, ეტლსაც ისინი ოქროს ზამბარებით უდგნენ — მოძრაობის ჟამს, უსწორმასწორო გზებზე რომ არ შეწუხებულიყო მეფის ცხედარი. ეტლში, ოთხ-ოთხ წალიკად, თექვსმეტი ლამაზი და სრულტანოვანი ჯორი იყო შებმული, ყოველი მათგანი — ოქროს გვირგვინით თავშემკობილი, ოქროს ლაგმებით, ოქროს საკისრე-სამკერდულებით და ოქროს ეჟვან-ზარაზინებით მორთულ-მოკაზმულნი.

ასეთი ანაგებით ალექსანდრეს ცხედარი ბაბილონიდან გამოასვენეს და ევროპისკენ გაუყენეს. პროცესიას მიუძღოდა თვითონ პერდიკა, მცირე ამალისა და საპატიო სამხედრო ესკორტის თანხლებით. ალექსანდრე უნდა მიესვენებიათ ეგეში, მაკედონიის თავდაპირველ სატახტოში, და იქ დაეკრძალათ მამა-პაპეულ სამეფო საძვალეში. მაგრამ პროცესიამ ჩრდილოეთ სირიაში რომ ჩააღწია, სავსებით მოულოდნელად, წინ პტოლემაიოსი გადაეღობათ, გვარიანად მოზრდილი ჯარით, და სრულიად უბოდიშოდ და მოურიდებლად, ეტლი ალექსანდრეს სარკოფაგით და ყოველი გაწყობილობით, სამხრეთისაკენ გაატრიალა — ალექსანდრეს ცხედარი მე მისგანვე დაარსებულ ქალაქში, ალექსანდრიაში უნდა დავკრძალოო, — ბრძანა ლაგიდმა, ხმლის ვადაზე ხელდადებულმა. პერდიკა ერთი თვალის შეწონვით მიხვდა, რომ თავისი მცირე ამალით მოპირდაპირის ჯართან ვერაფერს გააწყობდა, ბოღმა გულში ჩაიტრიალა და შურისგება სამომავლოდ გაიგულისხმა. პტოლემაიოსმა კი ალექსანდრეს ცხედარი ეგვიპტისკენ გაუყენა. დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა პტოლემაიოსის ამ ნაბიჯს — „მკვდრის მიტაცებას“: სადაც ალექსანდრე დაიკრძალება, სწორედ ის არის ცენტრიც ალექსანდრეს სახელმწიფოსი! მაშასადამე, ალექსანდრეს „ნამდვილი მემკვიდრე-დიადოხოსიც“, — ანუ „ახალი ალექსანდრე“ — არის იგი, ვინც ბატონობს ალექსანდრიაში, ეგვიპტეში, და არა სხვაგან — სადმე ბაბილონში, სადმე პელაში, თუ სადმე „სხვაგან“...

პტოლემაიოსმა ალექსანდრეს ცხედარი მემფისში მიასვენა და იქვე დაასვენა, მანამ სანამ ალექსანდრიაში საგანგებო აკლდამის მშენებლობა დამთავრდებოდა. ის აკლდამა კი ოთხმოცდახუთი წელიწადი შენდებოდა და პტოლემაიოსი ვერც მოესწრო მის დამთავრებას მხოლოდ პტოლემაიოს II-მ მოახერხა იმ საოცარი, გრანდიოზული სამარხის დასრულება და შიგ „ამონ-ზევსის ძის“ დაბინავება.

პერდიკას კი აუცილებლად უნდა მოესწრო შურისძიება პტოლემაიოსისადმი, ამ ურჩი და თავხედი „სატრაპისადმი“, რომელმაც მას მკვდარი ალექსანდრე წარსტაცა და ამით კიდევაც დაამცირა და დიადოხოსთა შორის პირველობაც საეჭვოდ გაუხადა. ბედმაც გვარიანად გაუღიმა იმჟამად პერდიკას: ალექსანდრეს დედა, ოლიმპიადა, მას თავისი ასულის, კლეოპატრას ცოლობას სთავაზობდა. ოლიმპიადას ამით სურდა თავისი ნიადაგგამოცლილი ძალაუფლება განემტკიცებინა მარად საძულველი ანტიპატროსის წინააღმდეგ. პერდიკასთვისაც ფრიად მომგებიანი უნდა გამხდარიყო ეს საქორწინო გარიგება, ვინათგან იგი ამ გზით სამეფო სახლის წევრი ხდებოდა, „პრაქტიკულად“ აწ მოპოვებულ უფლებებს უკვე „თეორიულადაც“ განამტკიცებდა. მაგრამ პერდიკა ეგზომ მომგებიან წინადადებაზე პასუხს არ ჩქარობდა. თვითონ მას ცოლად ანტიპატროსის ასული ჰყავდა და მასთან გაყრა და ანტიპატროსის მოსისხლე ოლიმპიადასთან დამოყვრება საშიშიც ჩანდა. პერდიკას მაშინ, ანტიპატროსის მტრად გადაკიდება კი არა, მასთან კავშირი და პტოლემაიოსის დასჯა ეჩქარებოდა.

მაგრამ უეცრად წარმოქმნილმა მოვლენებმა უარესად გაართულეს და სულ სხვა მიმართულებით წარმართეს ისედაც უაღრესად რთული და არეულ-დარეული წუთისოფელი. წინა პლანზე წამოდგა ისევ „საბერძნეთის საკითხი“. საბერძნეთი განსაკუთრებით აამოძრავა ალექსანდრეს სიკვდილის ამბავმა. „ტყუილია, ალექსანდრე არ მომკვდარა; ის რომ მართლა მკვდარი იყოს, მთელი მსოფლიო ლეშის სუნით აივსებოდაო“, — ყვიროდა ათენელი დემადე. ხოლო, როცა ალექსანდრეს სიკვდილი სარწმუნო გახდა, მაშინვე ანტიმაკედონურმა პარტიამ მაკედონური უღლის დასამხობად საომარი ნაღარა დაჰკრა. საომარ სამზადისს სათავეში უდგნენ — ჰიპერიდე, ლეოსთენე და დემოსთენე. რომელიც ექსორიიდან დააბრუნეს და ათენში დიდის ზარ-ზეიმით მიიღეს.

ათენელებს შეუერთდნენ ეტოლიელები, ფოკიელები, თესალიელები და, ლეოსთენეს სარდლობით, დაიწყეს შეტევები მაკედონურ გარნიზონებზე. მალე პელოპონესის ქალაქებიც შეუერთდნენ აჯანყებულებს. ანტიპატროსმაც აღარ დააყოვნა და დაძრა ჯარები საბერძნეთისკენ.

ასე დაიწყო ე. წ. „ლამიის ომი“ (323—322), ასე დაერქვა, ვინათგან იგი უმეტესწილად მიმდინარეობდა თესალიის ციხესიმაგრის, ლამიის გარშემო. პირველ ხანებში ბერძნებმა წარმატებით განავითარეს შეტევები, მაგრამ მალე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ეტო-

ლიელებმა აჯანყებულთა ბანაკი დატოვეს, ანტიპატროსმა იდროვა და ძლიერად შემოუტია. ათენელებმა ბრძოლა წააგეს, ლეოსთენეც ბრძოლაში დაიღუპა. ამასობაში კიდევ ანტიპატროსს მეშველი ძალა მოუვიდა; ეს იყო ლეონატოსი, ალექსანდრე მაკედონელის უერთგულესი და უმამაცესი თანამებრძოლი, ჰელესპონტის ფრიგიის მაშინდელი მმართველი.

მაგრამ სანამ ანტიპატროსი და ლეონატოსი შეერთდებოდნენ, ბერძნებმა დაასწრეს და ლეონატოსს, — რომელიც თავის მთავარ, ქვეით ჯარებს ჩამოშორდებოდა და წინ მხოლოდ კავალერიით მოიჩქაროდა — გზა მოუჭრეს და ბრძოლა მარტოკას მიაღებინეს. ლეონატოსი კიდევაც დამარცხდა და ბრძოლაშიც დაიღუპა. მაგრამ ბერძნებმა ვერც ამ წარმატებით იხეირეს. ანტიპატროსმა ლეონატოსის ქვეითი ჯარები შეიერთა; აზიიდანაც ახალ მეშველ ძალად კრატეროსმა მოუსწრო თავისი ვეტერანებით და კრანიონთან (თესალიაში) გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში მან სასტიკად დაამარცხა ბერძენ მოკავშირეთა ჯარები.

დამარცხებულებმა ზავი ითხოვეს. გამარჯვებულებმა მძიმე საზავო პირობები წააყენეს და თავისიც გაიტანეს. საბერძნეთმა ისევ იტვირთა კისრად მაკედონური უღელი. ათენში დემოკრატია დაემხო. პოლიტიკურ მმართველობაში მონაწილეობისათვის დაწესდა ქონებრივი ცენზი, 2000 დრაქმის რაოდენობით, ამრიგად, ამიერიდან დემოკრატიის ნაცვლად, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მთლიანად მდიდარი ოლიგარქიის ხელში გადადიოდა. დემოსთენემ და ჰიპერიდემ გაქცევა მოასწრეს. ათენის უმაღლესმა სასამართლომ მათ, — ვითარცა „ომის გამჩაღებლებს“ — სიკვდილი მიუსაჯა. ვინმე არქიოსმა, ყოფილმა მსახიობმა და რიტორიკის მასწავლებელმა, მაძებართა რაზმი შემოიყარა და გაქცეულების შეპყრობა იკისრა. მკვლელებმა ჰიპერიდე კუნძულ ეგინაზე იპოვეს, შეიპყრეს და ანტიპატროსს მიჰგვარეს. ანტიპატროსის ბრძანებით, ჰიპერიდეს ენა ამოართვეს და სიკვდილს საშინელი წამებით შეჰყარეს. მას უკან დემოსთენეს გამოუდგა არქიოსი და მიაგნო კიდეც, არგოლიდის ნაპირას, მცირე კუნძულ კალავრიაზე, პოსეიდონის ტაძარში თავშეფარებული. არქიოსმა იცოდა, ტაძარში კაცის არც მოკვლა, არც ხელის ხლება არ შეიძლებოდა და გარედან მოუწოდებდა დემოსთენეს — გამოდი, შენის ნებით ჩაბარდი და პირობას გაძლევ, ანტიპატროსი შეგიწყალებს და ყველაფერს გაპატიებსო. მაშინ დემოსთენემ ეს უპასუხა ყოფილ აქტიორს: „არასოდეს შენს მსახიობო-

ბას ჩემთვის გული არ შეუძრავს და ისევე არც ახლა შენი აღთქმანი გაეკარება ჩემს გულს; შე ბრიყვო, ნუთუ არ გესმის, რომ მე სწორედ ანტიპატროსის შეწყალება უფრო მაშინებს, ვიდრე წამება და სიკვდილი; ანტიპატროსმა რომ შემიწყალოს, განა არ იტყვიან, რომ მე მაკედონელებს მივეყიდე და საბერძნეთის თავისუფლებას ვუღალატე? რა გაეწყობა — ბედი მტრის მხარეს გადავიდა, მე კი არ გადავალ მოღალატე ბედის მიბაძვით და მშობლიურ ათენს სირცხვილს არ შევყრი; მე არ შეველევი თავისუფლებას — უმშვენიერეს სუდარას ჩემსას; სიკვდილი ჩემი უმტკიცესი თავშესაფარია; იგი დამიცავს და მიხსნის ყოველგვარი დამცირებისგან". ეს თქვა დემოსთენემ და სტილი აიღო — საწერელი ლერწმის კალამი, რომელშიც საწამლავი ჰქონდა; დაეწაფა, გამოსწოვა და არქიოსს გასძახა: „ახლა შენ შეგიძლია ითამაშო როლი კრეონის და ჩემი გვამი დაუსაფლავებლად დააგდო ფრინველთა და მხეცთა საჭიჭვნად". ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო. ასე აღესრულა 62 წლისა, 322 წელს, უდიდესი რიტორი, დაუცხრომელი სახელმწიფო მოღვაწე, დაუღალავი და გაუტეხელი მამულიშვილი. შემდეგ, ათენელებმა, როცა დემოსთენეს ნაშთები ათენს გადაასვენეს და ბრინჯაოს ძეგლი დაუდგეს, ზედ ასეთი ეპიტაფია წააწერეს: „დემოსთენეს, შენ რომ იმდენი ძალა გქონოდა, რამდენიც სიბრძნე, ვერასოდეს მაკედონური მახვილი საბერძნეთზე ბატონობას ვერ ეღირსებოდა".

ანტიპატროსის გამარჯვებამ და ძალაუფლების გაზრდამ შეაფიქრიანა და შეაშფოთა პერდიკა.

ერთბაშად სცენაზე კიდევ ახალი გმირებიც გამოჩნდნენ, ქალები, დედა და შვილი — კინანა და ევრიდიკა, ორივენი ფრიად ლამაზნი (ურომლისოდაც ქალი საერთოდ „გმირი" ვერ გახდება), პატივმოყვარენი და გაბედულნი. კინანა ფილიპე II-ის ასული იყო, ილირიელი ქალისგან. და ამ მეფური სისხლისა და „ჯიშის" ქალებმა გადაწყვიტეს მათ „კუთვნილ ტახტს" მიახლოებოდნენ. მეფე არიდაიოს-ფილიპეს ცოლად უნდა შეერთო ევრიდიკა. პერდიკამ წინააღმდეგობა სცადა, მაგრამ კინანას მოკვლის მეტი ვერაფერი მოახერხა. არიდაიოსი და ევრიდიკა დაქორწინდნენ. მაშინ პერდიკა ანტიპატროსის ასულს გაეყარა და გადაწყვიტა ცოლად შეერთო ოლიმპიადასგან შეთავაზებული მისი ასული — კლეოპატრა. მაგრამ ეს ქორწინება აღარ შედგა. ანტიპატროსმა და კრატეროსმა ევროპიდან მცირე აზიისაკენ ჯარები დაძრეს. პერდიკამ მცირე აზიის პროვინციები ერთიანად ევმენეს დაუმორჩილა და ან-

ტიპაროსსა და კრატეროსს საომრად შეახვედრა. თვითონ კი, თავისი ჯარით, ეგვიპტისკენ გაეშურა, პტოლემაიოსის დასასჯელად.

მცირე აზიაში საშინელი ბრძოლა ევმენმა მოიგო. კრატეროსი ბრძოლაში დაიღუპა.

პერდიკამ ნილოსის დელტაში შეაღწია, მაგრამ პტოლემაიოსთან შეტაკებაში ვერაფერს გახდა, 2000 მეომარიც ნილოსში ჩაუცვივდა ნიანგთა ლუკმად. გადარჩენილი ჯარისკაცები აჯანყდნენ. აჯანყებულებს სელევკოსი და პითონი გაუძღვნენ, პერდიკას კარაეში შეუხტნენ და ისრებით დაცხრილეს (321 წ.) სელევკოსმა და პითონმა, მოკლული პერდიკას ადგილზე, რეგენტობა პტოლემაიოსს შესთავაზეს, მაგრამ ფრთხილმა და ჭკვიანმა ლაგიდმა უარი თქვა და ისევ ეგვიპტის მმართველობა იკმარა. სამეფო სახლისა და „მეფე-ლანდთა“ რეგენტად ანტიპატროსი გამოცხადდა.

ანტიპატროსმა ორივე მეფე და სამეფო სახლეულნი ბაბილონიდან მაკედონიაში, პელაში გადაიყვანა, ბაბილონის მმართველობა კი სელევკოსს ჩააბარა.

319 წელს მოკვდა 80 წლის ანტიპატროსი და სიკვდილის წინ ბალკანეთის მმართველობა და სამეფო რეგენტობა დაუტოვა არა თავის შვილს, კასანდროსს, არამედ ძველ მეგობარსა და თანამებრძოლს — პოლიპერხონტს.

არ შეურიგდა მშობლისგან არადჩაგდებას კასანდროსი, კავშირი შეკრა ლისიმახოსთან, ანტიგონესთან, პტოლემაიოსთან და მათი დახმარებით შეუდგა ბალკანეთზე უმაღლესი ძალაუფლებისათვის ბრძოლას.

პოლიპერხონტმა, ბერძენთა გულის მოსაგებად და ერთგული მოკავშირეების მოსახვეჭად, საბერძნეთს „ელევთერია“ (თავისუფლება) გამოუცხადა და ათენში დემოკრატია აღადგინა. კასანდროსი კი ისევ ოლიგარქიას უჭერდა მხარს. დემოკრატებმა გაიმარჯვეს და ოლიგარქთა ბელადები ამოწყვიტეს. მოკლულთა შორის იყო ფოკიონი, 85 წლისა, ათენის უკანასკნელი დიდი სარდალი და პოლიტიკოსი, უაღრესად პატიოსანი მოქალაქე, რომელმაც შვილს ანდერძად ეს დაუბარა: არამც და არამც ჩემი სიკვდილისთვის ჩემს მტრებზე შური არ იძიოო. მისი გვამი, თანამებრძოლთა ცხედრებთან ერთად, ატიკის გარეთ გაათრიეს და იქ დააგდეს დაუსაფლავებლად. ცოლმა იდუმალ მონახა ფოკიონის ცხედარი, იდუმალ დაწვა, ფერფლი უბით ჩამოიტანა და სახლში, კერის ძირში დაკრძალა. რამდენიმე წლის შემდეგ, ხალხმა მაინც მოი-

კითხა ლირსეული მამულიშვილის ნეშთი; გამოასვენეს, დიდ-ს პატივით დაკრძალეს და ძეგლი დაუდგეს. შვილმა მამის ანდერძი არ შეასრულა და მამის მკვლელები თავისი ხელით დახოცა.

ომი და სისხლისღვრა კი გრძელდებოდა. კასანდროსმა, მოკავშირეთა დახმარებით, პოლიპერხონტი გაანადგურა და საბერძნეთს დაეუფლა. ათენში მან მმართველად დემეტრიოს ფალერელი (ფალერის ოლქიდან)დანიშნა — დაკვირვებული პოლიტიკოსი, სწავლული, მწერალი და რიტორი.

მალე მოკავშირე დიადოხოსთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა. მიზეზი ანტიგონეს ერთპიროვნული უმაღლესი ძალაუფლებისკენ სწრაფვა აღმოჩნდა. მან ომი გაუმართა სელევკოსს, დაამარცხა და გააქცია იგი ბაბილონიდან. სელევკოსი პტოლემაიოსთან ჩავიდა ეგვიპტეში, ახლა ანტიგონეს წინააღმდეგ შეიკრა კოალიცია — პტოლემაიოსი, სელევკოსი, კასანდროსი და ლისიმახოსი. სელევკოსმა ისევ დაიბრუნა ბაბილონი. ბრძოლა კი გრძელდებოდა. თოთხმეტი წელიწადი არ შეწყვეტილა წვიმა სისხლისა ევროპასა თუ აზიაში.

ამავე ხანში სრულიად ამოწყდა ფილიპესა და ალექსანდრეს ოჯახიც და გვარ-ჯილაგიც.

317 წელს ალექსანდრეს დედამ, ოლიმპიადამ, შეიპყრო და საშინელი წამებით დაახოცვინა მეფე არიდაიოსი და მისი მეუღლე ევრიდიკა.

მას უკან კასანდროსმა იმძლავრა, მაკედონიაზე სრულიად გაბატონდა და ახლა მან ოლიმპიადას მიუგზავნა მკვლელები. ეს მოხდა იმავე 317 წელს. ალექსანდრეს დედა მოკლეს ქვათა დაკრებით.

311 წელს კი კასანდროსმა შეიპყრო ალექსანდრეს ცოლ-შვილი, როქსანა და თორმეტი წლის ალექსანდრე IV. შეიპყრო და დაახოცვინა. დაახოცვინა და ამით „მაკედონური დინასტიაც“ — წარმომშობელი დიდი ალექსანდრე მაკედონელისა — სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა.

დიადოხოსთა ბრძოლები კი გრძელდებოდა. ელინისტური დროეამის რუკა თითქმის ყოველ წელიწადს იცვლებოდა, იშლებოდა, ხელახლა დგებოდა და ისახებოდა. 283 წელს აღარც ერთი დიადოხოსი ცოცხალი აღარ იყო.

მაგრამ ამიერიდან ბრძოლას განაგრძობენ „დიადოხოსთა დიადოხოსნი“, ანუ „მემკვიდრეთა მემკვიდრენი“, ანუ — საკუთარი საისტორიო სახელდებით — ეპიგონები, ალექსანდრე მაკედონელის მიმდევარნი, მიმბაძველნი, „ალექსანდრობის“ დაუცხრომელი მაძიებელნი.

ისევ იცვლებოდა, იშლებოდა, ხელახლა დგებოდა და სისხლიანი მახვილებით იკერებოდა პოლიტიკური რუკები ელინისტური სამყაროისა.

ყველაზე ხანგრძლივი, მდგრადი და ძალმოსილი ელინისტურ სახელმწიფოთაგან მაინც სამი გამოდგა, სამივე კონტინენტზე განთითოებული:

ანტიგონიდური მაკედონია — ევროპაში,
სელევკიდური სირია — აზიაში,
პტოლემაიდური ეგვიპტე — აფრიკაში.

ბოლოგვე

„გმირის სიკვდილი მზის ჩასვლას ჰგავს...“ თქვა კარლ მარქსმა, და ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილს ძალზე მჭიდროდ ესადაგება ეს მშვენიერი ლოგოსი. ალექსანდრე 32 წლისა და 8 თვისა აღესრულა და ეგზომ ახალგაზრდა კაცმა, ეგზომ მცირე დროის ნაკვეთში, ეგზომი სივრცის, სიღრმისა და სიმრავლის მქონე მემკვიდრეობა დატოვა. ალექსანდრეს „მზის ჩასვლა“ თუმცა მაშინვე მისი უზარმაზარი სახელმწიფოს მზის ჩასვენებასაც მოასწავებდა, მაგრამ მისი პოლიტიკური განაზრახის ნანგრევთა ღამის ნათევზე სავსებით ახალი, ცინცხალი მზე ამოუბრწყინდა კაცობრიობას — მზე ახალი კულტურისა, ახალი ცივილიზაციისა.

და სწორედ ეს იყო აპოთეოზი ალექსანდრე მაკედონელისა — აპოთეოზი სიკვდილის შემდგომ, რომლის სიმაღლეს იგი მის ხანმოკლე წუთისოფელში „ღმერთად ქცეულიც“ არ მოსწრებია.

ეს იყო დაბადება ახალი მსოფლიო ცივილიზაციისა, რომელიც ისტორიაში დამკვიდრდა ე ლ ი ნ ი ზ მ ი ს სახელწოდებით (პირველად ეს ტერმინი სამეცნიერო სიტყვიერებაში შემოიტანა ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა, იოჰან გუსტავ დროიზენმა). ეს იყო, უწინარესად, ე ლ ი ნ უ რ ი კულტურის გატანა და განფენა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ შ ი, და იქიდანვე — შ ე რ წ ყ მ ა „მომხვდურისა“ და „დამხვდურისა“ — ელინურისა და აღმოსავლურისა. სამიათასწლოვანმა აღმოსავლურმა ცივილიზაციამ, ნილოსიდან ფენჯაბამდე, თავის წიაღში სრული ცხოველმყოფელობით შეირწყა და შეისისხლხორცა ათასწლოვანი უზენაესი ელინური კულტურა. ასევე, თავის მხრივ, ელინურ-ბერძნულმაც უხვად შეითვისა და „შეითავისა“ აღმოსავლური კულტურული მემკვიდრეობა.

და ასე — ე ლ ი ნ უ რ ი გადაიქცა ე ლ ი ნ ი ს ტ უ რ ა დ, ანუ ბერძნული — ბერძნულ-აღმოსავლურად.

და სწორედ ეს იყო ხორცშესხმა ალექსანდრე მაკედონელის საწუთისოფლო ოცნებისა.

რასაკვირველია, ბერძნულ და აღმოსავლურ კულტურათა ურთიერთობანი და „მი-მო-ქცევანი“, ანუ აღმოსავლეთის „ელინიზაცია“ და საბერძნეთის „ორიენტალიზაცია“ უფრო ადრინდელი და ხანგრძლივი პროცესი იყო (ისევე, როგორც ხდება ყოველ მეზობელ ხალხთა კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში), მაგრამ რ ა დ ი კ ა ლ უ რ-თ ვ ი-ს ე ბ რ ი ვ ა დ ამ პროცესის საფუძვლის დამდები მაინც ალექსანდრე მაკედონელი იყო.

არც ის არის საკამათო, რომ ალექსანდრე მაკედონელი, უწინარეს ყოვლისა, მაინც ტიპური დამპყრობელი იყო და, მსოფლიოს მპყრობელობის ამბიციებს აყოლილი მახვილით, მან თავის თანადროულ მსოფლიოს უზღვავი და უზღავი სისხლი და ცრემლი ანთხევინა. ამ მხრივ, მისანიშნებელია ძველ დროშივე გავრცელებული ანეკდოტი — თითქოს, ერთ მეკობრე-ყაჩაღს ეთქვას ალექსანდრესთვის: მეც იმასვე ვაკეთებ, რასაც შენ, ოღონდ უფრო მცირე ძალებითო. მაგრამ — რა გაეწყობა — ეს მსოფლიოს დამწიოკებელნი და სისხლმაქცევარნი დღემდე, მაინც „ისტორიის ნებიერნი“ დარჩენილან: ისტორიკოსი, მწერალი, თუ საერთოდ ყოველი „რჯულის“ კალმოსანი, ძველთაგანვე, ისე თავდავიწყებით ეტანებოდა ამ მსოფლიო სისხლში მობანავე „მსოფლიო დამპყრობელთა“ თავგადასავლებს, როგორც დამპალ ლეშს მშიერი სვავი. ამიტომ არც ერთ სოფოკლეზე, არისტოტელეზე, არქიმედეზე და ლეონარდოზე არ დაწერილა იმდენი ფოლიანტი, რამდენიც ალექსანდრე მაკედონელზე, კეისარზე, ჩინგის ხანზე და ნაპოლეონზე, ანუ საერთოდ — მსოფლიო ისტორიაში არც ერთ დიდ მეცნიერსა და ხელოვანზე არ დახარჯულა იმდენი საწერანი, რამდენიც ადამიანთა გვამებზე აღზევებულ „მსოფლიო დამპყრობლებზე“.

მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის სისხლიან მახვილს მაინც დიდი, სამომავლო, კულტურული აზრი და გეში მიუძღოდა წინ.

ალექსანდრეს თავდაპირველი პოლიტიკური განაზრახი — შეექმნა ერთიანი, „ევრაზიული“ ანუ „აღმოსავლურ-დასავლური“ მსოფლიო სახელმწიფო — სრული კრახით დამთავრდა: მისგან შექმნილი მსოფლიო სახელმწიფო მისი სიკვდილისთანავე დაინგრა და დაიშალა. დიდ კოსმოკრატორს ჯერ კიდევ სიცოცხლის ნიშატი სრულად არ გასცლოდა, რომ მისი „ელინისტური მსოფლიო“ უმალვე „ელინისტურ სახელმწიფოებად“ დანაკუწდა და დაიფლითა. მაგრამ ეს—სავსებით ბუნებრივად—ასედაც უნდა მომხდარიყო, რამდენადაც შიშველი იარაღითა და ძალადობით ყოველგვარი „კოსმოპოლისის“, გინა „მსოფლიო სა-

ზელმწიფოს“ დამკვიდრება წმინდა წყლის იდეალიზმია. ხაზს ვუსვამთ სიტყვა „დამკვიდრებას“, ვინათგან ასეთი ამბიციით აკვიატებული „კოსმოპოლისის“ შექმნას მართლაც ახერხებენ ალექსანდრე მაკედონელის მსგავსი „კოსმოკრატორები“ და „კოსმოფაგები“, მაგრამ ერთია არარსებულის შ ე ქ მ ნ ა და მეორე და სულ სხვა — შექმნილის დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ა. ალექსანდრემ შექმნა და მისგან შექმნილი მხოლოდ მანამ მკვიდრობდა, სანამ თვითონ იყო ცოცხალი, ხოლო, როგორც კი თვითონ აღესრულა, — კაცთა სისხლითა და ძვალ-ხორცით ნაგები მისი მსოფლიო სახელმწიფოც უმალვე აღესრულა. ეს, — რაც შეეხება ალექსანდრეს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ კ ო ს მ ო პ ო ლ ი ტ ი ზ მ ს და მის კრახს; მაგრამ ალექსანდრეს განაზრახთა მეორე მხარე — კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი კ ო ს მ ო პ ო ლ ი ტ ი ზ მ ი — საკსებით რეალურ მოვლინებად იქცა.

მაშ, „ალექსანდრიზმი“ პოლიტიკური განზრახულობით სრული ი დ ე ა ლ ი ზ მ ი აღმოჩნდა, ხოლო კულტურული განზრახულობით — სრული მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი.

ალექსანდრესეულ ელინიზმში სრული განივთებით შეერწყა ერთურთს ელინური („წმინდა ბერძნული“) და ორიენტალური („წმინდა აღმოსავლური“) მოვლენები: ბერძნული დემოკრატიზმი და აღმოსავლური მონარქიზმი, ბერძნული მატერიალიზმი და აღმოსავლური მისტიციზმი, ბერძნული ანთროპომორფიზმი და აღმოსავლური აბსტრაქტიზმი, ბერძნული რაციონალიზმი და აღმოსავლური ირაციონალიზმი.

ყოველი მანამდელი ექო და ანტიექო აღმოსავლეთ-დასავლეთის სულიერი ურთიერთობისა, ალექსანდრე მაკედონელის წყალობით, ერთსხეულებრივ სიმფონიად იქცა.

არისტოტელე და კალანე, თავიანთი ფილოსოფიებით, მანამდე ჩაკეტილნი იყვნენ, ერთი — საბერძნეთში, მეორე — ინდოეთში. ალექსანდრემ კი ეს „ლოკალური ფილოსოფოსნი“ ერთბაშად „გაამსოფლიოვა“ — ერთი აღმოსავლეთისკენ განავრცო და „გააშინაურა“, მეორე — დასავლეთისკენ.

არისტოტელე ისევე გახდა მსოფლიო აზროვნების მეუფე, როგორც ალექსანდრე იყო მსოფლიოს პოლიტიკური მეუფე, და აქ ცხადზე ცხადია უდიდესი ნაცვალგებითი მიძღვნა მოწაფისა მასწავლებლისადმი...

თვითონ დროიზენმა ელინიზმი სამას წელიწადში გაიგულისხმა — 334—30 წლებში, ანუ — ალექსანდრეს აღმოსავლურ ლაშქრობათა დასაწყისიდან რომაელთა მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე. მაგრამ, ვინათ-

გან ელინისტური ცივილიზაცია რომის მსოფლიო იმპერიის ხანაშიც კიდევ ხუთასი წელიწადი პირველობდა და დომინანტობდა, ამდენად მთელი ეს რვაასწლოვანი კულტურული ისტორია მეცნიერებაში, ზოგჯერ, „ორ პერიოდად“ განიხილება — „ალექსანდრიული“ და „რომაული“. მაგრამ ასეთი ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი დაყოფა სავსებით პირობითია, ვინათგან ელინიზმი მაინცდამაინც ტ ი პ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ერთი მთლიანი, „განუყოფელი“ ფენომენია საერთო-საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში.

სამი ათასამდე ხელოვანი და მეცნიერი მისცა ელინიზმმა მსოფლიოს; მათ შორის, მწერლები და პოეტები — კალიმაქე კირენელი, არატოს სოლელი, აპოლონიოს როდოსელი, ანტიპატროს სიდონელი, ანტიმაქოს კოლოფონელი, ფილეტას კოსელი, ჰერმესიანაქტოს კოლოფონელი, ევფორიონი, პართენიოსი, ასკლეპიადე სამოსელი, პოსეიდიპე, ჰედილოსი, ანიტე ტეგეელი, ჰედილე, მოიერო, ნოსიდა ლოკრელი, ლეონიდე ტარენტელი, მელეაგრე გადარელი, მენანდრე, ალექსანდრე ეტოლიელი, სოსიფანე სირაკუზელი, დიონისიადე ტარსელი, ჰომეროს ბიზანტიონელი, ფილისკოს კერკირელი, ლიკოფრონ ქალკიდელი, სოსითეოსი, მაქონ სიკიონელი (თუ კორინთელი), რინთონ ტარენტელი, ჰერონდა, თეოკრიტოსი, ეკლესიასტე, ლონგე, ჰელიოდორე, ქსენოფონტ ეფესელი, ქარიტონ აფროდისელი, აქილევს ტატიოსი და ლუკიანე სამოსატელი, ფილოსოფოსები — ეპიკურე, თეოფრასტე ლესბოსელი, სტრატონ ლამფსაკელი, ანდრონიკე როდოსელი, ბოეთოს სიდონელი, მენიპე გადარელი, ზენონი, ქრისიპე, სენეკა, ეპიქტეტე და მარკუს ავრელიუსი; ისტორიკოსები და გეოგრაფოსები — არისტობულე, ნეარქოსი, ანდროსთენე, ონესიკრიტოსი, პტოლემაიოსი, მანეთონი, ბეროსი, პოლიბიოსი, პოსიდონიოსი, დიოდოროს სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი, სტრაბონი, პლუტარქოსი, აპიანე ალექსანდრიელი, არიანოსი, კლავდიოს პტოლემაიოსი და პავსანია; ფილოლოგოსები და გრამატიკოსები — არისტოფანე ბიზანტიონელი, არისტარქე სამოთრაკელი, კრატეტ მალოსელი, დიონისიოს თრაკიელი, აპოლონიოს დისკოლოსი, ჰეროდიანე და ჰეფესტიონი; მათემატიკოსები და ასტრონომები — ევკლიდე, არისტარქე სამოსელი, სელევკოს ქალდეველი, ჰიპარქოს ნიკეელი და არქიმედე სირაკუზელი; ხუროთმოძღვარნი და მოქანდაკენი — დეინოკრატე როდოსელი, სოსტრატოს კნიდოსელი, პარმენისკე, ქარეს ლინდოსელი, აგესანდროსი, პოლიდოროსი, ათენადოროსი და ევტიხიდე სიკიონელი.

ელინისტურმა ხანამ უძღვნა მსოფლიოს სახვითი ხელოვნების განსაცვიფრებელი ნიმუშნი: როდოსის კოლოსი, ფაროსის შუქურა, აფროდიტე მილოსელი, აპოლონ ბელვედერელი, ლაოკოონი, ანტიოქიის ტიხე, ფარნეზის ხარი და პერგამონის საკურთხეველი.

ელინიზმის წიაღში დაიბადნენ — ქრისტიანიზმი და ნეოპლატონიზმი.

ელინიზმის უპირველესი მატარებელი, გამტარებელი და გამავრცელებელი იყო ქალაქი პოლისი, და აქაც ალექსანდრე გახლდათ პირველი საფუძვლის ჩამყრელი და საძირკვლის გამსკვნელი. 70—80 ქალაქი დაუარსებია ქალაქთმშენებლობის ამ „მსოფლიო მანიაკს“ და მისი „ალექსანდრიები“, „ალექსანდროპოლისები“, „ნიკეები“ და „ნიკიფორიები“ ბურჯებად, ბჭეებად და ნიშანსვეტებად ედგნენ მისგანვე შექმნილ ახალ, „ალექსანდრეულ“, მსოფლიო ცივილიზაციას. მის შემდგომ კიდევ, მისი მიმბაძველი „მემკვიდრენი“ („დიადოხოსები“) და „მიმდევარნი“ („ეპიგონები“) მსგავსივე „ალექსანდრული სიშმაგით“ აშენებდნენ ახალ ქალაქებს, ელინიზმის ახალ კერებს, ბურჯებს და ნიშანსვეტებს.

საუკუნეები მოატარებდნენ ალექსანდრე მაკედონელის მქუხარე სახელს.

ითქმოდა სინამდვილე.

ითქმოდა ლეგენდა.

მიეწერებოდა, რაც მან თქვა და არა თქვა.

მიეწერებოდა, რაც მან ჰქმნა და არა ჰქმნა.

და ყოველივე — ისე, ვითარცა ადამიანები მუდამჟამს მიუგებენ „მოკვდავ ღმერთთაგან“ რჩეულ სახელს, დიადსა და მარად სახსოვარს.

შემოკლებანი:

არ. — არიანოსი
არისტ. — არისტოტელე
დემოსთ. — დემოსთენე
დიოდ. — დიოდოროს სიცილიელი
დიო ქრ. — დიონ ქრისოსტომი
ევრიპ. — ევრიპიდე
ვალ. მაქს. — ვალერიუს მაქსიმე
თეოპ. — თეოპომპე
თუკ. — თუკიდიდე
იუსტ. — იუსტინე
კლავდ. ელ. — კლავდიუს ელიანუსი
კურც. — კურციუს რუფუსი
პავს. — პავსანია
პლინ. — პლინიუსი
პლ. — პლუტარქოსი
პოლიბ. — პოლიბიოსი
პოლიენ. — პოლიენუსი
სენ. — სენეკა
სტრაბ. — სტრაბონი
ფრონტ. — ფრონტინუსი
ციც. — ციცერონი
ჰერ. — ჰეროდოტე

შენიშვნები

თავი I

1. ჰერ. VIII, 137—139
2. დიო ქრ. II, 18
3. თუკ. II, 100, 2
4. დიოდ. XIV, 37; არისტ. პოლიტ. V, 8, 11.

თავი II

1. თეოპ. ფრგამენტები 27; პოლიბ. VIII, 12, 5 და ა. შ.

2. ფილიპემ თავის ახალ საომარ წყობას საფუძვლად დაუდო ეპამინონდას „ირიბი წყობა“, რომელიც თებელმა სარდალმა გამოიყენა სპარტელთა წინააღმეგ 371 წელს, ქალაქ ლევკტრასთან მომხდარ ბრძოლაში. ეპამინონდამ აქ სპარტელთა ჩვეულებრივი, სწორხაზოვანი ფრონტის პირისპირ, თებელთა ჯარი განალაგა „ირიბად“— განსაკუთრებულად გაძლიერებული მარცხენა ფლანგით წინ; ხოლო უფრო სუსტი მარჯვენა ფლანგით უკან, დაქანებით. თებელებმა ასეთი „ირიბი სოლით“ გაარღვიეს და გაანადგურეს სპარტელთა განლაგებანი.

3. ფრონტ. IV, 2, 6.

4. პოლიენ. IV, 2, 3.

5. იუსტ. VIII, 3, 10.

6. Белох Ю,. История Греции, т. II, М., 1899, 415.

7. ოთხასი წლის შემდეგ პლუტარქოსს კიდევ უნახავს მდინარე კეფისეს პირზე დიდი, ბებერი მუხა, რომლის ქვეშ თავისი ლაშქრით საომრად გამზადებული მდგარა ჭაბუკი ალექსანდრე მაკედონელი (პლ.. ალექს. 9).

8. ქერონეიის ბრძოლის შესახებ: დიოდ. XVI, 85; პოლიენ. IV, 2, 2, 7; პლ. ალექს. 9; იუსტ. IX, 3, 9; პავს. VII, 6, 5; XII, 3,3; სტრაბ. IX, 2,36.

9. პავს. IX, 1, 8; IX, 37, 8; IV, 27, 10; დიოდ. XVI, 87; იუსტ. IX, 4, 6—10.

10. დიოდ. XVI, 91; იუსტ. IX, 5, 8.

11. თეოპ. ფრაგმ. 249; დემოსთ. ოლინთ. II, 18.

თავი III

1. აპლ. ალექს. 2.

2. პლ. ალ. 3.

3. პირველად ეს ჩაუწერია თავის „მოგონებებში" არისტოქსენოს ტარენტელს, არისტოტელეს მოწაფესა და ალექსანდრეს თანამედროვეს. იხ. პლ. ალ. 4.

4. პლ. ალ. 5.

5. პლ. ალ. 4.

6. კურც.

7. პლ. ალ. 6.

8. ახ. წ. I საუკუნეში კიდევ უჩვენებდნენ არისტოტელეს ქვის საკარძელს მისი ლექციებისთვის განკუთვნილ ნიმფაიონის ჩრდილოეან ხეივანში. იხ. პლ. ალ. 7.

9. პლ. ალ. 9; კურც. VIII, 1, 25.

10. პლ. ალ. 9.

11. პლ. ალ. 10; არ. III, 6, 5.

12. დიოდ. XVI, 94; ვალ. მაქს. VIII, 14. ეს ანეკდოტი პლუტარქეს ალექსანდრეს სახელთან აქვს დაკავშირებული.

13. პლ. ალ. 10; იუსტ. XI, 2, 1—3; დიოდ. XVII. 2, 1; არ. I, 25, 1.

14. დიოდ. XVII, 2, 2.

თავი IV

1. დიოდ. XVII, 3; პლ. დემოსთ. 22, ფოკიონი. 16.

2. დიოდ. XVII, 2.

3. დიოდ. XVII, 5.

4. იქვე.

5. დიოდ. XVII, 4.

6. Дройзен И., История эллинизма, т. I, 1890, 64—65.

7. დიოდ. XVII, 4, 7.

8. არ. I, 1, 2.
9. პლ. ალ. 10; დიოდ. XVII, 2; იუსტ. IX, 7; პავს. VIII, 7, 7.
10. არ. I, 1, 4—6.
11. არ. I, 5—6; I. 6, 1—10.
12. იუსტ; XI, 2, 8.
13. თებეს გარშემო გამართული ბრძოლებისა და მისი ტრაგედიის შესახებ: არ. I, 7—9; დიოდ. XVII, 11—14; პლ. ალ. 11; იუსტ. XI, 3, 4.
14. პლ. ალ. 12.
15. დიოდ. XVII, 16, 2.
16. პლ. ალ. 15.
17. იხ. არ. VII, 9, 6.

თავი V

1. ჟან-ჟაკ რუსო.
2. დიოდ. XVI, 41—42.
3. დიოდ. XVI, 44, 1; XVI, 46, 4; თეოპ. ფრაგმ. 135.
4. არ. II, 14, 2.

თავი VI

1. აზიაში მოლაშქრე საომარ ძალთა შესახებ: დიოდ. XVII, 17; არ. I, 11, 3; Дройзен И.. История эллинизма, т. I, 1890, 94; Белох Ю., История Греции; т. II, 1899, 497.
2. არ. I, 18, 4.
3. არ. I. 11, 2.
4. Белох Ю., История Греции, т. II, 498.
5. არ. I, 11, 7—8.
6. არ. I, 12, 8; I, 16, 3.
7. ამ ანეკდოტის შესახებ იხ. პავს. VI, 18, 2.
8. გრანიკოსის ბრძოლის შესახებ: არ. I, 13—15; დიოდ. XVII, 19, 21; პლ. ალ. 16.
9. არ. I, 16, 4; VII, 10, 4; იუსტ. XI, 6, 13.
10. არ. I, 17, 5.
11. Дройзен И., История эллинизма, т. I, 1890, 111.
12. არ. I, 18, 19; დიოდ. XVII, 22; სტრაბ. XIV, 1,7.
13. არ. II, 1, 1.
14. პლ. ალ. 17.
15. ამ შეთქმულების შესახებ: არ. I, 25; დიოდ. XVII, 32 და 80; კურც. VII, 1 და ა. შ.
16. არ. III, 2, 5.

17. კურც. III, 1, 21.
18. დიოდ. XVII, 30; კურც. III, 2, 1.
19. დიოდ. XVII, 30, 4; კურც. III, 2, 18.
20. არ. II, 4, 7—11; პლ. ალ. 19; სენ. რისხვ. II, 23.
21. კურც. III, 8, 10.
22. არ. II, 6, 3—6.
23. პლ. ალ. 20.
24. კურც. III, 8, 19.
25. პლ. ალ. 20.
26. ისოსის ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ: არ. II, 10—11; დიოდ. XVII, 33—36; პლ. ალ. 20; კურც. III, 9, 1—12; 10, 1—10; 11, 1—27.
27. ციც. შინ. XV, 4, 9; ატიკ. V, 20, 3.
28. პლ. ალ. 21.

თავი VII

1. იხ. დიოდ. XVII, 48; კურც. IV, 1, 33.
2. არ. II, 14; კურც. IV, 1, 6—7.
3. კურც. IV, 5, 11.
4. პოლიენ. IV, 3, 3.
5. საერთოდ დარიოსისა და ალექსანდრეს მიმოწერის დროსა და შინაარსში წყაროებს ერთი, შეთანხმებული აზრი არ გააჩნიათ.
6. „ტიროსის ომის“ შესახებ: არ. II, 17—24; დიოდ. XVII, 40, 2—5; პლ. ალ. 24—25; კურც. IV, 2—4.
7. ასე უწოდებს არიანოსი (II, 25, 4); კურციუსთან კი მოხსენიებულია ბეტისი, ხოლო იოსებ ფლავიუსთან (იუდ. სიძვ. XI, 8, 4) — ბაბამესე.
8. არ. II, 26, 4; კურც. IV, 6, 11—12.
9. ღაზის ბრძოლათა შესახებ: არ. II, 25, 4—27; კურც. IV, 6, 7—31; პლ. ალ. 25.

თავი VIII

1. არ. III, 1,4.
2. ალექსანდრიის დასაწყისის შესახებ: არ. III, 1, 5; კურც. IV, 8, 1—2; პლ. ალ. 26.
3. არ. III, 3, 5; პლ. ალ. 27.
4. არ. III, 4, 5; კურც. IV, 7, 25—27; პლ. ალ. 27.
5. პლ. ალ. 28.

თავი IX

1. პლ. ალ. 30; კურც. IV, 10, 25—34; არ. IV, 20, 1—3; დიოდ. XVII, 54.
2. იხ. არ. III, 8, 3—5; კურც. IV, 9, 2—4.

3. არ. III, 8,6.
4. დიოდ. XVII, 55, 5.
5. არ. III, 7, 6; კურც. IV, 10, 2—6.
6. არ. III, 8, 7; პლ. ალ. 31.
7. არ. III, 9, 5—8.
8 იხ. კურც. IV, 13, 4—10; პლ. ალ. 31; არ. III, 10, 1—2.
9. პლ. ალ. 32.
10. იხ. პლ. ალ. 32; პოლიენ. IV, 6.
11. წყაროები ბრძოლაში დახოცილთა რიცხვს სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენენ. საერთოდ გავგამელას ბრძოლის შესახებ; არ. III, 13—15; დიოდ. XVII, 58—61; პლ. ალ. 32—33; კურც. IV, 15—16; V, 1.
12. პლ. ალ. 34.
13. წყაროებში მოცემული სხვადასხვა რიცხვთაგან ჩვენ საშუალოს ეღებულობთ; იხ. არ. III, 18; დიოდ. XVII, 56; კურც. V. 3, 17.

თავი X

1. დიოდ. XVII, 65; კურც. V, 1, 40.
2. პლ. ალ. 39.
3. დიოდ. XVII, 68, 1.
4. არ. III, 18, 1—9; დიოდ. XVII, 68, 1—7; კურც. V, 4, 1—34.
5. დიოდ. XVII, 69, 3—9; კურც. V, 5, 5—24.
6. პლ. ალ. 37; დიოდ. XVII, 71; კურც. V, 6—9.
7. დიოდ. XVII, 70, 1.
8. დიოდ. XVII, 70, 6.
9. პლ. ალ. 37.
10. პლ. ალ. 38.
11. იქვე.
12. პლ. იქვე; დიოდ. XVII, 72, 5—6; კურც. V, 7, 3—7; არ. III, 18, 11—12.
13. იხ. კლავდ. ელ. IV, 29.
14. პლ. ალ. 39.
15. პლ. ალ. 40.
16. იქვე.
17. პლ. ალ. 41.
18. არ. III, 19, 5.
19. კურც. V, 8, 6—17; V, 9, 1—8.
20. კურც. V, 11, 5.
21. კურც. V, 11, 5—6.
22. პლ. ალ. 43.
23. პლ. ალ. 42.
24. არ. III, 22, 1.
25. არ. III, 23, 4; დიოდ. XVII, 76.

26. პლ. ალ. 44; კურც. VI, 5, 19.
27. კურც. იქვე.
28. არ. II, 13, 6, დიოდ. XVII, 48; კურც. IV, 1, 39.
29. დიოდ. XVII, 62.
30. დიოდ. XVII, 63; კურც. VI, 1—16; იუსტ. XII, 1, 8—12.

თავი XI

1. პლ. ალ. 47.
2. პლ. ალ. 46.
3. არისტ. ფრაგმ. 81.
4. არისტ. პოლიტ. VII, 6, 1.
5. იქვე, III, 8, 1—2.
6. პოლიბ. XII, 23.
7. არისტ. პოლიტ. VII, 14.
8. იქვე, VII, 14, 15.
9. პლ. ალ. 47.
10. იქვე.
11. იქვე.
12. იქვე.
13. ამ შეთქმულების შესახებ: არ. III, 26, 1—3; დიოდ. XVII, 79, 1—6; 80, 1—2; პლ. ალ. 49; კურც. VI, 7, 1—35; 8, 1—26; 9, 1—36; 10, 1—37; 11, 1—40.
14. არ. VII, 6, 1; პლ. ალ. 47.
15. არ. III, 28, 2—3.
16. არ. III, 29. 5.
17. არ. III, 29, 2—5.
18. ბესას შეპყრობის ამბავს ასე, და ყველაზე სარწმუნოდ გადმოგვცემს არიანოსი (III, 29, 6—7; 30, 1—4). იხ. აგრეთვე — კურც. VII, 5, 19—26; დიოდ. XVII. გვ. 7—8.
19. არ. III, 30, 10—11; კურც. VII, 6, 1—7.
20. არ. IV, 1, 1—2.
21. არ. IV, 2,2.
22. არ. IV, 3, 1—4; კურც. VII, 6, 16—23.
23. კურც. VII, 7, 1.
24. არ. IV, 4, 1—8; კურც. VII, 9, 9—16.
25. არ. IV, 5, 1.
26. არ. IV, 5, 2; კურც. VII, 7, 30—39.
27. კურც. იქვე.
28. არ. IV, 6, 3—5; კურც. VII, 9, 21—22.
29. ეს ცნობა ეკუთვნის მხოლოდ კურციუსს — VII. 10, 10.
30. Дройзен И., История эллинизма, т. I, 1890, 252.

31. არ. IV, 7, 3; კურც. VII, 10, 10; დიოდ. XVII, 83, 9. პლუტარქოსი კი გადმოგვცემს, რომ ბესა ხის დადრეკილი ტოტებით გახლიჩეს (ალ. 43).

32. არ. IV, 7, 2; კურც. VII, 10, 11.

33. ევრიპ. ანდრომ. 687.

34. კლიტოსის მკვლელობის შესახებ: არ. IV, 8, პლ. ალ. 50—52; კურც. VIII, 1, 22—52.

35. კურც. VIII, 3, 9.

36. არ. IV, 18, 5—7 და IV, 19, 1—4.

37. არ. IV, 19, 4—6.

38. კურც. VIII, 4, 27.

39. არ. IV, 10, 2.

40 პლ. ალ. 28.

41. იქვე.

42. პლ. ალ. 52.

43. იქვე, 54.

44. არ. IV, 12, 3—5; პლ. ალ. 54.

45. კურც. VIII, 7, 1—14.

46. „ჰერმოლაოსის შეთქმულების“ შესახებ: არ. IV, 13, 1—7; 14, 1—4; კურც. VIII, 6, 7—30; 7,1—14; 8, 1—23; პლ. ალ. 55.

თავი XII

1. ჰერ. III, 94; VII, 66.

2. არ. ინდ. 19; კურც. VIII, 25, 6; პლ. ალ. 64.

3. კურც. VIII, 5, 3—4.

4. არ. V, 1—2; კურც. VIII, 10, 13; იუსტ. XII, 7.

5. არ. IV, 27—28; კურც. VIII, 10; იუსტ. XII, 7; დიოდ. XVII, 84.

6. არ. V, 3, 6.

7. პლ. ალ. 60.

8. კურც. VIII, 13, 21.

9. არ. V, 15, 1—2; პლ. ალ. 60.

10. ამ ბრძოლის შესახებ: არ. V, 16—18; დიოდ. XVII, 87—89; პლ. ალ. 60; კურც. VIII, 14, 1—46.

11. არ. V, 18, 7.

12. არ. V, 19, 1.

13. კურც. IX, 1, 1—3.

14. არ. V, 19, 5; პლ. ალ. 61.

15. არ. V, 22—24; კურც. IX, 1, 14—18.

16. კურც. IX, 1, 24—30.

17. არ. V, 25—26; კურც. IX, 2.

18. არ. V, 27; კურც. IX, 3, 5—15.

19. დიოდ. XVII, 94.

20. არ. V, 29, 1.
21. დიოდ. XVII, 95, 1—2; არ. V, 29; კურც. IX, 3, 19; პლ. ალ. 62.
22. კურც. IX, 3, 20; არ. VI, 2, 1.
23. არ. VI, 3, 3—5; პლინ. XIX, 1.
24. არ. VI, 9—10; დიოდ. XVII, 99; კურც. IX, 5; პლ. ალ. 63.
25. არ. VI, 16, 3.
26. არ. VI, 16, 1; დიოდოროსთან (XVII, 102) — პორტიკანი.
27. პლ. ალ. 65.
28. არ. VII, 1, 5—6.
29. არ. VI, 17.
30. კურც. IX, 7.
31. არ. VI, 19; დიოდ. XVII, 104; პლ. ალ. 66; კურც. IX, 9, 26.

თავი XIII

1. არ. ინდ. 34, 1.
2. დიოდ. XVII, 111, 1.
3. მერე კი გამოირკვევა, რომ კიროსის საფლავი გაუძარცვავს მაკედონელ პოლიმაქეს. ალექსანდრემ პოლიმაქე ამ ბოროტებისთვის სიკვდილით დასაჯა (პლ. ალ. 69).
4. არ. VI, 30.
5. იქვე.
6. არ. VII, 4—5; დიოდ. XVII, 107, 6; პლ. ალ. 70.
7. არ, VII, 3; სტრაბ. XV, 68; კლავდ. ელ. II, 41; პლ. ალ. 69; ციც. ტუსკ. II. 22.
8. არ. VII, 6, 3—4; დიოდ. XVII, 108, 1—3; პლ. ალ. 71.
9. არ. VII, 8, 3; კურციუსი ოცდაათს ასახელებს (X, 2, 30).
10. არ. VII, 8—11; დიოდ. XVII, 109; პლ. ალ. 71; კურც. X, 3.
11. კურც. X. 3, 7—14.
12. პოლიენ. IV, ვ. 7.
13. არ. VII, 11.
14. არ. VII, 12, 1; დიოდ. XVII, 109, 1.
15. არ. VII, 12, 3.
16. არ. VII, 12,4; იუსტ. XII, 12,9.
17. არ. 12, 6.
18. კლავდ. ელ. II, 19.
19. დიოდ. XVIII, 8.
20. დიოდ. XVII, 108, 8; პავს. II, 34,4.

1. არ. VI, 13; დიოდ. XVII, 110.
2. პლ. ევმ. 2.
3. არ. VII, 13; პლ. იქვე.
4. პოლიბ. X, 17.
5. არ. VII, 14; პლ. ალ. 72; დიოდ. XVII, 110, 8.
6. არ. VII, 15; დიოდ. XVII, 112; XIX, 20; პლ. ალ. 72; პოლიენ. IV, 3, 31.
7. არ. VII, 16, 5—6.
8. პლ. ალ. 74.
9. იქვე.
10. არ. VII, 22.
11. იქვე, 23.
12. იხ. დიოდ. XVIII, 4.
13. დიოდ. XVII, 115.

ალექსანდრე მაკედონელი და „ქართლის ცხოვრება“

ალექსანდრე მაკედონელის, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის „ლოგიის“ გარეშე არც ქართული მწერლობა და სიტყვიერება დარჩენილა. უწინარესად ყოვლისა, ქართველ ავტორებს მაინც ის აინტერესებდათ, თუ რა მიმართებანი და შეხების წერტილები უნდა ჰქონოდა მსოფლიოს უდიდეს დამპყრობელს თვითონ საქართველოსთან, გამორჩევით — ქართლთან, ანუ იბერიასთან.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევენ ის ქართული წყაროები, რომლებიც ხელაღებით აცხადებენ, თითქოს, ალექსანდრე მაკედონელს დანამდვილებით ელაშქროს ქართულ მიწა-წყალზე.

ჯერ მოვუსმინოთ IX საუკუნის ხელნაწერს, „მოქცევაი ქართლისაის“ უცნობ ავტორს (ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიერ გამართული ტექსტის მიხედვით):

მოვიდა ალექსანდრე მაკედონელი და „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე და ციხენი მათნი — ციხე დიდი სარკინისაი უფლისციხე, კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა“. ბუნთურქთა გარდა, აქვე ცხოვრობდნენ „ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი“. მისდგა ალექსანდრე, „მეფე ყოვლისა ქუეყანისაი, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახვილი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუე...“ ბოლოს სარკინეც აიღო ალექსანდრემ... „და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისაი. და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღაური დაუდვა მას: ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთაი ცროლისა და წავიდა.

ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა. და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი. და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყუანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გა.

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა — აზოი, ძე არიან ქართველთა მეფისაი, და მოკვდა". (იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, 1977, 114—115; სიმ. ჯანაშია, შრომები, ტ. III, 1952, 41—42).

ახლა „მოქცევაი ქართლისაის" ეს ცნობა დავიხსნათ არქაიზმისაგან, გადმოვიღოთ ჩვენს თანამედროვე სიტყვიერებაზე და გავიაზროთ დასკვნების სახით:

1. ალექსანდრე მაკედონელი მოვიდა ქართლში, მაგრამ ეს როდი ყოფილა შემდეგდროინდელი ქართლი — მტკვრის ხეობა და საერთოდ კავკასიონის სამხრეთი ნაწილი. ის კი არა და, საერთოდ ამიერკავკასიაშიც არა ყოფილა მაშინ ქართველთა საცხოვრისი; არამედ იგი ყოფილა სადღაც შორს, ამიერკავკასიიდან სამხრეთით, და სახელად იმ „პირველ", „ძველთაძველ", ქართველთა „წინარ-სამშობლოს" რქმევია ა რ ი ა ნ-ქ ა რ თ ლ ი.

2. არიან-ქართლიდან ალექსანდრემ წამოიყვანა ადგილობრივ ქართველთა მეფის ძე, სახელად აზო, და წამოემართნენ ჩრდილოეთით, მტკვრის ხეობისკენ.

3. მოვიდნენ ალექსანდრე და აზო ამ უცხო ქვეყანაში (ჯერ კიდევ „არასაქართველოში"!) და დახვდათ აქ ოთხი დიდი ქალაქი: სარკინე (უფლისციხით), კასპი, ურბნისი და ოძრხე (ეს სამიც მათივე სახელწოდების ციხეებით).

4. ადგილობრივ მოსახლეობას შეადგენდნენ ველური ბუნთურქები და ჰუნები (არსად არავითარი ქართველები!)

5. ალექსანდრემ დაიპყრო ყველა ქალაქი თავისი ციხეებითურთ. ყველაზე დიდხანს — თერთმეტი თვე — გაუძალიანდა სარკინე..

6. ალექსანდრემ ახლად დაპყრობილ ქვეყანაზე საბატონოდ, დასვა აზო „არიანელი", ძე არიან-ქართლის მეფისა, და რეზიდენციად მიუჩინა „ძველი მცხეთა". თვითონ ალექსანდრე კი გაბრუნდა სამხრეთისკენ.

7. ალექსანდრეს წასვლის შემდგომ აზო არიანელი წავიდა თავის სამშობლო არიან-ქართლში, წამოიყვანა იქიდან რვა სახლი (სახლი — გვარი, ან ოჯახი) წარჩინებულნი და ათი სახლი ნათესავ-მოყვარენი და დაასახლა ისინი მცხეთაში. ამასთან, აზო არიანელმა თავის წინაშე სამშობლოდან თან მოიტანა და მცხეთაში დადგა არიანელ ქართველთა სალოცავი კერპები — გაცი და გა.

8. ამრიგად, აზო არიანელი იყო პირველი ქართველი მეფე მცხეთა-

ში და აქვე აზოსგან მოყვანილი თვრამეტი „სახლი“ (გვარი, ან ოჯახი) არიან-ქართველით იწყება „ახალი ქართლის“ დაფუძნება, განვითარება და განვრცობა საერთოდ მომავალი საქართველოსი.

„მოქცევაი ქართლისაის“ მომდევნოდ ახლავე მოვუსმინოთ მეორე წყაროს, უფრო ვრცელსა და ანგარიშსაწევს. ეს არის განთქმული საისტორიო კრებულის, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი, XI საუკუნის ისტორიკოსი, ლეონტი მროველი. აი, რას ვკითხულობთ ალექსანდრე მაკედონელის „დროებაზე“ მის თხზულებაში, რომელსაც ჰქვია — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“:

„ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა. ქუეყანასა რომელსა ჰქვიან მაკედონი, ძე ნიკტანებისი, მეგვიპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა.

ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჰამდეს, მკუდარსა შესჰამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკუარისასა მიხვევით, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენნეს იგინიცა ქართლს.

შემდგომად ამისსა განძლიერდა, ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე. ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტუერის ციხე. რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი. და განუყო ლაშქარი თვისნი და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თვით

დადგა მცხეთას, და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ ქუეშოთ, და თვით დადგა ქსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ნასტაკისი.

ხოლო მტუერის ციხესა და თუხარისსა არა ჰბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექუს თუე. ხოლო სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა. განუწყრა ალექსანდრე და არღარა ინება ზავი, და ვედრება მათი არა შეიწყნარა, და რქუა მათ: „ვინათგან მაგინეთ მე, ესე არს ნაცვალი თქუენი, რათა დაგხოცნე ყოველნი". და მოიცვა ქალაქი სარკინე, და ვერა სადეთ განერა ერთიცა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჭირდა, რამეთუ ბრძოდა თერთმეტ თუე. იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განხურიტეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად სახურეტელი. და განკრბეს ხურელსა მას სარკინელნი ღამე, და შეივლტოდეს კავკასიად, და დაუტევეს ცალიერად ქალაქი.

დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყვევნა, და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი; და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი, და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით ჰრომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მხნენი, და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა. და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატრიკსა. და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ, და მის თანა სპანი იგი, მპყრობელად ქართლისა.

და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივსცემდენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და ჰმსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა. რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყუელი და მოძღუარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავა და ამხილა, არამედ თვით მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა მისსა ყოველსა ქუეყანასა სჯული ესე დაუდვა. და წარვიდა ალექსანდრე.

ხოლო ამან აზონ მოარღვივნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი; და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხვირისასა; და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკუარსა ზედა. და ესენი მომტკი-

ცნა, და განავსნა იგინი ლაშქრითა. და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა. და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა, და მოხარკე ყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი.

და ვითარ წარვიდა ალექსანდრე ეგვიპტედ, აღაშენა ქალაქი ალექსანდრია, და თორმეტ წლამდის მოვლო ყოველი ქუეყანა, თორმეტსა წელსა შინა დაეპყრნეს ყოველნი კიდენი ქუეყანისანი.. და მეთოთხმეტესა წელსა ალექსანდრიას შინა მოკუდაო იგი, უსწორო დიდი ხელმწიფე. და ვითარ მოკუდებოდა იგი, სიცოცხლესავე შინა მისსა განუტევნა ყოველნი მთავარნი, რომელნი შეპყრობილ და დამონებულ იყვნენ მისგან. და იგინი წარვიდეს თვის-თვისად ქუეყანად, ვითარცა ბრძანებულ იყო.

მერე მოიყვანნა ოთხნი კაცნი, ტომნი მისნი, რომელნი იყვნეს სახელით: ანტიოქოზ, ჰრომოს, ბიზანტიოს და პლატონ.

და მისცა ანტიოქოზს ასურასტანი და სომხითი, და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას. და მან აღაშენა სახელითა მისითა ქალაქი ანტიოქია.

ხოლო ჰრომოს მისცა თრიმიკოსი, და უჩინა კერძო დასავლეთისა. და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი.

და ბიზინტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი, და უჩინა კერძო ჩრდილოსა. და მოუწერა წიგნი ანდერძი აზონ პატრიკსა, ერისთავს ქართლისასა, რათა მსახურებდეს იგი ბიზინტიოსს. და მან აღაშენა ქალაქი ბიზინტია, რომელსა აწ ჰქვიან კონსტანტინეპოლი.

ხოლო პლატონ დაუტევა ალექსანდრიას.

და მოკუდა ალექსანდრე.

ხოლო ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად, და შექმნა ორი კერპი ვეცხლისანი: გაცი და გაიმ. და მონებდა იგი ბიზინტიოსს, მეფესა საბერძნეთისასა. იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველთა ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი“. და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი. მოკლიან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა. და ესე აზონ მათ ჰრომთაცა ზედა იყო მესისხლე, და მოესრნეს მრავალნი ჰათგანნი.

მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლისა, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსი ასპანელი. და იყო იგი ძმისწული, რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო.

ესე სამარ და ძმა მისი მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან" (იხ. ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955. 17—20).

აქ შევაჩეროთ თხრობა ლეონტი მროველისა; მის ზოგიერთ პასაჟს, მოვლენათა სწორი თანმიმდევრობისთვის, ადგილი მოვუნაცვლოთ და, ისევ არქაიზმისგან „თავდახსნით", გავიაზროთ ტექსტიდან მომდინარე დასკვნები:

1. დასავლეთიდან, საბერძნეთ-მაკედონიიდან წამოსულმა ალექსანდრემ, ეგვიპტელი ნიკტანების ძემ, სამხრეთის დამორჩილების შემდეგ, გეზი აიღო ჩრდილოეთისკენ, მოვიდა ჩრდილოეთს, გადმოვლო კავკასიონი და იქიდან დაეშვა ქართლის მიწაზე.

2. ქართლში ალექსანდრეს, ქართველთა გარდა, დახვდნენ „ნათესავნი უცხონი" — ბუნთურქნი, ქალდეველნი, ყივჩაყნი — რომლებიც უზნეო, უკეთურნი, უკულტურო ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ალექსანდრემ იერიში მიიტანა ქართლის ცახე-ქალაქებზე, მაგრამ ვერაფერს გახდა და ხელცარიელი გაბრუნდა უკან.

3. მას შემდეგ, რაც „დაიპყრა ყოველი ქუეყანა", ხელმეორედ მოვიდა ალექსანდრე მაკედონელი ქართლს. მოვიდა და გაუსია ჯარები ციხე-ქალაქებს.

4. თვითონ მცხეთაზე მიიტანა იერიში. „დიდი მცხეთა" ქართლის მთავარი ქალაქი იყო. იქ იჯდა ქართლის მამასახლისი, სახელად — სამარ. ალექსანდრემ მცხეთა აიღო, სამარი მის ძმასთან ერთად შეიპყრო და ორივე დახოცა.

5. მცხეთიდან ნასტაკისში დადგა და იქიდან ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ქართლის ქალაქებთან ბრძოლას. მისმა ჯარებმა ექვს თვეში აიღეს: წუნდა, ხერთვისი, ოძრხე, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, ზანავი, რუსთავი, სამშვილდე. მიუვალობის გამო, ხელი აიღო ხუნანისა („მტუერის ციხე") და თუხარისის დაპყრობაზე.

6. სარკინეზე იერიშის დროს იქაურმა ბუნთურქებმა აგინეს მეფეს. ალექსანდრემ სარკინე ალყაში მოაქცია. როცა მისჭირდათ. სარკინელებმა შეწყალება და შერიგება სთხოვეს ალექსანდრეს, მაგრამ

ამან უარი შეუთვალა: რაკი მაგინეთ, ყველა უკლებლივ უნდა დაგხოცოთო. თერთმეტი თვის თავზე ალექსანდრე შევიდა სარკინეში, მაგრამ ქალაქი დაცარიელებული დახვდა — სარკინელებს ლბილი კლდე გაეხვრიტათ და გაპარულიყვნენ.

7. ყველა უცხოელნი — „ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი“ — ალექსანდრემ ან ამოწყვიტა, ან დედაწულიანად ტყვედ აიყვანა. დატოვა მხოლოდ ქართველნი და პატრიკად, ანუ ერისთავად, დაუნიშნა თავისი თანამემამულე, მაკედონელი, სახელად — აზონ არიდოსის ძე, რომელსაც სამეფოდრო ძალად და „მპყრობელად ქართლისა“ დაუტოვა ასი ათასი ჯარისკაცი „ჰრომის ქუეყნიდან“. ამასთან, ალექსანდრემ აზონს უბრძანა ქართველთა შორის რელიგიურ სჯულად დაენერგა შვიდთა მნათობთა (მზის, მთვარის და ხუთი პლანეტის) თაყვანისცემა. ყოველივე ამის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელი წავიდა საქართველოდან.

8. ალექსანდრეს წასვლის შემდგომ, აზონმა განამტკიცა თავისი ძალაუფლება. მცხეთას მოარღვია ძველი კედლები, ხელახლა აღადგინა, განამტკიცა და ჯარით გაავსო ოთხი ციხე, პირველ რიგში — „თავადი ციხე“ არმაზი; შემოიმტკიცა ქართველთა ქვეყანა — ჰერეთიდან და ბერდუჯიდან სპერის (შავ) ზღვამდე: დახარკა ჩრდილო კავკასიელნი — ოსები, ლეკები, ხაზარები.

9. ალექსანდრე ქართლიდან ჩავიდა ეგვიპტეს. იქ ააშენა ქალაქი ალექსანდრია. ამის შემდეგ თორმეტი წელიწადი ილაშქრა და დაიპყრო „ყოველნი კიდენი ქუეყანისანი“. მობრუნდა ისევ ეგვიპტეს და გარდაიცვალა იქვე.

10. სიკვდილის წინ ალექსენდრემ მიიხმო ოთხი თანამემამულე თანამებრძოლი — ანტიოქოზ, ჰრომოს, ბიზინტიოს და პლატონ — და გაუყო მათ თავისი სამფლობელონი: ანტიოქოზს — ასურასტანი და სომხეთი, ჰრომოსს — თრიმიკოსი და საერთოდ დასავლეთ ქვეყნები, ბიზინტიოსს — საბერძნეთი, ქართლი და საერთოდ ჩრდილო ქვეყნები, ხოლო პლატონს — ეგვიპტე. ამათგან — ანტიოქოზმა დააარსა ქალაქი ანტიოქია, ჰრომოსმა ქალაქი რომი, ბიზინტიოსმა ქალაქი ბიზინტია, რომელსაც შემდეგ ეწოდა კონსტანტინეპოლი.

11. აზონმა ალექსანდრეს ანდერძიდან ზოგი რამ აღასრულა, ზოგიც უარყო. იგი ემორჩილებოდა ბიზინტიოსს, საბერძნეთის გამგებელს, მაგრამ გააუქმა შვიდთა მნათობთა თაყვანისცემა და სალოცავად მცხეთაში აღმართა ვერცხლის კერპები — გაცი და გაიმ. აზონი აღმოჩნდა სასტიკი, სისხლისმოყვარე დესპოტი, რომელიც უკიდურესად ავიწ-

როებდა და სასიკვდილოდაც არ ინდობდა არც ქართველებს და არც თავის თანამდგომ რომაელებსაც.

ახლა შევაჯამოთ და განვსაზღვროთ ორივე წყაროს მეცნიერული ღირებულება.

ამ მხრივ მართლაც შეიძლება რაიმე მოინახოს საყურადღებო. მაგალითად, ნდობას იმსახურებს აქ მოხსენიებულ ქართულ ქალაქთა და ციხე სიმაგრეთა არსებობა, რაიც ნივთიერადაც დასტურდება თანამედროვე არქეოლოგიური მონაცემების წყალობით. ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ტერმინი და სახელდებაც. მაგალითად, ლეონტისგან ნათქვამი: ალექსანდრემ ქართლში აზო პ ა ტ რ ი კ ა დ დასვაო. ეს სიტყვა შეიძლება ძველი ქართული ტერმინოლოგიის გასახსნელადაც გამოდგეს. სახელდობრ — „პატრიკი“, ბერძნული „პატრიკიოს“ და ლათინური „პატრიციუს“ — სიტყვისაგან „პატერ“ („მამა“) — ძალიან ესატყვისება ქართულ წყაროებში ხშირად ნახსენებ ტიტულს — „მ ა მ ფ ა ლ ი“ („მამაუფალი“, „მამამთავარი“).

ცალკე დგას „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორისგან არიან-ქართლისა და იქიდან ქართველთა „მოსვლის“ ამბავი. მეცნიერებამ დღეისათვის სავსებით მყარად და ურყევად იცის, რომ ქართველი ტომები ქართულ მიწა-წყალზე თავდაპირველი მკვიდრნი არიან და მათი „მოსვლა“ თუ ვისმესგან „მოყვანა“ რომელიღაც „წინარე საქართველოდან“ მათთვის მანამდე „უცხო“ მტკვრის ხეობაში — კარგა ხანია, მეცნიერული მსჯელობის ფარგლებს გაშორდა; ასე რომ — არიან-ქართლის პრობლემა პრობლემურობიდან მოიხსნა, თუმცაღა დასაშვებია, რომ ავტოხთონ-ქართველობას საქართველოში, ძველ საუკუნეთა რომელიღაც მომენტებში, ახლო თუ შორეულ ქვეყნებიდან მიგრირებული ეთნიკური ნაკადებიც შემოერთვოდნენ. მაშ, საქართველო თავიდანვე, მიწა-წყლითაც და მასზე მოსახლე ხალხითაც მარადჟამს საქართველო იყო. ხოლო, უკეთუ არიან-ქართლის პრობლემა პრობლემურობას ოდესმე ისევ დაუბრუნდება, მაშინ მსჯელობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქართული ცივილიზაციის „მეორადი ნაკადის“ ,ანუ „ძირითად ქართულში“ მიგრაციის გზით მოსული „შენაკადის“ გარშემო.

მაგრამ ყველა ეს საკითხი აკი ამ წიგნის ინტერესთა სფეროებს შორდება. ჩვენ კი მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელისა და ქართული სინამდვილის ურთიერთშეხებისა და შეცნობის მომენტები გვაინტერესებს. და ეს ორი წყაროც სწორედ ისეთ საინტერესო საკითხს ეხება,

როგორიც საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლა უნდა იყოს. ეხება და სრული დაჯერებითაც მოგვითხრობს ყოველი ისტორიკოსისთვის ამ „მომხიბლავ ამბავს". ის კი არა და, თუ კარგად დავუკვირდებით, ლეონტი მროველი იმასაც კი გვეუბნება, ალექსანდრემ ორჯერ ილაშქრა საქართველოშიო...

მაგრამ ჩვენ, ალექსანდრეს ლაშქრობათა თხრობისას, — როცა მის მარშრუტებს მაკედონიიდან ინდოეთამდე და ინდოეთიდან ბაბილონამდე კვალში ვუდექით — დავინახეთ, რომ ალექსანდრეს ქართულ მიწაზე ფეხიც არ დაუდგამს. არც ერთი ავტორი-„ალექსანდროლოგი", არც ალექსანდრეს მხლებელი და თანამედროვე, არც შემდეგდროინდელი, ერთი სიტყვითაც არ მიანიშნებს ალექსანდრეს ყოფნაზე საქართველოში. ამიტომ მცდარია ყოველივე, რაიც „მოქცევაი ქართლისაიმ" და ლეონტი მროველმა შეგვატყობინეს ალექსანდრე მაკედონელის გარშემო.

მცდარია ალექსანდრეს ლაშქრობა საქართველოში.

მცდარია არსებობა აზო არიანელისა, თუ აზონ მაკედონელისა, ვითარცა ალექსანდრე მაკედონელის პოლიტიკური პარტნიორისა.

მცდარია და სავსებით ანაქრონისტული იმდროინდელ (ძვ. წ. IV ს.) საქართველოში ცხოვრება ბუნთურქებისა, ჰუნებისა, ყივჩაყებისა.

მცდარია ალექსანდრეს ლაშქარში რომაელების ყოფნა.

მცდარია ალექსანდრეს სიკვდილი ალექსანდრიაში.

მცდარია ალექსანდრეს ანდერძი ოთხ კაცზე სამეფოს ოთხად განაწილებისა.

მცდარია ოთხივე ვითომ დიადოხოსის სახელნი — ანტიოქოზ, ჰრომოს, ბიზანტიოს, პლატონ. ასეთი სახელის თანამებრძოლნი — აზონისა არ იყოს — ალექსანდრეს არა ჰყოლია. ისინი ისეთივე შეთხზული, ეპონიმური სახელებია, როგორც იგივე ლეონტი მროველის „საყვარელი მეთოდოლოგიით" გამოგონილი — ჰაოს, ქართლოს, ლეკოს, კავკასოს, ეგროს, მცხეთოს, უფლოს და სხვ. მისთ.

ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის სიმცდარე „თანმიმდევრულად" გაიმეორა სახელოვანმა ვახუშტი ბატონიშვილმა, „ქართლის ცხოვრების" სწორედ „თანმიმდევრულად გადამწერელმა"...

იგივე გაიმეორა თეიმურაზ ბატონიშვილმაც თავის თხზულებაში — „ისტორია ივერიისა". მისი „სიახლე" საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის შესვლის მარშრუტთა დადგენაში მდგომარეობს. იგი წერს „ოდეს სძლო ალექსანდრემან დიდმან მაკედონელმან მესამედ დარიოს

მეფესა სპარსთასა და მოიკლა დარიოზ ლტოლვასა შინა ბესის ვისმე დიდებულისაგან თვისისა, შემდგომად მისსა მოვიდა საქართველოსა ზედა დარუბანდის გზით“ (ისტორია ივერიისა, 1848, 109). გავიხსენოთ, რომ მესამედ ალექსანდრემ დარიოსი 331 წელს გავგამელას ველზე გაანადგურა, ხოლო დარიოსი ბესამ მოჰკლა ერთი წლის შემდეგ, 330 წელს, კასპიის ზღვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში. მაშასადამე, თუ მეცნიერ უფლისწულს ვერწმუნეთ, ალექსანდრე რომ დარუბანდზე წამოსულიყო, ჯერ კასპიის ზღვისთვის აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით უნდა შემოეარა, ვოლგის შესართავი გამოევლო და დარუბანდზე ისე დაშვებულიყო. დარუბანდიდან კახეთში შემოვიდა ალექსანდრეო, — განაგრძობს თეიმურაზი — პანკისის ხეობაშიც ავიდაო და იქიდან, თითქოს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ალექსანდრეს ის მთაც დაანახეს, რომელზეც პრომეთეოსი იყო მიჯაჭვული. პანკისიდან ალექსანდრე დაეშვა სამხრეთით, მწვავე ბრძოლის შემდეგ აიღო რუსთავი, მერე მცხეთა და დანარჩენი ქალაქები ქართლისა. ქართლიდან ალექსანდრე გაბრუნდა ჩრდილოეთით, გაიარა დარიალის კარი, გადალახა იალბუზის მთა და გაემართა სკვითთა დასალაშქრავად.

ბოლოს, წინარე წყაროთა შეცდომა გაიმეორა ცნობილმა ისტორიკოსმა მარი ბროსემ (იხ. მისი „საქართველოს ისტორია“, ნაწ. I, 1895, 21).

ახლა ისმის კითხვა, საიდან უნდა გაჩენილიყო ეს მცდარი ინფორმაციები ქართულ წყაროებში? არც „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი და არც ლეონტი მროველი არ ასახელებენ, საიდან და რა წყაროებით ისარგებლეს, როცა ისინი ასე დარწმუნებით წერენ ალექსანდრე მაკედონელის „ქართული ლაშქრობის“ თაობაზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც გამოჩნდა ცდომილების სათავეები, — გამოჩნდა იგი თვითონ ბერძნულ და ლათინურ საისტორიო ნაწერებში. ყველაფერი კი დაუკავშირდა „ინდოეთის კავკასიონს“ — ძველი პარაპამისის, ანუ შემდგომდროინდელი ჰინდუყუშის მთებს. აქ არის მწვერვალი, სახელად — კროუკასი, რომელიც ფონეტიკურად ძალზე ეხამება „კავკასს“ და „ინდოეთის კავკასია“ ხშირად პონტოს კავკასიად ხმიანდებოდა, და მასთან იმ კავკასიონად, რომელზეც მიჯაჭვული იყო პრომეთეოსი. და გავრცელდა „ლოგოსი“ იმის თაობაზე, რომ ალექსანდრე მაკედონელმა სხვა მრავალ ქვეყანათა შორის დაიპყრო კავკასია და მისი მთავარი ქვეყანა — იბერია. ბევრ ავტორს უკვე წერილობითაც შეჰქონდა თავის თხზულებაში ეს მცდარი ამბავი.

I საუკუნის მეცნიერმა და მწერალმა, გაიუს პლინიუს უფროსმა (23—79) თავის თხზულებაში — „ბუნების ისტორია" — ასეთი რამ ჩაწერა:

„ასეთია მაკედონია (და ალექსანდრე მაკედონელი), რომელსაც ოდესღაც ეპყრა მთელი ქვეყანა და რომელმაც გადაიარა ასია, არმენია, იბერია, ალბანია, კაპადოკია, სირია, ეგვიპტე, ტავროსი და კავკასოსი" (IV, 39).

კიდევ I საუკუნეში ქვინტუს კურციუს რუფუსმა ჩაწერა „ალექსანდრე მაკედონელის ისტორიაში" (VII, 3): ალექსანდრეს ჯარმა ჩვიდმეტ დღეში გადავლო კავკასიონი და იმ კლდის ძირში, რომელზეც პრომეთეოსი იყო მიჯაჭვული, მეფემ კიდევ ერთი ქალაქი — ალექსანდრია დააარსაო. ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ მოხდა ინდოეთში, პენდუყუშის მთის ძირში, პაროპამისადების ოლქში.

მერე, III საუკუნეში, პლინიუსის ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ვაიუს იულიუს სოლინუსმა „ღირსშესანიშნავ მოგონებათა კრებულში" (IX, 19): „ალექსანდრე დიდმა დაიპყრო ასია, არმენია, იბერია, ალბანია.... გადავიდა ტავროსისა და კავკასოსის მთებზე".

მაგრამ დასაწყისშივე თვითონ ანტიკური დროის ავტორებმა დაიწყეს მათსავე ისტორიოგრაფიაში გაპარული შეცდომის გასწორება. ჯერ ყურადღება მივაქციოთ ძვ. წ. II საუკუნის (200—120 წწ.) დიდი ბერძენი ისტორიკოსის, პოლიბიოსის ერთ ცნობას, სადაც ლაპარაკია „ფაზისის მიდამოებზე" და მის ზემოთა მხარეზე, რომელიც ფაზისიდან აღწევს ჰირკანიის (კასპიის) ზღვამდე; და ამ ქვეყანაში „ცხოვრობს დიდი სიმრავლე მამაცი და განსაკუთრებით მხედრობაში (გაწაფული) ხალხისა, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ყოველგვარ სამზადისში, რაც კი ომისათვის არის საჭირო. ეს სახელმწიფო ჯერ კიდევ სპარსელთა დროიდან შემოინახა, რადგან ალექსანდრეს დროს იგი მხედველობიდან გამოეპარათ" (პოლიბიოსი, „მსოფლიო ისტორია ორმოც წიგნად", V, 55, 8—9).

ეჭვს არ იწვევს, რომ აქ ლაპარაკია საქართველოზე, რომლის დაპყრობა ალექსანდრეს „გამოჰპარვია" თუ „გამორჩენია". მთავარი ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფიის „მეორე მწვერვალი" (თუკიდიდეს შემდგომ) საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ყოფნას საერთოდ გამორიცხავს.

მაგრამ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ცდომილების ბუნება მაინც ყველაზე კარგად წარმოადგინა სტრაბონმა.

ძველ და ახალ საუკუნეთა მიჯნის (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 23) შესანიშნავმა ისტორიკოსმა დ გეოგრაფოსმა. და წერს სტრაბონი თავის განთქმულ „გეოგრაფიაში“ (XI, 5, 5): „მრავალთა მიერ განსადიდებლად გადმოცემული თხრობანი თუ ერთსა და იგივე აზრს შეიცავენ. ეს იმიტომ. რომ მომთხრობნი მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტებაზე. ასეთია, მაგალითად, კავკასიონის გადატანა ინდოეთის მთებთან. კავკასიონი ხომ კოლხეთისა და ევქსინის ზემოთ მდებარეობს. ელინებიც ხომ ამ მთებს ეძახდნენ კავკასიონს, რომლებიც ინდოეთს დაშორებული არიან 30 000 სტადიონზე უფრო მეტით; (აკი ამავე კავკასიონს) ასახელებს მითოსი, რომელიც ეხება პრომეთეოსსა და მის ბორკილებს... ხოლო უფრო სასახელო იყო ალექსანდრესთვის აზიის დაპყრობა ინდოეთის მთებამდე, ვიდრე ევქსინისა და (კოლხეთის) კავკასიონის კუთხემდე. მაგრამ დიდება მთისა, მისი სახელი და ის ამბავი, იაზონისა და მისი თანამებრძოლების შესახებ რომ ფიქრობენ, — რომ მათ (ე. ი. არგონაველებმა) კავკასიის სანახებამდე უშორესი ლაშქრობა აღასრულეს და ისიც, რომ პრომეთეოსი გადაცემული იყო მისაჯაჭვავად კავკასიონზე ვითარცა ქვეყნის კიდეზე — (ყოველივე ამის გამო) უნდოდათ როგორმე ესიამოვნებინათ მეფისთვის და გადაიტანეს მთის სახელი ინდოეთში“.

სტრაბონის ეს სიტყვა გვარიანი ინვექტივაა ყოველი დროის მეყალბე ისტორიკოსისთვის. ეს საერთოდ. ხოლო კერძოობით — იგი სრული დამაჯერებლობით გვარწმუნებს, რომ ალექსანდრეს „ნამდვილ კავკასიაში“ და მის მთავარ ქვეყანაში — იბერიაში — არ ულაშქრია: ოღონდ ეს იყო, რომ მისმა მლიქვნელმა მეისტორიეებმა კავკასიონის მთის სახელოვნება („მთათა მეფეა კავკასიონიო“, — ამბობდა ესქილე) მათი მბრძანებლის განსადიდებლად გამოიყენეს და საამისოდ შორეულ ინდოეთში ჩაღწეულ დამპყრობელს მარად სახსოვარ უძვირფასეს არმაღანად აღუბეჭდეს.

და, კიდევ ერთხელ წერს სტრაბონი: კავკასიონისა და პრომეთეოსის ამბები ზოგიერთებს „გადმოაქვთ პონტოდან აქ (ინდოეთში) უმწეო მიზეზით, — რაკიღა ხედავენ, რომ პაროპამისადეში არის წმინდა გამოქვაბული და უჩვენებენ ვითომც აქ ყოფილიყოს მიჯაჭვული პრომეთეოსი და აქ მოსულიყოს ჰერაკლეც პრომეთეოსის გასათავისუფლებლად, და ვითომც ეს იყოს ის კავკასიონი, რომელსაც ელინები (სინამდვილეში) თვლიან პრომეთეოსის მიჯაჭვის ადგილად“ („გეოგრაფია“. XV, 1, 8).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაშიც უნდა მიეკუთვნოს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ყველაზე ვრცელსა და სანდო ავტორს, არიანოსს, რომელიც პირდაპირ წერს ინდოეთის შესახებ საგანგებოდ დაწერილ წიგნში („ინდიკე", II, 3—4): როცა მაკედონელებმა პარაპამისოსში „ალექსანდრესთან ერთად ილაშქრეს, მას კავკასიონი უწოდეს, (მაგრამ) ეს სხვა კავკასიონია, სკვითიის კი არა..."

და მეორეგან, ისევ სრული სინათლითა და დამაჯერებლობით:

„რაც შეეხება კლდეს, აორნოსს, რომელიც ალექსანდრემ ძალით აიღო, ხოლო ჰერაკლემ კი ვერ შეძლო მისი დაპყრობა, — მე მგონია, რომ ეს მაკედონელების ტრაბახია, ისევე როგორც. მაგალითად პარაპამისოსს რომ კავკასიონს უწოდებენ მაკედონელები, თუმცა არაფერი აქვს მას საერთო ნამდვილ კავკასიონთან" („ინდიკე", V, 10).

ბოლოს, ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფიაც სავსებით ბუნებრივად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელსა და მის ლაშქარს ფეხიც არ დაუდგამს. ამ მხრივ ერთაზროვანია ყველა მკვლევარი: დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, სხვანი და სხვანი.

მაინც რა წყაროებით და ინფორმაციებით იკვებებოდნენ „მოქცევაის" ავტორი და ლეონტი მროველი საქართველოში მაკედონელთა ლაშქრობის მტკიცებათა ჟამს, — ამ კითხვას მართებული პასუხი მოუძებნეს კ. კეკელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, რომელთაც საძიებელ წყაროდ მიიჩნიეს ფსევდოკალისთენეს რომანი — „ალექსანდრიანი".

კ. კეკელიძე:

„....ბერძნული წყარო ლეონტისა არის ფსევდოკალისთენეს პოპულარული რომანი „ალექსანდრია"... ამ წიგნიდან უნდა იყოს შემოტანილი ჩვენს მატიანეში, საზოგადოდ, ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ჩვენში ყოფნის შესახებ" (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1981, 255).

ს. ყაუხჩიშვილი:

„ამ რომანში („ალექსანდრიანში") ალექსანდრეს მიეწერება ისეთი ქვეყნების დაპყრობაც, სადაც მას არც კი გაუვლია. ასე მაგალითად, ამ რომანით ი ბ ე რ ი ა ც ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი ქვეყნების რიცხვშია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად არც ერთ ისტორი-

კოსს ამის შესახებ არაფერი ჰქონდა ნათქვამი“ (ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1949, 232).

ამ მტკიცებას შეიძლება დაემატოს შემდეგი: ლეონტი მროველისათვის ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრიანის“ პირველწყაროობა მტკიცდება ლეონტისავე ცნობის პირველსავე სტრიქონში, სადაც იგი ლაპარაკობს ალექსანდრეს წარმომავლობაზე: „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა რომელსა ჰქვიან მაკედონი, ძე ნიკტანებისი, მეგვიპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“ (ხაზი ჩვენია — ლ. ს.)

აქ ლაპარაკია ეგვიპტის ფარაონ ნექტანებ მეორეზე. და საქმე ისაა, რომ მართლაც დადიოდა ხმა, ალექსანდრე ფილიპეს შვილი კი არა, თითქოს, ეგვიპტელი ფარაონისა და ქურუმთმთავრის, ნექტანების ძე ყოფილიყოს. ეს ხმა მალე „ლიტერატურულ ჭორად“ იქცა და „ალექსანდრიანის“ საწყის მოტივადაც იგივე აღმოჩნდა, სწორედ ეს „ალექსანდრიანი“ უნდა იყოს ლეონტი მროველის მკვებავი წყარო, რასაც თვითონვე ადასტურებს კიდეც — „ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასაო“...

მაშ, ერთხელ კიდევ დავასკვნათ, რომ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელს არ ულაშქრია. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ მსოფლიოს ამ უდიდეს დამპყრობელს საქართველო არც „გამოჰპარვია“ და არც კიდევ მისგან უბრალოდ გულგრილი ხელის ჩაქნევით არ ჩაუვლია. საქმეც ის გახლავთ, რომ საქართველოზე ლაშქრობა და მისი დაპყრობა, ჭკვიან პოლიტიკოსსა და სტრატეგოსს სწორედ აგრე უბრალო „გზად გავლის“ საქმედ არ მიუჩნევია. როგორც ჩანს, კავკასიურ-ქართული მიწა-წყლისა და საერთოდ კავკასიელი ხალხებისადმი ინტერესი ალექსანდრე მაკედონელს სიკვდილის კარამდე არ მოშორებია. ამ წიგნშიც თავის ადგილზე ითქვა, რომ ალექსანდრემ ძალიან კარგად იცოდა, რა ცხოველმყოფელი მნიშვნელობაც ექნებოდა ევროპასა და ინდოეთს შორის იმ სამიმოსვლო გზას, რომლის შუაგული ნაკვეთი სწორედ საქართველოზე გადიოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ალექსანდრეს იმჟამად, სპარსელთა ძალებზე ადევნებულ სამხრეთული გზებიდან, არასგზით არ შეეძლო ჩრდილოურ ტეხილზე გადასვლა, რასაც მისთვის შესაძლოა დიდი ზიანი და იქნებ კატასტროფაც ერგუნებინა. ჰელესპონტ-პროპონტიდის, ბოსფორის, პონტოსა და კოლხეთ-იბერიის სალაშქრო მაგისტრალი ალექსანდრეს სამომავლო გენერალურ განაზ-

რახად ჰქონია გულს ამოჭრილი. ხოლო, ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელება, მისივე აზრით, მთელი აზიისა და ევროპის საომარ ძალთა თავმოყრას მოითხოვდა! ამაზე ნათლად მეტყველებს ყველაზე სანდო და საიმედო ავტორის, ისევ არიანოსის ცნობა, რომელიც ჩვენ ადრეც ვახსენეთ ამ წიგნში. მოდით, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ და გულდასმით გავსინჯოთ ალექსანდრეს „ანაბასისის“ ეს ადგილი — IV, 15, 4—6:

„იმავე ჟამს (ქალაქ ზარიასპაში, ბაქტრიაში) ალექსანდრესთან მოვიდა ფარასმანი, ხორაზმელთა მეფე, 1500 მხედრით. ფარასმანმა თქვა, რომ ის ცხოვრობს კოლხთა მოდგმისა და ამაძონი ქალების ახლოს და უკეთუ ალექსანდრეს სურს, თავს დაესხას კოლხებს, ამაძონებს და დაიმორჩილოს ევქსინის პონტომდე გავრცელებული ტომები, — ის სიტყვას იძლევა, რომ იქნება მისი მეგზური და სურსათსაც მოუმზადებს ჯარებისათვის... (ალექსანდრემ) ფარსმანი შეაქო და მასთან მაშინვე შეკრა სამეგობრო კავშირი, მაგრამ იქვე უთხრა, რომ ახლა არა აქვს დრო პონტოზე გალაშქრებისა... რადგან ახლა იგი შეპყრობილია ინდოეთზე ფიქრით და ზრუნვით; ინდოეთის დაპყრობას რომ მორჩება, მთელი აზიაც მის ხელში იქნება: ხოლო აზიას რომ დაიპყრობს, დაბრუნდება ელადაში, და აი მაშინ, იქიდან ჰელესპონტისა და პროპონტიდის გავლით შეიჭრება პონტოს შიგნით და ამისთვის მოიხმარს მთელ თავის ძალებს, როგორც საზღვაოს, ისე სახმელეთოს...“

ალბათ, ხელახალ კომენტირებას აღარ საჭიროებს ეს ადგილი ეგზომ ანგარიშგასაწევი ავტორის თხზულებიდან...

ცალკე, თავისი „საკუთარი კოლორით“ გვეელინება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეხედულებანი ალექსანდრე მაკედონელზე. ჯერ ეს ადგილი გავიხსენოთ მისი თხზულებიდან — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“:

„(ალექსანდრემ) პირველად მამულისა თვისისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი, და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგვიპტე, შესრულმან კარქედონით. და მიერ ეგვიპტით პალესტინე და ფინიკე, და კილიკიასა თვისად შემქმნელი, წინაგანეწყო დარიოსს. და რაჟამს სპარსეთი მოერთო, მაშინღა სძლო პიროს ჰინდოსა, და ეგრეთღა ამით ყოვლითა მოვლო ყოველი ქვეყანა; და ქმნა, რა-გი ქმნა“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955, 358—359).

აქ შესანიშნავად, მართებული ცოდნითა და გააზრებით არის წარ-

მოდგენილი ალექსანდრე მაკედონელის საქმეთა დასაწყისი, მისი ძალაუფლებისა და დაპყრობების ზრდა, ზრდისა და აღმავლობის საფეხურები და ბოლოს მსოფლიო მბრძანებლად გადაქცევა. აქვე ფრიად მისანიშნებლად გამოსჩანს, რომ იგი, მიუხედავად იმისა, რომ ეგზომ ყურადღებით ჩამოთვლის ალექსანდრეს ყველა უმთავრეს დაპყრობას — ქართველი ისტორიკოსი ერთი სიტყვითაც არაფერს ამბობს საქართველოში ალექსანდრეს ყოფნისა თუ არყოფნის თაობაზე. ეტყობა, დავითის ისტორიკოსი ან საერთოდ არ იცნობს ამგვარ წყაროს, ან თუ იცნობს, იმდენად არასწორად თვლის, რომ მას მსჯელობის ღირსადაც არ თვლის... დავითის ისტორიკოსისათვის ალექსანდრესთან დაკავშირებით, მთავარი მასთან დავით აღმაშენებლის შედარებაა:

„ჩუენი ესე გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამით შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე, და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ, მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე. და რაოდენ საწუთოთა და ხორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო. ეგეოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა ხორციელთავე თანა მისთა პირველთა ყოველთა ჰმატდა. რამეთუ არა სცა ძალი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა; არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთითა არარა ხორციელთა შეაკრა გონება, გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა. და განიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის ქმნულთა მცირედი მეგულების თქუმად“ (იქვე, 338).

და კიდევ:

„ხოლო ამად რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყვი უკუე უმიროსსა და არისტოველის ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი შეამკვნა თხრობანი, თუ, ვითარ აღამემნონ და პრიამოს, ანუ აქილევი და ეკტორი, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმხნენი და ძლევა-შემოსილებანი; ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტოის-მიერნი მეტომეთა თვისთა-ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა. და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა

აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთვისცა მის ხელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყვის თვით სადამე ალექსანდრე: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს“. რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა. ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინლამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა“ (იქვე, 342).

და, ბოლოს:

„...ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰროშთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხვათა ქებულთანი“ (იქვე, 359).

ქართველი ისტორიკოსი გვარწმუნებს, რომ დავით აღმაშენებელი ნიჭით, საქმით, განზრახულობით, სიმხნით თუ სიმამაცით გაცილებით მაღლა („მრავლითა მაღლა“) იდგა ალექსანდრე მაკედონელზე. უსწორო იყო დავითი სხეულის სიმძლავრითა და სულის სისპეტაკითო. იცის ქართველმა ისტორიკოსმა ვინ არიან, რანი არიან და რა დაუწერიათ ჰომეროსს, არისტობულეს და იოსებ ებრაელს (ფლავიუსს) — ჰომეროსმა ტროადელთა და აქაველთა გმირობას უძღვნა თავისი „დიდი და სახელოვანი გამომეტყველება“, არისტობულემ — ალექსანდრე მაკედონელს, იოსებ ფლავიუსმა კი — ვესპასიანე-ტიტესა და იუდველთა ურთიერთ ომს. მაგრამ მაინც მებრალებიანო ეს დიდმეტყველნი ხელოვანნი, ვინათგან „ნივთნი საქმეთანი“ (ფაქტიური მასალები, რეალურად მომხდარი ამბები) საკმარისი არ ჰქონდათ და ამიტომ იძულებული იყვნენ, „ხელოვნებითა რიტორობისათა“, ყველაფერი გაეზვიადებინათო. ამასთან დაკავშირებით, დავითის ისტორიკოსი იშველიებს თვითონ ალექსანდრეს ნათქვამს აქილევსის საფლავზე: „ნეტავ შენ, ბედნიერო ჭაბუკო, რომ სიცოცხლეში ჰპოვე უერთგულესი მეგობარი, ხოლო სიკვდილის შემდგომ უდიდესი მეხოტბეო“. ამ შეგონებიდან ქართველ ისტორიკოსს მეორე ნაწილი აინტერესებს — ნეტავ შენ, აქილევსო, მეხოტბედ რომ ჰომეროსი გამოგიჩნდაო. და ამ ნათქვამის ქვეტექსტიც და აზრიც ისე ესმოდა ჩვენს ისტორიკოსს, როგორც გულისხმობდა თვითონ მაკედონელი — აქილევსი იმოდენა რო-

დი იყო, რამოდენაც ჰომეროსმა დახატაო, ანუ — აქილევსი არც დიდი იქნებოდა და იქნებ არც ვისმეს გახსენებოდა, მეხოტბედ დიდი ჰომეროსი არ გამოსჩენოდაო, ანუ კიდევ — აქილევსის სიდიდის შემოქმედი ჰომეროსის სიდიდეაო. აქილევსმა ტროელებთან ომს ოცდარვა წელიწადი შეალია *, დავითმა კი სამ წელიწადში ამდენი ბრძოლა „პირველსავე კუეთებასა“ მოიგოო. ამიტომ „ვაების ღირსად“ მიმაჩნია ჰომეროსიც, არისტობულეც და იოსებ ფლავიუსიც, რომ მათ „თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი“ არა ჰქონიათ, და რომ ჰქონოდათ — აი, მაშინ გენახათ, რასაც ნიშნავსო ნამდვილი გმირი და საქმენი საგმირონი! მერე — ქართველთა ეგზომ მცირე ჯარით დავითი რომ ამოდენა გმირობებსა და სასწაულებს აბდენდა, — ისეთივე მცირე სპით ალექსანდრე ვერაფერსაც ვერ გახდებოდა. ხოლო, დავითს რომ სპარსეთის, საბერძნეთის, რომისა თუ სხვა რომელიმე დიდი ქვეყნის მეფობა ჰქონოდა და იმდენი საომარი ძალები ჰყოლოდა (რამდენიც ალექსანდრეს ჰყავდა), „მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“...

სწორედ რომ დიდ ჭეშმარიტებას ბრძანებს დიდი ხელმწიფის დიდი ისტორიკოსი.

---

* ანტიკურ და ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში არსებობდა ორი ვარიანტი ტროას ომის ხანგრძლივობისა — 10 წელიწადი და 28 წელიწადი. ამის შესახებ იხილეთ სიმ. ყაუხჩიშვილის სტატია — ფირესტე//ორესტე“ (ლიტერატურული ძიებანი, II, 1944 წ.).

შინაარსი

წინაბეჭე	3
ზღურბლი	8
თავი I. ძველი მაკედონია	11
თავი II. ფილიპე მაკედონელი	17
თავი III. ალექსანდრეს ზეობის დასაწყისი	39
თავი IV. ალექსანდრე ბალკანეთზე	48
თავი V. სპარსეთი ალექსანდრეს გალაშქრების წინ	61
თავი VI. ალექსანდრე მცირე აზიაში	69
თავი VII. ალექსანდრე სირია-ფინიკია-პალესტინაში	101
თავი VIII. ალექსანდრე ეგვიპტეში	119
თავი IX. ალექსანდრე მესოპოტამიაში	129
თავი X. ალექსანდრე ირანში	147
თავი XI ალექსანდრე ცენტრალურ აზიაში	171
თავი XII. ალექსანდრე ინდოეთში	222
თავი XIII. ალექსანდრეს დაბრუნება	276
თავი XIV. ალექსანდრეს უკანასკნელი წელსაბრუნავი	304
თავი XV. ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ	317
ბოლობეჭე	329
შემოკლებანი, შენიშვნები	334
დამატება, ალექსანდრე მაკედონელი და „ქართლის ცხოვრება“	343

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩხაიძე
მხატვარი ა. ბუაძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ე. წერეთელი

გადაეცა წარმოებას 3.03.93. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.07.94.
საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 22,75.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 17,46. ტირაჟი 10 000. შეკვეთის № 114.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო
საქმიანობის სახელმწიფო კორპორაციის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Саникидзе Леван Давидович

АЛЕКСАНДР МАКЕДОНСКИЙ

(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси, 1994